



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის
მხარდაჭერა



USAID
ამერიკელი ხალხისგან

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

ოქტომბერი, 2017

მიმოხილვა მომზადებულია ბესარიონ ბოხაშვილისა და კონსტანტინე კორკელიას ავტორობით გამოცემული პუბლიკაციის „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“ (2017 წ.) მასალებზე დაყრდნობით, ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტისა“ და „კანონის უზენაესობა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის მხარდაჭერითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრისა და კვლევებისა და ანალიზის ცენტრის თანამონაწილეობით. მიმოხილვის შემდგომ განახლებასა და სასამართლო სისტემის პრაქტიკოსებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი.

გამოცემის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მისი ავტორები. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ს მთავრობისა და ევროკავშირის შეხედულებებს.



პროექტს ახორციელებს
Hulla and Co Human Dynamics KG

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

სარჩევი

1. შესავალი	5
1.1. სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება	6
1.2. ავტონომიური განმარტების პრინციპი	7
2. რა იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებში და რატომ უნდა გამოვიყენოთ ისინი პრაქტიკაში?	8
3. მე-8 მუხლით დაცული სფერო	13
3.1. ექცევა თუ არა საკითხი მე-8 მუხლით დაცულ სფეროში?	14
3.2. იყო თუ არა ჩარევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში?	14
3.2.1. უფლების მართლობიერი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი	15
3.2.2. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი	17
გ) უფლების შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში	18
4. პირადი ცხოვრება	22
4.1. პატივი და ღირსება	23
4.2. პირადი მონაცემების შეგროვება და მათზე წვდომა	47
4.2.1. პირადი მონაცემები სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში	48
4.2.2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პირადი მონაცემები	52
4.2.3. საიდუმლო/პერსონალურ მონაცემებზე წვდომა	56
4.2.4. ინფორმაციის განადგურება	60
4.3 პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტები	60
4.4. სხეული და სიშიშველე	63
4.5. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოება	67
4.6. ადამიანის ფოტო- და ვიდეოგამოსახულება	71
4.7. სამსახური და პირადი ცხოვრება	74

4.7.1. გენდერული ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება	78
4.7.2. სამსახურიდან გათავისუფლება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო	79
4.8. ადამიანის სიცოცხლე და პირადი ცხოვრება	85
4.9. ადამიანის სახელი და გვარი	88
4.10. აბორტი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	94
4.11. პირადი ცხოვრება და ხელშეუხებლობა	99
4.12. პირადი ცხოვრება და სექსუალური ორიენტაცია	103
4.13. სქესობრივი იდენტობა და გენდერი	112
5. ოჯახური ცხოვრება	117
5.1. რას ნიშნავს ოჯახური ცხოვრება?	117
5.1.1. ნათესაობის დადგენა	123
5.2. ბავშვის მოთავსება სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ	126
5.2.1. მშობლების მონაწილეობა ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში	128
5.2.2. სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიკვილოს ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის მიზეზი	131
5.2.3 სახელმწიფოს ვალდებულება, რეგულარულად გადასინჯოს ბავშვის მზრუნველობის დაწესებულებაში ყოფნის აუცილებლობა	132
5.2.4 სახელმწიფოს ვალდებულება, გონივრულ ვადაში ჩაატაროს ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პროცესი	133
5.2.5 სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს ოჯახური ცხოვრებისათვის ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიება	133
5.3 მეურვეობა და ბავშვთან კონტაქტის უფლება	139
5.4 ოჯახური ცხოვრების დაცვა ბავშვის საერთაშორისო მოტაცების შემთხვევაში	154
5.5 შვილად აყვანა	164
5.6 იმიგრაცია: დეპორტაცია და ოჯახის გაერთიანება	170

<u>5.6.1. დეპორტაცია</u>	<u>170</u>
<u>5.6.2. ოჯახის გაერთიანება</u>	<u>178</u>
<u>6. საცხოვრებელი</u>	<u>181</u>
<u>6.1. მტკიცებულებათა ამოღება და ჩხრეკა</u>	<u>190</u>
<u>7. კომუნიკაცია</u>	<u>192</u>
<u>8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით</u>	<u>213</u>
8.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი მიდგომა ფუნდამენტური უფლებების განმარტებისას მათი ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად	<u>213</u>
8.2 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ზოგადი განმარტება	<u>216</u>
8.3 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეგლამენტირება საქართველოს კონსტიტუციით	<u>218</u>
8.3.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებრივი კომპონენტები	<u>219</u>
8.3.2 საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები	<u>220</u>
8.3.3. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები	<u>224</u>
8.3.4. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები	<u>225</u>
8.4 სადავო კანონის (ნორმის) კონსტიტუციის შესაბამის მუხლთან სწორი მიმართების დადგენის აუცილებლობა	<u>226</u>
8.5 სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები	<u>228</u>
8.6 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური - უფლების შეზღუდვის ზოგადი კონსტიტუციური საფუძვლები	<u>229</u>
8.7 უფლების შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. „კანონის ხარისხის“ მოთხოვნა	<u>231</u>
8.8 უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები	<u>237</u>
8.9 უფლებაში ჩარევა მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის დაცვით	<u>239</u>
8.10 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებრივი კომპონენტები	<u>242</u>
8.10.1 კომუნიკაციის თავისუფლება	<u>243</u>
8.10.2 ოჯახური ცხოვრება	<u>278</u>
8.10.3 ადამიანის სახელი და გვარი	<u>287</u>
8.10.4. პირადი ცხოვრება და სექსუალური ორიენტაცია	<u>292</u>

1. შესავალი

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებულია ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად. ეს უფლება განმტკიცებულია უნივერსალური, ასევე რეგიონული ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებით. როგორც უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულება, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-17(1) მუხლით დადგენილია, რომ „არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას.“¹

რეგიონულ დონეზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში – „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ ან „ევროპული კონვენცია“), რომლის მე-8 მუხლით დადგენილია შემდეგი:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“²

ამ მიმოხილვაში ძირითადი ყურადღება გამახვილდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე, ასევე დასასრულს წარმოგიდგინთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით.

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ ურთიერთობათა სფერო საკმაოდ ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას.³ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს მრავალ საკითხს, მათ

¹ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ოფიციალური ქართული თარგმანი იხ. ინტერნეტგვერდზე: [www.matsne.gov.ge].

² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ოფიციალური ქართული თარგმანი იხ. ინტერნეტგვერდზე: [www.matsne.gov.ge].

³ *კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom)*, 1993 წლის 25 მარტი, 36-ე პარაგრაფი.

შორის პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას,⁴ პატივსა და ღირსებას, სოციალურ იდენტიფიცირებას,⁵ პირის სახელსა და გვარს, სქესობრივ ცხოვრებას,⁶ ადამიანის სხეულთან დაკავშირებულ ასპექტებს, საცხოვრებელ გარემოსა და სხვ. მე-8 მუხლი ასევე ვრცელდება პირების კომუნიკაციის საშუალებების მონიტორინგზე,⁷ ადამიანის ფოტო და ვიდეო მასალაზე,⁸ ხმაურზე, დნმ-სა და თითის ანაბეჭდებზე,⁹ ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე,¹⁰ პირთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვაზე.¹¹

1.1. სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განიმარტა ისე, რომ იგი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ ასევე პოზიტიურ ვალდებულებას.¹² ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის მესამე მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ დარღვევის შემთხვევაში (პოზიტიური ვალდებულება).¹³ თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება პასუხისმგებლობის საკითხი თავად სახელმწიფოსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

⁴ ფრიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (*Pretty v. the United Kingdom*), 2346/02, 61-ე პარაგრაფი, 2002 წლის 29 აპრილი.

⁵ მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Mikulić v. Croatia*), № 53176/99, § 53, ECHR 2002-I.

⁶ ბენსაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Bensaid v. the United Kingdom*), № 44599/98, § 47, ECHR 2001-I.

⁷ მელოუინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*), 1984 წლის 2 აგვისტო; კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (*Klass and Others v. Germany*), 6 სექტემბერი, 1978, § 41, Series A no. 28; იორდაჩი მოლდოვის წინააღმდეგ (*Iordachi v. Moldova*), № 25198/02, 10 თებერვალი, 2009 წ.

⁸ ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (*Von Hannover v. Germany*), № 59320/00, ECHR 2004-VI; პერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Perry v. the United Kingdom*), № 63737/00, ECHR 2003-IX (ამონარიდები); პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Peck v. the United Kingdom*), № 44647/98, §57, ECHR 2003-I.

⁹ S. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*S. and Marper v. the United Kingdom*), [დიდი პალატა], №30562/04 და №30566/04, ECHR 2008..

¹⁰ Z. ფინეთის წინააღმდეგ (*Z. v. Finland*), 1997 წლის 25 თებერვალი, § 71.

¹¹ ლიანდერი შვედეთის წინააღმდეგ (*Leander v. Sweden*), 1987 წლის 26 მარტი, §48.

¹² ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002 წელი, 59-60.

¹³ D. Harris, M. O’Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 504.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის მრავალი დებულების ძირითადი მიზანია საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის აკრძალვა, უდავოა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ამ უფლებათა ეფექტიანი დაცვის ვალდებულება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოზიტიური ვალდებულება გამომდინარეობს კონვენციის მრავალი მუხლიდან, მათ შორის მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებიდან.¹⁴

საქმეში *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 13 ივნისი, 1979, Series A no. 31 ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „ამ მუხლის მიზანია, არსებითად, საჯარო ხელისუფლების უკანონო ჩარევისაგან პირის დაცვა ... ამასთანავე, ის არა მხოლოდ მოითხოვს სახელმწიფოსაგან ასეთი ჩარევისაგან თავშეკავებას – ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი „პატივისცემისგან“ განუყოფელია.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ერთ-ერთი ასპექტია, უზრუნველყოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საფუძველი მე-8 მუხლის დაცული უფლების რეალიზაციისათვის.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საილუსტრაციოდ შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მოშველიება. საქმეში – *X. და Y. ნიდერლანდების წინააღმდეგ (X and Y v. the Netherlands)*, 26 მარტი, 1985, Series A no. 91, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე გოგოს გაუპატიურებას სრულწლოვანი მამაკაცის მიერ, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო, სახელმწიფოს დაედგინა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მამაკაცის სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად.

1.2. ავტონომიური განმარტების პრინციპი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებსა და სამართლებრივ ტერმინებს განმარტავს ავტონომიური მნიშვნელობით. მათი განმარტება შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ მნიშვნელობებს, რომლებიც ამ პრინციპებსა და ტერმინებს ენიჭებათ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.

ვინაიდან ევროპულ კონვენციაში გამოყენებული მრავალი პრინციპი და სამართლებრივი ტერმინი კარგად ნაცნობია ეროვნული სასამართლოებისათვის, სავსებით გასაგებია სახელმწიფოს ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მიერ ამ პრინციპებისა და სამართლებრივი ტერმინებისათვის იმ მნიშვნელობათა

¹⁴ სხვებთან ერთად, იხ. *გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaskin v. the United Kingdom)*, 1989 წლის 7 ივლისი, 42-49 პარაგრაფები.

მინიჭების ცდუნება, როგორც ისინი გაიგება ეროვნული კანონმდებლობით. ასეთი ცდუნების მიუხედავად, კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და სამართლებრივი ტერმინების განმარტება ეროვნული „მნიშვნელობით“ არასწორია.

თუ ეს პრინციპები და ტერმინები არ განიმარტა ავტონომიური, კონვენციისეული მნიშვნელობით, მაშინ ისინი განიმარტება იმ მნიშვნელობით, რომლებიც მათ ენიჭებათ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით. ამ პრინციპებისა და სამართლებრივი ტერმინების ეროვნული კანონმდებლობის მნიშვნელობით განმარტება, სავარაუდოდ, გამოიწვევს კონვენციისაგან განსხვავებულ განმარტებას. მაგალითად, ავტონომიური მნიშვნელობით კონვენციის პრინციპებისა და ტერმინების განმარტების გარეშე „პირად და ოჯახურ ცხოვრებას“,¹⁵ „საცხოვრებელს“, „მიმოწერას“ სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოში განსხვავებული მნიშვნელობა მიენიჭება, რაც შეუძლებელს გახდის ყველა სახელმწიფოსათვის კონვენციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა საერთო სტანდარტის დადგენასა და დაცვას. ამან განაპირობა კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და ტერმინების ავტონომიური მნიშვნელობით განმარტების აუცილებლობა.

2. რა იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებში და რატომ უნდა გამოვიყენოთ ისინი პრაქტიკაში?

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეა საქართველო, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყაროა და მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა სახელმწიფოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კერძოდ სასამართლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ეროვნულ დონეზე. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ, თავიანთი უფლებები დაიცვან ევროპული კონვენციის საფუძველზე. ევროპულ კონვენციას მინიჭებული აქვს საქართველოს ნორმატიულ აქტებზე (კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების გარდა) მაღალი იერარქიული ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (და მისი დამატებითი ოქმების) ტექსტში, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ

¹⁵ იხ. *კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland)*, 1994 წლის 26 მაისი, 44-45 პარაგრაფები.

განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით.¹⁶ ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლით. სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.¹⁷

სახელმწიფოს ადმინისტრაციულმა და სასამართლო ორგანოებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა მეტისმეტად ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა სტანდარტები გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.¹⁸ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები.¹⁹ კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.²⁰

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აზუსტებს კონვენციის ცალკეულ დებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, ისევე როგორც გამოყენების სფეროს, სახელმწიფო ორგანოებმა, მათ შორის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, არ უნდა განიხილონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა ლუციუს ვილდჰაბერმა აღნიშნა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ სამართალში ენიჭება კონვენციის ტექსტს, თუმცა ასეთივე მნიშვნელობა უნდა განეკუთვნოს სასამართლო პრაქტიკას, რომელიც კონვენციის ტექსტიდან გამომდინარეობს.“²¹

¹⁶ A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.) 2001, 676.

¹⁷ M. Macovei, *Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights*, 2001, 5.

¹⁸ J. Polakiewicz, *The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law*, 17 *Human Rights Law Journal*, №11-12, 1996, 407.

¹⁹ L. Wildhaber, *Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention*, in: *The European Convention on Human Rights at 50*, *Human Rights Information Bulletin (special issue)*, № 50, 2000, 42.

²⁰ U. Kil Kelly, *The Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 5.

²¹ ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, *ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №1, 2002 წელი, 63.

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია იმის ალბათობა, რომ ევროპული კონვენციის დებულებებს განსხვავებულად განმარტავენ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან შეიძლება უფრო შეზღუდვითად განმარტოს ის უფლება, რომელიც ენიჭება პირს. ამის შედეგად პირი არ იქნება უზრუნველყოფილი უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპული კონვენციით.

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსის დადგენაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ კონვენცია არის არა სტატიკური, არამედ „ცოცხალი“ დოკუმენტი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტებისას, ევოლუციური (დინამიკური) განმარტებაა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენცია აღიარა „ცოცხალ“ დოკუმენტად, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დებულებები უნდა განიმარტოს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლისა და განვითარების კვალდაკვალ. განმარტების ამ პრინციპის თანახმად, კონვენციაში გამოყენებული კონცეფციები უნდა იქნეს გაგებული ევროპული საზოგადოების დღევანდელი ცნობიერებისა და განვითარების გათვალისწინებით და არა კონვენციის შემუშავების დროს, ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის წინ, არსებულის მიხედვით. დროთა განმავლობაში ევროპული საზოგადოების ცნობიერების შეცვლამ გავლენა მოახდინა საზოგადოების ღირებულებებზე, მათ შორის ზნეობის საკითხებზე და ამიტომაც ამ ცვლილებათა გათვალისწინებით უნდა განიმარტოს ევროპული კონვენციის დებულებები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის დინამიკური განმარტების საილუსტრაციოდ შეიძლება ევროპული სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტის მოშველიება.

საქმე *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 13 ივნისი, 1979, Series A no. 31 ეხებოდა ბელგიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთან შედარებით. ამ საქმეზე, ევროპული სასამართლოს განცხადებით, წინა საუკუნის 50-იან წლებში მრავალ ევროპულ სახელმწიფოში არსებული განსხვავება ქორწინების გარეშე და ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების სტატუსთან დაკავშირებით დასაშვები იყო, მაგრამ სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი უნდა განიმარტოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც გამოიხატა ამ საკითხზე სახელმწიფოთა კანონმდებლობაში ასახული შეცვლილი მიდგომებით. ევროპული სასამართლოს აზრით, 50-იანი წლების შემდეგ ევროპულ სახელმწიფოთა მიდგომა ქორწინების გარეშე და ქორწინების შედეგად დაბადებული

ბავშვების სტატუსთან დაკავშირებით შეიცვალა და დაადგინა, რომ ამჟამად ასეთი განსხვავება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლს.

საქმეზე დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), 22 ოქტომბერი, 1981, Series A no. 45, რომელიც ეხებოდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობას სრულწლოვან მამაკაცებს შორის, რაც გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, ამ კანონმდებლობის მიღების პერიოდთან შედარებით, ახლა ჰომოსექსუალიზმის საკითხის გაგება შეიცვალა მის მიმართ მზარდი შემწყნარებლობით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაში აღარ არის აუცილებელი და ადეკვატური, ასეთი აქტებისათვის გათვალისწინებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მან ასევე მიუთითა, რომ იგი ვერ უგულებელყოფს იმ უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს, რომლებიც განიცადა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ეროვნულმა კანონმდებლობამ ამ საკითხის მიმართ.²²

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ნათელს ჰფენს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლის დინამიკასა და იმ შინაარსს, რომლის საფუძველზეც დაცულია ადამიანის უფლებები.

ამ კონცეფციის მეშვეობით ევროპული სასამართლო აზუსტებს კონვენციით დაცული უფლებების შინაარსს, აფართოებს მათში ჩამოყალიბებულ გარანტიებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის ნორმების განმარტება იცვლება და ვითარდება დროთა განმავლობაში, საზოგადოების ცნობიერების განვითარებისა და ზნეობრივი ფასეულობების შეცვლასთან ერთად. ესა თუ ის მოქმედება, რომელიც 50-60-იან წლებში არ განიხილებოდა კონვენციის დარღვევად, 80-90-იან წლებში და, მითუმეტეს, ახლა შეიძლება ასეთად ჩაითვალოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ გარანტიების დასადგენად, რომლებიც დაცულია კონვენციით. ის ფაქტი, რომ კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითება ამა თუ იმ გარემოებაზე, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს კონვენციის კონკრეტული დებულება, არ ნიშნავს, რომ გამოირიცხება ამ გარემოებაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებისა და თავისუფლების გავრცელება. კონვენციით განმტკიცებული გარანტიების გამოყენების არეალი შეიძლება გაფართოვდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით და გამოყენებულ იქნეს ისეთი გარემოების მიმართ, რომელიც პირდაპირ არ არის მოხსენიებული ევროპულ კონვენციაში.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კონკრეტული მაგალითების მოყვანა. საქმეზე *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany)*, 6 სექტემბერი, 1978, § 41, Series A no. 28, რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენას, ადამიანის უფლებათა

²² მე-60 პარაგრაფი; ასევე იხ. *ნორისი ირლანდიის წინააღმდეგ (Norris v. Ireland)*, 26 ოქტომბერი, 1988, § 46, Series A no. 142.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ იცავს სატელეფონო საუბრების კონფიდენციალობას, ამ მუხლით განსაზღვრული ცნებები: „პირადი ცხოვრება“ და „მიმოწერა“ მოიცავს მას.

ასევე შეიძლება სხვა მაგალითის მოყვანა, რომელიც ნათელყოფს, კონვენციის დებულებებთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას კონკრეტული უფლების შინაარსის დასადგენად. საქმეზე – *ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany)*, 16 დეკემბერი, 1992, § 29-33, Series A no. 251-B, რომელიც ეხებოდა ბ-ნი მ. ნიმიტცის, პროფესიით ადვოკატის, პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას, – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის საადვოკატო ოფისის ჩხრეკამ დაარღვია მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საადვოკატო ოფისი, უფრო ზოგადად კი, მომჩივნის სამუშაო ადგილი, ექცევა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „საცხოვრებელი“, რომელიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, მოიცავს ადამიანის სამუშაო ადგილს და, შესაბამისად, იცავს პირს არამართლზომიერი ჩარევისაგან.

ამდენად, მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით, ეროვნულმა ორგანოებმა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ევროპული კონვენციის სტანდარტების დადგენა ძალზე რთულია მხოლოდ კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად. კონვენციაში შეიძლება საერთოდ არ იყოს მოხსენიებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც ვრცელდება კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას აძლევს სახელმწიფო ორგანოებს (ადმინისტრაციულ და სასამართლო), უკეთ ჩასწვდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებას საქართველოშიც დასჭირდება გარკვეული დრო. ცხადია, რაც უფრო ადრე დამკვიდრდება ამ სტანდარტების გამოყენების პრაქტიკა საქართველოში, მათ შორის ადმინისტრაციულ ორგანოებში, მით უფრო ადრე იქნება უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით, მათ შორის ისეთ უფლებასთან დაკავშირებით, როგორცაა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

3. მე-8 მუხლით დაცული სფერო

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულია ორი ტიპის უფლებები: უფლებები, რომლებსაც სახელმწიფო ვერ შეზღუდავს ვერცერთ სიტუაციაში, მათ შორის საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი (მაგ., სახელმწიფო ვერ დაუშვებს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, რაც აკრძალულია კონვენციის მე-3 მუხლით) და უფლებები, რომლებიც, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება მართლზომიერად შეზღუდოს.

საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღიარების შედეგია არა მხოლოდ ის, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ, დაიცვან თავიანთი უფლებები და თავისუფლებები კონვენციის საფუძველზე, არამედ ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების იმ კრიტერიუმებით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით.²³

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას, გარკვეულ შემთხვევებში მართლზომიერად შეზღუდოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. ძირითადად, ასეთი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია კონვენციის 8-11 მუხლებით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება),²⁴ რომლებიც განსაზღვრავენ ამ უფლებების შეზღუდვის პირობებს.

ეს მუხლები შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ანიჭებს პირებს ამა თუ იმ უფლებას (მაგ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), ხოლო მეორე ნაწილი ადგენს სახელმწიფოს მიერ ამ უფლების მართლზომიერი შეზღუდვის პირობებს.²⁵ იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა ჩაითვალოს მართლზომიერად, ხსენებული მუხლების შეზღუდვამ უნდა დააკმაყოფილოს სამი პირობა. კერძოდ, შეზღუდვა უნდა:

ა) იყოს კანონის შესაბამისად;

ბ) ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს (მაგ., ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვა), რომელიც პირდაპირ გათვალისწინებულია მე-8 მუხლით;

გ) იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

²³ U. Kilkelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 5.

²⁴ ისევე როგორც ზოგიერთი სხვა მუხლით, მაგ. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით.

²⁵ D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014, 503.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ პირობების საფუძველზე აფასებს, მართლზომიერია თუ არა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა. ზუსტად ამ პირობების საფუძველზე უნდა შეაფასონ სახელმწიფო ორგანოებმა (როგორც ადმინისტრაციულმა, ისე სასამართლომ) ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერება.

მიზანშეწონილია თითოეული პირობის უფრო დეტალური განხილვა იმ მეთოდოლოგიური თანამიმდევრობითა და წესით, რომელსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასებისას.

3.1. ექცევა თუ არა საკითხი მე-8 მუხლით დაცულ სფეროში?

ვიდრე შეფასდება, დააკმაყოფილა თუ არა სახელმწიფომ ის სამი პირობა, რომლებიც დადგენილია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, მანამდე სახელმწიფო ორგანოებმა, ევროპული სასამართლოს მსგავსად, პასუხი უნდა გასცენ კითხვას: ექცევა თუ არა საკითხი მე-8 მუხლით დაცულ სფეროში? სხვა სიტყვებით, სიტუაცია, რომლის გამოც პირი ამტკიცებს თავისი უფლების დარღვევას, დაცულია თუ არა მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესებით: „პირადი ცხოვრებით“, „ოჯახური ცხოვრებით“, „საცხოვრებლით“ ან „მიმოწერით“?

კითხვას, ექცევა თუ არა საკითხი მე-8 მუხლით დაცულ სფეროში (იცავს თუ არა მე-8 მუხლი სადავო საკითხს), აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმისათვის, რომ გადაწყდეს, უნდა შეფასდეს თუ არა სადავო საკითხი ხსენებული სამი პირობის საფუძველზე. ამ კითხვაზე პასუხის სწორად გაცემა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ, თუ სახელმწიფო ორგანომ მიიჩნია, სადავო უფლება არ არის დაცული კონვენციის მე-8 მუხლით, ამ უფლების შეზღუდვის მართლზომიერებას ეს ორგანო აღარ შეაფასებს ზემოაღნიშნული სამი პირობის საფუძველზე.²⁶

3.2. იყო თუ არა ჩარევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში?

თუ დადგინდა, რომ სადავო საკითხი ექცევა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში, ამის შემდეგ განიხილება, ადგილი ქონდა თუ არა ჩარევას მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. თუკი დადასტურდა ჩარევა, შემდეგ მოწმდება,

²⁶ U. Kilkelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 8.

დააკმაყოფილა თუ არა სახელმწიფომ ის სამი პირობა, რომელთა გამოც მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა.²⁷

მიზანშეწონილია თითოეული პირობის დეტალური განხილვა.

3.2.1. უფლების მართლზომიერი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი

როგორც აღინიშნა, მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს „კანონის შესაბამისად“, ანუ ხსენებულ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა უნდა იყოს ნორმატიულად განმტკიცებული. ტერმინი „კანონი“ უნდა განიმარტოს არა შეზღუდვითად, როგორც ნორმატიული აქტის ერთ-ერთი სახე, არამედ როგორც ნორმატიული აქტი ზოგადად.²⁸ საქმეში *ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ (Leyla Şahin v. Turkey)* [დიდი პალატა], no. 44774/98, § 88-98, ECHR 2005-XI²⁹, რომელიც ეხებოდა რელიგიური სამოსით სარგებლობის აკრძალვას უმაღლეს სასწავლებელში, – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „კანონი“ მოიცავს კონსტიტუციას და ცალკეული უნივერსიტეტის რეგულაციას, ისევე როგორც კანონმდებლობას.

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვის მართლზომიერების შეფასებისას სახელმწიფო ორგანომ უნდა დაადგინოს, ითვალისწინებს თუ არა ქვეყნის კანონი ან, ზოგადად, კანონმდებლობა ამ უფლების შეზღუდვას, ანუ დაშვებულია თუ არა ამ უფლების შეზღუდვა კანონმდებლობით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთხელ განაცხადა, რომ „კანონმა“ უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები. საქმეზე *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. the United Kingdom)* (№1), №6538/74, 49-ე პარაგრაფი, 26 აპრილი, 1979 წელი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ფორმულირებიდან – „გათვალისწინებულია კანონით“³⁰ – გამომდინარეობს ორი მოთხოვნა, კერძოდ:

„პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი: მოქალაქეებს, გარემოების მიხედვით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაერკვნენ, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში; მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი

²⁷ იქვე, 9.

²⁸ ევროპულმა სასამართლომ „კანონად“ ასევე მიიჩნია საერთაშორისო სამართლის ნორმა. იხ. *გროპერა რადიო AG და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Groppera Radio AG and Others v. Switzerland)*, 28 მარტი, 1990, § 68, Series A no. 173; ასევე იხ. *სლივენკო ლატვიის წინააღმდეგ (Slivenko v. Latvia)* [დიდი პალატა], № 48321/99, § 104-109, ECHR 2003-X ;

²⁹ გადაწყვეტილება ასევე ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-100216>

³⁰ ევროპულმა სასამართლომ ნათელიყო, რომ ფორმულირებები: „კანონის შესაბამისად“ (მე-8 მუხლი) და „გათვალისწინებულია კანონით“ (მე-9, მე-10 და მე-11 მუხლები) ერთი და იმავე იურიდიული დატვირთვის მქონეა.

მოქმედება: ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში, განჭვრიტოს ის შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“

ამ საქმეში სასამართლომ, მართალია, მიუთითა, რომ არ არის საჭირო, მოქმედების შედეგები განიჭვრიტოს აბსოლუტური სიცხადით, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ნათელი მოჰფინა ნორმის სიცხადის აუცილებლობის მოთხოვნას. ევროპული კონვენციით, კანონი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საკმარისი სიცხადით ფორმულირებული. კონკრეტული უფლების შეზღუდვა და მისი ფარგლები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით.

შესაბამისად, ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი: ა) უნდა იყოს ხელმისაწვდომი პირისათვის, რათა მას ჰქონდეს წარმოდგენა, თუ რა სამართლებრივი ნორმები გამოიყენება ასეთ გარემოებაში და ბ) უნდა იყოს საკმარისი სიცხადით ფორმულირებული, რათა პირს ჰქონდეს თავისი მოქმედების რეგულირების შესაძლებლობა. კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გონივრულობის ფარგლებში განჭვრიტოს ის შედეგები, რომლებიც მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.

საქმეზე *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany)*, 6 სექტემბერი, 1978, § 43, Series A no. 28, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის საიდუმლო სატელეფონო მოსმენას, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლების შეზღუდვისათვის საკმარისი არ არის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, არამედ აუცილებელია, კანონმდებლობამ კონკრეტულად გაითვალისწინოს უფლების შეზღუდვის პირობები და პროცედურები. საქმის *მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Malone v. the United Kingdom)*, 2 აგვისტო, 1984 წ., Series A no. 82, რომელიც ასევე სატელეფონო მოსმენას ეხებოდა, – განხილვისას ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა ტერმინ „კანონის“ მნიშვნელობა. მან მიუთითა, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ობიექტიდან და მიზნიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში უნდა არსებობდეს საჯარო ხელისუფლების მიერ კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვისაგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმი. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანონში საკმარისი სიცხადით უნდა მიეთითოს მოსმენის განმახორციელებელ ორგანოთა დისკრეციული უფლებამოსილება მოსმენის განხორციელების ფარგლებსა და მის მეთოდებზე, რათა პირი, რომლის მიმართ ხორციელდება ასეთი მოსმენა, დაცული იყოს თავისი უფლების არამართლზომიერი შეზღუდვისაგან. იმის გამო, რომ ინგლისისა და უელსის კანონი ბუნდოვანი იყო (განსაკუთრებით, იმასთან დაკავშირებით, თუ სად იყო ზღვარი იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სამართლებრივი ნორმებით რეგულირდებოდა და რომლებიც შესაბამის ორგანოებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეეძლოთ განეხორციელებინათ), ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციის ეს მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან კანონი არ იყო საკმარისად ნათელი, რის გამოც იგი ვერ უზრუნველყოფდა

პირის უფლებების დაცვის მინიმალურ მოთხოვნას.³¹ ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა: განჭვრეტის მოთხოვნის არსებობა არ ნიშნავს, რომ პირმა უნდა შეძლოს იმის განჭვრეტა, სავარაუდოდ, როდის განახორციელებენ შესაბამისი ორგანოები მის მოსმენას, რაც ამ პირს ადეკვატური მოქმედების საშუალებას მისცემს.³²

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ღონისძიებები ტარდება საიდუმლოდ, დიდია არამართლზომიერი მოქმედების რისკი.³³

საქმეში *კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Kruslin v. France)*, 24 აპრილი, 1990, §33, Series A no. 176-A სატელეფონო მოსმენასთან დაკავშირებით საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი ევროპულმა სასამართლომ არასაკმარისად კონკრეტულად ჩათვალა, რადგან კანონი არ უთითებდა, თუ რა ფარგლებსა და პირობებში ტარდება ასეთი ღონისძიებები, მათ შორის, ვის მიმართ შეიძლება განხორციელებულიყო სატელეფონო მოსმენა და რა დროის განმავლობაში. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სატელეფონო საუბრების მოსმენა პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ჩარევაა და, შესაბამისად, უნდა ემყარებოდეს კანონს, რომელიც განსაკუთრებით დეტალურია.

ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის პირველი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, კანონი იყოს როგორც ხელმისაწვდომი, ისე საკმარისად ნათელი, რათა გარკვეული იყოს, როდის და როგორ შეიძლება სახელმწიფომ შეზღუდოს პირის უფლება.

3.2.2. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი

თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით, ის უნდა შეუდგეს მსჯელობას, დააკმაყოფილა თუ არა სახელმწიფომ მეორე პირობა, კერძოდ, ისახავს თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კანონიერ მიზანს?

როგორც აღინიშნა, ასეთ მიზანს განეკუთვნება: ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

³¹ 79-ე პარაგრაფი .

³² 67-ე პარაგრაფი .

³³ 1984 წლის 2 აგვისტო, 67-ე პარაგრაფი .

მიზნების ჩამონათვალი, რომელთა მისაღწევად შეიძლება შეიზღუდოს კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, ამომწურავია. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკრძალება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი უფლების შეზღუდვა სხვა მიზნებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კონვენციით. ამ მუხლით განმტკიცებულ უფლებათა შეზღუდვა სხვა მიზნებით პირდაპირ ეკრძალება ევროპული კონვენციის მე-18 მუხლით.

კანონიერი მიზნის მისაღწევად კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებულ უფლებათა შეზღუდვის საილუსტრაციოდ შეიძლება მაგალითების მოშველიება. ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დაყრდნობით, სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის შეზღუდვასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany)*, 6 სექტემბერი, 1978, Series A no. 28, რომელშიც მომჩივანი საიდუმლო თვალთვალს მიიჩნევდა მის პირად ცხოვრებაში ჩარევად. სასამართლომ დაადგინა, რომ ჯაშუშობისა და ტერორიზმის ფორმების მაღალი განვითარების გამო, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას, ასეთი საფრთხის მოსაგერიებლად მიმართული საიდუმლო თვალთვალი აკმაყოფილებს კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქმეში *ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (Funke v. France)*, 25 თებერვალი, 1993, Series A no. 256-A კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე ევროპული სასამართლო იხილავდა განაცხადს მომჩივნის საცხოვრებლის ჩხრეკასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვია საფრანგეთის კანონმდებლობის საწინააღმდეგო მისმა ფინანსურმა საქმიანობამ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებს – და, შესაბამისად, ასეთი ჩარევა გამართლებული იყო.

გ) უფლების შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერებისათვის დაწესებულია ასევე მესამე პირობა, რომლის თანახმად, შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

უფლების შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოწვეულია მწვავე (გადაუდებელი) საზოგადოებრივი საჭიროებით (*pressing social need*). მართლზომიერია თუ არა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, ფასდება პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გატარებული

ღონისძიება, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა შეზღუდვისაკენ, მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული უნდა იყოს.

საქმეზე *სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Silver and Others v. the United Kingdom)*, 25 მარტი, 1983, §97, Series A no. 61³⁴ ევროპულმა სასამართლომ საკმაოდ დეტალურად განმარტა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნის შინაარსი, რომ შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ განაცხადა:

„ა) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“ არ არის სიტყვა „გარდაუვალის“ სინონიმი, თუმცა მას არც ისეთ ტერმინთა მოქნილობა ახასიათებს, როგორებიცაა: „დასაშვები“, „ჩვეულებრივი“, „სასარგებლო“, „მიზანშეწონილი“ ან „სასურველი“;

ბ) ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული, მაგრამ არა უსაზღვრო, შეფასების ფარგლები შეზღუდვის დაწესებისას. საბოლოოდ, სასამართლო თავად ადგენს, შეესაბამება თუ არა ეს შეზღუდვები კონვენციას;

გ) ფრაზა – „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – ნიშნავს, რომ იმისათვის, რათა ჩარევა შეესაბამებოდეს კონვენციას, ის უნდა შეესატყვისოს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და უნდა იყოს იმ კანონიერი მიზნის პროპორციული, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება;

დ) კონვენციის მუხლების ის პუნქტები, რომლებიც გარანტირებული უფლებებიდან გამონაკლისს ითვალისწინებს, შეზღუდვითად უნდა განიმარტოს.“³⁵

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ, მართალია, სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული თავისუფლება, მაგრამ არის თუ არა უფლების შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული – სახელმწიფოს ასეთი შეფასება ექვემდებარება კონტროლს ევროპული სასამართლოს მხრიდან.³⁶ ევროპული სასამართლო ამოწმებს, დააკმაყოფილა თუ არა უფლების შეზღუდვამ კონვენციის მოთხოვნები, მათ შორის: გამომდინარეობს თუ არა უფლებათა შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან და არის თუ არა ის კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი კანონიერი მიზნის პროპორციული. სხვა სიტყვებით, ევროპული სასამართლო იხილავს, გამართლებულია თუ არა სახელმწიფოს დაყრდნობა კონვენციის იმ დებულებაზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას.

უფლებათა შეზღუდვის პროპორციულობის საკითხმა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დაამკვიდრა პრინციპი, რომლის მიხედვით, სახელმწიფოებს აქვთ „თავისუფალი შეფასების ფარგლები“ (*margin of appreciation*). კერძოდ, სახელმწიფოს აქვს შეფასების გარკვეული თავისუფლება ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მიზანშეწონილობაზე. ამ პრინციპთან დაკავშირებით,

³⁴ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ასევე ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-94485>

³⁵ ასევე იხ. *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 7 დეკემბერი, 1976, § 48, Series A no. 24.

³⁶ *დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. the United Kingdom)*, 1981 წლის 22 ოქტომბერი, 52-ე პარაგრაფი ; *სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Silver v. the United Kingdom)*, 1983 წლის 25 მარტი, 97-ე პარაგრაფი.

საქმეზე *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 7 დეკემბერი, 1976, § 48, Series A no. 24 ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

„თავიანთი ქვეყნების სასიცოცხლო საწყისებთან უშუალო და მუდმივი კონტაქტის გამო, სახელმწიფო ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოხატოს თავისი პოზიცია ამ მოთხოვნათა ზუსტი შინაარსის შესახებ, ისევე როგორც მათი დაკმაყოფილებისათვის „შეზღუდვის“, „აუცილებლობის“ ან „სასჯელის“ შესახებ.“

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს უტოვებს „თავისუფალი შეფასების ფარგლებს“, ანუ გარკვეულ თავისუფლებას იმის შესაფასებლად, აუცილებელია თუ არა ადამიანის კონკრეტული უფლების შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში.³⁷

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მართლზომიერი შეზღუდვის მესამე პირობასთან დაკავშირებით შეიძლება ერთ-ერთი საქმის მოშველიება. საქმეში *დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. the United Kingdom)*, 22 ოქტომბერი, 1981, Series A no. 45 ევროპულმა სასამართლომ განიხილა ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის ჩრდილოეთი ირლანდიის კანონმდებლობით იმ დროისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც, მომჩივნის აზრით, არღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჰომოსექსუალიზმის აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად და, შესაბამისად, გაერთიანებულ სამეფოს შეეძლო კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლების მართლზომიერი შეზღუდვა. მოპასუხე მთავრობა დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ჩრდილოეთი ირლანდიის საზოგადოება კონსერვატიულია მორალის საკითხებში, რის გამოც, მისი აზრით, ჰომოსექსუალური ურთიერთობის აკრძალვა გამართლებული იყო.

მართალია, ევროპული სასამართლო დაეთანხმა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის შეხედულებას, რომ ჩრდილოეთი ირლანდიის საზოგადოება კონსერვატიულია მორალის საკითხებში, მაგრამ მან არ გაიზიარა მისი მტკიცება, რომ ჰომოსექსუალიზმისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის არსებობა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარეობდა და, შესაბამისად, ასეთი სასჯელის არსებობა ჯანმრთელობისა და მორალის დაცვის მიზნის პროპორციული იყო. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთი ირლანდიის კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის, ეწინააღმდეგება

³⁷ საყურადღებოა, რომ, შეფასების ფარგლებთან დაკავშირებით, სასამართლომ ამ „ფარგლების“ საზღვრებზეც მიუთითა, რაც განსხვავებულია ცალკეულ საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ზოგიერთი საქმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს აქვს არა მხოლოდ „თავისუფალი შეფასების ფარგლები“, არამედ „თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები“. მაგ. იხ. *პაუელი და რეინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powel and Rayner v. the United Kingdom)*, 1990 წლის 21 თებერვალი, 44-ე პარაგრაფი .

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

„თავისუფალი შეფასების ფარგლებთან“ დაკავშირებით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული თავისუფლება, დაადგინონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ისეთი შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის ტრადიციებისა და კულტურული თავისებურებების გამო. ევროპული სასამართლო იმის შეფასებისას, უზრუნველყო თუ არა შესაბამისმა სახელმწიფომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, მხედველობაში იღებს ამ თავისებურებებს.³⁸

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეფასებისას, დასაშვებია თუ არა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა, ითვალისწინებს თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინას. ევროპულმა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ სახელმწიფოს აქვს თავისუფალი შეფასების ფარგლები, რის გამოც მის მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა არ სცილდება დასაშვებ ფარგლებს, სხვა სიტყვებით კი, შეზღუდვა კონვენციით გათვალისწინებული კანონიერი მიზნის პროპორციულია.

სახელმწიფო ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ამ დოქტრინის სპეციფიკა, კერძოდ კი ის, რომ დოქტრინა ჩამოყალიბდა ევროპული სასამართლოს მიერ, რათა მან გაითვალისწინოს განსხვავებანი ევროპულ სახელმწიფოებს შორის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის დასაშვებობის შეფასებისას. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ კონვენციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა ერთ სახელმწიფოში შეიძლება მიიჩნიოს დაუშვებლად, ხოლო იმავე უფლების შეზღუდვა მეორე სახელმწიფოში შეიძლება დასაშვებად ჩათვალოს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელში ასეთი შეზღუდვის დაწესება მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარეობდა და, შესაბამისად, გამართლებული იყო.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას ასევე მხედველობაში უნდა მიიღონ ამ დოქტრინის არსი. თუ თავისი პრეცედენტული სამართლით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული უფლების შეზღუდვა დასაშვებია სხვა სახელმწიფოში, რადგან იგი გამომდინარეობს ამ ქვეყანაში მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან, საქართველოს ადმინისტრაციულმა ან სასამართლო ორგანომ ავტომატურად არ უნდა ჩათვალოს, რომ მსგავს გარემოებაში კონვენციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა საქართველოშიც დასაშვებია. საქართველოში შეიძლება არ არსებობდეს ამ უფლების შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება და, შესაბამისად, ამ უფლების შეზღუდვა გაუმართლებლად და დაუშვებლად უნდა ჩათვალოს საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ.

დაკვნის სახით უნდა აღინიშნოს: თუ სახელმწიფო ორგანომ დაადგინა, რომ სადავო საკითხი ექცევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში და მოხდა ამ მუხლით

³⁸ მაგ., იხ.: *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 7 დეკემბერი, 1976, § 48, Series A no. 24; *დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. the United Kingdom)*, 22 ოქტომბერი, 1981, Series A no. 45.

დაცულ სფეროში ჩარევა პირადი და ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის მართლზომიერების დასადგენად, მან უნდა გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს: ა) ითვალისწინებს თუ არა ქვეყნის კანონმდებლობა ამ შეზღუდვას? ბ) გათვალისწინებულია თუ არა ამ მუხლის მეორე პუნქტით ის კანონიერი მიზნები (მაგ.: ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვა), რომელთა გამოც იზღუდება ადამიანის უფლებები? და გ) განპირობებულია თუ არა ეს შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით?

ჩამოთვლილ ყველა კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაიცეს, რათა მართლზომიერად ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა შეზღუდვა. ამ სამი პირობის საფუძველზე შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება დაადგინოს, რომ, მართალია, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიზღუდა, მაგრამ ასეთი შეზღუდვა აკმაყოფილებს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ პირობებს და, შესაბამისად, მართლზომიერია, რის გამოც ის არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.³⁹ სახელმწიფო ორგანომ ასევე შეიძლება დაადგინოს, რომ, მართალია, კონვენციის მე-8 მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს სადავო უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, სახელმწიფომ კონკრეტულ შემთხვევაში არ დააკმაყოფილა სადავო უფლების შეზღუდვისათვის დაწესებული პირობები, რის გამოც ასეთი შეზღუდვა ვერ ჩაითვლება მართლზომიერად. ამ შემთხვევაში დადგინდება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამი პირობა, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო ორგანომ უნდა შეამოწმოს ადამიანის უფლების შეზღუდვის მართლზომიერება, საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხო არ არის. საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული დებულებები ადგენენ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის ანალოგიურ სამ პირობას.⁴⁰

4. პირადი ცხოვრება

არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ტექსტი და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამომწურავად არ განსაზღვრავს პირად ცხოვრებას.⁴¹ საქმეზე *კოსტელო-რობერტსი*

³⁹ D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 532.

⁴⁰ იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴¹ D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 524.

გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. the United Kingdom*), 25 მარტი 1993, § 36, Series A no. 247-C, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც „არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას.“ საქმეზე *ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany)*, 16 დეკემბერი, 1992, § 29, Series A no. 251-B ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ადამიანი შეიძლება მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოიშველია „პირადი ავტონომია“, როგორც კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების განმარტების მნიშვნელოვანი პრინციპი. მან მიუთითა, რომ მე-8 მუხლით დაცულია თითოეული ადამიანის პირადი სფერო, მისი, როგორც ინდივიდუალური ადამიანის, იდენტურობის დეტალების დადგენის უფლების ჩათვლით.⁴²

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამომწურავად არ განმარტა პირადი ცხოვრების კონცეფცია, სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა იმ საკითხების ნაწილს, რომლებიც განეკუთვნება პირად ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, კვლევაში ყურადღება გამახვილდება მათზე.

4.1. პატივი და ღირსება

ადამიანის პატივი და ღირსება პირადი ცხოვრების უფლებით დაცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიკეთეა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებით განხილული საქმეები, ძირითადად, ეხება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, როდესაც კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირების გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობამ შეიძლება შელახოს ადამიანთა პატივი და ღირსება. ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება მიჩნეულია დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედად, იმ საქმეებში, რომლებშიც წინააღმდეგობაში მოდის, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლება და, მეორე მხრივ, პატივისა და ღირსების დაცვა, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოები, მათ

⁴² იხ. *კრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Christine Goodwin v. the United Kingdom)*, [დიდი პალატა], № 28957/95, § 90, ECHR 2002-VI.

შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

ა) რამდენად ეხება კონკრეტული გამონათქვამი, ფილმი, სტატია, სიუჟეტი და სხვ. საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესი არ გულისხმობს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ინტერესს, ჰქონდეს ინფორმაცია სხვა, თუნდაც ცნობილი, პირის პირადი ცხოვრების შესახებ, არამედ გულისხმობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, კორუფციასთან ბრძოლა, ჯანმრთელი გარემო, სამართლის უზენაესობა, მართლმსაჯულება, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, საჯარო ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა მოქალაქეთათვის, ეფექტიანი მმართველობა, პასუხისმგებლობა და სხვ.;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილი მიადგა პატივსა და ღირსებას, რა კონტექსტში მოხდა ეს – ეხებოდა თუ არა გამონათქვამები ადამიანის საჯარო საქმიანობას, ეს ეხებოდა ფაქტს, თუ იყო შეფასებითი მსჯელობა, რა სახის ქმედებამ და რა ფორმით მოახდინა პირის პატივის ან ღირსების შელახვა და სხვ.;

გ) რამდენად იყო პირის მიმართ გამოთქმული გამონათქვამები ან სიუჟეტი გამოწვეული თავად ამ პირის ქმედებით;

დ) მართლმსაჯულების ეროვნულმა ორგანოებმა რამდენად პროპორციულად დაადგინეს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და პატივისა და ღირსების დაცვას შორის.

საქმის *რუოკანენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* (Ruokanen and Others v. Finland), № 45130/06, 6 აპრილი, 2010 წ., განხილვის შედეგად ფინეთის ეროვნულმა სასამართლოებმა ჟურნალისტსა და გაზეთის რედაქტორს დააკისრეს ჯარიმა 80 ათასი ევროს ოდენობით მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიის გამო, რომლის თანახმად, 2000 წლის სექტემბერში ბეისბოლში ფინეთის ჩემპიონმა გუნდმა გამართა წვეულება ჩემპიონობის აღსანიშნავად. ამ წვეულებაზე მიიპატიჟეს სტუდენტი გოგონა და მისი რამდენიმე მეგობარი. წვეულების დროს ბეისბოლის გუნდის კაპიტანმა, რომელსაც გუნდის სხვა წევრებიც ეხმარებოდნენ, გააუპატიურა ერთ-ერთი მათგანი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად განაზოგადეს ამ საქმის ფაქტები და ვინაიდან: ა) ჟურნალისტს არ ჰქონდა პირველწყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია ფაქტის ნამდვილობის შესახებ, და ბ) სულ მცირე, სამართალდამცველი ორგანოებიდან არ იყო გამოთხოვილი ინფორმაცია იმის თაობაზე, წარადგინა თუ არა სავარაუდო მსხვერპლმა საჩივარი გაუპატიურების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, ასეთი სტატიის გამოქვეყნება, რომელიც ლახავდა ბეისბოლის გუნდის კაპიტნისა და მისი წევრების პატივსა და ღირსებას, საჭიროებდა მათი პატივისა და ღირსების დაცვას ეროვნული სასამართლოების მიერ. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ჟურნალისტს არ დაურღვევია გამოხატვის თავისუფლების უფლება და ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად მოახდინეს ბეისბოლის გუნდის კაპიტნისა და წევრების პატივისა და ღირსების დაცვა.

საქმეზე *აქსელ სპრინგერი AG გერმანიის წინააღმდეგ (Axel Springer AG v. Germany)* [დიდი პალატა], №39954/08, 7 თებერვალი, 2012 წ., ყოველდღიურმა გაზეთმა 2004 წელს პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სტატია ცნობილ და პოპულარულ სატელევიზიო სერიალში მონაწილე მსახიობის შესახებ, რომელიც პოლიციამ დააკავა მიუნხენში, ლუდის ფესტივალზე, კოკაინის ფლობისა და მოხმარების გამო. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მსახიობმა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თხოვნით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და მოითხოვა ამ სტატიის შემდგომი გამოქვეყნების აკრძალვა, რადგან ის ლახავდა მის პატივსა და ღირსებას. ეროვნულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მსახიობის მოთხოვნა, თუმცა ეს გადაწყვეტილება გასაჩივრა გაზეთმა და განაცხადა, რომ მას ჰქონდა უფლება, საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია მსახიობის დაკავებისა და მსჯავრდების შესახებ.

რუოკანენის საქმისაგან განსხვავებით, ევროპულმა სასამართლომ წინამდებარე საქმეში მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მინიჭებოდა გამოხატვის თავისუფლებას და ეროვნულმა სასამართლოებმა არაპროპორციულად მაღალი მნიშვნელობა მიანიჭეს მსახიობის პატივისა და ღირსების დაცვას ჟურნალისტის გამოხატვის უფლებასთან მიმართებით. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ გამოქვეყნებული სტატიები, ძირითადად, ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ფაქტებს, რაც ყოველთვის ინტერესის საგანია საზოგადოებაში. მსახიობი საკმაოდ ცნობილი იყო იმისათვის, რომ ჩათვლილიყო საჯარო ფიგურად, მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ყოველთვის ააშკარავებდა პირადი ცხოვრების დეტალებს ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში და, შესაბამისად, მას უნდა ჰქონოდა სამართლიანი მოლოდინი, რომ მისი პირადი ცხოვრების დეტალები ნაკლები დაცვით ისარგებლებდა. უმთავრესი ფაქტორი, რომელსაც სასამართლომ გაუსვა ხაზი, იყო ის, რომ სტატია ააშკარავებდა არა მსახიობის პირადი ცხოვრების დეტალებს, არამედ აღწერდა მისი დაკავებისა და სისხლის სამართალწარმოების შედეგად განხორციელებულ პროცედურებს.

საქმეზე *ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლორანი და ჟული საფრანგეთის წინააღმდეგ (Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France)* [დიდი პალატა], №21279/02 და №36448/02, ECHR 2007-IV⁴³ მომჩივანი იყო მწერალი, ბ-ნი ლინდონი, რომელმაც დაწერა რომანი სათაურით – *Le Procès de Jean-Marie Le Pen (ჟან-მარი ლე პენის პროცესი)*. იგი ეხებოდა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს. რომანში ღიად იყო დასმული „ფრონტ ნასიონალისა“ და მისი ლიდერის, ლე პენის პასუხისმგებლობის საკითხი საფრანგეთში რასიზმის ზრდასა და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

„ფრონტ ნასიონალისა“ და ბატონი ლე პენის მიერ ინიცირებული სამართალწარმოების შედეგად ბ-ნი ოჩაკოვსკი-ლორანს პასუხისმგებლობა დაეკისრა ცილისწამებისათვის, ხოლო ბატონ ლინდონს ამ სამართალდარღვევაში

⁴³ საქმის მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-120994>

თანამონაწილეობისათვის. ორივე დაჯარიმდა, დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება ერთობლივად და დაევაღათ სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. ეროვნულმა სასამართლომ რომანის ოთხი ნაწყვეტი მიიჩნია ცილისმწამებლურად, მიუთითა, რომ მომჩივნებისთვის მიწერილი დანაშაული გამოგონილი იყო და ავტორმა დაამახინჯა ფაქტები ბატონი ლე პენისა და მისი პარტიის მიმართ მკითხველთა მტრული დამოკიდებულების გასაძლიერებლად.

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში უპირატესობა მიანიჭა პატივისა და ღირსების დაცვას და განაცხადა, რომ რომანის შეურაცხმყოფელი შინაარსი და ცილისმწამებლური მინიშნებები საზოგადოებაზე პოტენციური გავლენის მოსახდენად, რაც მაღალტირაჟიანი ეროვნული ყოველდღიური გაზეთის მეშვეობით მოხდა, იძლეოდა საკმარის საფუძველს, პატივისა და ღირსების დაცვის მოტივით ჯეროვნად შეზღუდულიყო გამოხატვის თავისუფლება. ამავდროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ აუცილებელი არ იყო რომანის ამონარიდების ხელახლა გამოქვეყნება, ხოლო ეროვნული სასამართლოების მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობა მოკრძალებული და პროპორციული იყო.

საქმეთა ოჯალა და ეტიკენო ოი ფინეთის წინააღმდეგ (*Ojala and Etukeno Oy v. Finland*), № 69939/10, 14 იანვარი, 2014 წ. და რუუსუნენი ფინეთის წინააღმდეგ (*Ruusunen v. Finland*), № 73579/10, 14 იანვარი, 2014 წ. მიხედვით, ჟურნალისტმა გამოსცა ფინეთის ყოფილი პრემიერმინისტრის ყოფილი შეყვარებულის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც აღწერდა პრემიერთან ურთიერთობის ცხრათვიან პერიოდს. ნაწარმოები აღწერდა როგორც ზოგადად მათ ურთიერთობებს, ისე ინტიმური თანაცხოვრების დეტალებს. ამის გამო ფინეთის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო ფინეთის სასამართლომ მსჯავრი დასდო ჟურნალისტს ფინეთის ყოფილი პრემიერმინისტრის პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურებაში.

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა გამოხატვის თავისუფლების დარღვევა და მიიჩნია, რომ ფინეთის ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად დაიცვეს ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის პატივი და ღირსება. მართალია, ყოფილი პრემიერმინისტრი იყო საჯარო ფიგურა და პარტიის ლიდერი და მის მიერ პრემიერმინისტრობის პერიოდში განხორციელებული საქმიანობა და ურთიერთობები იყო საჯარო დებატების საგანი, მაგრამ ავტობიოგრაფიული წიგნის ზოგიერთი მონაკვეთი ლახავდა მის პატივსა და ღირსებას. სწორედ ამ მხრივ ფინეთის ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს ბალანსი და მიუთითეს, რომ, ერთი მხრივ, პრემიერმინისტრობის დროს განხორციელებული საქმიანობა და, თუნდაც, პირადი ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო საჯარო დებატების საგანი, თუმცა, მეორე მხრივ, წიგნის გარკვეული მონაკვეთები, რომლებიც ეხებოდა ინტიმურ სფეროს, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო საჯარო ინტერესის ობიექტად. შესაბამისად, დაკისრებული შედარებით მცირე მნიშვნელობის სანქცია არ იყო არაპროპორციული და ემსახურებოდა ყოფილი პრემიერმინისტრის პატივისა და ღირსების დაცვის ინტერესებს.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ტამერი ესტონეთის წინააღმდეგ (Tammer v. Estonia)*, № 41205/98, ECHR 2001-I, რომელშიც მომჩივანმა გამოაქვეყნა ქ-ნი ლაანარუს, ესტონეთის ყოფილი შინაგან საქმეთა და პრემიერმინისტრის ყოფილი მეგობარი ქალბატონის, ავტობიოგრაფიული ნაწარმოების მონაკვეთები (რომლებსაც ქ-ნი ლაანარუს მას მოუყვა, როდესაც ერთობლივად აპირებდნენ ნაწარმოების გამოცემას, თუმცა მოგვიანებით ვერ შეთანხმდნენ საავტორო უფლებაზე), მოიხსენია იგი სხვისი ოჯახის დამანგრეველ ადამიანად და უპასუხისმგებლო დედად. ეროვნულმა სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ ამ შემთხვევაში მომჩივნის მიერ გამოყენებული ტერმინები ექცეოდა პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში და ბლალავდა ქ-ნი ლაანარუს პატივისა და ღირსებას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ეს კონკრეტული ტერმინები და განცხადებები არ ეხებოდა საჯარო ინტერესის საგანს და, შესაბამისად, მომჩივნის მსჯავრდება შეურაცხყოფისათვის არ იყო მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *გამომცემლობა პლონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Editions Plon v. France)*, №58148/00, ECHR 2004-IV, განსაკუთრებით საინტერესოა. ის ეხებოდა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას მისი ყოფილი ექიმის მიერ. ამის გამო საფრანგეთის ეროვნულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო ჟურნალისტს სხვისი პატივისა და ღირსების შელახვაში და განსაკუთრებული ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნებაში. მართალია, ეროვნულ და ევროპულ სასამართლოებში სამართალწარმოების დროს ბ-ნი მიტერანი უკვე გარდაცვლილი იყო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გამოხატვის უფლების დროებითი შეზღუდვა ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს და ემსახურებოდა „ყოფილი პრეზიდენტის პატივის, რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების დაცვას“. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნული სასამართლოების მიერ ოჯახის წევრების მიჩნევა უფლებამოსილ სუბიექტებად, რათა მათ ედავათ გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებით, არ იყო არაგონივრული ან თვითნებური.⁴⁴

სასამართლომ დაადგინა, რომ პუბლიკაციის დროებითი შეზღუდვა პირველ ეტაპზე იყო ლეგიტიმური, რადგან პუბლიკაციის დროებით გამოქვეყნების აკრძალვა გამოტანილ იქნა მიტერანის გარდაცვალებიდან 10 დღის შემდეგ, როდესაც გამოქვეყნებას შეეძლო, მხოლოდ გაემწვავებინა პრეზიდენტის მემკვიდრეთა მწუხარება მისი გარდაცვალების გამო.⁴⁵ ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია პროპორციულად ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნების სამუდამო აკრძალვა.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, დროის გასვლის შემდეგ პრეზიდენტ მიტერანის პრეზიდენტობის ორი ვადის ისტორიის განხილვის მიმართ საზოგადოებრივმა ინტერესმა გადაწონა ყოფილი და იმ დროისათვის უკვე კარგა ხნის

⁴⁴ 34-ე პარაგრაფი.

⁴⁵ 47-ე პარაგრაფი.

გარდაცვლილი პრეზიდენტის სამედიცინო კონფიდენციალობის დაცვის ინტერესები“.⁴⁶

საქმის მეჯლის ისლამსკე ზაჯედნიცე ბრსკო და სხვები ბოსნია და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (*Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina*) [დიდი პალატა], № 17224/11, 27 ივნისი, 2017 წ.,⁴⁷ მომჩივნებმა წერილით მიმართეს ბოსნია და ჰერცეგოვინის ხელისუფლებას, რომ მოქალაქე M.S. არ დანიშნულიყო საჯარო რადიოსადგურის დირექტორად. არასამთავრობო ორგანიზაციების წერილში აღნიშნული იყო, რომ ქალბატონი M.S. ახდენდა გარკვეული პირების დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით და არ სცემდა პატივს სახელმწიფო ინსტიტუტებს, რაც გამოიხატა რადიოს შენობაში ბოსნია და ჰერცეგოვინის გერბის ნაცვლად, სრპსკის რესპუბლიკის გერბის გამოფენით. ეს წერილი გამოაქვეყნა რამდენიმე გაზეთმა, რის შედეგად ქ-მა M.S-მა სარჩელი შეიტანა საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა კომპენსაცია მის წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისათვის.

საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში წარმოებული პროცესების შედეგად მომჩივნებს დაევალებათ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა.

ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: ის მოწმეები, რომლებიც ეროვნულმა სასამართლოებმა დაკითხეს, ადასტურებდნენ ფაქტს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მოიქცნენ დაუდევრად და არ გადაამოწმეს შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც შემდგომში ზიანის მომტანი აღმოჩნდა ქ-ნი M.S-ისთვის. აქედან გამომდინარე, ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ გაამართლა ხელისუფლების ეროვნული ორგანოების ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო ქ-ნი M.S-ის რეპუტაციის დაცვისაკენ. დიდი პალატაც დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღწეულ ბალანსს მომჩივნების სიტყვის თავისუფლებასა და რედაქტორის რეპუტაციის დაცვის ინტერესს შორის და შესაბამისად დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას არ ქონდა ადგილი.

საქმეზე აღმეიდა ლეიტაო ბენტო ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (*Almeida Leitão Bento Fernandes v. Portugal*), № 25790/11, 12 მარტი, 2015 წ., მომჩივანი იყო წიგნის ავტორი (*The Palace of Files*), რომელიც ამ უკანასკნელმა ფსევდონიმით გამოაქვეყნა. წიგნის დასაწყისში ავტორი მადლობას უხდოდა ყველა იმ პირს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მის სურვილზე, დაეწერა წიგნი, თუმცა აღნიშნა, რომ წიგნის შინაარსი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო და რაიმე დამთხვევა ვინმეს ცხოვრებასთან უბრალო შემთხვევითობა იქნებოდა. წიგნში მოთხრობილი ისტორიის მიხედვით, პერსონაჟებიდან ერთ-ერთი თავს ირჩენდა პროსტიტუციით და მოგვიანებით შიდსის ვირუსით გარდაიცვალა. წიგნის მეორე პერსონაჟი მზად იყო, მოეკლა მამა მემკვიდრეობის მისაღებად

⁴⁶ 53-ე პარაგრაფი .

⁴⁷ დიდი პალატის გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-178117>

წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ქ-ნ ალმეიდას ქმრის ბიძამ, დედამ, დამ და სხვა ნათესავებმა უჩივეს ქ-ნ ალმეიდას ცილისწამებისათვის, რადგან ისინი თვლიდნენ რომ წიგნის რამდენიმე პერსონაჟი ასახავდა ამ ოჯახის ორი გარდაცვლილი წევრის ისტორიას. ისინი ითხოვდნენ ავტორის დაჯარიმებას და მორალური ზიანით გამოწვეული კომპენსაციის გადახდას.

პორტუგალიის სასამართლოებმა ქ-ნი ალმეიდას ქმრის ოჯახის რამდენიმე წევრსა და წიგნის პერსონაჟებს შორის მსგავსება დაადგინეს და მიიჩნიეს, რომ ქ-ნმა ალმეიდამ დაარღვია მეუღლის ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და შებღალა მათი რეპუტაცია.

ვინაიდან მომჩივანი გასცდა გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროს, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პორტუგალიის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ იყო საფუძველს მოკლებული და არაპროპორციული; სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ არასაჯარო პირების პირად ცხოვრებაში ამგვარი ჩარევა და მათი პირადი დეტალების გამოქვეყნება სცდებოდა გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ ფარგლებს და ლახავდა ოჯახისა და კერძო პირების რეპუტაციას.

საქმის *ჯელსევარი და სხვები სლოვენის წინააღმდეგ (Jelševar and Others v. Slovenia)* (განჩინება) №[47318/07](#), 11 მარტი, 2014 წ., მიხედვით, მწერალმა B.M.Z-მ გამოაქვეყნა ნოველა. ნაშრომში ასახული იყო მოვლენები, რომლებიც ვითარდებოდა მეოცე საუკუნის ამერიკის შეერთებულ შტატებში. წიგნში აღწერილი იყო ცხოვრება სლოვენიელი ქალისა, რომელიც შტატებში იყო ემიგრირებული.

ავტორი წიგნის მთავარ გმირს მოიხსენიებდა როზინას სახელით. ნოველის მიხედვით, როზინა იყო ძალიან ამბიციური ქალი, რომელმაც შტატებში დაოჯახება მოახერხა პოტენციურ ქმართან სექსუალური კავშირის დამყარების გზით. იგი ვაჭრობდა ალკოჰოლით, როდესაც ეს აკრძალული იყო კანონმდებლობით. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ წიგნში მოთხრობილი ისტორია ეხებოდა მათ გარდაცვლილ დედას. მომჩივნებმა დაიწყეს სამოქალაქო დავა წიგნის ავტორის წინააღმდეგ. ისინი ითხოვდნენ მორალური ზიანის ანაზღაურებას და საჯაროდ ბოდიშის მოხდას.

ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, წიგნიდან გამომდინარე, მკითხველი ვერ შეძლებდა მომჩივნებისა და პერსონაჟების დაკავშირებას. ასევე დადგინდა, რომ წიგნის ავტორის მიზანი არ იყო მომჩივნების მომჩივნების დედის დამცირება და რაიმე უფლების დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოს მიდგომა, რომ მომჩივნებს მომჩივნებს არ მიუყენებიათ სერიოზული ზიანი მწერლის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის. სასამართლომ განაცხადა, რომ სლოვენიური სასამართლოების შეფასება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით იყო სწორი და დასაბუთებული.

საქმის რადიო „საფრანგეთი“ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Radio France and Others v. France*) №53984/00, ECHR 2004-II⁴⁸ მიხედვით, ყოველკვირეულმა გაზეთმა „Le Point“-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელიც შეეხებოდა ბ-ნ მიშელ ჟუნოს (1977-1996 წლებში პარიზის მერის მოადგილე, ხოლო 1942-1943 წლებში პიტივერის პრეფექტის მოადგილე). სტატიაში ნახსენები იყო, რომ 1942 წლის 20 სექტემბერს საფრანგეთიდან ათასობით ებრაელის დეპორტაციის პროცესის ორგანიზების გამო, სამსახურებრივად სწორედ მას უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა. სტატიას აგრეთვე თან ახლდა ბ-ნი ჟუნოს ინტერვიუ, რომელშიც იგი კატეგორიულად უარყოფდა თავის მონაწილეობას ამ პროცესში. პარალელურად, რადიოსადგურმა „საფრანგეთმა“ გაავრცელა იგივე ინფორმაცია, რაც გაზეთში იყო აღწერილი და, ამასთანავე, მიუთითა, რომ თითქოს ბ-ნი ჟუნო არ უარყოფდა დეპორტაციის პროცესში სატრანსპორტო საშუალებების ორგანიზებაში მონაწილეობის ფაქტს.

ეს ინფორმაცია სხვადასხვა მედიასაშუალებამ ერთი დღის განმავლობაში 62-ჯერ გადასცა ეთერში. ბ-მა ჟუნომ პარიზის სასამართლოში სამართალწარმოება აღძრა მომჩივნების მომჩივნების წინააღმდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომჩივნებს მომჩივნებს დაეკისრათ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება და მოეთხოვათ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ყოველ ორ საათში ერთხელ ინფორმაციის გადაცემა ეთერში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებული სანქცია და დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა მომჩივნების მომჩივნების მიერ განხორციელებული ქმედების ადეკვატური იყო. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მედიის თავისუფლება უნდა იყოს დაცული, თუმცა ბ-ნი ჟუნოს სიტყვების ფალსიფიცირებამ, კერძოდ, თითქოს მან აღიარა მონაწილეობა დეპორტაციის პროცესში, შელახა მისი პატივი და ღირსება. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ამგვარი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი იყო, ხოლო ის ღონისძიება, რომელიც გამოყენებულ იქნა მომჩივნების მომჩივნების მიმართ, არ იყო არაპროპორციული.

საქმის მიხაიუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Mihaiu v. Romania*), № 42512/02, 4 ნოემბერი, 2008 წ., მიხედვით, რუმინეთში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სხვა ჟურნალისტზე დაწერა, რომ მან ერთ-ერთი ინდუსტრიული ჯგუფის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე საჩუქრად მიიღო ძვირფასი მაჯის საათი. სტატიის მიხედვით, ეს „საჩუქარი“ ჟურნალისტმა მიიღო სწორედ იმ კომპანიისაგან, რომელმაც რუმინეთში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბიზნესკომპანია გადახდისუუნარო გახადა და გააკოტრა.

ამ ინფორმაციის გავრცელების გამო, მომჩივანს უჩივლეს რუმინეთის ადგილობრივ სასამართლოში. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბ-ნ მიჰაუს დაეკისრა ჯარიმისა და კომპენსაციის გადახდის ვალდებულება. ასევე

⁴⁸ ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145527>

სასამართლომ მას დაავალა სტატიის გამოქვეყნება, რომელშიც უარყოფილი იქნებოდა ცრუ ინფორმაცია.

ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა ჟურნალისტის უფლების მნიშვნელობას საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, თუმცა იქვე მიუთითა ამ უკანასკნელის კეთილსინდისიერების აუცილებლობაზე, რაშიც სასამართლომ შეიტანა ეჭვი. სასამართლომ ჩათვალა, რომ, როდესაც საქმე ეხება მესამე მხარის ინტერესებს, ნებისმიერი ინფორმაცია გულმოდგინედ უნდა გადამოწმდეს, რათა არ შეილახოს სხვა პირის რაიმე უფლება, მათ შორის, უწინარესად, პატივი ან ღირსება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ამგვარი ჩარევა განპირობებული იყო მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით, რათა დაცული იყოს სხვისი პატივი, ღირსება და რეპუტაცია.

საქმის *Standard Verlags GmbH ავსტრიის წინააღმდეგ (Standard Verlags GmbH v. Austria) (№2) №21277/05*, 4 ივნისი, 2009 წ.⁴⁹, მიხედვით, 2004 წლის მაისში, ავსტრიის ყოველდღიურმა გაზეთმა „Der Standard“-მა გამოაქვეყნა სკანდალური სტატია თავის რუბრიკაში – *A society rumour* (საზოგადოებრივი ჭორები). რუბრიკის მთავარი თემა იყო ავსტრიის პრეზიდენტის ცოლი, რომელმაც თითქოს პრეზიდენტთან განქორწინების პროცედურა დაიწყო, რისი საფუძველიც იყო ორ მამაკაცთან მისი სექსუალური ურთიერთობა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს შესაბამისი სანქციის გამოყენება ცრუ ინფორმაციის გავრცელებისათვის. ეროვნულმა სასამართლომ მომჩივანს დააკისრა შესაბამისი კომპენსაციისა და ჯარიმის გადახდის ვალდებულება; აგრეთვე სასამართლომ მომჩივანს დაავალა იმავე ფორმით ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა, რომლითაც გამოქვეყნდა ხსენებული ინფორმაცია.

საქმის გარემოებებზე მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საჯარო პირები, როგორებიც არიან პრეზიდენტი და პირველი ლედი, ხშირად ექცევიან საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. საზოგადოებაში დიდია მოთხოვნა მათ შესახებ ნებისმიერ ინფორმაციაზე, ამიტომ დაცული უნდა იყოს ყველა იმ პირის უფლება, რომლებიც ცდილობენ, მოიპოვონ მსგავსი ინფორმაცია, თუმცა მნიშვნელოვანია ნათელყოფა იმისა, თუ როდის შეიძლება, საჯაროდ ცნობილ პირზე ან პირებზე ინფორმაციის მოპოვება გასცდეს პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების ის ასპექტი, რომელიც ეხება ინტიმურ ურთიერთობებს, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას. ამ შემთხვევაში პრეზიდენტის ოჯახის უფლება, არ გამჟღავნებულიყო მათ შესახებ პირადი და ინტიმური ხასიათის ინფორმაცია, განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებული ღონისძიებები მიმართული იყო

⁴⁹ გადაწყვეტილების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-178131>

პრეზიდენტის ოჯახის წევრების პატივისა და ღირსების დაცვისაკენ და არ იყო არაპროპორციული.

საქმის ბედატი *შვეიცარიის წინააღმდეგ (Bédat v. Switzerland)* [დიდი პალატა], №56925/08, ECHR 2016, მიხედვით, ბ-მა ბედატმა, რომელიც მუშაობდა ყოველკვირეულ გაზეთში, გამოაქვეყნა სტატია 2003 წლის 8 ივლისს მომხდარი ავტოსაგზაო ტრაგედიის შესახებ. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მოქალაქე მ. ბ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე მანქანით შევარდა. ამ ფაქტის შედეგად გარდაიცვალა სამი და დაშავდა რვა ადამიანი. სტატიაში ნახსენები იყო, რომ თითქოს მ.ბ-ს ბრალი ედება არაპირდაპირი განზრახი მკვლელობისთვის. ამასთანავე, ბ-მა ბედატმა სტატიას დაურთო მ.ბ-ს და მოსამართლის პირადი მიმოწერის ფოტოები, რომლებიც კონფიდენციალური ხასიათის იყო.

მ. ბ-მ არ შეიტანა სარჩელი ბ-ნი ბედატის წინააღმდეგ, თუმცა საქმე აღძრა პროკურატურამ და ბ-ნი ბედატისათვის ეროვნულ სასამართლოში მოითხოვა სანქციის შეფარდება. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომჩივანს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. საბოლოოდ, მას პატიმრობა შეუცვალეს ჯარიმით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლო მოქმედებდა კანონის ფარგლებში. სასამართლომ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ინფორმაციის გასაჯაროება მოხდა ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა საქმის ეფექტიანად გამოძიების პროცესი. სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაეცვა ყველა ადამიანის პირადი ცხოვრება, მათ შორის იმ პირებისაც, რომელთა წინააღმდეგ დაწყებული იყო სისხლის სამართალწარმოება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელი იყო მესამე პირების პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით.

საქმის *პერუჯი იტალიის წინააღმდეგ (Peruzzi v. Italy)*, №39294/09, 30 ივნისი, 2015 წ., მიხედვით, 2001 წლის სექტემბერში ბ-მა პერუჯიმ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს მისწერა ორი წერილი, რომლებშიც აღწერილი იყო, რომ თითქოს მოსამართლე X და სხვა მოსამართლეები გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში იქცეოდნენ თვითნებურად და, ზოგჯერ, მიზანმიმართულად არღვევდნენ კანონს.

მოსამართლე X-მა სარჩელი შეიტანა სასამართლოში ბ-ნი პერუჯის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი დამნაშავედ ცნობა, ცრუ, შეურაცხმყოფელი და მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისათვის. გენუის საქალაქო სასამართლომ ბ-ნი პერუჯი ბრალეულად ცნო და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი თვის ვადით.

მომჩივანმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ მომჩივანს პატიმრობა შეუცვალა ფულადი ჯარიმით. სასამართლომ ბ-ნი პერუჯის დააკისრა კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, მოსამართლე X-ის სასარგებლოდ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ გამოხატული პოზიცია სცდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და ის შეურაცხმყოფელი იყო.

სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა იმას, რომ მოსამართლის რეპუტაცია მნიშვნელოვანია საზოგადოებაში და არ შეიძლება მისი შელახვა ამგვარი დაუსაბუთებელი განცხადებებით.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, თუმცა ის გამართლებული იყო მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვის ინტერესებით.

საქმის *პოირაზი თურქეთის წინააღმდეგ (Poyraz v. Turkey)*, № 15966/06, 7 დეკემბერი, 2010, მომჩივანს ეკავა მთავარი ინსპექტორის თანამდებობა იუსტიციის სამინისტროში. მას დავალებული ჰქონდა, გამოეძიებინა მოსამართლე Y.K.D-ს საქმიანობა, რომელიც, თავის მხრივ, იყო იუსტიციის მინისტრის მრჩეველი. მომჩივნის მიერ მომზადებული ანგარიში ეხებოდა მოსამართლე Y.K.D-ს მიერ ჩადენილ კონკრეტულ სამართალდარღვევებს, როგორცაა, მაგალითად, თანამშრომელი ქალების მიმართ სექსუალური ძალადობა. ანგარიშის გაცნობის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა მოსამართლის მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება, თუმცა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ იუსტიციის მინისტრი არ იყო უფლებამოსილი, განეხორციელებინა დისციპლინური დევნა მოსამართლის მიმართ.

ამ ჩანაწერმა გაჟონა პრესასა და ტელევიზიაში, რის შემდეგაც მოსამართლე Y.K.D-მ დაიწყო სამოქალაქო დავა მომჩივნის მიმართ. თურქეთის საერთო სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებით, მომჩივანს დაეკისრა 15 მილიონი თურქული ლირის გადახდა (15000 ევრო).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა მოსამართლის რეპუტაციის მნიშვნელობას ქვეყანაში. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ, როდესაც პირი იკავებს საჯარო თანამდებობას და აქვს შეხება ისეთ დოკუმენტებთან, რომლებსაც შეეძლოთ საფრთხის შექმნა მოსამართლის ან სხვა პირის რეპუტაციისათვის, მას უნდა გამოეჩინა განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანმა არ გამოიჩინა ასეთი ყურადღება და სიფრთხილე, რაც გახდა მისი მედიაში გავრცელების მიზეზი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, სწორედ ზემოჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, გამოხატვის თავისუფლებაში ამგვარი ჩარევა განპირობებული იყო მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვის ინტერესებით და ის გამართლებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საქმეზე *პალომო სანჩესი ესპანეთის წინააღმდეგ (Palomo Sánchez and Others v. Spain)* [დიდი პალატა], № 28955/06 და 3 სხვა, ECHR 2011⁵⁰, მომჩივნები შიკრიკად მუშაობდნენ კომპანია პ.-ში. 2001 წელს მათ დააფუძნეს პროფესიული კავშირი და გახდნენ ამ კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. 2002 წლის მარტში გამოქვეყნდა კავშირის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი. საინფორმაციო ბიულეტენის პირველ გვერდზე გამოსახული იყო კარიკატურა, რომელიც ასახავდა კომპანიის ორი თანამშრომლის სექსუალურ კავშირს ადამიანური რესურსების

⁵⁰ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-124736>

განყოფილების დირექტორთან. პუბლიკაციაში არაეთიკურად მოიხსენიებდნენ და აკრიტიკებდნენ კომპანიის ზოგიერთ თანამშრომელს.

ამ ბიულეტენის გამოცემის შემდეგ მომჩივნები სამსახურიდან გაათავისუფლეს მძიმე გადაცდომისთვის, კერძოდ კი საინფორმაციო ბიულეტენში მოხსენიებული ორი თანამშრომლისა და ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორის რეპუტაციის შელახვისათვის. მომჩივნებმა გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში. ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი საჩივარი და დაადგინა, რომ მათი გათავისუფლება გამართლებული იყო შრომის რეგლამენტის შესაბამისი დებულებებით.

საქმის გარემოებებზე მსჯელობის შედეგად ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეზე ეროვნულმა სასამართლოებმა დააბალანსეს ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და დაადგინეს, რომ მომჩივნებმა გადალახეს კრიტიკის დასაშვები ფარგლები, რითაც შელახეს სხვათა პატივი და ღირსება.

საქმის *ჯულაშვილი რუსეთის წინააღმდეგ (Dzhugashvili v. Russia)* (განჩინება), №41123/10, 9 დეკემბერი, 2011 წ., მიხედვით, 2009 წლის 22 აპრილს რუსულმა გაზეთმა „Новая Газета“-მ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოთხრობილი იყო 1940 წელს კატინში პოლონელი ჯარისკაცების დახვრეტის შესახებ. სტატიაში ხაზგასმული იყო ამ ტრაგედიაში იოსებ სტალინის (იოსებ ჯულაშვილი) როლი, რომელიც ავტორმა „სისხლისმსმელად“ მოიხსენია.

საგაზეთო სტატიის გავრცელების შემდეგ ბ-მა ჯულაშვილმა, რომელიც სტატიაში მოხსენიებული იოსებ სტალინის შვილიშვილი იყო, სარჩელით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და მოითხოვა ცრუ ბრალდებისა და მიყენებული მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა 9,5 მილიონი რუბლის ოდენობით (211 488 ევრო). 2009 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და განაცხადა, რომ ისტორიულ პირებს და, მათ შორის, მათ შთამომავლებს ეკისრებათ განსაკუთრებული შემწყნარებლობის ვალდებულება კრიტიკის მიმართ.

მოგვიანებით გაზეთმა კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა სათაურით – „ისტორიული პროცესი“, რომელიც აღწერდა სასამართლო დავას ბ-ნ ჯულაშვილსა და გამოცემას შორის. ბ-მა ჯულაშვილმა ამჯერადაც იჩივლა სასამართლოში და გამომცემლობა დაადანაშაულა ცრუ ბრალდებაში. ეროვნულმა სასამართლომ ამჯერადაც არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა.

მომჩივანი თვლიდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სიკეთე, კერძოდ, შელახეს მისი და მისი ოჯახის წევრის პატივი და ღირსება.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გარდაცვლილ წინაპარზე გავრცელებული პუბლიკაცია შეიძლება გავლენას ახდენდეს შთამომავლების პირად ცხოვრებაზე და იგი შეიძლება მოექცეს მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ისტორიულ პირებს, ისევე

როგორც მათთან დაკავშირებულ პირებს, ეკისრებათ განსაკუთრებული თმენის ვალდებულება ნებისმიერი კრიტიკის მიმართ. აგრეთვე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს ბალანსი მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებას შორის. სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო.

საქმეზე *A. ნორვეგიის წინააღმდეგ (A. v. Norway) № 28070/06*, 9 აპრილი, 2009 წ., მომჩივანი ბ-ნი A. წარსულში იყო ნასამართლევ შვიარაღებული თავდასხმისა და მკვლელობისათვის. სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ იმ ადგილას, სადაც მომჩივანი სეირნობდა, გააუპატიურეს და მოკლეს ორი მცირეწლოვანი გოგონა. პოლიციამ ყურადღება მაშინვე ბ-ნ A.-ს მიაპყრო და დაკითხა როგორც რიგითი მოწმე. იგი ათი საათის შემდეგ გაათავისუფლეს პოლიციის შენობიდან, რადგან ორი პირი დააკავეს ამ ქმედების ჩადენის ბრალდებით.

მედიის საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია ბ-ნი A.-ს პოლიციაში ყოფნის შესახებ, რის შემდეგაც ჟურნალისტებმა სტატიებში, რომლებსაც თან ახლდა ასევე მომჩივნის ფოტოები, დააკავშირეს ბ-ნი A.-ს მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და მისი ყოფნა მკვლელობის ადგილას. სტატიაში აგრეთვე იდენტიფიცირებული იყო მომჩივნის ვინაობა, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. ამის გამო მომჩივანს მოუხდა საცხოვრებლისა და სამუშაო ადგილის შეცვლა, რის შედეგადაც მას მიადგა დიდი ზიანი.

მომჩივანმა სარჩელით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რაც მომჩივანმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მომჩივნის პოზიცია, რომ სტატია შეიცავდა ცრუ ბრალდებებს მომჩივნის მიმართ, მაგრამ ხაზი გაუსვა საჯარო ინტერესს აღნიშნული საქმის შესახებ და დაადგინა, რომ ჟურნალისტის უფლება, განახორციელოს თავისი საქმიანობა, ამ შემთხვევაში აღმატებული იყო პირის უფლებაზე, დაცულიყო მისი რეპუტაცია.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს ბალანსი პირადი ცხოვრებისა და ჟურნალისტური საქმიანობის უფლებებს შორის. ევროპულ სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტს ჰქონდა უფლება, მიეღო და გაეცემოდა კონკრეტული ინფორმაცია, თუმცა, როდესაც ასეთი ინფორმაციის გავრცელებამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა რეაბილიტაციის პროცესში მყოფ პირს, მის პატივსა და ღირსებას, ხსენებული უნდა შეფასებულიყო პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ ზიანზე, რომელიც მომჩივანს მიადგა, კერძოდ, იგი ვედარ მუშაობდა და მას მოუწია საცხოვრებლის დატოვება.

ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს შეეღალა პატივი და ღირსება, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით.

საქმის *სანჩეს კარდენასი ნორვეგიის წინააღმდეგ (Sanchez Cardenas v. Norway)*, №12148/03, 4 ოქტომბერი, 2007 წ., გარემოებები ასეთი იყო: ბ-ნი სანჩესის ყოფილმა

პარტნიორმა და მისი შვილის დედამ დაიწყო სამართალწარმოება მომჩივნის წინააღმდეგ. იგი ცდილობდა, დაერწმუნებინა ეროვნული სასამართლო, რომ ბ-მა სანჩესმა რამდენჯერმე სექსუალურად იძალადა მის ვაჟიშვილზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ქალბატონის სარჩელი, რის შემდეგაც მან დავა განაგრძო ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში. უზენაესმა სასამართლომ განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ არ დგინდება სექსუალური ძალადობის კონკრეტული ფაქტი, შესაძლო რისკებიდან და ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, აგრეთვე მომჩივნის ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით (სამედიცინო ექსპერტის მიერ დადასტურებული დეპრესია და სხვა ფსიქოლოგიური პრობლემები), მამას შეეზღუდა შვილებთან კომუნიკაციის უფლება.

მომჩივანმა მიმართა ევროპულ სასამართლოს. იგი თვლიდა, რომ ადგილობრივმა სასამართლომ, სხვა უფლებებთან ერთად, დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პატივისა და ღირსების უფლება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც კი იყო იმაზე მინიმუმება, რომ, შეიძლება, მომჩივანს არ ჰქონოდა განხორციელებული სექსუალური ძალადობა. ამ ვერსიას ამყარებდა ის ფაქტი, რომ ნორვეგიის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ერთვოდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი მაღალი რეპუტაციის სასამართლოს მიერ პირის დაუსაბუთებელმა სტიგმატიზაციამ მოახდინა დიდი გავლენა მომჩივნის ღირსებასა და პირად ცხოვრებაზე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა მომჩივნის მიმართ.

საქმის *პოლანკო ტორესი და მოვილა პოლანკო ესპანეთის წინააღმდეგ (Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain)*, № 34147/06, 21 სექტემბერი, 2010 წ., მიხედვით, ყოველდღიურმა ესპანურმა გამოცემამ გამოაქვეყნა სტატია სასამართლოს თავმჯდომარის, C.M.-ის მეუღლის შესახებ. სტატიის მიხედვით, ქ-ნი ტორესი მხილებული იყო გარკვეულ საგადასახადო მაქინაციებში, გადასახადების დამალვასა და საბუღალტრო მონაცემების განადგურებაში.

მომჩივანი ქ-ნი ტორესი თვლიდა, რომ ეს სტატია მიზნად ისახავდა მისი მეუღლის დისკრედიტაციას. მოსამართლემ და ქ-მა ტორესმა სასამართლოში უჩივლეს გამომცემლობას და ჟურნალისტს, რომელმაც მოამზადა ეს სტატია. ეროვნული სასამართლოს 1996 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. გამომცემლობამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც 2006 წლის 27 თებერვალს გააუქმა ადრე მიღებული გადაწყვეტილება. მოსამართლე C.M. გარდაიცვალა 1998 წელს. ევროპულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ქ-მა ტორესმა და მისმა შვილმა. ისინი თვლიდნენ, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებამ დაარღვია მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქმის გარემოებებზე მსჯელობის შედეგად ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა მედიის საშუალებების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას და მიუთითა

ნებისმიერი ზეწოლის დაუშვებლობაზე. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, რომ გამომცემლობამ და ჟურნალისტმა გამოიყენეს ყველა ეფექტიანი საშუალება მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის დასადგენად. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ისინი არ იყვნენ არაკეთილსინდისიერები ინფორმაციის გავრცელებისას და არ ისახავდნენ მიზნად მომჩივანთა დისკრედიტაციას.

სასამართლომ შეადარა ორი კონკურენტული უფლება, ერთი მხრივ, ჟურნალისტის უფლება, განახორციელოს თავისი საქმიანობა და, მეორე მხრივ, პირის უფლება, დაცული იყოს მისი რეპუტაცია. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში ჟურნალისტის უფლებამ, განახორციელოს თავისი საქმიანობა, გადაწონა სხვა პირის უფლება, დაცული ყოფილიყო მისი რეპუტაცია, რადგან გავრცელებული ინფორმაცია არ იქნა მიჩნეული როგორც შეურაცხმყოფელი ან აშკარად დაუსაბუთებელი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა მომჩივნის მიმართ.

საქმის *მიკოლაიოვა სლოვაკეთის წინააღმდეგ (Mikolajová v. Slovakia)*, №4479/03, 18 იანვარი, 2011 წ., მიხედვით, 2000 წლის 30 ივნისს მომჩივნის მეუღლემ სარჩელი შეიტანა პოლიციაში, რომელშიც დაადანაშაულა საკუთარი ცოლი ცემასა და დაჭრაში. 2000 წლის 3 ივლისს პოლიციამ მომჩივნის მეუღლის თხოვნით შეწყვიტა გამოძიება, რადგან მას არ სურდა, მომჩივნის მიმართ გავრცელებულიყო სამართალწარმოება.

2002 წლის 28 იანვარს სადაზღვევო კომპანიამ წერილი გაუგზავნა მომჩივანს. სადაზღვევო კომპანია ითხოვდა მკურნალობის ხარჯების დაბრუნებას, რაც სადაზღვევო კომპანიამ მის მიერ მიყენებული ზიანის შედეგად აუნაზღაურა მომჩივნის მეუღლეს. სადაზღვევო კომპანიის მთავარი არგუმენტი მოთხოვნის დაყენებისას იყო პოლიციის დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე მომჩივანი აღიარებული იყო როგორც ზიანის მიმყენებელი. მომჩივანმა მიმართა პოლიციის დეპარტამენტს და მოითხოვა ბოდიშის მოხდა, თუმცა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიუთითა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონმდებლობის საფუძველზე. 2002 წლის 12 სექტემბერს მომჩივანმა მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგან თვლიდა, რომ შეეღობა პატივი და ღირსება, აგრეთვე უფლება, არ ყოფილიყო ცნობილი დამნაშავედ, ვიდრე სასამართლო არ გამოიტანდა გამამტყუნებელ განაჩენს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა, რადგან ჩათვალა, რომ გასული იყო გასაჩივრების ორთვიანი ვადა. სასამართლომ მიუთითა, რომ ორთვიანი ვადის ათვლა დაიწყო 2000 წლის 3 ივლისიდან, კერძოდ, როდესაც პოლიციის დეპარტამენტმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მომჩივანმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომლის წინაშეც ამტკიცებდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთმა დაარღვია ბალანსი სახელმწიფო იურისდიქციის გავრცელებასა და მე-8 მუხლით დაცულ უფლებას

შორის. სასამართლოს აზრით, ამ შემთხვევაში პოლიციას არ ჰქონდა უფლება, მომჩივანი მოეხსენიებინა დამნაშავედ ან ძალადობრივი ქმედების ჩამდენად. სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებაზე უარის მოტივაციას და განაცხადა, რომ მომჩივანი არ იყო უფლებამოსილი, მოეძიებინა პოლიციის ის გადაწყვეტილება, რომელშიც აღწერილი იყო მისი შესაძლო ძალადობრივი ქმედება. აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო იმ დღიდან, როდესაც მომჩივანმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ამ გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება.

საქმეზე, *პუტისტინი უკრაინის წინააღმდეგ (Putistin v. Ukraine)*, № 16882/03, 21 ნოემბერი, 2013 წ. მომჩივანი ვლადლენ პუტისტინი იყო უკრაინელი ფეხბურთელის, მიხაილ პუტისტინის შვილი. 2001 წლის 3 აპრილს გაზეთმა „*Komsomolska Pravda*“-მ დაბეჭდა სტატია ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ცნობილი მატჩის შესახებ, რომელიც „*Death Match*“-ის (სასიკვდილო მატჩი) სახელით არის ცნობილი. სტატიას თან ერთვის „*Death Match*“-ის შესახებ გადაღებული ფილმის რეჟისორთან ჩაწერილი ინტერვიუ.

სტატიიდან ირკვეოდა, რომ, რამდენიმე ფეხბურთელის გარდა, ყველას კავშირი ჰქონდა გესტაპოსთან (ფაშისტური გერმანიის საიდუმლო პოლიცია). ვლადლენ პუტისტინმა კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კომპენსაციის გადახდა ცრუ ინფორმაციის გავრცელებისათვის. მან სასამართლოში განაცხადა, რომ არ არსებობდა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მომჩივნის მამის კავშირს გესტაპოსთან.

ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და განაცხადა, რომ სტატიიდან არაფერი იკითხებოდა ვლადლენ პუტისტინის მამის შესახებ და შეუძლებელი იყო მისი იდენტიფიცირება.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდაცვლილი ოჯახის წევრის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს შთამომავლის პირად ცხოვრებაზე, მის პატივსა და ღირსებაზე და ეს ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. ამასთანავე, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გაზეთში მომჩივნის მამის მიმართ არ იკვეთებოდა პირდაპირი ბრალდება, მასში არ იყო ნახსენები, რომ მიხაილ პუტისტინი იყო გესტაპოსთან დაახლოებული პირი. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ სტატია არ იყო პროვოკაციული შინაარსის და ის შემეცნებით ხასიათს ატარებდა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეზე, *სიპოსი რუმინეთის წინააღმდეგ (Sipos v. Romania)*, №26125/04, 3 მაისი, 2011 წ. მომჩივანი, ქ-ნი მარია სიპოსი მუშაობდა სატელევიზიო კომპანია „SRTV“-ში. 2002 წელს, ერთ-ერთი გადაცემის ფორმატზე მუშაობისას, იგი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მოულოდნელად გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. მას არც წინასწარ შეატყობინეს მოსალოდნელი ფაქტის შესახებ და არც მოგვიანებით აუხსნეს გადაწყვეტილების მიზეზი. რამდენიმე

თვეში სატელევიზიო კომპანია „SRTV“-ის ხელმძღვანელებმა ექვსი ადგილობრივი გამომცემლობის საშუალებით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ქ-ნი სიპოსი იყო არაკომპეტენტური და ვერ ახდენდა საქმეზე კონცენტრირებას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ჰქონდა პოლიტიკური შეხედულებები, რომელთა გამოც ხდებოდა კონფლიქტი თანამშრომლებთან, რაც ხელს უშლიდა ტელევიზიის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ქ-მა სიპოსმა სარჩელით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ მომხდარა მომჩივნის პირად ცხოვრებაში იმ დოზით ჩარევა, რომ გამოეწვია მისი უფლების დარღვევა, ამიტომ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა, რომ ტელეკომპანიას დაკისრებოდა მორალური ზიანის ანაზღაურება.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა თმენის ვალდებულება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს ბალანსი, ერთი მხრივ, მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და, მეორე მხრივ, ტელევიზიის გამოხატვის თავისუფლებას შორის. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს დაერღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეზე, *ოზპინარი თურქეთის წინააღმდეგ (Özpinar v. Turkey)*, №20999/04, 19 ოქტომბერი, 2010 წ., მომჩივანი ქ-ნი ოზპინარი, რომელიც იკავებდა მოსამართლის თანამდებობას, გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან 2002 წელს მის მიმართ აღძრული დისციპლინური სამართალწარმოების გამო.

სამართალწარმოების შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლეს სასიყვარულო ურთიერთობა აკავშირებდა ადვოკატთან. ამის გამო საგამოძიებო კომისიამ მიიჩნია, რომ ამ გარემოებას შეიძლება ჰქონოდა გავლენა გარკვეულ საქმეებზე. დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსამართლის ჩაცმულობა და მაკიაჟი შეუფერებელი იყო მოსამართლის თანამდებობისათვის. ქ-მა ოზპინარმა მოითხოვა გადაწყვეტილების გადასინჯვა და თანამდებობაზე აღდგენა, რაზეც მან მიიღო დაუსაბუთებელი უარი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მომჩივანს მიმართ გამოყენებულ ღონისძიებებს არ გააჩნდა შესაბამისი ლეგიტიმური მიზანი. სასამართლოს აზრით, დაუსაბუთებელი იყო პოზიცია, რომ მომჩივნის მიერ საქმეების ჯეროვნად განხილვაზე შეიძლება გავლენა მოეხდინა მის პირად ურთიერთობებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ის „ეთიკური ვალდებულებები“, რომლებიც კომისიამ დააკისრა მოსამართლეს, ზღუდავდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს დაერღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეზე, *ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ (Oleksandr Volkov v. Ukraine)*, №21722/11, ECHR 2013⁵¹, მომჩივანი 2003 წლიდან იყო უკრაინის უზენაესი

⁵¹ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-142028>

სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს სამხედრო პალატის თავმჯდომარე. 2007 წელს ის აირჩიეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს („იუს“) წევრის თანამდებობაზე, თუმცა ეს თანამდებობა არ დაუკავებია, რადგან მართლმსაჯულების საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ მომჩივანს ფიცის დადების უფლება არ მისცა.

2008 და 2009 წლებში „იუს“-ს ორმა წევრმა ჩაატარა წინასწარი მოკვლევა მომჩივნის მიერ შესაძლო გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით. მათ დაადგინეს, რომ მომჩივანს ბრალი მიუძღოდა მძიმე პროცედურულ დარღვევებში. ეს დარღვევა გამოიხატებოდა იმით, რომ მან, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, განიხილა მისი ცოლისძმის (სააპელაციო ინსტანციის მოსამართლე) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ უკრაინის კანონმდებლობით, ცოლისძმა არ იყო მოხსენიებული ნათესავთა რიგში და ბ-ნ ვოლკოვს არცერთი სამართლებრივი დებულება არ უკრძალავდა ცოლისძმის მიერ განხილული საქმის გადასინჯვას. „იუს“-ს თავმჯდომარემ პარლამენტს წარუდგინა ორი მიმართვა მოსამართლის თანამდებობიდან მომჩივნის გათავისუფლების შესახებ. 2010 წელს უკრაინის პარლამენტმა განიხილა „იუს“-ს ზემოაღნიშნული მიმართვები და საპარლამენტო კომიტეტის რეკომენდაცია, და კენჭი უყარა მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხს.

მომჩივნის განცხადების თანახმად, ელექტრონული კენჭისყრის დროს პარლამენტის წევრთა უმრავლესობა დარბაზში არ იმყოფებოდა, ხოლო სხდომაზე დამსწრე პარლამენტარებმა გამოიყენეს იმ კოლეგების ხმის მისაცემი ბარათები, რომლებიც დარბაზში არ იმყოფებოდნენ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცალსახა იყო ჩარევა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მომჩივნის მიმართ გამოყენებული ღონისძიება არ იყო ეროვნული კანონმდებლობით ისე რეგულირებული, რომ იგი დაცული ყოფილიყო თვითნებური გადაწყვეტილებისაგან. სხვა სიტყვებით, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოსამართლეს არ შეეძლო, წინასწარ განეჭვრიტა მის მიერ განხორციელებული ქმედებების ნეგატიური შედეგები (ცოლისძმის მიერ სააპელაციო ინსტანციაში განხილული საქმის გადასინჯვა საკასაციო წესით, რაც არ ყოფილა აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით). სასამართლომ დაადგინა, რომ სამოსამართლეო „ფიცის“ დარღვევის საფუძველით მოსამართლის გათავისუფლებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის რეპუტაციაზე. სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოსამართლის გათავისუფლებამ გამოიწვია მისი და მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს დაერღვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება.

საქმეებზე, *კირიაკიდესი კვიპროსის წინააღმდეგ (Kyriakides v. Cyprus)*, № 39058/05, 16 ოქტომბერი, 2008 წ. და *ტალიადორუ და სტილიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Taliadorou and Stylianou v. Cyprus)*, №39627/05 და №39631/05, 16 ოქტომბერი, 2008), მომჩივნების იყვნენ კვიპროსის პოლიციის უფროსი ოფიცრები.

1992 წელს მათ მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა, კერძოდ, მათ ბრალი ედებოდათ კონკრეტული პირების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში.

მედიისა და საზოგადოების ზეწოლის შედეგად, ჯერ კიდევ გამოძიების დასრულებამდე, მომჩივნები გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან.

მომჩივნებმა მიმართეს ეროვნულ სასამართლოს და მოითხოვეს თანამდებობაზე დაბრუნება. სასამართლომ დაადგინა, რომ საგამომიებო კომისიის გადაწყვეტილება არღვევდა მომჩივნის უფლებას, არ ყოფილიყვნენ ცნობილი დამნაშავეებად, ვიდრე სასამართლო არ დაადგენდა ამას (უდანაშაულობის პრეზუმფცია). შესაბამისად, სასამართლომ მოითხოვა, რომ ეს პირები დაბრუნებულიყვნენ დაკავებულ თანამდებობებზე.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ მომჩივნებმა ახალი საჩივრით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს იმ მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მომჩივნებს მომჩივნებს მიაღდათ სამსახურის დროებით დაკარგვითა და მათზე ინფორმაციის გავრცელებით. ყველა ინსტანციის სასამართლომ უარი განაცხადა მომჩივნების მომჩივნების სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ევროპული სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლომ გარკვეულ ეტაპზე მომჩივნების მომჩივნების უფლებები დაიცვა, მათ მაინც ვერ მიიღეს შესაბამისი კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების მომჩივნების მიმართ მოხდა პირად ცხოვრებაში ჩარევა, რაც არ იყო გამართლებული. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს მომჩივნებს დაერღვათ კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმის, *იონ კარსტეა რუმინეთის წინააღმდეგ (Ion Cârstea v. Romania)*, № 20531/06, 28 ოქტომბერი, 2014 წ., მიხედვით, რუმინულმა გამოცემა „*Republica Oltenia*“-მ გამოაქვეყნა სტატია, რომლის თანახმად, მომჩივანს 19 წლის წინ სექსუალური კავშირი ჰქონდა თავის სტუდენტებთან. სტატიაში აღწერილი ინფორმაციის თანახმად, მომჩივანი ძალადობდა კიდევ ასაკით მასზე ბევრად უმცროს პირებზე.

მომჩივანი ბ-მა კარსტეამ სასამართლო წესით უჩივლა სტატიის ავტორს და გამომცემლობას ცრუ და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისათვის. მომჩივანმა მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება. რუმინეთის ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მომჩივნის მოთხოვნა და განაცხადეს, რომ იმ პირობებშიც კი, თუ გავრცელებული ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდებოდა, ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეზღუდულიყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს ბალანსი ორ უფლებას შორის. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს ბალანსი გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გავრცელებული მასალა და ფოტოები ლახავდა მომჩივნის პატივსა და ღირსებას. სასამართლოს აზრით, სტატია არ ისახავდა მიზნად დისკუსიას საჯარო ინტერესის მქონე თემებზე, არამედ ის მიმართული იყო კონკრეტული ადამიანის დისკრედიტაციისაკენ. ადამიანის

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს დაერღვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება.

საქმეზე, *პეტრინა რუმინეთის წინააღმდეგ (Petrina v. Romania)*, № 78060/01, 14 ოქტომბერი, 2008 წ., მომჩივანი იყო რუმინეთში ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსი. რუმინეთის ტელევიზიაში გავრცელდა ინფორმაცია ამ პოლიტიკოსის შესაძლო ჯამშობის შესახებ. მომჩივანმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება, და საჯაროდ ბოდიშის მოხდა, ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო.

მომჩივნის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს ეროვნულმა სასამართლოებმა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათ უპირატესად მიიჩნიეს მედიის საშუალების გამოხატვის თავისუფლება.

ამ საქმეზე ევროპულმა სამართლომ დაადგინა, რომ რუმინეთის სასამართლოებმა ვერ დაიცვეს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მომჩივნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სცდებოდა მომჩივნის პროფესიულ საქმიანობას და ეხებოდა მის პირად ცხოვრებას. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ მომჩივნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა და არ ექცეოდა კონვენციის მე-10 მუხლით (გამოხატვის თავისუფლება) დაცულ სფეროში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს დაერღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეზე, *კარაკო უნგრეთის წინააღმდეგ (Karakó v. Hungary)*, №39311/05, 28 აპრილი, 2009 წ., მომჩივანი ბ-ნი კარაკო უნგრეთის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსი და პარლამენტის წევრი იყო. 2002 წლის აპრილში არჩევნების მეორე ტურში სხვა პოლიტიკური ძალის ლიდერმა მოახდინა მისი დისკრედიტაცია. კერძოდ, იგი ავრცელებდა ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს მომჩივანი პარლამენტში ყოფნის პერიოდში ყოველთვის იღებდა გადაწყვეტილებას კონკრეტული რაიონის კეთილდღეობის წინააღმდეგ.

მომჩივანმა მიმართა ადგილობრივ სასამართლოს, თუმცა სასამართლომ ბ-ნი კარაკოს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ გავრცელებული ინფორმაცია ეხებოდა მომჩივნის პირად ცხოვრებას, თუმცა მათ ხაზი გაუსვეს საჯარო სივრცეში პირის ცნობდობას და დაადგინეს, რომ კრიტიკა, რომელიც გავრცელდა მომჩივნის მიმართ, არ არღვევდა ბ-ნი კარაკოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის შესახებ გავრცელებული უარყოფითი ინფორმაცია არ სცდებოდა დასაშვები კრიტიკის ზღვარს და მომჩივანს, როგორც პოლიტიკოსს, ჰქონდა თმენის ვალდებულება კრიტიკის მიმართ. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ გავრცელებულ უარყოფით ინფორმაციას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია მომჩივნის პირად ცხოვრებაზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლებებს შორის ბალანსის მნიშვნელობას და განაცხადა, რომ მომჩივნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მეორე პოლიტიკური ძალის გამოხატვის

თავისუფლება არაპროპორციულად შეიზღუდებოდა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეზე, *პეტრენკო მოლდოვის წინააღმდეგ (Petrenco v. Moldova)*, № 20928/05, 30 მარტი, 2010 წ., მომჩივანი ბ-ნი პეტრენკო საქმისწარმოების პერიოდში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი მოლდოვის უნივერსიტეტში. მოლდოვის სახელმწიფო გაზეთმა გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომჩივანი თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირის უშიშროების სპეცსამსახურებთან (KGB).

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მომჩივანმა მიმართა სასამართლოს კერძო საჩივრით და მოითხოვა საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის ანაზღაურება. მოლდოვის სასამართლოების გადაწყვეტილებით, მომჩივნის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არათანაზომიერად დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს გამოხატვის თავისუფლებას. სასამართლოს აზრით, სტატია არ ლახავდა მომჩივნის პირად ცხოვრებას, რადგან იგი იყო საჯაროდ ცნობილი პირი და მართებდა თმენის განსაკუთრებული ვალდებულება, თუმცა, როდესაც მას ბრალი დასდეს უშიშროების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში, ბ-ნ პეტრენკოს თმენის ვალდებულება აღარ ჰქონდა. ამკარა იყო სტატიის პროვოკაციული ხასიათი და მომჩივნის დისკრედიტირების მიზანი. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

4.1.1 მოსამართლის/მართლმსაჯულების ორგანოს წარმომადგენლების და პატივი და ღირსება/რეპუტაცია

მოსამართლის და მართლმსაჯულების ორგანოთა სხვა წარმომადგენლების კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სიკეთე, მათი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი ხდება კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით⁵².

საქმეზე *ტავარეს დე ალმეიდა ფერნანდესი და ალმეიდა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Tavares de Almeida Fernandes and Almeida Fernandes)*⁵³ №31566/13, 17 იანვარი, 2017 წ., მომჩივანი პორტუგალიაში ცნობილი ჟურნალისტი

⁵² იხილეთ ასევე, *ლესნიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Lešník v. Slovakia)*, № 35640/97, ECHR 2003-IV; *სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ (Skalka v. Poland)*, № 43425/98, 27 მაისი, 2003 წ.; *სადაი თურქეთის წინააღმდეგ (Saday v. Turkey)*, № 32458/96, 30 მარტი, 2006 წ.; *ბეზიმინი რუსეთის წინააღმდეგ (Bezimyanny v. Russia)*, № 10941/03, 8 April 2010; *ლოპუხი პოლონეთის წინააღმდეგ (Łopuch v. Poland)*, № 43587/09, 24 ივლისი, 2012 წ.; *შმიდტი ავსტრიის წინააღმდეგ (Schmidt v. Austria)*, № 513/05, 17 ივლისი, 2008 წ.; *საქმე ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ (Nikula v. Finland)*, № 31611/96, ECHR 2002-II;

⁵³ გადაწყვეტილების ამონარიდები ხელმისაწვდომია ასევე ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-178127>

და საქმის განხილვის დროისთვის იყო ყოველდღიურ გაზეთ „Público-ს“ რედაქტორი. 2006 წლის 29 სექტემბერს „Público-ში“ მისი ავტორობით გამოქვეყნდა რედაქტორის სვეტი, სათაურით „ობობას სტრატეგია“ („A estratégia da aranha“) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მოსამართლე N.N.-ის არჩევასთან დაკავშირებით, რაც წინა დღეს მოხდა. 2007 წლის დეკემბერში მოსამართლე N.N.-მა სარჩელი შეიტანა ლისაბონის სამოქალაქო სასამართლოში მომჩვენისა და მისი მეუღლის წინააღმდეგ, აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით, ცილისწამების გამო და მოითხოვა 150 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ. სასამართლომ მოსამართლის სასარგებლოდ გადაწყვიტა დავა და დაადგინა, რომ სტატიით შეიბღალა მოსამართლე N.N.-ის რეპუტაცია. ბატონ ტავარეს დე ალმეიდა ფერნანდესს დაეკისრა 35 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქალბატონი ალმეიდა ფერნანდესი არ წარმოადგენდა მხარეს აღნიშნული სამართალწარმოებისას.

გასაჩივრების შედეგად ლისაბონის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მანვე ქალბატონი ალმეიდა ფერნანდესი სამართალწარმოების ლეგიტიმურ მხარედ მიიჩნია (იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ განმცხადებლები ქორწინებაში იყვნენ და მას არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავალი და ქმრის შემოსავლით ორივე მეუღლე სარგებლობდა) და მეუღლეებს კომპენსაციის სახით დააკისრა 60 000 ევროს გადახდა მოსამართლე N.N.-ის სასარგებლოდ, ამ თანხას დამატებული პროცენტით. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა.

მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე აცხადებდნენ, რომ პორტუგალიის სასამართლოების გადაწყვეტილებები არღვევდა მათ გამოხატვის თავისუფლებას და მოსამართლე N.N.-ისთვის არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ მიკუთვნებული კომპენსაცია არათანაზომიერი იყო.

პირველ ყოვლისა სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო განცხადებები არ ეხებოდა მოსამართლე N.N.-ის მიერ სამოსამართლეო უფლებამოსილებების განხორციელების მეთოდებს, არც მის შესაძლებლობას - გამოეტანა გადაწყვეტილება ან მასთან დაკავშირებულ ქცევას. აღნიშნული განცხადებები ეხებოდა მოსამართლე N.N.-ის კაერიერულ გზას მართლმსაჯულების სისტემაში და შესაბამისად, დაკავშირებული იყო მის მიერ განხორციელებულ ფუნქციებთან, კერძოდ, როგორც მოსამართლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის კუთხით. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სადავო განცხადებები შეფასებებს წარმოადგენდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლებით - ისინი ეყრდნობოდა მედიაში უკვე გამოქვეყნებულ სტატიებს მოსამართლესთან დაკავშირებით. რაც შეეხება სადავო სტატიაში მოცემულ მეტაფორულ გამონათქვამებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს სადავო გამონათქვამების მეტაფორულ ტონზე კომენტირება და არ უმსჯელიათ სტატიის შინაარსზე მთლიანობაში. საბოლოო ჯამში სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩარევა არ იყო

„აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და შესაბამისად დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

საქმე *მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Morice v. France)* [დიდი პალატა], № 29369/10, ECHR 2015⁵⁴, ეხებოდა ადვოკატის მსჯავრდებას პრესაში გამოქვეყნებული გამომძიებელი მოსამართლეების მიმართ ცილისწამებლური კომენტარებისთვის. ეს გამომძიებელი მოსამართლეები ჩამოაშორეს მოსამართლე ბერნარდ ბორელის გარდაცვალების სასამართლო გამოძიების საქმეს. მომჩვანი ამტკიცებდა, რომ ცილისწამებაში თანამონაწილეობისთვის მისი მსჯავრდებით დაირღვა მისი უფლება კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებაზე. სადავო არ იყო, რომ მომჩვნის ეს მსჯავრდება მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენდა, როგორც ამას კანონი ითვალისწინებდა და ემსახურებოდა სხვების რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, მიიჩნია რა რომ ცილისწამებაში თანამონაწილეობისთვის მომჩვნის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება მიჩნეულიყო გამოხატვის თავისუფლებაზე უფლებაში არათაზომიერ ჩარევად და შესაბამისად არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მე-10 მუხლის მიზნებისთვის.

საქმე *როდრიგეს რაველო ესპანეთის წინააღმდეგ (Rodriguez Ravelo v. Spain)*, № 48074/10, 12 იანვარი, 2016 წ., ეხებოდა ადვოკატის წერილობით საჩვარში ასახულ გამონათქვამებს, რომელიც შეიცავდა შეფასებით მსჯელობას მოსამართლის შესახებ და ბრალს დებდა მას უკანონო ქმედებებში. მომჩვანი მის მსჯავრდებას და სასჯელის გამოყენებას ასაჩივრებდა არათანაზომიერების საფუძვლით. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა. მომჩვნის მსჯავრდება და სასჯელი კანონით იყო გათვალისწინებული და მის გამოხატვის უფლებაში ჩარევა ემსახურებოდა რაიონული მოსამართლის რეპუტაციისა და უფლებების დაცვის და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნების ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის სისხლის სამართლებრივ მსჯავრდებას ქონდა პოტენციური მსუსხავი ეფექტისა ადვოკატებზე. შესაბამისად, ესპანეთის სისხლის სამართლის სასამართლოებმა ვერ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნების საჭიროებასა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის საჭიროებას შორის. ადვოკატისთვის დაკისრებული სასჯელი არ იყო ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი და შესაბამისად არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქმე *სტეური ნიდერლანდების წინააღმდეგ (Steur v. the Netherlands)*, № 39657/98, ECHR 2003-XI, ეხებოდა დისციპლინური ტრიბუნალის გადაწყვეტილებას, რომლითაც ადვოკატს ეკრძალებოდა სამართალწარმოებისას იმის მტკიცება, რომ სოციალური-უზრუნველყოფის გამომძიებელი მიუღებელ ზეწოლას ახორციელებდა მის კლიენტზე კონკრეტული ჩვენების მისაღებად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა

⁵⁴ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-178119>

სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის განცხადებები საჯარო მოსამსახურის დისკრედიტაციზე იყო მიმართული, თუმცა დასაშვები კრიტიკის ფარგლები საჯარო მოსამსახურესთან მიმართებით, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა უფრო ფართო იყო, ვიდრე კერძო პირებთან მიმართებით. კრიტიკა სასამართლო დარბაზში დარჩა და არ უტოლდებოდა პირად შეურაცხყოფას. დისციპლინური ორგანოების წარმომადგენლებს არ უცდიათ იმის დადგენა, მომჩივნის ბრალდებები სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა, თუ კეთილსინდისიერი მოქმედების ფარგლებში გაკეთდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია ადვოკატის მიმართ დისციპლინურ ტიბუნალს რაიმე სახის სანქცია არ გამოუყენებია, კლიენტისგან მტკიცებულებების მოპოვების ფორმის მომჩივნის მიერ გაკრიტიკების *ex post facto* გადასინჯვის მუქარა კლიენტის ინტერესების დაცვის ადვოკატის ვალდებულებასთან არათავსებადია და შესაძლოა მის პროფესიულ საქმიანობაზე დამაზიანებელი ზეგავლენა ქონდეს.

საქმეზე *კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Kyprianou v. Cyprus)* [დიდი პალატა], № 73797/01, ECHR 2005-XIII⁵⁵ ადვოკატს შეეფარდა საპატიმრო სასჯელი სასამართლოს უპატივცემულობისთვის. ის ამტკიცებდა, რომ მოსამართლეები, რომელთა წინაშეც ის ჯვარედინ დაკითხვას წარმართავდა, საუბრობდნენ ერთმანეთში და ერთმანეთს წერილობითბარათებს გადასცემდნენ (რავასაკიას, რაც შესაძლოა ნიშნავდეს როგორც „სასიყვარულო ბარათს“, ისე „მოკლე წერილობითი შეტყობინება, როგორც წესი არასასიამოვნო ხასიათის“). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის კომენტარები, მართალია უპატივცემულობის გამომხატველი იყო, თუმცა ეხებოდა მხოლოდ მოსამართლეების მიერ განსახილველი საქმის წარმართვის სტილს. შეფარდებული სასჯელი იყო დასახული მიზნის არათანაზომიერი იყო და შესაძლოა ქონოდა „მსუსხავი ეფექტი“ იგივე მდგომარეობაში მყოფ ადვოკატებზე. ამასთან, საპატიმრო სასჯელის გამოყენება მოხდა რა დაუყოვნებლივ, სასამართლოს უპატივცემულობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების პროცედურული უსამართლობა მხოლოდ ამდგურებდა დასახულ მიზანსა და მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას შორის არათანაზომიერებას. დიდმა პალატამ დაასკვნა რომ კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა.

საქმეზე *ფუქსი გერმანიის წინააღმდეგ (Fuchs v. Germany)* (განჩინება), №29222/11 და №64345/11, 27 იანვარი, 2015 წ., ადვოკატი ჩიოდა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი და დისციპლინური სანქციების გამოყენების თაობაზე, რაც მას დაეკისრა სხვა ქმედებებთან ერთად, თავისი კლიენტის ინტერესების დაცვისას პროკურატურის ექსპერტის მიმართ ცილისმწამებლური განცხადებებისთვის. სასამართლომ მომჩივნის საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით მიუღებლად გამოაცხადა, აშკარა დაუსაბუთებლობის საფუძველით. კერძოდ კი მან აღნიშნა, რომ განმცხადებლისთვის დაკისრებული სანქციები წარმოადგენდა ჩარევას

⁵⁵ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145543>

მის გამოხატვის თავისუფლებაში. ამავდროულად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს სანქციები კანონით იყო განსაზღვრული - ეფუძნებოდა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსსა და იურიდიული პროფესიების კოდექსს; და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ კი ფიცდადებული ექსპერტის რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. უფრო მეტიც, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ გამოყენებული სანქციები აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონვენციის მე-10 მუხლის მიზნებისთვის.

4.2. პირადი მონაცემების შეგროვება და მათზე წვდომა

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრება არ შეიძლება შემოიფარგლოს „შიდა წრით“. ის მოიცავს ურთიერთობას გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრება ასევე მოიცავს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, მათ შორის სამსახურებრივ ურთიერთობასაც.⁵⁶ ყოველდღიურ ცხოვრებაში პირს უწევს გარკვეული საქმიანობის წარმართვა, ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, საზოგადოების სხვა წევრებთან, რაც ასევე ექცევა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების სფეროში.⁵⁷

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ასეთი ურთიერთობების შესახებ ან ადამიანის სხვა პირადი მონაცემების სისტემატურად შეგროვება და შენახვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა, რაც ჯეროვნად უნდა იქნეს გამართლებული და დასაბუთებული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. ანალოგიური ვალდებულებები ეკისრება ხელისუფლების ორგანოებს, თუნდაც პირადი მონაცემები შეგროვებული იყოს საჯარო ადგილებში,⁵⁸ ეხებოდეს ექსკლუზიურად პირის პროფესიულ ან საჯარო საქმიანობას,⁵⁹ ეხებოდეს პირის გადაადგილების მარშრუტს ან მის ადგილსამყოფელს,⁶⁰ ასევე გულისხმობდეს პირის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას თუნდაც უახლოესი სისხლით ნათესავისათვის,⁶¹ ან იყოს პირის ბიოლოგიური იდენტიფიცირების საშუალება.⁶²

⁵⁶ ნიმიეტი გერმანიის წინააღმდეგ (*Niemietz v. Germany*), 16 დეკემბერი, 1992, § 29, Series A no. 251-B-ე პარაგრაფი ; ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Halford v. the United Kingdom*), 25 ივნისი, 1997, § 42-46, Reports of Judgments and Decisions 1997-III.

⁵⁷ პერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Perry v. the United Kingdom*), № 63737/00, § 36, ECHR 2003-IX (ამონარიდები); პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Peck v. the United Kingdom*), № 44647/98, §57, ECHR 2003-I.

⁵⁸ პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Peck v. the United Kingdom*), № 44647/98, § 56, ECHR 2003-I -ე პარაგრაფი .

⁵⁹ ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Amann v. Switzerland*), [დიდი პალატა], № 27798/95, § 65-67, ECHR 2000-II; როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Rotaru v. Romania*), [დიდი პალატა], № 28341/95, § 43-44, ECHR 2000-V.

⁶⁰ უზუნი გერმანიის წინააღმდეგ (*Uzun v. Germany*), №35623/05, §51-53, ECHR 2010 (extracts).

⁶¹ ოდივერი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Odievre v. France*), [დიდი პალატა], № 42326/98, ECHR 2003-III.

⁶² S. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*S. and Marper v. the United Kingdom*), [დიდი პალატა], №30562/04 და №30566/04, ECHR 2008.

4.2.1. პირადი მონაცემები სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში

საქმეზე, *პერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Perry v. the United Kingdom)*, № 63737/00, ECHR 2003-IX (ამონარიდები), მომჩივანი დააკავეს ტაქსის მძღოლების მარცვისათვის და გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ გამოცხადდებოდა ამოცნობის პროცედურაზე. მიუხედავად ამისა, იგი რამდენჯერმე არ გამოცხადდა ამოცნობის პროცედურაზე, თუმცა, ვინაიდან ცოტა ხანში იგი სხვა რამეზე დააკავეს, პოლიციამ მიიღო გადაწყვეტილება, ამოცნობის მიზნით, მოეხდინათ მისი ვიდეოგადაღება და საპატიმრო დაწესებულებიდან გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, როგორც მას განუმარტეს, ჩვენების მისაცემად, რა დროსაც მოხდა მისი ვიდეოჩაწერა, საპატიმრო საკანში დამონტაჟებული ვიდეოკამერის მეშვეობით. ჩანაწერის საფუძველზე მოგვიანებით ჩატარდა ამოცნობა, თუმცა ამის შესახებ არც მომჩივანს და არც მის ადვოკატს ინფორმაცია არ მიუღიათ. შესაბამისად, მომჩივანი ასაჩივრებდა ფარული ვიდეოგადაღების ფაქტს მისი იდენტიფიცირების მიზნით და ამ ვიდეოჩანაწერის მის წინააღმდეგ გამოყენებას პროკურატურის მიერ. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სახელმწიფო აცხადებდა, რომ მომჩივნის ვიდეოგადაღება მოხდა პოლიციის განყოფილებაში მდებარე საპატიმრო საკანში, რაც არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო პირად სივრცედ. მთავრობა ასევე უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ კამერა იქ ზოგადად იყო დამონტაჟებული და აწარმოებდა ვიდეოგადაღებას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, მომჩივანს უნდა სცოდნოდა, რომ მისი გადაღებაც მოხდა და არ უნდა ჰქონოდა არანაირი მოლოდინი, რომ ეს ჩანაწერი არ გასაჯაროვდებოდა. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: ის გარემოება, რომ პოლიციამ მოიწვია სპეციალურად ტექნიკოსი, რათა აღნიშნული ჩანაწერი ყოფილიყო მაღალი ხარისხის, მოგვიანებით მომჩივნის გამოსახულება ჩასვა ვიდეოჩანაწერში, რომელიც გამოყენებულ იქნა ვიდეოამოცნობისათვის, მიუთითებდა იმაზე, რომ პოლიციის ეს ხრიკი გასცდა მსგავსი კამერების ჩვეული მიზნით ფუნქციონირებას. ვიდეოკადრების მუდმივი ჩანაწერების კეთება, მათი დამონტაჟება და შემდგომ გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს მომჩივნის პირადი მონაცემების შეგროვებად და დამუშავებად. სასამართლომ, ამავდროულად, განაცხადა, რომ ჩარევა მოსაჩელის პირად ცხოვრებაში არ იყო კანონიერი. კერძოდ, პოლიციის მიერ განხორციელებული ქმედება არ იყო სათანადო საკანონმდებლო აქტის/კოდექსის შესაბამისი, მათ არ ჰქონდათ მოპოვებული მომჩივნის თანხმობა ვიდეოჩანაწერის გაკეთებაზე ან მისი გამოყენების თაობაზე, ისევე როგორც არ მომხდარა მისი ინფორმირება იმის თაობაზე, რომ გაკეთდა მსგავსი ჩანაწერი.

საქმეზე, „ს“ და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*S. and Marper v. the United Kingdom*), [დიდი პალატა], №30562/04 და №30566/04, ECHR 2008, ორი მომჩივანი აცხადებდა, რომ მას შემდეგ, რაც ერთის შემთხვევაში საქმე დასრულდა გამამართლებელი განაჩენით, ხოლო მეორის შემთხვევაში შეწყდა გამოძიება, მათი თითის ანაბეჭდები, უჯრედისა და დნმ-ის ნიმუშები მონაცემთა ბაზაში მაინც დარჩა. ორივემ მოითხოვა მათი განადგურება, თუმცა უშედეგოდ.

სასამართლომ განაცხადა, რომ სამივე კატეგორია – თითის ანაბეჭდები, უჯრედისა და დნმ-ის ნიმუშები – განეკუთვნება კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პერსონალური მონაცემების კატეგორიას, ვინაიდან იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სასამართლომ განაცხადა, რომ ამ საქმეში იგი შეაფასებდა არა ზოგადად მსგავსი პერსონალური ინფორმაციის ლეგიტიმურობის საკითხს, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას, არამედ იმ პირის მონაცემების შენახვისა და დაცვის საკითხს, რომლის მიმართ არ დადგენილა დანაშაული. სასამართლომ განაცხადა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგანაც გაუმართლებელი იყო, სამართალდამცავი ორგანოების ბაზაში შენახული ყოფილიყო ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც არ იყვნენ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულნი/მსჯავრდებულნი. უფრო მეტიც, ამგვარი ჩარევა მომჩივნების მომჩივნების პირად ცხოვრებაში არ შეიძლებოდა შეფასებულიყო როგორც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ, ვინაიდან საინფორმაციო ბანკში თითის ანაბეჭდების, დნმ-ისა და უჯრედის ნიმუშების შენახვა ხდებოდა განურჩევლად ყველას მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ რა სიმძიმის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი პირს, არ იყო დაცული ბალანსი სახელმწიფო და კერძო ინტერესებს შორის.

საქმეზე, *პერუზო და მარტენსი გერმანიის წინააღმდეგ (Peruzzo and Martens v. Germany)*, (განჩინება), №7841/08 და №57900/12, 4 ივნისი, 2013, მომჩივნების ექვმიტანილები იყვნენ მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ისინი აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან პოლიციამ მოახდინა მათი უჯრედული და დნმ-ის მასალის აღება-შენახვა მონაცემთა ბაზაში, რათა მომხდარიყო მომავალი შესაძლო დანაშაულებისას პირის იდენტიფიცირება, რაც ხელს შეუწყობდა სისხლის სამართლის გამოძიებას.

სასამართლომ ეს სარჩელი დაუშვებლად ცნო და განაცხადა, რომ ის დაუსაბუთებელი იყო. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ დნმ-ის მასალის შენახვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიების საქმეში. განსხვავებით საქმისაგან, *ს. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (S. and Marper v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], №30562/04 და №30566/04, ECHR 2008, რომელშიც გაერთიანებული სამეფოს მხრიდან მსგავსი მასალის შენახვა ბლანკეტური ნორმა იყო და რომელშიც სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, ამ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიყენა იგივე მიდგომა რამდენიმე გარემოების გამო. კერძოდ: პირველი, სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, დნმ-ის ნიმუშები შეიძლება აღებული, დამუშავებული და დაცული ყოფილიყო მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებმაც

შეიძლება მომავალში სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს; მეორე, ეროვნულმა სასამართლოებმა საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნეს იმ გარემოებაზე, რომ ორივე მომჩივნის შემთხვევაში არსებობდა დიდი ალბათობა, ისინი მომავალშიც გაიმეორებდნენ მსგავს ქმედებას. ამავდროულად, ეროვნული კანონმდებლობა მოიცავდა ზეწოლისა და მონაცემების უკანონო გამოყენებისაგან შესაბამისი დაცვის გარანტიებს და, ბოლოს, დნმ-ის მონაცემების მოპოვება, დამუშავება და შენახვა, – იმ პირების მიმართ, რომელთაც მიაღწიეს გარკვეულ ზღვარს, – აკმაყოფილებდა კონვენციის მოთხოვნებს და მასში დაცული იყო სამართლიანი ბალანსი საჯარო და პირად ინტერესს შორის.

საქმეებზე, *B.B. საფრანგეთის წინააღმდეგ (B.B. v. France)*, №5335/06, 17 დეკემბერი, 2009, *გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ (Gardel v. France)*, №16428/05, ECHR 2009 და *M.B. საფრანგეთის წინააღმდეგ (M.B. v. France)*, №22115/06, 17 დეკემბერი, 2009, მომჩივნები იყვნენ პირები, რომლებსაც მიესაჯათ პატიმრობა 15 წლის მცირეწლოვნის გაუპატიურების გამო. მსჯავრდების შემდგომ მომჩივანთა პირადი მონაცემები შეტანილ იქნა სექსუალურ მოძალადეთა ეროვნულ მონაცემთა ბაზაში.

ამ სამ საქმეში, ევროპული სასამართლოს განცხადებით, არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მიიჩნია, რომ სექსუალურ მოძალადეთა ეროვნულ მონაცემთა ბაზაში პირების შეყვანისას დაცული იყო სამართლიანი ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. სასამართლომ ამ საქმეში გაიმეორა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა პირმა სრულად მოახდინოს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზება, მით უმეტეს, როდესაც ასეთი მონაცემების ავტომატური დამუშავება ხდება, თუნდაც ეს პოლიციის მიერ დანაშაულის პრევენციას ისახავდეს მიზნად. ამავდროულად, სასამართლომ განაცხადა, რომ ის კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებდა ამ მონაცემთა ბაზის პრევენციულ მიზნებს. სექსუალური მოძალადეები განეკუთვნებიან კონკრეტულ კატეგორიას და სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მათგან დაიცვას ბავშვები და სხვა მოწყვლადი პირები. ამავდროულად, ამგვარი მონაცემების კონსერვაციის მაქსიმუმ 30-წლიანი ვადა, ამ ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო არაპროპორციულად. ამასთანავე, ეროვნული კანონმდებლობა იძლეოდა საშუალებას, გასაჩივრებელიყო მსგავსი ინფორმაციის არსებობა მონაცემთა ბაზაში და, ამავდროულად, სასამართლოს, პოლიციისა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მათი გამოყენება ყოფილიყო შეზღუდული და კანონმდებლობით მკაცრად რეგლამენტებული.

საქმეზე, *დიმიტროვ-კაზაკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Dimitrov-Kazakov v. Bulgaria)*, №11379/03, 10 თებერვალი, 2011 წ., მომჩივნის სახელი შეიტანეს პოლიციის რეგისტრაციის მონაცემთა გაუპატიურების გრაფაში, როგორც მოძალადე, მას შემდეგ, რაც იგი დაიკითხა გაუპატიურების საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბრალი ამ საქმეზე არ დადგენილა. მოგვიანებით, პოლიციამ არაერთხელ შეამოწმა და გაჩხრიკა იგი, მთელი რიგი გაუპატიურებისა და ახალგაზრდა გოგონების გაუჩინარების ფაქტებთან დაკავშირებით. მან გაასაჩივრა მონაცემთა ბაზაში მისი შეყვანის ფაქტი.

იგი უთითებდა კონვენციის მე-8 მუხლზე, ისევე როგორც კონვენციის მე-13 მუხლზე (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების უფლება), ვინაიდან არ არსებობდა ეროვნულ დონეზე საკითხის გასაჩივრების სამართლებრივი საშუალებები.

სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან მომჩივანი შეიყვანეს მონაცემთა ბაზაში კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნების დარღვევით, რადგან მომჩივანს არ წარდგენია ბრალი და მის მიმართ არ ყოფილა გამოტანილი მსჯავრი გაუპატიურებასთან დაკავშირებით.

საქმეზე *შიმოვოლოსი რუსეთის წინააღმდეგ (Shimovolos v. Russia)*, № 30194/09, 21 ივნისი, 2011 წ., ეხებოდა ადამიანის უფლებათა აქტივისტის რეგისტრაციას იმ პირთა მონაცემთა ბაზაში, რომელთა წინააღმდეგ შეიძლება განხორციელებულიყო თვალთვალი. ამ მონაცემთა ბაზაში შეჰყავდათ ე.წ სკინჰედები, ადამიანის უფლებათა დამცველები და ექსტრემისტულ საქმიანობაში შემქნეული პირები; აქ გროვდებოდა ინფორმაცია რუსეთის ტერიტორიაზე ავტომობილით თუ მატარებლით მათი გადაადგილების შესახებ, ასევე მათი დაკავების ფაქტების შესახებ. მატარებლით ერთ-ერთი მგზავრობის დროს, ისევე როგორც დანიშნულების ადგილას ჩასვლის შემდეგ, პოლიციამ არაერთხელ გააჩერა, შეამოწმა და გამოკითხა მომჩივანი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან მსგავსი ქმედება მიიჩნია პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევად. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის ჩანაწერი „კანონის შესაბამისი“ გულისხმობს სამ გარემოებას, კერძოდ: რომ კანონი უნდა არსებობდეს ეროვნულ დონეზე; მეორე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს და შეესაბამებოდეს კონვენციის მოთხოვნებს; და, მესამე, პირებს მასზე უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია. სასამართლოს აზრით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ პირს, რომლის მიმართ მიმდინარეობს ფარული თვალთვალი, უნდა ეცნობოს ამის შესახებ. აღნიშნული გულისხმობს, რომ: კანონმდებლობა უნდა იყოს ნათელი და ადგენდეს, რა შემთხვევაში გამოიყენებოდეს ამგვარი ღონისძიება, უნდა განსაზღვრავდეს ეროვნული ხელისუფლების იმ წარმომადგენლების დისკრეციის ფარგლებს, რომლებიც უფლებამოსილნი იყვნენ მსგავსი პირების შესახებ პირადი ხასიათის ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვაზე. ამავდროულად, სასამართლოს აზრით, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, რა გარემოებებში შეიძლება ისინი დაექვემდებარონ მსგავს ღონისძიებას. რუსეთის კანონმდებლობა ასეთი ბაზის შესახებ არ იყო ხელმისაწვდომი სამოქალაქო საზოგადოებისათვის და არ შეიცავდა ზეწოლისგან დაცვის მინიმალურ სტანდარტებსა და დაცვის გარანტიებს.

საქმეზე *ხელილი შვეიცარიის წინააღმდეგ (Khelili v. Switzerland)*, № 16188/07, 18 ოქტომბერი, 2011, მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ მას შემდეგ, რაც ჟენევაში 1993 წელს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად პოლიციამ აღმოაჩინა მისი სავიზიტო ბარათი წარწერით „ოცდაათ წელს მიტანებული სასიამოვნო, ლამაზი ქალი ისურვებდა მამაკაცთან შეხვედრას სასმელის დასალევად ან პერიოდულად ერთად დროის გასატარებლად ... ტელეფონის ნომერი“, იგი მონაცემთა ბაზაში შეიყვანა, როგორც მეძავი, რასაც მომჩივანი მუდმივად და დაჟინებით უარყოფდა. მოქმედი კანონმდებლობით, პოლიციას შეეძლო ამ მონაცემების შენახვა იმდენი ხნით,

რამდენიც საჭირო იყო სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად. მომჩივანი აცხადებდა, რომ მის შესახებ ცრუ ინფორმაციის შენახვა იყო მისი პირადი ცხოვრებისა და, შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, თუმცა იგი არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა ბაზაში სიტყვა „მეძავი“ მომჩივნის პროფესიის გრაფაში პოლიციამ შეცვალა, არ მომხდარა მისი შეცვლა მომჩივნის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში. გარდა ამისა, პოლიციის მონაცემთა ბაზაში მომჩივნის მიმართ სიტყვა „მეძავის“ გამოყენება არ ყოფილა წლების განმავლობაში დასაბუთებული ან აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ სიტყვის გამოყენებას შეიძლება გამოეწვია მომჩივნის ღირსებისა და რეპუტაციის შელახვა და მისი ყოველდღიური ცხოვრების გართულება. გათვალისწინებული იყო ასევე ის გარემოებაც, რომ ეს მონაცემები შეიძლება გადასცემოდა სხვა სახელმწიფო სტრუქტურას. შესაბამისად, მომჩივანი დაინტერესებული იყო, რომ სიტყვა „მეძავი“ ამოღებულიყო მონაცემებიდან.

4.2.2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პირადი მონაცემები

საქმე *შავ ნე ჟულიენი საფრანგეთის წინააღმდეგ (Chave née Jullien v. France)* (განჩინება), №14461/88, 9 ივლისი, 1991 წ., ეხებოდა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მონაცემებისა და ჩანაწერების შენახვას და უკავშირდებოდა მომჩივნის სავალდებულო (არანებაყოფლობით) მოთავსებას საავადმყოფოში (მკურნალობის მიზნით), რომლის კანონიერება აღიარებულ იქნა ფრანგული სასამართლოს მიერ. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ მისი არანებაყოფლობითი მოთავსების შესახებ მონაცემების სამუდამოდ შენახვა არღვევდა მის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლს და ითხოვდა მათ ამოღებას მონაცემთა ბაზიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაუშვებლად გამოაცხადა საჩივარი მისი დაუსაბუთებლობის გამო. კომისიის აზრით, ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ სახის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა ფსიქიკაშერყეული პაციენტების შესახებ არა მარტო ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, უზრუნველყოფილიყო ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნორმალური ფუნქციონირება, არამედ ასევე მიზნად ისახავდა პაციენტთა უფლებების დაცვას, განსაკუთრებით კი არანებაყოფლობითი მკურნალობის ღონისძიების გატარებისა და საავადმყოფოში მათი მოთავსების დროს.

ამ საქმეში კომისიამ განაცხადა, რომ მომჩივნის შესახებ ინფორმაცია იყო კონფიდენციალური. ეს მონაცემები არანაირად არ იყო ხელმისაწვდომი

საზოგადოებისათვის. დაწესებულების მიღმა მასზე ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების შეზღუდულ წრეს. აქედან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივნის უფლების შეზღუდვა ვერ იქნებოდა მიჩნეული ლეგიტიმური მიზნის – ჯანმრთელობის დაცვის – არაპროპორციულად.

საქმეზე *L.L. საფრანგეთის წინააღმდეგ (L.L. v. France)*, №7508/02, ECHR 2006-XI, მომჩივანი ასაჩივრებდა განქორწინების პროცესში ეროვნული სასამართლოების მიერ მისი სამედიცინო ჩანაწერების გამოყენებას. კერძოდ, განქორწინებისას ბავშვების მეურვეობის საკითხის განხილვის დროს ეროვნული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო სამედიცინო ისტორიას მომჩივნისთვის ელენთის ამოკვეთის შესახებ. მომჩივანი აცხადებდა, რომ ამ დოკუმენტის ასლი არ მიუცია მეუღლისათვის და არც შესაბამისი თანხმობა მიუცია სამედიცინო პერსონალისათვის ამ ინფორმაციის გაცემის შესახებ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა დასაბუთებული არ იყო პირადი მონაცემების დაცვისა და მათი დიდი მნიშვნელობის საფუძველზე. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ სამედიცინო ხასიათის პერსონალური მონაცემები განსაკუთრებულად არის დაცული მე-8 მუხლით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი გარანტიების არსებობა სამედიცინო ხასიათის პერსონალური მონაცემების ისეთი გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, რაც არ შეესაბამება კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს. ცხადია, განქორწინების საკითხი განეკუთვნება წყვილის პირად ცხოვრებას. შესაბამისად, მომჩივანთა ინტერესების აწონ-დაწონისა და შესაბამისი დასკვნის გაკეთებისას სასამართლომ იმსჯელა იმ გარემოებებზე, რომლებიც ადამიანების პირადი ცხოვრების სფეროში ხვდებოდა. ევროპული სასამართლოს აზრით, საფრანგეთის სასამართლომ არაჯეროვნად გამოიყენა ზემოაღნიშნული სამედიცინო ჩანაწერი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებლად, მით უფრო, რომ იმავე გადაწყვეტილებისა და დასკვნის გაკეთება შესაძლებელი იყო ზემოაღნიშნული სამედიცინო დასკვნის გარეშეც. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავდა პაციენტთა პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გასაჯაროებისაგან დაცვის ეფექტიან გარანტიებს.

საქმე *Z. ფინეთის წინააღმდეგ (Z. v. Finland)*, 25 თებერვალი, 1997, ეხებოდა მომჩივნის პერსონალური ინფორმაციის გამხელას, რომელიც უკავშირდებოდა მის აივ-დადებით დიაგნოზს. ეს ინფორმაცია გამჟღავნდა მისი მეუღლის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან მომჩივნის სახელისა და გვარის, ისევე როგორც დიაგნოზის მოხსენიება სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომელიც პრესისათვის იყო ხელმისაწვდომი, არ იყო აუცილებლობით განპირობებული. ამასთანავე, ამ ინფორმაციის გამოქვეყნებამ გამოიწვია მომჩივნის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა. სასამართლომ მიუთითა, რომ პირის ჯანმრთელობის მონაცემების კონფიდენციალურობა სასიცოცხლო პრინციპია კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნის

სამართლებრივ სისტემაში. სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სათანადო გარანტიებს, ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემების ისეთი გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება შეუსაბამო იყოს კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან.

საქმე *M.S. შვედეთის წინააღმდეგ (M.S. v. Sweden)*, 27 აგვისტო, 1997 წ., ეხებოდა ინფორმაციის გაცვლას კლინიკასა და სოციალური დაზღვევის ორგანოს შორის. კერძოდ, მომჩივანმა ორსულობისას დაიზიანა ხერხემალი. სამედიცინო მომსახურების მიღების შემდეგ იგი გარკვეული პერიოდით შრომისუუნარო გახდა, რის გამოც დაენიშნა დროებითი შეზღუდული შესაძლებლობის პენსია. მოგვიანებით, მომჩივანმა მოითხოვა კომპენსაცია სამრეწველო ტრავმისათვის. სწორედ ამ დროს შედგა კომუნიკაცია კლინიკასა და სოციალური დაზღვევის ორგანოს შორის, რა დროსაც ოფისს გადაეცა გარკვეული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ტკივილები, რომლებიც მომჩივანს აწუხებდა, გამომდინარეობდა არა საწარმოო ტრავმიდან, არამედ იყო აბორტის შემდგომი. მომჩივანი აცხადებდა, რომ ამ ინფორმაციის მიწოდებამ სადაზღვევო ორგანოსათვის გამოიწვია მის მიმართ მე-8 მუხლის დარღვევა.

სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან აბორტის შესახებ ინფორმაციის გადაცემა აუცილებელი იყო, რათა სოციალური დაზღვევის ორგანოს განესაზღვრა, აკმაყოფილებდა თუ არა მომჩივანი საწარმოო ტრავმის საფუძველზე კომპენსაციის მიღების კრიტერიუმებს. ეს კი მიზნად ისახავდა სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვას.

საქმეზე *პანტელეიენკო უკრაინის წინააღმდეგ (Panteleyenko v. Ukraine)*, №11901/02, 29 ივნისი, 2006⁶³, მომჩივანი, რომელსაც ეროვნულ დონეზე ჰქონდა დავა ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელთან, ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ატესტაციის დროს კოლეჯის დირექტორმა რამდენიმე არაეთიკური მინიშნება გააკეთა მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ. მომჩივანმა ეროვნულ სასამართლოს წარუდგინა დასკვნა, რომ არანაირი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა მას არ ჰქონია. მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ეროვნულმა სასამართლომ გამოითხოვა ოფიციალური ინფორმაცია ფსიქიატრიული კლინიკიდან მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ, საიდანაც სასამართლოს ოფიციალურად ეცნობა, რომ მომჩივანი გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადიოდა მკურნალობას კონკრეტულ ფსიქიკურ დაავადებასთან დაკავშირებით, თუმცა იგი მოიხსნა აღრიცხვიდან, როგორც პაციენტი, რომელსაც, ხანგრძლივი რემისიის გამო, აღარ აღენიშნებოდა რაიმე სახის დაავადება. ეს ინფორმაცია გასაჯაროვდა მოსამართლის მიერ ღია სხდომაზე. მომჩივანი ასაჩივრებდა სასამართლო სხდომაზე ამ ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელიც უკავშირდებოდა მის სულიერ მდგომარეობასა და ფსიქიკურ მკურნალობას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფსიქიატრიული დაწესებულებიდან მოპოვებული ისეთი კონფიდენციური ინფორმაციის გამჟღავნება

⁶³ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-98972>

ღია სასამართლო მოსმენაზე, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის შესახებ, იყო მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან მსგავსი დეტალების გამჟღავნებას არ შეეძლო, გავლენა მოეხდინა ეროვნული სამართალწარმოების შედეგებზე.

საქმეზე, *ავილკინა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Avilkina and Others v. Russia)*, № 1585/09, 6 ივნისი, 2013, მომჩივნები იყვნენ რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ ადმინისტრაციული ცენტრი რუსეთში და სამი იეჰოვას მოწმე. ისინი ასაჩივრებდნენ მათი სამედიცინო ჩანაწერების გამჟღავნებას რუსეთის პროკურატურისათვის. კერძოდ, სანქტ-პეტერბურგის პროკურატურამ ყველა საავადმყოფოს მოსთხოვა, აღერიცხათ იეჰოვას მოწმეების თითოეული უარი სისხლის გადასხმაზე, ვინაიდან ამ ორგანიზაციის მიმართ მიმდინარეობდა გამოძიება. ამ მითითების საფუძველზე კლინიკამ სანქტ-პეტერბურგის პროკურატურას გაუგზავნა ინფორმაცია სისხლის გადასხმაზე მომჩივნების მომჩივნების უარის გამო. სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია რელიგიური ორგანიზაციისა და ერთ-ერთი მომჩივნის საჩივარი, ვინაიდან ჩათვალა, რომ არ მომხდარა მათი სამედიცინო ჩანაწერების გამჟღავნება. რაც შეეხება დანარჩენ ორ მომჩივანს, სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ მომჩივნები არ იყვნენ არც ეჭვმიტანილები და არც ბრალდებულები რომელიმე სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებაში. პროკურატურამ ზემოაღნიშნული მონაცემების გადაცემა მოითხოვა მომჩივანთა რელიგიური ორგანიზაციის წინააღმდეგ შესული საჩივრების გამო, თუმცა მათზე წარმოების გაგრძელება პროკურატურას შეეძლო ამ ინფორმაციის გარეშეც. სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებშიც მომჩივნებმა გაიარეს სამედიცინო მომსახურება, არ შეუტყობინებიათ პროკურატურის ოფისისათვის რაიმე სახის კრიმინალური ქმედების შესახებ. კერძოდ, სამედიცინო პერსონალს თავისუფლად შეეძლო, მეორე მომჩივნისთვის სისხლის გადასასხმელად, რომელიც მხოლოდ ორი წლის იყო, მიემართათ პროკურატურისათვის და ეთხოვათ სასამართლოს ნებართვა. სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა გადაუდებელი საჯარო ინტერესი მათ შესახებ არსებული პირადი ხასიათის ინფორმაციის გასასაჯაროებლად. მეტიც, ღონისძიებები და ხერხები, რომლებიც გამოიყენა პროკურატურამ, გულისხმობდა პერსონალური და კონფიდენციური ინფორმაციის გამჟღავნებას, არ ითვალისწინებდა არც წინასწარ შეტყობინებას და არც გაპროტესტების საშუალებას მომჩივანთათვის. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ამ საქმეში შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები, რათა დაეცვათ ბალანსი, ერთი მხრივ, მომჩივანთა პირადი ცხოვრების პატივისცემასა და, მეორე მხრივ, პროკურატურის მიზანს შორის, უზრუნველყო საზოგადოების ჯანმრთელობა.

4.2.3. საიდუმლო/პერსონალურ მონაცემებზე წვდომა

საქმე *ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Leander v. Sweden)*, 26 მარტი, 1987, Series A no. 116, ეხებოდა შვედეთის საიდუმლო პოლიციის ხელთ არსებულ მასალას მომჩივნის შესახებ, რომელიც მუშაობდა ტექნიკოსის დროებით შემცვლელად საზღვაო მუზეუმში. ეს მუზეუმი მდებარეობდა სამხედრო ბაზის გვერდით, რომელიც გამოცხადებული იყო აკრძალულ ზონად. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს უნდა ემუშავა 10 თვე, პერსონალის საზედამხედველო ორგანოს დასკვნის საფუძველზე იგი ნაადრევად გაათავისუფლეს. მომჩივანი აცხადებდა, რომ მის მიერ განხორციელებული რაიმე ქმედება, პირად თუ პოლიტიკურ სფეროში, არ შეიძლებოდა გამხდარიყო იმის საფუძველი, რომ მისი მონაცემები შეეტანათ თავდაცვის დეპარტამენტის მონაცემთა ბაზაში, როგორც პირისა, რომელიც პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა „ეროვნულ უშიშროებას“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლოს აზრით, არც მომჩივნის პირადი მონაცემების შეტანა შესაბამის ბაზაში და არც ამ მონაცემების შენახვა და, მოგვიანებით, მათი გადაცემა შესაბამისი სამსახურებისათვის არ ხვდებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სადაზვერვო სამსახურების არსებობა და მათი მხრიდან ინფორმაციის შეგროვება შეიძლება იყოს პროპორციული ღონისძიება და გადაწონოს მოქალაქეთა ინტერესები, როდესაც ასეთი ქმედება ემსახურება კანონიერ მიზანს, კერძოდ დანაშაულისა და არეულობის თავიდან აცილებას ან ეროვნული უშიშროების დაცვას. სასამართლომ ასევე აღნიშნა: ის ფაქტი, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მომჩივანს არ გადასცეს მის შესახებ არსებული დასკვნა, არ გულისხმობს, რომ ჩარევა უფლებებში არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების ეროვნული უშიშროებისათვის. ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ შვედეთის პერსონალის კონტროლის სისტემა აკმაყოფილებდა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და რომ შვედეთის მთავრობა უფლებამოსილი იყო, მიეჩნია, რომ ეროვნული უსაფრთხოება უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მომჩივნის კერძო ინტერესები.

საქმეზე *გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaskin v. the United Kingdom)*, 7 ივლისი, 1989, Series A №160, მიხედვით, მომჩივანმა რომელიც მეურვეობის ორგანოში იზრდებოდა, სრულწლოვანების მიღწევისთანავე გადაწყვიტა, მიეღო სრული ინფორმაცია საკუთარი წარსულის შესახებ, კერძოდ, თუ ვინ იყვნენ მისი ბიოლოგიური მშობლები, რა სოციალურ გარემოში იზრდებოდა მეურვეობის ორგანოში მოთავსებამდე და სხვ. ხელისუფლების ორგანოებმა მას უარი განუცხადეს მის შესახებ დაცული დოკუმენტაციის გადაცემაზე იმ საფუძველით, რომ იგი შეიცავდა პერსონალურ და კონფიდენციურ ინფორმაციას.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩივნის მოთხოვნის შემდგომ ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული პროცედურები შესაბამისობაში არ იყო კონვენციით

გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სტანდარტებთან. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირებს აქვთ კონვენციით დაცული მნიშვნელოვანი ინტერესი, მიიღონ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საკუთარი წარსულის გასაგებად. სასამართლომ განაცხადა, რომ საჯარო ჩანაწერების კონფიდენციალობა მნიშვნელოვანია სანდო და ობიექტური ინფორმაციის მისაღებად და, რომ ამგვარი კონფიდენციალობა შეიძლება საჭირო იყოს ასევე მესამე პირების დასაცავად. სახელმწიფოს შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, ბრიტანული სისტემა შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ სისტემებში ინტერესები პირისა, რომელიც ცდილობს საკუთარი პირადი ან ოჯახური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ასევე უნდა იყოს დაცული იმ შემთხვევებში, როდესაც ამ ჩანაწერების გადაცემაზე თანხმობის გამცემი პირის (ამ შემთხვევაში, ბიოლოგიური მშობლის ან მშობლების) მოძიება შეუძლებელია. ეს სისტემა მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებს პროპორციულობის პრინციპს, თუ უზრუნველყოფს, რომ, შესაბამისი პირის (მშობლის) მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის გაცემის საკითხს, საბოლოოდ, დამოუკიდებელი ორგანო (მაგალითად, სასამართლო) წყვეტს. ამ საქმეში კი ასეთი პროცედურა ხელმისაწვდომი არ ყოფილა მომჩივნისთვის.

საქმის *ოდიევრი საფრანგეთის წინააღმდეგ (Odièvre v. France)* [დიდი პალატა], №42326/98, ECHR 2003-III, მიხედვით, ბიოლოგიურმა დედამ უარყო თავისი შვილი (მომჩივანი) და მიაბარა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტს. მომჩივანი აცხადებდა, რომ მას არ ჰქონდა საშუალება, მოეპოვებინა ინფორმაცია/დეტალები, რაც დაეხმარებოდა მას, მოეძებნა თავისი ბიოლოგიური მშობლები. ეს კი, მომჩივნის აზრით, სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მას, ვინაიდან ართმევდა საკუთარი წარსულის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლოს აზრით, დაბადება და ის გარემოებები, რომლებშიც ბავშვი დაიბადა, ბავშვის და, მოგვიანებით კი, ზრდასრული პირის პირადი ცხოვრების ნაწილია, რაც უზრუნველყოფილი და გარანტირებულია კონვენციის მე-8 მუხლით. ამ კონკრეტულ საქმეში მომჩივნის სახელმწიფომ მისცა შესაძლებლობა, გასცნობოდა ინფორმაციას, რომელიც არ ახდენდა ბიოლოგიური დედის იდენტიფიცირებას. სასამართლოს აზრით, ხელისუფლების ორგანოებმა დაიცვეს მესამე პირის (ბიოლოგიური დედის) ინტერესები. დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წელს, იძლეოდა საშუალებას, მოხსნილიყო კონფიდენციალობა. საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოებმა შექმნეს სპეციალიზებული ორგანო, რომელიც ეხმარებოდა პირებს, მოეძიათ ინფორმაცია საკუთარი ბიოლოგიური წარმომავლობის შესახებ. სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანს შეეძლო, ესარგებლა ამ კანონმდებლობით და მოეთხოვა დედის იდენტობისა და ვინაობის გამჟღავნება, რაც ჯეროვნად დააბლანსებდა სახელმწიფოსა და კერძო ინტერესებს. ამავდროულად, მსგავსი

ორგანოს შექმნით ფრანგული კანონმდებლობა ცდილობდა, დაეცვა სამართლიანი ბალანსი ორ ინტერესს შორის.

საქმე *გოდელი იტალიის წინააღმდეგ (Godelli v. Italy)*, №33783/09, 25 სექტემბერი, 2012 ეხებოდა ბავშვის დაბადების შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას და შესაბამისი პირის, რომელზეც უარი თქვა ბიოლოგიურმა დედამ, უფლებას, მოეძიებინა ინფორმაცია საკუთარი წარმოშობის შესახებ. მომჩივანი აცხადებდა, რომ, რადგან სახელმწიფოს სურდა მესამე პირის ინტერესების დაცვა, ის აზიანებდა მომჩივანსა და მის ინტერესებს, ვინაიდან მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, სცოდნოდა პირადი ისტორია, წარსული და გამოკვლევა საკუთარი წარმომავლობა.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება, ვინაიდან იტალიის კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა ამ ორ ინტერესს (ბავშვის ინტერესს, მიელო ინფორმაცია საკუთარი მშობლებისა და წარსულის შესახებ და ბიოლოგიური დედის ინტერესს, არ გაემჟღავნებინა პირადი ინფორმაცია) შორის ბალანსის დაცვას. სასამართლოს დასკვნით, იტალიის კანონმდებლობა ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც ბიოლოგიური დედა იღებდა გადაწყვეტილებას, არ გაესაჯაროებინა და გაცხადებინა თავისი იდენტობა, ბავშვს, რომელიც არ იყო ფორმალურად აღიარებული და იყო გაშვილებული, არ აძლევდა საშუალებას, გამოეთხოვა და მიელო ინფორმაცია ბიოლოგიური მშობლის შესახებ.

საქმეზე *როში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Roche v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], №32555/96, ECHR 2005-X, მომჩივანი გაათავისუფლეს ბრიტანეთის არმიიდან 1960 წლის მიწურულს. 1980 წელს მას განუვითარდა მაღალი არტერიული წნევა, მოგვიანებით კი, ბრონქიტი და ბრონქიალური ასთმა. იგი დაარეგისტრირეს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. სამედიცინო დასკვნაში, რომელიც საფუძვლად დაედო სტატუსის მინიჭებას, მითითებული იყო, რომ ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია მისმა მონაწილეობამ წიწაკისა და ნერვული აირების ცდებში, რომელიც ტარდებოდა ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში 1960 წელს. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ მას არ ჰქონდა წვდომა სათანადო და საჭირო ინფორმაციაზე, რომელიც მისცემდა საშუალებას, შეეფასებინა ამ ცდებში მონაწილეობის მისთვის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლოს აზრით, მთლიანობაში გაერთიანებულმა სამეფომ ვერ შეასრულა საკუთარი პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყო მომჩივანი ეფექტიანი პროცედურებით, რაც მას მისცემდა საშუალებას, ჰქონოდა წვდომა ყველა სათანადო და საჭირო ინფორმაციაზე, რათა შეეფასებინა ნებისმიერი შესაძლო საფრთხე, რომელიც ამ ცდებში მის მონაწილეობას უკავშირდებოდა. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მომჩივნის მდგომარეობაში მყოფ პირს არ უნდა სჭირდებოდა დამატებითი სამართლებრივი დავა, რათა მიიღოს მსგავსი ინფორმაცია. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის შესახებ გამოკვლევები და საინფორმაციო მომსახურება დაიწყო ჩატარებული ცდებიდან ათი წლის შემდეგ, მხოლოდ მაშინ, როცა მომჩივანი შეეცადა, დამოუკიდებლად მოეძიებინა ჩანაწერები და მან ამ ინფორმაციის მიღების თაობაზე მოთხოვნა წარადგინა სასამართლოში.

საქმეზე *K.H. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ (K.H. and Others v. Slovakia)*, № 32881/04, ECHR 2009 (ამონარიდები) მომჩივანი რვა ბოშა ქალი აცხადებდა, რომ ვერ ახერხებდნენ ბავშვის ჩასახვას ორი სხვადასხვა ჰოსპიტლის გინეკოლოგიურ დეპარტამენტში მომსახურების მიღების შემდეგ. მათ გაუჩნდათ ეჭვი, რომ ჰოსპიტალში ყოფნის დროს მოხდა მათი სტერილიზაცია. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩივნებს მომჩივანს არ აძლევდნენ უფლებას, მოეხდინათ საკუთარი სამედიცინო ჩანაწერების ასლების გადაღება. სასამართლომ განაცხადა, რომ ის პირები, მომჩივნები რომლებსაც სურდათ მათი პირადი ინფორმაციისა და მონაცემების ამსახველი დოკუმენტების ასლების გადაღება, არ იყვნენ ვალდებული, დაესაბუთებინათ, რაში სჭირდებოდათ მათ ეს ასლები. პირიქით, როგორც სასამართლომ განაცხადა, მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო არის ვალდებული, დაასაბუთოს და ახსნას ის მიზეზები, რომელთა გამოც ეკრძალება ამა თუ იმ პირს მსგავსი ინფორმაციის მიღება. ვინაიდან მომჩივნებს მომჩივნებს დასჭირდათ სასამართლო ბრძანებების მოპოვება საკუთარი სამედიცინო ჩანაწერების გასაცნობად, და მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, გაეკეთებინათ სამედიცინო ჩანაწერების ფოტოები და ასლები, ევროპულმა სასამართლომ ეს მათი უფლებების დარღვევად მიიჩნია. სამედიცინო მონაცემების უკანონოდ გამოყენების რისკის თავიდან ასაცილებლად გონივრული იქნებოდა, სახელმწიფოს მოეხდინა საკანონმდებლო დაცვის გარანტიების ისე ფორმულირება, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა, ვისთვის და რა შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი ამ მონაცემების გამჟღავნება; ამავე დროს, სასამართლომ განაცხადა, რომ 2004 წელს მიღებული კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სრულად შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის გვიან იქნა მიღებული, ზემოაღნიშნულ სიტუაციაზე რაიმე გავლენა რომ მოეხდინა.

საქმეზე *ჰარალამბიე რუმინეთის წინააღმდეგ (Haralambie v. Romania)*, № 21737/03, 27 ოქტომბერი, 2009 წ., მომჩივანი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ირღვეოდა მისი უფლება, გასცნობოდა კომუნიზმის პერიოდში საიდუმლო სამსახურების მიერ მის შესახებ შექმნილ პირად დოკუმენტებს.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩივანი შეეზღუდა შესაძლებლობა, გასცნობოდა კომუნისტური რეჟიმის დროს მის შესახებ შექმნილ საიდუმლო მასალას. სასამართლოს აზრით, ვერც მასალების რაოდენობა და ვერც საარქივო სისტემის ხარვეზები ვერ ასაბუთებდა ამ ინფორმაციის მიღებაზე უარს, რაც გრძელდებოდა ექვსი წლის განმავლობაში. ამ საქმეში სასამართლომ დაადასტურა, რომ პირებს, რომლებზეც სახელმწიფო სტრუქტურები აგროვებენ ინფორმაციას, აქვთ სასიცოცხლო ინტერესი, ჰქონდეთ წვდომა ამ ინფორმაციაზე. სასამართლომ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო, ამ პირებს ჰქონოდათ წვდომა, ხოლო სახელმწიფო ორგანოებს ვალდებულება, შეემუშავებინათ ეფექტიანი პროცედურები მსგავს ინფორმაციაზე პირების ხელმისაწვდომობის მიზნით.

4.2.4. ინფორმაციის განადგურება

საქმეზე *როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ (Rotaru v. Romania)* [დიდი პალატა], № 28341/95, ECHR 2000-V, მომჩივანი აცხადებდა, რომ შეუძლებელი იყო მოთხოვნის დაყენება იმ ინფორმაციის განადგურების შესახებ, რომელიც ინახებოდა მასზე რუმინეთის სადაზვერვო სამსახურში კომუნისტური რეჟიმის დროიდან მოყოლებული და რომელიც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან რუმინეთის სადაზვერვო სამსახურის მიერ მომჩივნის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის შენახვა არ იყო კანონის შესაბამისი. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ საჯარო ინფორმაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირად ინფორმაციად, თუ სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან ხდება მისი სისტემატიური მოგროვება, დამუშავება და შენახვა, მით უფრო, როდესაც ეს ინფორმაცია ეხება პირის შორეულ წარსულს. სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობდა ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა, თუ რა ტიპის ინფორმაციის დაფიქსირება იყო შესაძლებელი, ისევე, როგორც არ განსაზღვრავდა პირთა კატეგორიას, რომლის მიმართ ასეთი მეთვალყურეობის ღონისძიებების გამოყენება შეიძლებოდა; ამას გარდა, კანონი არ ადგენდა დროის მონაკვეთს, რომლის შემდეგაც ეს ინფორმაცია უნდა განადგურებულიყო ან რამდენი ხნით უნდა შენახულიყო; და ბოლოს, კანონმდებლობაში არ იყო ნათელი დებულება იმ პირთა კატეგორიის შესახებ, რომელთაც ჰქონდათ ამ მასალის გაცნობის უფლება; ის ასევე არ განსაზღვრავდა მოპოვებული ინფორმაციის გამოყენების/გადაცემის პროცედურას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რუმინეთის კანონმდებლობა მკაფიოდ არ ადგენდა საჯარო მოხელეების უფლებამოსილებისა და დისკრეციის ფარგლებს. ამ საქმეში სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, ვინაიდან მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა, მოეთხოვა მის შესახებ არსებული ინფორმაციის განადგურება.

4.3 პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტები

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს იმდენად მრავალფეროვანი

ურთიერთობა აქვს, რომ შეუძლებელია, სასამართლომ განსაზღვროს ყველა ის ურთიერთობა, რომლებიც ექცევა პირადი ცხოვრების სფეროში.⁶⁴

ზოგადად, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებმა აღიარეს გარდაცვლილი პირის უახლოესი ნათესავის უფლებები გარდაცვლილთან მიმართებით; ასევე აღიარებულ იქნა, რომ უახლოესი ნათესავის თანხმობის გარეშე დაუშვებელია გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალის გამოყენება.

საქმეებზე *პანულო და ფორტე საფრანგეთის წინააღმდეგ (Pannullo and Forte v. France)*, № 37794/97, §35-36, ECHR 2001-X, და *ჟირარდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Girard v. France)*, № 22590/04, § 107, 30 ივნისი, 2011 წ., სასამართლომ აღიარა, რომ გაკვეთის შემდეგ გვამის, ან, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, სხეულის ნაწილების ოჯახის წევრებისათვის დაბრუნების გაჭიანურება შეიძლება იყოს როგორც მათ პირად, ისე ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა. საქმეზე – *ელი პოლუჰას დოდბსო შვედეთის წინააღმდეგ (Elli Poluhas Dödsbo v. Sweden)*, № 61564/00, § 24, ECHR 2006-I – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ მომჩივნისთვის უარი, გადაეგზავნათ მისთვის მისი მეუღლის კრემაციის შემდგომ დარჩენილი ფერფლის კონტეინერი, შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკითხად, რომელზეც ვრცელდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ანალოგიური განმარტება გააკეთა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ჰადრი-ვიონე შვეიცარიის წინააღმდეგ (Hadri-Vionnet v. Switzerland)*, №55525/00, § 52, 14 თებერვალი, 2008 წ. ხსენებულ საქმეში მომჩივანი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მისი თანხმობის გარეშე მისი მკვდრად შობილი შვილის ცხედარი წაიყვანეს და საერთო სასამართლოზე დამარხეს. ამასთანავე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ცხედრის გადასვენება საერთო სასაფლაოზე განხორციელდა შეუსაბამო ტრანსპორტით. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მომჩივნისთვის მისი მკვდრადშობილი შვილის დაკრძალვაზე დასწრების სურვილი, ისევე როგორც ცხედრის გადასვენება და შესაბამისი ცერემონიის დაგეგმვა ექცეოდა „პირადი“ და „ოჯახური“ ცხოვრების სფეროში.

საქმეზე *საბანჩიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Sabanchiyeva and Others v. Russia)*, № 38450/05, ECHR 2013 (ამონარიდები)⁶⁵ მომჩივნები ასაჩივრებდნენ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა მათ გარდაცვლილი უახლოესი ნათესავების ცხედრების გადაცემაზე. მომჩივანთა ნათესავები ბრალდებულნი იყვნენ ტერორისტულ საქმიანობაში და მათი ლიკვიდირება მოხდა ფედერალური ძალების მიერ ყაზარდო-ბალყარეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და თან ახლდა შეტაკება და ორმხრივი სროლა სამართალდამცველებსა და მომჩივანთა ნათესავებს შორის.

⁶⁴ *ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the United Kingdom)*, 2346/02, 61-ე პარაგრაფი, 2002 წლის 29 აპრილი.

⁶⁵ გადაწყვეტილების სრული ვერსია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-140457>

რუსეთის კანონმდებლობით, დაკრძალვის ორგანიზების შესახებ ფედერალური კანონის (კანონი №8-FZ) მე-14.1 მუხლის თანახმად: „ტერორისტული აქტის დასრულების შემდეგ იმ პირების დაკრძალვა, რომელთა მიმართ შეწყდა ამ ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მათი გარდაცვალების საფუძველით, უნდა განხორციელდეს რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ დადგენილი პროცედურის მიხედვით. მათი ცხედრები არ უნდა გადაეცეს დაკრძალვისათვის და დაკრძალვის ადგილი არ უნდა გამჟღავნდეს“.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ამ საქმეში ხელისუფლების ორგანოები ბლანკეტურად იყენებდნენ ზემოხსენებულ საკანონმდებლო ნორმას ტერორიზმში ექვმიტანილ/ბრალდებულ ყველა იმ გარდაცვლილ პირთან მიმართებით, რომელთა ლიკვიდაციაც ხდებოდა საპოლიციო ოპერაციის შედეგად. სასამართლომ განაცხადა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს კონკრეტულ პირებთან მიმართებით ინდივიდუალური მიდგომის შერჩევა, იყო თუ არა აუცილებელი მომჩივნებისთვის მათი უახლოესი ნათესავების ცხედრების გადაცემაზე უარის თქმა, ან იყო თუ არა პროპორციული ის, რომ არცერთ მომჩივანს არ სცოდნოდა საფლავის ადგილსამყოფელი.

ვინაიდან სახელმწიფო ორგანოებმა ჯეროვნად არ გაითვალისწინეს გარდაცვლილი ნათესავების ცხედრების გადაცემაზე უარის ან საფლავების ადგილსამყოფლის შეუტყობინებლობის პროპორციულობა მომჩივანთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მომჩივნების მომჩივნების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქმეზე *ელბერტე ლატვიის წინააღმდეგ (Elberte v. Latvia)*, № 61243/08, § ECHR 2015 მომჩივნის მეუღლე გარდაიცვალა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. ცხედარი გადაასვენეს ექსპერტიზის ცენტრში გარდაცვალების მიზეზის დასადგენად. გვამის გაკვეთის შედეგად დადგინდა სიცოცხლესთან შეუთავსებელი მრავალი დაზიანება თავისა და მკერდის არეში. ვინაიდან მომჩივნის მეუღლის პასპორტში არ იყო ბეჭედი, რომელიც ასახავდა უარს მისი სხეულის ქსოვილით სარგებლობაზე, ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენელმა ამოკვეთა მას 10x10-სანტიმეტრიანი ქსოვილი თავის ქალიდან (*dura mater*). მომჩივნისთვის უცნობი იყო მისი მეუღლის სხეულიდან ქსოვილის აღების ფაქტი და მან ეს მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიტყო, როდესაც უშიშროების პოლიციამ ამცნო მას სხეულის ორგანოებისა და ქსოვილების უკანონო აღების საფუძველზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

სასამართლოს განმარტებით, რადგან ექსპერტიზის ცენტრი იყო საჯარო დაწესებულება, ეს ფაქტი ნიშნავდა, რომ მისი პერსონალის, მათ შორის ექსპერტების მოქმედება თუ უმოქმედობა, იწვევდა მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის საფუძველზე. ამასთანავე, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ლატვიის კანონმდებლობა ადგენდა წესს, რომელიც უახლოეს ნათესავებს აძლევდა საშუალებას, გამოეხატათ პოზიცია –

დასთანხმებოდნენ ან უარი ეთქვათ ქსოვილის ამოღებაზე, მაგრამ ნათლად არ განმარტავდა შესაბამისი ვალდებულებებისა და დისკრეციის ფარგლებს, რომლებიც ენიჭებოდა ექსპერტებს ან სხვა შესაბამის ორგანოებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამისი ევროპული და საერთაშორისო დოკუმენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ფაქტს, რომ ნათესავეების პოზიციის დადგენა უნდა მოხდეს გონივრული მცდელობის შედეგად. ლატვიის კანონმდებლობაში კი არ არსებობდა პროცედურა, რომლის დაცვაც ევალეზობდათ სახელმწიფო დაწესებულებებსა და ექსპერტებს ამ ინფორმაციის მისაღებად. მთავრობა აცხადებდა, რომ ექსპერტმა ფიზიკურად შეამოწმა ბ-ნი ელბერტის პასპორტი ქსოვილის ამოღებამდე, მომჩივანი კი აცხადებდა, რომ მისი მეუღლის პასპორტი შინ იყო. შესაბამისად, უცნობი იყო, რა პროცედურით იხელმძღვანელა ექსპერტმა. მიუხედავად იმისა, შეამოწმა თუ არა ექსპერტმა ბ-ნი ელბერტის პასპორტი, უცნობი იყო, როგორ მოქმედებდა ლატვიის კანონით დადგენილი თანხმობის მიღების პროცედურა პრაქტიკაში ისეთ ვითარებაში, როგორშიც აღმოჩნდა მომჩივანი როდესაც მას, როგორც უახლოეს ნათესავს, ჰქონდა რიგი უფლებებისა, მაგრამ არ იყო ნათლად დადგენილი შესაბამისი პროცედურები, როგორ უნდა ესარგებლა ამ უფლებებით. ამასთანავე, მომჩივანმა არ იცოდა და არც არავის შეუტყობინებია მისთვის, როგორ და როდის უნდა ესარგებლა ამ უფლებებით. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა.

ევროპულმა სასამართლომ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება საქმეზე – *პეტროვა ლატვიის წინააღმდეგ (Petrova v. Latvia)*, № 4605/05, 24 ივნისი, 2014 წ., რომელშიც მომჩივნის შვილის გარდაცვლილი სხეულიდან ტრანსპლანტაციის მიზნით ამოკვეთეს ორგანოები (თირკმელები და ელენთა), რაც მომჩივნის დედისათვის არ ყოფილა ცნობილი.

4.4. სხეული და სიშიშველე

როგორც აღინიშნა, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება იცავს ადამიანის ხელშეუხებლობას, ისევე, როგორც ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც ადამიანს არ სურს საზოგადოებისათვის და აქვს სამართლიანი მოლოდინი, რომ ხსენებული ინფორმაცია არ გახდება ცნობილი საზოგადოების სხვა წევრებისათვის მისი თანხმობის გარეშე.⁶⁶ სასამართლოს განმარტებით, ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა, უწინარესად, გულისხმობს და იცავს პირის სხეულს, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.

⁶⁶ *ფლინკილა და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Flinkkilä and Others v. Finland)*, no. 25576/04, § 75, 6 აპრილი, 2010 წ.; *საარისტო და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Saaristo and Others v. Finland)*, № 184/06, §61, 2010 წლის 12 ოქტომბერი; *აგეიევი რუსეთის წინააღმდეგ (Ageyevy v. Russia)*, № 7075/10, § 193, 2013 წლის 18 აპრილი.

პირის თანხმობის გარეშე მის სხეულთან მიმართებით განხორციელებული ნებისმიერი ხასიათის სამედიცინო მანიპულაცია, რაოდენ მცირე მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ის, ითვლება პირად ცხოვრებაში ჩარევად.⁶⁷

საქმეში *კონოვალოვა რუსეთის წინააღმდეგ (Kononova v. Russia)*, № 37873/04, 9 ოქტომბერი, 2014 წ., ევროპულმა სასამართლომ განიხილა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც ეხებოდა, მისი თანხმობის გარეშე, უცხო პირების დასწრებას მისი მშობიარობის პროცესზე. მომჩივანმა იმშობიარა ბუნებრივად, ხოლო გინეკოლოგის ნებართვით, მშობიარობის პროცესს ესწრებოდნენ პრაქტიკაზე მყოფი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები.

საქმის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ ასპექტზე: საავადმყოფოში მოთავსებისას მომჩივანს გადაეცა ბუკლეტი ჩანაწერით: „მოგმართავთ თხოვნით, გაგებით მოეკიდოთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს საავადმყოფოში, მკურნალობის პარალელურად, ვაწარმოებთ სტუდენტების განათლებას მეან-გინეკოლოგიის დარგში. ამდენად, საავადმყოფოში მოთავსებული ყველა პაციენტი მონაწილეობს ამ პროცესში“.

რუსეთში მოქმედი კანონმდებლობა არ მოითხოვდა პაციენტის წინასწარ თანხმობას, რათა მასთან დაკავშირებულ სამედიცინო მანიპულაციებს დასწრებოდა უცხო პირი ან პირები (პრაქტიკანტები). ევროპულმა სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ეროვნული სასამართლოების მიერ იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობას, რომ ბუკლეტი არასაკმარის ინფორმაციას შეიცავდა იმის შესახებ, თუ რა ფორმით მოხდებოდა სტაჟიორების განათლება და რა კუთხით და მოცულობით შეეხებოდა ეს ყოველივე პაციენტის პირად ცხოვრებას. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა არ ითვალისწინებდა რაიმე სახის ალტერნატიული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი მიიღებდა გადაწყვეტილებას, უარი განეცხადებინა მშობიარობისას სტუდენტების დასწრებაზე. ხსენებულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქმეზე *სოდერმანი შვედეთის წინააღმდეგ (Söderman v. Sweden)* [დიდი პალატა], № 5786/08, ECHR 2013⁶⁸ მომჩივანმა 14 წლის ასაკში აღმოაჩინა, რომ მისი მამინაცვალი აბაზანაში, გასარეცხი თეთრეულის კალათში მალულად დამონტაჟებული ვიდეოკამერით ახდენდა მის გადაღებას.

რაიონულმა სასამართლომ მამინაცვალი დამნაშავედ ცნო გარყვნილი ქმედების ჩადენაში, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მამინაცვალი გაამართლა იმ მოტივით, რომ, ცალკე აღებული, გადაღების ფაქტი არ იყო დანაშაული შვედეთის კანონმდებლობით, არ არსებობდა პირის მისი თანხმობის გარეშე გადაღების ზოგადი აკრძალვა. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ.

⁶⁷ *სოლომახინი უკრაინის წინააღმდეგ (Solomakhin v. Ukraine)*, № 24429/03, § 33, 2012 წლის 15 მარტი; „I.G.“ და სხვები *სლოვაკეთის წინააღმდეგ (I.G. and Others v. Slovakia)*, №15966/04, § 135-146, 2012 წლის 13 ნოემბერი.

⁶⁸ გადაწყვეტილების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-144577>

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, პირადი ცხოვრების უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებასთან მიმართებით, რაც უკავშირდება ადამიანის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის დარღვევას კერძო პირების მხრიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, სხვა პირებისაგან ადამიანის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის დაცვასთან მიმართებით სასამართლომ წარსულში დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულებები პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით, შეიძლება მოიცავდეს კერძო პირების მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებისაგან დაცვის ადეკვატური კანონმდებლობის მიღებისა და პრაქტიკაში გატარების ვალდებულებას.⁶⁹ ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, პირადი ცხოვრების უფლების ეფექტიანი დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემისა და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვისაკენ.⁷⁰

ისეთ ქმედებებს, რომლებიც ხელყოფს პირის ფიზიკურ ან მორალურ ხელშეუხებლობას, მაგრამ არ ხვდება წამების ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობის დეფინიციაში,⁷¹ პირადი ცხოვრების პატივისცემასთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს ვალდებულება, მაგალითად, დაეცვა მცირეწლოვანი ცრუ ინფორმაციის გავრცელებისაგან.⁷² ამ საქმეში სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ შვედეთის კანონმდებლობა 2002 წლის სექტემბრის მდგომარეობით, როდესაც მოხდა კონკრეტული ქმედება, რა დროსაც მომჩივნის მამინაცვალმა სექსუალური მიზნებისთვის სცადა, ფარულად გადაეღო შიშველი მომჩივანი შხაპის მიღების წინ, ჯეროვნად იცავდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. სადავო ქმედება არღვევდა მომჩივნის ხელშეუხებლობას და დამძიმებული იყო იმ ფაქტით, რომ მომჩივანი მცირეწლოვანი იყო, ინციდენტი მოხდა მის სახლში, სადაც მას თავი უსაფრთხოდ და დაცულად უნდა ეგრძნო. ვინაიდან ხელისუფლების ორგანოებმა ვერ მოახდინეს მომჩივნის ინტერესების ჯეროვანი დაცვა და დამნაშავის დასჯა (საკანონმდებლო დებულებების გამო, რომლებიც ასეთ ქმედებას არ აცხადებდა დასჯადად), სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დაირღვა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

⁶⁹ *Inter alia*, ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Osman v. the United Kingdom*), *Osman v. the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1998 წ., § 128-130, Reports of Judgments and Decisions 1998-VIII; *ბევაკუა და S. ბულგარეთის წინააღმდეგ (Bevacqua and S. v. Bulgaria)*, № 71127/01, § 65, 12 ივნისი, 2008 წ.; *სანდრა იანკოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Sandra Janković v. Croatia)*, № 38478/05, § 45, 2009 წლის 5 მარტი; *A. ხორვატიის წინააღმდეგ (A v. Croatia)*, № 55164/08, § 60, 2010 წლის 14 ოქტომბერი.

⁷⁰ *C.A.S. და C.S. რუმინეთის წინააღმდეგ (C.A.S. and C.S. v. Romania)*, № 26692/05, § 82, 2012 წლის 20 მარტი; *ფრეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the United Kingdom)*, 2346/02, 65-ე პარაგრაფი, 2002 წლის 29 აპრილი.

⁷¹ როგორც ეს იყო საქმეზე – *X. და Y. ნიდერლანდების წინააღმდეგ (X. and Y. v. the Netherlands)*, 1985 წლის 26 მარტი.

⁷² *K.U. ფინეთის წინააღმდეგ (K.U. v. Finland)*, № 2872/02, § 45-49, ECHR 2008.

საქმეში *გუგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gough v. the United Kingdom)* №49327/11, 2014 წლის 28 ოქტომბერი, ევროპულ სასამართლოს მოუწია საქმის უჩვეულო ფაქტობრივი გარემოებების განხილვა. მომჩივანს გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეს, სწამდა ადამიანის სხეულის უმანკოებისა და მისდევდა ცხოვრების ნუდისტურ სტილს, რაც გამოიხატებოდა საზოგადოებრივ ადგილებსა და ქუჩაში შიშველი სიარულით. 2003 და 2004 წლებში მან მიიღო გადაწყვეტილება, შიშველი ჩასულიყო ფეხით ინგლისიდან შოტლანდიაში. შოტლანდიაში იგი რამდენიმეჯერ დააკავეს და ბრალად დასდეს საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის წესების დარღვევა ქუჩაში შიშველი სიარულის გამო. მომდევნო წლებში იგი რამდენიმეჯერ იქნა დაკავებული და მსჯავრდებული იმავე ქმედების გამო.

ევროპულმა სასამართლომ 2014 წლის საქმეზე *S.A.S. საფრანგეთის წინააღმდეგ (S.A.S. v. France)* [დიდი პალატა], №43835/11, ECHR 2014 (ამონარიდები)⁷³ განმარტა, რომ ადამიანის პიროვნული არჩევანი, როგორ გამოჩნდეს და წარდგეს საზოგადოებისა თუ კერძო პირების წინაშე, არის მისი პიროვნულობის გამოხატულება და, შესაბამისად, ექცევა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების სფეროში. ამ პრინციპის წინამდებარე საქმეში გამოყენებით, ევროპულმა სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ადამიანის სხვა პირებთან ურთიერთობა არ არის შეუზღუდავი და შეიძლება, არსებობდეს ქცევის გარკვეული ნორმები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის პერსონალური ავტონომია არის პირადი ცხოვრების უფლების ამოსავალი პრინციპი⁷⁴ და კონკრეტული ქცევის/ქმედების აკრძალვა სისხლის სამართლის კოდექსით სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება მოხდეს პირადი ცხოვრების მოქმედების სფეროში.⁷⁵

ევროპული სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება არ შეიძლება შეუზღუდავად იცავდეს ადამიანის გამოჩენას საზოგადოებაში. როგორც ეს საქმეზე *ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Eweida and Others v. the United Kingdom)*, № 48420/10 და 3 სხვა, ECHR 2013 (ამონარიდები), სასამართლომ განმარტა: „აუცილებელია, საზოგადოების წინაშე გამოჩენამ და შერჩეულმა ფორმამ დააკმაყოფილოს სერიოზულობის მინიმალური დონე“ (*de minimis level of seriousness*). ვინაიდან მსოფლიოს არცერთი ქვეყნის დემოკრატიულ საზოგადოებაში ქუჩასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შიშველი სიარული არ არის მიღებული, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ

⁷³ გადაწყვეტილება ასევე ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-153402>; იხილეთ უახლესი გადაწყვეტილებები სახის სრული დაფარვის აკრძალვასთან დაკავშირებით: ასევე *ბელგაჩემი და უსარი ბელგიის წინააღმდეგ (Belcacemi and Oussar v. Belgium)*, № 37798/13, 11 ივლისი, 2017 წ. და *დაკირი ბელგიის წინააღმდეგ (Dakir v. Belgium)*, № 4619/12, 11 ივლისი, 2017 წ.

⁷⁴ *ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the United Kingdom)*, №2346/02, 61-ე პარაგრაფი, 2002 წლის 29 აპრილი; გადაწყვეტილების სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ასევე ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145616>

⁷⁵ *A.D.T. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (A.D.T. v. the United Kingdom)*, № 35765/97, 23-ე პარაგრაფი, ECHR 2000-IX; *ვეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pay v. the United Kingdom)* (განჩინება), № [32792/05](http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145616), 2003 წლის 16 სექტემბერი.

ხელისუფლების ორგანოები სარგებლობდნენ შეფასების ფართო ფარგლებით და უფლება ჰქონდათ, ჯეროვნად შეეზღუდათ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

4.5. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოება

სქესობრივი კავშირი ექცევა პირადი ცხოვრების სფეროში. საქმეზე დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), § 52, 22 ოქტომბერი, 1981, Series A no. 45, რომელიც ეხებოდა ურთიერთთანხმობით ჰომოსექსუალურ ურთიერთობას სრულწლოვან მამაკაცებს შორის, – ევროპულმა სასამართლომ სქესობრივი ცხოვრება განმარტა როგორც პირადი ცხოვრების „ყველაზე ინტიმური ასპექტი.“ ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი კანონმდებლობის არსებობამ, რომელიც უკანონოდ აცხადებდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობას, შელახა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროპული სასამართლოს საქმეთა ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია სქესობრივ ცხოვრებასთან, ეხება ჰომოსექსუალურ ურთიერთობას. როგორც უკვე აღინიშნა, საქმის დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), 22 ოქტომბერი, 1981, Series A no. 45 მიხედვით, ბრიტანეთის მოქალაქე ასაჩივრებდა ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობას, რომელიც სისხლისსამართლებრივად დასჯადად აცხადებდა სრულწლოვან მამაკაცებს შორის ურთიერთთანხმობით ჰომოსექსუალურ ურთიერთობას. მომჩივანი ეყრდნობოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს და ამტკიცებდა, რომ თავად კანონის არსებობა არღვევდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. მოპასუხე სახელმწიფო – გაერთიანებული სამეფო – ამტკიცებდა, რომ აკრძალვა მიზნად ისახავდა ისეთი კანონიერი მიზნის მიღწევას, როგორცაა ადამიანთა მორალის დაცვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან ადამიანის სქესობრივი ცხოვრება არის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმური ასპექტი, უნდა არსებობდეს სერიოზული მიზეზები, რათა სახელმწიფოს მიერ ამ უფლებაში ჩარევა ჩაითვალოს კანონიერად ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის.⁷⁶ საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობას, არღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, ვინაიდან ის ახდენდა მავნე გავლენას ჰომოსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებზე, როგორც იყო მომჩივანი. ევროპული სასამართლოს აზრით, ჰომოსექსუალური ურთიერთობის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა არაპროპორციული ნაბიჯი იყო სახელმწიფოს მხრიდან. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ წელიწადში, კერძოდ 1982 წელს,

⁷⁶ 52-ე პარაგრაფი .

ჩრდილოეთი ირლანდიის კანონმდებლობა, რომელიც ადგენდა სისხლისსამართლებრივ სასჯელს მამაკაცებს შორის ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის, გაუქმდა. დადგენის საქმის მსგავსი პოზიცია ჩამოაყალიბა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ნორისი ირლანდიის წინააღმდეგ (Norris v. Ireland)*, 26 ოქტომბერი, 1988 წ., § 46, Series A no. 142.

საქმე *A.T.D. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (A.D.T. v. the United Kingdom)*, № 35765/97, ECHR 2000-IX, ეხებოდა ბრიტანეთის მოქალაქე, ჰომოსექსუალ მამაკაცს. პოლიციის მიერ მომჩივნის ბინის გაჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ფოტო- და ვიდეომასალა, რომელზეც აღბეჭდილი იყო სქესობრივი აქტი მომჩივანსა და ოთხ მამაკაცს შორის საკუთარ საცხოვრებელში. მას შეეფარდა სასჯელი „უხეში უხამსობისათვის“, რომელიც აკრძალული იყო გაერთიანებული სამეფოს სქესობრივ დანაშაულთა აქტით.

სხვა საკითხებთან ერთად, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისთვის ბრალის წაყენება და სასჯელის შეფარდება ურთიერთთანხმობით საკუთარ საცხოვრებელში სრულწლოვან რამდენიმე მამაკაცს შორის სქესობრივ აქტში მონაწილეობისათვის იყო მის პირად ცხოვრებაში ჩარევა, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ სქესობრივი აქტები სცილდებოდა „პირადი ცხოვრების“ ფარგლებს, რადგან მასში მონაწილეობდა ორზე მეტი მამაკაცი და ხდებოდა მათი აღბეჭდვა ფოტო- და ვიდეომასალაზე. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ჯგუფური სქესობრივი აქტი უნდა ყოფილიყო აკრძალული, რადგან გარდაუვალი იყო მისი საჯარო სივრცეში გავრცელება. თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მოპასუხე სახელმწიფო იშველიებდა მორალსა და სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, როგორც მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვის საფუძველს.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება როგორც კანონმდებლობის არსებობით, რომელიც კრძალავდა სქესობრივ აქტს ორზე მეტ მამაკაცს შორის, ისე მისთვის სასჯელის შეფარდებით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სქესობრივი აქტები ამ მამაკაცებს შორის ხდებოდა კერძოდ (საზოგადოებისაგან იზოლირებულად) და არ იყო რეალური ალბათობა, რომ ვიდეოჩანაწერები გახდებოდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, რომელიც გაამართლებდა ასეთი კანონმდებლობის არსებობას ან სასჯელის შეფარდებას მომჩივანისთვის .

საინტერესოა ევროპული სასამართლოს საქმე *მოსლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Mosley v. United Kingdom)*, № 48009/08, 10 მაისი, 2011 წ., რომელიც ეხებოდა საჯარო სივრცეში ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანის სქესობრივი ცხოვრების შესახებ. ამ საქმის მიხედვით, 2008 წლის მარტში გაზეთმა „მსოფლიო სიახლეებმა“ გაავრცელა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, მაქს რუფუს მოსლის, საიდუმლოდ გადაღებული ვიდეოკადრებიდან ამოჭრილი ფოტოები. ამ ფოტოებზე აღბეჭდილი იყო მომჩივანი და ხუთი მეძავი სადომაზოხისტური აქტის

დროს. ეს ფოტოები ასევე გავრცელდა გაზეთის ვებგვერდსა და სხვა ინტერნეტსაიტებზე.

ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ, მომჩივნის მოთხოვნის მიუხედავად, მას უარი ეთქვა, ამ ფოტომასალის შემდგომი გავრცელება აკრძალულიყო, რადგან, ეროვნული სასამართლოს აზრით, მასალა უკვე იყო ფართოდ გავრცელებული, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა პირადი ხასიათის ფოტომასალის გავრცელების საჯარო ინტერესი და, აქედან გამომდინარე, გაუმართლებელი იყო მათი გავრცელება. შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლომ მიყენებული ზიანისათვის გაზეთი დაავალდებულა, მომჩივანისთვის გადაეხადა 60 ათასი ფუნტი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევისათვის.

მიუხედავად ფულადი კომპენსაციისა, მაქს რუფუს მოსლი მაინც მიიჩნევდა თავს პირადი ცხოვრების დარღვევის მსხვერპლად, რის გამოც მან ევროპულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელშიც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, ვინაიდან არ დაავალდებულა ფოტომასალის გამავრცელებელი, პირველ რიგში შეეტყობინებინა ამ ინფორმაციის სუბიექტისათვის პირადული ხასიათის ინფორმაციის გავრცელების განზრახვის შესახებ.

აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი საკითხი ამ საქმეში იყო ის, ჰქონდა თუ არა გაერთიანებულ სამეფოს პოზიტიური ვალდებულება, შემოეღო წესი სავალდებულო შეტყობინების შესახებ, რომელიც მომჩივანს მისცემდა შესაძლებლობას, მოეთხოვა ასეთი ინფორმაციის გავრცელებამდე მისი გამოქვეყნების აკრძალვა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ ჰქონდა ასეთი პოზიტიური ვალდებულება, რის გამოც არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ წინასწარი სავალდებულო შეტყობინების წესის არსებობა ხელს შეუშლიდა პოლიტიკურ დებატებს, რაც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით.

სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა საქმე *შტუბინგი გერმანიის წინააღმდეგ (Stübing v. Germany)*, №43547/08, 12 აპრილი, 2012 წ., რომელიც ეხებოდა გერმანიის მოქალაქე პატრიკ შტუბინგის სისხლისსამართლებრივ სასჯელს ინცესტური კავშირისათვის თავის დასთან.

1976 წელს დაბადებულ პატრიკ შტუბინგს სამი წლის ასაკში დაუწესეს სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ ყოფნა, შვიდი წლის ასაკში კი გააშვილეს. გაშვილების მომენტიდან მას არ ჰქონდა არანაირი ურთიერთობა თავის ბიოლოგიურ ოჯახთან. 2000 წელს, 23 წლის ასაკში, მომჩივანმა ურთიერთობა დაამყარა ბიოლოგიურ ოჯახთან და შეიტყო, რომ მას ჰყავდა ბიოლოგიური და, რომელიც იმ დროს 16 წლის იყო.

ბიოლოგიური დედის გარდაცვალების (2000 წელი) შემდეგ და-მმას შორის ურთიერთობა უფრო ხშირი გახდა. 2001 წლიდან მათ ჰქონდათ ნებაყოფლობითი

სქესობრივი კავშირი და დაიწყეს ერთად ცხოვრება. 2001 წლიდან 2005 წლამდე მათ ოთხი შვილი გაუჩნდათ.

მომჩივანს შეუფარდეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი ინცესტური კავშირისათვის, რაც აკრძალულია გერმანიის კანონმდებლობით. ეროვნულ სასამართლოებთან ერთად, საკითხი განიხილა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლის წინაშეც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დაერღვა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენებას არ დაურღვევია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და აღნიშნა, რომ სასჯელი ბიოლოგიურ და-ძმას შორის სქესობრივი კავშირისათვის განპირობებულია ქორწინებისა და ოჯახის დაცვის ინტერესით. მან მიუთითა, რომ ასეთი სქესობრივი კავშირის აკრძალვა გამომდინარეობს სქესობრივი თვითგამორკვევის დაცვის საჭიროებიდან და ასეთი ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკიდან.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანი, რომელმაც აკრძალა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ზრდასრულ დედმამიშვილებს შორის, იყო მორალისა და სხვათა უფლებების დაცვა. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, არ არსებობს ერთიანი პოზიცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, უნდა იყოს თუ არა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის აკრძალვა დედმამიშვილებს შორის, სახელმწიფოთა უმრავლესობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ასეთი კავშირისათვის. ამასთანავე, განხილული ქვეყნები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არ ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ სასჯელს, კრძალავენ ქორწინებას დედმამიშვილებს შორის. აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებობს ზოგადი კონსენსუსი, რომ დედმამიშვილებს შორის სქესობრივი კავშირები არც კანონმდებლობით არის დაშვებული და არც მისაღებია ფართო საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გერმანიას ჰქონდა თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამართლებული იყო სხვადასხვა მიზნის კომბინირების საფუძველზე, მათ შორის ოჯახის, თვითგამორკვევისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობით. მან მიუთითა, რომ დედმამიშვილებს შორის სქესობრივი კავშირი სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ოჯახის სტრუქტურას და, ამის შედეგად, მთლიანად საზოგადოებას.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დედმამიშვილებს შორის სქესობრივი კავშირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა არ არღვევს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

4.6. ადამიანის ფოტო- და ვიდეოგამოსახულება

ადამიანის ფოტო- და ვიდეოგამოსახულება განსაკუთრებით არის დაცული პირადი ცხოვრების უფლებით. საქმეზე *ერიკაინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Eerikainen and others v. Finland)*, № 3514/02, 10 თებერვალი, 2009 წ., ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„სასამართლოს აზრით, ფოტოსურათის გამოქვეყნება, ზოგადად, უნდა იქნეს განხილული, როგორც პირის პირად ცხოვრებაში უფრო არსებითი ჩარევა, ვიდრე პირის ვინაობის ან სახელის მოხსენიება.“⁷⁷

პირად ცხოვრებასთან მიმართებით ფოტო- და ვიდეომასალის უნებართვოდ გამოქვეყნების საკითხზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ევროპულ სასამართლოს მიღებული აქვს მონაკოს სამეფო ოჯახის წევრებთან დაკავშირებით.

საქმეები *ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (Von Hannover v. Germany)* № 59320/00, ECHR 2004-VI და *ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (Von Hannover v. Germany)* (№2) [დიდი პალატა], № 40660/08 და № 60641/08, ECHR 2012⁷⁸ – შეიცავს რამდენიმე დეტალს, რომლებიც ეხება პირითად დამაბალანსებელ კრიტერიუმებს, როდესაც წარმოიშობა კონფლიქტი გამოხატვის თავისუფლებასა და პირად ცხოვრებას შორის. პირველი საქმე ეხებოდა მონაკოს პრინცესა ქეროლაინის რამდენიმე ფოტოს, მათ შორის გადაღებულს: ცხენით ჯირითისას, თხილამურებით სრიალისას და კერძო პლაჟზე სეირნობისას. ფოტოები გამოქვეყნდა გერმანიის რამდენიმე ჟურნალში (ე.წ. ყვითელ პრესაში), მისი თანხმობის გარეშე.

გერმანიის სასამართლოებმა, უმეტეს შემთხვევაში, გაამართლეს ფოტოების გამოქვეყნება (გარდა იმ გამონაკლისებისა, როდესაც გარკვეული ფოტოები გადაღებულ იქნა ისეთ ადგილებში, სადაც პრინცესას ჰქონდა განმარტოების გონივრული მოლოდინი და გადაღებული იყო თავის ბავშვებთან ერთად).

საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე დებატებსა და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ასპექტებს შორის განსხვავებისას ევროპულმა სასამართლომ მიუთითა:

„სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ ძირითადი განსხვავება უნდა გაკეთდეს ფაქტების გადმოცემას, მათ შორის სადავო შემთხვევების, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ დემოკრატიულ საზოგადოებაში დებატებს, მაგალითად, პოლიტიკოსების ოფიციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით და იმ პირთა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შორის, რომლებიც არ ახორციელებენ ოფიციალურ/საჯარო/საზოგადოებრივ ფუნქციებს.“⁷⁹

ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ პრინცესა ქეროლაინი იყო საზოგადოებრივად ცნობილი ფიგურა *par excellence* და, შესაბამისად, არ ჰქონდა

⁷⁷ ასევე იხ. „Verlagsgruppe News GmbH“ ავსტრიის წინააღმდეგ (*Verlagsgruppe News GmbH v. Austria*), № 76918/01, 2006 წლის 14 დეკემბერი.

⁷⁸ გადაწყვეტილების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-126107>

⁷⁹ *ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (Von Hannover v. Germany)*, § 63, № 59320/00, ECHR 2004-VI.

პირადი ცხოვრება, ვიდრე იგი არ იყო საზოგადოებრივი მეთვალყურეობისაგან განცალკევებული.

ევროპულმა სასამართლომ კი განმარტა, რომ ეს პრინციპი შეიძლება ყოფილიყო შესაფერისი იმ პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც ახორციელებდნენ ოფიციალურ უფლებამოსილებებს, მაგრამ არ ვრცელდებოდა აღნიშნულ შემთხვევაზე, რადგან ფოტოებზე, რომლებიც პრინცესას თანხმობის გარეშე იქნა გამოქვეყნებული, იგი არ ასრულებდა რაიმე ოფიციალურ/საჯარო/საზოგადოებრივ ფუნქციებს და ფოტოები ეხებოდა მხოლოდ მის პირად ცხოვრებას.⁸⁰

საქმის *ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (Von Hannover v. Germany) (N2)* (ციტირებულია მაღლა) მიხედვით, გამოქვეყნებული ფოტოები ეხებოდა მონაკოს იმ დროისათვის მოქმედი პრინცის, რენიე III-ის ავადმყოფობას და, ძირითადად, ასახავდა, თუ როგორ უვლიდა და ზრუნავდა პრინცზე მისი ოჯახი ავადმყოფობის დროს. სასამართლოს განმარტებით:

„პირადი ცხოვრების კონცეფცია ვრცელდება პერსონალური იდენტობის ყველა ასპექტზე, როგორებიცაა: პირის სახელი, ფოტო-, ან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა; კონვენციის მე-8 მუხლში განსაზღვრული გარანტიის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ყველა პირის პიროვნული განვითარება ჩარევის გარეშე, რაც გამოიხატება მის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. შესაბამისად, არსებობს კვეთის წერტილები სხვა პირებთან, მათ შორის საჯარო კონტექსტშიც, რაც დაცულია პირადი ცხოვრებით, ხოლო ფოტოს გამოქვეყნებამ შეიძლება ხელყოს პირის პირადი ცხოვრება, მაშინაც კი, როდესაც იგი არის საჯარო ფიგურა.“⁸¹

ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, რადგან, ევროპული სასამართლოს აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გერმანულმა სასამართლოებმა ჯეროვნად შეაფასეს და აწონ-დაწონეს გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის უპირატესობის საკითხი. გერმანულმა სასამართლოებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს იმ საკითხის გამორკვევას, რა ვითარებაში იყო ფოტოები გადაღებული და ემსახურებოდა თუ არა გამოქვეყნებული ფოტოები და სტატიები მსჯელობას საზოგადოებრივად საინტერესო საკითხებზე. ამავე დროს, არც ფოტოები და არც სტატია არ შეურაცხყოფდა რაიმე სახით მომჩივანს და ასახავდა მხოლოდ პრინცესას და მისი დედამამიშვილების ზრუნვას მამის ჯანმრთელობაზე, ხოლო მოქმედი პრინცის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი შესაძლებლობა, განეხორციელებინა მონარქის უფლებამოსილებანი, ცალსახად იყო საზოგადოებისათვის საინტერესო საგანი.

მსგავსი კრიტერიუმი იქნა წარმოდგენილი საქმეში *Axel Springer AG გერმანიის წინააღმდეგ (Axel Springer AG v. Germany)* [დიდი პალატა], №39954/08, 7 თებერვალი, 2012 წ. როგორც უკვე აღინიშნა, ამ საქმეში ჟურნალისტი წერდა გამოჩენილი

⁸⁰ იქვე, 72-ე პარაგრაფი.

⁸¹ 95-ე პარაგრაფი.

მსახიობის მიერ ნარკოტიკების შენახვის გამო მისი დაკავების შესახებ, რასაც თან ახლდა ფოტოები.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა საჯარო ინტერესად სისხლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება:

„ძირითადად, საზოგადოებას აქვს ინტერესი, იყოს ინფორმირებული და უფლებამოსილი, მიიღოს ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობის შესახებ, იმ პირობით, რომ მკაფიოდ იქნება გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია. ეს ინტერესი განსხვავდება ხარისხით, რადგან იგი შეიძლება წარმოიშვას სამართალწარმოების პროცესში – დაკავების მომენტიდან – რამდენიმე ფაქტორის მხედველობაში მიღებით, როგორებიცაა: კონკრეტული პირის ცნობადობა, საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართალწარმოებიდან წარმოშობილი დამატებითი დეტალები.“⁸²

სასამართლომ აღნიშნა, რომ მსახიობი იყო საკმარისად ცნობადი სახე, რისი არარსებობის შემთხვევაში გაზეთი არც კი გამოაქვეყნებდა ინფორმაციას მის შესახებ და რომ იგი საზოგადოებრივ ყურადღებას იპყრობდა აქტიურად. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, თუ რა მასშტაბით იყო ცნობილი იგი საზოგადოებისთვის, მისი პირადი ცხოვრების დაცვის „ლეგიტიმური მოლოდინი“ საგრძნობლად მცირდებოდა.⁸³ ინფორმაცია წარმოდგენილი იყო ოფიციალური წყაროდან და იგი ხელმისაწვდომი იყო სხვა მედიასაშუალებებისათვის. განცხადება, ძირითადად, იყო ფაქტებზე დაფუძნებული და გათვლილი, რათა მიეპყრო საზოგადოების ყურადღება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ გაზეთისათვის მსახიობის პირად ცხოვრებაში შეჭრისათვის შეფარებული სანქციები იყო გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევა.

საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – „MGN Limited“ *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (MGN Limited v. the United Kingdom)*, № 39401/04, 18 იანვარი, 2011 წ., რომელიც ეხებოდა გაზეთის მიერ ცნობილი მოდელის ნარკოტიკული დამოკიდებულების მკურნალობის გაშუქებას. ამ შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ აღიარა მცირე საჯარო ინტერესი:

„ფოტოებისა და სტატიების გამოქვეყნება, რომლის ერთადერთი მიზანია, დააკმაყოფილოს კონკრეტულ მკითხველთა ცნობისმოყვარეობა საჯარო პირის პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურებით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზოგადი საზოგადოებრივი ინტერესის გარშემო მსჯელობის წამახალისებლად, მიუხედავად პირის ცნობადობისა... ფოტოები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა ტაბლოიდურ პრესაში, ხშირად იწვევს კონკრეტული პირის პირადი ცხოვრების შელახვას ან ატარებს დევნის სახეს.“⁸⁴

⁸² 96-ე პარაგრაფი.

⁸³ 101-ე პარაგრაფი.

⁸⁴ 143-ე პარაგრაფი

სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაცია მოდელის შესახებ შეგროვდა ფარულად, შორი დისტანციის ლინზების გამოყენებით, რამაც შელახა მოდელის პირადი ცხოვრება.

საქმეზე *მოსლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Mosley v. the United Kingdom)*, № 48009/08, § 132, 10 მაისი, 2011 წ., ევროპულმა სასამართლომ მართებულად უარყო უსაფუძვლო მოთხოვნა მედიის მიმართ, წინასწარ გააფრთხილოს ის პირები, რომელთა პირად ცხოვრებასაც შეიძლება შეეხოს გამოქვეყნებული პუბლიკაცია:

„წინასწარი გაფრთხილების მოთხოვნის მსუსხავი ეფექტის მხედველობაში მიღებით, ასეთი გაფრთხილების ეფექტიანობის შესახებ მნიშვნელოვანი ეჭვებისა და ამ სფეროში სახელმწიფოთა შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მე-8 მუხლი არ ადგენს წინასწარი გაფრთხილების სამართლებრივ ვალდებულებას.“

საქმეზე *ბოგომოლოვა რუსეთის წინააღმდეგ (Bogomolova v. Russia)*, № 13812/09, 20 ივნისი, 2017, მომჩივანმა მარტოხელა დედამ აღმოაჩინა, რომ მისი 6 წლის შვილის ფოტო გამოსახული იყო ადგილობრივი „ფსიქოლოგური, სამედიცინო და სოციალური დახმარების ცენტრის“ ბროშურის გარეკანზე, სათაურით „ბავშვებს ჭირდებათ ოჯახი“. დედამ სამოქალაქო სამართალწარმოება წამოიწყო ცენტრის წინააღმდეგ, ჩიოდა რა, რომ ცენტრმა შვილად აყვანისკენ მოწოდების ბროშურაზე მისი შვილის ფოტოს მშობლის ნებართვის გარეშე უკანონოდ გამოქვეყნებით ხელყო ბავშვის პატივი, ღირსება და რეპუტაცია. ადგილობრივმა სასამართლოებმა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს.

საქმეზე საკვანძო საკითხს წარმოადგენდა ეროვნული სასამართლოების მხრიდან მომჩივნისა და მისი ვაჟის პირადი ცხოვრების საკმარისად დაცვის უზრუნველყოფა. მომჩივნის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების საფუძვლად ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ არგუმენტს, რომ ფოტო თავდაპირველად დედის ნებართვით იყო გადაღებული და იმ დროს დედას რაიმე შეზღუდვა ან პირობა მის გამოყენებასთან დაკავშირებით არ დაუყენებია. თუმცა მათ არ შეისწავლეს დედამ გასცა თუ არა თანხმობა ფოტოს გამოქვეყნებაზე. მითითებულ ბროშურაზე გამოქვეყნებული ფოტო შეიძლება აღქმულიყო უდემამო ბავშვის ფოტოდ. შესაბამისად, ბროშურის მკითხველს შეიძლება ეფიქრა, რომ მომჩივნის შვილს არ ყავდა მშობლები ან რომ ის მშობლებმა მიატოვეს. ნებისმიერი ამგვარი აზრი ან მსგავსი ცრუ აზრი შეარყევდა საზოგადოების წარმოდგენას მომჩივანსა და მის შვილს შორის ოჯახური კავშირისა და ურთიერთობის შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

4.7. სამსახური და პირადი ცხოვრება

საქმე *ნაიდინი რუმინეთის წინააღმდეგ (Naidin v. Romania)*, № 38162/07, 21 ოქტომბერი, 2014 წ., ეხებოდა რუმინეთის პოლიციის ერთჯერადი ინფორმატორისათვის საჯარო სამსახურში მუშაობის აკრძალვას. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ მას უარი განუცხადეს საჯარო სამსახურში მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით, კომუნისტური რეჟიმის დროს პოლიციასთან მისი თანამშრომლობის გამო. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ეს იყო ჩარევა მის პირად ცხოვრებაში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ისევე როგორც მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა). რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით პოლიციის ყოფილი თანამშრომლებისათვის საჯარო სამსახურში დასაქმების აკრძალვა გამართლებული იყო დემოკრატიული რეჟიმის მიმართ ყველა საჯარო მოხელის მხრიდან მოსალოდნელი ერთგულებით, სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ, როგორც პრინციპული საკითხი, სახელმწიფოს ჰქონდათ ლეგიტიმური ინტერესი საჯარო სამსახურში დასაქმების პირობების დადგენისას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ჰქონდა კანონიერი ინტერესი, მოეთხოვა ერთგულება საჯარო მოხელეებისაგან იმ კონსტიტუციური პრინციპების მიმართ, რომლებზეც დაფუძნებული იყო სახელმწიფო.

საქმე *ფერნანდეს მარტინეზი ესპანეთის წინააღმდეგ (Fernandez Martinez v. Spain)* [დიდი პალატა], №56030/07, ECHR 2014 (ამონარიდები), ეხებოდა ხელშეკრულების შეწყვეტას დაქორწინებულ მღვდელთან და ხუთი შვილის მამასთან, რომელიც ასწავლიდა კათოლიკურ რელიგიასა და ეთიკას. მომჩივანს ხელშეკრულება შეუწყვიტეს მას შემდეგ, რაც იგი განთავისუფლდა დაუქორწინებლობის ვალდებულებისაგან და საჯაროდ გამოხატა თავისი აქტიური ერთგულება იმ მოძრაობის მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგება ეკლესიის დოქტრინას. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირადი და ოჯახური მდგომარეობის გამო არღვევდა მის პირად და ოჯახურ ცხოვრების პატივისცემის უფლებას. სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან, სახელმწიფოსათვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლების გათვალისწინებით, მომჩივნის უფლებაში ჩარევა, რომელიც ეხებოდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემას, არ ყოფილა არაპროპორციული. სასამართლოს აზრით, არ შეიძლებოდა, არაგონივრულად მიჩნეულიყო ის ფაქტი, რომ ეკლესია მოითხოვდა მისი დოქტრინის დაცვას და სწავლებისადმი ერთგულებას იმ პედაგოგებისაგან, რომლებიც ასწავლიდნენ ამ რელიგიას, რადგან ისინი შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ამ რელიგიის წარმომადგენლებად და გამავრცელებლებად. ამ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანეთის სასამართლოებმა სათანადოდ გაითვალისწინეს ყველა შესაბამისი ფაქტორი და დეტალურად და ყოვლისმომცველად აწონეს კონკურენტული ინტერესები, რომლებიც ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას რელიგიის სწავლების საკითხებში ავტონომიის მიერ. ადგილობრივი სასამართლოების მიერ ჩატარებული გამოკვლევის ფონზე ეკლესიის

ავტონომიის პრინციპი, როგორც ჩანს, არ ყოფილა არასათანადოდ გამოყენებული: არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეპისკოპოსის გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული; არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ მისი მიღების მიზანი არ შეესაბამება კათოლიკურ სწავლებას ან იმ პრინციპებს, რომლებიც დაცული იყო ევროპული კონვენციით.

საქმე *ებრაჰიმის საფრანგეთის წინააღმდეგ (Ebrahimian v. France)*, №64846/11, ECHR 2015, ეხებოდა გადაწყვეტილებას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ საავადმყოფოს სოციალური მუშაკისათვის, რადგან მან უარი განაცხადა, მუსლიმური ჩადრით არ ევლო სამსახურში. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ ეს გადაწყვეტილება მისთვის, როგორც სოციალური მუშაკისათვის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით იყო მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების, ისევე როგორც რელიგიის თავისუფლების, დარღვევა. სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოებს არ გადაუჭარბებიათ მათთვის მინიჭებული დისკრეციისათვის იმის შეფასებისას, რომელი ინტერესი – ერთი მხრივ, მომჩივნის ინტერესი, ეტარებინა ის სამოსი, რომელიც მას სურდა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სეკულარობის პრინციპი – სარგებლობდა უპირატესობით. სახელმწიფომ ამ შემთხვევაში უპირატესად მიიჩნია ნეიტრალურობისა და სეკულარიზმის პრინციპი. სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩადრის ტარება მიჩნეულ იქნა რელიგიის მოჩვენებით გამოვლინებად, რაც შეუთავსებელი იყო ნეიტრალიტეტის მოთხოვნასთან, რომელიც დაეკისრათ საჯარო მოხელეებს თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას. მომჩივანს მოსთხოვეს, დაეცვა სეკულარიზმის პრინციპი, რასაც ადგენდა საფრანგეთის კონსტიტუციის 1-ლი მუხლი. ეროვნული სასამართლოების აზრით, აუცილებელი იყო სახელმწიფო სეკულარიზმის მხარდაჭერა და ამით საავადმყოფოში მყოფი პაციენტების დაცვა ზეგავლენის ან არაობიექტურობის ნებისმიერი საშიშროებისაგან. სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობამ, კერძოდ, ყველას რელიგიის პატივისცემამ, შექმნა გადაწყვეტილების მიღების საფუძველი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და, შესაბამისად, არ დარღვეულა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, ეტარებინა ის სამოსი, რომელიც მას სურდა.

საქმის *სიდარბასი და ძიაუტასი ლიტვის წინააღმდეგ (Sidabras and Džiautas v. Lithuania)*, № 55480/00 და №59330/00, ECHR 2004-VIII, მიხედვით, ორივე მომჩივანი გაათავისუფლეს საგადასახადო ინსპექტორების თანამდებობიდან მათი ადრინდელი სამსახურის – სუკ-ის (KTB) აგენტობის გამო. მომჩივნები ასაჩივრებდნენ, რომ მათ აეკრძალათ დასაქმება კერძო სექტორში 1999-2009 წლებში, რადგან ისინი იყვნენ სუკ-ის ყოფილი თანამშრომლები, რაც არღვევდა კონვენციის მე-8 და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს აკრძალვა მოსარჩელებთან მიმართებით, რომლებიც ეძებენ სამსახურს კერძო სექტორის სხვადასხვა სფეროში, იყო არაპროპორციული ღონისძიება, თუნდაც იმ მიზნების ლეგიტიმურობის გათვალისწინებით, რომლებიც ამოძრავებდა ამ ქმედებას. აქედან

გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად.

საქმის *სიდარბასი და სხვები ლიტვის წინააღმდეგ (Sidabras and Others v. Lithuania)*, № 50421/08 და № 56213/08, 23 ივნისი, 2015 წ., მიხედვით, სამი მოსარჩელე: ყოფილი საგადასახადო ინსპექტორი, პროკურორი და ადვოკატი, რომლებიც მუშაობდნენ კერძო სატელეკომუნიკაციო კომპანიაში, ასაჩივრებდნენ, რომ ლიტვამ არ გააუქმა საკანონმდებლო აქტი („სუკ-ის აქტი“), რომელიც უკრძალავდა სუკ-ის ყოფილ თანამშრომლებს მუშაობას კერძო სექტორის გარკვეულ სფეროებში, იმის მიუხედავად, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2004 და 2005 წლებში მათ სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) და არც მე-8 მუხლი პირველი ორი მომჩივნის შემთხვევაში, რომლებმაც ვერ დაიწყეს სამსახური კერძო სექტორში, მაგრამ დაირღვა როგორც მე-14 მუხლი, ისე მე-8 მუხლი მესამე მომჩივნის შემთხვევაში, რომელმაც ასევე ვერ დაიწყო სამსახური კერძო სექტორში. სასამართლომ დაადგინა, რომ ვერც პირველმა და ვერც მეორე მომჩივანმა ვერ შეძლეს, დამაჯერებლად წარმოეჩინათ, რომ მათ მიმართ მოხდა დისკრიმინაცია: პირველმა მომჩივანმა ვერ წარუდგინა სასამართლოს რაიმე კონკრეტული ინფორმაცია, ვინ უთხრა უარი სამსახურის დაწყებაზე შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების გამო, ან როდის მოხდა ეს. არც სასამართლოს აღმოუჩენია ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული სასამართლოების დასკვნას მის საქმესთან დაკავშირებით, რომ იგი დარჩა უმუშევარი, რადგან მას არ გააჩნდა სათანადო კვალიფიკაცია; რაც შეეხება მეორე მოსარჩელეს, მან თავად აღიარა, რომ ის იყო სტაჟიორი იურისტი 2006 წლისათვის და რომ მას არასდროს უცდია, დაეწყო სხვა სამსახური კერძო სექტორში; მესამე მომჩივნის შემთხვევაში კი, ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ლიტვის მთავრობამ აჩვენა ეროვნული სასამართლოების მხრიდან პირდაპირი მითითება სუკ-ის აქტზე – კერძოდ, ის ფაქტი, რომ მესამე მომჩივნის სამსახურში აღდგენის საკითხი ვერ გადაწყდებოდა დადებითად, სანამ სუკ-ის აქტი იყო ძალაში – არ ყოფილა გამამყვეტი ფაქტორი სახელმწიფო ორგანოების მიერ სამართლებრივი საფუძვლის ჩამოყალიბებისას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, დისკრიმინაციის აკრძალვასთან ერთობლიობაში.

საქმეები *ლუსტიგ-პრინი და ბეკეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Lustig-Prean and Beckett v. the United Kingdom)*, № 31417/96 და №32377/96, 27 სექტემბერი, 1999 წ., *სმიტი და გრეიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Smith and Grady v. the United Kingdom)*, № 33985/96 და №33986/96, ECHR 1999-VI, *პერკინსი და R. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Perkins and R. v. the United Kingdom)*, № 43208/98 და № 44875/98, 22 ოქტომბერი, 2002 წ. და *ბექი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Beck and Others v. the United Kingdom)*, № 48535/99 და 2 სხვა, 22 ოქტომბერი, 2002 წ., ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების წევრებს, რომლებიც დაითხოვეს სამსახურიდან მხოლოდ მათი სექსუალური ორიენტაციის გამო. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ შეიარაღებულ ძალებში

ჰომოსექსუალთა დასაქმების აბსოლუტური აკრძალვის გამო, რაც მოქმედებდა მათი გათავისუფლების პერიოდში, დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული მათი უფლებები.

ამ ოთხ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლოს აზრით, მომჩივნების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები იყო განსაკუთრებით მძიმე ჩარევა მათ პირად ცხოვრებაში და არ იყო გამართლებული „დამაჯერებელი და წონადი არგუმენტებით“. სმიტის, გრეიდის და ბეკის, კოპის და ბაზელის შემთხვევებში სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება), რადგან მომჩივნებს არ ჰქონდათ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალება მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევასთან მიმართებით.

4.7.1. გენდერული ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება

საქმე *ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ (Emel Boyraz v. Turkey)*, № 61960/08, 2 დეკემბერი, 2014 წ., ეხებოდა საჯარო სექტორში სამსახურიდან (ელექტროენერჯის სახელმწიფო კომპანიიდან) მომჩივნის განთავისუფლებას გენდერის საფუძველზე. მომჩივანი განთავისუფლებამდე, თითქმის სამი წლის განმავლობაში, მუშაობდა უსაფრთხოების ოფიცრის პოზიციაზე. 2004 წლის მარტში იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან, რადგან არ იყო მამაკაცი და არ ჰქონდა გავლილი სამხედრო სამსახური. მომჩივნის მტკიცებით, მისი განთავისუფლება და ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოება დისკრიმინაციული იყო და ეფუძნებოდა გენდერულ ნიშანს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლები. სასამართლოს აზრით, ხელისუფლების ის არგუმენტი, რომ უსაფრთხოების ოფიცრებმა უნდა იმუშაონ ღამის ცვლაში, უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი და ფიზიკური ძალა გარკვეულ პირობებში, თავისთავად არ ამართლებდა ნებისმიერ განსხვავებულ მოპყრობას ქალებისა და მამაკაცების მიმართ. უფრო მეტიც, მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი იყო არა მისი უუნარობა, საკუთარ თავზე აეღო ასეთი პასუხისმგებლობა, ან რაიმე არგუმენტი, რაც მიუთითებდა მომჩივნის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას, არამედ თურქეთის ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმად, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ხდებოდა ქალების მიმართ განსხვავებული მოპყრობა. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია: ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა არ დაასაბუთეს მოთხოვნის საფუძველი, რომ მხოლოდ მამრობითი სქესის პერსონალს შეეძლო უსაფრთხოების ოფიცრის პოზიციაზე მუშაობა ელექტროენერჯის სახელმწიფო კომპანიის

ფილიალში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვასთან ერთად.

4.7.2. სამსახურიდან გათავისუფლება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო

საქმე *I.B. საბერძნეთის წინააღმდეგ (I.B. v. Greece)*, № 552/10, ECHR 2013, ეხებოდა აივ (HIV) ინფიცირებული თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებას კომპანიის სხვა თანამშრომლების მოთხოვნით.⁸⁵ როგორც საბერძნეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, სამსახურიდან მომჩივნის გათავისუფლება გამართლებული იყო იმით, რომ იგი იყო აივ-ით ინფიცირებული, რის გამოც არ დარღვეულა რაიმე კანონი. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი გათავისუფლება სამსახურიდან არღვევდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას და მისი გათავისუფლება იყო დისკრიმინაციული.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი მართლაც აღმოჩნდა დისკრიმინაციის მსხვერპლი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც არღვევდა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლებს. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, თავიანთ შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში დაეყრდნენ აშკარად არასწორ ინფორმაციას, კერძოდ, მისი ავადმყოფობის გადამდებ ბუნებასთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლოებმა წარმოადგინეს არასაკმარისი განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორ გადაწონა დამსაქმებლის ინტერესებმა მომჩივნის ინტერესები და, ამგვარად, ვერ შეძლეს სწორი ბალანსის დადგენა ორივე მხარის უფლებებს შორის. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით.

საქმის *კოპლანდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Copland v. the United Kingdom)*, № 62617/00, ECHR 2007-I, მომჩივანი მუშაობდა კარმართენშირის კოლეჯში, რომელსაც მართავდა სახელმწიფო. 1995 წელს იგი გახდა კოლეჯის დირექტორის პირადი თანაშემწე და მოეთხოვებოდა მჭიდრო თანამშრომლობა ახალდანიშნულ დირექტორის მოადგილესთან. სასამართლოს წინაშე მომჩივანმა განაცხადა, რომ კოლეჯში მუშაობის დროს დირექტორის მოადგილის ინიციატივით მის ტელეფონით, ელ. ფოსტითა და ინტერნეტით სარგებლობაზე ხორციელდებოდა მონიტორინგი.

⁸⁵ გადაწყვეტილების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-146212>

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის შესახებ პირადი ინფორმაციის შეგროვება და შენახვა მის მიერ ტელეფონის, ელ. ფოსტისა და ინტერნეტის გამოყენებისას, იყო ჩარევა მისი პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლებაში და, რომ ჩარევა არ მოხდა „კანონის შესაბამისად“, რადგან იმ მომენტისათვის არ არსებობდა მონიტორინგის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა. მართალია, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეიძლება, ზოგჯერ კანონიერი იყოს დამსაქმებლის მხრიდან თანამშრომლის მიერ ტელეფონითა და ინტერნეტით სარგებლობაზე მონიტორინგისა და კონტროლის დაწესება, მაგრამ ამ შემთხვევაში არ იყო საჭირო იმის განსაზღვრა, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რადგან ჩარევამ ვერ დააკმაყოფილა უმთავრესი კრიტერიუმი, რომელიც მოითხოვს პირად ცხოვრებაში ნებისმიერი ჩარევის მოქმედი კანონმდებლობით რეგულირებას.

საქმის *ბენედიქსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ (Benediktssdóttir v. Iceland)* (განჩინება), №[38079/06](#), 19 ივნისი, 2009 წ., მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მისი პირადი ელ. ფოსტის უკანონო გამოქვეყნებისაგან არასაკმარისი დაცვის უზრუნველყოფის გამო, ისლანდიამ ვერ შეძლო კონვენციის მე-8 მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებების დაცვა. მან განაცხადა, რომ უცნობმა მესამე მხარემ მიიღო ზემოხსენებული ელექტრონული ფოსტის წერილები მისი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე სერვერიდან, რომელსაც წარსულში ფლობდა და ამუშავებდა მისი ყოფილი დამსაქმებელი, რომელიც გაკოტრდა. ელექტრონული შეტყობინებები შედგებოდა ელექტრონულ ფოსტაში არსებულ წერილებში მოცემული პირდაპირი ციტატებისა ან ფრაზებისაგან. ხსენებული კომუნიკაცია წარმოებდა მომჩივანსა და ყოფილ კოლეგას, მრავალეროვნული კომპანიის მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს, შორის. ამ წერილებში გამოთქმული იყო სურვილი, რომ მომჩივანს ეპოვა შესაფერისი ადვოკატი, რომელიც დაეხმარებოდა მის ხელთ არსებული მამხილებელი მასალის პოლიციისათვის გადაცემაში და წარმოადგენდა მას მომავალში სასამართლოში ზემოხსენებული მრავალეროვნული კომპანიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ისლანდიაში იმ დროს მიმდინარეობდა საჯარო დებატები იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელთა თანახმად, გამოჩენილი მოღვაწეები ახდენდნენ არამართლზომიერ ზეგავლენას ქვეყანაში განხორციელებულ ყველაზე მასშტაბურ სისხლის სამართლის გამოძიებაზე.

ევროპულმა სასამართლომ არსებით განხილვაზე დაუშვებლად მიიჩნია განცხადება (აშკარად დაუსაბუთებელი). სასამართლოს განმარტებით, არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ისლანდიის ხელისუფლების ორგანოები გასცდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებს და ვერ შეძლეს სამართლიანი ბალანსის დადგენა გაზეთის გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით და მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლებას შორის, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად.

საქმის *კოპკე გერმანიის წინააღმდეგ (Köpke v. Germany)* (განჩინება), №[420/07](#), 5 ოქტომბერი, 2010 წ., მოსარჩელე, სუპერმარკეტის მოლარე, გაათავისუფლეს

სამსახურიდან ქურდობისათვის, გაფრთხილების გარეშე, მისი დამსაქმებლის მიერ გადაღებული ფარული ვიდეოგადაღების საფუძველზე, რაც განხორციელდა კერძო დეტექტიური სააგენტოს დახმარებით. მან წარუმატებლად გაასაჩივრა თავისი განთავისუფლება შრომის სასამართლოების წინაშე, არც მისი კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილდა – სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა (აშკარად დაუსაბუთებელი) მომჩივნის საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება შეზღუდული იყო დროში (ორი კვირა) და მოიცავდა მხოლოდ სალაროს გარშემო და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ტერიტორიას. მიღებული ვიზუალური მონაცემები გადაამუშავეს დეტექტიურ სააგენტოში მომუშავე პიროვნებათა მცირე რაოდენობამ და დამსაქმებლის თანამშრომლებმა და გამოიყენეს მხოლოდ მისი დასაქმების შეწყვეტასა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებით შრომის სასამართლოების წინაშე. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამგვარად მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა შეიზღუდა იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო ვიდეოთვალთვალის მიზნების მისაღწევად.

საქმე *ოზპინარი თურქეთის წინააღმდეგ (Özpinar v. Turkey)*, № 20999/04, 19 ოქტომბერი, 2010 წ., ეხებოდა მართლმსაჯულების ეროვნული საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მიზეზების გამო (პირადი ურთიერთობა ადვოკატთან და შეუფერებელი ტანსაცმლის ტარება და მაკიაჟი). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მართლმსაჯულების ეროვნული საბჭოს მიერ მისი გათავისუფლება მოხდა მისი პირადი ცხოვრების გამო და, რომ სამართლებრივი დაცვის არავითარი ეფექტიანი საშუალება არ იყო მისთვის ხელმისაწვდომი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ იყო დასახულ კანონიერ მიზანთან პროპორციული. სახელმწიფო ორგანოებმა ვერ წარუდგინეს ევროპულ სასამართლოს ვერანაირი მტკიცებულება, რატომ იყო მომჩივნის პირადი ურთიერთობა ან მისი ცხოვრების სტილი და მაკიაჟი შეუფერებელი მოსამართლის თანამდებობასთან. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება).

საქმე *D.M.T. და D.K.I. ბულგარეთის წინააღმდეგ (D.M.T. and D.K.I. v. Bulgaria)*, № [29476/06](#), 24 ივლისი, 2012 წ., ეხებოდა საჯარო მოხელის საქმიანობის შეჩერებას ექვს წელზე მეტი დროით, რადგან მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სისხლის სამართალწარმოება. მოსარჩელეს, ამავე დროს, ეკრძალებოდა ნებისმიერი სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა საჯარო თუ კერძო სექტორში, გარდა პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობისა. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მუშაობის აკრძალვის გამო იგი ვერ პოულობდა სამსახურს და ვერ იღებდა ხელფასს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აკრძალვა არ იყო კანონიერი მიზნის პროპორციული, რომელიც შეიძლება ჰქონოდა ხელისუფლებას და არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ამგვარი სამართალწარმოების ნორმალური და გარდაუვალი შედეგი.

საქმე *მიშო საფრანგეთის წინააღმდეგ (Michaud v. France)*, № 12323/11, ECHR 2012, ეხებოდა ფრანგ ადვოკატებზე დაკისრებულ ვალდებულებას, განეცხადებინათ „ექვების“ შესახებ, რომლებიც უკავშირდებოდა მათი კლიენტების მიერ შესაძლო ფულის გათეთრებას. სხვა საკითხებთან ერთად, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ევროკავშირის დირექტივების შედეგად წარმოქმნილი ეს ვალდებულება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც იცავს ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების კონფიდენციალურობას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობას და ადვოკატის პროფესიის მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, ექვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ემსახურებოდა უწყსრიგობის ან დანაშაულის აღმოფხვრის კანონიერ მიზანს, რადგან ის იყო მიმართული ფულის გათეთრების წინააღმდეგ და მასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის დანაშაულებთან საბრძოლველად. ამგვარი ვალდებულების დაკისრება აუცილებელი იყო ამ მიზნის მისაღწევად. სასამართლომ დაადგინა, რომ ექვების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, როგორც ეს განხორციელდა საფრანგეთში, არ იყო არათანაზომიერი ჩარევა პროფესიულ პრივილეგიაში, რადგან ადვოკატები არ ექვემდებარებოდნენ ზემოთ ხსენებულ მოთხოვნას მომჩივნების დაცვისას და არ იყვნენ ვალდებულნი, ეცნობებინათ ამ ექვების შესახებ საგამომიებო ორგანოებისათვის, არამედ უნდა წარედგინათ ეს ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტისათვის.

საქმე *რადუ მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Radu v. the Republic of Moldova)*, № 50073/07, 15 აპრილი, 2014 წ., ეხებოდა მომჩივნის საჩივარს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საავადმყოფოს მიერ მისი სამედიცინო ინფორმაციის დამსაქმებლისათვის გამჟღავნების შესახებ. იგი მუშაობდა ლექტორად პოლიციის აკადემიაში 2003 წლის აგვისტოში, იყო ორსულად ტყუპებზე, როდესაც გადაიყვანეს საავადმყოფოში ორი კვირით, მუცლის მოშლის საშიშროების გამო. მომჩივანმა გაუგზავნა შეტყობინება პოლიციის აკადემიას მისი ავადმყოფობის შესახებ, რომელიც ადასტურებდა მის არყოფნას სამსახურში. მიუხედავად ამისა, პოლიციის აკადემიამ მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია საავადმყოფოსაგან მისი სამედიცინო ისტორიის შესახებ, ხოლო საავადმყოფომ საპასუხო წერილით მიაწოდა მეტი ინფორმაცია მის ორსულობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და დანიშნულ მკურნალობასთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია ფართოდ გავრცელდა მომჩივნის სამსახურში და ცოტა ხნის შემდეგ მას მუცელი მოეშალა მიღებული სტრესის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“.

საქმე *სორო ესტონეთის წინააღმდეგ (Sõro v. Estonia)*, № 22588/08, 3 სექტემბერი, 2015 წ., ეხებოდა მომჩივნის საჩივარს იმ ფაქტზე, რომ ინფორმაცია საბჭოთა კავშირის დროს მისი სამუშაოს შესახებ, როგორც სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების

კომიტეტის (სუკ) მძღოლისა, გამოქვეყნდა ესტონეთის სახელმწიფო მაცნეში 2004 წელს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-8 მუხლი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომჩივნის პირადი ინფორმაციის გავრცელება არაპროპორციული იყო დასახულ მიზანთან. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაცია უშიშროების ყოფილი სამსახურის ყველა თანამშრომლის შესახებ – მათი მძღოლების ჩათვლით, როგორც ეს მომჩივნის შემთხვევაში მოხდა – გამოქვეყნდა, მიუხედავად იმისა, რა კონკრეტულ ფუნქციას ასრულებდნენ ისინი.

საქმე *ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ (Bărbulescu v. Romania)* [დიდი პალატა], № 61496/08, 5 სექტემბერი, 2017 წ., ეხება კერძო კომპანიის მიერ მომჩივნის გათავისუფლებას სამსახურიდან, რომელმაც ისარგებლა კომპანიის ინტერნეტით პირადი მიზნებისათვის სამუშაო საათებში და ამით დაარღვია შინაგანაწესი. მომჩივანი დაობდა, რომ მისი დამსაქმებლის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით გამომდინარეობდა მისი კონფიდენციური მიმოწერიდან, რომელიც მას არ სურდა, რომ ცნობილი გამხდარიყო ვინმესათვის.

ევროპული სასამართლოს პალატამ, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, მომჩივნის პირადი ცხოვრების და მიმოწერის პატივისცემის უფლებასა და, მეორე მხრივ, მისი დამსაქმებლის ინტერესებს შორის. კერძოდ, პალატამ აღნიშნა, რომ მოხდა მომჩივნის პირად ცხოვრებასა და კორესპონდენციაში ჩარევა, თუმცა დამსაქმებლის მხრიდან მისი კომუნიკაციის მონიტორინგი იყო გამართლებული დისციპლინური სამართალწარმოების თვალსაზრისით. დიდი პალატა არ დაეთანხმა პალატის გადაწყვეტილებას და დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის დაცულობის უზრუნველყოფა. სასამართლომ ქმედების თვითნებობის შეფასებისას არსებითად მიიჩნია პროპორციულობა და პროცედურული გარანტიები. ამ კონტექსტში ეროვნულ ორგანოებს შემდეგ ფაქტორებზე უნდა გაემახვილებიათ ყურადღება და ემსჯელათ: თანამშრომელს ეცნობა თუ არა დამსაქმებლის მხრიდან მის კორესპონდენციასა და სხვა კომუნიკაციაზე შესაძლო მონიტორინგის ღონისძიებების შესახებ და ამგვარი ღონისძიებების გატარების თაობაზე; დამსაქმებლის მხრიდან მონიტორინგის ფარგლები და დასაქმებულის პირად ცხოვრებაში შეჭრის ხარისხი; წარმოადგინა თუ არა დამსაქმებელმა დასაქმებულის კომუნიკაციის მონიტორინგის დასაბუთების საფუძვლები; შესაძლებელი იყო თუ არა თანამშრომლის კომუნიკაციის შინაარსზე პირდაპირი წვდომის გარდა სხვა ნაკლებად ჩამრევი მონიტორინგის მეთოდის ქონა; მონიტორინგს დაქვემდებარებული თანამშრომლისთვის ამ მონიტორინგის შედეგები; თანამშრომელს გააჩნდა თუ არა ადეკვატური გარანტიები, განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც მონიტორინგის ოპერაციები განსაკუთრებული ჩარევის ხარისხით გამოირჩევა.

საქმე *ვილნესი და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ (Vilnes and Others v. Norway)*, № 52806/09 და № 22703/10, 5 დეკემბერი, 2013 წ., ეხებოდა მცვინთავების საჩივრებს, რომლებშიც ამტკიცებდნენ, რომ ისინი გახდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ნავთობის კომპანიების დაკვეთით ჩრდილოეთის ზღვაში ყვინთვის (დაივინგი) გამო, რაც ხორციელდებოდა ნავთობის მოპოვების საწყის პერიოდში (1965 წლიდან 1990 წლამდე). ყველა მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ ნორვეგიამ ვერ გაატარა სათანადო ღონისძიებები, რათა დაეცვა ღრმა წყალში მცვინთავების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩრდილოეთის ზღვაში და, როგორც ეს მოხდა კონკრეტული სამი მომჩივნის შემთხვევაში, საცდელ ცენტრებში მუშაობის დროს. ისინი აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მათთვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება იმ საფრთხეების შესახებ, რასაც იწვევს როგორც ღრმა წყალში ყვინთვა (დაივინგი), ისე საცდელი ყვინთვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ნორვეგიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო, მომჩივნებს მომჩივნებს მიეღოთ აუცილებელი ინფორმაცია, რაც მათ მისცემდა საშუალებას, შეეფასებინათ ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკები, რომელთაც იწვევდა სწრაფი დეკომპრესია.

ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარების თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფო დაწესებულებას აკისრებს ვალდებულებას, თანამშრომლებმა მიიღონ არსებითი ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, შეაფასონ თავიანთ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროფესიული საფრთხეები.

საქმე *ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (Brincat and Others v. Malta)*, № 60908/11 და 4 სხვა, 24 ივლისი, 2014 წ., ეხებოდა ვერფების (გემთსაშენი ქარხანა) სარემონტო სამუშაოების შემსრულებელ მუშებს, რომლებიც განიცდიდნენ აზბესტის ზემოქმედებას ათწლეულების განმავლობაში, დაწყებული 1950 წლიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე, რამაც გამოიწვია მათი დაავადება. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ აზბესტის ზემოქმედები გამო მალტის მთავრობამ ვერ შეძლო, დაეცვა ისინი და მათი ნათესავების ჯანმრთელობა ფატალური შედეგებისაგან. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) მუხლი იმ მომჩივანთა მიმართ, რომელთა ნათესავიც გარდაიცვალა და კონვენციის მე-8 მუხლი დანარჩენ განმცხადებლებთან მიმართებით. სასამართლოს განმარტებით, აზბესტით გამოწვეული საფრთხის სერიოზულობის გათვალისწინებით და შეფასების ფარგლების მიუხედავად, რომ თავად გადაეწყვიტათ, როგორ უნდა გამკლავებოდნენ ასეთ საფრთხეებს, მალტის მთავრობამ ვერ დააკმაყოფილა დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის თანახმად, რათა დაეწესებინა წესი ან გაეტარებინა სხვა პრაქტიკული ღონისძიება, რომ მომჩივნები ყოფილიყვნენ სათანადოდ დაცულნი და ინფორმირებულნი მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ არსებული საფრთხეების შესახებ. 1970 წლიდან მალტის მთავრობამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ვერფის მუშებს შეექმნებოდათ ჯანმრთელობის პრობლემები, რაც გამოწვეული იქნებოდა აზბესტის ზემოქმედების შედეგად, მაგრამ

2003 წლამდე მთავრობას არ გადაუდგამს რაიმე სახის პოზიტიური ნაბიჯი ამ საფრთხის დასაძლევად ან გასაწესრიგებლად.

4.8. ადამიანის სიცოცხლე და პირადი ცხოვრება

სასიკვდილო შედეგის დადგომა, როგორც ადამიანის უფლება, ევროპულ სასამართლოს განხილული აქვს რამდენიმე უფლებასთან მიმართებით. ადრეულ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ ზოგადად მიიჩნია, რომ ევთანაზიასთან დაკავშირებით სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებული მიდგომების გამო, მათ აქვთ შეფასების ფართო ფარგლები იმის განსაზღვრისას, უნდა იქნეს თუ არა ინკრიმინირებულ ქმედებად გამოცხადებული სიკვდილის მოსწრაფებაში დახმარების აღმოჩენა. 2002 წელს საქმეზე *ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the United Kingdom)*, 2346/02, 2002 წლის 29 აპრილი ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სიცოცხლის უფლება არ გულისხმობს სიკვდილის უფლებას, ისევე როგორც სახელმწიფოს მიერ სასიკვდილო შედეგის დადგომაში შესაბამისი ადამიანისათვის სხვა პირის დახმარების აკრძალვა (ევთანაზია) არ არღვევს პირად ცხოვრებას.

საქმის *სანლეს სანლეს-ი ესპანეთის წინააღმდეგ (Sanles Sanles v. Spain)*(განჩინება), № 48335/99, ECHR 2000-XI მომჩივანი მოქმედებდა თავისი სიძის სახელით, რომელიც დაავადებული იყო ტეტრაპლეგიით და სურდა სიცოცხლის მოსწრაფება მესამე მხარის დახმარებით, თუმცა იგი გარდაიცვალა მანამდე, ვიდრე ევროპულმა სასამართლომ განიხილა მისი საჩივარი. სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო კონვენციის დებულებებთან *ratione personae* შეუსაბამობის საფუძველით.

ზემოთ ხსენებულ *ფრითის* საქმის მიხედვით, მომჩივანი იმყოფებოდა განუკურნებელი ნეიროდეგენერაციული დაავადების ბოლო სტადიაზე და, კონვენციის მე-2, მე-3, მე-8, მე-9 და მე-14 მუხლებზე დაყრდნობით, ითხოვდა უფლებას, თავისი ქმარი დახმარებოდა თვითმკვლელობაში, რასაც იგი დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა, და ამისათვის მეუღლე არ დაქვემდებარებოდა დევნას გაერთიანებული სამეფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს უფლება არ დარღვეულა. ევროპულმა სასამართლომ 2002 წელს გადაწყვიტა, რომ სიცოცხლის უფლება არ შეიძლებოდა განმარტებულიყო იმგვარად, რომ მას მოეცვა ასევე სიკვდილის უფლება. შესაბამისად ხელისუფლების ორგანოების უარი, რომ განმცხადებლის მეუღლე დახმარებოდა მას სასიკვდილო შედეგის დადგომაში და შემდგომში არ დასჯილიყო ევთანაზიისათვის, არ არღვევდა ქ-ნი ფრითის სიცოცხლის უფლებას

მიუხედავად ამ საქმისა, 2010 წლის შემდგომ განხილულ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ სიკვდილის უფლება არის პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

საქმეში *ჰაასი შვეიცარიის წინააღმდეგ (Haas v. Switzerland)*, № 31322/07, ECHR 2011, ევროპულმა სასამართლომ განიხილა, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების საფუძველზე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუ არა, რომ ავადმყოფმა ადამიანმა, რომელსაც სურს ჩაიდინოს სუიციდი, მიიღოს სასიკვდილო ნივთიერება (ნატრიუმის ფენობარბიტალი) ურეცეპტოდ, რათა შეძლოს საკუთარი ცხოვრების დასრულება ყოველგვარი ტკივილის გარეშე. მოსარჩელე, რომელიც დაავადებული იყო სერიოზული ბიპოლარული აფექტური აშლილობით დაახლოებით ოცი წლის განმავლობაში და მიიჩნევდა, რომ ვეღარ იცხოვრებდა ღირსეულად, ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი უფლება, დაესრულებინა საკუთარი სიცოცხლე ღირსეულად, რადგან შვეიცარიაში მას უარი უთხრეს კონკრეტული ნივთიერების გაცემაზე, რათა ჩაედინა თვითმკვლელობა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ჯერ კიდევ შორს იყვნენ კონსენსუსის მიღწევისაგან ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით – პირმა თავად აირჩიოს, თუ როგორ და როდის დაასრულოს სიცოცხლე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებს ჰქონდათ ფართო დისკრეცია ამ საკითხებთან მიმართებით. მართალია, სასამართლომ აღიარა, რომ მომჩივანს შეიძლება სურდა სუიციდი უსაფრთხო და ღირსეული გზით და ყოველგვარი ტკივილის გარეშე, მაგრამ ჩათვალა, რომ შვეიცარიის კანონით დადგენილ მოთხოვნას, რომ ექიმის მიერ გაცემულიყო რეცეპტი ნატრიუმის ფენობარბიტალის მისაღებად, ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი, კერძოდ, დაეცვა პირები ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ რეცეპტის მოთხოვნა, რომელიც გაიცემა საფუძვლიანი ფსიქიატრიული შეფასების საფუძველზე, შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლს. სხვა სიტყვებით, ერთი მხრივ, სასამართლომ აღიარა, რომ სიკვდილის უფლება ხვდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, განაცხადა, რომ გარკვეული პროცედურები, რომლებიც სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის გადასამოწმებლად სიცოცხლის მოსწრაფებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ არღვევდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. აღნიშნულის განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი იყო იმის იდენტიფიცირება, რამდენად საღი გონებით იღებდა პირი ამ გადაწყვეტილებას.

საქმის *კოხი გერმანიის წინააღმდეგ (Koch v. Germany)*, №497/09, 19 ივლისი, 2012, მიხედვით, 2004 წელს მომჩივნის მეუღლემ, რომელიც დაავადებული იყო კვადრიპლეგიით, უშედეგოდ მიმართა ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქტების ფედერალურ ინსტიტუტს ნებართვისათვის, რათა მიეღო ნარკოტიკის ლეტალური დოზა და ჩაედინა თვითმკვლელობა საკუთარ საცხოვრებელში, გერმანიაში. მომჩივანმა და მისმა მეუღლემ უარი მიიღეს მოთხოვნაზე, ისევე როგორც ხსენებულთან დაკავშირებით წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე. 2005 წლის

თებერვალში, ისინი, ორივე, გაემგზავრნენ შვეიცარიაში, სადაც ცოლმა თავი მოიკლა ასოციაციის დახმარებით. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ ეროვნული სასამართლოების უარმა, განეხილათ მისი საჩივრის არსი, დაარღვია მისი უფლება პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემასთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია: ბ-ნ კოხს შეეძლო, პრეტენზია გამოეთქვა იმის თაობაზე, რომ პირდაპირ უარი უთხრეს ნებართვის გაცემაზე, რათა შეეძინა წამლის სასიკვდილო დოზა. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილი მომჩივნის პროცედურული უფლებები გერმანიის სასამართლოების მხრიდან, რომლებმაც უარი განუცხადეს მას, განეხილათ მისი საჩივარი არსებითად.

საქმე *გროსი შვეიცარიის წინააღმდეგ (Gross v. Switzerland)* [დიდი პალატა], № 67810/10, ECHR 2014 ეხებოდა ასაკოვანი ქალბატონის საჩივარს, რომელსაც სურდა თავისი ცხოვრების დასრულება, მაგრამ არ იყო დაავადებული კლინიკური დაავადებით და არ შეეძლო, მიეღო ნებართვა შვეიცარიის ხელისუფლებისაგან, რათა ნარკოტიკების ლეტალური დოზის მიღებით ჩაედინა თვითმკვლელობა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი უფლების უარყოფით, თავად გადაეწყვიტა, როგორ და როდის დაასრულებდა საკუთარ სიცოცხლეს, შვეიცარიის ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი.

2013 წლის 14 მაისს პალატის გადაწყვეტილებით, ევროპულმა სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ მიუთითა, რომ შვეიცარიის კანონი არ იყო საკმარისად ნათელი, როდის იყო ნებადართული თვითმკვლელობის ხელშეწყობა – კერძოდ, როდესაც ექიმს უფლება ჰქონდა, სასიკვდილო სენით დაავადებული პირისათვის გაეცა რეცეპტი პრეპარატის სასიკვდილო დოზაზე, კანონმდებლობა ბუნდოვანი იყო, თუ რა უფლებამოსილებები ჰქონდა ექიმს ჯანმრთელ ადამიანთან მიმართებით, რომელსაც სურდა თვითმკვლელობის ჩადენა მედიკამენტების მეშვეობით.

სასამართლოს პალატის მიერ საქმის გადაწყვეტის შემდეგ შვეიცარიის მთავრობის თხოვნით საქმე გადაეცა დიდ პალატას. 2014 წლის იანვარში შვეიცარიის მთავრობამ აცნობა სასამართლოს, რომ მისთვის ცნობილი გახდა მომჩივნის 2011 წლის ნოემბერში გარდაცვალების შესახებ. 2014 წლის 30 სექტემბერს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხმათა უმრავლესობით სარჩელი გამოაცხადა დაუშვებლად. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანი აპირებდა, შეცდომაში შეეყვანა სასამართლო თავისი საჩივრის მთავარ არსთან დაკავშირებით. კერძოდ, სიკვდილის წინ მომჩივანი მაქსიმალურად შეეცადა, არ მომხდარიყო მისი გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თავისი ადვოკატისათვის და, შესაბამისად, სასამართლოსათვის, რათა არ დაეშვა ამ უკანასკნელის მხრიდან სამართალწარმოების შეწყვეტა მის საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მოქმედება იყო ინდივიდუალური სარჩელის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება (კონვენციის 35-ე მუხლი). ამ გადაწყვეტილების შედეგად, პალატის 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებამ, რომელიც არ გახდა საბოლოო გადაწყვეტილება, დაკარგა იურიდიული ძალა.

4.9. ადამიანის სახელი და გვარი

მართალია, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დისპოზიცია არ შეიცავს სპეციალურ მითითებას სახელთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ეს მაინც ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. სახელი და გვარი პირის იდენტიფიცირების კუთხით ასრულებს მნიშვნელოვან როლს, თუმცა სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზღუდვები გვარის შეცვლასთან დაკავშირებით, მიუხედავად პირის სურვილისა, ის შეიცვალოს, შეიძლება ემსახუროდეს საზოგადოების ინტერესებს.

საქმე *ბურჰარტზი შვეიცარიის წინააღმდეგ (Burghartz v. Switzerland)*, 22 თებერვალი, 1994, Series A no. 280-B, ეხებოდა შვეიცარიული წარმოშობის პირებს, რომლებიც დაქორწინდნენ გერმანიაში. ვინაიდან ბურჰარტზი (Burghartz) იყო გერმანიის მოქალაქე, ამ ქვეყნის კანონმდებლობით, ბურჰარტზი (Burghartz) მათ დააფიქსირეს როგორც გვარი, თუმცა ქმარმა შეინარჩუნა საკუთარი გვარი, რომელიც იწერებოდა საერთო გვარის წინ – შნაიდერ ბურჰარტზი (Schnyder Burghartz). შვეიცარიის სარეგისტრაციო სამსახურმა გვარი შნაიდერი დაარეგისტრირა როგორც ოჯახის გვარი, რის შემდეგაც ოჯახმა მიმართა სამსახურს და მოითხოვა გვარის შეცვლა, რაზეც უარი მიიღო, რადგან შვეიცარიის კანონმდებლობა ცნობდა ქალის უფლებას, აეღო ქმრის გვარი, ხოლო მამაკაცს არ ჰქონდა ცოლის გვარის აღების უფლება. შესაბამისად, მომჩივნები აცხადებდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან მიმართებით.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, განსხვავებით მრავალი საერთაშორისო სამართლის მექანიზმისაგან, კონვენციის მე-8 მუხლი არ გამოყოფს ცალკე პირის გვარს, როგორც დაცვის ობიექტს. მიუხედავად ამისა, იმ დროსაც კი, როდესაც პირის გვარი და სახელი გამოიყენება მისი პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით, ან კონკრეტულ ოჯახთან კუთვნილების დასადგენად, პირის გვარი მაინც მიეკუთვნება მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების სფეროს. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესი, მოახდინოს გვარის გამოყენების რეგულირება, არ გამორიცხავს ზემოაღნიშნულს, ვინაიდან ორივე ასპექტი ერთმანეთთან თავსებადია. პირის პირადი ცხოვრება ასევე გულისხმობს მის უფლებას, განავითაროს ურთიერთობები სხვა პირებთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პროფესიულ და კომერციულ სფეროშიც. ზემოაღნიშნულ საქმეში ქმრისათვის იმ შესაძლებლობის არარსებობას, რომ შეენარჩუნებინა გვარი, რომლითაც, მისი განმარტებით, იგი ცნობილი გახდა აკადემიურ წრეებში, შეეძლო, გავლენა მოეხდინა მის კარიერაზე.

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ სქესთა შორის თანასწორობისაკენ სწრაფვა იყო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი. შესაბამისად, მხოლოდ ძალიან წონად და მნიშვნელოვან მიზეზებს შეეძლოთ სქესის ნიშნით მოპყრობაში განსხვავების გამართლება. სასამართლომ არ გაიზიარა

ეროვნული სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შვეიცარიის კანონმდებლობის ჩანაწერი, რომელიც მხოლოდ ქალს აძლევდა საშუალებას, აეღო მეუღლის გვარი, იყო ტრადიციებზე დაფუძნებული და ემსახურებოდა ოჯახის ერთიანობის პრინციპს. სასამართლომ განაცხადა, რომ, ისევე როგორც ქალის შემთხვევაში, კაცის მიერ მეუღლის გვარის აღებაც ახდენს ოჯახის ერთიანობაზე ხაზგასმას და, ამავდროულად, არ შეიძლება, არსებული ტრადიცია, როგორც არგუმენტი, ჯეროვნად იქნეს მოშველიებული, ვინაიდან ასეთი რეგულაცია შვეიცარიაში 1984 წლიდან იქნა შემოღებული. კონვენცია უნდა განიმარტებოდეს არსებული რეალობის გათვალისწინებითა და, კერძოდ, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის საფუძველზე. დასკვნის სახით სასამართლომ განაცხადა, რომ გასაჩივრებულ განსხვავებულ მოპყრობას არ ახლდა თან ობიექტური და გონივრული ახსნა და დასაბუთება, რის გამოც დაირღვა მე-14 მუხლი და მე-8 მუხლი ერთობლიობაში.

საქმის *გიო საფრანგეთის წინააღმდეგ (Guillot v. France)*, 24 ოქტომბერი, 1996, მიხედვით, მეუღლეებმა, რომლებიც მომჩივნები იყვნენ, ქალიშვილს დაარქვეს შემდეგი სახელი: Fleur de Marie, Armine, Angèle. შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ უარი განაცხადა პირველი სახელის დარეგისტრირებასა და ბავშვის დაბადების მოწმობაში ამ სახელის ჩაწერაზე, რადგან ის არ იყო მითითებული წმინდანთა კალენდარში. კომპეტენტურმა ორგანომ დაარეგისტრირა იგი სახელით – Armine, Angèle. მომჩივნებმა მიმართეს ეროვნულ სასამართლოებს. მათ განმარტეს, რომ, ვინაიდან Fleur de Marie, როგორც სახელი, არ არსებობდა, მშობლებს შეეძლოთ მათი გაყოფა და დამოუკიდებელ ორ სახელად დარქმევა – „ფლორ-მარი“.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, მიუხედავად იმისა, მე-8 მუხლი ცალკე არ ეხება სახელს, იგი იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას ოჯახსა და საზოგადოებაში. ისევე როგორც ადამიანის გვარი, სახელიც ექცევა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვის სფეროში. მეტიც, ბავშვის სახელის შერჩევა არის მშობლების პირადი, ემოციური საკითხი და, შესაბამისად, ხვდება მათ პირად სივრცეში. როგორც მომჩივნები აცხადებდნენ, იმედგაცრუებულები იყვნენ იმ ფაქტით, რომ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ის სახელი მიეცათ შვილისთვის, რომელიც სურდათ. ამასთანავე, ისინი ყოველდღიურად განიცდიდნენ ტკივილს, როდესაც უხდებოდათ ბავშვთან დაკავშირებული ფორმალური პროცედურების გავლა და ახსნა, რატომ განსხვავდებოდა სახელი, რომელსაც მას ეძახდნენ, იმ სახელისაგან, რომლითაც იგი რეგისტრირებული იყო ოფიციალურ დოკუმენტებში.

სახელმწიფომ განაცხადა, რომ მშობლებისათვის სასურველი სახელის რეგისტრაციაზე უარით გამოწვეული შედეგები იყო მცირე, გამოეწვია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. მომჩივანთა შვილი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდა სახელს „ფლორ დე მარი“ და, გარდა ოფიციალური დოკუმენტებისა, მისი სახელის, „ფლორ-მარის“, გამოყენება არ იყო სავალდებულო. ამასთან, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტებში არ დარეგისტრირდა ის სახელი, რომლის დარქმევაც მშობლებს სურდათ შვილისათვის, სასამართლომ განაცხადა, რომ, სახელებს შორის მცირე

განსხვავების გამო, ბავშვს დაუბრკოლებლად შეეძლო სახელის გამოყენება. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ ფრანგულმა სასამართლოებმა, ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით, უფლება მისცეს მშობლებს, მათთვის სასურველი სახელის, „ფლორ დე მარის“, ალტერნატივად დაერეგისტრირებინათ სახელი „ფლორ-მარი“. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მშობლებისათვის ბავშვის „ფლორ დე მარის“ სახელით დარეგისტრირებაზე უარით გამოწვეული უხერხულობა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ შეფასებულიყო პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევად.

საქმის *სტიერნა ფინეთის წინააღმდეგ (Stjerna v. Finland)*, 25 ნოემბერი, 1994, Series A no. 299-B მიხედვით, ფინური წარმომავლობის მომჩივანმა მიმართა შესაბამის ეროვნულ ორგანოს და მოითხოვა გვარ „სტიერნას“ შეცვლა „ტავასტიერნათი“. მომჩივანი აცხადებდა, რომ გვარი, რომლითაც თავისი გვარის შეცვლა სურდა, ისტორიულად ეკუთვნოდათ მის წინაპრებს. სახელმწიფო ორგანომ მას ამ მოთხოვნაზე უარი განუცხადა. შესაბამისად, მომჩივანმა მიმართა სასამართლოს. იგი აცხადებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ საკითხის რეგულირებისას სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ფარგლები. ამასთანავე, მომჩივანმა ვერ დაუმტკიცა ეროვნულ სასამართლოებს, რომ სირთულეები, რომლებიც უკავშირდებოდა მისი გვარის სწორად დაწერას და წარმოთქმას, უფრო წონადი იყო, ვიდრე ის დისკომფორტი, რომელსაც აწყდებიან ევროპის კავშირისა და სხვა ქვეყნის მოქალაქეები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, სასამართლომ განაცხადა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეზე *გარგანა უკრაინის წინააღმდეგ (Garnaga v. Ukraine)*, №20390/07, 16 მაისი, 2013⁸⁶, მოსარჩელემ, რომელიც უკრაინის მოქალაქეა, შესაბამის სახელმწიფო ორგანოში შეიტანა მოთხოვნა, შეეცვალა თავისი მამის სახელი მამინაცვლის სახელით. მომჩივანი უთითებდა, რომ წლების განმავლობაში ცხოვრობდა დედის, მამინაცვლისა და ნახევარძმის გარემოცვაში და, მათთან მეტი სიახლოვე რომ ეგრძნო, სურდა გვარისა და მამის სახელის შეცვლა. სახელმწიფო ორგანომ მას საშუალება მისცა, შეეცვალა მხოლოდ გვარი. მამის სახელის შეცვლაზე სარეგისტრაციო სამსახურმა მას უარი უთხრა იმ მოტივით, რომ სამოქალაქო სტატუსის სარეგისტრაციო წესების (Rules on Civil Status Registration) მიხედვით, პირის მამის სახელი შეიძლება შეცვლილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მამა შეიცვლიდა სახელს. მომჩივანმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად.

ევროპულმა სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ სახელის, გვარისა და მამის სახელის არჩევა ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში, რაც აღიარებულია ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი

⁸⁶ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154078>

გადაწყვეტილებით. სასამართლომ ამ საქმეში კიდევ ერთხელ განაცხადა: მიუხედავად იმისა, შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი მიზეზები იმისათვის, რომ პირს სურდეს სახელისა და გვარის შეცვლა, სასამართლო აღიარებს, რომ შესაძლებელია სახელის ან გვარის შეცვლაზე დაწესდეს სამართლებრივი შეზღუდვა და ეს დასაბუთდეს საჯარო ინტერესით (მაგალითად მოსახლეობის ზუსტი რეგისტრაცია). სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ფარგლები სახელისა და გვარის შეცვლის კანონმდებლობის შემუშავებისას. მსგავს შემთხვევებში სასამართლო აფასებს არა სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, არამედ იმას, შეფასების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები რამდენად ჯდება კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებში.

უკრაინის კანონმდებლობა აღიარებდა: როდესაც პირები საკმარისად ზრდასრულები ხდებოდნენ ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც ეხება მათ სახელებს, მათ შეეძლოთ, შეენარჩუნებინათ ან შეეცვალათ ის სახელი, რომელიც მიიღეს დაბადებისას. აღნიშნულ საქმეში განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ პირს შეეძლო, შეენარჩუნებინა მისი მამის სახელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მამა აღარ ატარებდა იმ სახელს, რომელიც მას ადრე ჰქონდა. უკრაინის სამოქალაქო სამართლის ახალ კოდექსში, რომელიც მიიღეს 2004 წლის 1 იანვარს, გათვალისწინებული იყო, რომ პირს შეეძლო, შეეცვალა მამის სახელი, თუ მისი მამა თავად შეიცვლიდა სახელს. ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ დებულების განმარტება მოახდინეს ისე, როგორც აშკარა მითითება, რომ მამის მიერ თავისი სახელის შეცვლა იყო ერთადერთი შესაძლებელი საფუძველი პირის მიერ მამის სახელის შეცვლისა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეში მხარეთა შორის ძირითადი მსჯელობა მიმდინარეობდა იმაზე, მომჩივნის უფლების შეზღუდვა ეფუძნებოდა სამართალს, თუ სამართლის არასწორ განმარტებას. არსებობდა სხვადასხვა დებულება, რომლებიც მამის სახელის შეცვლის საკითხს არ აწესრიგებდა საკმარისი სიცხადით, თუმცა აღიარებდა პირის უფლებას, შეენარჩუნებინა ან შეეცვალა თავისი სახელი. პირისათვის სახელის შეცვლის შეზღუდვები იყო ძალიან მცირე და გამოიყენებოდა ძალიან სპეციფიკურ გარემოებებში, ძირითადად, ის უკავშირდებოდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას.

ამ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ მამის სახელის შეცვლასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ იყო სათანადოდ და საკმარისად დასაბუთებული ეროვნული კანონმდებლობით. ამასთანავე, უარი იმაზე, რომ პირს გადაეწყვიტა პირადი და ოჯახური ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი ასპექტი, არ იყო საკმარისად დასაბუთებული. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ დააბალანსეს მხარეთა ინტერესები, მათ ვერ შეასრულეს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოთ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

საქმეზე *ბულგაკოვი უკრაინის წინააღმდეგ (Bulgakov v. Ukraine)*, № 59894/00, 11 სექტემბერი, 2007 წ., მომჩივანი იყო რუსი ეროვნების უკრაინის მოქალაქე,

რომელიც ცხოვრობდა სიმფეროპოლში. მისი სრული სახელი იყო დიმიტრი ვლადიმეროვიჩ ბულგაკოვი. მას შემდეგ, რაც დაკარგა საბჭოთა კავშირის პასპორტი, მან მიმართა უკრაინის შესაბამის ორგანოებს უკრაინის მოქალაქის შიდა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების მოთხოვნით (*паспорт громадянина України*). მასზე გაიცა ორენოვანი დოკუმენტი, რომელშიც რუსულ ენაზე შენარჩუნებულ იქნა მომჩივნის სახელი და მამის სახელი, უკრაინულად კი იგი ჩაიწერა – *Dmytro Volodymyrovych*, – რაც გამოიწვია იმან, რომ უკრაინის კანონმდებლობით, სახელი და მამის სახელი დოკუმენტის უკრაინულ ვერსიაში აისახებოდა მხოლოდ სახელის უკრაინული ფორმით. მოგვიანებით მომჩივანმა მოითხოვა პასპორტი – სამოგზაურო დოკუმენტი, სადაც ჩაიწერა მისი სახელი, როგორც დიმიტრო – უკრაინულად და ინგლისურად და არ ასახულა მამის სახელი. პირმა სარჩელით მიმართა ეროვნულ ინსტანციებს, და განაცხადა, რომ ხდებოდა მისი, როგორც ეთნიკური უმცირესობის, დისკრიმინაცია და მისი სახელის „უკრაინიზაცია“.

ევროპული სასამართლოს აზრით, უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შიდა დოკუმენტი) გაიცემოდა ორ, უკრაინულ და რუსულ, ენაზე. ამასთანავე, რუსული, უკრაინული და ბელორუსული (სლავურ ენათა ჯგუფის) სახელები და გვარები უკრაინულ გრაფაში იწერებოდა არა მხოლოდ უკრაინული ასოებით, არამედ სახელის უკრაინული ეტიმოლოგიისა და ისტორიული ვერსიების თანახმად. ასეთი მიდგომა გამოიყენებოდა ყველა სლავური ჯგუფის სახელების მიმართ განურჩევლად. როგორც სასამართლომ განაცხადა, არსებობს ორი ძირითადი სიტუაცია, როდესაც საქმე ეხება პირის სახელსა და გვარს ოფიციალურ დოკუმენტებში: პირველი, როდესაც სახელი ოფიციალურ დოკუმენტში პირველად რეგისტრირდება (მაგ., დაბადების მოწმობა ან პირველი პასპორტი) და მეორე, როდესაც პირი იყენებს „უკრაინიზებულ“ სახელს, რაც ფიქსირდება მის პირადობის დოკუმენტში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში და გარკვეული გარემოებების გამო, მას სურს ორიგინალი/პირველადი სახელის დაბრუნება. სწორედ ეს უკანასკნელი სიტუაცია იყო ამ საქმეშიც. სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანმა თავიდანვე არ გააპროტესტა მისი „უკრაინიზებული“ სახელი, მეტიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი სარგებლობდა ამ სახელით და იყენებდა შიდა ოფიციალურ დოკუმენტაციაში, რომელთა დიდი ნაწილიც სწორედ მის „უკრაინიზებულ“ სახელზე იყო შედგენილი. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სახელი და გვარი არ არის მხოლოდ თვითიდენტიფიცირების ელემენტი, იგი არის საზოგადოებაში პირის იდენტიფიცირებისათვის გადაამწყვეტი. შესაბამისად, იმისათვის, რომ არ დაკარგულიყო კავშირი „ძველ“ და „ახალ“ პირს შორის, სახელმწიფოს შეეძლო მოეთხოვა პირისათვის დამატებითი, სპეციალური პროცედურების გავლა. მომჩივანს არასდროს უსარგებლია მსგავსი პროცედურით, რომელიც არსებობდა უკრაინაში და არ იყო იმდენად რთული, რომ პირისათვის შეუძლებელი ყოფილიყო მისი გავლა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ განაცხადა, რომ არსებული

მექანიზმი ითვალისწინებდა არა მარტო სახელის შეცვლას ახლით, არამედ მასში არსებული თუნდაც მცირე შეცდომის შესწორებას. შესაბამისად, მან არ გაიზიარა მომჩივნის პოზიცია, რომ უკრაინაში სახელის შეცვლის მექანიზმი არ იყო შესაფერისი მის შემთხვევაში, ვინაიდან იგი ითხოვდა სახელის აღდგენას და არა შეცვლას.

საქმის *იოჰანსონი ფინეთის წინააღმდეგ (Johansson v. Finland)*, № 10163/02, 6 სექტემბერი, 2007 წ., მიხედვით, მომჩივნებს უარი ეთქვათ, შვილისათვის დაერქვათ შერეული სახელი „Axl Mick“ იმ საფუძველით, რომ სახელის მართლწერა არ შეესაბამებოდა ფინური სახელების დარქმევის პრაქტიკას.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ საზოგადოების ინტერესია ბავშვის დაცვა შეუფერებელი, სასაცილო ან უცნაური სახელისაგან, ასევე ეროვნული სახელების შენარჩუნება. ეროვნულ ხელისუფლებას აქვს შეფასების ფართო ფარგლები, გამოიყენონ კანონი სახელის შესახებ თითოეულ შემთხვევაში. სახელ „Axl“-ს ოჯახში არქმევდნენ ახალდაბადებულ ბავშვს და იგი არ განსხვავდებოდა ფინეთში გამოყენებული ისეთი სახელებისაგან, როგორებიცაა: Alf და Ulf. სახელი არ იყო სასაცილო და უცნაური და არ არსებობდა რაიმე მიზეზი, მიჩნეულიყო, რომ ამ სახელის დარქმევით ბავშვს მიადგებოდა რაიმე სახის ზიანი. გარდა ამისა, მისი წარმოთქმა შესაძლებელი იყო ფინურ ენაზე და გამოიყენებოდა რამდენიმე სხვა ქვეყანაშიც. ამგვარად, სახელი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ბავშვებისათვის შეუფერებლად.

სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ სახელი „Axl“ არ იყო „ახალი“, რადგან მომჩივანთა შვილის დაბადების დროისათვის სამი ადამიანი ოფიციალურად უკვე იყო რეგისტრირებული ამავე სახელით. ამის შემდეგ კიდევ ორი ბავშვი დარეგისტრირდა ამ სახელით და ხუთიდან ოთხს ჰქონდა ფინეთის მოქალაქეობა. ამ გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ სახელი „Axl“-ის რეგისტრაცია ნებადართული იყო სხვა შემთხვევებში, ხოლო მომჩივნებს უარი ეთქვათ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო ინტერესი, რომელზეც მიუთითებდა მოპასუხე სახელმწიფო, ვერ გადაწონიდა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ კერძო ინტერესს – მშობლების უფლებას, დაერეგისტრირებინათ ბავშვისათვის მათ მიერ შერჩეული სახელი. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა.

საქმის *გიუზელ ერდაგოზი თურქეთის წინააღმდეგ (Güzel Erdagöz v. Turkey)*, № 37483/02, 21 ოქტომბერი, 2008 წ., მომჩივანმა ვერ შეძლო შესწორების შეტანა თავის სახელში. კერძოდ, იგი რეგისტრირებული იყო როგორც „Guzel“, თუმცა ოჯახსა და მეგობრების წრეში მას იცნობდნენ როგორც „Gozel“-ს. 2000 წელს მან მოითხოვა ჩანაწერის გასწორება, თუმცა უშედეგოდ. მას უარი განუცხადეს იმ მოტივით, რომ მის მიერ მოთხოვნილი სახელი იყო ოფიციალურად დაფიქსირებულ ჩანაწერებში არსებული სახელის კუთხური ვარიანტი.

სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კერძო პირების გვარები და სახელები ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის სფეროში. ამასთანავე, ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო ფარგლებით ამ

სფეროში. სასამართლოს განმარტებით, ეროვნულმა სასამართლოებმა თავის გადაწყვეტილებებში ვერ დაასახელეს ნორმატიული დებულება ან საჯარო თუ კერძო ინტერესები, რომლებიც მომჩივნის კანონიერ ინტერესს დაუპირისპირდებოდა. ეროვნული სასამართლოების მსჯელობა ეფუძნებოდა არა რაიმე ნათლად დადგენილ საკანონმდებლო ნორმას, არამედ, ძირითადად, იმის შეფასებას, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი სახელი ორთოგრაფიულად არ იყო ასახული თურქული ენის ლექსიკონში და იყო კუთხური ვარიანტი. სასამართლომ განაცხადა, რომ თურქული კანონმდებლობა არ შეიცავდა ნორმებს, რომლებიც საკმარისი სიცხადით მიუთითებდა სახელმწიფოს შეფასებისა და უფლებამოსილებების ფარგლებზე, ფორმასა და წესზე, სახელების გასწორების მსურველ პირებთან მიმართებით. ამავდროულად, პირთა მოთხოვნაზე უარის და მათი უფლების შეზღუდვების შემთხვევებში, არ არსებობდა ეფექტიანი დაცვის გარანტიები. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი, რის გამოც შეიძლებოდა ჩათვლილიყო, რომ მომჩივნის სახელის შეცვლა ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ წესრიგს ან ინტერესს. აქედან გამომდინარე, მის მოთხოვნაზე უარი არ შეიძლება ჩათვლილიყო აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, რის გამოც დაირღვა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

4.10. აბორტი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი ცხოვრება მოიცავს აბორტისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებს. თავის პრაქტიკაში ევროპულმა სასამართლომ მიიღო რიგი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ასახავს სამედიცინო პროგრესს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში. მოსალოდნელი სამედიცინო პროგრესი კიდევ უფრო განავითარებს ამ სფეროს და, აქედან გამომდინარე, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ ეს საკითხები მომავალშიც გახდება ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი.

აბორტისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ ამ დროისათვის განხილულ საქმეებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე მათგანი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე *ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Evans v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], № 6339/05, ECHR 2007-I⁸⁷, ეხება პოტენციური მამის თანხმობას განაყოფიერებული კვერცხუჯრედის შენახვასა და პოტენციური დედის სამვილოსნოში იმპლანტაციაზე.⁸⁸

⁸⁷ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-120736>

⁸⁸ ასევე იხ. *S.H. ავსტრიის წინააღმდეგ (S.H. v. Austria)*, 2011 წლის 3 ნოემბერი. საქმე ეხებოდა ავსტრიელი წყვილის სარჩელს, რომელშიც ისინი ითხოვდნენ ხელოვნური განაყოფიერების უფლებას, დონორის კვერცხუჯრედისა და დონორის სპერმის გამოყენებით.

საქმის გარემოებები შემდეგია: 2000 წელს მომჩივანმა (ნატალი ევანსმა), რომელიც იყო 34 წლის ბრიტანეთის მოქალაქე, და მისმა პარტნიორმა, J.-მ, დაიწყო უშვილობის მკურნალობა. რამდენიმე თვის შემდეგ მომჩივანს დაუდგინდა საკვერცხეების სიმსივნის პირველი სტადია და მას შესთავაზეს *in vitro* განაყოფიერების მკურნალობის კურსის ჩატარება, საკვერცხეების ამოკვეთამდე. კონსულტაციის დროს მას და J.-ს განემარტათ, რომ თითოეულ მათგანს წერილობით თანხმობა უნდა განეცხადებინა მკურნალობაზე და, 1990 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონის („1990 წლის კანონი“) ნორმათა თანახმად, თითოეულს ჰქონდა უფლება, უკან გამოეთხოვა საკუთარი თანხმობა ნებისმიერ დროს, მომჩივნის საშვილოსნოში ემბრიონის იმპლანტაციამდე.

2001 წელს ექვსი ემბრიონი გაყინეს და შეინახეს. ორი კვირის შემდეგ მომჩივანს ჩაუტარეს ოპერაცია, რის შედეგადაც მას ამოაჭრეს საკვერცხეები. მას განუმარტეს, რომ ორ წელიწადში შესაძლებელი გახდებოდა ემბრიონების იმპლანტაცია მის საშვილოსნოში. 2002 წლის მაისში მოსარჩელისა და J.-ს ურთიერთობა შეწყდა. 1990 წლის კანონის შესაბამისად, J.-მ შეატყობინა კლინიკას, რომ იგი აღარ იყო თანახმა, გაგრძელებულიყო ემბრიონების შენახვა, ან მომჩივანს ესარგებლა ემბრიონებით.

მომჩივანმა მიმართა უმაღლეს სასამართლოს და მოითხოვა J.-ს დავალებულიყო, რომ მას განეცხადებინა თანხმობა ემბრიონების შენახვის გაგრძელებაზე და მომჩივნის მიერ მათ გამოყენებაზე. 2003 წელს საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ J. მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რადგან იგი დასთანხმდა მკურნალობას მხოლოდ იმ პირობით, თუ გაგრძელდებოდა მოსარჩელესთან მისი ურთიერთობა.

2005 წლის იანვარში კლინიკამ შეატყობინა მოსარჩელეს, რომ ის იყო ვალდებული, გაენადგურებინა ემბრიონები, რასაც გეგმავდა 2005 წლის თებერვალში. მომჩივანისთვის ამ ემბრიონებით განაყოფიერება იყო უკანასკნელი შანსი, რომ ჰყოლოდა გენეტიკური შვილი. მან წარმატებით დაასრულა საკვერცხეების სიმსივნის მკურნალობა და მზად იყო ემბრიონების იმპლანტაციისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მომჩივანმა გაასაჩივრა გაერთიანებული სამეფოს კანონი, რომელიც უფლებამოსილს ხდიდა მის ყოფილ პარტნიორს, გამოეხმო საკუთარი თანხმობა ემბრიონის შენახვასა და გამოყენებაზე, რაც მომჩივანს სამუდამოდ ართმევდა გენეტიკური შვილის გაჩენის შესაძლებლობას.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ 1990 წლის კანონის მიხედვით, J.-ს მიერ თანხმობის გამოხმობით, მომჩივნისთვის შეუძლებელი გახდებოდა მისი და J.-ს მიერ შექმნილი ემბრიონით სარგებლობა და, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, გენეტიკური შვილის გაჩენა. მომჩივნისა და J.-ს ინტერესები სრულიად არათავსებადი იყო, ვინაიდან, თუ მომჩივანს მიეცემოდა უფლება, ესარგებლა ემბრიონით, ამის შედეგი იქნებოდა J.-ს იძულებითი მამობა, და პირიქით, თუ ძალაში დარჩებოდა J.-ს თანხმობის გამოთხოვა ემბრიონებით სარგებლობაზე, მომჩივანი ვეღარასოდეს გახდებოდა გენეტიკური მშობელი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული სადავო საკითხები მორალურად და ეთიკურად დელიკატური ბუნების

იყო და არ არსებობდა ერთიანი ევროპული მიდგომა ამ სფეროში. სახელმწიფოთა ნაწილში არსებობდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა ინ-ვიტრო განაყოფიერებას, მაგრამ დანარჩენ ქვეყნებში ეს წესრიგდებოდა სამედიცინო პრაქტიკით. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, გაერთიანებული სამეფო არ არის ერთადერთი, სადაც დაიშვება ემბრიონების შენახვა და სადაც უჯრედების დონორები უფლებამოსილნი არიან, თავისუფლად და ეფექტიანად გამოითხოვონ თავიანთი თანხმობა ემბრიონის იმპლანტაციამდე, სხვა ევროპულ ქვეყნებში მოქმედებდა განსხვავებული წესები და პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, არ არსებობდა რაიმე კონსენსუსი იმაზე, როდიდან ხდებოდა უჯრედების დონორთა თანხმობა არაგამოთხოვადი ინ-ვიტრო განაყოფიერებისას. შესაბამისად, ევროპული კონსენსუსის არარსებობის პირობებში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ სფეროში სახელმწიფოს აქვს შეფასების დიდი ფარგლები.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივნის პოზიცია, რომ ამ უკანასკნელის უფლება, გამხდარიყო გენეტიკური მშობელი, უპირატესი იყო მისი ყოფილი პარტნიორის უფლებასთან შედარებით, არ ჰყოლოდა გენეტიკური შვილი მომჩივანთან. ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ დაურღვევია მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქმე *ბოსო იტალიის წინააღმდეგ (Boso v. Italy)* (განჩინება), №50490/99, ECHR 2002-VII ეხებოდა პოტენციური მშობლების კონკურენტულ ინტერესებს.⁸⁹ მომჩივნის ორსულმა მეუღლემ გადაწყვიტა აბორტის გაკეთება, მომჩივნის წინააღმდეგობის მიუხედავად. ორსულობა შეწყდა 1984 წლის 10 ოქტომბერს. 1984 წლის 8 ნოემბერს მომჩივანმა შეიტანა სარჩელი ადგილობრივ სასამართლოში და მოითხოვა კომპენსაცია მისი, როგორც პოტენციური მამის, უფლებებისა და დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის. მან ასევე გაასაჩივრა იტალიის კანონის კონსტიტუციურობა იმ არგუმენტით, რომ ის ეწინააღმდეგებოდა მეუღლეთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც კონსტიტუციით იყო განმტკიცებული. მომჩივნის მტკიცებით, კანონი დედას ანიჭებდა უფლებას, გადაეწყვიტა, გაეკეთებინა თუ არა აბორტი და მხედველობაში არ იღებდა პოტენციური მამის სურვილს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დედის უფლება, დამოუკიდებლად (მამის თანხმობის გარეშე) გადაეწყვიტა აბორტის გაკეთების საკითხი, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-8 მუხლს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოტენციური მამის უფლებების განსაზღვრისას, როდესაც დედას განზრახული აქვს აბორტის გაკეთება, პირველ რიგში მხედველობაში მიიღება ორსულის უფლებები, ვინაიდან იგი არის პირი, რომელსაც, ძირითადად, ეხება ორსულობა, მისი გაგრძელება ან შეწყვეტა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ სარჩელი დაუსაბუთებლად ცნო.

⁸⁹ აბორტთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ევროპული სასამართლოს საქმე – *A. B. და C. ირლანდიის წინააღმდეგ (A, B and C v. Ireland)* [დიდი პალატა], №. 25579/05, ECHR 2010

საქმე *დიქსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dickson v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], №44362/04, ECHR 2007-V⁹⁰ ეხებოდა პატიმრისათვის უარის თქმას ხელოვნური განაყოფიერების საშუალებების ხელმისაწვდომობაზე. მომჩივნები იყვნენ დაქორწინებული წყვილი, რომლებმაც ერთმანეთი გაიცნეს სასჯელის მოხდის პერიოდში, ციხეში მიმოწერის ქსელის მეშვეობით. ქმარი სასჯელს იხდიდა მკვლელობისათვის და მისი გათავისუფლება ვერ მოხდებოდა 2009 წლამდე. მას არ ჰყავდა შვილი. მისმა მეუღლემ, რომელსაც ჰყავდა სამი შვილი სხვა ქორწინებიდან, ამასობაში მოიხადა სასჯელი.

მომჩივნებმა მოითხოვეს ხელოვნური განაყოფიერების ხელმისაწვდომობა, რათა მისცემოდათ შესაძლებლობა, ჰყოლოდათ საერთო შვილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სხვაგვარად შვილს ვერ გააჩენდნენ ქმრის შესაძლო გათავისუფლების უახლოეს თარიღამდე (2009 წელი) და ცოლის ასაკის (ის დაბადებული იყო 1958 წელს) გათვალისწინებით.

სახელმწიფომ არ დააკმაყოფილა მათი განცხადება, რადგან სახელმწიფოს ზოგადი პოლიტიკის თანახმად, პატიმართა მოთხოვნა ხელოვნურ განაყოფიერებაზე შეიძლება დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ „გამონაკლის შემთხვევებში“. უარის საფუძველი იყო ის, რომ: მომჩივნების ურთიერთობა არასდროს გამოცდილა ყოველდღიური ცხოვრების ნორმალურ გარემოში, არ არსებობდა საკმარისი რესურსი პოტენციურად ჩასახული ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, ბავშვსა და დედას ექნებოდათ დახმარების მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობა და ბავშვის მამა ვერ მიიღებდა მონაწილეობას ბავშვის ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლის მოქმედება ვრცელდება ამ შემთხვევაზე, რადგან ხელოვნური განაყოფიერების საშუალებების ხელმისაწვდომობაზე უარი ეხება მომჩივნების პირად და ოჯახურ ცხოვრებას, რაც მოიცავს მომჩივანთა პატივისცემის უფლებას გადაწყვეტილებაზე, გახდნენ გენეტიკური მშობლები. მთავარი საკითხი, რომლისთვისაც ევროპულ სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი, იყო, არსებობდა თუ არა სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ საჯარო და კერძო ინტერესებს შორის.

მომჩივნების ინტერესებთან მიმართებით, ეროვნულ დონეზე აღიარეს, რომ ხელოვნური განაყოფიერება მათი ერთადერთი რეალური იმედი იყო, გაეჩინათ საერთო შვილი, ცოლის ასაკისა და ქმრის გათავისუფლების თარიღის გათვალისწინებით. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს იყო მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი.

აკრძალვის დასასაბუთებლად მოპასუხე სახელმწიფომ რამდენიმე არგუმენტი მოიშველია, მათ შორის, რომ ბავშვის ყოლის შესაძლებლობის დაკარგვა თავისუფლების აღკვეთის განუყოფელი და აუცილებელი შედეგი იყო; სასჯელალსრულების სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობა მნიშვნელოვნად შეიზღალებოდა, თუ მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პატიმრებს

⁹⁰ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-121985>

ბავშვის ჩასახვის შესაძლებლობა მიეცემოდათ და მშობლის ხანგრძლივად არყოფნა უარყოფითად აისახებოდა როგორც ბავშვზე, ისე საზოგადოებაზე.

ევროპულმა სასამართლომ პირველ არგუმენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ, თუ ბავშვის ჩასახვის შეუძლებლობა თავისუფლების აღკვეთის შედეგია, ის არ არის აუცილებელი შედეგი, რადგან არ იყო არგუმენტები იმის სამტკიცებლად, რომ ხელოვნური განაყოფიერების შესაძლებლობის შექმნა სახელმწიფოსათვის იწვევდა უსაფრთხოების პრობლემებს, ან მოითხოვდა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ რესურსს. რაც შეეხება სასჯელაღსრულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: მიუხედავად იმისა, სასჯელი კვლავ არის პატიმრობის ერთ-ერთი მიზანი, სასამართლომ ხაზი გაუსვა ევროპული სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის განვითარების პროცესში რეაბილიტაციის მნიშვნელობის ზრდას, განსაკუთრებით გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის დასრულებასთან მიმართებით. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ევალება, უზრუნველყოს ბავშვის უფლებათა ეფექტიანი დაცვა, ეს არ შეიძლება ისე შორს წავიდეს, რომ მშობლებს შეეზღუდოთ მცდელობა, ჩასახონ ბავშვი ისეთ გარემოებებში, როგორც ეს მომჩივნების შემთხვევაში იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უკვე გათავისუფლებულ ცოლს შეეძლო, ეზრუნა შვილზე, რომელიც ქმრის გათავისუფლებამდე ჩაისახებოდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებულმა საჯარო პოლიტიკამ ეფექტიანად გამორიცხა კონკურენტული ინდივიდუალური და საჯარო ინტერესების შეფასება და თავიდან აიცილა მსჯელობა შეზღუდვის პროპორციულობაზე კონკრეტულ საქმესთან მიმართებით. კერძოდ კი, მან მეტისმეტად მაღალი „საგამონაკლისო“ ტვირთი დააკისრა მომჩივნებს ხელოვნურ განაყოფიერებასთან მიმართებით, ვინაიდან მათ უნდა დაემტკიცებინათ, რომ ხელოვნური განაყოფიერების საშუალებათა ხელმისაწვდომობის აკრძალვას შეეძლო, საერთოდ გამოერიცხა ჩასახვა. ევროპული სასამართლოს აზრით, საჯარო პოლიტიკამ იმდენად მაღალი სტანდარტი დააწესა, რომ არ იყო შესაძლებელი სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტული ინტერესების დაბალანსება ან შეზღუდვის პროპორციულობის შეფასება.

ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა.

საქმეში *კოსტა და პავანი იტალიის წინააღმდეგ (Costa and Pavan v. Italy)*, № 54270/10, 28 აგვისტო, 2012 მომჩივანი იყო იტალიელი წყვილი. 2006 წელს მათ გაუჩნდათ გოგო, რომელსაც აღმოაჩნდა კისტოზური ფიბროზი (მუკოვისციდოზი).⁹¹ ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მშობლები არიან ამ ავადმყოფობის ჯანმრთელი მატარებლები. როდესაც 2010 წელს ქ-ნი კოსტა კვლავ დაორსულდა, მომჩივნებმა გააკეთეს ნაყოფის სკრინინგი, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ნაყოფს აქვს

⁹¹ სერიოზული გენეტიკური ავადმყოფობა, რომელიც იწვევს სუნთქვასთან დაკავშირებულ სირთულეებს და შეიძლება გამოიწვიოს ფატალური შედეგი.

კისტოზური ფიბროზი. ამის გამო, სამედიცინო ჩვენებით, ქ-მა კოსტამ გაიკეთა აბორტი.

ამის შემდეგ წყვილმა გადაწყვიტა შვილის გაჩენა ხელოვნური განაყოფიერების გზით, ისე, რომ გაკეთებულიყო ემბრიონის გენეტიკური სკრინინგი, ვიდრე მოხდებოდა მისი იმპლანტაცია საშვილოსნოში. ამ გზით მომჩივნებს განზრახული ჰქონდათ, თავიდან აეცილებინათ ავადმყოფობის გადაცემა შვილისათვის. იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებდა *in vitro* განაყოფიერებას მხოლოდ სტერილური წყვილების შემთხვევაში და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცი იყო სქესობრივი ავადმყოფობით დაავადებული, როგორებიცაა: შიდსი, B და C ჰეპატიტი.

მოპასუხე სახელმწიფომ ასეთი განაყოფიერების აკრძალვა მომჩივნების მიმართ გაამართლა დედისა და შვილის, ასევე სამედიცინო პროფესიის სინდისის თავისუფლებისა და ღირსების დაცვის აუცილებლობით და ევგენური შერჩევის რისკის თავიდან აცილების ინტერესით.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა იტალიის კანონმდებლობის არათანმიმდევრულობაზე, კერძოდ იმაზე, რომ იტალია, ერთი მხრივ, კრძალავდა მხოლოდ ჯანმრთელი ემბრიონის იმპლანტაციას, მაგრამ, მეორე მხრივ, იძლეოდა ნაყოფის აბორტის ნებართვას ავადმყოფობის სიმპტომის აღმოჩენისას. ასეთი სიტუაცია, ევროპული სასამართლოს აზრით, უტოვებდა მომჩივნებს ერთადერთ არჩევანს, რომელიც მათში იწვევდა შიშსა და ტანჯვას – ბუნებრივი გზით დაორსულებას და ორსულობის წინასწარი ტესტის მიხედვით, ნაყოფის ავადმყოფობის აღმოჩენის შემთხვევაში, აბორტის გაკეთების უფლებას.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევა არ იყოს პროპორციული და, შესაბამისად, დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

4.11. პირადი ცხოვრება და ხელშეუხებლობა

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა საქმეზე – *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*, № 33401/02, § 132, ECHR 2009⁹²:

„ოჯახური ძალადობის საკითხი, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს, დაწყებული ფიზიკურიდან, დამთავრებული ფსიქოლოგიური თუ სიტყვიერი ძალადობით ... არის ზოგადი პრობლემა, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ხშირად არ საჯაროვდება, რადგან ილექება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრეებში. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ქალი, ისე კაცი, ისევე როგორც ბავშვები, იქნება ეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ.“

⁹² გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ასევე ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-122308>

ოჯახში ძალადობის, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმის, წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ბოლო წლების განმავლობაში სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას, სახელმწიფოების მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის კუთხით. ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ, როგორებიცაა: თურქეთი, მოლდოვა, ლიტვა, ხორვატია, იტალია, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი. ჩამოთვლილი ქვეყნების სპექტრიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ევროპულ სასამართლოს მოუხდა, განეხილა ოჯახური ძალადობის საკითხი აბსოლუტურად განსხვავებულ სოციუმებში, სხვადასხვა მენტალობის მქონე საზოგადოებაში და განსხვავებულ პრობლემასთან მიმართებით.

მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება მოხდეს კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც, სასამართლოს აზრით, იყო ოჯახში ძალადობის განხორციელების წინაპირობა ან ხელშემწყობი ფაქტორი. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს: ა) გამეფებული პატრიარქალური ტრადიციები და ქალის, როგორც ოჯახის მეორეხარისხოვანი წევრის, როლი; ბ) ხელისუფლების ორგანოების გულგრილი დამოკიდებულება ოჯახურ ძალადობასთან, როგორც ოჯახის შიგნით მიმდინარე პრობლემასთან. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, ძირითადად, განიხილავენ არასათანადო მოპყრობის, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და სიცოცხლის უფლების ჭრილში (თუკი ოჯახში ძალადობის შედეგად მოხდა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა).

საქმის *E.S. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ (E.S. and Others v. Slovakia)*, № 8227/04, 15 სექტემბერი, 2009, მიხედვით, 2001 წელს, პირველმა მომჩივანმა მიატოვა მეუღლე და შეიტანა სისხლის სამართლის საჩივარი მის წინააღმდეგ მის მიმართ და მისი შვილების მიმართ (დაბადებულები 1986, 1988 და 1989 წლებში) არასათანადო მოპყრობის და მათ ერთ-ერთ ქალიშვილზე სექსუალური ძალადობის გამო. მომჩივნის მეუღლეს მსჯავრი დაედო სექსუალური ძალადობის გამო ორი წლის შემდეგ. მომჩივნის თხოვნა, რომ ქმარს დაეტოვებინა საცხოვრებელი, ეროვნულმა სასამართლოებმა უარყვეს. ხსენებულიდან გამომდინარე, პირველი მომჩივანი და მისი შვილები იძულებული გახდნენ, საცხოვრებლად გადასულიყვნენ შორს თავიანთი მეგობრებისა და ოჯახისაგან, ხოლო ორ ბავშვს მოუწია სკოლის შეცვლა. მომჩივნები ასაჩივრებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ოჯახური ძალადობისაგან მათი ადეკვატური დაცვა.

თავის მხრივ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთმა ვერ შეძლო მომჩივნების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი იყო პირველი მოსარჩელისა და მისი შვილების მეუღლის მხრიდან მიმდინარე ძალადობისაგან დასაცავად. ხსენებულის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა

კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) და მე-8 მუხლების დარღვევა.

საქმის *Y.C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Y.C. v. the United Kingdom)*, №4547/10, 13 მარტი, 2012წ., მიხედვით, მომჩივანს და მის პარტნიორს 2001 წელს ეყოლათ ვაჟი. 2003 წელს ოჯახმა მიიქცია სოციალური სამსახურის ყურადღება მშობლებს შორის „ალკოჰოლით გამოწვეული“ ინციდენტის გამო. ოჯახში ხშირად ხდებოდა ძალადობის ინციდენტები და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება. მდგომარეობა გამწვავდა 2007 წლის ბოლოდან, რის გამოც არაერთხელ გამოიძახეს პოლიცია. 2008 წლის ივნისში სახელმწიფომ გასცა შემაკავებელი ორდერი და ბავშვის დაცვის ბრძანება მას შემდეგ, რაც ბიჭი დაშავდა მშობლებს შორის ძალადობრივი დაპირისპირების დროს. ბავშვზე ზრუნვის პროცესის შედეგად გაიცა ბრძანება მისი გასაშვილებლად განთავსების შესახებ. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ სასამართლოების უარმა დაარღვია მისი, როგორც შვილზე ერთადერთი მზრუნველის, უფლებები, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ ბავშვის განთავსების ბრძანებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების მიზეზები იყო ჯეროვანი. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ, საქმის ისტორიისა და ჩაბარებული ანგარიშების გათვალისწინებით, საოლქო სასამართლოს მოსამართლის მოსაზრება, რომ მოსალოდნელი იყო მომჩივნის ურთიერთობის განახლება მამასთან და ეს საფრთხეს შეუქმნიდა ბავშვის კეთილდღეობას, არ იყო უსაფუძვლო. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, დედასთან და მამასთან ოჯახური კავშირების შენარჩუნება მნიშვნელოვანი იყო, ნათელი გახდა, რომ ამ საქმეში ეს მოსაზრება გადაწონა ბავშვის უსაფრთხო და დაცულ გარემოში განვითარების უზრუნველყოფის აუცილებლობამ.

საქმის *ბევაკუა და S. ბულგარეთის წინააღმდეგ (Bevacqua and S. v. Bulgaria)*, №71127/01, 12 ივნისი, 2008 წ., მიხედვით, პირველმა მოსარჩელემ, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას რეგულარულად სცემდა ქმარი, მიატოვა მეუღლე, შეიტანა განცხადება განქორწინების შესახებ და თან წაიყვანა სამი წლის ვაჟი (მეორე მოსარჩელე). მიუხედავად ამისა, ქ-ნი ბევაკუა აცხადებდა, რომ მისი ქმარი ისევ სცემდა მას. მან ოთხი დღე გაატარა ძალადობის მსხვერპლი ქალების თავშესაფარში თავის შვილთან ერთად, რა დროსაც ის გააფრთხილეს, რომ მისთვის შეიძლებოდა წაეყენებინათ ბრალდება ბავშვის გატაცების გამო, რასაც მოჰყვებოდა სასამართლოს ბრძანება საერთო მეურვეობის შესახებ. განმცხადებლების მტკიცებით, თავდასხმის გამო მეუღლის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებამ მეუღლის მხრიდან მოახდინა შემდგომი ძალადობის პროვოცირება. მომჩივნის მოთხოვნები დროებითი მეურვეობის ღონისძიებების მიღებასთან დაკავშირებით არ განხილულა ეროვნული ორგანოების მიერ და მან საბოლოოდ მიიღო მეურვეობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ოფიციალურად გამოცხადდა მისი განქორწინება, წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ. მომდევნო წელს იგი კვლავ სცემა ყოფილმა ქმარმა და მისი თხოვნა

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ ეს იყო „პირადი საქმე“, რომელიც მოითხოვდა კერძო დევნას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ეროვნული ორგანოების მიერ დროებითი მეურვეობის ღონისძიებების დაუყოვნებლივ მიუღებლობამ უარყოფითად იმოქმედა მოსარჩელებზე და, უპირველეს ყოვლისა, მეორე მომჩივნის კეთილდღეობაზე. სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ვერ შეძლო მოსარჩელებისათვის დახმარების გაწევა, რაც გულისხმობდა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დავის, როგორც „პირადი საქმის“, განხილვა, შეუთავსებელი იყო ხელისუფლების მიერ მომჩივნების ოჯახური ცხოვრების დაცვის ვალდებულებასთან.

საქმეზე *A. ხორვატიის წინააღმდეგ (A. v. Croatia)*, №55164/08, 14 ოქტომბერი, 2010 წ., მომჩივნის ყოფილი ქმარი (იგი დაავადებული იყო პოსტტრავმული სტრესული აშლილობით, პარანოიით, შფოთვით და ეპილეფსიით) წლების განმავლობაში ფიზიკურად ძალადობდა მასზე, რაც გულისხმობდა სხეულის დაზიანებას და სიკვდილის მუქარას. ძალადობისა და შეურაცხყოფის მიყენება რეგულარულად ხდებოდა მათი ახალგაზრდა ქალიშვილის თვალწინ. მას შემდეგ, რაც დაემალა მეუღლეს, მომჩივანმა მოითხოვა, სასამართლოს გაეცა ბრძანება, რაც მას თავიდან ააცილებდა ყოფილი ქმრის მხრიდან დევნას და თვალთვალს. ამ მოთხოვნაზე ეროვნულმა ორგანოებმა მას უარი განუცხადეს, რადგან ვერ წარუდგინა ეროვნულ სასამართლოებს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დაუყოვნებელი საფრთხე ემუქრებოდა მის სიცოცხლეს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ხორვატიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ღონისძიებების გატარება მომჩივნის დასაცავად, ან მისი ყოფილი მეუღლის ფსიქიკურ პრობლემებთან გასამკლავებლად.

საქმის *ჰაჯდუოვა სლოვაკეთის წინააღმდეგ (Hajduová v. Slovakia)*, № 2660/03, 30 ნოემბერი, 2010 წ., მიხედვით, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეასრულა კანონით დადგენილი ვალდებულება და არ გასცა ბრძანება, რომ მისი ყოფილი ქმარი დაეკავებინათ დაწესებულებაში ფსიქიატრიული მკურნალობის ჩასატარებლად, სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების შემდეგ ცოლზე ძალადობისა და დამუქრების გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ყოფილი მეუღლის საქციელზე არასაკმარისი რეაგირებისა და, კერძოდ, იმ ფაქტის გამო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს, გაეცათ ბრძანება მსჯავრდების შემდეგ მისი დაკავების შესახებ ფსიქიატრიული მკურნალობის ჩასატარებლად, გამოიწვია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა მისი ყოფილი ქმრის განმეორებადი მუქარა სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი, მუქარა საკმარისი იყო, რათა ზემოქმედება მოეხდინა მომჩივნის ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და გამოეწვია სახელმწიფოსთვის პოზიტიური ვალდებულების დაკისრება, მე-8 მუხლის თანახმად.

საქმის *კალუცა უნგრეთის წინააღმდეგ (Kalucz v. Hungary)*, № 57693/10, 24 აპრილი, 2012 მიხედვით, მომჩივანს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოუხდა თანაცხოვრება ბინაში მოძალადე ქმართან. ამ თანაცხოვრების განმავლობაში ეროვნული სასამართლოები აწარმოებდნენ სამოქალაქო დავას ბინის მფლობელობასთან დაკავშირებით. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო, დაეცვა იგი მუდმივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან თავის საცხოვრებელში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: უნგრეთის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები და დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა თავისი პარტნიორის წინააღმდეგ შეიტანა სისხლისსამართლებრივი საჩივარი განხორციელებული თავდასხმის გამო და არაერთხელ მოითხოვა შემაკავებელი ორდერის გაცემა, ისევე, როგორც აღძრა სამოქალაქო სამართალწარმოება, რათა გაცემულიყო ბრძანება ბინიდან მოძალადე მეუღლის გამოსახლების შესახებ, ხელისუფლებას არ გაუტარებია საკმარისი ღონისძიებები მისი ეფექტიანი დაცვისათვის.

საქმის *ერემია და სხვები მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Eremia and Others v. the Republic of Moldova)*, №3564/11, 28 მაისი, 2013 მიხედვით, პირველი მომჩივანი და მისი ორი ქალიშვილი ასაჩივრებდნენ, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ დაიცვა ისინი პოლიციელი ქმრისა და მამის ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი საქციელისაგან.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლთან ერთად (წამების აკრძალვა) დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი ქალიშვილებთან მიმართებით, რადგანაც არავითარი ღონისძიებები არ იქნა გატარებული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ძალადობრივი ქმედებების განმეორების თავიდან ასაცილებლად.

4.12. პირადი ცხოვრება და სექსუალური ორიენტაცია

ადამიანის სექსუალური ორიენტაცია პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სექსუალური იდენტობა და ორიენტაცია ჩამოყალიბდა იმ ნიშნად, რომლის საფუძველზეც განსხვავებული მოპყრობა შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად. ამავე დროს, გამოიკვეთა მრავალი პოზიტიური ღონისძიება, რომლებიც უნდა გაატარონ სახელმწიფოებმა, რათა მოხდეს განსხვავებული ორიენტაციის პირთა პირადი ცხოვრების უფლების ჯეროვანი და სათანადო პატივისცემა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებმა არაერთი საქმე განიხილეს, რომლებშიც მომჩივნები დავობდნენ მათ მიმართ დისკრიმინაციაზე სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, პირადი და ოჯახური ცხოვრების სფეროში.

სასამართლომ ამ საქმეების ნაწილი განიხილა მხოლოდ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით. თავდაპირველად ეს საქმეები შეეხებოდა ჰომოსექსუალური ურთიერთობების სისხლისსამართლებრივ აკრძალვას ზრდასრულებს შორის⁹³ და შეიარაღებული ძალებიდან ჰომოსექსუალების გათავისუფლებას.⁹⁴ პირველ შემთხვევაში, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებმა ცალსახად განაცხადეს, რომ ჰომოსექსუალური ურთიერთობების კრიმინალიზება შეუთავსებელია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან; მეორე შემთხვევაში კი, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა გათავისუფლება ჯარიდან მხოლოდ მათი ორიენტაციის გამო, როდესაც ირღვევა სამხედრო დისციპლინა ან მოქმედი ნორმები, ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა მთელი რიგი საქმეებისა დისკრიმინაციასთან მიმართებით. ეს საქმეები შეეხებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ განსხვავებულ ასაკს სქესობრივ ურთიერთობაზე თანხმობის გასაცემად, ერთი მხრივ, ჰომოსექსუალური და, მეორე მხრივ, ჰეტეროსექსუალური კავშირის დამყარების მიზნით,⁹⁵ მშობლის უფლება-მოვალეობების მინიჭებას,⁹⁶ შვილად აყვანის ნებართვას,⁹⁷ მემკვიდრეობის უფლებას გარდაცვლილი პარტნიორის საკუთრებაზე,⁹⁸ უფლებას სოციალური დაზღვევის პაკეტზე,⁹⁹ ერთსქესიან წყვილთა ხელმისაწვდომობას ქორწინებაზე ან პარტნიორობის სხვა სამართლებრივ ფორმებზე.¹⁰⁰

ამ საკითხებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოების მიდგომები სწრაფად ვითარდება და ქვემოთ წარმოდგენილ საქმეებში ასახული პროგრესი ამის ნათელი დასტურია.

საქმის *ფრეტე საფრანგეთის წინააღმდეგ (Fretté v. France)*, № 36515/97, ECHR 2002-I, მიხედვით, მოსარჩელე, რომელიც ჰომოსექსუალი მამაკაცი იყო, აცხადებდა, რომ საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ მისთვის გაცხადებული უარი შვილის აყვანასთან დაკავშირებით იყო მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დარღვევა, რადგანაც მას საფუძვლად ედო მისი სექსუალური ორიენტაცია. მან ასევე

⁹³ დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), 22 ოქტომბერი, 1981, Series A no. 45; ნორისი ირლანდიის წინააღმდეგ (*Norris v. Ireland*), 1988 წლის 26 ოქტომბერი Series A no. 142; მოდინოსი კვიპროსის წინააღმდეგ (*Modinos v. Cyprus*), 1993 წლის 22 აპრილი Series A no. 259.

⁹⁴ სმიტი და გრედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Smith and Grady v. the United Kingdom*), №33985/96 და №33986/96, ECHR 1999-VI.

⁹⁵ L. და V. ავსტრიის წინააღმდეგ (*L. and V. v. Austria*), № 39392/98 და №39829/98, ECHR 2003-I.

⁹⁶ სალგუეირო და სულვა მუტა პორტუგალიის წინააღმდეგ (*Salgueiro da Silva Mouta v. Portugal*), №33290/96, ECHR 1999-IX.

⁹⁷ E.B. საფრანგეთის წინააღმდეგ (*E.B. v. France*), [დიდი პალატა], № 43546/02, 2008 წლის 22 იანვარი.

⁹⁸ კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Karner v. Austria*), № 40016/98, ECHR 2003-IX და კოზაკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Kozak v. Poland*), № 13102/02, 2010 წლის 2 მარტი.

⁹⁹ P.B. და J.S. ავსტრიის წინააღმდეგ (*P.B. and J.S. v. Austria*), № 18984/02, 2010 წლის 22 ივლისი.

¹⁰⁰ X. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (*X. and Others v. Austria*), დიდი პალატა, № 19010/07, 2013 წლის 19 თებერვალი.

განაცხადა, რომ ის არ დაუბარებიათ თავისი საქმის მოსმენაზე, რომელიც გამართა საფრანგეთის უმაღლესმა სასამართლომ *Conseil d'État*-მა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-8 მუხლები, რადგან ეროვნული ხელისუფლება ლეგიტიმურად და გონივრულად უფლებამოსილი იყო, განეხილა და შეეფასებინა, რამდენად შეეძლო ჰომოსექსუალ წყვილს, შეექმნა შესაბამისი პირობები ბავშვის ჯეროვნად აღზრდისათვის, რაც მომჩივნებს არ შეეძლოთ უზრუნველყოთ სათანადო დონეზე. ამ შემთხვევაში მოსარჩელისა და მისი პარტნიორის უფლება, აეყვანათ შვილი, შეზღუდული იყო ბავშვების ინტერესებით, აღზრდილიყო ჯეროვან გარემოში და უზრუნველყოფილ პირობებში, რაც მომჩივანმა და მისმა პარტნიორმა ვერ დააკმაყოფილეს.

საქმის *E.B. საფრანგეთის წინააღმდეგ (E.B. v. France)* [დიდი პალატა], № 43546/02, 2008 წლის 22 იანვარი, მიხედვით, საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოებმა უარი განუცხადეს მარტოხელა ლესბოსელ ქალბატონს, აეყვანა შვილი. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ბავშვის შვილად აყვანის ნებართვის შესახებ მისი განცხადების ყოველ ეტაპზე ის განიცდიდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, რომელიც ეფუძნებოდა მის სექსუალურ ორიენტაციას და იყო მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის ჰომოსექსუალიზმი იყო მის მოთხოვნაზე უარის თქმის განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი, მაშინ, როდესაც საფრანგეთის კანონით დაშვებულია მარტოხელა დედების მიერ ბავშვის შვილად აყვანა. საფრანგეთის ხელისუფლებამ ვერ წარუდგინა ევროპულ სასამართლოს რაიმე სახის არგუმენტი, რით განსხვავდებოდა მარტოხელა ჰეტეროსექსუალი დედა მარტოხელა ჰომოსექსუალი დედისაგან. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უარი შვილად აყვანაზე მომჩივანს ეთქვა მხოლოდ მისი სექსუალური ორიენტაციის გამო, რაც იყო პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა დისკრიმინაციული ნიშნით.

საქმის *გასი და დუბუა საფრანგეთის წინააღმდეგ (Gas and Dubois v. France)*, № 25951/07, ECHR 2012, მომჩივანი იყო ორი ლესბოსელი ქალბატონი, რომლებიც თანაცხოვრობდნენ. პირველმა მომჩივანმა თხოვნით მიმართა ხელისუფლების ორგანოებს, რათა შვილად აეყვანა მეორე მომჩივნის ბიოლოგიური შვილი. ხელისუფლების ორგანოებმა უარი განუცხადეს მოსარჩელეს. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ამ გადაწყვეტილებამ დაარღვია მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება დისკრიმინაციული ნიშნით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად. სასამართლოს აზრით, მომჩივნების სამართლებრივი მდგომარეობა არ შეიძლება შედარდეს დაქორწინებული წყვილებისას, როდესაც საქმე ეხება ბავშვის შვილად აყვანას მეორე მშობლის მიერ. გარდა ამისა, სასამართლომ ვერ დაინახა განსხვავების ვერანაირი

მტკიცებულება, მოპყრობის თვალსაზრისით, მომჩივნების სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე საპირისპირო სქესის წყვილებთან შედარებით, რომლებმაც დაარეგისტრირეს სამოქალაქო პარტნიორობა და ასევე ეკრძალებათ ბავშვის შვილად აყვანა მარტივი ფორმით. მომჩივანთა არგუმენტის პასუხად, რომ საპირისპირო სქესის წყვილებმა სამოქალაქო პარტნიორობაში შეიძლება გვერდი აუარონ ამ აკრძალვას ქორწინებით, სასამართლომ მიუთითა საქმე *შალკი და კოფი ავსტრიის წინააღმდეგ (Schalk and Kopf v. Austria)*, № 30141/04, ECHR 2010, და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენცია არ უზრუნველყოფს ჰომოსექსუალთა უფლებას, იქორწინონ და ამ საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოს დისკრეციაში რჩება.

საქმის *შალკი და კოფი ავსტრიის წინააღმდეგ (Schalk and Kopf v. Austria)*(ციტირებულია მაღლა)¹⁰¹ მიხედვით, 2002 წელს მოსარჩელებმა, ერთი და იმავე სქესის წყვილმა, თხოვნით მიმართეს შესაბამის სახელმწიფო უწყებას დაქორწინებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე. ეროვნული კანონმდებლობით, ქორწინება შეიძლებოდა მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის პირებს შორის. ხსენებულიდან გამომდინარე, მომჩივანთა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მათ მიერ საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არც ავსტრიის კონსტიტუცია და არც ევროპული კონვენცია არ უზრუნველყოფდა ქორწინების უფლებას ერთი და იმავე სქესის პირებს შორის. 2010 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა რეგისტრირებული ურთიერთობების შესახებ კანონი, რომელიც საშუალებას აძლევს ერთი და იმავე სქესის წყვილებს, ფორმალურად გააფორმონ ურთიერთობა და მოაქციონ ის სამართლებრივ ჩარჩოებში. მაშინ, როდესაც კანონი უზრუნველყოფს რეგისტრირებულ პარტნიორებს თითქმის ანალოგიური უფლებებით და ვალდებულებებით, რომლებითაც ცოლ-ქმარი სარგებლობს, გარკვეული განსხვავებები მაინც არსებობს, მაგალითად, როგორცაა რეგისტრირებული პარტნიორების შეზღუდული უფლება შვილად აყვანის ან ხელოვნური განაყოფიერების უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ შეაფასა ბოლო პერიოდში ევროპაში ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ქორწინების მიმართ სოციალური დამოკიდებულებების სწრაფი ევოლუცია და განაცხადა, რომ ძალიან ხელოვნური იქნებოდა სასამართლოსათვის იმ მოსაზრების შენარჩუნება, რომ ჰომოსექსუალი წყვილები ვერ ისარგებლებენ „ოჯახური ცხოვრებით“. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ თანამაცხოვრებელი ერთი და იმავე სქესის წყვილი, რომელსაც სტაბილური ურთიერთობა აქვთ, ექცევა „ოჯახური ცხოვრების“ ცნებაში ისევე როგორც განსხვავებული სქესის წყვილების ურთიერთობა. სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ სექსუალური ორიენტაციით გამოწვეული განსხვავებული მოპყრობა საჭიროებს დასაბუთების განსაკუთრებით სერიოზულ მიზეზებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთი და იმავე სქესის წყვილებს ისეთივე წარმატებით შეუძლიათ იქონიონ სტაბილური ურთიერთობები, როგორც განსხვავებული სქესის წყვილებს. აქედან გამომდინარე, ისინი იმყოფებიან იმავე

¹⁰¹ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-124737>

მდგომარეობაში და ამიტომ სჭირდებათ თავიანთი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან კონვენცია უნდა იკითხებოდეს და აღიქმებოდეს ერთიანობაში და ასევე, ვინაიდან კონსენსუსი შედგა იმის თაობაზე, რომ მე-12 მუხლი არ აკისრებს ვალდებულებას სახელმწიფოებს, უზრუნველყოს ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ქორწინება, სასამართლომ ვერ გაიზიარა მომჩივნის მოსაზრება, რომ ასეთი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მე-14 და მე-8 მუხლების ერთობლივად განხილვის საფუძველზე.

ევროპულ სასამართლოს უნდა განეხილა, იყო თუ არა სახელმწიფო ვალდებული, მომჩივანისთვის მათი პარტნიორული ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების ალტერნატიული საშუალებით გაეცა რეგისტრაციის ნებართვა 2010 წლამდე. სასამართლოს აზრით, მიუხედავად ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ქორწინების სამართლებრივად აღიარების მზარდი ტენდენციისა, ხსენებული ჯერ კიდევ ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში იყო კონსენსუსის არარსებობის გამო. სახელმწიფოები სარგებლობდნენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით იმასთან დაკავშირებით, როდის შემოიღებდნენ და ამოქმედებდნენ საკანონმდებლო ცვლილებებს ამ საკითხზე. სასამართლოს აზრით, გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის ავსტრიის კანონმდებლობა უზრუნველყოფდა პარტნიორობის ოფიციალურ რეგისტრირებას და, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებული ურთიერთობების შესახებ კანონი შეიცავდა გარკვეულ არსებით განსხვავებებს მშობლის უფლებებთან დაკავშირებით, ვიდრე ჰეტეროსექსუალთა ქორწინების შემთხვევაში, ოფიციალური პარტნიორობის შესახებ აქტი ასახავდა იმავე ტენდენციას, რაც არსებობდა სხვა ევროპულ სახელმწიფოებში მსგავს კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

საქმეში *ოლიარი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Oliari and Others v. Italy)*, №18766/11 და №36030/11, 21 ივლისი, 2015 ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო განავითარა მის მიერ დადგენილი სტანდარტები ჰომოსექსუალთა კავშირის ფორმალურ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. საქმე ეხებოდა სამი ჰომოსექსუალი წყვილის საჩივარს, რომ, იტალიის კანონმდებლობის თანახმად, მათ არ გააჩნდათ შესაძლებლობა, დაქორწინებულიყვნენ ან თავიანთი ურთიერთობა აღიარებული ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ სხვა აქტით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგანაც სასამართლომ მიიჩნია, რომ იტალიაში არსებული სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ერთსქესიანი წყვილებისათვის იტალიაში, ვერ უზრუნველყოფდა წყვილისათვის შესაბამის ძირითად საჭიროებებს, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო ჰეტეროსექსუალი წყვილისათვის. სასამართლოს აზრით, სამოქალაქო კავშირი ან რეგისტრირებული პარტნიორობა იქნებოდა ყველაზე შესაფერისი გზა მომჩივნების მსგავსი ერთსქესიანი წყვილებისათვის, რათა მომხდარიყო მათი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა ტენდენცია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის ერთსქესიანი წყვილების სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით – 47 წევრი სახელმწიფოდან 2016 წლისათვის 27-მა გამოსცა კანონი ასეთი აღიარების

სასარგებლოდ, და რომ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მოუწოდა ასეთი დაცვისა და აღიარებისაკენ. გარდა ამისა, ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, იტალიის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა ჰომოსექსუალი წყვილების სამართლებრივ აღიარებას.

საქმე *X. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (X. and Others v. Austria)*, დიდი პალატა, № 19010/07, 2013 წლის 19 თებერვალი, ეხებოდა სტაბილური ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე ორი ქალის საჩივარს ავსტრიის სასამართლოების უართან დაკავშირებით, რათა უფლება მიეცათ, რომ ერთ-ერთ პარტნიორს შვილად აეყვანა მეორე პარტნიორის ვაჟი დედის სამართლებრივი კავშირების გაწყვეტის გარეშე ვაჟთან (მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანა).¹⁰² მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობდა არავითარი გონივრული და ობიექტური გამართლება იმ განსხვავებულ მიდგომას შორის, რომელიც დაწესებული იყო ჰეტეროსექსუალ და ჰომოსექსუალ წყვილებს შორის. ჰეტეროსექსუალი წყვილის შემთხვევაში, იმის მიუხედავად, ქორწინებაში იმყოფებოდნენ ისინი თუ არა, ეს შეიძლებოდა, მაშინ, როდესაც, ჰომოსექსუალი წყვილების შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ერთ-ერთი პარტნიორის ბავშვი მეორე პარტნიორს შვილად აეყვანა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად, მომჩივანთა მიმართ განსხვავებული მოპყრობის გამო. ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ წარუდგინა სასამართლოს რაიმე სახის არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა განსხვავებულ მოპყრობას ჰეტეროსექსუალ და ჰომოსექსუალ წყვილებში ერთ-ერთი პარტნიორის მიერ მეორე პარტნიორის შვილის შვილად აყვანის აღიარებისას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავებული მოპყრობა მოსარჩელეებსა და დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილს შორის, რომელშიც ერთი პარტნიორი ცდილობდა, შვილად აეყვანა მეორე პარტნიორის ბავშვი, ეფუძნებოდა პირველი და მესამე მომჩივნების სექსუალურ ორიენტაციას და არ არსებობს არავითარი დამაჯერებელი მიზეზი, რომელიც ამტკიცებს, რომ ასეთი განსხვავება მოპყრობაში აუცილებელი იყო ოჯახის ან შვილის ინტერესების დასაცავად. გარდა ამისა, სასამართლოს განმარტებით, ეს საქმე არ უნდა გაიგივებულიყო საქმესთან *გაზი და დუბუა საფრანგეთის წინააღმდეგ (Gas and Dubois v. France)* (იხილეთ მაღლა), რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა არავითარი განსხვავებული მოპყრობა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე სხვადასხვა სქესის დაუქორწინებელ წყვილსა და ერთსქესიან წყვილს შორის, რადგან საფრანგეთის კანონმდებლობით, მეორე მშობლის მიერ ბავშვის შვილად აყვანა არ იყო დაშვებული არცერთი დაუქორწინებელი წყვილისათვის, იქნებოდნენ ისინი ჰომოსექსუალები თუ ჰეტეროსექსუალები.

საქმე *ვალიანატოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Vallianatos and Others v. Greece)* [დიდი პალატა], №29381/09 და №32684/09, ECHR 2013 (ამონარიდები),

¹⁰² 2013 წლის 19 თებერვალი, დიდი პალატა.

ეხებოდა „სამოქალაქო კავშირს“ საბერძნეთში, რომელიც შეიქმნა 2008 წლის კანონით, სახელწოდებით: „რეფორმები ოჯახთან, ბავშვებსა და საზოგადოებასთან დაკავშირებით“, რამაც უზრუნველყო ოფიციალური პარტნიორობის ფორმა, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, დაარეგისტრონ თავიანთი ურთიერთობა უფრო მოქნილი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ქორწინებით. მომჩივნები – საბერძნეთის რვა მოქალაქე (ზოგიერთი მათგანი ცხოვრობდა ერთად, როგორც წყვილი, ზოგს კი ჰქონდა ერთმანეთთან ურთიერთობა, მაგრამ არ ცხოვრობდნენ ერთად) – ამტკიცებდნენ, რომ კანონი ითვალისწინებდა სამოქალაქო კავშირებს მხოლოდ სხვადასხვა სქესის წყვილებისათვის, რითაც ავტომატურად გამორიცხავდა ერთსქესიან წყვილებს მისი გამოყენების სფეროდან. ისინი ასაჩივრებდნენ, რომ საბერძნეთის სახელმწიფომ შემოიღო განსხვავება, რომელიც, მათი აზრით, დისკრიმინაციული იყო მათ მიმართ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად. მან აღნიშნა, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებიდან, რომლებმაც დაუშვეს რეგისტრირებული პარტნიორობის გარკვეული ფორმა, ლიტვა და საბერძნეთი იყვნენ ერთადერთი, რომლებმაც გააკეთეს სპეციალური დათქმა სხვადასხვასქესიანი წყვილებისათვის. სასამართლომ დაადგინა: საბერძნეთის სახელმწიფომ ვერ დაუმტკიცა სასამართლოს იმის აუცილებლობა, რომ ერთსქესიანი წყვილებისათვის ოფიციალურ პარტნიორობაში შესვლის აკრძალვა ჯეროვნად ემსახურებოდა კანონიერ მიზანს და პროპორციული იყო.

საქმის *ჰამალაინენი ფინეთის წინააღმდეგ (Hämäläinen v. Finland)* [დიდი პალატა], № 37359/09, ECHR 2014¹⁰³, მოსარჩელე, რომელიც დაიბადა მამაკაცად, 1996 წელს დაქორწინდა ქალზე. წყვილს შეეძინა შვილი 2002 წელს. 2009 წლის სექტემბერში მომჩივანმა ჩაიტარა მამრობითი სქესის მდედრობითად შეცვლის ოპერაცია. მართალია, მან შეიცვალა სახელი 2006 წლის ივნისში, მაგრამ ვერ შეძლებდა თავისი პირადი ნომრის შეცვლას, რათა მიეთითებინა მდედრობითი სქესი თავის ოფიციალურ დოკუმენტებში, იმ მომენტამდე, სანამ მისი მეუღლე დასთანხმდებოდა, გადაეკეთებინათ ქორწინება სამოქალაქო პარტნიორობად, ან, თუ წყვილი დაშორდებოდა ერთმანეთს. მეუღლემ უარი განაცხადა ქორწინების სამოქალაქო პარტნიორობად შეცვლაზე. მომჩივნის თხოვნაზე ქალად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ადგილობრივი რეესტრის ოფისმა უარი განუცხადა. მომჩივანი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მიეღო თავისი ახალი სქესის სრული აღიარება, თუ მისი ქორწინება გადაკეთდებოდა სამოქალაქო პარტნიორობად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლოს აზრით, მოსარჩელესთან მიმართებით არაპროპორციული არ იქნებოდა, თუ სახელმწიფო მისგან მოითხოვდა ქორწინების შეწყვეტასა და პარტნიორობის დაარეგისტრირებას, რაც გახდებოდა იმის წინაპირობა, რომ

¹⁰³ გადაწყვეტილების სრული ვერსია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-153397>

სამართლებრივად ყოფილიყო აღიარებული სქესის შეცვლა. სწორედ ამ ფორმით ხდებოდა სახელმწიფოში ერთსქესიანი წყვილების სამართლებრივი დაცვა, რაც თითქმის იდენტური იყო ქორწინებისა. ამ ორ სამართლებრივ ცნებას შორის არსებული უმნიშვნელო განსხვავებანი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ფინეთის სამართლებრივი სისტემა მიჩნეულიყო შეუსაბამოდ კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან.

საქმის *სალგუეირო და სილვა მუტა პორტუგალიის წინააღმდეგ (Salgueiro da Silva Mouta v. Portugal)*, № 33290/96, ECHR 1999-IX, მოსარჩელეს, ჰომოსექსუალ მამაკაცს, რომელიც ცხოვრობდა სხვა კაცთან ერთად, მისმა ყოფილმა მეუღლემ აუკრძალა თავისი ქალიშვილის მონახულება, რითაც დაარღვია მათი განქორწინების დროს მიღწეული შეთანხმება. მომჩივანმა გაასაჩივრა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა. მისი მტკიცებით, სააკელაციო სასამართლომ იგი იძულებული გახადა, დაეძალა თავისი ჰომოსექსუალობა ქალიშვილის ნახვის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად. პორტუგალიის სასამართლოების გადაწყვეტილება დიდწილად ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ მომჩივანი იყო ჰომოსექსუალი და რომ „ბავშვი უნდა ცხოვრობდეს ტრადიციულ პორტუგალიურ ოჯახში“. ეს განსხვავება არ იყო მისაღები ევროპული სასამართლოსათვის, კონვენციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საქმე *ტადეუჩი და მაკალი იტალიის წინააღმდეგ (Taddeucci and McCall v. Italy)*, №51362/09, 30 ივნისი, 2016 წ., ეხებოდა მომჩივნებს, ჰომოსექსუალ წყვილს, რომელთაგან ერთი იყო იტალიის მოქალაქე, ხოლო მეორე ახალი ზელანდიისა. მათ არ შეეძლოთ ერთად ცხოვრება იტალიაში, რადგან იტალიის ხელისუფლებამ უარი განუცხადა მეორე მომჩივანს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. იტალიის საემიგრაციო კანონმდებლობა არ უშვებდა დაუქორწინებელი პარტნიორების მიერ ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვის მიღებას. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ეს უარი იყო დისკრიმინაცია მათი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან ერთად და მიიჩნია, რომ უარი მოსარჩელებისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე გაუმართლებელი იყო, რის გამოც დისკრიმინაციად უნდა მიჩნეულიყო. სასამართლოს აზრით, მოსარჩელების, ჰომოსექსუალური წყვილის, სიტუაცია არ შეიძლება, შედარებოდა დაუქორწინებელი ჰეტეროსექსუალი წყვილის სიტუაციას, რადგან მათ ვერ შეძლეს დაქორწინება ან, შესაბამის დროს, ნებისმიერი სხვა ფორმით თავიანთი მდგომარეობის სამართლებრივი აღიარება იტალიაში, და, საკანონმდებლო ვაკუუმის გამო, ვერ მოხერხდებოდა მათი „მეუღლეებად“ მიჩნევა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ოჯახის წევრის ცნების შეზღუდული განმარტება ჰომოსექსუალი წყვილებისათვის იყო გადაულახავი დაბრკოლება ბინადრობის ნებართვის გასაცემად. ოჯახის წევრის ცნების ასეთმა შეზღუდულმა განმარტებამ, რომელიც გამოყენებულ იქნა მეორე მომჩივნის მიმართ, არ გაითვალისწინა მომჩივნების

პირადი მდგომარეობა და, კერძოდ, მათი უუნარობა, მიეღწიათ თავიანთი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარებისათვის იტალიაში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ იტალიამ დაარღვია მომჩივნების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მათი ორიენტაციის გამო დისკრიმინაციული ნიშნით.

საქმის *P.B. და J.S. ავსტრიის წინააღმდეგ (P.B. and J.S. v. Austria)*, №18984/02, 22 ივლისი, 2010 წ., მიხედვით, სადაზღვევო კომპანიამ უარი განუცხადა დაზღვეულ პირს, სამედიცინო დაზღვევა გაეწვრცელებინა ჰომოსექსუალ პარტნიორზე. 2007 წლის ივლისში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე, ავსტრიის კანონი ითვალისწინებდა, რომ დაზღვეული პირის მხოლოდ ახლო ნათესავი ან საპირისპირო სქესის თანამცხოვრები მიიჩნეოდა მის კმაყოფაზე მყოფად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად, 2007 წლის ივლისამდე პერიოდთან მიმართებით და, რომ ეს დებულებები არ დარღვეულა 2007 წლის ივლისის შემდგომ. 2007 წლის ივლისის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, შესაბამისი კანონი უკვე ჯეროვნად აწესრიგებდა და ნეიტრალური იყო იმის მიმართ, თანაცხოვრება ხდებოდა ჰეტეროსექსუალ თუ ჰომოსექსუალ წყვილს შორის.

საქმის *კერნერი ავსტრიის წინააღმდეგ (Karner v. Austria)*, № 40016/98, ECHR 2003-IX, მიხედვით, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მას უარი ეთქვა მისი პარტნიორის გარდაცვალების შემდგომ იჯარის გაგრძელებასთან დაკავშირებით, იყო დისკრიმინაცია მისი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. მთავრობამ მოითხოვა, რომ სასამართლოს სარჩელი ამოერიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მომჩივანი გარდაიცვალა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესის მსვლელობის დროს და არ არსებობდა არცერთი მემკვიდრე, რომელთაც ენდომებოდათ საქმის განხილვის გაგრძელება.

საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებების პატივისცემა, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციით და მასთან დაკავშირებული ოქმებით, საჭიროებდა საქმის განხილვის გაგრძელებას (კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი) და, შესაბამისად, უარყო მთავრობის მოთხოვნა სარჩელის სიიდან ამორიცხვის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, და მიუთითა, რომ ავსტრიის მთავრობამ არ წარმოადგინა დამაჯერებელი და წონადი საფუძველი, რომელიც დაასაბუთებდა ქირავნობის აქტის მე-14(3) პუნქტის ვიწრო განმარტებას, რამაც ხელი შეუშალა იმავე სქესის პარტნიორს, ესარგებლა ამ დებულებით.

საქმის *კოზაკი პოლონეთის წინააღმდეგ (Kozak v. Poland)* № 13102/02, 2010 წლის 2 მარტი, მიხედვით, ჰომოსექსუალი პარტნიორის სიკვდილის შემდეგ მომჩივანმა შეიტანა სარჩელი მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ და მოითხოვდა მისი პარტნიორის სახელზე არსებული მუნიციპალური საცხოვრებლის ქირავნობის მემკვიდრეობით გადმოცემას მისთვის. მისი სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული.

პოლონეთის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივანი გადავიდა ბინიდან და შეწყვიტა ქირის გადახდა მისი პარტნიორის სიკვდილამდე და, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დე ფაქტო ოჯახური ურთიერთობები, რომელიც იყო მუნიციპალური ბინის ქირავნობის უფლებით გადაცემის წინაპირობა, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საპირისპირო სქესის მქონე პირებს შორის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად. სასამართლოს განმარტებით, კანონიერი მიზნის მიუხედავად, რომელსაც ემსახურებოდა ხელისუფლების მიერ მომჩივანისთვის უარის გაცხადება და, რომელიც გულისხმობდა ტრადიციული ოჯახური ურთიერთობების დაცვას, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს განვითარებული მოვლენები და ცვლილებები საზოგადოებაში, მათ შორის ის, რომ არ არსებობდა მხოლოდ ერთი გზა ან ერთი არჩევანი ოჯახური ცხოვრების და პირადი ცხოვრების წარმართვის თვალსაზრისით. ამ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან შეფასების ვიწრო ფარგლების გათვალისწინებით განსხვავებული მოპყრობის შემთხვევებში სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე ადამიანების სრულად გამორიცხვა ქონების ქირავნობის უფლებით ფლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ.

4.13. სქესობრივი იდენტობა და გენდერი

ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედმა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებმა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მრავალ საქმეზე დაადგინეს: პოსტოპერაციულ ტრანსსექსუალებს შეუძლიათ, ამტკიცონ, რომ არიან პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის მსხვერპლნი, მათი სქესის სამართლებრივი აღიარების არარსებობის შემთხვევაში.¹⁰⁴ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტრანსსექსუალებსა და ტრანსგენდერებთან დაკავშირებული ურთიერთობა ერთმნიშვნელოვნად ხვდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების სფეროში.

საქმის *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Cossey v. the United Kingdom)*,²⁷ სექტემბერი, 1990, Series A no. 184, მიხედვით, მოსარჩელე, რომელმაც გაიკეთა ოპერაცია, მოითხოვდა დაბადების მოწმობაში სქესის შეცვლას, რაზეც ეროვნულმა ორგანოებმა უარი განუცხადა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლოს განმარტებით, „ოპერაციას არ გამოუწვევია მეორე სქესის

¹⁰⁴ მაგ. *გრანტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Grant v. the United Kingdom)*, № 32570/03, § 40, ECHR 2006-VII; *ლიტვის წინააღმდეგ (L. v. Lithuania)*, № 27527/03, § 59, ECHR 2007-IV-ე პარაგრაფი .

ყველა ბიოლოგიური მახასიათებლის შექმნა“.¹⁰⁵ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შესწორების შეტანა დაბადების მოწმობაში გამოიწვევდა ფაქტის გაყალბებას, ანუ დაბადების მომენტისათვის არსებული სქესის შეცვლას, რაც, ფაქტობრივად, არასწორი იქნებოდა.

საქმეზე *B. საფრანგეთის წინააღმდეგ (B. v. France)*, 25 მარტი, 1992, Series A no. 232-C ევროპულმა სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. საქმე ეხებოდა ტრანსსექსუალს (მამაკაცს, რომელიც ოპერაციის შედეგად გახდა ქალი), რომელმაც გაასაჩივრა საფრანგეთის ხელისუფლების უარი, ოპერაციის შემდგომ შეეცვალა ჩანაწერი სქესის შესახებ პასპორტში. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გამოარჩევს B.-ს საქმეს საქმეებისაგან – *რიისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Rees v. the United Kingdom)*, 17 ოქტომბერი, 1986, Series A no. 106 და *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Cossey v. the United Kingdom)* (ციტირებული მაღლა)კერძოდ, ეს ეხება განსხვავებებს დაბადების მოწმობასა და პასპორტს შორის. გაერთიანებულ სამეფოში არსებობდა დიდი დაბრკოლებები, რაც გამორიცხავდა დაბადების მოწმობების ჩასწორებას, ხოლო საფრანგეთის წინააღმდეგ საქმეში მომჩივანი მოითხოვდა პასპორტში სქესთან დაკავშირებული ცვლილების შეტანა. დაბადების მოწმობისაგან განსხვავებით, პასპორტი არის დოკუმენტი, რომელშიც ინფორმაციის განახლება დასაშვებია. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სჭირდება ადამიანს და ის ჯეროვნად უნდა ასახავდეს არსებულ ვითარებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო რეესტრში ცვლილების შეტანაზე უარმა მომჩივანი ჩააყენა „ყოველდღიურ სიტუაციაში, რომელიც არ იყო თავსებადი მისი პირადი ცხოვრების პატივისცემასთან“.

საქმის *X. Y. და Z. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X. Y. and Z. v. the United Kingdom)*, 22 აპრილი, 1997 წ., მიხედვით, პირველი მოსარჩელე, X., ტრანსსექსუალი, ქალი, რომელიც გახდა კაცი, ცხოვრობდა მუდმივ და სტაბილურ კავშირში მეორე მოსარჩელესთან, Y. ქალთან. მესამე მომჩივანი Z., მეორე მომჩივანს შეეძინა დონორის მეშვეობით ხელოვნური განაყოფიერების შედეგად. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ X.-სა და Z.-ს შორის ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების არარსებობის გამო დაირღვა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ აღიარა ოჯახური ცხოვრების არსებობა ტრანსსექსუალსა და მისი პარტნიორის შვილს შორის: „დაბადებიდან X. იქცეოდა როგორც Z.-ის „მამა“, ყველა თვალსაზრისით“. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ (დე ფაქტო) ოჯახური ურთიერთობა აკავშირებდათ ამ სამ მოსარჩელეს.¹⁰⁶

საქმის *კრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Christine Goodwin v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], № 28957/95, ECHR 2002-VI

¹⁰⁵ მე-40 პარაგრაფი

¹⁰⁶ 37-ე პარაგრაფი.

¹⁰⁷ მიხედვით, მომჩივანი ასაჩივრებდა შეცვლილი სქესის სამართლებრივ აღიარებას, კერძოდ მის დასაქმებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულებას. იგი ასევე ამტკიცებდა სოციალური დაცვისა და საპენსიო უფლებების დარღვევასა და დაქორწინების შეუძლებლობას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი მკაფიო და მუდმივი საერთაშორისო ტენდენციის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ტრანსსექსუალთა სოციალური აღიარების გაზრდას და პოსტოპერაციული ტრანსსექსუალების ახალი სექსუალური იდენტობის სამართლებრივ აღიარებას. როგორც ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: „ვინაიდან არ არსებობს საზოგადოების ინტერესის მნიშვნელოვანი ფაქტორები ამ კონკრეტული მომჩივნის ინტერესთან შესადარებლად მის მიერ სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარების მოპოვების თვალსაზრისით, სასამართლო ადგენს, რომ სამართლიანი ბალანსის ცნება, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციით, საბოლოოდ, იხრება მომჩივნის სასარგებლოდ“.¹⁰⁸

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-12 მუხლი (ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება). მან მიუთითა: „სასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ ადრეული საქმეებისაგან განსხვავებით, კვლავაც (შეეძლო) ევარაუდა, რომ (მე-12 მუხლის პირობები) უნდა გულისხმობდეს გენდერის განსაზღვრას წმინდა ბიოლოგიური კრიტერიუმებით“.¹⁰⁹ სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს უნდა განესაზღვრა ტრანსსექსუალის ქორწინების პირობები და ფორმალობები და „ვერ მოიძია ტრანსსექსუალისათვის დაქორწინების უფლების აკრძალვის ვერანაირი საფუძველი ვერცერთ გარემოებაში“.¹¹⁰ დიდი პალატის გადაწყვეტილების შემდეგ, კრისტინ გუდვინის შემთხვევაში, გაერთიანებულმა სამეფომ დაწერა სისტემა, რომლის თანახმად, ტრანსსექსუალებს შეუძლიათ, მიიღონ და ისარგებლონ გენდერული აღიარების სერტიფიკატით. ქვემოთ მოცემული ორივე შემთხვევა ეხებოდა ტრანსსექსუალს, რომელიც იმყოფებოდა ქორწინებაში სქესის შეცვლის ოპერაციამდე და რომელსაც სურდა, ესარგებლა გენდერული აღიარების ამ პროცედურით.

საქმე *გრანტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Grant v. the United Kingdom)*, №32570/03, ECHR 2006-VII ეხებოდა მომჩივანი 68 წლის პოსტოპერაციულ ტრანსსექსუალ მამაკაცს, რომელმაც გადაიკეთა სქესი ქალად. იგი ასაჩივრებდა ხელისუფლების მიერ სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარების მოთხოვნაზე უარს. ხელისუფლება ასევე უარზე იყო მომჩივანისთვის ასაკის გამო პენსიის გადახდაზე (გაერთიანებულ სამეფოში ქალის საპენსიო ასაკი იყო 55 წელი, ხოლო კაცისათვის 60 წელი).

¹⁰⁷ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145555>

¹⁰⁸ 97-ე პარაგრაფი.

¹⁰⁹ მე-100-ე პარაგრაფი.

¹¹⁰ 103-ე პარაგრაფი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი კრისტინ გუდვინის იდენტურ სიტუაციაში იმყოფებოდა: მიუხედავად იმისა, რომ, მართალია, მთავრობა ვალდებული იყო, გაეტარებინა ღონისძიებები კრისტინ გუდვინთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად, რომელიც უკავშირდებოდა ახალი კანონმდებლობის მიღებას, სასამართლოს მიერ ამ საქმის განხილვის პერიოდში ეს არ მოხდა. გუდვინთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ აღარ არსებობდა რაიმე სახის გამართლება პოსტოპერაციული ტრანსსექსუალების სქესის შეცვლის აღიარებასთან დაკავშირებით განცხადებაზე უარისა.

საქმე *L. ლიტვის წინააღმდეგ (L. v. Lithuania)*, № 27527/03, ECHR 2007-IV¹¹¹ ეხებოდა ტრანსსექსუალის მოთხოვნას, რათა ლიტვის ხელისუფლების ორგანოებს მოეხდინათ სამოქალაქო რეესტრში ტრანსსექსუალის ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა, რაც საშუალებას მისცემდა ტრანსსექსუალს, ჩაეტარებინა სქესის შეცვლის ქირურგიული ოპერაცია და შეეცვალა თავისი გენდერული იდენტიფიკაცია ოფიციალურ დოკუმენტებში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. ლიტვის სამართალმა აღიარა ტრანსსექსუალების უფლება, შეიცვალონ არა მხოლოდ სქესი, არამედ თავიანთი სამოქალაქო სტატუსიც. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობაში დაფიქსირდა ხარვეზი, ვინაიდან არ არსებობდა კანონი, რომელიც მოაწესრიგებდა სქესის სრულად შეცვლის ქირურგიულ ოპერაციას. ამ საკანონმდებლო ხარვეზის გამო მომჩივანი აღმოჩნდა გაურკვეველ მდგომარეობაში თავის პირად ცხოვრებასა და ნამდვილი ვინაობის აღიარებასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლოს აზრით, ჯანდაცვის სისტემაში არსებულმა საბიუჯეტო შეზღუდვებმა შეიძლება გაამართლოს თავდაპირველი შეფერხებები ტრანსსექსუალების უფლებების განხორციელებისას, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მაგრამ არა უმეტეს ოთხი წლისა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროცესში ჩართული იყო პირთა შეზღუდული რაოდენობა, საბიუჯეტო ტვირთი არ იქნებოდა ზედმეტად მძიმე. ამიტომ სახელმწიფომ ვერ შეძლო სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოების ინტერესსა და მომჩივნის უფლებებს შორის.

საქმის *შლუმპი შვეიცარიის წინააღმდეგ (Schlumpf v. Switzerland)*, № 29002/06, 8 იანვარი, 2009 წ., მიხედვით, 67 წლის მომჩივანმა უარი მიიღო ხელისუფლების ორგანოებისაგან, რათა სადაზღვევო კომპანიას აენაზღაურებინა მისთვის სქესის შეცვლის ოპერაცია. მოქმედი პრაქტიკის თანახმად, რომელიც დანერგილი იყო შვეიცარიაში ჟენევის უზენაესი სასამართლოს მიერ 2000 წლიდან, სადაზღვევო კომპანიას მხოლოდ მაშინ ეკისრებოდა ამგვარი ოპერაციის ანაზღაურების ვალდებულება, თუ ინდივიდი, რომელსაც სურდა სქესის შეცვლა, 2-წლიან დაკვირვებას გაივლიდა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და დადასტურდებოდა პროცესის შეუქცევადი ხასიათი, ანუ, კერძოდ, ადამიანის სურვილი, შეეცვალა სქესი.

¹¹¹ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-120987>

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. მოლოდინის პერიოდი ავტომატურად გავრცელდა მოსარჩელეზე, მისი ასაკის (67 წლის) გათვალისწინებლად. ეს დროსთან დაკავშირებული შეფერხება გავლენას მოახდენდა მომჩივნის გადაწყვეტილებაზე, ჩაეტარებინა ოპერაცია, რითაც ზიანი მიადგებოდა მის თავისუფლებას, დაედგინა თავისი გენდერული იდენტობა. ამასთანავე, 2000 წლის შემდგომ მედიცინა სწრაფად განვითარდა და შესაძლებელი იყო, გაცილებით მოკლე ხანში ყოფილიყო დადასტურებული პროცესის შეუქცევადი ხასიათი, კერძოდ, გარკვეულიყო, პირი ნამდვილად იყო ტრანსსექსუალი თუ არა.

საქმე *P. V. ესპანეთის წინააღმდეგ (P. V. v. Spain)*, № 35159/09, 30 ნოემბერი, 2010 წ., შეეხებოდა ტრანსსექსუალს (კაცს, რომელიც გახდა ქალი), რომელსაც ადრე, სქესის გადაკეთებამდე, 1998 წელს ჰყავდა ვაჟი მეუღლესთან. ისინი დაშორდნენ 2002 წელს და მომჩივანი ასაჩივრებდა შეზღუდვას, რომელიც სასამართლომ დააკისრა თავის შვილთან კონტაქტისათვის, რადგან მისი ემოციური არასტაბილურობა სქესის შეცვლის შემდეგ შეიცავდა საფრთხეებს ექვსი წლის ვაჟთან მიმართებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი, მე-14 მუხლთან ერთად (დისკრიმინაციის აკრძალვა). მან დაადგინა, რომ კონტაქტის შეზღუდვა არ იყო გამოწვეული დისკრიმინაციით მომჩივნის ტრანსსექსუალობის გამო. ესპანეთის სასამართლოების მიერ დაკისრებული შეზღუდვის გადამწყვეტი საფუძველი, მომჩივნის დროებითი ემოციური არასტაბილურობის გათვალისწინებით, იყო ბავშვის კეთილდღეობა და მისი საუკეთესო ინტერესები. ამიტომ მათ გააფორმეს ეტაპობრივი შეთანხმება, რომელიც საშუალებას მისცემდა ბავშვს, რომ თანდათან შეჩვეოდა მამის სქესს.

საქმე *Y. Y. თურქეთის წინააღმდეგ (Y. Y. v. Turkey)*, № 14793/08, ECHR 2015 (ამონარიდები) ¹¹² ეხებოდა თურქეთის ხელისუფლების უარს, გაეცა გენდერული იდენტობის ქირურგიული ოპერაციის ნებართვა იმ მოტივით, რომ პირს (ტრანსსექსუალს), რომელიც ითხოვდა ამას, არ შეეძლო შვილის ყოლა. მოსარჩელე, რომელიც განცხადების შეტანისას რეგისტრირებული იყო მდედრობითი სქესით, ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი უფლება, პატივი სცენ მის პირად ცხოვრებას. მან აღნიშნა, რომ განსხვავება მის მიერ საკუთარი თავის, როგორც კაცის, აღქმასა და რეალობას შორის, თუ როგორ გამოიყურებოდა, და მის ფიზიკურ სტრუქტურას შორის დადგინდა სამედიცინო დასკვნებით, რის გამოც იგი ასაჩივრებდა ხელისუფლების უარს. საბოლოოდ, 2013 წლის მაისში, თურქეთის სასამართლოებმა დააკმაყოფილეს სარჩელი და ნება დართეს მას ქირურგიული ოპერაციის ჩატარებაზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ მომჩივანისთვის მრავალი წლის განმავლობაში ხელისუფლების უარმა, ჩაეტარებინა ასეთი ოპერაცია, დაარღვია მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ტრანსსექსუალებისათვის შესაძლებლობის მიცემა, სრულად ისარგებლონ

¹¹² გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-162820>

პიროვნული განვითარებისა და ფიზიკური და მორალური ინტეგრაციის უფლებით, არ შეიძლება ჩაითვალოს საკამათო საკითხად. მან მიიჩნია, რომ, მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, უარის თქმა მომჩივნის თავდაპირველ მოთხოვნაზე ასეთი ოპერაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ეფუძნებოდა შესაბამის საფუძველს, ის არ იყო საკმარისად ნათელი და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო „აუცილებლობად“ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

5. ოჯახური ცხოვრება

ოჯახური ცხოვრება ერთ-ერთია იმ ინტერესებს შორის, რომლებიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. ოჯახური ცხოვრების კონცეფცია, რომლის განვითარება განაპირობა ცნობიერებითა და სოციალურმა ცვლილებებმა ევროპაში, მოიცავს საკითხთა ფართო წრეს.¹¹³ მოსალოდნელია, რომ საკითხთა ეს წრე გაფართოვდება მომავალში და, როგორც სამი-ოთხი ათეული წლის წინ წარმოუდგენელი იყო ზოგიერთი საკითხის მოქცევა ოჯახური ცხოვრების კონცეფციაში, რაშიც დღეს ეჭვი არავის შეაქვს, ისე დღეს ზოგიერთი საკითხი, რომელიც არ შედის ოჯახურ ცხოვრებაში, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ოჯახური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება.¹¹⁴

ოჯახური ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტია ოჯახის წევრების ერთად ცხოვრებისა და ერთმანეთთან ურთიერთობის უფლება. ოჯახური ცხოვრება მოიცავს არაერთ საკითხს, რომელიც ქვემოთ განიხილება, თუმცა, პირველ რიგში, აუცილებელია იმის განხილვა, რას ნიშნავს ოჯახური ცხოვრება.

5.1. რას ნიშნავს ოჯახური ცხოვრება?

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი ცნობიერებითი, სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ გასცდა ფორმალური ურთიერთობის ფარგლებს და მოიცვა ასევე ფაქტობრივი ურთიერთობა წყვილს შორის.¹¹⁵ დღეს ოჯახურ ცხოვრებად არ მიიჩნევა მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, არამედ ასეთად განიხილება ასევე ფაქტობრივი კავშირი.

¹¹³ U. Kilkelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 15-16.

¹¹⁴ D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014, 526.

¹¹⁵ *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland)*, 1986 წლის 18 დეკემბერი.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე *X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y. and Z v. the United Kingdom)*, § 36, 1997 წლის 22 აპრილი, „ოჯახური ცხოვრების“ ცნება:

„არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინების საფუძველზე შექმნილი ოჯახებით და შეიძლება, მოიცავს სხვა დე ფაქტო ურთიერთობები. როდესაც წყდება, შეიძლება თუ არა, ურთიერთობა შეადგენდეს „ოჯახურ ცხოვრებას“, რიგი ფაქტორებისა შეიძლება იყოს ამასთან კავშირში, მათ შორის: ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად, მათი ურთიერთობის ხანგრძლივობა, და გამოავლინეს თუ არა მათ თავიანთი ვალდებულება ერთმანეთის მიმართ ბავშვების ერთად ყოლით ან რაიმე სხვა საშუალებით.“¹¹⁶

საქმეზე *კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands)*, § 30, 27 ოქტომბერი, 1994 წ., ოჯახური ცხოვრების არსებობასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, ერთად ცხოვრება შეიძლება იყოს მოთხოვნა ასეთი ურთიერთობისათვის, როგორც გამონაკლისი, სხვა ფაქტორებიც ასევე შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ ურთიერთობას აქვს საკმარისი სტაბილურობა, შეიქმნას დე ფაქტო „ოჯახური კავშირები“; ამ შემთხვევასთან გვაქვს აქ საქმე, ვინაიდან 1987 წლიდან ქ-ნ კრონსა და ბ-ნ ზერუკს გაუჩნდათ 4 შვილი.“

საქმეში *ჯონსტონი ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston v. Ireland)*, 18 დეკემბერი, 1986, § 56, Series A no. 112, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „მომჩივნები (ბ-ნი როი ჯონსტონი და ქ-ნი ჯენის ვილიამს-ჯონსტონი), რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ 15 წლის განმავლობაში, შეადგენდნენ „ოჯახს“ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, მათ აქვთ უფლება, იყვნენ დაცულნი კონვენციით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათი ურთიერთობა ჩამოყალიბებულია ქორწინების გარეშე.“

აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, ოჯახური ცხოვრება მოიცავს როგორც ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას, ისე ფაქტობრივ ურთიერთობას მეუღლეებს შორის. მეუღლეებს შორის ფაქტობრივი ურთიერთობისას უნდა დადგინდეს ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ასეთი ურთიერთობა ჩაითვლება ოჯახურ ცხოვრებად.¹¹⁷

საქმე *სერიფე იგითი თურქეთის წინააღმდეგ (Serife Yigit v. Turkey)* [დიდი პალატა], №3976/05, 2 ნოემბერი, 2010 წ., – ეხებოდა თურქეთის მოქალაქეს (მოსარჩელე), რომელიც, ქმრის გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მასთან რელიგიურ, მაგრამ არა სამოქალაქო, ქორწინებაში. მათ ერთობლივად ჰყავდათ ექვსი შვილი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მომჩივანმა ეროვნულ დონეზე მოითხოვა ქორწინების

¹¹⁶-ე პარაგრაფი ; ასევე იხ.: *კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland)*, 44-ე პარაგრაფი, 1994 წლის 26 მაისი, -ე პარაგრაფი -ე პარაგრაფი და *ვან დერ ჰეიდენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van der Heijden v. the Netherlands)*, 50-ე პარაგრაფი, 2012 წლის 3 აპრილი, -ე პარაგრაფი .

¹¹⁷ U. Kilkelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 16.

აღიარება, რაც არ დაკმაყოფილდა. მომჩივანმა ასევე მოითხოვა პენსიისა და ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული შეღავათების მიღება.

საქმის შესაფასებლად ევროპულ სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა განესაზღვრა, ჰქონდათ თუ არა მომჩივანსა და გარდაცვლილს „ოჯახური ცხოვრება“. ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების გარანტირებით, მე-8 მუხლი ვარაუდობს ოჯახის არსებობას. „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა ან არარსებობა, ძირითადად, არის ფაქტის საკითხი, რომელიც დამოკიდებულია ახლო პირადი კავშირების რეალურ არსებობაზე.“¹¹⁸

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „მემკვიდრეობისა და საკუთრების ნებაყოფლობითი განკარგვა ახლო ნათესავებს შორის არის ოჯახურ ცხოვრებასთან ახლო კავშირში. ოჯახური ცხოვრება არ მოიცავს მხოლოდ სოციალურ, მორალურ ან კულტურულ ურთიერთობას, მაგალითად, ბავშვების განათლების სფეროში; ის ასევე მოიცავს მატერიალური სახის ინტერესებს, როგორც ეს გამოვლინდა, სხვა საკითხებთან ერთად, ურთიერთრჩენის მოვალეობით და ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმრავლესობის ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიხედვით, ქონების ნაწილის მიკუთვნებით. ... აქედან გამომდინარე, ეს არის ოჯახური ცხოვრების დამახასიათებელი, რომელიც არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნეს.“¹¹⁹

რაც შეეხება ბავშვს, რომელიც ოჯახური ცხოვრების შედეგად არის დაბადებული, საქმეზე *კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands)* (იხილეთ ციტირება მაღლა) ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: ოჯახური ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვი არის *ipso jure* „ოჯახური ერთეულის“ ნაწილი მისი დაბადების მომენტიდან და თავად ამ აქტის გამო.“¹²⁰ საქმეზე *ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Berrehab v. the Netherlands)*, 21 ივნისი, 1988, § 21, Series A №138 ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა მეუღლეებს შორის კანონიერი და ჭეშმარიტი ქორწინებიდან ... უნდა იყოს მიჩნეული „ოჯახურ ცხოვრებად“. ... ოჯახის კონცეფციიდან, რომელზეც დაფუძნებულია მე-8 მუხლი, გამომდინარეობს, რომ ასეთი კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვი არის *ipso jure* ამ ურთიერთობის ნაწილი. შესაბამისად, დაბადების მომენტიდან და ამ ფაქტის გამო, წარმოიშობა კავშირი ბავშვსა და მის მშობლებს შორის, რომელიც შეადგენს „ოჯახურ ცხოვრებას“, მაშინაც კი, თუ მშობლები არ ცხოვრობენ ერთად.“ აქედან გამომდინარე, ურთიერთობა დაქორწინებულ მშობლებსა და მათ შვილებს შორის ყოველთვის ექცევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე ცხადყო, რომ ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით არ უნდა გაკეთდეს განსხვავება ქორწინების შედეგად

¹¹⁸ 93-ე პარაგრაფი .

¹¹⁹ 95-ე პარაგრაფი.

¹²⁰ 30-ე პარაგრაფი.

დაბადებულ ბავშვსა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს შორის. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 13 ივნისი, § 40, 1979, Series A no. 31, „უკანონო“ ოჯახის წევრები სარგებლობენ ტრადიციული ოჯახის წევრებთან თანაბარი გარანტიებით. საქმეზე *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland)*,¹⁸ დეკემბერი, 1986, Series A no. 112, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებელ მშობლებსა და მათ შვილებს შორის ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობის ნორმალური განვითარება მოითხოვს, მათი შვილები იმყოფებოდნენ იმავე სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობაში, რომელშიც არიან დაქორწინებული მშობლების შვილები. მშობელთა ქორწინებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო, შვილების განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება იკრძალება კონვენციის მე-8 მუხლით, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მე-14 მუხლთან ერთად.

თუ კავშირს დაუქორწინებელ დედასა და შვილს შორის დაბადების მომენტიდან ევროპული სასამართლო ავტომატურად აღიარებს ოჯახურ ცხოვრებად,¹²¹ იმავენაირად არ ხდება ოჯახური ცხოვრების აღიარება მამასა და შვილს შორის. ბიოლოგიურ მამასა და შვილს შორის ოჯახური ცხოვრების არსებობა დამოკიდებულია როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებს ოჯახური ცხოვრების არსებობას.¹²² მამასა და შვილს შორის ოჯახური ცხოვრების დასადგენად რამდენიმე ფაქტორი გაითვალისწინება, მათ შორის: დაბადებამდე და დაბადების შემდეგ მამის ინტერესი შვილის მიმართ, მამასა და შვილს შორის ურთიერთობის ხარისხი, ასევე კონტაქტი და რჩენა, მამობის აღიარება.

შვილად აყვანა წარმოშობს ოჯახურ ცხოვრებას მამასა და შვილს შორის. საქმეში *კუროჩკინი უკრაინის წინააღმდეგ (Kurochkin v. Ukraine)*, № 42276/08, § 54-59, 20 მაისი, 2010 წ., ევროპულმა სასამართლომ არასაკმარისად დასაბუთებულად მიიჩნია უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება მშვილებელი მამისათვის ნაშვილები შვილის მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევა, ვინაიდან მამასა და შვილს ჰქონდათ ოჯახური ცხოვრება და მამა საკმარისად ზრუნავდა შვილზე. ოჯახური ცხოვრება შეიძლება ასევე ჰქონდეთ მზრუნველსა და მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვს.¹²³

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ოჯახური ცხოვრება არ მოიცავს ურთიერთობას მხოლოდ მეუღლეებს შორის ან მეუღლეებსა და შვილს (შვილებს) შორის,¹²⁴ არამედ ვრცელდება სხვა ურთიერთობებზეც: ბავშვსა და ბებია-

¹²¹ *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 13 ივნისი, 1979, Series A no. 31.

¹²² *შნეიდერი გერმანიის წინააღმდეგ (Schneider v. Germany)*, № 17080/07, § 87-90, 15 სექტემბერი, 2011.

¹²³ *მორეტი და ბენედეტი იტალიის წინააღმდეგ (Moretti and Benedetti v. Italy)*, № 16318/07, 2010 წლის 27 აპრილი.

¹²⁴ *ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (Olsson v. Sweden)*, (№ 1), 24 მარტი, 1988, § 59, Series A no. 130-ე პარაგრაფი ; *მუსტაკვიმი ბელგიის წინააღმდეგ (Moustaquim v. Belgium)*, 18 თებერვალი, 1991, Series A no. 193.

ბაბუას შორის,¹²⁵ და-ძმას შორის,¹²⁶ ბიძისა და დედის ურთიერთობაზე დისშვილთან და ძმისშვილთან,¹²⁷ არაბიოლოგიურ მშობელსა და გერს შორის, მშობლებსა და ქორწინებისგარეშე ან ადიულტერული ურთიერთობის შედეგად დაბადებულ ბავშვს შორის, თუ მამობა დადგინდა და მათ აქვთ მჭიდრო პირადი ურთიერთობა,¹²⁸ მშვილებელსა და ნაშვილებს, დედობილ-მამობილსა და აღსაზრდელს შორის.¹²⁹

თანაცხოვრება არ მიიჩნევა ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელ წინაპირობად.¹³⁰ როგორც აღინიშნა, საქმეში – *კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands)*, § 30, 27 ოქტომბერი, 1994 წ., ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, ჩვეულებრივ, ერთად ცხოვრება შეიძლება იყოს ასეთი ურთიერთობის მოთხოვნა, მაგრამ, როგორც გამონაკლისი, ოჯახური ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს, მიუხედავად თანაცხოვრებისა. იგივე პოზიცია გამოხატა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ბუგანემი საფრანგეთის წინააღმდეგ (Boughanemi v. France)*, 1996 წლის 24 აპრილი, § 35. რომელშიც მიუთითა, რომ ოჯახური ცხოვრება შეიძლება არსებობდეს მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს თანაცხოვრება. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა:

„ოჯახური ცხოვრების კონცეფცია, რომელსაც ეფუძნება მე-8 მუხლი, მოიცავს კავშირს მშობელსა და მის შვილს შორის, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს თანაცხოვრება, ... მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კავშირი შეიძლება შეწყდეს მომდევნო მოვლენებით, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.“

ოჯახური ცხოვრება შეიძლება არსებობდეს მზრუნველსა (მზრუნველებსა) და მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვს შორის. საქმის *მორეტი და ბენედეტი იტალიის წინააღმდეგ (Moretti and Benedetti v. Italy)*, № 16318/07, 2010 წლის 27 აპრილი, მიხედვით, მზრუნველებს, ლუიჯი მორეტის და მის მეუღლეს, მარია ბრუნელა ბენედეტის, სურდათ, დაბადებიდან 19 თვის განმავლობაში მათთან მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვის შვილად აყვანა. ამ პერიოდის განმავლობაში მოსარჩელებსა და ბავშვს შორის დამყარებული კავშირების სიმტკიცის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ურთიერთობა შეადგენდა ოჯახურ ცხოვრებას, მე-8 მუხლის მიზნებისათვის. სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ურთიერთობის ოჯახური ბუნების განსაზღვრამ მხედველობაში უნდა მიიღოს მრავალი ფაქტორი,

¹²⁵ *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 1979 წლის 13 ივნისი, 45-ე პარაგრაფი პარაგრაფი, Series A no. 31. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ოჯახური ცხოვრება, მე-8 მუხლის გაგებით, მოიცავს კავშირებს ახლო ნათესავებს შორის, მაგალითად, შვილიშვილებსა და ბებია-ბაბუას შორის, ვინაიდან ასეთი ნათესავებს შეუძლიათ, შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი ოჯახურ ცხოვრებაში.

¹²⁶ *ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (Olsson v. Sweden)*, (№ 1), 24 მარტი, 1988, § 59, Series A no. 130.

¹²⁷ *ბოილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Boyle v. the United Kingdom)*, 28 თებერვალი, 1994, Series A no. 282-B.

¹²⁸ *ჯოლი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (Jolie v. Belgium)*, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 1986 წლის 14 მაისი.

¹²⁹ *სოდერბეკი შვედეთის წინააღმდეგ (Soderback v. Sweden)*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, 33-ე პარაგრაფი.

¹³⁰ *კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands)*, -ე პარაგრაფი 30-ე პარაგრაფი, 27 ოქტომბერი, 1994 წ.; ასევე იხ. *ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Berrehab v. the Netherlands)*, 21 ივნისი, 1988, Series A №138.

როგორებიცაა: ამ ადამიანთა ერთად ცხოვრების დროის ხანგრძლივობა, მათი ურთიერთობის ხარისხი და ზრდასრულის როლი ბავშვის მიმართ.

ევროპულმა სასამართლომ ფართოდ განმარტა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახური ცხოვრების“ კონცეფცია, რომელმაც ასევე მოიცვა ერთი და იმავე სქესის წყვილების ურთიერთობა. საქმის *შალკი და კოფი ავსტრიის წინააღმდეგ (Schalk and Kopf v. Austria)*, № 30141/04, § 93-94, ECHR 2010, მიხედვით, მოსარჩელებმა, ერთი და იმავე სქესის წყვილმა, უარი მიიღეს თხოვნაზე, დაერთოთ ნება, დაქორწინებულიყვნენ. მართალია, არ დადგინდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ბოლო პერიოდში ევროპის მრავალ ქვეყანაში ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა მიმართ სოციალური დამოკიდებულებების სწრაფი ევოლუციის გათვალისწინებით, „ხელოვნური იქნებოდა სასამართლოსათვის მოსაზრების შენარჩუნება, რომ ერთი და იმავე სქესის წყვილები ვერ ისარგებლებენ „ოჯახური ცხოვრებით“, კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, მომჩივანთა – ერთად მცხოვრები ერთი და იმავე სქესის წყვილის – ურთიერთობა, რომლებსაც სტაბილური *დე ფაქტო* პარტნიორობა აქვთ, ექცევა ცნებაში – „ოჯახური ცხოვრება“, ისევე როგორც მოექცეოდა განსხვავებული სქესის წყვილის ურთიერთობა იმავე სიტუაციაში.“¹³¹

ოჯახური ცხოვრება ასევე შეიძლება წარმოიშვას შვილად აყვანის შემთხვევაში. საქმე *ვაგნერი და J.M.W.L. ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg)*, № 76240/01, 28 ივნისი, 2007 წ., ეხება უცხო ქვეყანაში მომხდარი შვილად აყვანის არაღიარებას ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შვილად აყვანის შესახებ პერუს სასამართლოს გადაწყვეტილების ლუქსემბურგში არაღიარებით არ იქნა გათვალისწინებული სოციალური რეალობა, რომ არსებობდა ოჯახური ცხოვრება მომჩივნებს შორის. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა.

გარკვეულმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს ოჯახური ცხოვრების შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, ისეთი მოვლენები, როგორცაა, მაგალითად, წყვილის განქორწინება,¹³² მართალია, როგორც წესი, იწვევს ოჯახური ცხოვრების შეწყვეტას ცოლსა და ქმარს შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად შეწყდება ოჯახური ცხოვრება მშობლებსა და შვილებს შორის. საქმეზე – *ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Berrehab v. Netherlands)*, 21 ივნისი, 1988, § 21, Series A №138, ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა შეხედულება, რომ, მიუხედავად მშობლების განქორწინებისა, გრძელდება ოჯახური ცხოვრება მამასა და შვილს შორის, ვინაიდან მამა ინარჩუნებდა ურთიერთობას შვილთან. არც შვილის გაშვილება,¹³³ ან მისი გადაცემა სახელმწიფო მზრუნველობისათვის¹³⁴ ავტომატურად

¹³¹ ასევე იხ. D. Harris, M. O’Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014, 526.

¹³² *ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Berrehab v. the Netherlands)*, 21 ივნისი, 1988, Series A №138.

¹³³ *A.K. და L. ხორვატიის წინააღმდეგ (A.K. and L. v. Croatia)*, № 37956/11, 8 იანვარი, 2013; *X. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X. v. the United Kingdom)* №7626/76, კომისიის 1977 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ.

არ გამოიწვევს ოჯახური ცხოვრების შეწყვეტას. ოჯახური ცხოვრება შეიძლება შენარჩუნდეს ამ ფაქტების არსებობის მიუხედავად.

5.1.1. ნათესაობის დადგენა

ნათესაური კავშირის დადგენა არაერთხელ იყო ევროპული სასამართლოს განხილვის ობიექტი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით.

ზემოხსენებული საქმე *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 13 ივნისი, 1979, Series A no. 31, ეხებოდა დაუქორწინებელი დედის განაცხადს ქორწინებისგარეშე დაბადებული შვილის სტატუსის შესახებ, ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით. იმ დროისათვის მოქმედი ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინებისგარეშე შვილების აღიარება მხოლოდ მაშინ მოხდებოდა თავიანთი დედის შვილებად, თუ დედა ფორმალურად ცნობდა თავის დედობას. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დედასა და შვილს შორის ბიოლოგიური კავშირი ქმნის ოჯახურ ცხოვრებას, მე-8 მუხლის გაგებით, რაც ასევე ვრცელდება დედისა და ქორწინებისგარეშე დაბადებული შვილის შემთხვევაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რამდენიმე საქმე, რომლებიც ეხებოდა მამობის დადგენას. საქმის *კრუსკოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Kruskovic v. Croatia)*, № 46185/08, 21 ივნისი, 2011 მომჩივანი იყო 1966 წელს დაბადებული ხორვატიის მოქალაქე, რომელმაც, 2003 წელს ფსიქიკური აშლილობის გამო, დაკარგა ქმედუნარიანობა. ბ-ნ კრუსკოვიჩს ჯერ დედა დაუნიშნეს მეურვედ, მოგვიანებით – მამა, ხოლო ბოლოს – სოციალური სამსახურის თანამშრომელი.

2007 წლის აგვისტოში მომჩივანმა შეიტანა განცხადება დაბადების რეგისტრაციის ორგანოში, რომლის მიხედვით, იგი იყო 2007 წლის ივნისში დაბადებული ბავშვის მამა. დედის თანხმობით, მომჩივანი ჩაწერეს ბავშვის დაბადების მოწმობაში, როგორც მამა.

მას შემდეგ, რაც დაბადების რეგისტრაციის ორგანომ შეიტყო, რომ ბ-მა კრუსკოვიჩმა დაკარგა ქმედუნარიანობა, ამ ორგანომ მოითხოვა მისი მამობის რეგისტრაციის გაუქმება. 2007 წლის ოქტომბერში ადგილობრივმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დაბადების მოწმობაში ცვლილების შეტანის შესახებ, რაც გამომდინარეობდა მამის ქმედუნაროდ გამოცხადების ფაქტიდან.

ევროპული სასამართლოს წინაშე ბ-ნი კრუსკოვიჩი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების უარი, დარეგისტრირებულიყო თავისი ქორწინებისგარეშე შვილის მამად, არღვევდა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, ვინაიდან ბ-ნ კრუსკოვიჩს დაკარგული ჰქონდა ქმედუნარიანობა, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, მოეთხოვა მამობის დადგენა არც ადმინისტრაციული წესით (დაბადების სარეგისტრაციო

¹³⁴ *ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (Olsson v. Sweden)*, (№ 1), 24 მარტი, 1988, § 59, Series A no. 130.

ორგანოსათვის) და არც სასამართლო წესით. სასამართლოს აზრით, სახელმწიფო ხელისუფლებას შეეძლო, მოეწვია მისი მეურვე, რათა მას განეცხადებინა თანხმობა ბ-ნი კრუსკოვიჩის მამობის აღიარებაზე, რაც არ გაკეთდა. არც სოციალურმა სამსახურმა, რომელზეც ბ-ნი კრუსკოვიჩი იყო დამოკიდებული, არ გაატარა რაიმე ღონისძიება მისი მამობის დასადგენად.

მხოლოდ 2010 წლის მარტში სოციალურმა სამსახურმა მიმართა ადგილობრივ სასამართლოს, რომ ბ-ნი კრუსკოვიჩი ელიარებინათ საკუთარი შვილის მამად, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ სამსახურს არც რაიმე ვალდებულება ჰქონდა სასამართლოსათვის მიმართვის თვალსაზრისით და ამის გაკეთების არც რაიმე დროითი შეზღუდვა.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში (ბ-ნი კრუსკოვიჩის მიერ დაბადების რეგისტრაციის ორგანოსათვის თავდაპირველად განცხადებით მიმართვიდან სოციალური სამსახურის მიერ სასამართლოსათვის მიმართვამდე) ბ-ნი კრუსკოვიჩი იყო სამართლებრივ ვაკუუმში, რაც გამოიხატებოდა ამ პერიოდის განმავლობაში მისი თხოვნის უგულებელყოფით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხორვატიამ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, რის გამოც დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმე *კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands)*, 27 ოქტომბერი, 1994 წ., ეხება სამი მოძივნის – ქ-ნი კრონის, მისი ფაქტობრივი ქმრისა (ბ-ნი ზერუკი) და მათი 1987 წელს დაბადებული ბიოლოგიური შვილის განაცხადს ევროპულ სასამართლოში.

მანამდე (1979 წელს) ქ-ნი კრონი დაქორწინდა ბ-ნ ომარ მჰალემ-დრისზე, რომელთა შორის ურთიერთობა მალე შეწყდა, რის შემდეგაც მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ქ-ნი კრონსა და ბ-ნ ომარ მჰალემ-დრისს შორის განქორწინება არ მომხდარა. როგორც აღინიშნა, 1987 წელს ქ-ნი კრონსა და ბ-ნი ზერუკს გაუჩნდათ შვილი, რომელიც დაბადების მოწმობაში დაარეგისტრირეს როგორც ქ-ნი კრონისა და მისი იურიდიული მეუღლის, ბ-ნი ომარ მჰალემ-დრისის შვილი.

ქ-ნი კრონისა და ბ-ნი ზერუკის მცდელობა, რომ დაბადების მოწმობაში ბ-ნი ზერუკი ჩაწერილიყო მამად, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ბავშვის დაბადების მომენტში ქორწინება ქ-ნი კრონსა და ბ-ნი მჰალემ-დრისს შორის არ იყო შეწყვეტილი. სახელმწიფოსაგან მიღებული პასუხის თანახმად, თუ ბ-ნი მჰალემ-დრისი არ უარყოფდა მამობას, ნიდერლანდების კანონმდებლობით, ბ-ნი ზერუკი ვერ აღიარებდა შვილის მამობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ამ სიტუაციაში ნიდერლანდების კანონმდებლობით გათვალისწინებული მამობის დადგენის საშუალებებზე და არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა ისინი.

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ოჯახური ცხოვრების“ „პატივისცემა“ მოითხოვს, ბიოლოგიურმა და სოციალურმა რეალობამ უპირატესობით ისარგებლოს სამართლებრივ პრეზუმფციაზე, რომელიც, ამ საქმის

მსგავსად, ეწინააღმდეგება როგორც დადგენილ ფაქტს, ისე მათ სურვილებს, ვისაც ეს ეხება და არავისათვის სარგებლობა არ მოაქვს.¹³⁵

ვინაიდან კანონმდებლობამ ვერ უზრუნველყო ბიოლოგიური მამის მიერ საკუთარი შვილის მიმართ მამობის დადგენა, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ნიდერლანდებმა დაარღვია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

მამობის დადგენასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში იმსჯელა არა მხოლოდ მამის უფლებაზე, დაადგინოს მამობა, არამედ იმაზეც, რომ ეჭვის ქვეშ დააყენოს ბავშვის მამობა. საქმე *კაულიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Paulik v. Slovakia)*, №10699/05, ECHR 2006-XI (ამონარიდები), ეხება 1931 წელს დაბადებულ მამაკაც მომჩივანს, რომელსაც სურდა 1970 წელს დადგენილი მამობის გაუქმება. მას ჰქონდა მტკიცებულება (დნმ-ის ტესტის შედეგი), რომელიც ადასტურებდა, რომ ის არ იყო მამა.

ვინაიდან მისი მამობა დადგენილი იყო ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, სასამართლომ უარი განუცხადა მას საკითხის ხელახლა განხილვაზე. მომჩივანმა ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა სამართლებრივი ბერკეტი, აღმოფხვრილიყო შეუთავსებლობა სამართლებრივ ფაქტსა და რეალურ მდგომარეობას შორის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობა მართლაც არ ითვალისწინებდა მამობის ეჭვის ქვეშ დაყენების შესაძლებლობას. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან ეროვნულმა სამართლებრივმა სისტემამ ვერ უზრუნველყო მომჩივნის უფლება, ეჭვის ქვეშ დაყენებინა მისი მამობა, გამოიწვია მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა.¹³⁶

საქმის *მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Mikulic v. Croatia)*, № 53176/99, ECHR 2002-I, მიხედვით, მომჩივანი იყო ბავშვი, რომელიც 1996 წელს დაიბადა ქორწინებისგარეშე ურთიერთობის შედეგად. 1997 წელს მისმა დედამ თავისი და შვილის სახელით შეიტანა სარჩელი H.P.-ის წინააღმდეგ ზაგრების ადგილობრივ სასამართლოში მამობის დასადგენად. რამდენიმე სასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, რადგან H.P. არ გამოცხადდა სასამართლოში. H.P. ასევე ექვსჯერ არ დაემორჩილა სასამართლოს ბრძანებას, ჩაეტარებინა დნმ-ის ტესტი მამობის დასადგენად. სამწელიწად-ნახევრის შემდეგ ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ H.P. იყო მომჩივნის მამა. ეროვნული სასამართლო ამ დასკვნამდე მივიდა მომჩივნის დედის ჩვენებისა და იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მამა თავს არიდებდა დნმ-ის ტესტის ჩატარებას. მამამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობამ, რომელიც ეხება მამობის დადგენას, წარმოშვა გაურკვევლობა მისი პირადი იდენტიფიცირების საკითხის მიმართ.

¹³⁵ მე-40 პარაგრაფი.

¹³⁶ ასევე იხ. *ლააკსო ფინეთის წინააღმდეგ (Laakso v. Finland)*, № 7361/05, 2013 წლის 15 იანვარი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხორვატიაში არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც დაავალდებულებდა H.P.-ს, ჩაეტარებინა დნმ-ის ტესტი, ხორვატიის კანონმდებლობა არც ასეთი ტესტის ჩატარებაზე უარის შედეგებს ადგენდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანებს, რომლებიც არიან მომჩივნის მდგომარეობაში, აქვთ კონვენციით დაცული სასიცოცხლო ინტერესი, მიიღონ საჭირო ინფორმაცია, რათა ნათელი მოჰფინონ პირადი იდენტიფიცირების მნიშვნელოვან ასპექტს.

ევროპული სასამართლოს აზრით, ხორვატიაში მოქმედი სისტემა, რომელსაც არ აქვს სავარაუდო მამის იძულების მექანიზმი, დაემორჩილოს სასამართლოს ბრძანებას დნმ-ის ტესტის ჩატარების მიზნით, ძირითადად, შეიძლება განხილულ იქნეს მე-8 მუხლთან შესაბამისობაში. მიუხედავად ამისა, მამობის დადგენის მსურველი პირის ინტერესები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ამ სისტემით, როდესაც მამობა შეიძლება ვერ დადგინდეს დნმ-ის ტესტის საშუალებით. პროცედურული წესის არარსებობა, რომელიც აიძულებს სავარაუდო მამას, დაექვემდებაროს სასამართლოს ბრძანებას, მხოლოდ მაშინ იქნება შესაბამისობაში პროპორციულობის პრინციპთან, თუ ის უზრუნველყოფს ალტერნატიულ საშუალებას, რომ დამოუკიდებელმა ორგანომ სწრაფად განიხილოს მოთხოვნა მამობის დადგენის შესახებ. ასეთი პროცედურა არ არსებობდა მომჩივნის შემთხვევაში.

ამასთანავე, ევროპული სასამართლოს აზრით, მომჩივნის მამობის საკითხის დადგენისას ეროვნულ სასამართლოებს მოეთხოვებოდათ ბავშვის ინტერესების დაცვის ძირითადი პრინციპის გათვალისწინება. ევროპული სასამართლოს აზრით, არსებული პროცედურა არ ადგენდა სამართლიან ბალანსს, ერთი მხრივ, მომჩივნის უფლებას, ზედმეტი დაყოვნების გარეშე, აღმოფხვრილიყო პირად იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გაურკვეველობა და, მეორე მხრივ, მისი სავარაუდო მამის უფლებას შორის, არ დაქვემდებარებოდა დნმ-ის ტესტს. ამდენად, ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნული სასამართლოს არაეფექტიანობამ მეტისმეტად დიდი ხნის განმავლობაში ჩააყენა მომჩივანი გაურკვეველ მდგომარეობაში მის პირად იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, რის გამოც დაირღვა მე-8 მუხლი.

5.2. ბავშვის მოთავსება სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ცალკე მუხლს ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ ბავშვის უფლებები უნდა იყოს დაცული ოჯახურ ცხოვრებასთან მიმართებითაც და ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მის საუკეთესო ინტერესებს.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც ეხება ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოქცევას, ბავშვის მეურვეობას ან მასთან კონტაქტს, უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის საფუძველზე. როგორც ზოგადად, ისე ბავშვის უფლებებთან მიმართებით, ევროპული კონვენციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შეასრულოს არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება.

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განიხილა საქმე, რომელიც ეხება ბავშვის მოთავსებას სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ. სახელმწიფო მზრუნველობისთვის ბავშვის გადაცემა შეიძლება იყოს დროებითი ღონისძიება და მიზნად ისახავდეს მშობლის უფლების შეზღუდვას გარკვეული პერიოდით. სახელმწიფო მზრუნველობისათვის ბავშვის გადაცემა ასევე შეიძლება იყოს სამუდამო ღონისძიება და მიზნად ისახავდეს ბავშვის შემდგომ გაშვილებას სხვა ოჯახში. მშობლის უფლების შეზღუდვა და, მითუმეტეს, მშობლის უფლების ჩამორთმევა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახურ ცხოვრებაზე და სახელმწიფოს განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევისათვის.¹³⁷

მშობლის უფლების დროებითი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს, თუ მშობლები მავნე ზეგავლენას ახდენენ შვილებზე ან, ობიექტური მიზეზების გამო, მშობლები სათანადოდ ვერ ზრუნავენ შვილებზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი (მაგ., ბავშვის გარკვეული პერიოდით მოთავსება სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოში), როგორც წესი, დროებითი ხასიათისაა. მშობლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო გადაწყვეტილებას იღებს ორი ინტერესიდან გამომდინარე: პირველი ინტერესია, ბავშვზე არ მოხდეს მავნე ზეგავლენა და მშობლებმა სათანადოდ იზრუნონ შვილზე; ხოლო მეორე ინტერესია, მდგომარეობის გამოსწორებისთანავე მოხდეს ბავშვის დაბრუნება საკუთარ ოჯახში, ოჯახის ხელახლა გაერთიანების მიზნით. როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. მაგალითად, თუ მშობლები, განიკურნენ ალკოჰოლიზმისაგან და მათ შეუძლიათ შვილზე სათანადო დონეზე ზრუნვა, სახელმწიფომ ბავშვი უნდა დააბრუნოს საკუთარ ოჯახში.

სახელმწიფომ მშობლის უფლების ჩამორთმევას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიმართოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, მშობლები მავნე ზეგავლენას ახდენენ შვილზე, ან სათანადოდ ვერ ზრუნავენ მასზე, ხოლო, მეორე მხრივ, ობიექტური სიტუაციიდან გამომდინარე, მშობლებისა და შვილის ოჯახურ ცხოვრებას არ აქვს პერსპექტივა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ათავსებს ბავშვს სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში, მისი შემდგომი გაშვილების მიზნით. ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოებს, როდესაც საქმე ეხება მშობლის უფლების ჩამორთმევას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან უკიდურეს და შეუქცევად ნაბიჯს.

¹³⁷ D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 569.

5.2.1. მშობლების მონაწილეობა ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშობლების მონაწილეობას. ასეთი გადაწყვეტილება მრავალ საკითხს შეიძლება უკავშირდებოდეს, მათ შორის: ბავშვის მოთავსებას სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოში, მშობლის უფლების ჩამორთმევას, ბავშვის გაშვილებას და სხვ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პროცედურული წესი, რომლის მიხედვით, მშობლები უნდა იყვნენ ჩართულნი იმ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პროცესში, რომლის ფარგლებში წყდება ბავშვთან დაკავშირებული საკითხები.

მშობლების მონაწილეობა ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია იმისათვის, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, შესაბამის ორგანოს წარუდგინონ თავიანთი პოზიცია და დაიცვან თავიანთი ინტერესები.¹³⁸ საქმეზე *B გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (B v. the United Kingdom)*, 1987 წლის 8 ივლისი, 65-ე პარაგრაფი, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„საქმის კონკრეტული გარემოებებისა და მისაღები გადაწყვეტილების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს, იყვნენ თუ არა მშობლები საკმარისად ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც აუცილებელი იყო მათი ინტერესების სათანადოდ დასაცავად. თუ არა, მაშინ ვერ იქნა უზრუნველყოფილი ოჯახური ცხოვრების პატივისცემა ...“.

ამასთანავე, გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებია, მშობლების მონაწილეობის გარეშე, ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა, თუ მდგომარეობა არის გადაუდებელი და სახელმწიფომ უნდა გაატაროს სასწრაფო ღონისძიება ბავშვის ინტერესების დასაცავად, ან, თუ ბავშვისათვის საფრთხე მოდის უშუალოდ მშობლებისაგან. ასეთ სიტუაციაში სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ გადაუდებელი ღონისძიების გატარება იყო ერთადერთი გამოსავალი ბავშვის ინტერესების დასაცავად. ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, რა გავლენას მოახდენს შეზღუდვითი ღონისძიებები მშობლებისა და შვილების ოჯახურ ცხოვრებაზე და არსებობდა თუ არა სხვა ალტერნატივები, კერძოდ უფრო მსუბუქი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა, რომლებიც ნაკლებად შეზღუდავდა ოჯახურ ცხოვრებას.

საინტერესოა საქმე *ვენემა ნიდერლანდების წინააღმდეგ (Venema v. the Netherlands)*, № 35731/97, ECHR 2002-X, რომელშიც მოსარჩელები, მამა, დედა და შვილი, ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის

¹³⁸ *W. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (W. v. the United Kingdom)*, 8 ივლისი, 1987, Series A no. 121.

უფლება, რადგან მშობლებს არ მიუღიათ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოში შვილის მოთავსების შესახებ.

საქმის გარემოებები შემდეგი იყო: 1994 წელს მშობლებმა მიიყვანეს შვილი საავადმყოფოში სუნთქვასთან დაკავშირებული სირთულის გამო. ექიმებმა ვერ დაადგინეს რაიმე პრობლემა და შეიტანეს ექვი, რომ ბავშვის დედა დაავადებულია მიუნჰაუზენის სინდრომით (*Münchhausen by Proxy syndrome*).¹³⁹ ექიმებს არ განუხილავთ გაჩენილი ექვი მშობლებთან.

მშობლების მიერ შვილის იმავე სიმპტომით ხელმეორედ საავადმყოფოში მიყვანის გამო, ექიმებმა საკითხი განიხილეს ბავშვთა კეთილდღეობის საბჭოს წარმომადგენლებთან, მშობლების მონაწილეობის გარეშე. რამდენიმე თვეში საავადმყოფოს ექიმებმა ბავშვთა კეთილდღეობის საბჭოში წარადგინეს ანგარიში, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ ბავშვის სიცოცხლე იყო საფრთხეში და, რომ უნდა გატარებულიყო დაუყოვნებლივი ღონისძიებები. ანგარიშში ექიმებმა მიუთითეს, რომ საკითხის განხილვა მშობლებთან შეუძლებელი იყო, რადგან არსებობდა მათი მხრიდან არაპროგნოზირებადი რეაქციის საფრთხე.

მომდევნო დღეს სასამართლომ, მშობლების მონაწილეობის გარეშე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ შვილი გადაეცათ სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოსთვის, რაც დაუყოვნებლივ აღსრულდა. მშობლებმა გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება. სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, თუმცა მოითხოვა ფსიქიატრის დასკვნა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მშობლებს მიეცათ ბავშვის მონახულების უფლება, ზედამხედველობის ქვეშ, ორ კვირაში ერთხელ.

მშობლებმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სასამართლოში, რომელსაც წარუდგინეს სამი ფსიქიატრის დასკვნა. მათი რეკომენდაცია იყო, რომ შვილი დაბრუნებულიყო მშობლებთან, ვინაიდან ისინი არ იყვნენ საშიშნი. ეროვნულმა სასამართლომ არ გაიზიარა სარჩელი. ორი თვის შემდეგ სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება ბავშვის მზრუნველობის ორგანოში მოთავსების შესახებ, რის შედეგადაც ბავშვი დაბრუნდა მშობლებთან.

ევროპულ სასამართლოში მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ვინაიდან მშობლებისაგან შვილის დაშორება არ იყო გამართლებული სამედიცინო მიზეზებით და არ მოხდა მშობლებისათვის შვილის დაბრუნება, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შვილის მზრუნველობის ორგანოში მოთავსების შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა პოზიცია, რომ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ყოველთვის არ იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშობლების ჩართვის შესაძლებლობა. მისი აზრით, არც იქნებოდა

¹³⁹ მიუნჰაუზენის სინდრომი არის ფსიქიკური აშლილობის ფორმა, როდესაც, როგორც წესი, ბავშვის მშობელი სიმულირებს/იგონებს ავადმყოფობას, რათა მიიღოს სამედიცინო მომსახურება. მშობელმა შეიძლება თავადაც გამოიწვიოს სიმპტომები. მაგ., თუ ბავშვის სუნთქვას ხელი შეეშალა, ამან შეიძლება ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს.

სასურველი ამის გაკეთება, თუ მშობლები თავად იქნებოდნენ საფრთხის უშუალო წყარო ბავშვისათვის.

ამასთანავე, ევროპული სასამართლოს აზრით, ის უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ იმსჯელა გარემოებებზე, რომლებიც ამართლებდა ბავშვის ჩამორთმევას მშობლებისათვის, მათთან წინასწარი კონტაქტისა და კონსულტაციის გარეშე. კერძოდ, ევროპული სასამართლოს პოზიციით, უნდა დადგინდეს, ასეთი ღონისძიების გატარებამდე გულდასმით შეფასდა თუ არა როგორც მზრუნველობის ორგანოსთვის გადაცემის ღონისძიების გავლენა მშობლებსა და შვილზე, ისე ოჯახიდან ბავშვის მოწყვეტის შესაძლო ალტერნატივები.¹⁴⁰

ევროპული სასამართლოს აზრით, დამაკმაყოფილებელი არ არის განმარტება იმ მიზეზებისა, რომელთა გამო, ექიმებს ან ბავშვთა კეთილდღეობის საბჭოს არ განუხილავს შექმნილი მდგომარეობა მშობლებთან, რათა მათ მისცემოდათ არსებული საფრთხეების გაქარწყლების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე. ის არგუმენტი, რომ მშობლების რეაქცია შეიძლება ყოფილიყო არაპროგნოზირებადი, თავისთავად არ შეიძლება მიჩნეული იყოს დამაკმაყოფილებლად იმისათვის, რომ მშობლებს არ მიეცეთ მონაწილეობის უფლება იმ პროცესში, რომელსაც უზარმაზარი პირადი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, მით უფრო მაშინ, როდესაც შვილი უსაფრთხოდ იყო (საავადმყოფოში) წინა დღეებში, სანამ მზრუნველობის ორგანოს გადასცემდნენ.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მშობლებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, შესძლებოდათ, თავიანთი მოსაზრებები წარმოედგინათ რომელიმე ეტაპზე, მზრუნველობის ორგანოსთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშობლების მონაწილეობის შეუძლებლობამ, რასაც მოჰყვა მზრუნველობის ორგანოსთვის შვილის გადაცემა, მშობლებს დააკარგვინა მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესაძლებლობა, მათ შორის ბავშვის კეთილდღეობის ორგანოს მიერ მოთხოვნილი ღონისძიების საჭიროების ეჭვის ქვეშ დაყენების უფლება. მზრუნველობის ორგანოსთვის გადაცემის შესახებ ღონისძიება გახდა საფუძველი მშობლებსა და შვილს შორის სამწუხარო განცალკევებისა ხუთი თვისა და 18 დღის განმავლობაში.¹⁴¹ ვინაიდან მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა ეროვნული ხელისუფლების მიერ მისი მიღების შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.¹⁴²

¹⁴⁰ 93-ე პარაგრაფი.

¹⁴¹ 98-ე პარაგრაფი

¹⁴² ასევე იხ. საქმე *K. და T. ფინეთის წინააღმდეგ (K. and T. v. Finland)*, [დიდი პალატა], № 25702/94, § 179, ECHR 2001-VII. საქმე ეხება შიზოფრენიით დაავადებულ ქალბატონს, რომლის ახალდაბადებული შვილი სამშობიაროდანვე მოათავსეს სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოში, რის გამოც დადგინდა ოჯახური ცხოვრების დარღვევა.

5.2.2. სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიკვლიოს ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის მიზეზი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ჯეროვნად გამოიკვლიოს მიზეზი, რომელიც შეიძლება გახდეს ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის საფუძველი. საქმე *B.B. და F.B. გერმანიის წინააღმდეგ (B.B. and F.B. v. Germany)*, № 18734/09 და № 9424/11, 14 მარტი, 2013 წ., ეხებოდა მოსარჩელებს, რომლებიც თურქული წარმოშობის ავსტრიის მოქალაქეები იყვნენ. მათი შვილები, 12 წლის გოგო და 8 წლის ბიჭი, ამტკიცებდნენ, რომ მამა მათ სცემდა. ამის გამო 2008 წელს მშობლებს ჩამოართვეს მშობლის უფლება, ხოლო ბავშვები დაუქვემდებარეს სახელმწიფო მზრუნველობას, მშობლებსა და ბავშვებს შორის კონტაქტის უფლების გარეშე. წელიწადზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ გოგომ აღიარა, რომ იტყუებოდა და რომ არცერთ მშობელს არასოდეს უცემია. იგივე დაადასტურა მისმა ძმამ.

ევროპულ სასამართლოში მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა არღვევდა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. მათი მტკიცებით, სოციალური სამსახური და საოჯახო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ ბავშვების განცხადებებს, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები უარყოფდნენ ძალადობის ფაქტებს. ამას გარდა, მშობლების განცხადებით, არც ექიმებს და არც ფსიქოლოგს არ წარუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ბავშვების განცხადების სისწორეს.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის ერთადერთი საფუძველი იყო ბავშვების განცხადება და არ არსებობდა ძალადობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. სასამართლომ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ბავშვების ცემის ფაქტს არც ექიმები და არც ფსიქოლოგი არ ადასტურებდნენ. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ ცნობად მიიღო, რომ ეროვნული სასამართლოებისათვის ეჭვს არ იწვევდა გოგონას მდიდარი ფანტაზიის არსებობა.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ფაქტებს ეჭვი უნდა შეეტანა ბავშვების მტკიცების მართებულობაში.¹⁴³ ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გერმანიის საოჯახო სასამართლო, კანონმდებლობის მიხედვით, ვალდებული იყო, თავისი ინიციატივით ჩაეტარებინა მოკვლევა შესაბამისი ფაქტების დადგენის მიზნით. ვინაიდან მშობლის უფლების ჩამორთმევას ოჯახურ ცხოვრებაზე ექნებოდა მნიშვნელოვანი გავლენა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ წარმოადგინეს საკმარისი დასაბუთება მომჩივანთა მშობლის უფლების ჩამორთმევისათვის, რაც არღვევს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.

¹⁴³ 50-ე პარაგრაფი

5.2.3 სახელმწიფოს ვალდებულება, რეგულარულად გადასინჯოს ბავშვის მზრუნველობის დაწესებულებაში ყოფნის აუცილებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ სახელმწიფოს, რომელსაც მზრუნველობის ქვეშ ჰყავს ბავშვი, ეკისრება ვალდებულება, რეგულარულად გადასინჯოს მზრუნველობის დაწესებულებაში ბავშვის ყოფნის აუცილებლობა.¹⁴⁴

როგორც ევროპულმა სასამართლომ მიუთითა საქმეზე – *K. და T. ფინეთის წინააღმდეგ (K. and T. v. Finland)* [დიდი პალატა], № 25702/94, § 179, ECHR 2001-VII: „ყველაზე მცირე, რისი მოლოდინიც უნდა არსებობდეს ხელისუფლებისაგან, არის ის, რომ გარკვეული პერიოდულობით ხელახლა შეისწავლონ, იყო თუ არა ოჯახურ მდგომარეობაში რაიმე გაუმჯობესება. ხელახლა გაერთიანების შესაძლებლობა თანდათანობით შემცირდება და, საბოლოოდ, მოისპობა, თუ ბიოლოგიურ მამასა და შვილს საერთოდ არ მიეცათ შეხვედრის შესაძლებლობა ან მხოლოდ ისე იშვიათად, რომ მათ შორის ურთიერთობა ვერ განმტკიცდეს.“

საქმეზე *R. ფინეთის წინააღმდეგ (R. v. Finland)*, № 34141/96, 30 მაისი, 2006 წ., მომჩივნის (მამა) ხუთი წლის შვილი (M.) მოათავსეს ბავშვთა სახლში 1992 წელს, ბავშვის განვითარებაში ჩამორჩენის, დედის ძალადობრივი საქციელისა და მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის უუნარობის გამო. M.-თან დაკავშირებით, ბავშვთა სახლის ჩანაწერების მიხედვით, განზრახული იყო, რომ M. გადასცემოდა მიმღებ ოჯახს და რომ უნდა დაწესებულიყო ბავშვის ბიოლოგიური მშობლებისაგან დაშორების პროცესი. 1995 წელს ბავშვი გადაიყვანეს მიმღებ ოჯახში.

თავდაპირველად მომჩივანს ჰქონდა შვილის მონახულების უფლება ერთჯერ ან ხანდახან ორჯერ თვეში, მოგვიანებით კი ერთჯერ ყოველ ორ თვეში. მომჩივანმა 1993 წლის სექტემბერში და 1994 წლის იანვარში სასამართლო წესით უშედეგოდ მოითხოვა სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტა და ბავშვის სახლში დაბრუნება. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ აღარ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი შვილის მზრუნველობის ორგანოში ყოფნისა და მონახულების უფლების შეზღუდვის შესანარჩუნებლად.

მომჩივანი არ ასაჩივრებდა ბავშვის მზრუნველობის ორგანოსთვის გადაცემას, რადგან იგი თავად დასთანხმდა ამას, მაგრამ ასაჩივრებდა მზრუნველობის ორგანოში მისი ყოფნის შეწყვეტასა და მონახულების უფლების შეზღუდვაზე უარს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალურ სამსახურს არ გამოუჩენია სერიოზული და საკმარისი მცდელობა, ხელი შეეწყოს ოჯახის გაერთიანებისათვის, შვილის სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოში ყოფნის მრავალი წლის განმავლობაში. ამასთანავე, სასამართლომ აღმოაჩინა, რომ მომჩივანისთვის შვილის მონახულების უფლების მკაცრი შეზღუდვები ასახავდა

¹⁴⁴ *K.A. ფინეთის წინააღმდეგ (K.A. v. Finland)*, № 27751/95, § 142, 14 იანვარი, 2003,

სოციალური სამსახურის განზრახვას, განემტკიცებინა კავშირები ბავშვსა და მიმღებ ოჯახს შორის, ნაცვლად მოსარჩელისა და მისი შვილის ხელახლა გაერთიანებისა.¹⁴⁵ საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საკმარისი ნაბიჯების გადადგმა მომჩივნის ოჯახის ხელახლა გაერთიანების ხელშესაწყობად, რის გამოც დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა.

5.2.4 სახელმწიფოს ვალდებულება, გონივრულ ვადაში ჩაატაროს ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პროცესი

ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო და ადმინისტრაციული პროცესის დროულად და გონივრულ ვადაში ჩატარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვისათვის. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე *W. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (W. v. the United Kingdom)*, 8 ივლისი, 1987, § 65, Series A no. 121, რომელიც ეხებოდა ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას, „ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ რაიმე პროცედურულმა დაყოვნებამ გამოიწვიოს სასამართლოსათვის წარდგენილი საკითხის ფაქტობრივი განსაზღვრა, ვიდრე ის მას განიხილავს. ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი დაცვა მოითხოვს, რომ მშობელსა და შვილს შორის მომავალი ურთიერთობა განისაზღვროს ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით და არა, უბრალოდ, დროის გასვლით.“

აქედან გამომდინარე, ამ ტიპის საქმეებთან მიმართებით პროცედურულ დაყოვნებას ან საკითხის განხილვის გაჭიანურებას შეიძლება ჰქონდეს გამოუსწორებელი შედეგი ოჯახური ცხოვრებისათვის. ამიტომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ ტიპის საქმეების მიმართ, რომ არ მოხდეს ოჯახური ცხოვრების საკითხის ფაქტობრივი განსაზღვრა, ნაცვლად ყველა იმ გარემოებისა და ფაქტორის საფუძველზე საკითხის გადაწყვეტისა, რაც ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას უზრუნველყოფს.

5.2.5 სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს ოჯახური ცხოვრებისათვის ნაკლებად შემზღვევადი ღონისძიება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს ისეთი ღონისძიება, რომელიც, შეძლებისდაგვარად, ნაკლებად შემზღვევადს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. თუ ოჯახში შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია

ოჯახური ცხოვრებისათვის ნაკლებად მტკივნეული ღონისძიების გატარება, რომელიც, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას, სახელმწიფომ უნდა გაატაროს პროპორციული ღონისძიებები, ნაცვლად მკაცრი ღონისძიებების გატარებისა, რომლებიც მეტისმეტად, სიტუაციისათვის შეუფერებლად მკაცრად, ზღუდავს ოჯახურ ცხოვრებას.

საქმე *აქიმი რუმინეთის წინააღმდეგ (Achim v. Romania)*, №45959/1, 24 ოქტომბერი, 2017 წ., ეხებოდა ბატონი და ქალბატონი აქიმების შვიდი არასრულწლოვანი შვილის სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანას იმ საფუძველით, რომ წყვილი არ ასრულებდა მშობლის მოვალეობებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვების დროებით სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანა გამართლებული იყო შესატყვისი და საკმარისი საფუძველებით და რომ სახელმწიფო ორგანოებმა ყველაფერი გააკეთეს მათი ინტერესების დასაცავად, უზრუნველყვეს რა სამართლიანი ბალანსის დაცვა მშობლების უფლებებსა და ბავშვების უფლებებს შორის. ამ საქმეზე ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა არა მხოლოდ ოჯახის მატერიალურ სიდუხჭირეს, არამედ ასევე მშობლების მხრიდან ბავშვების ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური განვითარების მდგომარეობის უგულებელყოფას; სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტებზე, რომ სახელმწიფო ორგანოების მიდგომა ბავშვების მშობლების მიმართ იყო კონსტრუქციული, ისინი კონსულტირებას უწევდნენ მშობლებს ფინანსური ვითარების გაუმჯობესებისა და მშობლის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების შესახებ; ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება დროებითი ღონისძიება იყო და სახელმწიფო ორგანოებმა შესაბამისი ზომები გაატარეს ბავშვების მშობლებთან დაბრუნებისთვის, როგორც კი მშობლები თანამშრომლობაზე წამოვიდნენ და ვითარება გაუმჯობესეს. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გატარებული ღონისძიებები „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას არ ქონდა ადგილი.

საქმე *ვალოვა და ვალა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Wallova and Walla v. the Czech Republic)*, № 23848/04, 26 ოქტომბერი, 2006 წ., ეხებოდა ბავშვების მოქცევას სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, შეუფერებელი საცხოვრებელი პირობების გამო. ამ საქმეში მომჩივნები იყვნენ ქ-ნი ემილიე ვალოვა და მისი ქმარი იაროსლავ ვალა, რომლებსაც ჰყავდათ ხუთი შვილი. 2000 წელს, სოციალური სამსახურის მიმართვის შედეგად, რაიონის სასამართლომ გასცა ბრძანება, რომ ბავშვები უზრუნველყოთ შესაფერისი საცხოვრებელი პირობებით. ვინაიდან, სიდუხჭირის გამო, მშობლებმა ვერ უზრუნველყვეს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ბავშვებისათვის, მოგვიანებით, სოციალურმა სამსახურმა მოითხოვა ბავშვების გადაცემა დროებით მზრუნველობის ორგანოსთვის. 2000 წლის ნოემბერში რაიონის სასამართლომ გასცა ბრძანება სამი უფროსი შვილის დროებით მზრუნველობის დაწესებულებაში მოთავსების შესახებ. სამი შვილიდან ერთი გადაიყვანეს ცალკე ბავშვთა სახლში, ხოლო ორი შვილი – სხვა ბავშვთა სახლში.

2002 წლის აპრილში რაიონის სასამართლომ ხუთი ბავშვის მეურვეობა დააკისრა ბავშვთა სახლს. გადაწყვეტილების დასაბუთებისას რაიონის სასამართლომ მიუთითა, რომ ბ-ნ ვალას არ ჰქონდა სტაბილური სამსახური, ხოლო მისმა მეუღლემ, რომელიც ასევე უმუშევარი იყო, ვერ დააკმაყოფილა ფორმალობები, რათა მიეღო სოციალური შეღავათები. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მშობლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, სათანადოდ აღეზარდათ ბავშვები.

2003 წელს უფროსმა შვილმა მიაღწია სრულწლოვნებას, რის გამოც მას შეუწყდა სახელმწიფო მზრუნველობა. მეურვეობა ორი ყველაზე მცირე ასაკის ბავშვზე 2005 წლის იანვარში დაეკისრა მიმღებ ოჯახს. მზრუნველობა მეორე და მესამე შვილზე გაუქმდა 2006 წლის თებერვალში და ისინი დაბრუნდნენ მშობლებთან, საგანმანათლებლო ზედამხედველობის ქვეშ. მზრუნველობის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად ეროვნულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნებმა ახლახან იქირავეს ბინა, რომ ბ-ნი ვალა რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა და რომ ქ-ნი ვალოვა იღებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემწეობას.

ბოლოდროინდელი მოვლენების მიუხედავად, მომჩივნებმა ევროპულ სასამართლოში მაინც შეიტანეს სარჩელი, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ ბავშვების მოთავსებამ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და ხელისუფლების მხრიდან დახმარების აღმოუჩენლობამ დაარღვია მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

არც ეროვნულ დონეზე და არც ევროპულ სასამართლოში ექვის ქვეშ არ დამდგარა ბავშვებზე მშობლების ზრუნვის უნარი ან ბავშვების მიმართ მშობლების დამოკიდებულება. ასევე დადასტურდა, რომ მშობლებმა არ დაიშურეს ძალისხმევა, გადაელახათ მათ წინაშე არსებული სირთულეები. ამ საქმეში მთავარი პრობლემა იყო ოჯახისათვის შესაფერისი საცხოვრებლის არარსებობა.

საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩეხეთის ხელისუფლებას უნდა გამოენახა პრობლემის მოგვარების სხვა გზა, ვიდრე ოჯახის მთლიანად განცალკევება, რაც იყო ყველაზე მკაცრი ღონისძიება და შეიძლება გამოყენებულიყო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ამ სიტუაციაში ჩეხეთის ხელისუფლებას უნდა მიემართა ნაკლებად მკაცრი ღონისძიებისათვის. ერთი გზა იქნებოდა მომჩივნების საცხოვრებელი პირობებისა და ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი და მათთვის რჩევის მიცემა, მაგალითად, იმაზე, რა ნაბიჯები შეიძლებოდა გადაედგათ, რომ გაეუმჯობესებინათ მდგომარეობა და მოეძებნათ გამოსავალი პრობლემებიდან, რაც არ გაკეთებულა ხელისუფლების მხრიდან.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფოს მიერ მოშველიებული მიზეზები არ იყო საკმარისი მომჩივნების ოჯახურ ცხოვრებაში ისეთი სერიოზული ჩარევის გასამართლებლად, როგორცაა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მათი შვილების მოქცევა. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

საქმე *სავინი უკრაინის წინააღმდეგ (Saviny v. Ukraine)*, № 39948/06, 18 დეკემბერი, 2008 წ., ეხებოდა მომჩივანთა შვილების მოქცევას სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ. მომჩივნები იყვნენ ბავშვობიდან უსინათლო მეუღლეები, სერგეი სავინი და ვალენტინა სავინა. 2004 წლის დეკემბერში სახელმწიფომ მათი სამი შვილი გადასცა სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოს. ამ გადაწყვეტილების საფუძვლად მიეთითა ის, რომ მომჩივნებს არ ჰქონდათ ფინანსური შესაძლებლობა და მათი პირადი თვისებები საფრთხეს უქმნიდა შვილების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ზნეობრივ აღზრდას, კერძოდ, მათ არ ჰქონდათ უნარი, შვილები უზრუნველყოთ სათანადო კვებით, ტანსაცმლით, ჰიგიენის დაცვით და ეზრუნათ მათ ჯანმრთელობაზე, ისევე როგორც უზრუნველყოთ ბავშვების ადაპტირება სოციალურ და საგანმანათლებლო გარემოსთან.

ევროპულმა სასამართლომ ექვის ქვეშ დააყენა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში მოშველიებული მტკიცებულების ადეკვატურობა, რომ ბავშვების საცხოვრებელი პირობები იყო საშიში მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს მხოლოდ მომჩივნების მატერიალური სირთულეები, რომლებიც შეიძლება მოგვარებულიყო მიზნობრივი ფინანსური და სოციალური დახმარებით და ეფექტიანი კონსულტაციებით და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სიღრმისეულად გააანალიზეს, რამდენად იყო ბავშვების არასრულყოფილი აღზრდა მომჩივნების მიერ მათზე ზრუნვის უუნარობის შედეგი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ არ მომხდარა დამოუკიდებელი მტკიცებულების მოპოვება (როგორცაა ფსიქოლოგის დასკვნა), რათა შეფასებულიყო მომჩივნების ემოციური და გონებრივი მოწიფულობა. ეროვნულ სასამართლოებს არც მდგომარეობის გამოსწორებისაკენ მიმართული, მომჩივნების ძალისხმევა განუხილავთ. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.¹⁴⁶

საქმე *ჟუ იტალიის წინააღმდეგ (Zhou v. Italy)*, №33773/11, 21 იანვარი, 2014 წ., ეხებოდა იტალიაში მცხოვრებ ჩინეთის მოქალაქეს (მოსარჩელე), რომლის ერთი თვის შვილი დღის საათებში მოათავსეს მიმღებ ოჯახში, ვინაიდან დღის ამ მონაკვეთში დედა ვერ ზრუნავდა შვილზე, სამსახურის გამო. სამი თვის შემდეგ მიმღებმა ოჯახმა უარი განაცხადა ბავშვზე ზრუნვაზე. მომჩივანმა გადაწყვიტა, რომ სამსახურში ყოფნის დროს ბავშვი მიენდო მეზობელი წყვილისათვის. სოციალური სამსახურისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დედის ეს გადაწყვეტილება და მან მიმართა პროკურატურას, რომელმაც, თავის მხრივ, მიმართა სასამართლოს, დაწყებულიყო ბავშვის გამვილების პროცედურა, ვინაიდან დედას არ ჰქონდა ბავშვზე ზრუნვის შესაძლებლობა.

¹⁴⁶ ასევე იხ. *R.M.S. ესპანეთის წინააღმდეგ (R.M.S. v. Spain)*, № 28775/12, 2013 წლის 18 ივნისი.

ევროპულ სასამართლოში მომჩივანი ასაჩივრებდა გაშვილების მიზნით მისი შვილის გადაცემას მზრუნველობის ორგანოსთვის, რაც, მისი აზრით, არღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლებამ არ გამოიჩინა შესაფერისი და საკმარისი ძალისხმევა, უზრუნველყო საკუთარ შვილთან მომჩივნის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ვიდრე გადაწყვეტდა ოჯახური კავშირების გაწყვეტას, რაც უკიდურესად მკაცრი ნაბიჯი იყო. ამის გამო დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.¹⁴⁷

საქმის *სოარეს დე მელო პორტუგალიის წინააღმდეგ (Soares de Melo v. Portugal)*, № 72850/14, 16 თებერვალი, 2016 მომჩივანი იყო 1977 წელს დაბადებული კაბო-ვერდეს მოქალაქე, რომელიც ცხოვრობდა პორტუგალიაში. მომჩივანს ჰყავდა ათი შვილი. 2007 წლის იანვარში ბავშვთა და ახალგაზრდობის ადგილობრივმა კომისიამ ქ-ნ სოარეს დე მელოსა და მის მეუღლესთან მოაწერა ხელი სპეციალურ შეთანხმებას, რომელიც დაამტკიცა ეროვნულმა სასამართლომ. სპეციალური შეთანხმების მიხედვით, ბავშვები დარჩებოდნენ დედასთან, მაგრამ მას უნდა ეზრუნა ბავშვებზე, დაეთმო სათანადო ყურადღება მათი განათლებისა და ჯანმრთელობისათვის, და მოეძებნა სამსახური. მამას უნდა უზრუნველყო ფინანსური მხარდაჭერა ბავშვების ძირითადი საჭიროებებისათვის.

ვინაიდან ოჯახური მდგომარეობა არ გამოსწორდა – დედა ვერ უზრუნველყოფდა ადეკვატურ პირობებს და იჩენდა დაუდევრობას, 2007 წლის სექტემბერში ბავშვთა და ახალგაზრდობის ადგილობრივმა კომისიამ მიმართა პროკურატურას, რომელმაც წამოიწყო ბავშვთა დაცვის სამართალწარმოება. მოგვიანებით, სოციალურმა სამსახურმა მიიჩნია, რომ ოჯახური გარემო იყო სარისკო, რის გამოც მან ცვლილებები შეიტანა სპეციალურ შეთანხმებაში და გაითვალისწინა დამატებითი პირობები, კერძოდ, რომ მამამ დაიწყო მუშაობა, ხოლო დედა მოემზადოს სტერილიზაციისათვის. ვინაიდან მშობლებმა არ შეასრულეს ეს პირობები, ეროვნულმა სასამართლომ 2012 წლის მაისში მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, შვიდი ბავშვი უნდა გადასცემოდა სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოს, გაშვილების მიზნით. მშობლებს უნდა ჩამორთმეოდათ მშობლის უფლება და უნდა აკრძალულიყო მშობლების ყოველგვარი კონტაქტი შვილებთან. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზებს შორის ეროვნულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მამა მუდმივად არ იმყოფებოდა შინ და რომ ქ-ნი სოარეს დე მელო, რომელსაც არ ჰქონდა უნარი, შეესრულებინა დედის როლი, მუდმივად უარს აცხადებდა სტერილიზაციის გაკეთებაზე. 2012 წლის ივნისში ექვსი შვილი წამოიყვანეს საცხოვრებლიდან და მოათავსეს მზრუნველობის ორგანოში. ბავშვების წამოყვანის მომენტში მეშვიდე შვილი არ იმყოფებოდა შინ.

ევროპულ სასამართლოში ქ-ნი სოარეს დე მელო ამტკიცებდა, რომ გაშვილების მიზნით მზრუნველობის ორგანოსთვის ბავშვების გადაცემა და ბავშვების მონახულების აკრძალვა არღვევდა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას.

¹⁴⁷ ასევე იხ. *აკინიბოსუნი იტალიის წინააღმდეგ (Akinibosun v. Italy)*, № 9056/14, 2015 წლის 16 ივლისი.

ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე და დაადგინა, რომ ძირითადი ბრალი, რომელიც ქ-ნ სოარეს დე მელოს ამ სიტუაციაში მიუძღოდა, იყო ის, რომ მას არ ჰქონდა უნარი, უზრუნველყო თავისი შვილები შესაფერისი საცხოვრებელი პირობებით და არა ის, რომ იგი უგულვებელყოფდა მათ. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დედის მდგომარეობა იყო განსაკუთრებით მყიფე, რადგან მას ჰყავდა ათი შვილი და იგი ცხოვრობდა სახელმწიფო დახმარებით, რომელიც იყო 393 ევრო. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლებამ არანაირი ძალისხმევა არ გამოიჩინა, მოეხდინა დახმარების ნაკლებობის კომპენსირება დამატებითი ფინანსური მხარდაჭერით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებას, პირველ რიგში, უნდა გადაეღო პრაქტიკული ნაბიჯები, რათა მიეცა შვილებისათვის შესაძლებლობა, ეცხოვრათ დედასთან, ვიდრე სახელმწიფო მოათავსებდა მათ მზრუნველობის ქვეშ, გაშვილების მიზნით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში არ ხდებოდა ძალადობა, არასათანადო მოპყრობა ან სექსუალური შეურაცხყოფა, მშობლებს არ ჰქონდათ რაიმე ჯანმრთელობის ან გონებრივი აშლილობის პრობლემა და, როგორც ეროვნულმა სასამართლომ აღიარა, ქ-ნ სოარეს დე მელოს და ბავშვებს ჰქონდათ განსაკუთრებით მტკიცე ემოციური მიჯაჭვულობა.

რაც შეეხება ქ-ნ სოარეს დე მელოს სტერილიზაციას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალურ სამსახურს შეეძლო, გაეწია რეკომენდაცია კონტრაცეპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ, რომლებიც ნაკლებად ინვაზიური ხასიათისაა, რათა მოეგვარებინა ოჯახის დაგეგმარების არარსებობის პრობლემა. ევროპული სასამართლოს აზრით, სტერილიზაციის პროცედურის გამოყენება არასოდეს არ უნდა იყოს მშობლის უფლების შენარჩუნების პირობა.

რაც შეეხება ქ-ნი სოარეს დე მელოსათვის ყოველგვარი კონტაქტის აკრძალვას საკუთარ შვილებთან, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დამატებითი შეზღუდვა გაუმართლებელი იყო ევროპული კონვენციის მიხედვით. დედას აკრძალა ყოველგვარი კონტაქტი შვილებთან, მიუხედავად იმისა, რომ შვილები იყვნენ 7-იდან 10 წლამდე, და რომ ისინი მოათავსეს სამ სხვადასხვა დაწესებულებაში, ართულებდა დებსა და ძმებს შორის კავშირების შენარჩუნებას და ანგრევდა არა მხოლოდ ოჯახს, არამედ ასევე კავშირს დედამამისშვილებს შორის. სასამართლოს აზრით, ეს ეწინააღმდეგებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ მოუთხოვიათ დამოუკიდებელი ექსპერტ-ფსიქოლოგის დასკვნა, რათა შეეფასებინათ ქ-ნი სოარეს დე მელოს მოწიფულობა და ბავშვის აღზრდის უნარი, ან ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ქ-ნი სოარეს დე მელო არ იყო წარმოდგენილი საოჯახო სასამართლოში ადვოკატის მიერ, ვინაიდან ეს არ იყო სავალდებულო.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილების მიღება ქ-ნი სოარეს დე მელოს შვიდი შვილის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოქცევის შესახებ გაშვილების მიზნით და ამ გადაწყვეტილების

აღსრულება ექვსი შვილის მიმართ, არ იყო შესაფერისი დასახული ლეგიტიმური მიზნისა. მან ასევე მიუთითა, რომ, ერთი მხრივ, ეროვნული სასამართლოების მიერ გატარებული ღონისძიებები, მომხდარიყო ბავშვების გადაცემა მზრუნველობის ორგანოსთვის გაშვილების მიზნით და, მეორე მხრივ, ქ-ნი სოარეს დე მელოსთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა, არ ადგენდა სამართლიან ბალანსს კონკურენტულ ინტერესებს შორის, რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს რაიმე სხვა ნაკლებად მზღლუდავი ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

5.3 მეურვეობა და ბავშვთან კონტაქტის უფლება

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ ადგენს, განქორწინების შემთხვევაში, შვილმა დედასთან უნდა იცხოვროს თუ მამასთან. მშობლების განქორწინებისას თუ მშობლები ვერ თანხმდებიან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ეს უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის საფუძველზე. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილება – დედასთან იცხოვრებს შვილი თუ მამასთან, არ უნდა იყოს მიღებული დისკრიმინაციულ საფუძველზე. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე *ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ (Hoffmann v. Austria)*, 23 ივნისი, 1993, Series A no. 255-C, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს გათვალისწინებული ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ბავშვს უნდა ეცხოვრა მამასთან, მიღებულ იქნა მხოლოდ დედის რელიგიური კუთვნილების (იგი იყო იეჰოვას მოწმე) გამო.¹⁴⁸

როგორც აღინიშნა, ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ მიუთითა, რომ ბავშვთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს როგორც მისი საუკეთესო ინტერესები, ისე ბავშვის მოსაზრებები. საქმე *ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ (N.Ts. v. Georgia)*, № 71776/12, 2 თებერვალი, 2016 წ., ეხებოდა ბავშვების დაბრუნებას მამასთან მათი ნების საწინააღმდეგოდ. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც ბავშვის მოსაზრებების, ისე მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე.

ამ საქმის გარემოებები შემდეგი იყო: მომჩივნები იყვნენ საქართველოს ოთხი მოქალაქე, რომლებიც ცხოვრობდნენ თბილისში, – 1976 წელს დაბადებული ნ.წ. და მისი სამი არასრულწლოვანი დისშვილი.

¹⁴⁸ ასევე იხ. *პალაუ-მარტინეზი საფრანგეთის წინააღმდეგ (Palau-Martinez v. France)*, № 64927/01, ECHR 2003-XII.

2006 წელს ბავშვების მამა გ.ბ. გასამართლდა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების გამო და მიესაჯა ხუთწლიანი პირობითი პატიმრობა. 2008 წელს გ.ბ.-ს დაუსვეს ფსიქიატრიული და ქცევითი აშლილობის დიაგნოზი. იმავე წელს გ.ბ.-მ დაიწყო მეტადონით ჩანაცვლების მკურნალობის კურსის გავლა. მანამდე მამა ორჯერ დაჯარიმდა ნარკოტიკების უკანონო მიღებისათვის.

2009 წლის ნოემბერში ბავშვების დედის, ნ.წ.-ს დის, გარდაცვალების შემდეგ ბავშვები ცხოვრობდნენ დეიდებთან და დედის მხრიდან ბებია-ბაბუასთან. 2009 წლის დეკემბრის ბოლოს გ.მ.-მ მოითხოვა შვილების დაბრუნება, მაგრამ დედის მხრიდან ოჯახმა უარი განაცხადა მის მოთხოვნაზე.

2010 წლის 5 იანვარს გ.ბ.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავისი შვილების დაბრუნების მოთხოვნით. 2010 წლის 12 იანვარს პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმისწარმოებაში სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩართვის შესახებ, რომელმაც შეისწავლა როგორც მამის, გ.ბ.-ს, ოჯახი, ისე დედის მხრიდან ოჯახი და ჩაატარა გასაუბრება. სოციალურმა მუშაკმა დაასკვნა, რომ ორივე ოჯახში საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელი იყო.¹⁴⁹ პარალელურად, სოციალური მომსახურების რაიონულმა განყოფილებამ შეამოწმა შვილების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მან დაადგინა, რომ ორ ბავშვს მამის მიმართ ჰქონდა გაორებული დამოკიდებულება – ერთი მხრივ, გამოხატავდნენ სიბოლსა და სიყვარულს, მეორე მხრივ, ეშინოდათ. დასკვნაში ფსიქოლოგი მიუთითებდა, რომ ბავშვების სტრესულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა მათ თავს მოხვეული მამის ნეგატიური იმიჯი, რასაც შეიძლებოდა, საფრთხე შეექმნა ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ცხოვრებისათვის.

მოგვიანებით, 2010 წლის აპრილში მომზადებული ფსიქოლოგიური დასკვნის მიხედვით, სამივე ბავშვს ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება მამის მიმართ და გარკვეული შიშები. რეკომენდაციის შესაბამისად, არ უნდა მომხდარიყო ცვლილების შეტანა მათ საცხოვრებელ გარემოში, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული ბავშვებისათვის დამატებითი სტრესის შექმნა.

2010 წლის 18 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა განკარგულება სამი ბიჭის მამისათვის დაბრუნების შესახებ. გ.ბ.-ს უკანასკნელი სამედიცინო ჩანაწერების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ იგი ვარგისი იყო მშობლის პასუხისმგებლობის განსახორციელებლად. სამართალწარმოებაში ჩართულნი არ ყოფილან სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები.

2011 წლის 24 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ბავშვები უნდა დარჩენილიყვნენ მათი დედის ოჯახში. სასამართლო ჩანაწერების მიხედვით, სოციალური მომსახურების სააგენტო ჩართული იყო საქმის სააპელაციო წარმოებაში, „დაინტერესებული მხარის“ სტატუსით.

¹⁴⁹ მე-11 პარაგრაფი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლო საქმის დაბრუნების შედეგად, 2012 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა თავისი 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ბავშვებმა უნდა იცხოვრონ მამასთან.

გადაწყვეტილება ბავშვების მამასთან საცხოვრებლად გადაყვანის შესახებ დღემდე ვერ აღსრულდა, რადგან ბავშვებმა უარი განაცხადეს მამასთან წასვლაზე. ისინი დღემდე ცხოვრობენ დედის ოჯახში.

მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურები არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ის უგულებელყოფდა ბავშვების საუკეთესო ინტერესებს. ამიტომ, ევროპული სასამართლოს აზრით, გამოსაკვლევი იყო ორი ძირითადი ასპექტი, იყვნენ თუ არა შვილები სათანადოდ ჩართულები სამართალწარმოებაში და იყო თუ არა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნაკარნახევი ბავშვების საუკეთესო ინტერესებით.¹⁵⁰

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ფორმალურად ჩაერთო სამართალწარმოებაში მხოლოდ სააპელაციო ეტაპიდან და, გაურკვეველი მიზეზების გამო, გამოტოვა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვა.¹⁵¹ სააპელაციო ეტაპზე სოციალური მომსახურების სააგენტო ჩაერთო „დაინტერესებული მხარის“ სტატუსით, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე დებულებას „დაინტერესებული მხარის“ სტატუსთან ან მის საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოსთვის გაურკვეველი იყო, როგორც შეეძლო მას, ეფექტიანად წარმოედგინა ბავშვების ინტერესები, როდესაც არ გააჩნდა ფორმალური პროცედურული როლი ამ საქმეში. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა, როგორ შეიძლებოდა, სოციალური მომსახურების სააგენტო, აუცილებელი სტატუსის გარეშე, მიჩნეული ყოფილიყო როგორც ადეკვატური და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი.¹⁵²

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა, განახორციელა თუ არა ეროვნულმა სასამართლომ ბავშვების მოსმენა. მე-8 მუხლის თანახმად, ბავშვები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი, საკმარისად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა, მოესმინათ მათთვის და ამგვარად გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები.¹⁵³ ამ საქმეში სამი ბავშვიდან არცერთის უშუალო მოსმენა არ განხორციელებულა არცერთ სასამართლო ინსტანციაში. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ გაუგებარია, თუ რატომ ვერ შეძლეს ეროვნულმა სასამართლოებმა, განეხილათ სამართალწარმოებაში, სულ ცოტა, უფროსი ბიჭის

¹⁵⁰ 73-ე პარაგრაფი.

¹⁵¹ 74-ე პარაგრაფი

¹⁵² 75-77 პარაგრაფები

¹⁵³ 78-ე პარაგრაფი.

პირდაპირი ჩართვის შესაძლებლობა და წარმოედგინათ მისი არმოსმენის დასაბუთება.¹⁵⁴

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მეორე მნიშვნელოვან ასპექტზე, კერძოდ, გაითვალისწინეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვების საუკეთესო ინტერესები. მშობლისა და შვილის ერთმანეთთან ყოფნა არის ოჯახური ცხოვრების ძირითადი ელემენტი და ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს მათთვის სრულყოფილ და ჰარმონიულ გარემოში განვითარება. მიუხედავად ამისა, ბავშვების საუკეთესო ინტერესების შეფასებისას ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის გათვალისწინება: ბავშვებს არ უნდოდათ თავიანთ მამასთან დაბრუნება.¹⁵⁵ მიუხედავად ზემოქმედებისა, რომელიც მოახდინა დედის ოჯახმა ბავშვებზე, ეროვნული სასამართლოებისათვის წარდგენილი მტკიცებულება მამის მიმართ ბავშვების მტრული დამოკიდებულების შესახებ, იყო არაორაზროვანი.¹⁵⁶

ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ფსიქოლოგების დასკვნებს, რომლებიც ეხება ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის შექმნის პოტენციურ საფრთხეს, მამასთან მათი ძალდატანებითი დაბრუნების შემთხვევაში. ეროვნული ხელისუფლების მიერ ასეთი რადიკალური ღონისძიებების გატარება შესაბამისი გარდამავალი და მოსამზადებელი ღონისძიებების გარეშე, რომლებიც მიზნად დაისახავს შვილებსა და მათ გაუცხოებულ მამას შორის ურთიერთობების აღდგენაში დახმარების აღმოჩენას, ეწინააღმდეგება მათ საუკეთესო ინტერესებს.¹⁵⁷

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაჯეროვანმა წარმომადგენლობამ და ამის შედეგად შვილების შეხედულებების სათანადოდ წარდგენისა და მოსმენის შეუძლებლობამ ძირი გამოუთხარა ამ საქმეში გადაწყვეტილების მიღების პროცესის პროცედურულ სამართლიანობას. ეს კიდევ უფრო გამწვავდა ბავშვების საუკეთესო ინტერესების არაადეკვატური და ცალმხრივი შეფასებით, რომელშიც მათი ემოციური მდგომარეობა, უბრალოდ, იგნორირებულ იქნა.¹⁵⁸ აქედან გამომდინარე, დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეების ნაწილი ეხება ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობას. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ირღვევა, თუ ვერ ხერხდება იმ მშობლისთვის ბავშვის გადაცემა, რომელთანაც, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვმა უნდა იცხოვროს. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და აღუსრულებლობის შემთხვევაში, ეს იწვევს

¹⁵⁴ 79-80 პარაგრაფი

¹⁵⁵ 81-ე პარაგრაფი.

¹⁵⁶ 82-ე პარაგრაფი

¹⁵⁷ 83-ე პარაგრაფი

¹⁵⁸ 84-ე პარაგრაფი

სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. ამ ტიპის საქმეები განსაკუთრებით რთულია ისეთ სიტუაციაში, როდესაც ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან.

ერთი მხრივ, აღუსრულებლობა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას (მაგალითად, ბავშვის დაბრუნებას საკუთარ მშობელთან) და, მეორე მხრივ, ბავშვის საუკეთესო ინტერესი, იყოს მისთვის უსაფრთხო და დაცულ გარემოში, იყოს იმ ადამიანებთან, ვისთანაც ჩამოუყალიბდა კავშირები და ჩამოუყალიბდა მიჯაჭვულობა, განსაკუთრებით იჩენს თავს სიტუაციაში, როდესაც ბავშვი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოწყვეტილია საკუთარ მშობლებს, საკუთარ ოჯახს.

საქმე *სანტოს ნუნესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Santos Nunes v. Portugal)*, № 61173/08, 22 მაისი, 2012 წ., ეხებოდა შვილთან ერთად ცხოვრების უფლების შესახებ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას. მომჩივან მამაკაცს 2003 წელს ხანმოკლე ურთიერთობის შედეგად ბრაზილიელ ქალთან გაუჩნდა შვილი. 2003 წელს დადგინდა მომჩივნის მამობა. 2004 წელს მამამ სასამართლო წესით მოითხოვა, რომ შვილს ეცხოვრა მასთან ერთად. ბიოლოგიურმა დედამ ბავშვი მზრუნველობაში გადასცა მიმღებ წყვილს, რომელიც მამას ბავშვის გადაცემაზე უარს ეუბნებოდა. მამის მცდელობა, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ბავშვი მისთვის გადაეცათ, უშედეგო აღმოჩნდა. 2007 წელს ეროვნულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადაწყვეტილების აღსრულების გარდამავალ პერიოდში ბავშვი დარჩენილიყო მიმღებ წყვილთან საცხოვრებლად, თუმცა მომჩივანს ექნებოდა ბავშვის მონახულების უფლება. მხოლოდ 2008 წელს მოხერხდა ბავშვის გადაცემა მამისათვის.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ოთხწელიწად-ნახევრის განმავლობაში ვერ მოხერხდა ბავშვის მამისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება და მიუთითა, რომ მიმღები ოჯახის წინააღმდეგობა ბავშვის მამისათვის გადაცემის შესახებ, ვერ გაამართლებს სახელმწიფოს, გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება ოჯახური კავშირების შესანარჩუნებლად. ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ აშკარად არ გამოიჩინა სათანადო გულმოდგინება, რის გამოც დაარღვია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმის *ლიუბენოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Lyubenova v. Bulgaria)*, № 13786/04, 18 ოქტომბერი, 2011 წ., მიხედვით, დედამ (მოსარჩელე) ბავშვი დროებით საცხოვრებლად დაუტოვა დედამთილსა და მამამთილს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დედამთილ-მამამთილის უარმა საკუთარი შვილის დაბრუნებაზე და ხელისუფლების მიერ აუცილებელი ნაბიჯების გადაუდგმელობამ ბავშვის დედასთან დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამოიწვია მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეს პოზიცია და ჩათვალა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო პოზიტიური ვალდებულების შესრულება მოსარჩელისა და მისი ოჯახური ცხოვრების

პატივისცემის უფლების დასაცავად, რის გამოც დაირღვა მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება.

საქმის *ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ (Hokkanen v. Finland)*, 23 სექტემბერი, 1994, Series A no. 299-A, მომჩივანი ბ-ნი ჰოკანენი ითხოვდა შვილის დაბრუნებას, რომელიც დედის გარდაცვალებამდე მასთან ცხოვრობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დარჩა დედის მშობლებთან. დედის მშობლებმა შეატყობინეს მოსარჩელეს, რომ არ აპირებდნენ ბავშვის დაბრუნებას მამისათვის. ისინი არ აძლევდნენ მამას შვილის მონახულების უფლებას.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ბავშვის მამასთან ცხოვრებისა და ბავშვის მონახულების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა არღვევდა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ: „ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს ხელახლა გაერთიანებას, არ არის აბსოლუტური, ვინაიდან მშობლის ხელახლა გაერთიანება შვილებთან, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ მეორე მშობელთან, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და შეიძლება მოითხოვოს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ასეთი მომზადების ბუნება და მოცულობა დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, მაგრამ ყველა მხარის თანხმობა და თანამშრომლობა ყოველთვის მნიშვნელოვანი შემადგენელია. მაშინ, როდესაც ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს თავისი მაქსიმუმი, რათა ხელი შეუწყოს ასეთ თანამშრომლობას, ამ სფეროში იძულების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს, ვინაიდან ყველა მხარის ინტერესები, ასევე უფლებები და თავისუფლებები, უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, განსაკუთრებით კი ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი უფლებები, კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით“.¹⁵⁹

მშობელსა და შვილს შორის კონტაქტის შენარჩუნება ამ უკანასკნელის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ ყოფნის განმავლობაში ან მეორე მშობელთან ცხოვრების დროს ის საკითხია, რომელსაც ევროპული სასამართლო ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. მართალია, ევროპულმა სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოქცევის ან ერთ-ერთ მშობელთან ცხოვრების შესახებ შეესაბამება კონვენციას, მან, ამავდროულად, შეიძლება დაადგინოს, რომ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ შვილთან ან მეორე მშობელთან მცხოვრებ შვილთან კონტაქტის (მონახულების) უფლების მეტისმეტი შეზღუდვა ან საერთოდ აკრძალვა არღვევს კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ცხადყო, რომ სახელმწიფოს ეკისრება ადეკვატური, სწრაფი და საკმარისი ღონისძიებების გატარების ვალდებულება ბავშვთან მშობლის ეფექტიანი კონტაქტის უზრუნველსაყოფად.

¹⁵⁹ 58-ე პარაგრაფი.

საქმე *რეიგადო რამოსი პორტუგალიის წინააღმდეგ (Reigado Ramos v. Portugal)*, № 73229/01, 22 ნოემბერი, 2005 წ., ეხება მომჩივან მამაკაცს, რომელსაც პარტნიორთან გაუჩნდა შვილი (ინესი). პარტნიორთან გაშორებისას შვილი იყო შვიდი თვის. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ცხოვრობდა დედასთან, მამას ჰქონდა როგორც ბავშვის მონახულების უფლება თვეში ორ შაბათ-კვირას, ისე სასკოლო არდადეგების ნაწილის ბავშვთან გატარების უფლება. მიუხედავად ამისა, დედამ რამდენჯერმე დაარღვია მამის მიერ ბავშვის მონახულების პირობები და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მამას არ ენახა შვილი, მათ შორის, სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად შესაბამისი სამსახურების შეუტყობინებლად. მამას ბოლოს შვილი ნანახი ჰყავდა 1997 წლის ოქტომბერში. 2003 წელს ეროვნულმა სასამართლომ დედას ჯარიმის გადახდაც კი დააკისრა ბავშვის მონახულების პირობების დარღვევისათვის.

ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი კონტაქტი ბავშვთან, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეროვნულ სასამართლოს ათ თვეზე მეტი დასჭირდა დედასთან დასაკავშირებლად, როდესაც დედა ბავშვთან ერთად სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად და ეს შეიძლებოდა უფრო მალე გაკეთებულიყო. სასამართლო პროცესი კი გრძელდებოდა ხუთ წელსა და ერთ თვეს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დედის მხრიდან თანამშრომლობის არარსებობა არ ათავისუფლებს ხელისუფლებას თავისი ვალდებულებისაგან, გააკეთოს ყველაფერი შესაძლებელი, ოჯახური ცხოვრების შესანარჩებლად. სასამართლო პროცესის შედეგი იყო მხოლოდ ის, რომ ბავშვის დედას დააკისრეს მოკრძალებული ჯარიმის გადახდა.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ გაატარა ადეკვატური და საკმარისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყო მომჩივნის კონტაქტის უფლება შვილთან, რამაც გამოიწვია მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა.¹⁶⁰

საქმის *პავლიკი პოლონეთის წინააღმდეგ (Pawlik v. Poland)*, № 11638/02, 19 ივნისი, 2007 წ., მომჩივანი (ჰენრიკ პავლიკი), რომელიც პოლონეთში ცხოვრობდა, ამტკიცებდა, რომ 1994 წელს, მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მის შვილთან (R.) ეფექტიანი კონტაქტის უფლება. სასამართლომ მამას მისცა უფლება, მოენახულებინა შვილები ოთხშაბათობითა და პარასკეობით, ორი საათის განმავლობაში და მათთან ერთად გაეტარებინა ორი კვირა ზაფხულში.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ, მიუხედავად სასამართლოში შეტანილი რამდენიმე სარჩელისა, რომლის მიზანი იყო საკუთარ შვილთან რეგულარული კონტაქტის შესაძლებლობის მიღება და ეროვნული სასამართლოების ორი გადაწყვეტილებისა, ვერ იქნა უზრუნველყოფილი შვილის მონახულების უფლების ეფექტიანი განხორციელება, რის გამოც, მისი აზრით, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

¹⁶⁰ ასევე იხ. *კუპინგერი გერმანიის წინააღმდეგ (Kuppinger v. Germany)*, № 62198/11, 2015 წლის 15 იანვარი.

ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე და დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს განქორწინების შემდეგ მშობლის კონტაქტს შვილთან, რომელთანაც იგი არ ცხოვრობს, არ არის აბსოლუტური. სასამართლოს განცხადებით, მთავარია, დადგინდეს, გადადგა თუ არა ხელისუფლებამ ყველა საჭირო ნაბიჯი კონტაქტის ხელშესაწყობად, რაც საქმის კონკრეტულ გარემოებებში გონივრული იქნება.¹⁶¹

სასამართლოს განცხადებით, კონტაქტთან დაკავშირებული სირთულეები, ძირითადად, გამომდინარეობდა მომჩივნის ყოფილ მეუღლესა და მომჩივანს შორის არსებული შუღლიდან. როდესაც მომჩივნის მეუღლე მუდმივად უარს აცხადებდა, დამორჩილებოდა კონტაქტის პირობებს, მომჩივანი აქტიურად ცდილობდა მის განხორციელებას. მან რამდენჯერმე წარუმატებლად მიმართა ეროვნულ ხელისუფლებას, ბოლო მოეღო ასეთი მდგომარეობისათვის. მიუხედავად ამისა, ერთადერთი სანქცია, რომელიც გამოიყენა ხელისუფლებამ ამ საქმეში მომჩივნის დედის წინააღმდეგ, იყო ჯარიმის დაკისრება.¹⁶²

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ აღსრულების პროცესი რამდენჯერმე გაჭიანურდა დიდი ხნით და, რომ ეროვნულ ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს კონტაქტის პირობების დაცვა, რადგან ის ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას და ხელეწიფება აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა.¹⁶³

ევროპული სასამართლოს აზრით, ვერ იქნა წარმოდგენილი აღსრულების პროცესის გაჭიანურების დამაკმაყოფილებელი დასაბუთება. სასამართლოს პოზიციით, კომპეტენტურმა ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს გონივრული ძალისხმევა შეხვედრების უზრუნველსაყოფად, პირიქით, მათმა უმოქმედობამ მომჩივანს დააკისრა ტვირთი, მიემართა რამდენიმე შრომატევადი და, საბოლოოდ, არაეფექტიანი ბერკეტისათვის თავისი უფლებების განსახორციელებლად.

ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ „ამ სახის საქმეებში ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების ადეკვატურობა უნდა შეფასდეს მათი განხორციელების სისწრაფით; ისინი მოითხოვენ დაუყოვნებლივ რეაგირებას, რადგან დროის გასვლამ და გარემოებების შეცვლამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები იქონიოს შვილებსა და იმ მშობელს შორის ურთიერთობაში, რომელიც არ ცხოვრობს მათთან ერთად.“¹⁶⁴

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლონეთის ხელისუფლების მიერ შვილთან მამის კონტაქტის უზრუნველყოფის შეუძლებლობამ განაპირობა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა.¹⁶⁵

¹⁶¹ 45-ე პარაგრაფი.

¹⁶² 49-ე პარაგრაფი.

¹⁶³ 51-ე პარაგრაფი.

¹⁶⁴ 54-ე პარაგრაფი.

¹⁶⁵ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. შვილის მონახულებასთან დაკავშირებით, ასევე იხილეთ *ბოვი იტალიის წინააღმდეგ (Bove v. Italy)*, № 30595/02, 2005 წლის 30 ივნისი.

საქმის *მარგარეტა და როჯერ ანდერსონი შვედეთის წინააღმდეგ (Margareta and Roger Andersson v. Sweden)*, 25 თებერვალი, 1992 წ., Series A no. 226-A მიხედვით, დედა და მისი ვაჟიშვილი ამტკიცებდნენ, რომ 18 თვის განმავლობაში მკაცრად შეეზღუდათ შეხვედრებისა და სატელეფონო/საფოსტო კონტაქტის უფლება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ საკმარისად ვერ დაასაბუთა შეფარდებული მკაცრი ღონისძიებები, რომლებიც ამ კონკრეტულ სიტუაციაში ჩაითვალა არაპროპორციულად, რის გამოც დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა.

საქმის *იოჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ (Johansen v. Norway)*, 7 აგვისტო, 1996, მომჩივანი ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას გაშვილების მიზნით მისი ქალიშვილის მზრუნველობის ორგანოში მოთავსების შესახებ. მეურვეობის კომიტეტმა მიიჩნია, რომ ქ-ნი იოჰანსენის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელი იყო, რათა მას ეზრუნა თავის შვილზე. ამის გამო კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა მომჩივანისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და ბავშვის მზრუნველობის ორგანოსთვის გადაცემა, გაშვილების მიზნით. ამასთანავე, კომიტეტის გადაწყვეტილებით, მომჩივანს აეკრძალა კონტაქტი თავის შვილთან. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა და მასთან კონტაქტის აკრძალვა არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

„ამ ღონისძიებებმა გამოიწვია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები, ვინაიდან მთლიანად წაართვა მომჩივანს თავის შვილთან ურთიერთობის უფლება, რაც ეწინააღმდეგება მათი ხელახლა გაერთიანების მიზანს. ასეთი ღონისძიებები უნდა გამოიყენონ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მათი გამართლება შეიძლება, თუ ეს გამოწვეულია ბავშვის ინტერესების დაცვის აუცილებლობით ...“¹⁶⁶

საქმე *ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (Olsson v. Sweden)* (№ 1), 24 მარტი, 1988, § 59, Series A no. 130, ეხებოდა შვედეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას მომჩივანთა სამი შვილის (სტეფანი, ჰელენა და თომასი) სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოქცევის შესახებ. სტეფანი გადასცეს მიმღებ ოჯახს, რომელიც ცხოვრობდა 100 კმ-ის დაშორებით მშობლების საცხოვრებელი ადგილიდან; ჰელენა და თომასი გადასცეს სხვადასხვა მიმღებ ოჯახს, 100 კმ-ით დაშორებით ერთმანეთისაგან და 600 კმ-ით დაშორებით მშობლებისაგან. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათი შვილების მოთავსება ასეთ დიდი მანძილით დაშორებულ მიმღებ ოჯახებში, იყო ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება:

„... სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ დგას ბავშვების გაშვილების საკითხი. ამიტომ გადაწყვეტილება მზრუნველობის შესახებ დროებით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, რაც შეწყდება გარემოებების გაუმჯობესებისთანავე, ხოლო გატარებული ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს ოლსონების ოჯახის ხელახლა გაერთიანების მიზანს.

¹⁶⁶ 78-ე პარაგრაფი.

ფაქტობრივად, შვედეთის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ეწინააღმდეგება ასეთ მიზანს. კავშირები ოჯახის წევრებს შორის და მათი წარმატებული გაერთიანება ძალაუვნებურად შესუსტდება, თუ შეიქმნა დაბრკოლებები მათ შორის იოლი და რეგულარული კონტაქტებისათვის. ჰელენასა და თომასის ყოფნას თავიანთი მშობლებისა და სტეფანისაგან ასეთ დიდ მანძილზე, უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა მათ ურთიერთობაზე.¹⁶⁷

ამდენად, ევროპულმა სასამართლომ ნათელი მოჰფინა საკითხს – გადაწყვეტილება ბავშვების მზრუნველობის ქვეშ მოქცევის შესახებ ისე უნდა მიიღონ, რომ უზრუნველყოფილი იყოს მშობლების იოლი და რეგულარული კონტაქტი შვილებთან, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის ხელახლა გაერთიანების საბოლოო მიზანს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მშობლებსა და შვილს (შვილებს) შორის კონტაქტი მავნე ზეგავლენას ახდენს შვილზე, მათ შორის მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ კონტაქტის შეზღუდვა ან, უკიდურეს შემთხვევაში, აკრძალვა შეიძლება არ ჩაითვალოს არაგონივრულად.

საქმეში *კუცნერი გერმანიის წინააღმდეგ (Kutzner v. Germany)*, №46544/99, ECHR 2002-I, მომჩივნებს (ინგო და ანეტა კუცნერებს), რომლებიც დაქორწინებულნი იყვნენ, ჰყავდათ ორი ქალიშვილი (კორინა და ნიკოლა). ისინი ცხოვრობდნენ ინგო კუცნერის მშობლებთან. მომჩივნები ესწრებოდნენ სპეციალურ კურსს სწავლის სირთულეების მქონე პირებისათვის. მომჩივნების ფიზიკური და, განსაკუთრებით, გონებრივი განვითარების სირთულეების გამო, მათი შვილები პერიოდულად გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას. ექიმისა და მომჩივნების თხოვნით, გოგონებს უწევდნენ საგანმანათლებლო დახმარებას.

1997 წლის მაისში ადგილობრივმა სასამართლომ მომჩივნებს ჩამოართვა მშობლის უფლება და მოითხოვა გოგონების მიმღებ ოჯახში მოთავსება. ამის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნებს არ ჰქონდათ შვილების აღზრდის გონებრივი უნარი, გოგონები ძალიან ჩამორჩებოდნენ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას და რომ მომჩივნები არ თანამშრომლობდნენ სოციალურ სამსახურებთან. 1998 წელს ზემდგომმა სასამართლომ ძალაში დატოვა სასამართლოს ადრინდელი გადაწყვეტილება.

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, გოგონები ცალ-ცალკე მოათავსეს არაიდენტიფიცირებად მიმღებ ოჯახებში, ხოლო მომჩივნებს დაუწესეს შეზღუდვა შვილებთან კონტაქტზე. კერძოდ, პირველი ექვსი თვის განმავლობაში მშობლებს არ ჰქონდათ შვილების მონახულების უფლება, ხოლო შემდეგ, მესამე მხარის თანდასწრებით, მიეცათ შვილების მონახულების უფლება თვეში ერთი საათით, რაც მოგვიანებით გაიზარდა ორ საათამდე.

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ ბავშვის მოთავსება უკეთეს გარემოში აღსაზრდელად თავისთავად ვერ გაამართლებს ბიოლოგიური მშობლებისაგან ბავშვის მოწყვეტას. მისი აზრით, ამისათვის უნდა

¹⁶⁷ 81-ე პარაგრაფი.

არსებობდეს სხვა გარემოება, რომელიც მიუთითებს კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვის „საჭიროებაზე“.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი არათანაზომიერი იყო. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანთა თხოვნით, მცირე ასაკიდან გოგონებს უწევდნენ საგანმანათლებლო დახმარებას. სასამართლოს აზრით, მდგომარეობა გართულდა, როდესაც სოციალურმა მუშაკმა, ვისთანაც მომჩივნებს მოუვიდათ კონფლიქტი, წარადგინა მკვეთრად უარყოფითი დასკვნა სოციალურ სამსახურში. საქმეში არსებული ფსიქოლოგიური დასკვნები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ფსიქოლოგთა ნაწილი და ოჯახის ექიმი თვლიდნენ, რომ გოგონები უნდა დაბრუნებულიყვნენ ოჯახში. მათი აზრით, ბავშვების კეთილდღეობა საფრთხეში არ იყო და რომ მშობლებს შეეძლოთ, აღეზარდათ ბავშვები როგორც ემოციურად, ისე ფსიქოლოგიურად. მათ მიუთითეს, რომ ბავშვებს სჭირდებოდათ დამატებითი საგანმანათლებლო დახმარება. როგორც სასამართლომ აღნიშნა, გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს მტკიცებულება მშობლების მიერ ბავშვების უგულვებელყოფის ან მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის თაობაზე.

ევროპული სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დახმარება, რომელიც აღმოუჩინეს ბავშვებს, არასაკმარისი აღმოჩნდა, საკითხავია, ეროვნულმა ადმინისტრაციულმა და სასამართლო ორგანოებმა განიხილეს თუ არა დამატებითი ღონისძიებების გატარების საკითხი, როგორც ალტერნატივა უკიდურესად მკაცრი ღონისძიებისა, კერძოდ, მშობლებისაგან ბავშვების განცალკევება.¹⁶⁸

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ამ საქმეში არა მხოლოდ ბავშვები განაცალკევეს მშობლებისაგან, არამედ თავად ბავშვებიც მოათავსეს სხვადასხვა, არაიდენტიფიცირებად მიმღებ ოჯახებში და პირველი ექვსი თვის განმავლობაში სრულად აკრძალეს მშობლების ყოველგვარი კონტაქტი შვილებთან. მშობლებმა ბავშვების მონახულების უფლება მიიღეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიმართეს სასამართლოს, თუმცა შვილებთან კონტაქტს სისტემატიურად ხელს უშლიდა ქალაქის სოციალური სამსახური ჯერ იმით, რომ თვეში მხოლოდ ერთი საათით შეეძლოთ ბავშვებთან კონტაქტი, ისიც რვა ადამიანის თანდასწრებით, რომლებიც არ იყვნენ ოჯახის წევრები, ხოლო მოგვიანებით, თვეში ორი საათით.¹⁶⁹

ევროპული სასამართლოს აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვები იყვნენ მცირეწლოვნები, კონტაქტის უფლების საერთოდ გაწყვეტა ან ასეთი მკაცრი შეზღუდვა მხოლოდ იწვევს ბავშვების მზარდ „გაუცხოებას“ მშობლებისა და ერთმანეთისაგან.¹⁷⁰

¹⁶⁸ 75-ე პარაგრაფი.

¹⁶⁹ 78-ე პარაგრაფი.

¹⁷⁰ 79-ე პარაგრაფი.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ასეთი შეზღუდვა არ იყო დასახული მიზნის პროპორციული, რის გამოც დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმე *გნაჰორე საფრანგეთის წინააღმდეგ (Gnahoré v. France)*, № 40031/98, ECHR 2000-IX, ეხებოდა მომჩივან მამაკაცს, რომელიც იყო კოტ დ'ივუარის მოქალაქე და ცხოვრობდა საფრანგეთში. 1994 წლის იანვარში მან თავისი შვილი (C.) მიიყვანა საავადმყოფოში. ბავშვს თვალები ჰქონდა ჩალურჯებული, მკლავზე აღენიშნებოდა ჭრილობა, ხოლო მუცელზე ნაკაწრები. ბავშვს სახეზე ასევე ემჩნეოდა ძველი ნაწიბურები.

საავადმყოფომ შეატყობინა პროკურატურას C.-ს მდგომარეობის შესახებ, რის შედეგადაც პოლიციამ დაიწყო გამოძიება. რამდენიმე დღეში C. მოათავსეს მზრუნველობის ორგანოში. ვინაიდან არსებობდა შვილის მიმართ სასტიკი მოპყრობის ეჭვი, მომჩივანს წაუყენეს ბრალდება არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენებისათვის. 1993 წლის მაისში მას მოეხსნა ბრალდება არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. მისი შვილი დარჩა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ.

ევროპულ სასამართლოში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დაერღვა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რადგან, ბრალდების მოხსნის მიუხედავად, შვილი არ დააბრუნეს მასთან. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„ამ კატეგორიის საქმეებში ბავშვის ინტერესები უნდა იყოს უპირველესი ყველა სხვა გარემოებასთან შედარებით. ამ კონკრეტულ საქმეში ეს ინტერესი მოიცავს ორ ნაწილს:

ერთი მხრივ, ბავშვის ინტერესებშია, რომ იგი განვითარდეს ჯანსაღ გარემოში და რომ მშობელს არცერთ გარემოებაში არ მიეცეს ისეთი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა, რომელიც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას;

მეორე მხრივ, ცხადია, ბავშვის ინტერესებშია ის, რომ შენარჩუნდეს მისი კავშირები ოჯახთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ოჯახი აშკარად შეუფერებელია, რადგან ასეთი კავშირების გაწყვეტა ნიშნავს ბავშვის მოწყვეტას თავისი ფესვებისაგან. აქედან გამომდინარე, ბავშვის ინტერესი მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახური კავშირები მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გაწყდეს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირადი ურთიერთობის შესანარჩუნებლად და, თუ შესაძლებელია, ოჯახის „აღსადგენად“.

არა მხოლოდ მშობლის, არამედ ასევე ბავშვის ინტერესებშია, რომ ნებისმიერი „მზრუნველობის ქვეშ მოქცევის ბრძანების“ საბოლოო მიზანი უნდა იყოს „შვილთან მშობლის ... ხელახლა გაერთიანება.“¹⁷¹

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ამ საქმეში შვილი სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა რვა წლის განმავლობაში და ამ პერიოდში მშობელმა და შვილმა ერთმანეთი ნახეს მხოლოდ სამჯერ. ამის შედეგი იყო ის, რომ

¹⁷¹ 59-ე პარაგრაფი.

მათი გაერთიანების შანსი მცირდებოდა დროთა განმავლობაში. C. იყო ოთხი წლის, როდესაც სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოაქციეს, ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომენტისათვის კი იგი 12 წლის იყო. ამის გამო ოჯახის აღდგენა მეტისმეტად ტრავმული იქნებოდა ბავშვისათვის. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მდგომარეობა, რომელიც იყო დროებითი, გახდა სამუდამო, რაც ქმნის დაუძლეველ დაბრკოლებას მოსარჩელისა და მისი შვილის გაერთიანებისათვის.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კონტაქტის შეზღუდვა შვილთან გამომდინარეობდა მამის მავნე გავლენისაგან ბავშვის დაცვის ინტერესიდან, რის გამოც დადგინდა, რომ საფრანგეთს არ დაურღვევია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმე *მუსტაფა და არმაგან აკინი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa and Armagan Akin v. Turkey)*, №4694/03, 6 აპრილი, 2010 წ., ეხება მოსარჩელებს, მუსტაფა აკინსა და მის შვილს, არმაგან აკინს, რომლებიც ცხოვრობდნენ თურქეთში. როდესაც მუსტაფა აკინი და მისი მეუღლე განქორწინდნენ, 2000 წელს, ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მათი ერთი შვილი (ბიჭი) იცხოვრებდა მამასთან, ხოლო მეორე შვილი (გოგო) – დედასთან. სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით, მშობლებს უნდა გაეცვალათ შვილები დადგენილ პერიოდებში. ბ-მა აკინმა მიმართა თხოვნით სასამართლოს, რომ მისთვის მიეცათ უფლება, ორივე შვილი ერთად ყოფილიყო მასთან ერთ შაბათ-კვირას, ხოლო მომდევნო შაბათ-კვირას ორივე შვილი ყოფილიყო დედასთან. მამის აზრით, ეს მისცემდა შვილებს შესაძლებლობას, რომ არ დაეკარგათ კონტაქტი ერთმანეთთან და, ამავდროულად, მამა გაატარებდა დროს ორივესთან ერთად. ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

2001 წლის სექტემბერში ბ-მა აკინმა ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ ეროვნულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელშიც ითხოვდა, რომ ბავშვებს ჰქონოდათ ერთმანეთის ნახვის შესაძლებლობა შაბათ-კვირის განმავლობაში. იგი ამტკიცებდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, ბავშვების ერთმანეთთან ურთიერთობას, ხოლო, მეორე მხრივ, მას, ორივესთან ერთად გაეტარებინა დრო, რაც იწვევდა გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ პრობლემებს შვილებისათვის. ბ-ნი აკინი ასევე ამტკიცებდა, რომ, როდესაც ბავშვები ხვდებოდნენ ქუჩაში, დედა ხელს უშლიდა მათ, დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მამის სარჩელი არ დაკმაყოფილდა არც ამ სასამართლო ინსტანციაში 2002 წლის თებერვალში და არც ზემდგომ ინსტანციაში 2002 წლის აპრილში.

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ და-ძმის ურთიერთობისათვის ხელის შეშლა არღვევს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.

ევროპულმა სასამართლომ საქმის განხილვის შედეგად აღნიშნა, რომ მშობლებისთვის და-ძმის ცალ-ცალკე მიკუთვნება ეროვნული სასამართლოს ინიციატივა იყო და არცერთ მშობელს ეს არ მოუთხოვია. დედამ მოითხოვა, რომ ორივე შვილს მასთან ეცხოვრა. ამიტომ, ევროპული სასამართლოს აზრით, გასაკვირია, რომ ეროვნულ სასამართლოს არ დაუსაბუთებია გადაწყვეტილება ბავშვების განცალკევების შესახებ. მართალია, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვებს არ ეკრძალებოდათ ერთმანეთთან ურთიერთობა,

მაგრამ რაიმე დაბრკოლების შექმნა ასეთი ურთიერთობისათვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დედა ხელს უშლიდა და-მმის კონტაქტს ქუჩაში, ახდენდა პირდაპირ გავლენას მათ ოჯახურ ცხოვრებაზე.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ ვერ უზრუნველყო ბავშვების ერთმანეთთან რეგულარული ურთიერთობა, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ როგორც თავის პრაქტიკაში დაადგინა, ბავშვთან მშობლის კონტაქტის უფლება სახელმწიფომ იმგვარად უნდა უზრუნველყოს, რომ მას ჰქონდეს ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობის საშუალება.

საქმეზე *გლუხაკოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Gluhakovic v. Croatia)*, № 21188/09, 12 აპრილი, 2011 წ., მომჩივანი სტეფან გლუხაკოვიჩი 1999 წლის ივლისში მიატოვა მეუღლემ, რომელიც ორსულად იყო. დეკემბერში მეუღლემ გააჩინა ქალიშვილი. ბ-ნ გლუხაკოვიჩს მიეცა შვილის მონახულების უფლება.

ბ-ნი გლუხაკოვიჩი თავის საჩივარში, რომელიც შეიტანა როგორც ეროვნულ სასამართლოში, ისე სოციალური კეთილდღეობის ცენტრში, ითხოვდა, რომ შვილის მონახულების უფლება მისთვის მიეცათ ყოველ მეოთხე და მერვე დღეს, ვინაიდან ის მუშაობდა იტალიაში და მას დასვენების დღეები ჰქონდა ყოველ მეორე დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუწევდა ავტომობილით მგზავრობა ღამის განმავლობაში და კოლეგებისათვის თხოვნა მისი ჩანაცვლების შესახებ, რაც მნიშვნელოვან სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეროვნულ სასამართლოებს არ გამოუხატავთ პოზიცია მამის თხოვნაზე ბავშვთან შეხვედრის დროის მის სამუშაო გრაფიკთან მორგებასთან დაკავშირებით და დაადგინეს მამის შვილთან კონტაქტის უფლება მათ მიერ განსაზღვრულ დროს. კერძოდ, 2008 წლამდე ასეთი შეხვედრა დაიშვებოდა სამშაბათობით, ორი საათის განმავლობაში, 2008 წლის ნოემბრიდან კვირაში ერთხელ, ხოლო 2009 წლის ნოემბრიდან ყოველ ხუთშაბათს.

რაც შეეხება შეხვედრის ადგილს, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მამას შვილთან შეხვედრის უფლება მიეცა ჯერ ქალაქის საკონსულტაციო ცენტრში, ხოლო მოგვიანებით, სოციალური კეთილდღეობის ცენტრში. საკონსულტაციო ცენტრმა შეატყობინა სასამართლოს, რომ ცენტრი არ იყო შესაფერისი ადგილი ასეთი შეხვედრებისათვის, რადგან ბ-ნ გლუხაკოვიჩს უწევდა შეხვედრა შვილთან ცენტრის სამზარეულოში და ცენტრის სამუშაო კაბინეტებში. მოგვიანებით, ცენტრმა ასევე შეატყობინა სასამართლოს, რომ, ფართის ნაკლებობის გამო, მათ არ აქვთ შესაფერისი ადგილი შეხვედრებისათვის და ერთადერთი ადგილი, სადაც შეხვედრა შეიძლება შემდგარიყო, იყო დერეფანი.

2010 წლის მარტში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მამისათვის მიეცათ შვილთან შეხვედრის უფლება კვირაში ერთხელ, სამი საათის განმავლობაში, მამის სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებითა და მხარეთა შორის შეთანხმებულ ადგილას. მიუხედავად ამისა, ეს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, რადგან მომჩივნის ყოფილი მეუღლე არ აძლევდა მამას საკუთარ ბინაში შეხვედრის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ საქმის გარემოებების შეფასებისას მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაასაბუთეს, რატომ არ იყო შესაძლებელი შვილის მონახულების დროის მორგება ბ-ნი გლუხაკოვიჩის სამუშაო გრაფიკისათვის.

ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულ სასამართლოებს არ შეუფასებიათ შეთავაზებული ადგილების შესაფერისობა ასეთი შეხვედრებისათვის. ამის გამო ბ-ნი გლუხაკოვიჩს მოუწია შვილთან შეხვედრა ისეთ ადგილას, როგორცაა საკონსულტაციო ცენტრის სამზარეულო და სამუშაო კაბინეტები.

იმის გათვალისწინებით, რომ ბ-ნი გლუხაკოვიჩს არ ჰქონდა კონტაქტი თავის შვილთან 2007 წლის ივლისიდან, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხორვატიამ ვერ უზრუნველყო შვილთან ეფექტიანი კონტაქტის უფლება, რამაც დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რამდენიმე საქმე, რომლებიც ეხებოდა მშობლისათვის ბავშვთან კონტაქტის უფლების აკრძალვას დისკრიმინაციული ნიშნით.

საქმეზე *სალგუეირო და სილვა მუტა პორტუგალიის წინააღმდეგ (Salgueiro da Silva Mouta v. Portugal)*, №33290/96, ECHR 1999-IX, მომჩივანი იყო 1961 წელს დაბადებული პორტუგალიის მოქალაქე, ჰომოსექსუალი მამაკაცი, რომელიც ცხოვრობდა სხვა მამაკაცთან და რომელსაც თავისი ყოფილი ცოლი ხელს უშლიდა ბავშვის მონახულებაში, განქორწინებისას მიღწეული შეთანხმების მიუხედავად. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ შვილის მონახულებისათვის ხელის შეშლით ირღვეოდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რაც გარანტირებულია მე-8 მუხლით და ხდებოდა მისი დისკრიმინაცია კონვენციის მე-14 მუხლის საწინააღმდეგოდ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით, რადგან პორტუგალიის სასამართლოების გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ მომჩივანი იყო ჰომოსექსუალი და, რომ „ბავშვმა უნდა იცხოვროს ტრადიციულ პორტუგალიურ ოჯახში.“ ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, განსხვავება სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე მიუღებელია კონვენციის მიხედვით.¹⁷²

იმ მშობელს, რომელთანაც შვილი არ ცხოვრობს, არ უნდა შეეზღუდოს შვილთან კონტაქტის უფლება და, მითუმეტეს, არ უნდა ჩამოერთვას ეს უფლება რაიმე დისკრიმინაციული საფუძველით. მაგალითად, საქმე *ვოინიტი უნგრეთის წინააღმდეგ (Vojnity v. Hungary)*, № 29617/07, 12 თებერვალი, 2013 წ.,¹⁷³ ეხებოდა მამისათვის მშობლის უფლების სრულად ჩამორთმევას მისი რელიგიური მრწამსის გამო, მას შემდეგ, რაც მომჩივანი განქორწინდა თავის მეუღლესთან, რომელთანაც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცხოვრობდა შვილი. ეროვნულმა სასამართლომ თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ მამა საკუთარ შვილს თავს ახვევდა თავის

¹⁷² 34-35 პარაგრაფები.

¹⁷³ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-142038>

რელიგიურ მრწამსს. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს იმის დამტკიცება, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებში იყო მამასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა და რომ ეროვნულ სასამართლოებს არ განუხილავთ რაიმე შესაძლო ალტერნატივა, როგორცაა ბავშვის მონახულების უფლება ზედამხედველობის პირობით. ევროპული სასამართლოს აზრით, არ არსებობდა გამონაკლისი გარემოება, რომელიც გაამართლებდა ისეთ რადიკალურ ღონისძიებას, როგორცაა კონტაქტისა და ოჯახური ცხოვრების სრული შეწყვეტა მომჩივანსა და მის შვილს შორის. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება არ იყო დასახული მიზნის პროპორციული, კერძოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისა, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან მიმართებით.

5.4 ოჯახური ცხოვრების დაცვა ბავშვის საერთაშორისო მოტაცების შემთხვევაში

ერთი მშობლის მიერ თავისი შვილის სხვა ქვეყანაში წაყვანა, მეორე მშობლის თანხმობის გარეშე, სულ უფრო ხშირად ხდება განხილვის საგანი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ევროპული სასამართლო მსჯელობს, დაცული იქნება თუ არა სხვა ქვეყანაში ერთ-ერთი მშობლის მიერ უკანონოდ წაყვანილი (მოტაცებული)¹⁷⁴ შვილის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და ბავშვის საუკეთესო ინტერესები, თავის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.

„ჰააგის კონვენცია ბავშვის საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, აწესრიგებს სხვა ქვეყანაში ერთ-ერთი მშობლის მიერ უკანონოდ წაყვანილი შვილის თავის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნების წესს. კერძოდ, ევროპული სასამართლო იხილავს, არღვევს თუ არა უცხოეთში ერთ-ერთი მშობლის მიერ უკანონოდ წაყვანილი შვილის თავის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნების შესახებ ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილების აღსრულება როგორც ბავშვის, ისე მშობლის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში იზრდება ბავშვთა საერთაშორისო მოტაცებასთან დაკავშირებული იმ საქმეების რაოდენობა, რომლებიც ეხება ბავშვის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობას ან დაგვიანებით აღსრულებას.¹⁷⁵

¹⁷⁴ ჰააგის კონვენციის ტერმინოლოგიით „მოტაცებული“.

¹⁷⁵ სხვა საქმეებთან ერთად, იხილეთ შემდეგი საქმეები: *იგლესიას ჯილი და A.U.I. ესპანეთის წინააღმდეგ (Iglesias Gil and A.U.I. v. Spain)*, № 56673/00, ECHR 2003-V; *ბიანჩი შვეიცარიის წინააღმდეგ (Bianchi v. Switzerland)*, № 7548/04, § ..., 22 ივნისი 2006; *ბაჯრამი ალბანეთის წინააღმდეგ (Bajrami v. Albania)*, № 35853/04, ECHR 2006-XIV; რო

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ნათელს ჰფენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს ამ მიმართებით. საქმე – *იგნაკოლო-ზენიდე რუმინეთის წინააღმდეგ (Ignacolo-Zenide v. Romania)*, № 31679/96, ECHR 2000-I – ეხებოდა საფრანგეთში მცხოვრებ ქალბატონს, რომელსაც 1989 წელს განქორწინების შედეგად საფრანგეთის სასამართლომ მიანიჭა თავისი ორი შვილის მონახულების უფლება. 1990 წლის ზაფხულში მომჩივნის ყოფილმა მეუღლემ ბავშვები წაიყვანა აშშ-ში, რის გამოც სექტემბერში დედამ ვერ მოინახულა შვილები. საფრანგეთის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, აშშ-ის სასამართლომ მოითხოვა ბავშვების დაბრუნება საფრანგეთში. აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციისთვის თავის არიდების მიზნით, მომჩივნის ყოფილმა ქმარმა რამდენჯერმე გამოიცვალა საცხოვრებელი. 1994 წლის მარტში მომჩივნის ყოფილმა მეუღლემ მოახერხა ბავშვებთან ერთად რუმინეთში გამგზავრება, რომლის მოქალაქეც იგი იყო. ამ პერიოდიდან მომჩივნის ყოფილი მეუღლე და შვილები რუმინეთში ცხოვრობდნენ.

საფრანგეთის სასამართლოს 1991 წლის გადაწყვეტილებით, ბავშვებს უნდა ეცხოვრათ დედასთან. 1994 წლის დეკემბერში საფრანგეთმა მიმართა რუმინეთს დედასთან ბავშვების დაბრუნების თხოვნით, „ბავშვის საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენციის“ შესაბამისად. ბუქარესტის პირველი ინსტანციის სასამართლომ 1994 წლის დეკემბერშივე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბავშვები დაბრუნებულიყვნენ დედასთან საფრანგეთში. მიუხედავად 1994 წლის გადაწყვეტილებისა, ის ვერ აღსრულდა. 1990 წლიდან მომჩივანს მხოლოდ ერთხელ, 1997 წელს, მიეცა თავისი შვილების ნახვის შესაძლებლობა.

ევროპულ სასამართლოში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ბავშვების დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებლობით რუმინეთმა დაარღვია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა, გაატაროს ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს ოჯახის ხელახლა გაერთიანებას და რომ ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. მან ასევე აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა გააკეთოს თავისი მაქსიმუმი, ამ სფეროში იძულების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს მხარეთა ინტერესებით, განსაკუთრებით კი ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.¹⁷⁶

ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელმწიფოს პასიურობამ და დედასთან ბავშვების დასაბრუნებლად მოსამზადებელი ღონისძიებების გაუტარებლობამ,

და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Raw and Others v. France*), № 10131/11, 7 მარტი, 2013; *M.A. ავსტრიის წინააღმდეგ (M.A. v. Austria)*, № 4097/13, 15 იანვარი, 2015; *R.S. პოლონეთის წინააღმდეგ (R.S. v. Poland)*, № 63777/09, 21 ივლისი, 2015; *სევერი ავსტრიის წინააღმდეგ (Severe v. Austria)* № 53661/15, 21 სექტემბერი, 2017.

¹⁷⁶ 94-ე პარაგრაფი.

ევროპული სასამართლოს აზრით, გამოიწვია რუმინეთის მიერ მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა.

საქმე *ნეულინგერი და შურუკი შვეიცარიის წინააღმდეგ (Neulinger and Shuruk v. Switzerland)* [დიდი პალატა], № 41615/07, ECHR 2010¹⁷⁷ ეხება შვეიცარიაში მცხოვრებ განმცხადებლებს, იზაბელ ნეულინგერსა და მის შვილს, ნოამ შურუკს. 1999 წლიდან ქ-ნი ნეულინგერი ცხოვრობდა ისრაელში, სადაც 2001 წელს დაქორწინდა ბ-ნ შაი შურუკზე. 2003 წელს მათ გაუჩნდათ ვაჟი (ნოამ შურუკი). დედამ, შიშით, რომ მამა თავის შვილს გააწევრიანებდა ულტრაორთოდოქსულ მოძრაობაში, რომელიც ცნობილი იყო როგორც რადიკალური და აქტიური პროზელიტიზმის მიმდევარი და წაიყვანდა უცხოეთში რელიგიური ინდოქტრინაციისათვის, მიმართა თელ-ავივის საოჯახო სასამართლოს, რათა მას აეკრძალა ბავშვის ისრაელიდან გაყვანა სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. 2004 წელს სასამართლომ დედის თხოვნა დააკმაყოფილა. 2005 წელს მშობლები განქორწინდნენ. მოგვიანებით ქ-მა ნეულინგერმა ფარულად დატოვა ისრაელი შვილთან ერთად და გაემგზავრა შვეიცარიაში.

2006 წლის 30 მაისს თელ-ავივის საოჯახო სასამართლომ, რომელსაც მამამ მიმართა, დაადგინა შემდეგი: ვინაიდან ბავშვი მუდმივად ცხოვრობდა ისრაელში, მამის თანხმობის გარეშე მისი წაყვანა ისრაელიდან იყო უკანონო, „ბავშვის საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენციის მიხედვითაც.

2006 წლის 29 აგვისტოს ლოზანის სასამართლომ უარი განაცხადა ბავშვის ისრაელში დაბრუნებაზე, იმ საფუძველზე, რომ არსებობდა დიდი რისკი, მას განეცადა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი, ან სხვაგვარად აღმოჩენილიყო გაუსაძლის მდგომარეობაში. 2007 წელს შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა ადრინდელი გადაწყვეტილება და ქ-ნ ნეულინგერს დააკისრა შვილის ისრაელში დაბრუნების ვალდებულება. 2009 წელს ლოზანის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქ-ნი ნეულინგერის შვილმა უნდა იცხოვროს დედასთან შვეიცარიაში და შეუჩერა მამას ბავშვთან კონტაქტის უფლება.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საკითხზე მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ ქ-ნი ნეულინგერის მიერ შვილის ისრაელიდან წამოყვანა იყო „უკანონო“. აქედან გამომდინარე, ქ-მა ნეულინგერმა მოიტაცა ბავშვი, ჰააგის კონვენციის გაგებით.

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, როდესაც საქმე ეხება მშობლების, შვილისა და საჯარო წესრიგის კონკურენტულ ინტერესებს, მთავარი გასათვალისწინებელი გარემოება უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ეს გულისხმობს თავის ოჯახთან კავშირების შენარჩუნებას, ისევე როგორც სტაბილურ გარემოში მის განვითარებას. სწორედ ჰააგის კონვენციის მახასიათებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია, რაც მოითხოვდა მოტაცებული ბავშვის

¹⁷⁷ გადაწყვეტილების სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ასევე ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-122080>

დაუყოვნებლივ დაბრუნებას, თუ არ არსებობდა იმის სერიოზული რისკი, რომ ბავშვის დაბრუნება მიაყენებდა მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს.¹⁷⁸

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, უნდა შეფასებულიყო, ჰააგის კონვენციის მიხედვით, ბავშვის დაბრუნება ისრაელში ხომ არ დაარღვევდა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. ამიტომ, ევროპულ სასამართლოს უნდა ემსჯელა: „ეროვნულმა სასამართლოებმა სიღრმისეულად შეისწავლეს თუ არა მთლიანი ოჯახური მდგომარეობა და მთელი რიგი ფაქტორებისა, განსაკუთრებით ფაქტობრივი, ემოციური, ფსიქოლოგიური, მატერიალური და სამედიცინო ხასიათის, და მოახდინეს თუ არა თითოეული ადამიანის შესაბამისი ინტერესების დაბალანსებული და გონივრული შეფასება, იმაზე მუდმივად ზრუნვით, რომ განისაზღვროს, რა იქნებოდა მოტაცებული ბავშვისათვის საუკეთესო გამოსავალი თავისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების მოთხოვნის გათვალისწინებით.“¹⁷⁹

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ჰააგის კონვენცია არის პროცედურული ხასიათის და არა ადამიანის უფლებათა დოკუმენტი. ის ადგენს, რომ ბავშვის დაბრუნებაზე არ შეიძლება გაიცეს ბრძანება, თუ იგი შეგუებულია ახალ გარემოს. ნოამი იყო შვეიცარიის მოქალაქე, იგი 2 წლისა ჩავიდა შვეიცარიაში და დღემდე იქ ცხოვრობს. განმცხადებლის ინფორმაციით, იგი კარგად არის შეგუებული გარემოს, დადიოდა ადგილობრივ საერო ბაგა-ბაღსა და კერძო ებრაულ ბაგა-ბაღში. დადის სკოლაში, შვეიცარიაში, და საუბრობს ფრანგულად. მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო იმ ასაკში (7 წლის), როდესაც ჰქონდა ადაპტაციის გარკვეული უნარი, მისი მოწყვეტა ჩვეული გარემოსგან, სავარაუდოდ, გამოიწვევდა სერიოზულ შედეგებს მისთვის. აქედან გამომდინარე, მისი დაბრუნება ისრაელში არ შეიძლება ჩაითვალოს მისთვის სასიკეთოდ.¹⁸⁰

რაც შეეხება დედასთან ერთად შვილის დაბრუნებას ისრაელში, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა იმის შესაძლებლობა, რომ ქ-ნი ნეულინგერი არ დაქვემდებარებოდა სისხლისსამართლებრივ დევნას ისრაელიდან შვილის გატაცებისათვის. ისრაელის ხელისუფლების მიერ მის მიმართ დევნის გამოუყენებლობა დამოკიდებული იქნებოდა მრავალ პირობაზე, მათ შორის, მამისა და შვილის კონტაქტის უფლების დაცვაზე დედის მიერ. აქედან გამომდინარე, ისრაელში დაბრუნების შემთხვევაში, ქ-ნი ნეულინგერის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება ყოფილიყო მთლიანად გამორიცხული და, თუ იგი დაექვემდებარებოდა პატიმრობას, მაშინ მოვლენების ასეთი განვითარება არ იქნებოდა ნოამის საუკეთესო ინტერესებში, რადგან მისი დედა ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთანაც მას კავშირი ჰქონდა. მისი დაპატიმრების შემთხვევაში, საეჭვო იყო, რომ მამას ექნებოდა უნარი, ეზრუნა შვილზე, რომელსაც იგი არ უნახავს შვეიცარიაში გამგზავრების შემდეგ.¹⁸¹

¹⁷⁸ 137-ე პარაგრაფი.

¹⁷⁹ 139-ე პარაგრაფი.

¹⁸⁰ 147-ე პარაგრაფი.

¹⁸¹ 149-ე პარაგრაფი.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა შემდეგი: ვერ დარწმუნდა, რომ ბავშვის დაბრუნება ისრაელში იქნებოდა მის საუკეთესო ინტერესებში. რაც შეეხება დედას, თუ იგი იძულებული იქნებოდა, შვილთან ერთად დაბრუნებულიყო ისრაელში, ეს იქნებოდა არაპროპორციული ჩარევა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ, თუ მომჩივნების მიმართ ისრაელში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება აღსრულდებოდა, ეს დაარღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.¹⁸²

ბავშვის საერთაშორისო მოტაცებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი საინტერესო საქმეა *X. ლატვიის წინააღმდეგ (X v. Latvia)* [დიდი პალატა], № 27853/09, ECHR 2013¹⁸³. მომჩივანმა (X.), ავსტრალიაში მცხოვრებმა დაქორწინებულმა ქალბატონმა, 2004 წელს დაიწყო ურთიერთობა სხვა მამაკაცთან (T.) და გადავიდა მასთან საცხოვრებლად. 2005 წელს მომჩივანს გაუჩნდა ქალიშვილი. დაბადების მოწმობაში არ იყო მითითებული მამის სახელი. მომჩივანსა და T.-ს შორის ურთიერთობა გაუარესდა, თუმცა ისინი ერთად ცხოვრობდნენ 2008 წლის ივლისამდე, ვიდრე მომჩივანი არ დატოვებდა ავსტრალიას და გაემგზავრებოდა ლატვიაში შვილთან ერთად, რომელიც იმ დროისათვის იყო სამი წლისა და ხუთი თვის.

T.-მ მიმართა ავსტრალიის საოჯახო სასამართლოს, რომელმაც დაადგინა მისი მამობა. ამავდროულად, ავსტრალიის ხელისუფლებამ ლატვიის მხარეს მოსთხოვა ბავშვის დაბრუნება ავსტრალიაში, „ბავშვის საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის საფუძველზე. 2008 წლის ნოემბერში ლატვიის პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის ლატვიაში წაყვანა იყო უკანონო და მოხდა T.-ს თანხმობის გარეშე, რომლის უფლებებიც აღიარა ავსტრალიის სასამართლომ.

მომჩივანმა გაასაჩივრა ლატვიის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. იგი ამტკიცებდა, რომ არ შეეძლო ავსტრალიაში დაბრუნება. მომჩივანმა სასამართლოს წარუდგინა მისი თხოვნით მომზადებული სპეციალისტის დასკვნა, რომლის მიხედვით, ბავშვისათვის არსებობდა ფსიქოლოგიური ტრავმის რისკი დედასთან მყისიერი განშორების შემთხვევაში. 2009 წლის იანვარში რიგის რეგიონულმა სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ბავშვი უნდა დაბრუნებულიყო ავსტრალიაში. რეგიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის მტკიცება დაუსაბუთებელია. T.-მ ისარგებლა სიტუაციით, დაიბრუნა საკუთარი შვილი და მასთან ერთად დაბრუნდა ავსტრალიაში.

ევროპულ სასამართლოში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ავსტრალიაში ბავშვის დაბრუნების შესახებ ლატვიის სასამართლოს ბრძანების მიღებით მას დაერღვა მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

¹⁸² ასევე იხილეთ *ფოსტირა ეფთიმია და რიბიერო ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Phostira Efthymiou and Ribiero Fernandes v. Portugal)*, № 66775/11, 2015 წლის 5 თებერვალი.

¹⁸³ გადაწყვეტილების სრული ვერსია ხელმისაწვდომია ასევე ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-144581>

საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლისა და ჰააგის კონვენციის ურთიერთმიმართებისა და ჰარმონიული გამოყენების საჭიროების შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ:

„... ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სფეროში მე-8 მუხლით ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის დაკისრებული ვალდებულებანი უნდა განიმარტოს ჰააგის კონვენციისა ... და 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნათა ... და ხელშემკვრელ მხარეებს შორის არსებული საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინებით ...

ეს მიდგომა მოიცავს საერთაშორისო დოკუმენტების, და კერძოდ, ამ საქმეში [ევროპული] კონვენციისა და ჰააგის კონვენციის ერთობლივ და ჰარმონიულ გამოყენებას, მისი მიზნისა, და ბავშვებისა და მშობლების უფლებათა დაცვაზე გავლენის გათვალისწინებით. საერთაშორისო ნორმების ასეთი განხილვის შედეგი არ უნდა იყოს სხვადასხვა ხელშეკრულებას შორის კონფლიქტი ან წინააღმდეგობა, იმის გათვალისწინებით, რომ [ევროპულმა] სასამართლომ შეძლოს თავისი დანიშნულების სრულად შესრულება, საკუთრივ, [ევროპული] კონვენციის „მაღალ ხელშემკვრელ მხარეებზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა“ ..., კონვენციის დებულებათა იმგვარი განმარტებითა და გამოყენებით, რაც მის გარანტიებს პრაქტიკულსა და ეფექტიანს გახდის ...

გადამწყვეტია საკითხი, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ ინტერესებს – ბავშვის, ორი მშობლისა და საჯარო წესრიგის ინტერესებს – შორის, ამ საკითხებზე სახელმწიფოებისათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებითა და ასევე იმის მხედველობაში მიღებით, რომ პრევენციისა და მყისიერი დაბრუნების მიზნები შეესაბამება „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ სპეციფიკურ კონცეფციას ...

სასამართლო ადასტურებს, რომ არსებობს ფართო კონსენსუსი, მათ შორის საერთაშორისო სამართალში იმ იდეასთან დაკავშირებით, რომ ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ, მათი საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს გადამწყვეტი ...

იგივე ფილოსოფია ახასიათებს ჰააგის კონვენციას, რომელიც ამ ინტერესს უკავშირებს *სტატუს კვოს* აღდგენას, უკანონო გატაცების შემთხვევაში, ბავშვის თავის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში მყისიერი დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღების საშუალებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაუბრუნებლობა ზოგჯერ შეიძლება გამართლებული იყოს ობიექტური მიზეზებით, რომლებიც შეესაბამება ბავშვის ინტერესებს და, შესაბამისად, გამონაკლისების არსებობას ამართლებს, კერძოდ, მისი დაბრუნებისათვის სერიოზული რისკის შემთხვევაში, რომელიც ბავშვს მიაყენებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს გაუსაძლის მდგომარეობაში ...

ამდენად, არა მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლიდან, არამედ ასევე ჰააგის კონვენციიდან პირდაპირ გამომდინარეობს, მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში ბავშვის

მყისიერი დაბრუნების წესიდან სპეციალურად დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით, რომ ასეთ დაბრუნებაზე არ შეიძლება ავტომატურად ან მექანიკურად იქნეს მიღებული ბრძანება ...

ევროპული კონვენციისა და ჰააგის კონვენციის ჰარმონიული განმარტება შეიძლება მიიღწეს, თუ დაცული იქნა შემდეგი ორი პირობა: პირველი, შესაბამისმა სასამართლომ ჭეშმარიტად უნდა გაითვალისწინოს ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ გამონაკლისი საფუძვლის შექმნა ბავშვის მყისიერი დაბრუნებისათვის, ჰააგის კონვენციის ... საფუძველზე. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს საკმარისად დასაბუთებული, რათა [ევროპულ] სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა, შეამოწმოს, რომ ეს საკითხები იყო რეალურად განხილული; მეორე, ეს ფაქტორები უნდა შეფასდეს [ევროპული] კონვენციის მე-8 მუხლის გათვალისწინებით. ...

შესაბამისად, [ევროპული] სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი აკისრებს ეროვნულ ხელისუფლებას განსაკუთრებულ პროცედურულ ვალდებულებას ამ თვალსაზრისით: როდესაც ფასდება სარჩელი ბავშვის დაბრუნების შესახებ, სასამართლოებმა არა მხოლოდ უნდა განიხილონ სადავო მტკიცება დაბრუნების შემთხვევაში ბავშვისათვის „სერიოზული რისკის“ შესახებ, არამედ ასევე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებს კონკრეტულ მიზეზებს საქმის გარემოებების გათვალისწინებით ...“.¹⁸⁴

საქმეზე *კარერი რუმინეთის წინააღმდეგ (Karrer v. Romania)*, № 16965/10, 21 თებერვალი, 2012 მომჩივნები იყვნენ ალექსანდრე (მამა) და ალექსანდრა (ქალიშვილი) კარერები. 2004 წლის აპრილში ალექსანდრე კარერი დაქორწინდა რუმინეთის მოქალაქეზე, რომელთანაც 2006 წელს გაუჩნდა ქალიშვილი ალექსანდრა კარერი. 2008 წლის სექტემბერში ალექსანდრას დედამ შეიტანა სარჩელი სასამართლოში განქორწინების შესახებ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე დედა და ალექსანდრა გაემგზავრნენ რუმინეთში.

2008 წლის სექტემბერში ბ-მა კარერმა, ჰააგის კონვენციის საფუძველზე, მოითხოვა შვილის დაბრუნება ავსტრიაში. მისი მტკიცებით, იგი უკანონოდ იყო წაყვანილი რუმინეთში. 2008 წლის ნოემბერში ავსტრიის რაიონულმა სასამართლომ მამა გამოაცხადა ერთადერთ დროებით მეურვედ, განქორწინების სამართალწარმოების დასრულებამდე.¹⁸⁵

ბ-ნი კარერის სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც მან შეიტანა ჰააგის კონვენციის საფუძველზე, რუმინეთის სასამართლომ 2009 წელს დაადგინა, რომ ალექსანდრას დაბრუნება ავსტრიაში მიაყენებს მას ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს. სასამართლომ მოიშველია ის არგუმენტი, რომ ბ-ნი კარერის ქცევა ალექსანდრას დედის მიმართ იყო ძალადობრივი, რის გამოც, ავსტრიის სასამართლომ 2008 წელს მიიღო შემაკავებელი ბრძანება ბ-ნი კარერის მიმართ. რუმინეთის სასამართლომ თავისი პოზიცია ასევე დაასაბუთა იმით, რომ, მართალია,

¹⁸⁴ 93-107-ე პარაგრაფები.

¹⁸⁵ განმარტება: სახელმწიფოთა ნაწილის კანონმდებლობა ითვალისწინებს, გარკვეულ შემთხვევებში, მშობლის მეურვედ გამოცხადებას, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, რომლის მიხედვით, მშობელი არ შეიძლება იყოს შვილის მეურვე/მზრუნველი.

ბ-ნი კარერის ქცევა არ იყო ძალადობრივი შვილის მიმართ, მაგრამ ძალადობა შეიძლება გამომდინარეობდეს მისი ქცევიდან დედის მიმართ.

თავის შეფასებაში ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. ევროპული სასამართლოს აზრით, რუმინეთის სასამართლოების მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება ეფუძნებოდა ძალადაკარგულ შემაკავებელ ბრძანებას, რომელიც ავსტრიაში გაიცა 2008 წლის თებერვალში სამი თვით. სასამართლოს აზრით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას რუმინეთის სასამართლოებმა არ იმსჯელეს ბავშვის ამჟამინდელ ოჯახურ მდგომარეობაზე ან ფსიქოლოგიური, ემოციური, მატერიალური თუ სამედიცინო ხასიათის სხვა ელემენტებზე. სავარაუდოდ, არ მომხდარა ალექსანდრას ავსტრიაში დაბრუნების შედეგების ანალიზის მცდელობა.

ევროპული სასამართლოს აზრით, ბ-ნი კარერისათვის რუმინეთის სასამართლოებს არ მოუხდენიათ და მას არ ჰქონია წერილობითი დოკუმენტაციის წარდგენის შესაძლებლობა. ბოლოს, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ რუმინეთის სასამართლოებს არ მოუხდენიათ სიღრმისეული ანალიზი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად და არ მიუციათ ბ-ნი კარერისათვის თავისი საქმის წარდგენის შესაძლებლობა, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმე *სნერსონე და კამპანელა იტალიის წინააღმდეგ (Sneerson and Campanella v. Italy)*, № 14737/09, 12 ივლისი, 2011 წ., ეხებოდა იტალიაში მცხოვრებ მომჩივნებს ელიზავეტა სნერსონეს და მის შვილს, მარკო კამპანელას. ელიზავეტა სნერსონე თავის პარტნიორს დაშორდა, როდესაც მარკო კამპანელა ერთი წლის იყო. ეროვნული სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილებით, მარკო კამპანელას უნდა ეცხოვრა დედასთან, ხოლო მამას უნდა ჰქონოდა შვილის მონახულების უფლება. 2006 წლის თებერვალში სასამართლომ მამას დააკისრა ვალდებულება, შვილისათვის აღმოეჩინა ფინანსური დახმარება. იმის გამო, რომ მამა ფინანსურად არ ეხმარებოდა შვილს, ხოლო დედას არ ჰქონდა ამისათვის საკმარისი მატერიალური სახსრები, 2006 წლის აპრილში დედა და მარკო გაემგზავრნენ ლატვიაში.

იტალიის სასამართლომ მამა გამოაცხადა შვილის მეურვედ და დაადგინა, რომ ბავშვს უნდა ეცხოვრა მამასთან. ჰააგის კონვენციის შესაბამისად, იტალიის მხარემ მიმართა ლატვიურ მხარეს შვილის იტალიაში დაბრუნების შესახებ. 2007 წელს ლატვიის სასამართლომ დაადგინა, რომ შვილის დაბრუნება იტალიაში არ იქნებოდა მის საუკეთესო ინტერესებში. ეს გადაწყვეტილება განმტკიცებული იყო ფსიქოლოგის დასკვნით, რომლის მიხედვით, მარკოს განშორება დედასთან გარდაუვლად უარყოფით გავლენას მოახდენდა ბავშვზე და შეიძლება გამოეწვია კიდევ ნევროტული პრობლემები და ავადმყოფობა.

საქმის გარემოებებზე მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ იტალიის სასამართლოების გადაწყვეტილებები არასაკმარისად დასაბუთებული იყო. ევროპული სასამართლოს აზრით, ბავშვთან მიმართებით ლატვიის სასამართლოებისა და ფსიქოლოგის დასკვნების მიუხედავად, იტალიის სასამართლოებს არ განუხილავთ ის რისკი, რომლის მიხედვით, დედასთან შვილის განშორებას შეეძლო, მისთვის დაეტოვებინა ნევროტული პრობლემები და

ავადმყოფობა. მათ არც იმ ფაქტისათვის მიუქცევიათ ყურადღება, რომ მამას არ უცდია მისი მონახულება 2006 წლიდან. ამასთანავე, იტალიის სასამართლოებს არ გამოუჩენიათ ძალისხმევა, დაედგინათ, იყო თუ არა მამის საცხოვრებელი შესაფერისი მცირეწლოვანი ბავშვისათვის. იტალიის სასამართლოებმა გაითვალისწინეს მამის მიერ შეთავაზებული პირობები, რომლის მიხედვით, თავდაპირველად, ერთად ყოფნის შემდეგ, დედას შვილი უნდა მოენახულებინა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში.

ევროპული სასამართლოს აზრით, ეს პირობები იყო შეუსაბამო პასუხი იმ ფსიქოლოგიური ტრავმისა, რომელიც გარდაუვლად მოჰყვებოდა დედასა და მის შვილს შორის არსებული ახლო კავშირების დაუყოვნებლივ და შეუქცევად გაწყვეტას. დასასრულს, იტალიის სასამართლოებმა არ განიხილეს რაიმე ალტერნატიული გამოსავალი მარკოსა და მის მამას შორის კონტაქტისათვის. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მარკოს იტალიაში დაბრუნების შესახებ სასამართლო ბრძანების მიღებით დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

ერთ-ერთი საქმე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ბავშვის საერთაშორისო მოტაცების თაობაზე, უკავშირდება საქართველოს. საქმის, *გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ (G.S. v. Georgia)*, № 2361/13, 21 ივლისი, 2015 წ., – მომჩივანი (გ.ს.) იყო 1981 წელს დაბადებული უკრაინის მოქალაქე ქალბატონი, რომელიც ცხოვრობდა უკრაინაში. 2004 წელს მას გაუჩნდა შვილი (ლ.) თავის პარტნიორ გ.რ.-საგან (საქართველოსა და უკრაინის მოქალაქე), რომელიც 2005 წელს გადავიდა საცხოვრებლად რუსეთში. ლ. ცხოვრობდა დედასთან. წყვილს 2006 წელს ასევე გაუჩნდა ქალიშვილი, რომელიც 2010 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ფანჯრიდან გადმოვარდნის შედეგად. ამ ტრაგიკულ შემთხვევას, სავარაუდოდ, შეესწრო ლ., რომელმაც მიიღო ფსიქოლოგიური ტრავმა, რის გამო მას უწევდნენ ფსიქოლოგიურ დახმარებას.

2010 წლის ივლისში გ.ს.-მ თავის ყოფილ პარტნიორს მისცა უფლება, ლ. წაეყვანა საქართველოში საზაფხულო არდადეგებზე. ლ. უნდა დაბრუნებულიყო უკრაინაში დედასთან აგვისტოს ბოლოს, რათა დაეწყო სწავლა სკოლაში. თუმცა გ.რ.-მ გადაწყვიტა, დაეტოვებინა ლ. საქართველოში თავის ოჯახთან, მიუხედავად იმისა, რომ თავად ცხოვრობდა რუსეთში.

მას შემდეგ, რაც გ.ს.-მ ვერ დაარწმუნა თავისი ყოფილი პარტნიორი, რომ შვილი დაებრუნებინა უკრაინაში, 2010 წლის ოქტომბერში მან წამოიწყო პროცედურები შვილის დაბრუნების შესახებ, ჰააგის კონვენციის საფუძველზე. ჰააგის კონვენციის მიხედვით, სამართალწარმოების ფარგლებში მომზადდა ორი ანგარიში: 2011 წლის აპრილში ორმა სოციალურმა მუშაკმა დაასკვნა, რომ ლ. განიცდიდა მშობლებთან კონტაქტის ნაკლებობას; მეორე ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2011 წლის მაისში მომზადდა, ფსიქოლოგი დაეთანხმა წინა დასკვნას და ასევე მიუთითა, რომ ბავშვი იმყოფებოდა რთულ მდგომარეობაში, რომელიც ბავშვისათვის გაუგებარი იყო.

ამ ანგარიშების საფუძველზე 2011 წლის მაისში თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი განუცხადა გ.ს.-ს თხოვნის დაკმაყოფილებაზე და დაასკვნა, რომ

უკრაინაში ლ.-ს დაბრუნების შედეგად იგი აღმოჩნდებოდა ფსიქოლოგიური რისკის წინაშე მამასთან განშორებისა და იმ ქვეყანაში დაბრუნების გამო, სადაც მან მიიღო თავისი დის სიკვდილით გამოწვეული ტრავმა.

საბოლოოდ, 2012 წლის აგვისტოში უზენაესმა სასამართლომ, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის ანგარიშების საფუძველზე, დაასკვნა, რომ ლ.-ს ინტერესები უკეთესად იქნებოდა დაცული საქართველოში, იმ ფსიქოლოგიური ზიანის გამო, რომელიც მან განიცადა უკრაინაში თავისი დის გარდაცვალებით გამოწვეული ტრავმით.

ლ. ცხოვრობდა თბილისში ბიძასა და ბაბუასთან. ამავდროულად, უკრაინის სასამართლომ 2011 წლის მარტში გასცა ბრძანება, რომ გ.ს.-ს შვილი დაბრუნებულიყო უკრაინაში.

ევროპულ სასამართლოში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ საქართველოს სასამართლოების უარმა უკრაინაში შვილის დაბრუნების შესახებ და დაბრუნების სამართალწარმოების ხანგრძლივობამ დაარღვია მე-8 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება.

ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმის გარემოებებზე და დაადგინა, რომ ჰააგის კონვენციის მე-13(b) მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფო არ არის ვალდებული, დააბრუნოს ბავშვი თავის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში, თუ არსებობს ფსიქოლოგიური ზიანის სერიოზული რისკი. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეში არ არსებობს პირდაპირი და დამაჯერებელი მტკიცებულება დაბრუნების სამართალწარმოების არგუმენტების გასაზიარებლად, კერძოდ იმის სამტკიცებლად, რომ ლ.-სათვის არსებობს სერიოზული რისკი, უკრაინაში დაბრუნების შემთხვევაში, იგი განიცდის ფსიქოლოგიურ ტრავმას თავისი დის გარდაცვალების გამო.

პირველ რიგში, არ ჩატარებულა საექსპერტო გამოკვლევა იმ რისკებისა, რომლებიც ეხება, ერთი მხრივ, უკრაინაში დაბრუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ლ.-ს დაშორებას მამის ოჯახთან. გამოკვლევებით, რომლებიც ჩატარეს ფსიქოლოგმა და სოციალურმა მუშაკებმა, ძირითადად, დადგინდა, რომ შვილმა განიცადა ფსიქოლოგიური ტრავმა და იგი საჭიროებდა დახმარებას. ამ ანგარიშებზე დაყრდნობით, უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ უკრაინაში დაბრუნების შემთხვევაში შვილი აღმოჩნდებოდა ზიანის რისკის წინაშე, მაგრამ მთლიანად უგულვებელყვეს იმ რისკების შესწავლა, რომლებიც უკავშირდებოდა ბავშვის დარჩენას საქართველოში. ამდენად, უზენაესმა სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განხილვისას მხედველობაში არ მიიღო სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის დასკვნა შვილსა და მის მშობლებს შორის ურთიერთობის არარსებობის შესახებ და ის, რომ ბავშვი იმყოფებოდა რთულ მდგომარეობაში, რომელიც მისთვის გაუგებარი იყო.

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა: ის ფაქტი, რომ ლ.-ს მამა ცხოვრობდა რუსეთში და ბავშვზე, ძირითადად, ზრუნავდნენ მამის ოჯახის წევრები, რომლებიც არ იყვნენ მეურვეები, უბრალოდ, იყო უგულვებელყოფილი დაბრუნების შესახებ სამართალწარმოებისას. აქედან გამომდინარე, ეჭვს იწვევდა, ლ.-ს, რომელმაც

თავისი ცხოვრების პირველი ექვსი წელი უკრაინაში გაატარა, საქართველოში ორი მშობლის გარეშე დატოვება თავისთავად იყო თუ არა მის საუკეთესო ინტერესებში.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში საექსპერტო კვლევასა და სხვა მტკიცებულებებში არსებული ხარვეზების გამო, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ლ. არ დაებრუნებინა უკრაინაში, არ იყო სათანადოდ და საკმარისად დასაბუთებული. ამასთანავე, უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო, ჯეროვნად განესაზღვრა ლ.-ს საუკეთესო ინტერესები საქმის კონკრეტულ გარემოებებში და დაედგინა სამართლიანი ბალანსი მხარეთა კონკურენტულ ინტერესებს შორის. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ეროვნული სამართალწარმოება კასაციის ეტაპზე გაგრძელდა თითქმის ცხრა თვემდე, მიუხედავად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ექვსკვირიანი ვადისა.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, ჰააგის კონვენციის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ სასამართლოებში გადაწყვეტილების მიღების პროცესმა ვერ უზრუნველყო გ.ს.-ს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

5.5 შვილად აყვანა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ უზრუნველყოფს შვილად აყვანის უფლებას.¹⁸⁶ მიუხედავად ამისა, ვინაიდან შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობის შედეგად შეიძლება წარმოიშვას ოჯახური ცხოვრება, ეს საკითხი ხდება ევროპული სასამართლოს განხილვის ობიექტი. როგორც აღინიშნა, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც უკავშირდება ბავშვს, სახელმწიფომ საფუძვლად უნდა დაუდოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.¹⁸⁷

ევროპული სასამართლოს ქვემოთ მოყვანილ რამდენიმე გადაწყვეტილებაში განხილულია ოჯახური ცხოვრების საკითხები, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობებიდან.

საქმე *მორეტი და ბენედეტი იტალიის წინააღმდეგ (Moretti and Benedetti v. Italy)*, № 16318/07, 2010 წლის 27 აპრილი, ეხებოდა მიმღები ოჯახის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას. განმცხადებლები, ბ-ნი ლუიჯი მორეტი და მისი მეუღლე მარია ბრუნელა ბენედეტი, ცხოვრობდნენ თავიანთ

¹⁸⁶ *X. ბელგიისა და ნიდერლანდების წინააღმდეგ (X. v. Belgium and the Netherlands)*, 1975 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, №6482/74; ამ გადაწყვეტილებაში კომისიამ მიუთითა, რომ შვილად აყვანა, როგორც ასეთი, არ შედის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებში და რომ მე-8 მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, მიანიჭოს პირს მშვილელის ან ნაშვილების სტატუსი; ასევე იხ. *დი ლაზარო იტალიის წინააღმდეგ (Di Lazzaro v. Italy)*, 1997 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, №31924/96.

¹⁸⁷ კ. კორკელია, ბავშვთა უფლებების დაცვა შვილად აყვანის სფეროში: საერთაშორისო გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში; „ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, სტატიათა კრებული, კ. კორკელია (რედ.), 2015, გვ. 92-127.

ბიოლოგიურ შვილთან, ასევე მეორე შვილთან ერთად, რომელიც ქ-მა ბენედეტიმ იშვილა. მომჩივნები პერიოდულად იღებდნენ ბავშვებს დროებითი მზრუნველობის ქვეშ, ვიდრე არ მოხდებოდა მათი გაშვილება სხვა ოჯახებში.

2004 წლის 20 მაისს, საგანგებო ბრძანებით, ახალდაბადებული ბავშვი (A.) მოათავსეს განმცხადებლებთან, როგორც მიმღებ ოჯახში, ხუთი თვით, თუმცა შემდგომ ეს პერიოდი გახანგრძლივდა 2005 წლის დეკემბრამდე. ამასობაში დაიწყო პროცედურები A.-ს გაშვილების მიზნით.

2004 წლის 24 ოქტომბერს მომჩივნებმა მიმართეს შესაბამის სამსახურს თხოვნით A.-ს შვილად აყვანის შესახებ. ვინაიდან არ მიიღეს პასუხი, 2005 წლის მარტში მათ განმეორებით მიმართეს ბავშვის შვილად აყვანის თხოვნით, თუმცა არც ამჯერად მიიღეს პასუხი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2005 წლის 19 დეკემბერს A. გაშვილდა სხვა ოჯახში. გადაწყვეტილების მიღების დღესვე A. წაიყვანეს მომჩივნების ოჯახიდან.

მომჩივნებმა მიმართეს ეროვნულ სასამართლოს, რომელმაც არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა A.-ს შვილად აყვანის შესახებ იმ საფუძველით, რომ ბავშვის გასაშვილებლად უკვე შეირჩა სხვა ოჯახი. იტალიის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლობის გამო და მიუთითა, რომ ბ-ნი მორეტისა და ქ-ნი ბენედეტის განცხადებები ბავშვის შვილად აყვანის შესახებ უნდა ყოფილიყო განხილული, ვიდრე ბავშვს შეურჩევდნენ ახალ ოჯახს. საექსპერტო დასკვნის მიხედვით, რომელიც სააპელაციო სასამართლომ მოითხოვა, ბავშვს ჩამოუყალიბდა მიჯაჭვულობა ორივე ოჯახთან. 2006 წლის 27 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის მოწყვეტა ახალ ოჯახს იყო რისკის შემცველი. ამ გადაწყვეტილებით შვილად აყვანის შესახებ ბრძანება გახდა საბოლოო.

ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ იტალიის კანონმდებლობა და პროცედურული წესები არასწორად იყო გამოყენებული, რის გამოც დაირღვა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ოჯახური ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობით და შეიძლება, ასევე მოიცვას ფაქტობრივი ოჯახური კავშირები. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ასეთი ურთიერთობის ოჯახური ბუნების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მრავალი ფაქტორი, როგორებიცაა: ამ ადამიანთა ერთად ცხოვრების დროის ხანგრძლივობა, მათი ურთიერთობის ხარისხი და ზრდასრულის როლი ბავშვის მიმართ.

ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ბავშვისათვის მნიშვნელოვან ეტაპზე მომჩივნები A.-სთან ერთად ცხოვრობდნენ 19 თვის განმავლობაში და რომ იგი იყო მომჩივანთა ოჯახში კარგად ინტეგრირებული, რამაც ხელი შეუწყო მის სოციალურ განვითარებას. მოსარჩელეებსა და ბავშვს შორის დამყარებული კავშირების სიმტკიცის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩამოყალიბებული ურთიერთობა შეადგენდა ოჯახურ ცხოვრებას, რის გამოც უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი მე-8 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები.

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ უზრუნველყოფს შვილად აყვანის უფლებას, მაგრამ არ უარყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას, ოჯახურ კავშირებს მისცეს ჩამოყალიბების საშუალება. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ მომჩივნების თხოვნა შვილად აყვანის შესახებ განხილული ყოფილიყო გულმოდგინედ და სწრაფად. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით ხანგრძლივი დროის გასვლას შეიძლება ჰქონდეს გამოუსწორებელი შედეგები. როგორც სასამართლომ მიუთითა, სამწუხარო იყო ის, რომ მომჩივნების თხოვნა შვილად აყვანის შესახებ არ იყო განხილული, ვიდრე ბავშვს არ გააშვილებდნენ სხვა ოჯახში და რომ ამ თხოვნაზე მომჩივნებს უარი უთხრეს დასაბუთების გარეშე.

იმ ხარვეზების გათვალისწინებით, რომლებმაც პირდაპირი გავლენა მოახდინა მომჩივანთა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე, ევროპული სასამართლოს აზრით, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ უფლების ეფექტიანი დაცვა. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

საქმე *ვაგნერი და J.M. W.L. ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Wagner and J.M. W.L. v. Luxembourg)*, № 76240/01, 28 ივნისი, 2007 წ., ეხებოდა სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყანაში მომხდარი შვილად აყვანის არაღიარებას, რამაც გამოიწვია კონვენციის დარღვევა. მომჩივანი იყო ლუქსემბურგის მოქალაქე, ქ-ნი ჯეანა ვაგნერი და მისი ნაშვილები შვილი (J.M.), რომელიც დაიბადა პერუში და ახლა დედასთან ცხოვრობს. ქ-ნ ვაგნერს ასევე ჰყავდა ოთხი შვილი.

პერუს სასამართლოს 1996 წლის გადაწყვეტილებით, ქ-მა ვაგნერმა შვილად აიყვანა სამი წლის J.M., რომელიც გამოცხადებული იყო მიტოვებულად. 1997 წელს ქ-მა ვაგნერმა მიმართა ლუქსემბურგის სასამართლოს შვილად აყვანის აღიარების შესახებ, რათა J.M.-ს მიეღო ლუქსემბურგის მოქალაქეობა. ლუქსემბურგის სასამართლომ უარი განუცხადა ქ-ნ ვაგნერს პერუს სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარებაზე, რადგან ლუქსემბურგის კანონმდებლობით, შვილად აყვანა არ შეეძლო მარტოხელა ქალს. ქ-ნი ვაგნერის მიმართვა ზემდგომი სასამართლო ინსტანციებისათვის უშედეგო აღმოჩნდა.

ვინაიდან ლუქსემბურგის სასამართლოების უარი, ეღიარებინათ პერუს სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ, გამომდინარეობდა ლუქსემბურგის კანონმდებლობიდან, რომელიც უკრძალავდა დაუქორწინებელ ადამიანს შვილის აყვანას. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთი აკრძალვა იყო ჩარევა მომჩივანთა ოჯახურ ცხოვრებაში. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპაში არსებობს კონსენსუსი დაუქორწინებელ ადამიანთა შვილად აყვანის უფლებასთან მიმართებით.

ევროპული სასამართლოს აზრით, პერუს სასამართლოს გადაწყვეტილების არაღიარებამ ლუქსემბურგში არ გაითვალისწინა შექმნილი სოციალური რეალობა. ევროპული სასამართლოს პოზიციით, ვინაიდან ლუქსემბურგის სასამართლოებმა ოფიციალურად არ დაადასტურეს პერუში მომხდარი შვილად აყვანის ფაქტით შექმნილი ოჯახური კავშირების არსებობა, ეს კავშირები სრულყოფილად ვერ

განხორციელდებოდა ლუქსემბურგში. ამის შედეგად მომჩივნებს შეექმნათ დაბრკოლებები ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო ბავშვი არ იყო სამართლებრივად დაცული, რაც უზრუნველყოფდა მის სრულ ინტეგრირებას მშვილელის ოჯახში.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა სარგებლობდეს უპირატესობით სხვა ინტერესებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ლუქსემბურგის სასამართლოებს არ შეეძლოთ პერუს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობის უგულვებლყოფა, რაც შეესაბამებოდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების ინტერესებს. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

საქმე *ნეგრეპონტისი-ჯიანისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Negrepontis-Giannisis v. Greece)*, №56759/08, 3 მაისი, 2011 წ., ეხებოდა მოსარჩელეს, რომელიც შვილად აიყვანა მისმა ბიძამ. ეს უკანასკნელი იყო ბერი. შვილად აყვანა მოხდა აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილებით. საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ, რომლის მოქალაქეც იგი იყო, მომჩივანმა განიზრახა შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღიარება საბერძნეთის სასამართლოს მიერ. სასამართლომ უარი განაცხადა შვილად აყვანის აღიარებაზე იმ მოტივით, რომ საბერძნეთში, წინა საუკუნეებში დადგენილი წესების მიხედვით, ბერებს არ ჰქონდათ შვილად აყვანის უფლება. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს მიერ უარის თქმა შვილად აყვანის აღიარებაზე იყო ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვის არაპროპორციული ნაბიჯი, რის გამოც დაირღვა მე-8 მუხლი.

საქმის *E.B. საფრანგეთის წინააღმდეგ (E.B. v. France)*[დიდი პალატა], № 43546/02, 2008 წლის 22 იანვარი, მომჩივანი (E.B.) იყო 45 წლის საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც იყო ლესბოსელი და ცხოვრობდა სხვა ქალთან (R.) ერთად. სარჩელი ეხება, სექსუალური ორიენტაციის გამო, საფრანგეთის ხელისუფლების უარს, რომ E.B.-სათვის მიენიჭებინათ შვილის აყვანის უფლება. 1998 წელს მომჩივანმა მიმართა სოციალურ სამსახურს შვილად აყვანის უფლების მინიჭების თხოვნით. სოციალურ სამსახურს მომჩივანმა აცნობა თავისი ორიენტაციისა და R.-სთან სტაბილური ურთიერთობის შესახებ.

სოციალური სამსახურისა და ფსიქოლოგის დასკვნების საფუძველზე შვილად აყვანის საბჭომ მოამზადა რეკომენდაცია სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ამის საფუძველზე შვილად აყვანის საკითხზე პასუხისმგებელმა ორგანომ უარი უთხრა შვილად აყვანაზე.

2002 წელს ადმინისტრაციულ საქმეთა უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ (*Conseil d'Etat*) უარყო მომჩივნის მტკიცება, რომ მისთვის უარის თქმა განპირობებული იყოს მისი სექსუალური ორიენტაციით და მიუთითა, რომ უარის თქმა გამომდინარეობდა შვილად ასაყვანი ბავშვის საჭიროებებითა და ინტერესებით.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა ეს საქმე დისკრიმინაციის კუთხით და დაადგინა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობით ნებისმიერ ცალკეულ ადამიანს აქვს უფლება, მიმართოს სახელმწიფოს შვილად აყვანის თხოვნით. სასამართლოს აზრით, თუ სახელმწიფო ანიჭებს ადამიანს უფლებას, აიყვანოს შვილი, უარის თქმა შვილის

აყვანაზე, არ უნდა მოხდეს დისკრიმინაციული საფუძვლით. ამიტომ, ევროპულმა სასამართლოდ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან მიმართებით.

საინტერესოა საქმე *A.K. და L. ხორვატიის წინააღმდეგ (A.K. and L. v. Croatia)*, № 37956/11, 8 იანვარი, 2013 წ.,¹⁸⁸, რომელიც ეხებოდა ორ მომჩივანს, 1987 წელს დაბადებულ დედას (A.K.) და 2008 წელს დაბადებულ მის ბიოლოგიურ შვილს (L.). დაბადებიდან რამდენიმე დღეში, კეთილდღეობის ცენტრის გადაწყვეტილებით, L. მოათავსეს მიმღებ ოჯახში, სხვა ქალაქში, ვინაიდან A.K. იყო უმუშევარი, არ ჰქონდა შემოსავალი და ესწრებოდა პროგრამას სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის. მიმღებ ოჯახში ბავშვის მოთავსების მიზეზი ასევე იყო ის, რომ A.K. ცხოვრობდა დედასა და შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ძველ, ნახევრად დანგრეულ სახლში, რომელსაც არ ჰქონდა გათბობა. მომჩივანი დასთანხმდა ბავშვის მოთავსებას მიმღებ ოჯახში.

ცენტრმა მიმართა ადგილობრივ სასამართლოს, რომ დედას ჩამორთმეოდა მშობლის უფლება. სასამართლო პროცესში დედას მონაწილეობა არ მიუღია. 2010 წელს სასამართლომ ჩამოართვა მას მშობლის უფლება, ვინაიდან დედას ჰქონდა მსუბუქი ფორმის შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობა და მას არ შეეძლო შვილზე სათანადოდ ზრუნვა. დედამ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

2011 წელს ადგილობრივმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დედის საჩივარი, აღდგენილიყო მშობლის უფლება, იმის გამო, რომ მისი შვილი უკვე გაშვილდა და ვინაიდან დედას ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება, იგი არ იყო უფლებამოსილი, მონაწილეობა მიეღო შვილად აყვანის შესახებ სასამართლო პროცესში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი გამოირიცხა საკუთარი შვილის გაშვილების პროცესიდან, მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის გამო. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გადაწყვეტილება მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, რომელიც უსწრებდა ბავშვის გაშვილებას, იმდენად მნიშვნელოვანი შედეგების მქონეა, რომ მომჩივნის უფლებები და ინტერესები უნდა ყოფილიყო ადეკვატურად დაცული. ეს უნდა მომხდარიყო ადვოკატის სათანადო დახმარებითა და დედის მოსაზრებების გათვალისწინებით, მისი და ბიოლოგიური შვილის ინტერესების დასაცავად და დედასა და შვილს შორის ურთიერთობის შესანარჩუნებლად.¹⁸⁹

მართალია, ევროპული სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე სახელმწიფოს, რომ არ იყო სავალდებულო მისი მონაწილეობა შვილად აყვანის სასამართლო პროცესში, რადგან მომჩივანს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება, მან ჩათვალა, რომ თუ სახელმწიფოს ეროვნული სისტემა ითვალისწინებს მშობლის უფლების აღდგენას,

¹⁸⁸ გადაწყვეტილების მოკლე სამართლებრივი შეჯამება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-144756>

¹⁸⁹ 75-ე პარაგრაფი.

აუცილებელია, მშობელს მიეცეს ამის შესაძლებლობა შვილის გაშვილებამდე. ევროპული სასამართლოს აზრით, შვილის გაშვილების შესახებ დედისათვის შეუტყობინებლობით ეროვნულმა ხელისუფლებამ წაართვა მას მშობლის უფლების აღდგენის მცდელობის შესაძლებლობა, ვიდრე ბიოლოგიურ დედასა და შვილს შორის საბოლოოდ არ გაწყდებოდა კავშირები, სხვათა მიერ ბავშვის შვილად აყვანის გამო.¹⁹⁰

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დედას არ მიუღია საკმარისი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რითაც დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეში *კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland)*, 26 მაისი, 1994 წ., § 55, Series A no. 290, რომელიც ეხებოდა ირლანდიის კანონმდებლობას გაშვილების შესახებ, ევროპულმა სასამართლომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ბიოლოგიურ მამას არ ჰქონდა შვილად აყვანის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება.

ამ საქმეში მომჩივანი თავის პარტნიორთან (V.) ცხოვრობდა 1987 წლის თებერვლიდან 1988 წლის თებერვლამდე. 1987 წლის დეკემბერში მათ გადაწყვიტეს შვილის გაჩენა და 1988 წლის თებერვალში დაინიშნენ კიდევ. რამდენიმე დღეში გაირკვა, რომ V. ორსულად იყო. მალე მომჩივანი და მისი პარტნიორი დაშორდნენ ერთმანეთს. 1988 წლის სექტემბერში V.-მ გააჩინა შვილი (S.), რომლის მამაც იყო მოსარჩელე. მომჩივანმა მოინახულა V. კერძო სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ნახა ერთი დღის შვილი. ორი კვირის შემდეგ მომჩივანი ესტუმრა V.-ს მშობლების სახლში, თუმცა არ შეუშვეს, რომ ენახა V. ან მისი შვილი.

V.-მ გადაწყვიტა შვილის გაშვილება და 1988 წლის 17 ნოემბერს იგი გადასცეს მშვილებლებს. 1988 წლის 22 ნოემბერს V.-მ წერილობით შეატყობინა მომჩივანს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. მომჩივანმა შეიტანა სარჩელი ეროვნულ სასამართლოში, რომ ბავშვი მას, როგორც მამას, გადასცემოდა, ნაცვლად მისი გაშვილებისა. ირლანდიის იმდროინდელი კანონმდებლობით, შვილად აყვანის შესახებ ბრძანებას ვერ მიიღებდნენ ბავშვის დედისა და მეურვის თანხმობის გარეშე. ირლანდიის კანონმდებლობით, თუ ბავშვის დაქორწინებული მამა მიიჩნეოდა მეურვედ, დაუქორწინებელი არ ითვლებოდა მეურვედ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი სასამართლო აღიარებდა მას ასეთად. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე მიღებული იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება, საბოლოოდ შვილი გაშვილდა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების განხილვის შედეგად ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: ამ საქმეში მთავარი პრობლემაა ის ფაქტი, რომ ირლანდიის კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, განმცხადებლის შვილი გაშვილდეს მამის ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე. სასამართლოს აზრით, „ასეთი მდგომარეობა არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის შვილთან მომჩივანის კავშირების სათანადო განვითარებას, არამედ ასევე საფუძველს ჩაუყრის პროცესს, რომელიც, სავარაუდოდ, აღმოჩნდება შეუქცევადი, ხოლო ბავშვის მეურვეობის საკითხთან მიმართებით

¹⁹⁰ 78-ე პარაგრაფი.

მომჩივანს ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში თავის დავაში მშვილელბლებთან.¹⁹¹

5.6 იმიგრაცია: დეპორტაცია და ოჯახის გაერთიანება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი სულ უფრო ხშირად გამოიყენება იმიგრაციის საკითხებთან მიმართებით. თუ სტრასბურგის ორგანოები თავდაპირველად უარყოფდნენ მე-8 მუხლის გამოყენებას იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ მე-8 მუხლი ვრცელდება ამ სამართლებრივ ურთიერთობებზე. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები იმიგრაციის საკითხებთან მიმართებით დღითიდღე ვითარდება და სულ უფრო ფართოვდება მათი გამოყენების სამართლებრივი არეალი დეპორტაციასა და ოჯახის გაერთიანებასთან მიმართებით.¹⁹²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო, რომ კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება მოიცავს როგორც სხვა სახელმწიფოში პირის დეპორტაციის/გამეგების, ისე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში მყოფი ოჯახის წევრთან (წევრებთან) უცხო ქვეყნის მოქალაქის გაერთიანების საკითხებს. დეპორტაციის/გამეგების შემთხვევაში, მე-8 მუხლთან მიმართებით, როგორც წესი, პირი ამტკიცებს, რომ ოჯახის წევრთან (წევრებთან) განშორება დაარღვევს მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში შესვლაზე უარის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქის მტკიცებით, მას არ მიეცა შესაძლებლობა, გაერთიანებულიყო ოჯახის წევრთან (წევრებთან), რის გამოც დაირღვა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. ამდენად, ორივე შემთხვევაში, პირის მტკიცებით, მას ერღვევა ოჯახის წევრებთან ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

იმიგრაციის საკითხებთან მიმართებით ევროპული სასამართლოს ამოსავალი წერტილია ის, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს აქვს უფლება, გააკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, მათი იქ ყოფნისა და ქვეყნის ტერიტორიიდან გამეგების საკითხები.¹⁹³

5.6.1. დეპორტაცია

¹⁹¹ 55-ე პარაგრაფი.

¹⁹² იხ. Iv. Roagna, Protecting the Right to Respect for Private and Family Life under the European Convention on Human Rights, 2012, 81.

¹⁹³ მუსტაკვიმი ბელგიის წინააღმდეგ (*Moustaquim v. Belgium*), 1991 წლის 18 თებერვალი, 43-ე პარაგრაფი .

დეპორტაციასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ევროპული სასამართლოს რამდენიმე საქმე, რომელიც განსაზღვრავს ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულებათა ფარგლებს. ერთ-ერთ კატეგორიას განეკუთვნება ისეთი საქმეები, რომლებიც ეხება დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას დეპორტაციის შემთხვევაში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში პირველი საქმე, რომელიც ეხებოდა მე-8 მუხლის გამოყენებას დეპორტაციასთან მიმართებით, იყო *მუსტაკიმი ბელგიის წინააღმდეგ (Moustaquim v. Belgium)*, 18 თებერვალი, 1991, Series A no. 193. ამ საქმეში მოსარჩელე, რომელიც მაროკოს მოქალაქე იყო, მშობლებმა ჩაიყვანეს ბელგიაში ორი წლის ასაკში, სადაც ცხოვრობდა მისი ყველა ახლო ნათესავი. იგი იყო დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი და ჩადენილი ჰქონდა რამდენიმე ათეული დანაშაული, მათ შორის ქურდობა და ყაჩაღობა. მომჩივანი სკოლაში სწავლობდა ფრანგულ ენაზე და მხოლოდ ორჯერ იმყოფებოდა მაროკოში არდადეგებზე. ვინაიდან მას თითქმის არანაირი კავშირი არ ჰქონდა მაროკოსთან, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი დეპორტაცია მაროკოში არ იყო დასახული მიზნის პროპორციული და ამიტომ ასეთი მოქმედება დაარღვევდა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

საქმე *ბელჯუდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Beldjoudi v. France)*, 26 მარტი, 1992 წ., Series A no. 234-A, ეხებოდა 1950 წელს საფრანგეთში დაბადებულ ალჟირის მოქალაქეს. იგი ორმოც წელზე მეტი ხანი ცხოვრობდა საფრანგეთში. განათლება მიიღო ფრანგულ ენაზე და არ ფლობდა არაბულ ენას. სავარაუდოდ, მას არ ჰქონდა რაიმე კავშირი ალჟირთან, მოქალაქეობის გარდა. იგი დაქორწინებული იყო საფრანგეთის მოქალაქეზე. ბ-ნ ბელჯუდის ჰქონდა ჩადენილი არაერთი დანაშაული, რის გამოც მან ცხოვრების დიდი ნაწილი საპატიმროში გაატარა.

ჩადენილ დანაშაულთა გამო საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისი დეპორტაცია მოქალაქეობის ქვეყანაში. მოსარჩელეებმა, ბ-მა ბელჯუდიმ და მისმა მეუღლემ, შეიტანეს სარჩელი ევროპულ სასამართლოში, რომლის წინაშეც ამტკიცებდნენ, რომ დეპორტირების შემთხვევაში, დაირღვეოდა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ბ-ნი ბელჯუდი ინტეგრირებულია ფრანგულ საზოგადოებაში და მთელი ცხოვრება საფრანგეთში გაატარა. ამავდროულად, მას არ ჰქონდა რაიმე კავშირი ალჟირთან. ევროპულმა სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ მისი მეუღლე დაბადებული იყო საფრანგეთში, ჰყავდა ფრანგი მშობლები და ყოველთვის ცხოვრობდა საფრანგეთში. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბ-ნი ბელჯუდის დეპორტაციის შემთხვევაში, ქ-ნ ბელჯუდის მოუწევდა, გაჰყოლოდა თავის მეუღლეს და დაფუძნებულიყო უცხოეთში, სავარაუდოდ, ალჟირში – სახელმწიფოში, რომლის ენაც მან, სავარაუდოდ, არ იცოდა. ამის გამო სასამართლომ ჩათვალა, რომ ქ-ნ ბელჯუდის შეიძლება, შექმნოდა ალჟირში ადაპტირების პრაქტიკული და იურიდიული სირთულეები. სახელმწიფოს მხრიდან ასეთმა მოქმედებამ, ევროპული

სასამართლოს აზრით, შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ოჯახის ერთიანობა და მისი არსებობაც კი.¹⁹⁴

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ აღსრულდებოდა გადაწყვეტილება ბ-ნი ბელჯუდის დეპორტაციის შესახებ, ის არ იქნებოდა დასახული მიზნის პროპორციული და, აქედან გამომდინარე, დაარღვევდა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

დეპორტაციასთან მიმართებით ოჯახური ცხოვრების უფლების საკითხზე ასევე საინტერესოა საქმე *უნერი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Üner v. the Netherlands)* [დიდი პალატა], № 46410/99, ECHR 2006-XII. მომჩივანი იყო თურქეთის მოქალაქე, ბ-ნი ზიია უნერი, რომელიც, სარჩელის შეტანის დროს ცხოვრობდა თურქეთში. მომჩივანი 12 წლის ასაკში დედასა და ორ ძმასთან ერთად 1988 წელს ჩავიდა მამასთან ნიდერლანდებში და მათ იქ მიიღეს მუდმივი ცხოვრების უფლება. 1991 წელს მომჩივანმა დაიწყო თანაცხოვრება ნიდერლანდების მოქალაქე ქალთან, რომლისგანაც 1992 წელს გაუჩნდა შვილი. 1992 წლის ბოლოს მომჩივანი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა ინარჩუნებდა ურთიერთობას თავის პარტნიორსა და შვილთან.

1993 წელს მომჩივანს კაფეში ჩხუბისას აღმოაჩნდა იარაღი, რომლითაც მოკლა ერთი მამაკაცი, ხოლო მეორე დაჭრა. 1994 წელს მას შეუფარდეს შვიდწლიანი პატიმრობა მკვლევლობისა და თავდასხმისათვის. მომჩივანს ადრეც ჰქონდა ჩადენილი დანაშაული.

მისი პარტნიორი, შვილი და მეორე შვილი (ეს უკანასკნელი გაჩნდა 1996 წელს), კვირაში ერთხელ აკითხავდნენ მომჩივანს საპატიმროში. ორივე შვილი იყო ნიდერლანდების მოქალაქე და არცერთი მათგანი არ ფლობდა თურქულ ენას.

1997 წელს ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტრომ მომჩივანს გააუქმა მუდმივად ცხოვრების უფლება და გამოაცხადა იგი არასასურველ უცხოელად ათი წლის განმავლობაში, რაც ნიშნავდა იმას, რომ ეს პერიოდი მას არ ექნებოდა ნიდერლანდებში ყოფნის უფლება. 1998 წელს ის იქნა დეპორტირებული თურქეთში.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მუდმივად ცხოვრების უფლების ჩამორთმევამ და არასასურველ უცხოელად გამოცხადებამ, რასაც მოჰყვა დეპორტაცია თურქეთში, გამოიწვია მისი განშორება ოჯახთან. მომჩივნის მტკიცებით, ეს არღვევდა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მომჩივანი ცხოვრების დიდი ნაწილი ცხოვრობდა ნიდერლანდებში, სადაც ჰქონდა მუდმივი ცხოვრების უფლება და სადაც მან შექმნა ოჯახი. სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო, რომ მომჩივანს მჭიდრო კავშირები ჰქონდა ნიდერლანდთან. სასამართლოს არც ის ფაქტი გამორჩენია მხედველობიდან, რომ მომჩივანი თავის პარტნიორსა და პირველ შვილთან ერთად ცხოვრობდა ცოტა ხანს და არასოდეს უცხოვრია მეორე შვილთან ერთად. მართალია, მომჩივანი ნიდერლანდებში ჩამოვიდა შედარებით მცირე ასაკში (12 წლის), ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა პოზიცია, რომ მან იმდენად მცირე

¹⁹⁴ 78-ე პარაგრაფი.

დრო გაატარა თურქეთში, რომ ამ ქვეყანაში დაბრუნებისას მას არ ექნებოდა რაიმე სოციალური და კულტურული, მათ შორის ენობრივი, კავშირები თურქულ საზოგადოებასთან.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას, ევროპული სასამართლოს აზრით, მომჩივნის მიერ ჩადენილი დანაშაულები, როგორებიცაა მკვლელობა და თავდასხმა, ძალიან მძიმე ხასიათის იყო. ადრინდელ მსჯავრდებათა გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს ჰქონდა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის მიდრეკილება.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მომჩივნის ბავშვების ასაკი – 6 წელი და წელიწად-ნახევარი – არის ადაპტირებადი ასაკი. ნიდერლანდების მოქალაქეობის გამო, მათ, თუ გაჰყვებოდნენ მამას თურქეთში, ექნებოდათ საშუალება, რომ რეგულარულად ჩასულიყვნენ სტუმრად ნიდერლანდებში, ნათესავების მოსანახულებლად. რაც შეეხება მომჩივნის პარტნიორის თურქეთში გადასახლების საკითხს, სასამართლომ ჩათვალა, რომ ოჯახური ინტერესები გადაწონა სხვა გარემოებებმა.

ევროპულმა სასამართლომ მიიღო მხედველობაში, რომ მომჩივანს არა მხოლოდ ჩამოერთვა ნიდერლანდებში მუდმივად ცხოვრების უფლება, არამედ 10 წლის განმავლობაში არასასურველ პირად გამოცხადდა, რამაც შეუძლებელი გახადა მისთვის ნიდერლანდებში ხანმოკლე სტუმრობაც კი. მიუხედავად ამისა, მომჩივნის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმის, ასევე 10 წლით არასასურველ პირად მისი გამოცხადების შეზღუდვის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ღონისძიება იყო პროპორციული იმ მიზნისა, რომლის მიღწევაც განზრახული ჰქონდა მას. შესაბამისად, არ დარღვეულა ევროპული კონვენციით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქმეზე *ბუგანემი საფრანგეთის წინააღმდეგ (Boughanemi v. France)* 1996 წლის 24 აპრილი, § 35. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია: სავარაუდოა, მომჩივანმა შეინარჩუნა კავშირები ტუნისთან, ვინაიდან იგი არ ამტკიცებდა, რომ არ შეეძლო საუბარი არაბულ ენაზე, ან რომ გაწყვიტა კავშირები ამ ქვეყანასთან. ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ ასევე გაითვალისწინა მომჩივნის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. სასამართლომ არ მიიჩნია გადამწყვეტად ის ფაქტი, რომ დეპორტაციის ბრძანების მიღების შემდეგ მომჩივანი ცხოვრობდა ფრანგ ქალთან, რომლისგანაც ჰყავდა შვილი.

ამ საქმეებიდან გამომდინარე, საყურადღებოა, რომ ევროპული სასამართლო იმის შეფასებისას, პროპორციულია თუ არა სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის შეზღუდვისათვის, ითვალისწინებს მრავალ ფაქტორს. ასეთ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: ჩადენილი დანაშაულის ბუნება და სიმძიმე; მომჩივნის ამ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობა; დანაშაულის ჩადენიდან გასული დრო და ამ პერიოდში მისი ქცევა; იმ პირთა მოქალაქეობა, რომლებზეც ახდენს გავლენას ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა; მომჩივნის ოჯახური მდგომარეობა,

მათ შორის ქორწინების არსებობა; ურთიერთობის წარმოშობისას დანაშაულის ჩადენის ფაქტის ცოდნა მეუღლის მიერ; მომჩივნის მიერ შვილების ყოლა და მათი ასაკი; სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გავლენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე; უცხო ქვეყანაში გადასახლების შემთხვევაში, სერიოზული სირთულეების შექმნის ალბათობა მომჩივნის მეუღლისა და შვილისათვის; მუდმივად ცხოვრების ქვეყანაში და დანიშნულების ქვეყანაში სოციალური, კულტურული (მათ შორის ენობრივი) და ოჯახური კავშირების სიმტკიცე.¹⁹⁵

მიუხედავად ამ კრიტერიუმებისა, ევროპულმა სასამართლომ ნათელყო, რომ ყველას გამოყენება შეუძლებელია ყველა სიტუაციაში. საქმე *მასლოვი ავსტრიის წინააღმდეგ (Maslov v. Austria)* [დიდი პალატა], № 1638/03, § 48, ECHR 2008, ეხებოდა ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც არ ჰყავდა საკუთარი ოჯახი. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტი კრიტერიუმები იქნებოდა მხოლოდ შემდეგი: ჩადენილი დანაშაულის ბუნება და სიმძიმე; მომჩივნის ამ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობა; დანაშაულის ჩადენიდან გასული დრო და ამ პერიოდში მისი ქცევა; მუდმივად ცხოვრების ქვეყანასა და დანიშნულების ქვეყანაში მისი სოციალური, კულტურული (მათ შორის ენობრივი) და ოჯახური კავშირების სიმტკიცე.

ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში *ბაღლი საფრანგეთის წინააღმდეგ (Baghli v. France)*, № 34374/97, ECHR 1999-VIII, განიხილა მოსარჩელის, მოჰამედ ბაღლის, ალჟირის მოქალაქის, სარჩელი, რომელსაც აუკრძალეს საფრანგეთის ტერიტორიაზე შესვლა 10 წლის განმავლობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ საფრანგეთში გადმოსახლების დროს მომჩივანი იყო ორი წლის და რომ თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა საფრანგეთში, გარდა ორწლიანი პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც ის, როგორც ალჟირის მოქალაქე, იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში ალჟირში. მან განათლება მიიღო საფრანგეთში და მუშაობდა კიდევ იქ რამდენიმე წელს. მის მშობლებსა და და-ძმებს ჰქონდათ საფრანგეთის მოქალაქეობა და ცხოვრობდნენ საფრანგეთში.

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანს არ ჰყავდა მეუღლე და შვილები, და არ დასტურდებოდა მისი კავშირები მშობლებსა და და-ძმასთან. მან შეინარჩუნა ალჟირის მოქალაქეობა და არასოდეს უცდია, მიეღო საფრანგეთის მოქალაქეობა, როდესაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. მას არასოდეს უარუყვია, რომ საუბრობს არაბულად. ის დასასვენებლად ჩადიოდა ალჟირში. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მას ოჯახი ჰყავდა საფრანგეთში, არსებობდა მტკიცებულება, რომ მან შეინარჩუნა კავშირები ალჟირთან, გარდა იმისა, რომ ჰქონდა მოქალაქეობა.

¹⁹⁵ ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა საქმე *ბულტიფი შვეიცარიის წინააღმდეგ (Boultif v. Switzerland)*, № 54273/00, ECHR 2001-IX.

მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო, რაც იყო საჯარო წესრიგის სერიოზული დარღვევა და ძირს უთხრიდა სხვათა ჯანმრთელობის დაცვას, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საფრანგეთში შესვლის 10-წლიანი აკრძალვა იყო პროპორციული ღონისძიება დასახული მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ არ დარღვეულა მე-8 მუხლი.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, როდესაც სასწორზე დადგა ორი ინტერესი – ერთი მხრივ, მომჩივნის ოჯახური ცხოვრება და, მეორე მხრივ, დანაშაულის თავიდან აცილება და სხვათა უფლებათა დაცვა, ევროპულმა სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ამ უკანასკნელს და ჩათვალა, რომ მომჩივნის მიმართ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი – შეეზღუდა მისი პირადი ცხოვრება – იყო პროპორციული იმ მიზნისა (დანაშაულის თავიდან აცილება და სხვათა უფლებათა დაცვა), რომლის მიღწევასაც სახელმწიფო ცდილობდა ამ შეზღუდვის დაწესებით.

საქმე *ჟუნესი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Jeunesse v. the Netherlands)* [დიდი პალატა], № 12738/10, 3 ოქტომბერი, 2014 წ., ეხებოდა სურინამელ ქალბატონს (მომჩივანი), რომელიც ტურისტული ვიზით შევიდა ნიდერლანდებში და დარჩა საცხოვრებლად. ნიდერლანდებში იგი დაქორწინდა ნიდერლანდების მოქალაქეზე და გააჩინა სამი შვილი. მომჩივანი 16 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ნიდერლანდებში და ამ პერიოდში რამდენჯერმე უშედეგოდ შეეცადა თავისი სტატუსის მოწესრიგებას.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არამოქალაქე ოჯახის წევრის დეპორტაცია ქვეყნიდან ჩაითვლება მე-8 მუხლის დარღვევად. ამისათვის, ევროპულ სასამართლოს უნდა შეესწავლა, იყო თუ არა მომჩივნის მდგომარეობა გამონაკლისი.

სასამართლომ მიუთითა, რომ ოჯახის ყველა წევრი (მეუღლე და შვილები) იყვნენ ნიდერლანდების მოქალაქეები. განსხვავებით სხვა იმიგრანტებისაგან, მოსარჩელე, როგორც სურინამელი, იყო ნიდერლანდების მოქალაქე 1975 წლამდე, ვინაიდან სურინამი იყო ნიდერლანდების კოლონია ამ პერიოდამდე.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მომჩივნის ნიდერლანდებში ყოფნის 16 წლის განმავლობაში სახელმწიფო თვალს ხუჭავდა ამ სიტუაციაზე, თუმცა შეეძლო, მოეხდინა მისი დეპორტაცია. ამ პერიოდში მომჩივანს ჩამოუყალიბდა ოჯახური, სოციალური და კულტურული კავშირები ნიდერლანდთან. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ მას არ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული.

საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, რა გავლენას მოახდენდა დედის დეპორტირება თავის შვილებზე.¹⁹⁶ ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დედისათვის მუდმივად ცხოვრების უფლების მინიჭებაზე უარი უარყოფით

¹⁹⁶ 118-120 პარაგრაფები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქმე *ომოჯუდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Omojudi v. the United Kingdom)*, №1820/08, 2009 წლის 24 ნოემბერი. ბავშვის ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე დეპორტაციის საქმესთან მიმართებით იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ნუნეზი ნორვეგიის წინააღმდეგ (Nunez v. Norway)*, № 55597/09, § ..., 28 ივნისი, 2011 წ.

გავლენას მოახდენდა ბავშვების საუკეთესო ინტერესებზე და, შესაბამისად, დაირღვეოდა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეში *ლიუ რუსეთის წინააღმდეგ (Liu v. Russia)* № 42086/05, 6 დეკემბერი, 2007 წ., მოსარჩელები, ბ-ნი ლინგჩაი, ჩინეთის მოქალაქე და მისი მეუღლე, ქ-ნი იულია ლიუ, რუსეთის მოქალაქე, ასაჩივრებდნენ რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ბ-ნი ლინგჩაის დეპორტაციის შესახებ. მომჩივნები იყვნენ დაქორწინებულნი და ჰყავდათ ორი შვილი, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები იყვნენ.

ბ-ნი ლინგჩაი რუსეთში რამდენიმე წლის განმავლობაში კანონიერად იმყოფებოდა. 2002 წელს მან მოითხოვა ცხოვრების უფლების გახანგრძლივება. ეროვნულმა სასამართლომ უარი განუცხადა სარჩელზე, რომელშიც ბ-ნი ლინგჩაი ითხოვდა მუდმივი ცხოვრების უფლების გახანგრძლივებას. სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე, რომლის მიხედვით, ბ-ნი ლინგჩაი საშიში იყო ეროვნული უშიშროებისათვის. ვინაიდან ეს ინფორმაცია იყო საიდუმლო, სასამართლომ ის ვერ გაასაჯაროვა.

ბ-ნი ლინგჩაი რამდენჯერმე დააჯარიმეს რუსეთში მუდმივად ცხოვრების უფლების არქონის გამო (2003, 2004 და 2005 წლებში). 2005 წელს იგი მოათავსეს დაკავების ცენტრში, დეპორტაციამდე. 2006 წელს ეროვნულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ბ-ნი ლინგჩაის დეპორტაციის შესახებ, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ჩინეთში ბ-ნი ლინგჩაის დეპორტირება დაარღვევს მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ კანონი აძლევდა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებას, უცხოელისათვის ეთქვათ უარი მუდმივი ცხოვრების უფლების გაცემაზე და მოეთხოვათ უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის, დაეტოვებინა ქვეყანა ეროვნული უშიშროების საფუძველზე, რაიმე დასაბუთებისა და დამოუკიდებელი ორგანოს კონტროლის გარეშე. ევროპული სასამართლოსათვის უცნობი იყო, არსებობდა თუ არა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა სასამართლოში ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოში, რომელიც უზრუნველყოფდა შეჯიბრებითობით პროცესს და იქნებოდა კომპეტენტური, რომ განეხილა დეპორტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები და მტკიცებულებები.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ რუსეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ასევე არსებობდა უცხო ქვეყნის მოქალაქის რუსეთიდან გაძევების წესი, რომელიც შეიცავდა პროცესუალურ გარანტიებს, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

შესაბამისად, რუსეთში არსებობდა ორი პარალელური პროცედურა უკანონოდ მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დეპორტაციის უზრუნველსაყოფად. რუსეთის

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ანიჭებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას უფლებამოსილებას, თავად გადაეწყვიტა, რომელ პროცედურას აირჩევდა.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნი ლინგჩაის დეპორტაციას მიღებული გადაწყვეტილება სათანადო ხარისხით არ უზრუნველყოფდა მის დაცვას უკანონო ჩარევისაგან. ამიტომ, თუ მომჩივნის მიმართ აღსრულდებოდა გადაწყვეტილება დეპორტაციის შესახებ, დაირღვეოდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქმე *სლივენკო ლატვიის წინააღმდეგ (Slivenko v. Latvia)* [დიდი პალატა], № 48321/99, ECHR 2003-X, ეხებოდა ორი მოსარჩელის, დედისა (ტატიანა სლივენკოსა) და შვილის (კარინა სლივენკოს) მე-8 მუხლით დაცულ უფლებას. ტატიანა სლივენკო იყო რუსი სამხედროს შვილი. ის ერთი თვის იყო, როდესაც, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, მისი ოჯახი გადასახლდა ლატვიაში, რადგან მამა, როგორც სამხედრო, სამსახურებრივად განაწესეს ლატვიაში. ტატიანა სლივენკო დაქორწინდა და გაუჩნდა შვილი, კარინა სლივენკო. საბოლოოდ, დედა 40 წლის, ხოლო შვილი 18 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ლატვიაში, ვიდრე მათ არ მოუწიათ ლატვიის დატოვება და რუსეთში გამგზავრება, რუსეთის სამხედრო ფორმირებების მიერ ლატვიის ტერიტორიის დატოვების შედეგად.

ვინაიდან ოჯახური ცხოვრების საკითხი ამ საქმეში არ იყო აქტუალური (ტატიანა სლივენკოს მეუღლე და კარინა სლივენკოს მამა მანამდე გადავიდა რუსეთში საცხოვრებლად), სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მათი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის საკითხზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირები ლატვიაში ადასტურებდა, რომ მომჩივნები იყვნენ ინტეგრირებულნი ლატვიურ საზოგადოებაში, მათ ჰქონდათ ლატვიაში სოციალური, პირადი და ეკონომიკური ურთიერთობები და ეს იყო პირადი ცხოვრების ნაწილი. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ადამიანთა იძულება, დაეტოვებინათ ლატვია, იყო მათი პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის დარღვევა.¹⁹⁷

საქმე *ბერიშა შვეიცარიის წინააღმდეგ (Berisha v. Switzerland)*, № 948/12, 30 ივლისი, 2013 წ., ეხებოდა მომჩივნების სამ შვილს, რომლებიც კოსოვოში ცხოვრობდნენ და უკანონოდ შევიდნენ შვეიცარიის ტერიტორიაზე. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ შვეიცარიის ხელისუფლების გადაწყვეტილება მათი შვილების ქვეყნიდან გაძევების შესახებ არღვევს მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა: მომჩივნები თავიანთი გაცნობიერებული გადაწყვეტილებით ცხოვრობდნენ შვეიცარიაში, ნაცვლად კოსოვოში ცხოვრებისა და მათ შვილებს არ უცხოვრიათ შვეიცარიაში საკმარისად დიდი დრო, რომ დაეკარგათ

¹⁹⁷ იხ. Iv. Roagna, Protecting the Right to Respect for Private and Family Life under the European Convention on Human Rights, 2012, 82.

კავშირები თავიანთი დაბადების ქვეყანასთან, სადაც გაიზარდნენ და მიიღეს განათლება. შვილებს ჰქონდათ ოჯახური კავშირები კოსოვოში. ევროპული სასამართლოს აზრით, 17 და 19 წლის უფროსი შვილები იმ ასაკში იყვნენ, რომ მომჩივნებს ვერ შეძლებოდათ მათი მხარდაჭერა დისტანციურად; რაც შეეხება მომჩივნების 10 წლის შვილს, მათ არაფერი უშლიდათ ხელს, რომ დაბრუნებულიყვნენ და ეცხოვრათ საკუთარ შვილთან კოსოვოში, რათა უზრუნველყოთ მისი საუკეთესო ინტერესების დაცვა.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ შვეიცარიის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, შვილები გაემეგებინათ შვეიცარიიდან, არ დაურღვევია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

5.6.2. ოჯახის გაერთიანება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ უცხოელს მიანიჭოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში ცხოვრების უფლება. მიუხედავად ამისა, მე-8 მუხლის საფუძველზე ევროპული სასამართლო იხილავს ოჯახური ცხოვრების საკითხს, რომლის ერთი ან რამდენიმე წევრი შეიძლება უცხოელი იყო. ამის გამო სასამართლოს უწევს იმის შეფასება, ირღვევა თუ არა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, თუ უცხოელს (უცხოელებს), რომლის ოჯახის წევრიც ცხოვრობს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში, ეს სახელმწიფო უარს უცხადებს ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლების მინიჭებაზე.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განისაზღვრა ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სტანდარტები ოჯახის გაერთიანებასთან მიმართებით, მათ შორის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთარ ოჯახთან უცხოელის გაერთიანება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში, თუ იმ სახელმწიფოში, რომელშიც ეს უცხოელი მუდმივად ცხოვრობს, შეუძლებელია ამის გაკეთება.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საქმე *აბდულაზიზი, კაბალესი და ბაკლანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom)*, 28 მაისი, 1985, Series A no. 94. ამ საქმეში სამი ქალბატონი, რომლებიც კანონიერად ცხოვრობდნენ გაერთიანებულ სამეფოში, ასაჩივრებდნენ გაერთიანებული სამეფოს უარს იმის შესახებ, რომ მათი მეუღლეებისათვის დაერთოთ ქვეყანაში შესვლის ან დარჩენის უფლება, რათა ერთად ეცხოვრათ ოჯახური ცხოვრებით.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, გააკონტროლოს არამოქალაქეების შესვლა თავის ტერიტორიაზე. მან ასევე მიუთითა, რომ ეს საქმე არ ეხება იმიგრანტებს (იგულისხმება მომჩივანი ქალბატონები,

რომლებიც უკვე კანონიერად ცხოვრობდნენ გაერთიანებულ სამეფოში), რომლებსაც უკვე ჰყავდათ ოჯახი გაერთიანებულ სამეფოში მუდმივად ცხოვრების უფლების მინიჭებისას. განმცხადებლები დაქორწინდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაფუძნდნენ გაერთიანებულ სამეფოში. ამიტომ, სასამართლოს აზრით, მე-8 მუხლი არ აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს მომჩივანთა არამოქალაქე მეუღლეების გაერთიანებულ სამეფოში საცხოვრებლად მიღების ვალდებულებას.

სასამართლომ აღნიშნა: მომჩივნებმა ვერ დაამტკიცეს, რომ არსებობდა დაბრკოლებები ოჯახური ცხოვრებისათვის მათი ან მათი მეუღლეების წარმოშობის ქვეყნებში, ან რომ არსებობდა განსაკუთრებული მიზეზები, რატომაც მათ ეს ვერ უნდა გაეკეთებინათ.¹⁹⁸ ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი, ცალკე აღებული, არ დარღვეულა.¹⁹⁹

თავისი წარმოშობის ქვეყანაში პირის დაბრუნების შესაძლებლობა ოჯახის წევრთან ერთად საცხოვრებლად შეიძლება გადამწყვეტი გახდეს იმის განსაზღვრისას, ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, ნება დართოს პირს, იცხოვროს ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საქმე *გული შვეიცარიის წინააღმდეგ (Gul v. Switzerland)*, 19 თებერვალი, 1996 წ., ეხებოდა თურქეთის მოქალაქე მამაკაცის სარჩელს, რომელიც ცხოვრობდა შვეიცარიაში და რომელმაც უშედეგოდ მიმართა ხელისუფლებას, რათა თავისი შვილები ჩასულიყვნენ შვეიცარიაში მასთან საცხოვრებლად. ვინაიდან ბ-ნ გულს არაფერი აბრკოლებდა, ეცხოვრა თავისი ოჯახის წევრთან ერთად თურქეთში, სადაც თავისი შვილები ცხოვრობდნენ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ შვეიცარიას არ დაურღვევია მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.²⁰⁰

საქმეზე *აჰმუტი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ahmut v. the Netherlands)*, 28 ნოემბერი, 1996 წ., ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ნიდერლანდების ხელისუფლების უარი, ნება დაერთო ქვეყანაში ცხოვრებაზე ბ-ნი აჰმუტის (მაროკოსა და ნიდერლანდების მოქალაქე) 15 წლის ვაჟიშვილისათვის, სადაც ბ-ნი აჰმუტი გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა, არ არღვევს კონვენციის მე-8 მუხლს. სასამართლომ დაასაბუთა თავისი პოზიცია იმით, რომ ბიჭმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა მაროკოში, რომელთანაც მას აქვს ენობრივი და კულტურული კავშირები, იქ აღიზარდა და იქ ცხოვრობენ მისი ოჯახი წევრები. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ ცხადყო, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ ირღვევა, თუ ოჯახის წევრებს შეუძლიათ ერთად ცხოვრება რომელიმე სხვა ქვეყანაში.

საქმე *სენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Sen v. the Netherlands)*, №31465/96, 21 დეკემბერი, 2001 წ., ეხებოდა სამ მოსარჩელეს: მამას (ზეკი სენი), დედას (გულდენ სენი) და მათ შვილს (სინემ სენი), რომლებიც იყვნენ თურქეთის მოქალაქეები. მამა

¹⁹⁸ 68-ე პარაგრაფი.

¹⁹⁹ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით.

²⁰⁰ ასევე იხ. საქმე *ტუკუაბო-ტეკლე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands)*, № 60665/00, 1 დეკემბერი, 2005 წ.

1977 წელს გადავიდა ნიდერლანდებში საცხოვრებლად. დედა მას შეუერთდა 1986 წელს. ნიდერლანდებში გადასვლამდე, ქ-ნმა სენმა 1983 წელს გააჩინა შვილი (სინემი), რომელიც დაუტოვა თავის დეიდას თურქეთში. 1990 წელს და 1994 წელს მათ ეყოლათ კიდევ ორი შვილი, რომლებიც დაბადებიდანვე ცხოვრობდნენ ნიდერლანდში.

1992 წელს ბ-მა სენმა მიმართა ნიდერლანდების ხელისუფლებას, რომ პირველი შვილისათვის (სიმენი) მიეცათ მუდმივად ცხოვრების უფლება ნიდერლანდში. ხელისუფლებამ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ჩათვალა, რომ სინემი აღარ იყო მისი მშობლების ოჯახის წევრი, იგი დეიდის ოჯახის წევრი გახდა. მიუხედავად ზემდგომ ინსტანციებში გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, მომჩივნების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ სინემისათვის ნიდერლანდებში მუდმივად ცხოვრების უფლების მინიჭებაზე უარი, რომლის გამო იგი ვერ შეუერთდა მშობლებს ნიდერლანდებში, ითვლება მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევად.

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე მსჯელობისას მიუთითა, რომ სინემმა მთელი თავისი ცხოვრება გაატარა თურქეთში და მას ჰქონდა თავისი ქვეყნის ენობრივ და კულტურულ გარემოსთან მყარი კავშირები, ჯერ კიდევ ჰყავდა იქ ნათესავები. მიუხედავად ამისა, თურქეთში ოჯახის დანარჩენი ნაწილის დაბრუნებისათვის არსებობდა დაბრკოლებები. კერძოდ, პირველი ორი მომჩივანი (დედა და მამა) დაფუძნდნენ თურქეთში, სადაც კანონიერად ცხოვრობდნენ მრავალი წლის განმავლობაში, ხოლო სამიდან ორი შვილი მთელი ცხოვრების განმავლობაში ცხოვრობდა ნიდერლანდებში, ისინი იქ დადიოდნენ სკოლაში.

ერთი მხრივ, მოსარჩელეთა, ხოლო, მეორე მხრივ, იმიგრაციის კონტროლის შესახებ სახელმწიფოს ინტერესებს შორის ბალანსის დადგენისას ევროპულმა სასამართლომ ერთსულოვნად მიიჩნია, რომ დაირღვა მომჩივანთა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქმე *ჰასანბასიკი შვეიცარიის წინააღმდეგ (Hasanbasic v. Switzerland)*, № 52166/09, 11 ივნისი, 2013 წ., ეხება ბოსნია და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს. ბ-ნი ჰასანბასიკი ცხოვრობდა ბოსნიაში, ხოლო ქ-ნი ჰასანბასიკი-ზუკო შვეიცარიაში, სადაც 1979 წელს მიიღო მუდმივად ცხოვრების უფლება. 1982 წელს მათ გაუჩნდათ შვილი და ისინი დაქორწინდნენ. ბ-ნი ჰასანბასიკს ჯერ ჰქონდა დროებითი, ხოლო შემდგომ მუდმივი ცხოვრების უფლება შვეიცარიაში. 2004 წლის აგვისტოში მან შეატყობინა შვეიცარიის ხელისუფლებას, რომ განზრახული ჰქონდა, დაეტოვებინა შვეიცარია და დაბრუნებულიყო ბოსნიაში. აქედან გამომდინარე, მისი მუდმივი ცხოვრების უფლება შვეიცარიაში გაუქმდა. 2004 წლის დეკემბერში ის ტურისტული ვიზით დაბრუნდა შვეიცარიაში, თუმცა მოუწია ქვეყნის დატოვება. მისი მეუღლის თხოვნა, რომ ბ-ნი ჰასანბასიკისათვის მიეცათ ოჯახთან გაერთიანების უფლება, არ დაკმაყოფილდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან ბ-ნი ჰასანბასიკი მანამდე წლების განმავლობაში ცხოვრობდა თავის ოჯახთან და იყო ინტეგრირებული

შვეიცარიაში, მისთვის ცხოვრების უფლების მინიჭებაზე უარი იყო არაპროპორციული ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან, რაც არღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

საქმეები *მუგენზი საფრანგეთის წინააღმდეგ (Mugenzi v. France)*, №52701/09, 10 ივლისი, 2014 წ. და *ტანდა-მუზინგა საფრანგეთის წინააღმდეგ (Tanda-Muzinga v. France)*, № 2260/10, 10 ივლისი, 2014 წ., ეხებოდა საფრანგეთში ლტოლვილის სტატუსის მქონე მომჩივნების მტკიცებას, რომ მათი შვილებისათვის უარის თქმა ვიზის გაცემაზე, რათა ოჯახი გაერთიანებულიყო, არღვევდა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მათი ლტოლვილის სტატუსისა და ოჯახის გაერთიანების პრინციპის აღიარებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, სავიზო სარჩელი განეხილათ სწრაფად, ყურადღებით და განსაკუთრებულად გულმოდგინედ. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ოჯახის გაერთიანება აძლევდა შესაძლებლობას პირებს, რომლებიც დევნას გამოექცნენ, აღედგინათ ნორმალური ცხოვრება. ევროპული სასამართლოს აზრით, საერთაშორისო და ევროპულ დონეზე არსებობს საერთო კონსენსუსი, რომ ლტოლვილებმა ისარგებლონ ოჯახის გაერთიანების უფრო შეღავათიანი პროცედურით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სხვა უცხოელებისათვის.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა მომჩივნების მიმართ.²⁰¹

6. საცხოვრებელი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ტერმინ „საცხოვრებელს“ აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. კერძოდ: ჩაითვლება თუ არა გარკვეული ადგილი „საცხოვრებლად“ კონვენციის მიზნებისათვის, უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარემოებების გულდასმით განხილვის შედეგად. ზოგადად, საცხოვრებელი განიმარტება როგორც ადგილი, სადაც ადამიანი მუდმივად ცხოვრობს, ან, რომელთანაც ადამიანს აქვს საკმარისი და უწყვეტი კავშირი. „საცხოვრებლის“ კონცეფცია მოიცავს შემდეგს: დასასვენებელი საცხოვრებლები; მეორე საცხოვრებელი; სასტუმროები, რომლებშიც პირები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ;²⁰² ნაქირავები ფართი, სადაც პირი ცხოვრობს;²⁰³ სოციალური საცხოვრებელი, რომელიც დაკავებულია მომჩივნის მიერ

²⁰¹ იხილეთ ასევე, *სენიგო ლონგი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Senigo Longue and Others v. France)*, № 19113/09, 2014 წლის 10 ივლისი.

²⁰² *დემადესი თურქეთის წინააღმდეგ (Demades v. Turkey)*, № 16219/90, 2003 წლის 31 ივლისი.

²⁰³ *მენტესი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Menteş and Others v. Turkey)*, 1997 წლის 28 ნოემბერი, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII.

დამქირავებლის სახით;²⁰⁴ ბიზნესშენობები, რომლებშიც არ არსებობს მკაფიო განსხვავება პიროვნების საოფისე და კერძო რეზიდენციას შორის, ან კერძო და ბიზნესსაქმიანობებს შორის,²⁰⁵ კომპანიის რეგისტრირებული ოფისი, ფილიალები ან სხვა ბიზნესშენობები;²⁰⁶ არატრადიციული საცხოვრებლები, როგორცაა ქარავანი და სხვა არაფიქსირებული საცხოვრებელი ადგილი;²⁰⁷ მეორე მხრივ, სასამართლომ საცხოვრებლად არ მიიჩნია ქვემოთ ჩამოთვლილი ადგილები: სამრეცხაო, რომელიც ერთობლივად ეკუთვნის საცხოვრებელი კორპუსის ბინების თანამფლობელებს და განკუთვნილია დროდადრო გამოყენებისათვის;²⁰⁸ მსახიობის საგარდერობე ოთახი;²⁰⁹ მიწის ნაკვეთი, რომელსაც მფლობელი იყენებს, ან სადაც ტარდება სპორტული ღონისძიებები. საცხოვრებლით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა ექსპროპრიაცია ან იჯარა, ჩვეულებრივ, განიხილება კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად.

პირად ცხოვრებასთან შედარებით, საცხოვრებლის დაცვასთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ განიხილა შედარებით მცირე რაოდენობის სარჩელები, რომლებიც უკავშირდებოდა ხელისუფლების ორგანოების მიერ დაკისრებული პოზიტიურ ვალდებულებათა შეუსრულებლობას, რაც გამომდინარეობს კონვენციის მე-8 მუხლიდან „საცხოვრებელთან“ მიმართებით, მათ შორის უკავშირდება საცხოვრებლის დაცვას გარემოს დაბინძურებისგან, ხმაურისგან, დაზიანებისგან.

საქმე *ჯუღელი და სხვა საქართველოს წინააღმდეგ (Jugheli and others v. Georgia)*, № 38342/05, 13 ივლისი, 2017 წ., ეხებოდა საცხოვრებელ ბინებთან ახლოს მდებარე თერმული ელექტროსადგურის ფუნქციონირების რეგულირების არ არსებობას. მომჩივნები ცხოვრობდნენ ქალაქის ცენტრში, მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში თერმული ელექტროსადგურის ახლოს (4 მეტრის სიახლოვეზე), რომელიც ელექტროენერჯითა და გათბობით უზრუნველყოფდა მიმდებარე საცხოვრებელ მინებს. ელექტროსადგური მოქმედი იყო 1939 წლიდან და ნაწილობრივ შეწყვიტა ფუნქციონირება 2001 წლიდან ფინანსური პრობლემების გამო. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ელექტროსადგურის ფუნქციონირება არ რეგულირდებოდა შესაბამისი ნორმებით და ამდენად გამოყოფილი მავნე ნივთიერებები იფრქვეოდა ატმოსფეროში, რაც მათ ჯანმრთელობას აზიანებდა. მართალია ჰაერის დაბინძურებას არ გამოუწვევია მომჩივნების ჯანმრთელობის ხელშესახები დაზიანება, დაბინძურების შედეგად ისინი უფრო მოწყვლადები გახდნენ სხვადასხვა დაავადებების მიმართ. უფრო მეტიც, ექვსგარეშეა, რომ ელექტროსადგურის ფუნქციონირებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მათი ცხოვრების ხარისხზე

²⁰⁴ *მაკკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, 1995 წლის 27 სექტემბერი, Series A no. 324.

²⁰⁵ *ნიმიეტი გერმანიის წინააღმდეგ (Niemiety v. Germany)*, 16 დეკემბერი, 1992, Series A no. 251-B.

²⁰⁶ *Société Colas Est და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Société Colas Est and Others v. France)*, № 37971/97, ECHR 2002-III.

²⁰⁷ *ბაკლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Buckley v. the United Kingdom)*, 1996 წლის 25 სექტემბერი, Reports of Judgments and Decisions 1996-IV.

²⁰⁸ *ჩელუ რუმინეთის წინააღმდეგ (Chelu v. Romania)*, № 40274/04, 2010 წლის 12 იანვარი.

²⁰⁹ *ჰარტუნგი საფრანგეთის წინააღმდეგ (Hartung v. France)* (განჩინება), № 10231/07, 2009 წლის 3 ნოემბერი.

შინ. შესაბამისად, ადგილი ქონდა ჩარევას მომჩივნების კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში. საქმის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ 2009 წლამდე არ არსებობდა მარეგულირებელი ნორმები, რომლითაც მოწესრიგდებოდა ამ ელექტროსადგურის ფუნქციონირება და შესაბამისად, არ ხდებოდა რეაგირება მომჩივნებისთვის მავნე ჰაერის დაბინძურებაზე. ვითარებას ამძიმებდა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ელექტროსადგურის მფლობელ კომპანიას დაევალა შესაბამისი ფილტრის მონტაჟი ტოქსიკური ემისიის შესამცირებლად, ამ დავალების შესრულებაზე ზედამხედველობა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს არ განუხორციელებიათ. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალდებულია იქონიოს შესაბამისი რეგულაციები აღწერილი საქმიანობის მოსაწესრიგებლად, როგორცაა ამგვარი საქმიანობის ლიცენზირება, მისი განხორციელება, უსაფრთხოება და ზედამხედველობა და სავალდებულო უნდა გახადოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა იმ მოქალაქეების ეფექტიანად დასაცავად, ვინც შესაძლოა ამგვარი საქმიანობის შედეგად რისკის ქვეშ იყოს. სასამართლოს აზრით, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ მოახერხა სამართლიანი ბალანსის დაცვა თემისთვის მოქმედი თერმული ელექტროსადგურის ქონის ინტერესსა და მომჩივნების საცხოვრებლისა და პირადი ცხოვრების დაცულობის ინტერესებს შორის და შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

საქმის *გურა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Guerra and Others v. Italy)*, 19 თებერვალი, 1998 წ., Reports of Judgments and Decisions 1998-I, ყველა მომჩივანი ცხოვრობდა სასუქის მწარმოებელი ქიმიური ქარხნიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე. წარსულში ქარხანაში მომხდარი ავარიებიდან ყველაზე სერიოზული იყო 1976 წელს მომხდარი ავარია, როდესაც ამიაკის სინთეზის აირების გამწმენდი კოშკი აფეთქდა, რის გამოც მოხდა რამდენიმე ტონა დარიშხანის შემცველი კალიუმის კარბონატისა და ბიკარბონატის ხსნარის გაჟონვა. ასორმოცდაათი ადამიანი მოხვდა საავადმყოფოში დარიშხანით მწვავე მოწამვლით. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობამ და ავარიის შესაძლებლობის შესამცირებლად პრაქტიკული ღონისძიებების გაუტარებლობამ განაპირობა მათი ცხოვრებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ შესაბამისი ორგანოების უმოქმედობამ, მოეხდინათ საზოგადოების ინფორმირება საფრთხეებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც მოსალოდნელი იყო სერიოზული ავარიის შემთხვევაში, დაარღვია მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების, ისევე როგორც საცხოვრებლის უფლება. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გარემოს მძიმე დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ფიზიკური პირების კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ მიერ საკუთარი საცხოვრებლით ჯეროვნად სარგებლობას.

საქმის *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (Lopez Ostra v. Spain)*, 9 დეკემბერი, 1994 წ., Series A no. 303-C, მიხედვით, ქალაქში, რომელშიც ცხოვრობდა მოსარჩელე, იყო ტყავის მრეწველობის მძიმე კონცენტრაცია. ბ-ნი ლოპეზ ოსტრა ასაჩივრებდა მუნიციპალური ხელისუფლების უმოქმედობას, რადგან ეს უკანასკნელი არაფერს აკეთებდა, რათა დაეცვა მომჩივანი და სხვა მოქალაქეები მავნე

ზემოქმედებისაგან, რაც გამოწვეული იყო ნარჩენების გამწმენდი ნაგებობიდან მომდინარე სუნით, ხმაურითა და დამაბინძურებელი გამონაბოლქვით. მან მიიჩნია, რომ ესპანეთის ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო ამაზე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ესპანეთმა ვერ შეძლო სამართლიანი ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, ქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესსა (ნარჩენების გამწმენდი ნაგებობის არსებობა) და, მეორე მხრივ, მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლით სარგებლობის უფლებას შორის. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანმა და მისმა ოჯახმა გამოიარა ის უსიამოვნება, რომელიც გამოიწვია ქარხანამ სამი წლის განმავლობაში, ვიდრე არ დატოვეს საცხოვრებელი, ყველა თანმდევ უხერხულობასთან ერთად. ისინი გადავიდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხადი გახდა, რომ სიტუაცია შეიძლება გაგრძელდეს იყო განუსაზღვრელი ვადით და როდესაც მომჩივნის ბავშვის პედიატრმა ურჩია მათ, რომ ასე მოქცეულიყვნენ. ამ პირობებში მუნიციპალიტეტის შეთავაზება ვერ უზრუნველყოფდა უსიამოვნებისა და უხერხულობის სრულ კომპენსირებას, რომელსაც ისინი მიიღებდნენ.

საქმე *ტაქსინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Taşkın and Others v. Turkey)*, № 46117/99, ECHR 2004-X, ეხებოდა ოქროს მალაროს ასამუშავებლად საჭირო ნებართვის გაცემას ოვაჩიკში, ბერგამის რაიონში (იზმირი). მომჩივნები ცხოვრობდნენ ბერგამაში და მიმდებარე სოფლებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ, როგორც ეროვნული ხელისუფლების მიერ ნებართვის გაცემამ ოქროს მალაროს ასამუშავებლად ციანირების პროცესის გამოყენებით, ისე მასთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილების მიღების პროცესმა დაარღვია მათი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის უფლებები.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და მიუთითა: თურქეთმა ვერ შეძლო თავისი ვალდებულებების შესრულება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება ოქროს მალაროს ასამუშავების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით 1997 წლის მაისში გააუქმა უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ, რომელიც ამ საქმეში, საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების შემდეგ, გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მომჩივნების მიერ სიცოცხლისა და ჯანსაღი გარემოს უფლების ეფექტიან განხორციელებას და დაასკვნა, რომ ნებართვა არ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს. მიუხედავად ამისა, მას არ უბრძანებია ოქროს მალაროს დახურვა 1998 წლის თებერვლამდე. მეტიც, თურქეთის კანონმდებლობით მინიჭებული პროცედურული გარანტიების და სასამართლო გადაწყვეტილებებით, ამ გარანტიების უზრუნველყოფის მიუხედავად, მინისტრთა საბჭომ 2002 წლის მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც არ იყო საჯარო, ნება დართო ოქროს მალაროში წარმოების გაგრძელებას, რაც მოხდა 2001 წლის აპრილში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ დროს ხელისუფლებამ შეუწყვიტა მომჩივნებს მომჩივნებს პროცედურული გარანტიები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მათთვის, რათა ეფექტიანად დაეცვათ პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის უფლება.

საქმის *ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ (Fadeyeva v. Russia)*, № 55723/00, ECHR 2005-IV, მომჩივანი ცხოვრობდა ფოლადის მწარმოებელ დიდ ცენტრში, ქ. ჩერეპოვეცში, რომელიც მდებარეობდა დაახლოებით 300 კმ-ის დაშორებით მოსკოვიდან. იგი ამტკიცებდა, რომ ფოლადის ქარხნის მუშაობამ მისი საცხოვრებლის სიახლოვეს საფრთხის ქვეშ დააყენა მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და დაადგინა: რუსეთმა ვერ შეძლო, დაეცვა ბალანსი, ერთი მხრივ, საზოგადოების ინტერესებსა და, მეორე მხრივ, მომჩივნის საცხოვრებლისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის. სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ გასცა ნებართვა დამაბინძურებელი საწარმოს ფუნქციონირებაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქის შუაგულში. მას შემდეგ, რაც საწარმოდან გამოსულმა ტოქსიკურმა ნარჩენებმა გადააჭარბა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმას, რასაც შეიძლებოდა, საფრთხის ქვეშ დაეყენებინა მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა ჯანმრთელობა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გარკვეული ტერიტორია ქარხნის გარშემო თავისუფალი ყოფილიყო ნებისმიერი საცხოვრებელი შენობისაგან. მიუხედავად ამისა, ეს საკანონმდებლო ღონისძიებები არ იქნა შესრულებული პრაქტიკაში. სასამართლოს აზრით, შეიძლება, ძალიან შორს წაგვიყვანოს იმის გაცხადებამ, რომ სახელმწიფო ან დამაბინძურებელი საწარმო ვალდებული იყო, უზრუნველყოთ მომჩივნები უფასო საცხოვრებლით. სასამართლოს აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს ფუნქცია არ იყო, ეკარნახა ზუსტი ღონისძიებები, რომლებიც უნდა ყოფილიყო მიღებული მონაწილე სახელმწიფოების მიერ, რათა შეესრულებინათ თავიანთი პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად. მომჩივნის შემთხვევაში, სახელმწიფომ არ შესთავაზა მომჩივანს არავითარი ეფექტიანი გამოსავალი, რათა დახმარებოდა მას საშიში ზონის დატოვებაში. გარდა ამისა, თუმცა დამაბინძურებელი საწარმო ფუნქციონირებდა ეროვნული გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევით, არ არსებობს ინფორმაცია, რომ სახელმწიფომ შეიმუშავა ან გაატარა ეფექტიანი ღონისძიებები, რომლებიც გაითვალისწინებდა დაბინძურებით დაზარალებული მოსახლეობის ინტერესს.

საქმის *ჯიაკომელი იტალიის წინააღმდეგ (Giacomelli v. Italy)*, № 59909/00, ECHR 2006-XII, მომჩივანი 1950 წლიდან ცხოვრობდა საცხოვრებელში, რომელიც 30 მეტრის დაშორებით მდებარეობდა „სპეციალური ნარჩენების“ შენახვისა და გადამუშავების ქარხნიდან. ეს ნარჩენები კლასიფიცირებული იყო როგორც სახიფათო და არასახიფათო. ქარხანამ მუშაობა დაიწყო 1982 წელს. კომპანიამ, რომელიც ამუშავებდა ამ ქარხანას, შემდგომში მიიღო ნებართვა გადამამუშავებული ნარჩენების რაოდენობის გაზრდასა და სახიფათო ნარჩენების „დეტოქსიკაციის“ პროცესის განხორციელებაზე, რაც გულისხმობდა ქიმიური პროდუქტების გამოყენებას სპეციალური სამრეწველო ნარჩენების გადამამუშავებლად. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ საწარმოდან გამომავალი მუდმივი ხმაური და მავნე გამონაბოლქვი ქმნიდა სერიოზულ საფრთხეს მისი ჯანმრთელობისა და საცხოვრებლისათვის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ იტალიამ ვერ შეძლო სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოების ინტერესსა, ჰქონოდა ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა და მომჩივნის ინტერესს შორის, შეძლებოდა საცხოვრებლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტიანი განხორციელება. სასამართლოს აზრით, კომპანიას, რომელიც ექსპლუატაციას უწყევდა ქარხანას, 1996 წლამდე არ მოეთხოვებოდა, ჩაეტარებინა გარემოზე ზემოქმედების შეფასება („EIA“). მეტიც, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებისას გარემოს დაცვის სამინისტრომ აღმოაჩინა ორი შემთხვევა, როდესაც ქარხნის მუშაობა შეუთავსებელი იყო გარემოსდაცვით რეგულაციებთან მისი უვარგისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო და, რომ არსებობდა კონკრეტული საფრთხე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. აქედან გამომდინარე, რამდენიმე წლის განმავლობაში მისი უფლება, უზრუნველყოფილიყო საცხოვრებლის უფლების პატივისცემა, სერიოზულად ილახებოდა ქარხნის მიერ საშიში საქმიანობის განხორციელების გამო.

საქმის *დუბეტკა და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (Dubetska and Others v. Ukraine)*, № 30499/03, 10 თებერვალი, 2011 წ., მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათ ჯანმრთელობას, საცხოვრებელსა და საცხოვრებელ გარემოს მიაღდა ზიანი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქვანახშირის მადაროს მუშაობის შედეგად. ისინი ასევე მიუთითებდნენ, რომ უკრაინის ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია სიტუაციის გამოსასწორებლად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან უკრაინის ხელისუფლება ინფორმირებული იყო მადაროსა და ქარხნის შესახებ, მაგრამ არაფერი უღონია, რათა შეემცირობინა დაბინძურების დონე და მავნე ზემოქმედება მომჩივნების პირად ცხოვრებასა და საცხოვრებელზე. მეტიც, მართალია, ცენტრალიზებული აკვედუკი აშენდა 2009 წელს, რომელიც უზრუნველყოფდა საკმარისი რაოდენობით სასმელი წყლის მიწოდებას მოსარჩელებისათვის, 12 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ ვერ გამონახა ეფექტიანი გამოსავალი მომჩივნების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სასამართლომ ასევე დააკისრა უკრაინის მთავრობას ვალდებულება, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები მომჩივნების მიმართ.

საქმის *ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hatton and Others v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], № 36022/97, ECHR 2003-VIII მოსარჩელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ლონდონში, ჰითროუს აეროპორტთან ახლოს, აცხადებდნენ, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის პოლიტიკამ ღამის ფრენების გაზრდასთან დაკავშირებით გამოიწვია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებების დარღვევა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი ჯანმრთელობა სერიოზულად შეირყა უძილობის შედეგად, რომელიც გამოწვეული იყო ღამის რეისებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. მან ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ გადაულახავს თავისუფალი შეფასების ფარგლები. სასამართლოს განმარტებით, არსებობდა

ეკონომიკური ინტერესი ღამის ფრენების გაზრდასთან დაკავშირებით, რაც ადამიანების მხოლოდ მცირე პროცენტულ რაოდენობას აწუხებდა. ამის გამო ბინის ფასები არ დაცემულა ამ რაიონში და მომჩივნებს შეეძლოთ გადასახლება მათთვის სასურველ სხვა რაიონში, ფინანსური ზარალის გარეშე.

საქმის *ფლამენბაუმი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Flamenbaum and Others v. France)*, №3675/04 და №23264/04, 13 დეკემბერი, 2012 წ., მომჩივნები იყვნენ მფლობელები საცხოვრებლისა, რომელიც მდებარეობდა სენ-გატიენის ტყეში, ნორმანდიის სანაპიროზე. დაცულ ტერიტორიად აღიარებული ეს ადგილი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ეკოლოგიის, ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით. საცხოვრებელი დუვილის აეროპორტის მთავარი ასაფრენი ბილიკიდან დაშორებული იყო 500-იდან 2500 მეტრამდე მანძილით. მომჩივნები ასაჩივრებდნენ ხმაურს, რომელიც გამოიწვია აეროპორტის მთავარი ასაფრენი ბილიკის დაგრძელებამ და ხარვეზებმა ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ისინი აგრეთვე ასაჩივრებდნენ, რომ მათი ქონების საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა ასაფრენი ბილიკის გაფართოების გამო და, რომ მათ მოუხდათ ხმაურის საიზოლაციო ხარჯების გადახდა საცხოვრებელ სახლებში.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ეროვნულმა სასამართლოებმა აღიარეს, რომ პროექტი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი იყო და ემსახურებოდა რეგიონის ეკონომიკურ კეთილდღეობას. მომჩივანთა შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. ვინაიდან ხელისუფლებამ გაატარა ღონისძიებები ადგილობრივ მოსახლეობაზე ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა შეძლეს სამართლიანი ბალანსის დაცვა კონკურენტულ ინტერესებს შორის.

საქმის *მორენო გომესი ესპანეთის წინააღმდეგ (Moreno Gómez v. Spain)*, № 4143/02, ECHR 2004-X, მომჩივანი ასაჩივრებდა ხმაურს, რომელიც მოდიოდა მის ახლოს მდებარე ღამის კლუბებიდან. იგი ამტკიცებდა, რომ ესპანეთის ხელისუფლება იყო ამაზე პასუხისმგებელი, რადგან ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში, და, მიუხედავად მისი მრავალი საჩივრისა, ხელისუფლების ორგანოებს არ გადაუდგამთ ეფექტიანი ნაბიჯები სიტუაციის მოსაგვარებლად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულომ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება საკითხის მოსაწესრიგებლად (როგორცაა კანონქვემდებარე აქტის მიღება ხმაურისა და ვიბრაციის შესახებ), რომელიც, ძირითადად, შესაფერისი იყო, რათა უზრუნველყო ამ უფლების პატივისცემა, ხელისუფლებამ დაუშვა, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყო წესების უგულვებლყოფას, რომელიც თავად დაადგინა განსახილველი პერიოდის განმავლობაში. ასეთ ვითარებაში, როდესაც დადგინდა, რომ მომჩივნის საცხოვრებლის პატივისცემის უფლება არსებითად დაირღვა, რადგან ხელისუფლებამ ვერ გაატარა სათანადო ღონისძიებები, გამკლავებოდა ღამის პერიოდში წარმოქმნილ უწესრიგობას, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ

ესპანეთმა ვერ შეასრულა დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება მომჩივნის საცხოვრებლისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით.

საქმე *მილევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Mileva and Others v. Bulgaria)*, № 43449/02 და № 21475/04, 25 ნოემბერი, 2010 წ., ეხებოდა ხმაურსა და აურზაურს, გამოწვეულს კომპიუტერული კლუბის მუშაობით იმ შენობაში, რომელშიც ცხოვრობდნენ მოსარჩელები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა ხმაურისა და შექმნილი დისკომფორტის შესაწყვეტად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და ხაზი გაუსვა, რომ ბულგარეთმა ვერ შეძლო საკითხის გულდასმით განხილვა და, შესაბამისად, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულება მომჩივანთა საცხოვრებლისა და მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის გამო ხელისუფლებას წარედგინა უამრავი საჩივარი და ამასთანავე ცნობილი იყო, რომ კლუბი ფუნქციონირებდა სავალდებულო ლიცენზიის გარეშე, პოლიციამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ გაატარეს ღონისძიებები, რათა დაეცვათ მომჩივანთა კეთილდღეობა საკუთარ საცხოვრებლებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შენობის მაკონტროლებელმა ორგანოებმა 2002 წლის ივლისში აკრძალეს ბინის კომპიუტერულ კლუბად გამოყენება, მათი გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

საქმის *ზამიტ მამპელი და სხვები მალტის წინააღმდეგ (Zammit Maempel v. Malta)*, № 24202/10, 22 ნოემბერი, 2011 წ., მომჩივანი და მისი ოჯახი ასაჩივრებდნენ, რომ ფეიერვერკების გაშვება, რაც წელიწადში ორჯერ ხდებოდა მათი საცხოვრებლის სიახლოვეს, არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს და საფრთხეს უქმნიდა მათ სიცოცხლესა და საცხოვრებელს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფეიერვერკების მიერ წარმოქმნილი ხმაური ზეგავლენას ახდენდა მომჩივანთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში მე-8 მუხლი არ დარღვეულა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: ხმაურის დონეებს შეეძლოთ, დაეზიანებინათ, სულ მცირე, ერთი მომჩივნის სმენა; ამავდროულად, არ შექმნილა მომჩივანთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის რეალური და გარდაუვალი რისკი; ფეიერვერკების გაშვებამ ასევე დააზიანა მომჩივანთა საკუთრება, თუმცა ზიანი მინიმალური და ანაზღაურებადი იყო; გარდა ამისა, მალტის სახელმწიფო უწყებებისათვის ცნობილი იყო ფეიერვერკთან დაკავშირებული საფრთხეები და მათ შექმნილი ჰქონდათ სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანებისა და საკუთრების დაცვას; და ბოლოს, როდესაც მომჩივანმა შეიძინა საკუთრება, მისთვის ცნობილი იყო სიტუაცია, რასაც ასაჩივრებდა იგი და მისი ოჯახი.

საქმეზე *გრემკოვსკაია უკრაინის წინააღმდეგ (Grimkovskaya v. Ukraine)* № 38182/03, 21 ივლისი, 2011 წ., მომჩივანი ასაჩივრებდა 1998 წელს სამანქანე გზის მარშრუტის შეცვლასა და მის გადატანას ქუჩაზე, რომელიც ექვსი მეტრი იყო სიგანეში, საცხოვრებელ კვარტალში გადიოდა და საერთოდ შეუფერებელი იყო

ტრანსპორტის გადატვირთული მოძრაობისათვის. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ქუჩის რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფა დაბინძურებისა და სხვა შემაწუხებელი ფაქტორების გაკონტროლების მიზნით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება რთული ამოცანა იყო, რაც დიდ დროსა და რესურსს მოითხოვდა სახელმწიფოსაგან და მას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ იმის გამო, რომ ტრანსპორტის საცხოვრებელ უბანში გავლის ნებართვა გასცა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ უკრაინის მთავრობამ არ ჩაატარა გარემოსდაცვითი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებულობის კვლევა ამ ქუჩის სამანქანე გზად გამოყენებამდე. მთავრობას არც საკმარისი ძალისხმევა გაუწევია გზის საზიანო ზეგავლენის შესამსუბუქებლად. გარდა ამისა, მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლოში გაესაჩივრებინა სახელმწიფოს ავტოსაგზაო პოლიტიკა, რადგანაც მისი სამოქალაქო სარჩელის განხილვა შეწყდა არაადეკვატური დასაბუთებით და სასამართლომ არ მოისმინა მისი არგუმენტები.

საქმეზე *ბორი უნგრეთის წინააღმდეგ (Bor v. Hungary)*, № 50474/08, 18 ივნისი, 2013 წ., მოსარჩელე, რომლის საცხოვრებელი მდებარეობდა რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე ქუჩაზე, ასაჩივრებდა უკიდურესად შემაწუხებელ ხმაურს, რაც გამოწვეული იყო 1988 წლიდან მატარებლების ორთქლის ძრავების დიზელის ძრავებით შეცვლით, ხოლო ხელისუფლებამ ეფექტიანად და დროულად ვერ უზრუნველყო სარკინიგზო კომპანიის მიერ ხმაურის დონის გაკონტროლება. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა სარჩელი შეიტანა 1991 წელს, რათა ხელისუფლებას კომპანიისათვის დაეკისრებინა ვალდებულება, აეშენებინა ხმაურის შემაკავებელი ბარიერი, ხმაურის შესამცირებლად პირველი ღონისძიებები მხოლოდ 2010 წელს განხორციელდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ უნგრეთმა ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება და ვერ უზრუნველყო მომჩივნის საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სანქციების სისტემის არსებობა არ არის საკმარისი, თუ იგი არ იქნებოდა გამოყენებული დროულად და ეფექტიანად. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ უნგრეთის სასამართლოებმა 16 წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს მომჩივნის პრობლემების გადაჭრა.

საქმეზე *ბრანდუსი რუმინეთის წინააღმდეგ (Brândușe v. Romania)*, № 6586/03, 7 აპრილი, 2009 წ., მომჩივანი ასაჩივრებდა შემაწუხებელ სუნს, რასაც გამოსცემდა ყოფილი ნაგავსაყრელი, რომელიც ოცი მეტრის დაშორებით მდებარეობდა ციხიდან, სადაც მომჩივანი იხდიდა სასჯელს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო საჭირო ღონისძიებების გატარება ნაგავსაყრელიდან მომავალი შემაწუხებელი სუნის პრობლემის მოსაგვარებლად. საქმის მასალებში მითითებული იყო, რომ ნაგავსაყრელი ფუნქციონირებდა 1998

წლიდან 2003 წლამდე, ხოლო ნარჩენების მზარდი რაოდენობა ადასტურებდა, რომ ნაგავსაყრელით 2003 წლის შემდგომაც სარგებლობდნენ კერძო მოქალაქეები. ყოველივე ეს კი ხდებოდა, ვინაიდან ხელისუფლებამ არ გაატარა ნაგავსაყრელის დასახურად ეფექტიანი ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, მთელი ამ დროის განმავლობაში ნებადართული არ იყო ნაგავსაყრელის გამოყენება. თუმცა ხელისუფლება ვალდებული იყო, ჩაეტარებინა წინასწარი კვლევა და შეეფასებინა დაბინძურების შედეგები, ეს გაკეთდა მხოლოდ 2003 და 2006 წლებში, ნაგავსაყრელზე გაჩენილი ხანძრის შემდეგ.

საქმის *ძემიუკი უკრაინის წინააღმდეგ (Dzemyuk v. Ukraine)*, № 42488/02, 4 სექტემბერი, 2014 წ., მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ მისი საცხოვრებლის ახლოს სასაფლაოს მშენებლობამ გამოიწვია სასმელი და სარწყავი წყლის დაბინძურება, რის გამოც მისი სახლი გახდა საცხოვრებლად უვარგისი, ხოლო მიწა – გამოუსადეგარი. იგი ასევე ასაჩივრებდა, რომ აწუხებდა დაკრძალვის ცერემონიები. მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფომ ვერ შეძლო საბოლოო და სამართლებრივად სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რომლითაც სასაფლაო უკანონოდ იქნა ცნობილი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ მომჩივნის საცხოვრებლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ მომხდარა „კანონის თანახმად“. სასამართლომ აღნიშნა, რომ უკრაინის მთავრობა სადავოდ არ ხდიდა იმ ფაქტს, რომ სასაფლაო აშენდა და გამოიყენებოდა ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევით. ასევე უგულვებელყოფილ იქნა გარემოსდაცვითი ორგანოების დასკვნა. ეროვნული სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა სასაფლაოს დახურვას, არ აღსრულებულა და წყლის დაბინძურების, ჯანმრთელობისა და გარემოს საფრთხეებთან დაკავშირებით არაფერი გაკეთებულა.

6.1. მტკიცებულებათა ამოღება და ჩხრეკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საცხოვრებლის ან კერძო საკუთრების ჩხრეკამ ან ანალოგიურმა საგამომიებო მოქმედებებმა შეიძლება ხელყოს საცხოვრებლის პატივისცემის უფლება.

საქმეზე *ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (Funke v. France)*, 25 თებერვალი, 1993, Series A no. 256-A, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„სასამართლო აღიარებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა შეიძლება საჭიროდ მიიჩნიონ ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა საცხოვრებლის ჩხრეკა და ამოღება, რათა მოიპოვონ სამართალდარღვევათა მტკიცებულებები და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელონ ამ პასუხისმგებელ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა. მიუხედავად ამისა, შესაბამისმა კანონმდებლობამ

და პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიები თვითნებობის წინააღმდეგ.“

საქმეში *ბუქი გერმანიის წინააღმდეგ (Buck v. Germany)*, № 41604/98, ECHR 2005-IV, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ წვრილმანი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს, რათა მოხდეს საცხოვრებლის ჩხრეკის საჭიროების შეფასება. სასამართლოს განმარტებით, ამ საქმეში დანაშაული, რომლის მიმართაც გაიცა ბრძანება ჩხრეკის შესახებ, შეეხებოდა საგზაო მოძრაობის წესის უბრალო დარღვევას. ასეთი წესის დარღვევა წვრილმანი დანაშაულია, რომელიც არის უმნიშვნელო და, აქედან გამომდინარე, ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულთა კატეგორიიდან, გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, საქმე ეხებოდა ადამიანის მსჯავრდებას, რომელზეც საერთოდ არ ყოფილა რეგისტრირებული ჩანაწერი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, კონკრეტული დარღვევა ჩადენილ იქნა მანქანით, რომელიც ეკუთვნოდა მომჩივნის მფლობელობაში არსებულ კომპანიას, სამართალწარმოება, რომლის დროსაც ჩატარდა ჩხრეკა და ამოღება, მიმართული იყო არა თავად მოსარჩელის, არამედ მისი შვილის წინააღმდეგ, რომელიც იყო მესამე მხარე; და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის სამუშაო და საცხოვრებელი შენობების ჩხრეკის საჯაროობა ქალაქში, რომელშიც 10 000 მოსახლე ცხოვრობს, სავარაუდოდ, უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა მის პირად რეპუტაციაზე და მის მფლობელობასა და მმართველობაში არსებულ კომპანიაზე. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად მომჩივანი არ იყო ექვიტანტი რაიმე დანაშაულში ან დარღვევაში. ის ფაქტი, რომ ბრძანება გაცემული იყო ჩხრეკისა და ამოღების შესახებ მართლწესრიგის უმნიშვნელო დარღვევის გამო, რომელიც, სავარაუდოდ, ჩაიდინა მესამე პირმა და მოიცავდა მომჩივნის კერძო საცხოვრებელ შენობებს, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა არ შეიძლება მიჩნეულიყო დასახულ კანონიერ მიზანთან პროპორციულად.

საქმეზე *იმაკაიევა რუსეთის წინააღმდეგ (Imakayeva v. Russia)*, № 7615/02, ECHR 2006-XIII (ამონარიდები), ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა, რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოების მონაწილეობა ჩხრეკის ან ამოღების აუცილებლობის განსაზღვრისას. ამ საქმეზე **ევროპულმა** სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ორგანოებს არავითარი ჩხრეკის ორდერი არ წარუდგენიათ მომჩივანისთვის. გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა, ასეთი ორდერი საერთოდ არ ყოფილა გაცემული არც ჩხრეკამდე და არც მის შემდეგ. მთავრობამ ვერ წარუდგინა ევროპულ სასამართლოს რაიმე დეტალები ჩხრეკის მიზეზების შესახებ, რაიმე ჩანაწერი ქმედების ლეგიტიმურობის ან ამ ქმედების საპროცესო მნიშვნელობის დასადასტურებლად. მთავრობა ვერ ასახელებდა რაიმე ინფორმაციას იმაკაიევას საცხოვრებელში ამოღებული ნივთების შესახებ, რადგან, მისი მტკიცებით, ისინი განადგურდა. სასამართლოს აზრით, მთავრობის ერთადერთი მითითება, რომ ხსენებული ჩხრეკა ემსახურებოდა ტერორისტული აქტის აღკვეთას, ვერანაირად ჩაანაცვლებდა მოსამართლის მიერ გაცემულ ჩხრეკის ინდივიდუალურ ნებართვას.

საქმის *კიგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keegan v. the United Kingdom)*, № 28867/03, ECHR 2006-X, მიხედვით, პოლიციამ მიიღო ორდერი მაგისტრატის მოსამართლისაგან მას შემდეგ, რაც მიაწოდა ინფორმაცია მოსამართლეს ვარაუდის შესახებ, რომ ძარცვისაგან მიღებული შემოსავალი ინახებოდა მისამართზე, რომელსაც იყენებდა ერთ-ერთი ექვმიტანილი მძარცველი.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, უფლებამოსილების გამოყენება საცხოვრებელსა და პირად ცხოვრებაში ჩარევის მიზნით დასაშვებია უნდა იყოს გონივრულ ფარგლებში, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ასეთი ღონისძიებების ზემოქმედება პირის საცხოვრებელსა და პირად ცხოვრებაზე, რაც გარანტირებულია მე-8 მუხლით. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ უმნიშვნელოვანესი განმარტება გააკეთა, რომ ნებისმიერი ჩხრეკა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს წარუმატებელი, არ უნდა იქნეს მიჩნეული უკანონოდ.

7. კომუნიკაცია

მიმოწერის/კომუნიკაციის პატივისცემის უფლება მჭიდრო კავშირშია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან. თუ, ტრადიციული გაგებით, მიმოწერა მოიცავს წერილების ან სხვა დოკუმენტაციის გაგზავნასა და მიღებას ფოსტის მეშვეობით, ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეს კონცეფცია, ამავე დროს, გულისხმობს სატელეფონო კომუნიკაციას²¹⁰ და ტელექსით გადაცემულ შეტყობინებებსაც.²¹¹ ვინაიდან XXI საუკუნეში კომუნიკაციის მეთოდები ბევრად უფრო სრულყოფილი გახდა და სწრაფად ვითარდება, ევროპულმა სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ეს კონცეფცია ისე განემარტა, რომ ამ უკანასკნელმა ფეხი აუწყოს ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა კომუნიკაციის ახალ მეთოდებს, როგორებიცაა: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და ა.შ. ამასთანავე, უფლებაში ჩარევისაგან სამართლებრივი დაცვის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს გამოყენებული კომუნიკაციის ტიპის მიხედვით.

როგორც აღინიშნა, პირადი ცხოვრება არის ფართო კონცეფცია, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ დეფინიციას.²¹² როგორც ჯერ კიდევ 1992 წელს ევროპულმა სასამართლომ განაცხადა *საქმეზე ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany)*, 16 დეკემბერი, 1992, § 29, Series A no. 251-B:

²¹⁰ *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass and others v. Germany)*, 6 სექტემბერი, 1978, § 41, Series A no. 28-ე პარაგრაფი .

²¹¹ *კრისტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Christie v. the United Kingdom)* (განჩინება), №[21482/93](#), 1994 წლის 27 ივნისი.

²¹² *კოსტელო-რობერტის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom)*, 25 მარტი, 1993, §36, Series A no. 247-C.

„[პირადი ცხოვრების] ცნების „ურთიერთობათა შემოფარგვლა მხოლოდ შიდა წრით“, რომელშიც ადამიანი შეიძლება მის მიერ არჩეული თავისი პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, ძალზე შეზღუდული იქნებოდა. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პირადი ცხოვრება აუცილებლად მოიცავს სხვა ადამიანებსა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების უფლებას და, ამასთანავე, კომუნიკაციას ნებისმიერი საშუალებით.

დღევანდელ რეალობაში კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა სატელეფონო და ინტერნეტით კავშირია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მონაწილე სხვადასხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებთან მიმართებით მიიღო მრავალი გადაწყვეტილება, რომლებიც უკავშირდებოდა: სატელეფონო და ინტერნეტით კომუნიკაციაზე განხორციელებულ კონტროლს, შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობებს, რომელთა საფუძველზეც ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს ფარული მოსმენა და თვალთვალი, მოქმედი კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან.

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა, რომ მართლზომიერად იქნეს მიჩნეული პირის პირად ცხოვრებასა თუ მიმოწერაში განხორციელებული ჩარევა, აუცილებელია, ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებაში ჩარევის შესაძლებლობა განსაზღვრული იყოს მოქმედი კანონმდებლობით. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ კანონმდებლობის არსებობა, რომელიც იძლევა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან პირადი ცხოვრების ან მიმოწერის უფლებაში ჩარევის შესაძლებლობას, არ არის საკმარისი, ჩარევა მართლზომიერად ჩაითვალოს. მოთხოვნა, რომ შეზღუდვა იყოს „კანონის შესაბამისად“, რომელიც მოცემულია კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში, არ ადგენს მხოლოდ იმას, რომ უფლებაში განხორციელებული სადავო ჩარევას ჰქონდეს საკანონმდებლო საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ასევე მიუთითებს თავად კანონის ხარისხზე და მოითხოვს, რომ კანონი იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი პირისათვის, რომელსაც უნდა შეეძლოს, განჭვრიტოს კანონის შედეგები მასთან მიმართებით და, ამავე დროს, კანონი უნდა აკმაყოფილებდეს სიცხადის მოთხოვნას.²¹³

კანონი უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი: კომუნიკაციის ფარულ მონიტორინგთან მიმართებით, კანონი საკმარისად ნათელი უნდა იყოს და შესაძლებლობას აძლევდეს ადამიანებს, იცოდნენ იმ პირობებისა და გარემოებების

²¹³ *კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Kruslin v. France)*, 24 აპრილი, 1990 წ., § 27, Series A no. 176-A-ე პარაგრაფი ; *ჰიუვიგი საფრანგეთის წინააღმდეგ (Huvig v. France)*, -ე პარაგრაფი , 24 აპრილი, 1990, § 26, Series A no. 176-B; *კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ (Kopp v. Switzerland)*, 25 მარტი, 1998 წ., § 55, Reports of Judgments and Decisions 1998-II-ე პარაგრაფი ; *ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ (Amann v. Switzerland)*, დიდი პალატა, № 27798/95, § 50, ECHR 2000-II-ე პარაგრაფი .

შესახებ, რომელთა არსებობის შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოებს წარმოეშობათ უფლებამოსილება, განახორციელონ პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის პატივისცემის უფლებაში ფარული და პოტენციური ჩარევა.²¹⁴ იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელიც თან ახლავს ფარულ თვალთვალთან დაკავშირებულ ნებისმიერ სამართლებრივ სისტემას, ეს ღონისძიებები განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს ნათელი, რადგან თვალთვალის განსახორციელებელი ტექნოლოგია სულ უფრო და უფრო სრულყოფილი და დახვეწილი ხდება.²¹⁵

ადამიანის კომუნიკაციასთან მიმართებით ფარული თვალთვალის განხორციელებისას, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში თვითნებური ჩარევის თავიდან ასაცილებლად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში განსაზღვრა შემდეგი მინიმალური გარანტიები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობები:

ა) კანონი უნდა განსაზღვრავდეს დანაშაულის სახეების ჩამონათვალს, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც შეიძლება გაიცეს ფარული თვალთვალის ან კომუნიკაციის მონიტორინგის ბრძანება და კანონი უნდა განსაზღვრავდეს იმ პირთა კატეგორიას, რომელთა კომუნიკაციის კონტროლიც დაიშვება გარკვეულ გარემოებებში;

ბ) კანონი მკაცრად უნდა განსაზღვრავდეს კომუნიკაციის კონტროლის ან ფარული თვალთვალის ვადებსა და ხანგრძლივობას;

გ) კანონი ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოკვლევის, გამოყენებისა და შენახვის, ისევე როგორც ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემის პროცედურებს;²¹⁶

დ) ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან ერთად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ფარული თვალთვალის ან კომუნიკაციის მონიტორინგის განხორციელებისას არ წარმოებს უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებით საჯარო კონტროლი, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ჯეროვან გარანტიებს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად ან თვითნებურად გამოყენების საწინააღმდეგოდ.²¹⁷ ამ გარანტიების შეფასებისას ევროპული სასამართლო ყურადღებას აქცევს საქმის ყველა გარემოებას,

²¹⁴ *ვალენსუელა კონტრერასი ესპანეთის წინააღმდეგ (Valenzuela Contreras v. Spain)*, 30 ივლისი, 1998 წ., § 46, Reports of Judgments and Decisions 1998-V-ე პარაგრაფი ; *ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Khan v. the United Kingdom)*, № 35394/97, 2000 წლის 12 მაისი.

²¹⁵ იხილეთ *Kruslin*, p. 23, § 33; *Huvig*, p. 55, § 32; *Amann*, § 56 *in fine*; და *Weber and Saravia*, § 93, ყველა ციტირებულია მაღლა.

²¹⁶ *ვებერი და სავარია გერმანიის წინააღმდეგ (Weber and Saravia v. Germany)* (განჩინება), № 54934/00, § 95, ECHR 2006-XI.

²¹⁷ *კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, 54-56 პარაგრაფები, Series A no. 28.

მათ შორის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განხორციელებული და ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებული ღონისძიების ხასიათს, ფარგლებსა და ხანგრძლივობას, ღონისძიების გატარების საფუძვლებს, იმ ორგანოების უფლებამოსილებასა და კომპეტენციას, რომლებსაც შეუძლიათ, გასცენ ნებართვა შესაბამისი ღონისძიების განხორციელებაზე, აღასრულონ ეს ღონისძიება და ზედამხედველობა გაუწიონ ფარული საგამომიებო ღონისძიების ჯეროვნად აღსრულებას;

ე) ევროპული სასამართლოს მხრიდან გარანტიების შეფასებისას ასევე დიდი ყურადღება ექცევა, სამართლებრივი დაცვის რა საშუალებებს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ ხორციელდება ფარული თვალთვალი (კომუნიკაციის კონტროლი), ან რომლებიც ასაჩივრებენ მათ მიმართ ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულ პოტენციურ თვალთვალს.²¹⁸

როგორც აღინიშნა, კანონი უნდა განსაზღვრავდეს დანაშაულის სახეების ჩამონათვალს, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც შეიძლება გაიცეს ფარული თვალთვალის ან კომუნიკაციის მონიტორინგის ბრძანება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ეხება ფარული თვალთვალისა და კომუნიკაციის მონიტორინგს, უნდა განსაზღვრავდეს დანაშაულის სახეების ჩამონათვალს, რომელთა ჩადენის (ან პოტენციური საშიშროების) შემთხვევაში შეიძლება გაიცეს ბრძანება ფარული თვალთვალის ან კომუნიკაციის კონტროლის შესახებ.

საქმეზე *იორდაჩი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (Iordachi and Others v. Moldova)*, № 25198/02, 10 თებერვალი, 2009 წ., ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მოლდოვის კანონმდებლობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ არაჯეროვნად განსაზღვრავდა დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა ჩადენის (ან პოტენციური საშიშროების) შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო კომუნიკაციის კონტროლის ან ფარული თვალთვალის გამოყენება. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ კი 156.1 მუხლი, ითვალისწინებდა დანაშაულთა კატეგორიის ჩამონათვალს, არც კანონი ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შესახებ და არც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავდა, თუ რა სახის ქმედებები იგულისხმებოდა შემდეგი ტერმინებით: „ეროვნული უსაფრთხოება“, „საჯარო მართლწესრიგი“, „ჯანმრთელობის დაცვა“, „ზნეობის დაცვა“, „სხვათა უფლებებისა და ინტერესების დაცვა“, „ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები“. კანონმდებლობა ასევე არ განსაზღვრავდა იმ გარემოებებს, როდესაც პირს შეიძლება დამუქრებოდა ფარული თვალთვალის ან მისი კომუნიკაციის კონტროლის საფრთხე ზემოხსენებული რომელიმე გარემოების საფუძველზე.

²¹⁸ *კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, 50-ე პარაგრაფი პარაგრაფი, Series A no. 28.

საქმეზე *კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kennedy v. the United Kingdom)*, № 26839/05, § 159, 18 მაისი, 2010 წ., ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანონის განჭვრეტადობის პირობა არ მოითხოვს სახელმწიფოსაგან იმ კონკრეტული დანაშაულების ამომწურავი ჩამონათვალის განსაზღვრას შესაბამის კანონმდებლობაში, რომელთა განხორციელების ან პოტენციური საშიშროების შემთხვევაში ნებადართულია ფარული თვალთვალის ან კომუნიკაციის კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, სასამართლომ კვლავ დაადასტურა, რომ კანონში ასახული უნდა იყოს შესაბამისი დანაშაულების კატეგორიები. გაერთიანებული სამეფოს შესაბამისი კანონმდებლობა RIPA და, კერძოდ, მისი მე-5 თავი უფლებას აძლევდა შინაგან საქმეთა მინისტრს, მისი ბრძანების საფუძველზე ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, მძიმე დანაშაულის აღკვეთის ან გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვის მიზნით განხორციელებულიყო ფარული თვალთვალი ან კომუნიკაციის მონიტორინგი. მომჩივნის აზრით, ტერმინი ეროვნული უშიშროება და მძიმე დანაშაული არასაკმარისად ნათლად იყო კანონმდებლობაში განმარტებული და ფართო დისკრეციას აძლევდა ხელისუფლების ორგანოებს. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მომჩივანს და დაადგინა, რომ სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ვალდებულება, კანონმდებლობით ამომწურავად განსაზღვრონ ის დანაშაულები, რომელთა ჩადენის ან პოტენციური საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაიშვება კომუნიკაციის მონიტორინგის განხორციელება. სასამართლოს განმარტებით, საფრთხე, რომელმაც შეიძლება ხელყოს ეროვნული უშიშროების ინტერესები, შეიძლება განსხვავდებოდეს თავისი ბუნებით და მოულოდნელად წარმოიშვას და ძალიან რთულია მისი განსაზღვრა. ამასთანავე, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა დამატებით აზუსტებდა, როგორ უნდა განმარტებულიყო ეს ტერმინი. კერძოდ, ის მოცემული იყო RIPA-ს კანონმდებლობით განსაზღვრული ფარულ თვალთვალსა და კომუნიკაციის კონტროლის მართლზომიერებაზე ზედამხედველი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის, შესაბამისი კომისრის განმარტებებში, რომელთა თანახმად, ეროვნული უშიშროების კონცეფცია გულისხმობს ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას და მიზნად ისახავს საპარლამენტო დემოკრატიის ხელყოფას პოლიტიკური, სამეწარმეო თუ ძალადობრივი ხერხებით. რაც შეეხება მძიმე დანაშაულის კონცეფციას, იგი დაზუსტებული იყო RIPA-ს კანონის განმარტებით დებულებებში. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი პირისათვის, რომლის მიმართ ხორციელდებოდა ან პოტენციურად განხორციელდებოდა ფარული თვალთვალი, კანონმდებლობა ნათლად განმარტავდა იმ პირობებსა და დანაშაულის კატეგორიებს, რომელთა დადგომის შემთხვევაშიც ადამიანის მიმართ დაიშვებოდა ფარული თვალთვალი. იორდაჩის საქმისაგან განსხვავებით, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა იძლეოდა ზოგადი ტერმინების განმარტებას, მაშინ, როდესაც იორდაჩის საქმის შემთხვევაში, მოლდოვის კანონმდებლობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი ტერმინებით და არსად არ იყო მოცემული ამ ზოგადი ტერმინების განმარტება.

რაც შეეხება პირთა წრის განსაზღვრის მოთხოვნას, ეს კრიტერიუმი ევროპულმა სასამართლომ ამომწურავად განმარტა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განხილულ ორ საქმეზე, კერძოდ, საქმეზე *ლიბერთი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Liberty and Others v. the United Kingdom)*, № 58243/00, 1 ივლისი, 2008 წ. და ზემოხსენებულ საქმეზე კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Kennedy v. the United Kingdom*) (ციტირებულია მაღლა). პირველ საქმეზე ფარული თვალთვალის შესახებ 1985 წლის კანონი განსაკუთრებით ფართო დისკრეციას ანიჭებდა ხელისუფლების ორგანოებს, და აძლევდა მათ ყველა კომუნიკაციის კონტროლის უფლებას, რომელიც ხორციელდებოდა გაერთიანებულ სამეფოში მყოფ პირსა და საზღვარგარეთ მყოფ ნებისმიერ პირს შორის. შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ შეუზღუდავი უფლებამოსილება, განეხორციელებინათ ყველა საერთაშორისო ზარის მონიტორინგი. ამასთანავე, მოქმედი კანონი ასევე შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებდა ხელისუფლების ორგანოებს, მოესმინათ ან წაეკითხათ ყველა ტიპის კომუნიკაცია, რომელთა მოხსნასაც განახორციელებდნენ. 1985 წლის კანონის თანახმად, იმ პირთა შეუზღუდავ წრეს, რომლის კომუნიკაციის კონტროლის განხორციელებაც გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ, არ გააჩნდა შესაძლებლობა, რაიმე სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება გამოეყენებინა და გაესაჩივრებინა კომუნიკაციის განხორციელებული თუ პოტენციური კონტროლი. აქედან გამომდინარე, ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა შესაბამის პირებს ჯეროვანი სამართლებრივი დაცვის გარანტიებით და, პოტენციურად, უშვებდა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან თვითნებობის მაღალ ალბათობას.

ზემოხსენებულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში იდენტიფიცირებული ხარვეზები სრულად იქნა გათვალისწინებული და აღმოფხვრილი გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ RIPA-ს კანონმდებლობის შემუშავებისას. საქმის *კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kennedy v. the United Kingdom)* (ციტირებულია მაღლა)²¹⁹ განხილვისას სასამართლოს უნდა შეეფასებინა, შეესაბამებოდა თუ არა RIPA-ს კანონმდებლობა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 1985 წლის კანონის საწინააღმდეგოდ, რომელიც ეხებოდა საზღვარგარეთ განხორციელებული კომუნიკაციის შეუზღუდავ კონტროლს, RIPA-ს კანონმდებლობა ეხებოდა მხოლოდ შესაბამის ბრძანებაში მითითებულ და გაერთიანებული სამეფოს საზღვრებს შიგნით მყოფი ერთი პირის მიერ განხორციელებულ, ან ერთი კონკრეტული შენობიდან წარმოებული კომუნიკაციის კონტროლს და მნიშვნელოვნად ზღუდავდა ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას. RIPA-ს კანონმდებლობა მკაცრად მოითხოვდა ხელისუფლების ორგანოებისაგან, რომ ფარულ თვალთვალთან ან კომუნიკაციის კონტროლთან დაკავშირებულ ბრძანებაში ნათლად ყოფილიყო მითითებული შესაბამისი პირის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი (ნომრები),

²¹⁹ 159-ე პარაგრაფი.

მისამართი და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. 1985 წლის კანონისაგან განსხვავებით, RIPA-ს კანონმდებლობა კატეგორიულად კრძალავდა კომუნიკაციის განურჩეველ კონტროლს. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ხსენებული კანონმდებლობა ჯეროვნად აწესრიგებდა პირთა წრის საკითხს, რომლის წინააღმდეგ დაიშვებოდა ფარული თვალთვალი ან კომუნიკაციის კონტროლი და არ აძლევდა შეუზღუდავ უფლებამოსილებას ხელისუფლების ორგანოებს ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, კანონმდებლობა მკაცრად უნდა განსაზღვრავდეს კომუნიკაციის კონტროლის ან ფარული თვალთვალის ვადებსა და ხანგრძლივობას. ადამიანის კომუნიკაციის კონტროლი მართლზომიერად რომ ჩაითვალოს და, ამავე დროს, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი სახის თვითნებობა, ევროპული სასამართლო ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევს ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის ვადებსა და ხანგრძლივობას.

საფრანგეთის წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეზე *ჰიუვიგი საფრანგეთის წინააღმდეგ (Huwig v. France)*, 24 აპრილი, 1990 წ., Series A no. 176-B, *კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Kruslin v. France)*, 24 აპრილი, 1990 წ., Series A no. 176-A, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა არ აწესებდა რაიმე სახის ვადებს ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის თვალსაზრისით. შესაბამისად, საფრანგეთის მოსამართლეებს შეეძლოთ, დროში შეუზღუდავად გაეცათ ბრძანება კონკრეტული ადამიანის თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა დარღვევა საქმეზე – *ლამბერტი საფრანგეთის წინააღმდეგ (Lambert v. France)*, 24 აგვისტო, 1998 წ., Reports of Judgments and Decisions 1998-V, რომელშიც მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მას არ გააჩნდა შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა გამომძიებელი მოსამართლის მიერ მისი სატელეფონო კომუნიკაციის კონტროლის განხორციელებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებული ბრძანება ამ უკანასკნელის ხანგრძლივობის მართლზომიერების კუთხით. ამ საქმეში, საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ იმ პირს შეეძლო კომუნიკაციის კონტროლის განხორციელებასა თუ გაგრძელებასთან დაკავშირებული ბრძანების გასაჩივრება, რომლის მიმართ საჩივრის შეტანის მომენტში ხორციელდებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ყველა სხვა პირს, რომელმაც თუნდაც მოგვიანებით შეიტყო მის მიმართ განხორციელებული ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის შესახებ, ჩამორთმეული ჰქონდა გასაჩივრების უფლება.

კომუნიკაციის კონტროლისა და ფარული თვალთვალის ვადის კრიტერიუმთან მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *იორდაჩი და სხვები მოლდოვის*

წინააღმდეგ (Iordachi and Others v. Moldova), № 25198/02, 10 თებერვალი, 2009 წ. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და ამ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოლდოვის კანონმდებლობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ ნათლად არ ითვალისწინებდა კომუნიკაციის კონტროლის ვადებს და არაჯეროვნად აყალიბებდა მათ. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენდა ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის განხორციელებისათვის ექვსთვიან ვადას, სადავო კანონმდებლობის არც ერთი სხვა დებულება არ უკრძალავდა ხელისუფლების ორგანოებს, კერძოდ კი შესაბამის საგამომიებო ორგანოებს, რომ ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდგომ კვლავ მოეთხოვათ და მიეღოთ მოსამართლისაგან ახალი ნებართვა ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის განხორციელების შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დროში შეზღუდვა მოქმედებდა მხოლოდ ვირტუალურად და რეალობაში შესაძლებელი იყო, ხელისუფლების ორგანოებს შეუზღუდავად მოეთხოვათ და მიეღოთ ეროვნული მოსამართლისაგან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების უფლება შესაბამის ფიზიკურ პირსა თუ ორგანიზაციასთან მიმართებით.

კომუნიკაციის კონტროლის ვადებისა და ხანგრძლივობის შეფასებისას ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლებრივი დაცვის იმ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს პირს ეროვნული კანონმდებლობის ან დადგენილი პრაქტიკის თანახმად. ერთ-ერთ საქმეზე *კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kennedy v. the United Kingdom)* (ციტირებულია მაღლა)– ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების შეზღუდვასთან დაკავშირებული ღონისძიების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო საქმის სირთულესა და ამ საქმესთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების ხანგრძლივობაზე.²²⁰ როდესაც ქვეყანაში არსებობს სამართლებრივი დაცვისა და თვითნებობის აღკვეთის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი საშუალებები, არ შეიძლება, არაგონივრულად ჩაითვალოს, რომ ხელისუფლებას ჰქონდეს კომპეტენცია, თავად განსაზღვროს და დაადგინოს მოსმენისა თუ ფარული თვალთვალის ხანგრძლივობა. როგორც აღინიშნა, ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა RIPA-ს კანონმდებლობით ჩამოყალიბებულ საზედამხედველო სისტემაზე, რომლის თანახმად, კომუნიკაციების კომისარს ეკისრებოდა ვალდებულება, ზედამხედველობა განეხორციელებინა ფარულ თვალთვალსა და კომუნიკაციის კონტროლთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე. ამასთანავე, კომისარის ვალდებულება იყო მოქალაქეების დაცვა მათ პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევისაგან და მთავრობისათვის რჩევების მიცემა, როგორ უნდა უზრუნველყო, ერთი მხრივ, ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტიანი დაცვა და, მეორე მხრივ, როგორ უნდა განეხორციელებინა ჯეროვნად, კანონიერად და სამართლიანად ადამიანის პირადი

²²⁰ 159-ე პარაგრაფი.

ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა, როდესაც ეს განპირობებული იყო მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით. ევროპულმა სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ RIPA-ს კანონმდებლობით, კომისარი დამოუკიდებელი იყო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან და ეკავა მოსამართლის მაღალი თანამდებობა. იგი ყოველწლიურად წარუდგენდა ანგარიშს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს და მისი მოხსენება საჯარო იყო. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ეს მექანიზმი ჯეროვან გარანტიად მიიჩნია, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული თვითნებობა პირად ცხოვრებაში ჩარევის ვადების განსაზღვრისას.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *უზუნი გერმანიის წინააღმდეგ (Uzun v. Germany)*, №35623/05, § 69, ECHR 2010 (ამონარიდები), რომელშიც მან განაცხადა, რომ დაირღვა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, რადგან გერმანიის სასამართლოებს მუდმივად ჰქონდათ შესაძლებლობა, გადაემოწმებინათ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის მართლზომიერებისა და პროპორციულობის საკითხი. ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ასევე დაადგინა, რომ კანონი ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოკვლევასთან, გამოყენებასა და შენახვასთან, ისევე როგორც ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, რომ მათი ეროვნული კანონმდებლობა და შესაბამისი პრაქტიკა ითვალისწინებდეს ეფექტიან გარანტიებს ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოკვლევის, გამოყენების, განადგურებისა და შენახვის, ისევე როგორც ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემის შესახებ.

საქმეზე *ჰუვიგი საფრანგეთის წინააღმდეგ (Huvig v. France)*,²⁴ აპრილი, 1990, § 34, Series A no. 176-B ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საფრანგეთის კანონმდებლობაში არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული პროცედურა, როგორ უნდა შედგენილიყო ფარული თვალთვალის შედეგად მოხსნილი ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი მოკლე დასკვნა, კერძოდ, მთლიანი ინფორმაციიდან (სატელეფონო საუბრებიდან, რომლის მოხსნაც განხორციელდა) როგორ უნდა ყოფილიყო გამოცალკევებული ის ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც საჭირო იყო კონკრეტული ადამიანის საქმეში. კანონმდებლობა ასევე არ განსაზღვრავდა რაიმე სახის ვალდებულებას, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ მოხსნილი ინფორმაცია წარედგინათ მოსამართლისათვის, ან მოსამართლეს ჰქონოდა შესაძლებლობა, გადაემოწმებინა და გაეკონტროლებინა მოსმენის ან ფარული თვალთვალის წარმართვის მართლზომიერება. და ბოლოს, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რაიმე სახის დებულებას ან გარემოებას, რომლის შემთხვევაშიც მოხსნილი ინფორმაცია უნდა განადგურებულიყო. სხვა სიტყვებით, თუ პირს არ დაედებოდა მსჯავრი შესაბამისი დანაშაულის ჩადენაში ან თუ მას სასამართლო

მოუხსნიდა ბრალდებას, ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რაიმე სახის დებულებას, რომელიც დაავალდებულებდა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, გაენადგურებინათ მოპოვებული ინფორმაცია ფარული მოსმენის ან თვალთვალის შედეგად კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, რომელშიც პირი არ იქნა მსჯავრდებულად ცნობილი.

ფარული მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების პროცედურა არაჯეროვნად მიიჩნია ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *იორდაჩი მოლდოვის წინააღმდეგ (Iordachi v. Moldova)*, № 25198/02, 10 თებერვალი, 2009 წ., რომელშიც განაცხადა, რომ მოლდოვის კანონმდებლობა და, კერძოდ, კანონი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ, არ ითვალისწინებდა რაიმე სახის პროცედურას, რა წესით უნდა გადარჩეულიყო ფარულად მოპოვებული ინფორმაცია, რომელი უნდა შენახულიყო და რომელი არა, რა პროცედურა უნდა გამოყენებულიყო, რომ მომხდარიყო ამ ინფორმაციის დაცვა და კონფიდენციალობა და რა შემთხვევაში უნდა განადგურებულიყო ეს ინფორმაცია. ყოველივე ზემოხსენებული გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ევროპული სასამართლო ასევე შეეხო კანონმდებლობაში შესაბამისი პროცედურების არარსებობას საქმეში *ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა ასოციაცია და ეკიმძიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Association for European Integration and Human Rights and Ekimdzhiev v. Bulgaria)*, № 62540/00, 28 ივნისი, 2007 წ. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა სასამართლომ განაცხადა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობით, ხელისუფლების ორგანოების მიერ ფარულად მოპოვებული ინფორმაციის განკარგვის უფლებამოსილება აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს. შესაბამისად, ხსენებული თანამდებობის პირი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მხრიდან რაიმე სახის კონტროლის გარეშე, უფლებამოსილი იყო, თავად მიეღო გადაწყვეტილება, რა ბედი უნდა სწეოდა მოხსნილ ინფორმაციას, უნდა გადასცემოდა თუ არა იგი მესამე მხარეს და ა.შ. ვინაიდან ბულგარეთის კანონმდებლობა შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებდა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს მოპოვებული მტკიცებულებების შემდგომი ბედის განკარგვასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო პოზიცია ჩამოაყალიბა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ვებერი და სავარია გერმანიის წინააღმდეგ (Weber and Saravia v. Germany)* (განჩინება), №54934/00, ECHR 2006-XI, რომელშიც, სასამართლომ ზემოხსენებული საქმეებისაგან განსხვავებით, მიუთითა, რომ გერმანიის კანონმდებლობა, რომელშიც შესწორებები შეიტანა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ, ძალიან მკაცრ კრიტერიუმებს ადგენდა ერთი უწყების მიერ მეორე უწყებისათვის ფარულად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებით და ამის განხორციელების მიზანშეწონილობის გადაწყვეტის საკითხს უქვემდებარებდა მოსამართლეს. შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების

ორგანოებს მნიშვნელოვნად ჰქონდათ შეზღუდული თვითნებობის განხორციელების შესაძლებლობა.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა ჯეროვანი გარანტიების არსებობის საჭიროება საქმეზე *კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kennedy v. the United Kingdom)* (ციტირებულია მაღლა), რომელშიც RIPA-ს კანონმდებლობა ვალდებულებას აკისრებდა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მას უზრუნველყო მოსმენის ან ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაცვა.²²¹ კერძოდ, შესაბამისი კანონმდებლობა მკაცრად ზღუდავდა იმ პირთა წრეს, რომელსაც შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ფარული თვალთვალის ან მოსმენის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე. ამავე დროს, კანონმდებლობა ასევე ზღუდავდა პირთა იმ წრეს, რომელსაც შეიძლებოდა გადასცემოდა/გამჟღავნებოდა მოპოვებული მასალა და ხსენებულის განხორციელების წინაპირობად ითვალისწინებდა „მასალასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების“ აუცილებლობას. კანონმდებლობა ასევე მკაცრად ითხოვდა, რომ მესამე მხარეს ინფორმაცია გამჟღავნებოდა მხოლოდ იმ მოცულობით, რაც იქნებოდა საჭირო შესაბამისი მიზნის მისაღწევად, ხოლო, როდესაც საკმარისი იქნებოდა მოპოვებული მასალის მოკლე აღწერილობის გადაცემაც კი, მხოლოდ ასეთი მოკლე აღწერილობის გადაცემა იყო ნებადართული. RIPA-ს კანონმდებლობა ასევე მოითხოვდა, რომ ფარული თვალთვალის ან მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, მასალები და ამ მასალების/ინფორმაციის მოკლე აღწერილობა მკაცრად ყოფილიყო დაცული და მინიმუმამდე ყოფილიყო შემცირებული მათი დაკარგვის ან მესამე მხარისათვის უნებართვოდ გამჟღავნების საფრთხე. კერძოდ, შესაბამისი ნებართვის გარეშე მესამე პირს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მისცემოდა უფლება, ხელმისაწვდომობა ჰქონოდა შესაბამის მასალებზე.

რაც შეეხება მოპოვებული მასალის/ინფორმაციის განადგურებას, RIPA-ს კანონმდებლობა მოითხოვდა, რომ, როგორც კი ხსენებული მასალები/ინფორმაცია აღარ იქნებოდა აუცილებელი გამოძიებისათვის, ისინი დაუყოვნებლივ უნდა განადგურებულიყო. კანონმდებლობა დამატებით მოთხოვნას უყენებდა ხელისუფლების ორგანოებს, რომ მათ გონივრული პერიოდულობით გადაეხინჯათ და დაედგინათ კონკრეტული მასალის/ინფორმაციის შენახვა კვლავ აუცილებელი იყო თუ არა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. კანონი ასევე პირდაპირ ავალდებულებდა ხელისუფლების ორგანოებს, შეენახათ და დაეცვათ ყველა ის ბრძანება, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა ფარული მოსმენა/თვალთვალი. ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რათა RIPA-ს კანონმდებლობით დადგენილ მაკონტროლებელ ორგანოს (IPT) და კომისარს შესძლებოდათ, ჯეროვნად გადაემოწმებინათ, რამდენად კანონიერად მოქმედებდნენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები და ხომ არ გადაამეტეს მათ თავიანთ უფლებამოსილებას.

კანონმდებლობის ყველა ზემოხსენებული მოთხოვნა ზედმიწევნით ხორციელდებოდა გაერთიანებულ სამეფოში და, ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ

²²¹ 163-ე პარაგრაფი.

დაადგინა, რომ RIPA-ს კანონმდებლობა და ამ კანონმდებლობის საფუძველზე დამკვიდრებული პრაქტიკა ჯეროვნად იცავდა მოპოვებული მასალების კონფიდენციალობას და, შესაბამისად, საქმეში არ დარღვეულა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროპულმა სასამართლო პრაქტიკამ ასევე დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ჯეროვან გარანტიებს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად ან თვითნებურად გამოყენების საპირისპიროდ. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა გამართლებულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, ეროვნულ დონეზე არსებობდეს ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან გამოვლენილი თვითნებობისაგან დაცვის ჯეროვანი გარანტიები. ხსენებული გარანტიები უნდა მოქმედებდეს:

ა) იმ მომენტამდე, ვიდრე განხორციელდება ფარული მოსმენა/თვალთვალი, რათა თვითნებურად არ იქნეს განხორციელებული პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა;

ბ) მას შემდგომ, რაც შეწყდება ფარული თვალთვალი/მოსმენა, რათა პირს ჯეროვანი შესაძლებლობა მიეცეს, რომ გაასაჩივროს/იდავოს მის უფლებაში ჩარევის მართლზომიერებასთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობაზე უფლებაში ჩარევის მომენტამდე ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს კანონმდებლობა თვითნებობისაგან სამართლებრივი დაცვის ჯეროვან მექანიზმებს უნდა ითვალისწინებდეს. ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, მაქსიმალურად უნდა ჰქონდეს შეზღუდული თვითნებობის გამოვლინების შესაძლებლობა. თვითნებობის გამოვლინების შეზღუდვის ასეთ საშუალებად ევროპული სასამართლო, უმეტესწილად, მიიჩნევს ეროვნულ დონეზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს, ძირითადად, ეროვნული სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომლის თანახმად, ეს უკანასკნელი აფასებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რომელ ინტერესს – საზოგადოებრივს თუ კერძოს – უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მაკონტროლებელი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი დანიშნულებაა ის, რომ თუ ეროვნული სასამართლოების წინაშე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები (გამომძიებლის ორგანოები) წარადგენენ ჯეროვან არგუმენტებს, რომელთა თანახმად, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ პირი შეიძლება იყო დანაშაულის ჩამდენი ან თანამონაწილე, ეროვნული სასამართლო გასცემს ასეთ ბრძანებას; ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლების ორგანოები ვერ დაუდასტურებენ ეროვნულ სასამართლოებს (მაკონტროლებელ ორგანოებს) საზოგადოებრივი ინტერესის (დანაშაულის გახსნის/თავიდან აცილების და სხვ.) არსებობას, მაშინ ეროვნული სასამართლო უარს ეტყვის მათი ფარული

თვალთვალის/მოსმენის განხორციელებაზე და ამით უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში თვითნებურად ჩარევის თავიდან აცილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ჯერ კიდევ საქმეზე *მელოუინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Malone v. the United Kingdom)* (ციტირებულია მაღლა), რომელშიც მან განაცხადა, რომ „კონვენცია მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის არსებობას კი არ მოითხოვს სახელმწიფოში, რომელიც ითვალისწინებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვას, არამედ, უმეტესწილად, მოითხოვს, რომ ხსენებული კანონი იყოს ხარისხიანი (ითვალისწინებდეს ჯეროვან გარანტიებს და დაცვის მექანიზმებს) და შეესაბამებოდეს სამართლის უზენაესობის პრინციპს“.

სასამართლოს განმარტებით, „ეს გულისხმობს, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ადამიანის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებაში თვითნებურად ჩარევისაგან დაცვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ჩარევას ახდენენ ფარულად, აშკარაა, რომ თვითნებობის საფრთხე იზრდება ... შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სათანადო მექანიზმებს ამ საფრთხის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, განჭვრეტადობის მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ადამიანს ჰქონდეს უფლება, განჭვრიტოს, როდის განახორციელებენ ხელისუფლების ორგანოები მისი კომუნიკაციის კონტროლს ან ფარულ თვალთვალს, რათა განახორციელოს შესაბამისი ქმედება. რა თქმა უნდა, არა. ამასთანავე, ეროვნული კანონმდებლობა საკმაოდ ნათელი უნდა იყოს და ითვალისწინებდეს მითითებებს მოქალაქეთათვის, რა გარემოებებში, რა პირობების დაკმაყოფილების შემდგომ და ხელისუფლების რომელ ორგანოებს აქვთ უფლება, განახორციელონ ფარული თვალთვალი და შეზღუდონ ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.“²²²

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Silver and Others v. the United Kingdom)* 25 მარტი, 1983, §97, Series A no. 61²²³ დააზუსტა, რომ „რადგან ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განხორციელებული ფარული თვალთვალის ღონისძიებები არ და ვერ ექვემდებარება საჯარო კონტროლს, ან შესაბამისი პირის მიერ, ვის წინააღმდეგაც ხორციელდება მცისიერი გასაჩივრება, სამართლის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, შეუსაბამო იქნებოდა, რომ სამართლებრივი დისკრეცია, განხორციელდეს თუ არა პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა, მიენიჭოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს; ასევე შეუსაბამო იქნება, თუ ეს უფლებამოსილება, რაიმე კრიტერიუმების გარეშე და შეუზღუდავი დისკრეციის სახით, მიენიჭება თუნდაც მოსამართლეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა ნათლად უნდა უთითებდეს ნებისმიერი დისკრეციისა და

²²² 67-ე პარაგრაფი.

²²³ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ასევე ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-94485>

უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებზე და ამით პირს ანიჭებდეს თვითნებური ჩარევისაგან დაცვის ადეკვატურ გარანტიებს.“²²⁴ როგორც ეს ჩანს ზემოაღნიშნულიდან, კონვენციის მე-8 მუხლი მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან, მათი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს არსებობას, რომელიც განიხილავს და შეაფასებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის მართლზომიერების საკითხს და ამით შეზღუდავს აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან თვითნებობის გამოვლინების შესაძლებლობას. ასეთ ორგანოდ უმეტეს შემთხვევაში და ქვეყანაში გვევლინება ეროვნული სასამართლო. ამ პროცესში ეროვნული სასამართლოს მონაწილეობის უმთავრესი პრინციპი და იდეა ისაა, რომ სასამართლომ შეაფასოს და განსაზღვროს, რომელი ინტერესი სარგებლობს უპირატესობით: კერძო ინტერესი, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ადამიანის უფლებას, დაცული იყოს მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, თუ საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას, დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გახსნას და ა.შ. ცხადია, მოსამართლეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს საქმის ყველა მასალასა და უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე, რომ არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მიიღოს ჯეროვანი გადაწყვეტილება და, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები საკმარის და საფუძვლიან მტკიცებულებებს ვერ წარუდგენენ მოსამართლეს, არ გასცეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის ნებართვა.

თუ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის მიზანშეწონილობის განხილვის შესაძლებლობას, ევროპული სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმეზე *ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Bykov v. Russia)* [დიდი პალატა], № 4378/02, 10 მარტი, 2009 წ., ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ ნათლად ჩამოაყალიბა შესაბამისი კრიტერიუმები და ხაზი გაუსვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მონაწილეობის მნიშვნელობას ფარული თვალთვალის ნებართვის გაცემის პროცესში. სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა რომ შეესაბამებოდეს „კანონის ხარისხის“ მოთხოვნას, ის უნდა ითვალისწინებდეს ხელისუფლების ორგანოების დისკრეციის ფარგლებს. ვინაიდან ფარული თვალთვალის ღონისძიებები არ ექვემდებარება საჯარო კონტროლს, დაირღვევა სამართლის უზენაესობის პრინციპი, თუ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, ან, თუნდაც, მოსამართლეს, მინიჭებული ექნება შეუზღუდავი დისკრეცია ფარულ თვალთვალზე. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა ნათლად უნდა უთითებდეს ნებისმიერი ასეთი დისკრეციის

²²⁴ 90-ე პარაგრაფი.

ფარგლებსა და განხორციელების გზებზე, რათა ინდივიდს ჰქონდეს ადეკვატური დაცვის საშუალება თვითნებური ჩარევისაგან.²²⁵

ამ საქმეში ხელისუფლების ორგანოებმა მტკიცებულებები მოიპოვეს ფარული რადიოგადამცემი ხელსაწყოს მეშვეობით, რომელიც დამაგრებული ჰქონდა საგამოძიებო ორგანოების აგენტს და რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების ორგანოებმა ჩაიწერეს აგენტისა და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის საუბარი. იგი ცხადყოფდა, რომ ეჭვმიტანილმა დაუკვეთა აგენტს კონკრეტული პირის მკვლელობა. რუსეთის კანონმდებლობით, მოსამართლის ბრძანება და ნებართვის აღება სავალდებულო იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდებოდა სატელეფონო (მობილური თუ ქსელური) კომუნიკაციის კონტროლი, ხოლო სხვა საშუალებით პირთა საუბრის მოსმენა და ჩაწერა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადიოგადამცემი მოწყობილობის მეშვეობით) არ საჭიროებდა მოსამართლის ნებართვას. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სამართლის უზენაესობის პრინციპი და თვითნებობის განხორციელებისაგან დაცვის გარანტიები თანაბრად ეხება ასევე რადიოგადამცემ საშუალებებს, რომლებიც თითქმის იმავე ხარისხითა და მოცულობით ახდენენ პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას, როგორც ეს ხდება სატელეფონო კომუნიკაციის კონტროლისას. ამ საქმეზე ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილება, რომ ფარულად მოესმინათ დამაგრებული რადიოგადამცემი მოწყობილობის მეშვეობით აგენტისა და ეჭვმიტანილის საუბრისათვის, არ ექვემდებარებოდა არანაირ პირობასა და შეზღუდვას, ხოლო ფარული მოსმენის განხორციელების დასაშვებობა (რადიოგადამცემი მოწყობილობის შემთხვევაში) არცერთი აქტით არ იყო რაიმე სახით შეზღუდული, არ ითვალისწინებდა რაიმე სახის დაცვის გარანტიებსა და კონტროლის მექანიზმს. ხსენებული საკანონმდებლო გარანტიების არარსებობამ რუსეთში, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ხელისუფლების ორგანოებს, რადიოგადამცემი საშუალებების მეშვეობით განეხორციელებინა ადამიანის საუბრის ფარული თვალთვალი, მოსმენა და ჩაწერა, ევროპული სასამართლო მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დაირღვა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს იმ შემთხვევაშიც, თუ, ფორმალურად, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ ფარული თვალთვალისა და კომუნიკაციის კონტროლის ბრძანების გაცემის სავალდებულოობას, მაგრამ პრაქტიკაში ხსენებული ორგანო მხოლოდ ფორმალურ ფუნქციას ასრულებს და, არსებითად, ადეკვატური გარანტიების გათვალისწინებით, არ აფასებს ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან უფლებაში ჩარევის მართლზომიერების საკითხს. საქმეზე *იორდაჩი მოლდოვის წინააღმდეგ (Iordachi v. Moldova)*, № 25198/02, 10 თებერვალი, 2009 წ. ევროპულმა სასამართლომ შეაფასა მოლდოვის კანონმდებლობა და პრაქტიკა სასამართლო ორგანოების მიერ

²²⁵ *ჰიუვიგი საფრანგეთის წინააღმდეგ (Huvig v. France)*, 24 აპრილი, 1990, § 29, Series A no. 176-B; *ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ (Amann v. Switzerland)*, დიდი პალატა, 2000 წლის 16 თებერვალი, 56-ე პარაგრაფი.

ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის გადაწყვეტილებათა მიღების კუთხით და განაცხადა, რომ მოსამართლის როლი მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული ამ პროცესში. მოლდოვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სწორედ მოსამართლე გასცემდა კომუნიკაციის კონტროლსა თუ ფარულ თვალთვალთან დაკავშირებულ ბრძანებას. კანონმდებლობა აგრეთვე ითვალისწინებდა, რომ გამომძიებელ მოსამართლეს შეეძლო, შეენახა კომუნიკაციის კონტროლის შედეგად წარმოებული ჩანაწერების დედნები სპეციალურად დალუქულ კონვერტებში, ასევე გაენადგურებინა ის მასალა, რომელიც მნიშვნელოვანი არ იყო სისხლის სამართლის საქმისათვის. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა იმის შესაძლებლობას, რომ გამომძიებელი მოსამართლე გასცნობოდა ფარული თვალთვალის შედეგად მიღწეულ შედეგებს და ასევე არ მოითხოვდა, რომ მოსამართლეს ზედამხედველობა განეხორციელებინა ფარული თვალთვალის კანონიერებაზე. ამის საწინააღმდეგოდ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონი ასეთ ფუნქციას აკისრებდა გენერალურ პროკურორს, მის მოადგილეს ან რეგიონის პროკურორს. ევროპულმა სასამართლომ საქმეში მნიშვნელოვანი ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ წლების განმავლობაში მოლდოვის სასამართლოები აკმაყოფილებდნენ გამომძიების ორგანოების ყველა შუამდგომლობას ფარული თვალთვალის განხორციელებასთან დაკავშირებით. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, წლების განმავლობაში ეროვნული სასამართლოები აკმაყოფილებდნენ საშუალოდ შუამდგომლობების 95-96%-ს. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის სატელეფონო საუბრის მოსმენა ძალზე მნიშვნელოვანი ჩარევაა პირის უფლებაში და მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვან მიზეზებს შეუძლია მისი გამართლება, მაგალითად, საფუძვლიან ეჭვს, რომ პირი მონაწილეობს ან შეხება აქვს დანაშაულებრივ საქმიანობასთან, საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას და ა. შ. ევროპული სასამართლოს აზრით, მოლდოვის კანონმდებლობა არასაკმარისად ითვალისწინებდა ადამიანის მიმართ ეჭვის საფუძვლიანობის ფაქტორს, როგორც კომუნიკაციის ფარული კონტროლის წინმსწრებ ფაქტორს. მოლდოვის კანონმდებლობა არ შეიცავდა ასევე რაიმე სახის მნიშვნელოვან გარანტიებს თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, სტატისტიკური მონაცემები კი იმაზე მიუთითებდა, რომ გამომძიებელი მოსამართლეები თავს არ იწუხებდნენ, გამოერკვიათ, არსებობდა თუ არა საფუძვლიანი არგუმენტაცია და მტკიცებულებები იმის სასარგებლოდ, რომ გაეცათ კომუნიკაციის კონტროლის ბრძანება. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, ყველა ზემოხსენებული ხარვეზი მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა მთლიანად ფარული თვალთვალის სისტემის ადეკვატურ ფუნქციონირებაზე მოლდოვაში. ამასთანავე, სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მიუთითებდნენ ეროვნული სასამართლოების მიერ ფარულ თვალთვალთან დაკავშირებული ნებართვების გაცემის დიდ ოდენობაზე, ნათლად მეტყველებენ ფარული თვალთვალის სისტემის არაჯეროვან ფუნქციონირებასა და შესაბამისი გარანტიების არაადეკვატურობაზე. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ წინამდებარე საქმეში დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ევროპული სასამართლოს მხრიდან გარანტიების შეფასებისას ასევე დიდი ყურადღება ექცევა, სამართლებრივი დაცვის რა საშუალებებს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ ხორციელდება ფარული თვალთვალი (კომუნიკაციის კონტროლი), ან რომლებსაც აქვთ პრეტენზია მათ მიმართ, ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულ პოტენციურ თვალთვალთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ ხსენებული კრიტერიუმის შეფასებისას, პირველ რიგში, ყურადღება ექცევა ეროვნულ კანონმდებლობასა და რეალობაში არსებულ პრაქტიკას. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართლებრივი გარანტიების არსებობა აუცილებელია ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც პოტენციურად შეიძლება ადამიანის პირადი კომუნიკაციის, და მათ შორის სატელეფონო საუბრის, კონტროლი. საქმეზე *ჰუვიგი საფრანგეთის წინააღმდეგ (Huvig v. France)*, 24 აპრილი, 1990, Series A no. 176-B, მთავრობამ მიმართა ევროპულ სასამართლოს, რომ ამ უკანასკნელს არ განეხილა ზოგადად და აბსტრაქტულად საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, არამედ ემსჯელა, კონკრეტულმა საკანონმდებლო დებულებებმა რა ნეგატიური გავლენა მოახდინა მოსარჩელეზე. კერძოდ, საფრანგეთის მთავრობა მოითხოვდა, სასამართლოს არ ემსჯელა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არანაირ გარანტიასა და ფარულ სატელეფონო მოსმენასთან დაკავშირებულ შეტყობინებას იმ პირისათვის, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართალწარმოება არ გაგრძელებულა და შეწყდა (ხსენებულ საქმეში მომჩივნების მიმართ სისხლის სამართალწარმოება არ შეწყვეტილა და მათ მსჯავრი დაედოთ). საფრანგეთის მთავრობის პოზიციის მიუხედავად, ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხე მთავრობას და განაცხადა, რომ იმ კრიტერიუმის შეფასებისას, იყო თუ არა მომჩივნების უფლებაში ჩარევა კანონის შესაბამისად განხორციელებული, სასამართლოს აუცილებლად უნდა მიეცა შეფასება საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გარანტიისათვის. სასამართლოს განცხადებით, სატელეფონო მოსმენა პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ჩარევაა და, შესაბამისად, მკაცრად უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს თვითნებობისაგან დაცვის საკმარის გარანტიებს.

საქმეზე *იორდაჩი მოლდოვის წინააღმდეგ (Iordachi v. Moldova)*, № 25198/02, 10 თებერვალი, 2009 წ., ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა თავისი ხედვა და მიდგომა ისეთ სიტუაციასთან მიმართებით, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა უშვებს სატელეფონო საუბრის ფარულ მოსმენას, მაგრამ არ ითვალისწინებს მომჩივნის სამართლებრივი დაცვის შესაბამის გარანტიებს ფარული მოსმენის შეწყვეტის შემდგომ. სასამართლოს განმარტებით, კონვენცია ანიჭებს ნებისმიერ პირს, რომლის მიმართ ხორციელდება ფარული თვალთვალი ან მიყურადება, უფლებას, რომ მან შეძლოს, ეფექტიანად გაასაჩივროს მის პირად ცხოვრებაში ჩარევის მართებულობა, თუნდაც შესაბამისი ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების დამთავრების შემდგომ. აქედან გამომდინარე, ევროპული

სასამართლოს განმარტებით, გარკვეული პირობების არსებობისას, ინდივიდი შეიძლება ჩაითვალოს თავისი უფლების დარღვევის მსხვერპლად ფარულ თვალთვალთან ან მიყურადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების ან შესაბამისი კანონმდებლობის არსებობის გამო. სასამართლოს აზრით, როდესაც ფარულ თვალთვალთან ან მიყურადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ შესაბამისი ინდივიდისათვის არაფერია ცნობილი და, შესაბამისად, შეუძლებელია ასეთი ღონისძიების გასაჩივრება, კონვენციის მე-8 მუხლს აზრი ეკარგება, რადგან პირს ერთმევა უფლება, მიმართოს ეროვნული მართლმსაჯულების ორგანოებს და გადაამოწმოს ხელისუფლების ორგანოების მიერ მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვის მართლზომიერება.

სასამართლოს განმარტებით, ცხადია, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და მათ შორის ფარული თვალთვალი და მოსმენა ისეთი ტიპის საგამოძიებო ღონისძიებებია, რომლის შესახებ თუ გახდება ცნობილი იმ პირისათვის, რომელთან მიმართებით ისინი ხორციელდება, აზრს დაუკარგავს ასეთი ღონისძიებების განხორციელებას. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს აზრით, აბსურდი იქნებოდა სახელმწიფოებისათვის ვალდებულების დაკისრება, რომ, როგორც კი მიიღება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილება ფარული თვალთვალის ან მოსმენის განხორციელებასთან დაკავშირებით, იგი აცნობონ იმ პირს, ვისთან მიმართებითაც უნდა განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება.

ევროპული სასამართლო ასევე არ მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ განხორციელებული მოსმენის შესახებ პირს აცნობონ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მოსმენა შეწყდება, რადგან ამან შეიძლება, ზიანი მიაყენოს გამოძიების ინტერესებს. საქმეზე *ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა ასოციაცია და კვიმჯიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Association for European Integration and Human Rights and Ekimdzhiev v. Bulgaria)*, № 62540/00, 28 ივნისი, 2007 წ., ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი პირისათვის ფარული თვალთვალის ან მოსმენის შეწყვეტის შესახებ შეტყობინებას აღარ შეუძლია, ზიანი მიაყენოს წარმოებული გამოძიების ინტერესებს, ხელისუფლების ორგანოებს წარმოემობათ ვალდებულება, აცნობონ პირს განხორციელებული ფარული თვალთვალის ან მიყურადების შესახებ და ამით მისცენ მას იმის შესაძლებლობა, რომ, სურვილის შემთხვევაში, სასამართლო წესით გაასაჩივროს მის უფლებაში ჩარევის მართლზომიერების საკითხი.²²⁶

ევროპული სასამართლო მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებს სამართლადამცველთა შეუზღუდავი წვდომა-კომუნიკაციის კონტროლს. საქმის *ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Zakharov v. Russia)* [დიდი პალატა], № 47143/06, ECHR 2015²²⁷, მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ მოხდა ჩარევა მის სატელეფონო

²²⁶ ასევე, სასამართლოს ანალოგიური მიდგომა იხ. *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, 58-ე პარაგრაფი, Series A no. 28.

²²⁷ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-162798>

კომუნიკაციების ხელშეუხებლობის უფლებაში, რადგან კომუნიკაციების სამინისტროს წინამორბედის, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტის №70 ბრძანების საფუძველზე, მობილური ქსელის ოპერატორებს დამონტაჟებული ჰქონდათ დანადგარი, რომელიც ფედერალური უშიშროების სამსახურს („ФСБ“) აძლევდა სატელეფონო საუბრების მიყურადების საშუალებას სასამართლოსაგან წინასწარი ნებართვის მიღების გარეშე. მომჩივანი აცხადებდა, რომ №70 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სატელეფონო კომუნიკაციაზე წვდომა, არასდროს გამოქვეყნებულა და რომ ეს უკანასკნელი არაჯეროვნად ზღუდავდა მისი პირადი ცხოვრების უფლებას.

ამ საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რამდენად უზრუნველყოფდა საკანონმდებლო პროცედურები და მაკონტროლებელი ორგანოები მომჩივნის დაცვას კომუნიკაციის თვითნებური კონტროლისაგან.

ევროპული სასამართლოს აზრით, თვალთვალის განხორციელებაზე ნებართვის გამცემი ორგანო შეიძლება არ იყოს ეროვნული სასამართლო ორგანო და ეს იყოს კონვენციის შესაბამისი.²²⁸ რუსეთის კანონმდებლობა შეიცავდა მნიშვნელოვან გარანტიას თვითნებური საიდუმლო თვალთვალის განხორციელების საწინააღმდეგოდ, რადგან ნებართვა უნდა გაეცა სასამართლოს. სამართალდამცავი ორგანო, რომელსაც სურს ნებართვის მიღება მიყურადებაზე, ვალდებული იყო, მოსამართლისათვის წარედგინა არგუმენტირებული მოთხოვნა, ხოლო მოსამართლეს შეეძლო შესაბამისი ორგანოსათვის დამატებითი მასალის წარმოდგენის მოთხოვნა. სასამართლოს განმარტებით, ნებართვის გამცემი ორგანოს განხილვის შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს პირის წინააღმდეგ გონივრული ეჭვის არსებობის დადგენა, კერძოდ, არსებობს თუ არა პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების დაგეგმვის ან ჩადენის, ან დანაშაულებრივი კავშირის ფაქტობრივი მტკიცებულებები, რაც შეიძლება გახდეს საიდუმლო თვალთვალის საფუძველი. ეროვნულ სასამართლოებს ასევე ევალებათ იმის შეფასება, რამდენად აკმაყოფილებს მიყურადების მოთხოვნა „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის“ მოთხოვნას, კერძოდ, არის თუ არა ის კანონიერი მიზნის პროპორციული და არის თუ არა შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა ნაკლებად შემზღუდავი საშუალებით.²²⁹

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რუსეთის სასამართლო კონტროლი კომუნიკაციის თვითნებურად შეზღუდვასთან დაკავშირებით ფორმალური და შეზღუდული ხასიათის იყო. მაგალითად, მასალა, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას საიდუმლო აგენტებისა და გამოძიების წყაროებისა თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ორგანიზებისა და ტაქტიკის შესახებ, არ

²²⁸ კლასი გერმანიის წინააღმდეგ (*Klass and Others v. Germany*), 1978 წლის 6 სექტემბერი, 51-ე პარაგრაფი პარაგრაფი, Series A no. 28; ვებერი და სავარია გერმანიის წინააღმდეგ (*Weber and Saravia v. Germany*), 2006 წლის 29 ივნისი, 115-ე პარაგრაფი .

²²⁹ კლასი გერმანიის წინააღმდეგ (*Klass and Others v. Germany*), 1978 წლის 6 სექტემბერი, 51-ე პარაგრაფი პარაგრაფი, Series A no. 28. ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა ასოციაცია და ეკიმძხიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Association for European Integration and Human Rights and Ekimdzhiiev v. Bulgaria*), № 62540/00, § 79-80, 28 ივნისი, 2007 წ.; იორდაჩი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (*Iordachi and Others v. Moldova*), № 25198/02, 2009 წლის 10 თებერვალი, 51-ე პარაგრაფი პარაგრაფი.

წარედგინებოდა მოსამართლეს და, შესაბამისად, არ ხდებოდა ეროვნული სასამართლოს შეფასების საგანი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამისი ინფორმაციის ეროვნული სასამართლოსათვის გაუმხელელობა ართმევს ამ უკანასკნელს შესაძლებლობას, შეაფასოს, არსებობს თუ არა ფაქტობრივი საფუძველი, ექვი შეიტანოს იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში, რომლის მიმართ ხდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების ნებართვის მოთხოვნა. ევროპული სასამართლოს აზრით, მიყურადების აუცილებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომთხოვნ ორგანოს და მიყურადების მოთხოვნის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია, გადაამოწმოს მოთხოვნილი ღონისძიებების საფუძველების არსებობა და გასცეს ნებართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიყურადება არის კანონიერი, აუცილებელი და გამართლებული.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, რუსეთის კანონმდებლობით, გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება მოხდეს კომუნიკაციის მიყურადება წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე 48 საათამდე ვადით. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ინფორმირებული უნდა იყოს მიყურადების დაწყებიდან 24 საათში. თუ 48 საათში არ მოხდება სასამართლო ნებართვის გაცემა, მიყურადება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს ბრძანების პოსტფაქტუმ მოთხოვნის პროცედურა წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციასთან.²³⁰ ამასთანავე, განსხვავებით ბულგარეთის კანონმდებლობის დებულებებისაგან, რომელიც სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციასთან შეუსაბამოდ, რუსეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული „გადაუდებელი აუცილებლობის პროცედურა“ საკმარისად არ უზრუნველყოფდა, რომ მისი გამოყენება მომხდარიყო იშვიათად და მხოლოდ ჯეროვნად გამართლებულ შემთხვევებში. მართალია, რუსეთის კანონმდებლობა მოითხოვს მოსამართლის დაუყოვნებლივ ინფორმირებას გადაუდებელი აუცილებლობისას მიყურადების შესახებ, იგი არ არის უფლებამოსილი, გააგრძელოს მიყურადების ღონისძიება 48 საათს შემდეგ. მას არ გააჩნია უფლებამოსილება, შეაფასოს, გამართლებულია თუ არა გადაუდებელი მიყურადების პროცედურა, და გადაწყვიტოს, შეინახოს თუ გაანადგუროს წინა 24 საათის განმავლობაში მოპოვებული მასალა.²³¹ შესაბამისად, რუსეთის კანონმდებლობა არ აწესებდა გადაუდებელი აუცილებლობის პროცედურის ეფექტიან სასამართლო განხილვას.

ევროპული სასამართლოს აზრით, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ პირდაპირი წვდომა ყველა კომუნიკაციაზე, მიყურადების ზედამხედველობის არსებული სისტემა უნდა იყოს უზრუნველყოფილი განსაკუთრებით ეფექტიანი და ჯეროვანი გარანტიებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს ყოველთვის ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ კომუნიკაციაში თვითნებური ჩარევა და მაკონტროლებელი ორგანოები მოკლებულნი იქნებიან შესაძლებლობას,

²³⁰ ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა ასოციაცია და ეკიმძიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Association for European Integration and Human Rights and Ekimdzhiev v. Bulgaria*), № 62540/00, §16, §82, 28 ივნისი, 2007 წ.

²³¹ იქვე, მე-16 პარაგრაფი.

განახორციელონ ინდივიდთა პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის საიდუმლოების ეფექტიანი დაცვა. რუსეთის კანონმდებლობა კი არ ითვალისწინებდა შეუზღუდავი წვდომის საპირწონე კონტროლის მექანიზმს. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის უფლებები.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით

8.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი მიდგომა ფუნდამენტური უფლებების განმარტებისას მათი ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ფუნდამენტური უფლებების განმარტებისას, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანზე, როგორც მთავარ მიზანზე, ღირებულებაზე, თვითმყოფად, თავისუფალ და სხვა ადამიანების თანასწორ სუბიექტზე. ამ სულისკვეთებით ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლო გაიაზროს თითოეული ფუნდამენტური უფლების შინაარსი, ფარგლები და პრაქტიკული ღირებულება, რადგან ეს უმნიშვნელოვანესია ადამიანის ღირსების ხელშეუვალობისა და პატივისცემისთვის. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში გაამახვილა ყურადღება თითოეული ფუნდამენტური უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობის გზით ადამიანის თვითრეალიზაციის, თავისუფლების და ღირსების ხელშეუვალობის ურთიერთგანპირობებულობაზე. „თავისუფლების სამართლებრივ მასშტაბს ადამიანის ღირსება ქმნის, ამიტომ თავისუფალი ადამიანების საზოგადოება იმ სახელმწიფოთა უპირატესობაა, სადაც ადამიანის ღირსება ღირებულებათა სისტემის საფუძველია. ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით“.²³²

ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობასა და დაცვას პირველად დაუკავშირა სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განმარტებისას. “პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ... ადამიანის ღირსების გამოხატულებაა. ... ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება ... მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ

²³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც”.²³³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ადამიანის ძირითადი უფლებების უკეთესი პერსპექტივით დაცვისთვის და კონსტიტუციის მიზნობრივი ქმედითობისთვის, საკუთარი პრაქტიკით საფუძველი ჩაუყარა ფუნდამენტური პრინციპების რეალურად გამოყენების ვალდებულების სამართლებრივ ტრადიციას. ის კონკრეტული კონსტიტუციური უფლებების განმარტებისას ეყრდნობა არა მხოლოდ ამ უფლებების მარეგლამენტირებელ ნორმებს, არამედ კონსტიტუციის ძირითად პრინციპებსა და, ზოგადად, კონსტიტუციაში განმტკიცებულ ღირებულებებს, რაზეც სასამართლომ არაერთგზის მიუთითა საკუთარ გადაწყვეტილებებში. კერძოდ: `კონკრეტული დავების გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, როგორც კონსტიტუციის შესაბამისი დებულება, ისე სადავო ნორმა გააანალიზოს და შეაფასოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების კონტექსტში, რათა ეს ნორმები განმარტების შედეგად არ დასცილდნენ მთლიანად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა წესრიგს. მხოლოდ ასე მიიღწევა კონსტიტუციის ნორმის სრული განმარტება`.²³⁴ `მართალია, კონსტიტუციური პრინციპები არ აყალიბებს ძირითად უფლებებს, მაგრამ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი ასევე ექვემდებარება გადამოწმებას კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით, კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში. ... საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად თავსდება გასაჩივრებული აქტი იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ წესრიგში, რომელსაც კონსტიტუცია ადგენს`.²³⁵ ასეთი კონსტიტუციური ვალდებულება სასამართლომ რუტინულად გაიმეორა პრაქტიკულად ყველა მომდევნო გადაწყვეტილებაში.

ამ კონტექსტში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლების განმარტებისას და დაცვისას, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების მნიშვნელობაზე. კერძოდ, საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები

²³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჭუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

²³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

²³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/2-389 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე - მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ*, II, 3.

უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციურ პრინციპებს შორის. ისინი პრაქტიკულად ყველა კონსტიტუციური ნორმის ... საფუძველს წარმოადგენენ. ამ პრინციპებს ეყრდნობა მთლიანად კონსტიტუციური წყობა. ამასთან, ისინი ავალდებულებენ ხელისუფლებას, შეიზღუდოს კონსტიტუციური წყობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არა აქვს უფლება, იმოქმედოს მხოლოდ მიზანშეწონილობის, პოლიტიკური აუცილებლობის ან სხვა მოტივაციის საფუძველზე. ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს. მხოლოდ ასე იქმნება სამართლიანი მართლწესრიგი, რომლის გარეშეც ვერ შედგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო. ... ზოგადად, ძირითადი უფლებები ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ყოველი ადამიანის პიროვნული თავისუფლების სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, რაც, პირველ რიგში, მოითხოვს სახელმწიფოს სიფრთხილეს და ზომიერებას უფლებაში ჩარევისა და რეგულირების ფარგლების დადგენისას. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველმყოფელი ნორმა-პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელისუფლების ადამიანთან ურთიერთობის შინაარსს. კერძოდ: «სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში» (საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი); «სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით» (საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი)²³⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ძალიან ფართო და პრაგმატული გამოყენება ჰპოვა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლმა. „ეს არის ერთ-ერთი ფუძემდებლური ნორმა-პრინციპი, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებების მასშტაბისა და მნიშვნელობის შეგრძნების შესაძლებლობას, განაპირობებს მთლიანად კონსტიტუციისა და, განსაკუთრებით, კონსტიტუციური უფლებების განმარტებისა და გამოყენების ფარგლებს“²³⁷. ამ ნორმით „საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანს და მის უფლებებს, როგორც უმაღლეს ფასეულობას. ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე.“²³⁸ კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებს ადამიანის უფლებებთან მიმართებით. ეს კონსტიტუციური პრინციპი არსებითად წყვეტს საკითხს იმასთან

²³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2-3.

²³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

²³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის #2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა ნებისმიერ სფეროში ზღვარდადებულია ადამიანის უფლებებით. ხელისუფლებამ არა მხოლოდ ყველა ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილი სარგებლობისთვის სათანადო და საკამარისი გარანტიები უნდა შექმნას, არამედ ამა თუ იმ სფეროში (და ამ თვალსაზრისით, ყველა სფეროში) საკუთარი პოლიტიკის წარმართვისას, მკაცრად უნდა შეიზღუდოს თავი ძირითადი უფლებებით, არ უნდა გამოიწვიოს არცერთი უფლების დაუსაბუთებელი, თვითნებური შეზღუდვა - უფლებათა დარღვევა.

8.2 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ზოგადი განმარტება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ცალკეული კომპონენტები, თუმცა, იმავდროულად, ყველა რელევანტურ საქმეზე ყურადღება გაამახვილა, ზოგადად, ამ უფლების ღირებულებაზე, მნიშვნელობაზე. საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, სასამართლომ აღნიშნა:

„ეს უფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის“.²³⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: “პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს არის პიროვნების უფლება, მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლება არის თითოეული ადამიანის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი”.²⁴⁰

„ზოგადად, პირადი ცხოვრება გულისხმობს ადამიანის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთი მხრივ, ნიშნავს ადამიანის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რადგან საშუალებას აძლევს მას, კერძო სფეროში საზოგადოების

²³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

²⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 4.

ჩარვევისა და ყურადღებისაგან თავისუფალ პირობებში მოახდინოს ინფორმაციის, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაცვლა-გაზიარება”.²⁴¹

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ... იცავს ადამიანის არჩევანს, იარსებოს გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად, იყოს მარტო, ასევე თავისუფლად გადაწყვიტოს, რა პირობებში და მოცულობით ექნება ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან“²⁴².

საკონსტიტუციო სასამართლომ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ამ უფლებით დაცულია პირების კერძო სფერო (სივრცე), რომელშიც იგულისხმება: ა) კონკრეტული ტერიტორია, ადგილი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვა პირადი მფლობელობა), ბ) განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის, გ) ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში განსაჯაროებაც სურს პირს²⁴³.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ ყველა რელევანტურ საქმეზე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არაერთი კომპონენტისგან შედგება, რომელთა დაცულობა ერთნაირად მნიშვნელოვანია ამ უფლებით სრულყოფილად სარგებლობისთვის. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში პირები უზრუნველყოფილი არიან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლებებით. განაპირობებს რა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსს, თითოეული მათგანი, იმავდროულად, დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია“²⁴⁴.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება²⁴⁵.

²⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

²⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

²⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ზუგომვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

²⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

²⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

8.3 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეგლამენტირება საქართველოს კონსტიტუციით

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონსტიტუციური გარანტია ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში. ამ თვალსაზრისით, ის თითქოს გენერალური ნორმაა, რადგან სწორედ აქ არის პირადი ცხოვრების უფლება სახელდებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლების არსის მხოლოდ კონსტიტუციის მე-20 მუხლით შემოფარგვლა მნიშვნელოვნად დააკნინებდა უფლების კონსტიტუციური დაცვის შესაძლებლობებს და კანონზომიერად გამოიწვევდა მისი დარღვევის რისკებს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არაერთი უფლებრივი კომპონენტის საგანგებო, სპეციალურ დაცვას ემსახურება კონსტიტუციის სხვა დებულებებიც, რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია, იგი უამრავი უფლებრივი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითაა დაცული (მაგალითად: მე-16, მე-20, 36-ე, 41-ე მუხლები).“²⁴⁶ საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „შეცდომა იქნებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მთელი შინაარსის საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ მე-20 მუხლით შემოფარგვლა. პირად ცხოვრებას განკუთვნილი ცალკეული საკითხები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მუხლით, როგორებიცაა: მე-16, 36-ე, 41-ე და სხვა. ... ბუნებრივია, იმის უგულებელყოფა არ შეიძლება, რომ პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად, თუმცა, ეს გარემოება არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ნებისმიერი ასეთი უფლებრივი კომპონენტის დარღვევით, აუცილებლად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი. ამ დროს გასათვალისწინებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეგულირების კონსტიტუციაში მოცემული კონკრეტული კონსტრუქცია. ამის გათვალისწინების გარეშე მაღალია პირადი ცხოვრების ცალკეული უფლებრივი კომპონენტის შინაარსის, მათში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხე“²⁴⁷. საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: “საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში გვხვდება ჩამონათვალი ურთიერთობების, მოვლენების ან ქმედებების, რომლებიც პირად

²⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3.

²⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება N1/7/454 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1-2.

ცხოვრებას უკავშირდება. განსხვავებულია აღნიშნული მუხლებით დაცულ უფლებებში ჩარევის საფუძვლები და პირობები²⁴⁸.

8.3.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებრივი კომპონენტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემდეგი უმნიშვნელოვანესი კომპონენტები: პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობა; პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება; მიმოწერის თავისუფლება; სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით საუბრის თავისუფლება; ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლება; საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება²⁴⁹. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანს ძირითადად წარმოადგენდა მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული დებულებით „დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით“.²⁵⁰ ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის მიზანი არის, დაიცვას პირებს შორის, ნებისმიერი საშუალებით, საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა.²⁵¹

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, კონსტიტუციის მე-20 მუხლის ამომწურავად განმარტების შეუძლებლობაზე და მისი შინაარსის განვრცობის პერსპექტივებზე ამავე მუხლით დაცული უფლებრივი კომპონენტების არსის გათვალისწინებით. „საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზანი უკავშირდება მასში ჩამოთვლილი სიკეთის ხელშეუხებლობის დაცვას. რაც შეეხება ზოგადად „პირადი ცხოვრების“ ხსენებას, იგი ემსახურება იმ ინტერესის ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის

²⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 12.

²⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინკლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, აიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, აიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და აიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 20.

²⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3.

²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

ხელშეუხებლობა არის დაცული. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის. ასე მაგალითად, მიუხედავად თითქოსდა დეტალური ჩამონათვალისა, მე-20 მუხლი არ მოიცავს თავად ადამიანის ჩხრეკას, თუმცა, უდავოა, რომ სწორედ მე-20 მუხლი იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას, მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება“²⁵².

8.3.2 საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტების დაცვისთვის კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი, რომლის მიხედვით, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების როგორც ზოგად მნიშვნელობაზე, ძირითად არსზე, ისე მის შეუცვლელ როლზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით სრულყოფილად სარგებლობისთვის. „ადამიანების თავისუფალი თვითრეალიზაცია - განვითარება საკუთარი უნარების, შესაძლებლობების, სურვილების, გემოვნების, არჩევანის შესაბამისად არის გზა პერსონალური ინდივიდუალიზმისკენ, შედეგად კი წყარო პლურალისტური და, მაშასადამე, განვითარების პერსპექტივის მქონე საზოგადოების შექმნისთვის/არსებობისთვის. ადამიანს აქვს უფლება, იყოს ისეთი, როგორც თავად სურს, შეუძლია, მოსწონს. ამ თავისუფლებას ზღვარს უდებს მხოლოდ სხვათა ასეთივე თავისუფლება და ლეგიტიმური/კანონიერი ინტერესები. ადამიანისთვის იმანენტურია მოთხოვნილება განვითარებაზე, ინდივიდუალიზმზე, განსხვავებულობაზე, ბუნებრიობაზე, პირად სივრცეზე საკუთარი არჩევანის მიხედვით - სასურველ პირთა წრით, ურთიერთობებით, ქცევებით, მისწრაფებებით, მანერებით, ლექსიკით და ა.შ. სწორედ პიროვნების თავისუფალი განვითარების გარანტირებული შესაძლებლობა არის შანსი ინდივიდუალიზმისთვის, მრავალფეროვნებისთვის და, მაშასადამე, პროგრესისთვის. მხოლოდ თავისუფლება და პერსონალური ნების, არჩევანის თუ შესაძლებლობების მიხედვით პიროვნების განვითარება განაპირობებს ადამიანის ავტონომიურობას, თითოეულის განსხვავებულობასა და განუმეორებლობას, რაც ასე მნიშვნელოვანია როგორც

²⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 17.

საკუთარი პიროვნულობის შეგრძნების, თვითრეალიზაციის და ამ გზით პირადი ბედნიერების ძიებისთვის, განცდისთვის, ისე საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისთვის“.²⁵³

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლება პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე მოიცავს ადამიანის თავისუფლებას სხვადასხვა სფეროში: პერსონალურ თვითგამორკვევას, ინტიმური, საოჯახო ურთიერთობების საკუთარი გადაწყვეტილებების და არჩევანის შესაბამისად წარმართვას, პირადი სოციალური, გარემოცვის საკუთარი ნებით შერჩევას, სარწმუნოების თავისუფლად არჩევას და მის შესაბამისად ცხოვრებას, პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტივობას, სასურველი განათლების მიღებას, პროფესიისა თუ საქმიანობის არჩევას და ა.შ. შედეგად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ძალიან ფართო სპექტრს უფლებრივი კომპონენტებისა: პიროვნების თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლებას, პიროვნული თვითიდენტიფიკაციის უფლებას - როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად საკუთარი თავის შეგრძნების, გააზრების უფლებას; საკუთარი სქესისა და სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრას, სქესის შეცვლის უფლების ჩათვლით, და სხვა; ასევე ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, თვითგამოხატვის უფლებას და ა.შ.²⁵⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს პირის უფლებას, დამოუკიდებლად, მესამე პირის (სახელმწიფოს ჩათვლით) ჩარევისა და მისგან კონტროლის გარეშე, განსაზღვროს საკუთარი მე, ვინაობა, ცხოვრების წესი, აირჩიოს გარესამყაროსთან, კონკრეტულ ადამიანებთან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის შინაარსი, ფორმები, ინტენსივობა, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური, სულიერი თუ სხვა ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები, საშუალებები“.²⁵⁵ „პიროვნების

²⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

²⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

²⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა

ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარესამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ადამიანის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისათვის“.²⁵⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლების სწორედ ის ფუნდამენტური ასპექტები შეაფასა, რომლებიც ქმნიან და ავსებენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასამართლომ მიუთითა ადამიანის პრივატული სფეროს დაცვის გარანტიებზე მე-16 მუხლის ფარგლებში: „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის პიროვნულობის განმსაზღვრელ ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებას, როგორცაა უფლება პრივატულ სფეროზე, პირად სივრცეზე, რაც მოიცავს ადამიანის თავისუფლების შემდეგ გამოხატულებებს: განმარტოების უფლებას (უფლებას, დარჩეს მარტო), უფლებას, თავად განსაზღვროს გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა, დრო, ინტენსივობა, გააკეთოს არჩევანი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება პირადად მას, ნებისმიერი შინაარსისა და სახის ურთიერთობებს მისთვის სასურველ პირებთან სხვებისაგან დამოუკიდებლად, მათი ინფორმირების გარეშე და მათგან თავისუფალ პირობებში“²⁵⁷.

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მე-16 მუხლით პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს საგანგებოდ დაცვის აუცილებლობაზე. „...პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო - ადამიანის ინტიმური, სექსუალური ურთიერთობები, ოჯახური ცხოვრება, მისი ჩვევები, მოძღვრისთვის აღსარებისას მინდობილი ინფორმაცია, სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, ადამიანის ემოციები და გრძნობები, მათი პრივატულ

იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

²⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, II, 55.

²⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

სფეროში გამოხატვის ფორმები უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამხედველობისაგან²⁵⁸.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული სიკეთის მასშტაბი ძალიან ფართოა. პიროვნების თავისუფალი განვითარება ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შედეგად თვითრეალიზაციის შესაძლებლობაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს შეიძლება ჰქონდეს ფუნდამენტური უფლებების ფარგლების გააზრებისთვის დამატებითი დატვირთვა იმ გაგებით, რომ ის ხაზს უსვამს თითოეული უფლების მნიშვნელობას ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, მაშასადამე, აჩენს ვალდებულებას, თითოეული უფლება განმარტებულ იქნეს სწორედ ადამიანის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის პერსპექტივით. იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი მოიცავს ყველა იმ უფლებას თუ ინტერესს, რომელიც განაპირობებს პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას, მაგრამ ამასთან მკაფიო მიმართება არ აქვს რომელიმე ფუნდამენტურ უფლებასთან. „...კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული. კონსტიტუციის მე-16 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს“.²⁵⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება სწორედ პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან მჭიდრო კონტექსტში განმარტა, რადგან „... მე-16 მუხლი ... მოიცავს პირადი ცხოვრების, ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობის ყველა ასპექტს. ის, ერთი მხრივ, წარმოადგენს საფუძველს და ზოგად ნორმას კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული სფეროსთვის, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებით გარანტიას პირადი ცხოვრების ყველა იმ კომპონენტისთვის, რომელიც სპეციალურად არ არის რეგულირებული კონკრეტული მუხლით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური დაცვის ფარგლების გააზრების კონტექსტში, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი შეიძლება ჩაითვალოს მე-16 მუხლით

²⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12.

²⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 57.

დაცული სფეროსთვის სპეციალურ ნორმად იმ გაგებით, რომ ის არეგულირებს პიროვნების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს“.²⁶⁰

8.3.3. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები

პიროვნების თავისუფალი განვითარების ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების უფლება, რომელსაც საგანგებოდ იცავს საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლებაზე, მის თავისუფალ განვითარებაზე ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადად, ასევე, კონკრეტულად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც “ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.“... საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი მრავალმხრივი მნიშვნელობის ნორმაა. აქ კონსტიტუციურ დონეზეა დაცული და განმტკიცებული ისეთი ტრადიციული და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო ეთიკური და ეგზისტენციალური მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები, როგორცაა ქორწინება და ოჯახი. კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისაგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს. ... ქორწინება და ოჯახი ადამიანის პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ სფეროში ადამიანის თავისუფლების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია. სწორედ, პიროვნული თავისუფლებისა და თავისუფალი განვითარების უფლების გამოხატულება და ნაწილია ქორწინების თავისუფლება. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, გარდა ინსტიტუციური გარანტიისა, ძირითადი უფლების დამდგენი ნორმაცაა.“²⁶¹

²⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, აიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, აიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და აიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21.

²⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1-3.

8.3.4. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე. ...“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული უფლების „სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში. შესაბამისად, ამ პუნქტით დაცული სიკეთე არის პირის კერძო, პრივატული სფეროს ხელშეუვალობა, პირადი მონაცემების საიდუმლოება. პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია“²⁶². საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა: „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს პირადი ცხოვრების ერთ-ერთ ასპექტს, რომელიც, მათ შორის, დაკავშირებულია პირის პერსონალური მონაცემების დაცვასთან. ... დებულება „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია ... არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი“ ხაზგასმით მიუთითებს, რომ კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია „ოფიციალურ ჩანაწერებში“ ... არსებულ ინფორმაციაზე შემდგომი ხელმისაწვდომობის გარანტიები. შედეგად, ამ დებულებით დაცულია პირადი ცხოვრების ის უფლებრივი კომპონენტი, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას, მოითხოვოს „ოფიციალურ ჩანაწერებში“ არსებული ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვა. ... აქ საუბარია, „ოფიციალურ ჩანაწერებში“ ... არსებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომობის შინაარსობრივ ფარგლებზე და ასეთი ინფორმაციის გაცემის წესზე.“²⁶³

²⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/3/406,408 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 14.

²⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი N1/5/625,640 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა*

8.4 სადავო კანონის (ნორმის) კონსტიტუციის შესაბამის მუხლთან სწორი მიმართების დადგენის აუცილებლობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან სწორი მიმართების დადგენის მნიშვნელობას. როგორც აღინიშნა, სადავო ნორმით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის ფაქტი, თავისთავად არ გულისხმობს მისი შეფასების შესაძლებლობას კონსტიტუციის მე-20 მუხლთან. სასამართლომ, ამ თვალსაზრისით, ყურადღება გაამახვილა ამა თუ იმ უფლებრივ კომპონენტში ჩარევის კონსტიტუციით დადგენილი ფორმისა და შესაძლებლობების გათვალისწინების აუცილებლობაზე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მტკიცებით, ის დადგებოდა უფლების ფარგლების არასწორი განმარტების და შედეგად, უფლების დარღვევის რისკის წინაშე. „ნებისმიერი კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევის ფორმასა და ფარგლებს. ყველა უფლებაში ჩარევა ვერ იქნება ერთნაირი, რაც ერთმნიშვნელოვნად იკითხება კიდევ კონსტიტუციის მეორე თავიდან. ბუნებრივია, ცალკეულ უფლებებში ჩარევის განსხვავებული ფარგლები არ მიუთითებს ამა თუ იმ უფლების უფრო მეტ მნიშვნელობაზე სხვებთან შედარებით. ... უფლებაში ჩარევის განსხვავებული ფორმა, შინაარსი თუ ინტენსივობა მიუთითებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ საჯარო ინტერესზე, რომლის მისაღწევადაც აუცილებელია უფლებაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა. ... განსხვავებული ინტენსივობით ჩარევის აუცილებლობა შეიძლება არსებობდეს ერთი და იგივე უფლების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტებშიც. ... ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფარგლების დადგენის დროსაც. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში ჩამოთვლილი უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. პირადი ცხოვრების ისეთ სფეროში ჩარევისას კი, როგორცაა ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პირის ჯანმრთელობასთან, ქონებასთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელშეუხებლობა, დაიშვება მხოლოდ ამ ადამიანის თანხმობით, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,

იურისტთა ასოციაცია“; ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21-23.

ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად²⁶⁴. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ზუსტად მოინახოს კონსტიტუციაში პირადი ცხოვრების ... საკითხების დაცვის ფარგლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირად საექვო გახდება როგორც კერძო სფეროს დაცვის, ისე საჯარო ინტერესების სწორად დაკმაყოფილების საკითხები“.²⁶⁵

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ერთი უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებულია სპეციალური რეგულაცია, უფლებაში ჩარევის განსხვავებული შინაარსი და ფარგლები, ეჭვგარეშეა, რომ ასეთ დროს ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობა შესაძლებელია და უნდა შეფასდეს მხოლოდ მის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება კონსტიტუციურობის საკითხის სწორად გადაწყვეტა.²⁶⁶ იგივე მიდგომა გაიმეორა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*. კერძოდ: „პირადი და ოჯახური ცხოვრების ქვეშ შეიძლება მოვიაზროთ პირის კერძო ცხოვრების სფეროში დამყარებული და განვითარებული ისეთი ურთიერთობები, რომლებიც უფრო მეტი ინტიმურობით ხასიათდება, რის გამოც განსაკუთრებულ დაცვას იმსახურებს. სწორედ ამიტომ პირადი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტებში ჩარევა გაუმართლებელი იქნება, თუნდაც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში“²⁶⁷. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილება ან გადაუდებელი აუცილებლობა შეიძლება დაედოს საფუძვლად სახლის ან სამუშაო ადგილის, პირადი მიმოწერის, კომუნიკაციის, პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობის შეზღუდვას. მაგრამ გაუგებარი იქნებოდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ან თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეიზღუდოს პირის უფლება შექმნას ოჯახი. „წარმოუდგენელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არეგულირებდეს პირადი ცხოვრების ისეთ ასპექტს როგორცაა აბორტი, ჰომოსექსუალური ქორწინება, მშობლის უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ აღზარდოს შვილი და განსაზღვროს მის განათლებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. ... ბუნებრივია რომ პირადი ცხოვრების ზემოთმოყვანილი ასპექტები

²⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება N1/7/454 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3.

²⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება N1/7/454 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

²⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება N1/7/454 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4.

²⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 18.

შეიძლება დაექვემდებაროს საკანონმდებლო რეგულაციებს. ასეთ უფლების შეზღუდვა შეიძლება მოხდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე (მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევა). ზოგიერთ შემთხვევაში, ჩარევის მიზნები და პირობები შეიძლება იყოს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მსგავსი, მაგრამ არა მათი იდენტური. ასე მაგალითად, მშობლის უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის უფლების დაცვის მიზნით, გაუმართლებელი იქნება მშობლის უფლებაში ჩარევა, რომელიმე სხვა ინტერესის მისაღწევად²⁶⁸.

8.5 სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყველა რელევანტურ საქმეზე მიუთითა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის კონტექსტში სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უზრუნველყოფს ... სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებები: ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების უგულებელყოფას, აღკვეთას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს ... უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან”.²⁶⁹ საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა: „თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას, მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირებას. ეს საზოგადოების არსებობის თანმდევი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომლის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ყველას გააჩნია”.²⁷⁰

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ცალკეულ ასპექტებზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ დააკონკრეტა სახელმწიფოს

²⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 19-20.

²⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - კატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-4.

²⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-15.

შესაბამისი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების არსი (რაზეც მომდევნო თავებში იქნება საუბარი).

8.6 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური - უფლების შეზღუდვის ზოგადი კონსტიტუციური საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფუნდამენტური უფლებების განმარტებისას, არაერთ საქმეზე მიუთითა, რომ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ემსახურება რა ადამიანის თავისუფლებისა და თვითრეალიზაციის იდეას, სწორედ ამავე მიზნისთვის უშვებს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობასაც. დემოკრატია ეყრდნობა რა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, “უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვა აუცდენელია, რადგან მათი რეალიზაცია ხშირად წარმოშობს ღირებულებათა კონფლიქტს. ... მაშინ როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა”.²⁷¹ საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეზე გაიმეორა, რომ „თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა, ხელისუფლებისა და ადამიანის ურთიერთობის გონივრულად დაბალანსებული სისტემის შექმნა. ეს, პირველ რიგში, გამოხატულებას პოვებს ყოველი კონკრეტული უფლების შინაარსისა და ფარგლების ადეკვატურ საკანონმდებლო განსაზღვრაში“.²⁷² თუმცა, იმავდროულად, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არცერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე. ამ დროს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და, იმავდროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. სახელმწიფომ უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება, „მხოლოდ ასეა შესაძლებელი როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება. რაც უფრო მეტად

²⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება NN1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 45.

²⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის“²⁷³.

იმავედროულად, როდის, როგორ და რა ინტენსივობით შეუძლია სახელმწიფოს, ჩაერიოს ადამიანის თავისუფლებაში ისე, რომ ეს ჩაითვალოს აუცილებელ ჩარევად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამისთვის სამართლებრივ საფუძველს და შეფასების მასშტაბს კონსტიტუცია იძლევა, პირველ რიგში, ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპები და ძირითადი უფლებების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური ნორმები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფუნდამენტურ უფლებებში (მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში) ჩარევის გამართლებისთვის სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდა შემდეგი კონსტიტუციური მოთხოვნების უპირობოდ დაკმაყოფილების ვალდებულებით: 1. შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით; 2. უნდა ემსახურებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური ინტერესების/მიზნების დაცვას; 3. უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს თანაზომიერი/პროპორციული საშუალებით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტების განმარტების დროსაც საკონსტიტუციო სასამართლომ ყველა რელევანტურ საქმეზე მიუთითა, რომ ეს უფლება არ არის აბსოლუტური. იგი შეიძლება შეიზღუდოს „დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული გზით მოხდება“.²⁷⁴ საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - კვატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, სასამართლომ აღნიშნა: „კონკრეტული უფლების ადეკვატური უზრუნველყოფით ადამიანის ღირსების დაცვისას, სახელმწიფო, იმავედროულად ვალდებულია, გაითვალისწინოს დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოში ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ კანონმდებლობა უნდა შეიქმნას სოციალური თანაცხოვრების ხელშეწყობისა და შენარჩუნების გათვალისწინებით, თუმცა იმ სავალდებულო პირობით, რომ დაცული იქნება თითოეული პიროვნების

²⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე* საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 19.

²⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 28.

თვითმყოფადობა. ... ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები ერთნაირად მოითხოვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას, მათ შორის გონივრული, თანაზომიერი და პროპორციული ბალანსის დაცვას. ... არაერთი ძირითადი უფლების მსგავსად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვაც თავად კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, ამასთან კონკრეტულადაა დადგენილი სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევის დასაშვები ფარგლები²⁷⁵.

8.7 უფლების შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. „კანონის ხარისხის“ მოთხოვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყველა ფუნდამენტურ უფლებასთან, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან, მიმართებით დაადგინა, რომ უფლებაში ჩარევა, უფლების შეზღუდვა, კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „კანონად“ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც პასუხობს კანონის ხარისხის მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან. ამ პრინციპების რეალური დაცვისთვის პრაქტიკული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას²⁷⁶.

საკონსტიტუციო სასამართლომ საფუძველი ჩაუყარა კანონის განჭვრეტადობის პრინციპის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან ამოკითხვის კონსტიტუციურ ვალდებულებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას. „საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელობა, რომლის ცალკეული ელემენტები გამოხატულებას პოვენს საქართველოს კონსტიტუციის მრავალ დებულებაში. გარდა ამისა, არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტები, რომლებიც შეიძლება პირდაპირ არ იყოს გათვალისწინებული კონსტიტუციის რომელიმე ნორმით, მაგრამ არანაკლები დატვირთვა მიენიჭოთ, რადგანაც მათ გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის

²⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

²⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

ამგვარ ელემენტს წარმოადგენს ე.წ. „განჭვრეტადობის პრინციპი“.²⁷⁷ „კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. კანონმდებლის ასეთი ვალდებულება კი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს.“²⁷⁸

საკონსტიტუციო სასამართლო ამ კრიტერიუმით ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების რელევანტურობამდე მიიყვანა კონკრეტულმა საქმეებმა, როდესაც თვალსაჩინო გახდა, რომ სადავო ნორმის განუსაზღვრელობამ, ბუნდოვანებამ შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი და გაზარდოს ადამიანის უფლებების დარღვევის რისკები, რადგან: ერთი მხრივ, ამან შესაძლოა, მცდარი წარმოდგენები შეუქმნას ნორმის ადრესატს ნორმით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელს მისცეს თვითნებობის, ადამიანის უფლებებში გადამეტებული ჩარევის საფუძველი. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახა საკუთარი ვალდებულება, ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, დაადგინოს, ხომ არ გამოუწვევია უფლების დარღვევა ნორმის განუსაზღვრელობას.

ბუნებრივია, კანონის ხარისხზე მსჯელობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონით უფლების დარღვევის რისკების თავიდან აცილებას - ეს არის საყრდენიც და მთავარი კრიტერიუმიც. თუმცა ამ ზოგადი მიდგომის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებელს არაერთი მოთხოვნა წაუყენა, კერძოდ:

ა), „კანონის ხარისხი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია იყოს იმდენად მკაფიო, რომ პირმა, რომლის უფლებაში ჩარევაც ხდება, შეძლოს სამართლებრივი მდგომარეობის ადეკვატურად შეცნობა და საკუთარი ქმედების შესაბამისად წარმართვა“.²⁷⁹ „ადამიანს უნდა შეეძლოს, ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა“²⁸⁰. „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრეტოს ქცევის

²⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/3/406,408 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

²⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

²⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

²⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/2-389 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.

შედეგები²⁸¹. ანუ პირველი ნაბიჯი ამ გზაზე იყო კანონმდებლისადმი წაყენებული მოთხოვნა, რომ ნორმა იყოს საკმარისად მკაფიო, გასაგები, რათა მის ადრესატს დარჩეს ცხადი წარმოდგენა იმის თაობაზე, რას მოითხოვს მისგან ნორმა და როგორ უნდა მოიქცეს ის, რომ მისი ქმედება ჩაითვალოს კანონის შესაბამისად.

ბიმავედროულად, უფლებებში ჩარევის მარეგლამენტირებელი ნორმები განსაკუთრებით მაღალი ხარისხით ექსპერტიზას მოითხოვს იმ თვალსაზრისითაც, რომ უფლების შეზღუდვისას გამოირიცხოს სახელმწიფოს მხრიდან უფლებებში გადამეტებული, არაპროპორციული ჩარევის შესაძლებლობა. უფლებათა დარღვევის ალბათობა და საშიშროება მაღალია, როდესაც უფლების შემზღუდველი რეგულაცია (კანონი ან მისი ნორმა) იმდენად ბუნდოვანია, რომ იძლევა უფლებებში უფრო ინტენსიურად, გაუმართლებლად, არათანაზომიერად ჩარევის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და, შესაბამისად, ქმნის ნოყიერ ნიადაგს თვითნებობისათვის. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებელს შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: „კანონში დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით უნდა იყოს მოცემული უფლებებში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებებში ჩარევის წესი“²⁸². „კანონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო. ... კანონისადმი ასეთი მოთხოვნა აუცილებელია უფლებებში ჩარევაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შეზღუდვისა და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისთვის, რადგან ამ თანამდებობის პირებს კონკრეტული საჯარო ინტერესის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოსგან აქვთ დაკისრებული. სამართლის უზენაესობის პრინციპთან შესაბამისობისათვის კანონი უნდა უზრუნველყოფდეს უფლების ეფექტური დაცვის შესაძლებლობას ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ თავად კანონით დეტალურად, სიცხადის საკმარისი ხარისხით განისაზღვროს საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სფეროში. შესაბამისად, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი. თუ უფლებებში ჩარევაზე უფლებამოსილ პირს ზუსტად და კონკრეტულად არ ეცოდინება თავისი შესაძლო მოქმედების ფარგლები, ერთი მხრივ, უნებლიედ გაიზრდება რისკი უფლებებში არასწორი, გადამეტებული ჩარევისა, ხოლო, მეორე მხრივ, ცდუნებაც უფლების შეგნებულად ბოროტად გამოყენებისა, რისი კანონზომიერი შედეგიც არის უფლების დარღვევა. ... სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ

²⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/3/406,408 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

²⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 15.

ფარგლებში განხორციელების უზრუნველყოფისათვის ... ნორმა იმდენად ნათელი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს მისი სურვილისამებრ ან სუბიექტურად განმარტების ალბათობა. ... კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აუცილებლობას თუ გარდაუვალობას, სისწორესა და მართლზომიერებას, იმავდროულად, მოქალაქეს უქმნიან წარმოდგენას, თუ რა ზომები იქნება მის მიმართ გატარებული. ... კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნა არის სამოქმედო ინსტრუქცია კანონმდებლისთვის, ამავე დროს, ის წარმოადგენს შემზღუდავ გარემოებას აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისთვის. ამიტომ კანონმდებელი ვალდებულია, საჯარო ხელისუფლებას მაქსიმალურად ნათლად დაუდგინოს ფარგლები, რომლებშიც მან უნდა იმოქმედოს“.²⁸³

მაშასადამე, კანონმდებელმა უფლების შემზღუდაველი ნორმის შემოღებისას უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: ასეთი რეგულაცია საკმარისად ცხადი უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ადამიანებმა მათ უფლებაში ჩარევისას ზუსტად იცოდნენ, რა მიზნის მისაღწევად (რისთვის), რა წესით და ვის მიერ შეიძლება მოხდეს მათი უფლების შეზღუდვა, ანუ კანონი პირებს უნდა უქმნიდეს მკაფიო და თვალნათელ წარმოდგენას, როდის და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს მათი უფლება შეზღუდვის რისკის ქვეშ; ხოლო მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელს ჰქონდეს მკაფიო ინსტრუქციები, რა საფუძვლების არსებობისას, რომელი მიზნების მისაღწევად, რა გზით, წესით და ინტენსივობით შეუძლია/ვალდებულია ჩაერიოს ადამიანის კონკრეტულ უფლებაში, რათა გამოირიცხოს უფლებათა უნებლიე თუ თვითნებურად გადამეტებული შეზღუდვის - დარღვევის საფრთხე.

გ)გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის განსაზღვრულობის აუცილებლობა შემდეგ ფაქტორსაც დაუკავშირა: “კანონის განსაზღვრულობას ასევე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო კონტროლის დროული და ეფექტური განხორციელებისათვის. მოქალაქეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რა შემთხვევებში, რომელი კონკრეტული პირობისა თუ გარემოების გამო შეიძლება დაირღვეს მათი უფლება და, შესაბამისად, უნდა შეძლონ, ისარგებლონ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით, რასაც არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების სრული დაცვისთვის“.²⁸⁴

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის სწორად გადაწყვეტას იმის თაობაზე, როდის და რაზე

²⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 15.

²⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

დაყრდნობით შეიძლება მტკიცება, რომ სადავო ნორმა ზემოაღნიშნულ პირობებს ვერ აკმაყოფილებს და რომ ამ მიზეზით ის უფლების დარღვევის რისკის მატარებელია.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის ბუნდოვანება, არასიცხადე, უმეტესწილად, განპირობებულია იმით და იმავდროულად გამოიხატება იმაში, რომ ის არ იკითხება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად, იძლევა გონივრულ საფუძველს სხვადასხვა შინაარსით წაკითხვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა, „ნორმის არაერთგვაროვნად წაკითხვის ალბათობა ყოველთვის ვერ გამოდგება მისი არაკონსტიტუციურობის მტკიცებისთვის. ნორმის თუნდაც რამდენიმე ვერსიით წაკითხვის შესაძლებლობა, მეტიც, მის საფუძველზე კონსტიტუციის საწინააღმდეგო პრაქტიკის არსებობა, ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს ნორმის არაკონსტიტუციურობაზე, ისევე, როგორც ბუნდოვანი ნორმის საფუძველზე სწორი პრაქტიკის არსებობა ყოველთვის ვერ გამოდგება ნორმის კონსტიტუციურობის მტკიცების ამომწურავ არგუმენტად“.²⁸⁵

აქ საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი სტანდარტები დაადგინა:

ა) „ნორმის ბუნდოვანება მისი არაკონსტიტუციურობის ზღვარზე არ გადის მანამ, სანამ მისი გონივრული განმარტება იურიდიული მეთოდოლოგიით შესაძლებელია ისე, რომ საკმარისი დამაჯერებლობით ცხადი და თვალსაჩინო გახდეს ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობების ნამდვილი არსი“.²⁸⁶ მაშასადამე, ნორმის განჭვრეტადობის ხარისხის შესაფასებლად და, ამ თვალსაზრისით, მისი კონსტიტუციურობის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელია მისი, იურიდიული მეთოდოლოგიის გამოყენებით, კეთილსინდისიერი, გონივრული განმარტება და ამ გზით მისი ნამდვილი არსის გარკვევა.

ბ) „თუ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში შეუძლებელი იქნება ნორმის თვითნებური და ადამიანის უფლებებისათვის საზიანო გამოყენება, მაშინ ნორმა სავსებით დააკმაყოფილებს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს“.²⁸⁷

გ) ხოლო თუ ბუნდოვანი ნორმა იძლევა გონივრულ საფუძველს მისი კონსტიტუციის საწინააღმდეგო შინაარსით წაკითხვისთვის, ის განჭვრეტადობის მოთხოვნებს ვერ პასუხობს და არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე მსჯელობისას დაადგინა უფლების დარღვევა კანონის არაგანჭვრეტადობის მიზეზით. ზემოაღნიშნული სტანდარტების

²⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

²⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

²⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/2-389 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.

უმეტესობაც ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა. კერძოდ, საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, დავის საგანს წარმოადგენდა: „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმის (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვების: “მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით” შემდეგ არსებული ჩანაწერის: “... ან ...”²⁸⁸) კონსტიტუციურობა, რომელიც, მომჩივანთა მტკიცებით, იძლეოდა სატელეფონო საუბრებზე ფარული მიყურადების განხორციელების შესაძლებლობას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. გასაჩივრებული ნორმის თანახმად, „ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით”.

მომჩივანთა აზრით, სადავო ნორმა ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებას, რომელიც ზღუდავს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებას, შესაძლებლად მიიჩნევდა სამ შემთხვევაში: ა) მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით; ბ) იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია; გ) თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რისთვისაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით. მოსარჩელთა განმარტებით, ბოლო ორი პირობა ითვალისწინებდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობას მოსამართლის ბრძანების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირობები არც შინაარსობრივად შეესაბამებოდა გადაუდებელი აუცილებლობის ცნებას და არც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი მოიხსენიებდა მათ ასეთად. ამასთან, მათი აზრით, სადავო ნორმის გონივრული განმარტება მიუთითებდა ნორმის ბუნდოვანებაზე, რადგან ის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. კერძოდ, შესაძლებელი იყო “ან” კავშირის შემდეგ ჩამოთვლილი პირობებიდან თითოეულის ამავე ნორმის პირველ პირობასთან კუმულაციურად გამოყენებაც და ასეთ შემთხვევაში, დაცული იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მოთხოვნები. მომჩივანთა აზრით, ნორმის ორგვარად ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მიუთითებდა მის ბუნდოვანებაზე. მოპასუხის განმარტებით კი, სადავო ნორმის სისტემური განმარტების შედეგად გამოირიცხებოდა სატელეფონო მოსმენების ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშე.

²⁸⁸ სადავო კანონის საქმის განხილვის მომენტისთვის მოქმედი რედაქცია.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიმართა სადავო ნორმის ისტორიულ, გრამატიკულ და სისტემურ განმარტებას და დარწმუნდა, რომ არცერთი ეს გზა არა მარტო ვერ აბათილებდა, არამედ, პირიქით, აძლიერებდა ეჭვებს ნორმის არაგანჭვრეტადობასთან დაკავშირებით. სისტემური განმარტების შედეგად გამოირიცხა სადავო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებზე „ოპერატიულ-სამმებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში არაერთგზის დაფიქსირებული კანონმდებლის იმ ნების გავრცელება, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევა მოხდეს მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილებით. იმავდროულად, ნორმის გრამატიკული განმარტების მიხედვით, სასამართლომ დაადგინა, რომ მასში საუბარი იყო სამ თანაბარი მნიშვნელობის ალტერნატიულ პირობაზე. ამასთან, სასამართლომ ისიც დაადგინა, რომ სადავო ნორმაში მოცემული პირობები ვერ ჩაითვლებოდა კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებულ „გადაუდებელ აუცილებლობად“, როდესაც უფლებაში ჩარევა შესაძლებელია მოსამართლის ბრძანების გარეშე. იმავდროულად, მოპასუხე მხარის არამყარმა და ურთიერთწინააღმდეგობრივმა პოზიციამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ნორმის პრობლემატურობა მის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციაზე 2000 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე *ვლოხი პოლონეთის წინააღმდეგ*: „ის ნორმა, რომელიც იმდენად ბუნდოვანია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აბნევს, მართლზომიერების მოთხოვნებთან შეუსაბამოა“.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნორმა ვერ აკმაყოფილებდა გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს, იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას.

8.8 უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები

როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი ფუნდამენტური უფლების და მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების არსებობისას, ამასთან იმ სავალდებულო პირობით, რომ უფლების შემზღუდველი კანონით გათვალისწინებული მიზანი კონსტიტუციით მოაზრებული ლეგიტიმური მიზნის იდენტური, შესაბამისი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და მე-16 მუხლებით, კონსტიტუციის სხვა არაერთი მუხლისგან განსხვავებით, არ არის დასახელებული კონსტიტუციის ამ დებულებებით დაცული უფლებრივი კომპონენტების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები. თუმცა, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ეს ფუნდამენტური ასპექტი აბსოლუტურია და შეზღუდვას არ

ექვემდებარება. ის, რომ მე-20 მუხლით დაცული უფლებრივი კომპონენტები შესაძლებელია შეიზღუდოს, თავად ამ მუხლიდან იკითხება, როდესაც კონსტიტუცია უფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ცხადია, ეს ორი გარემოება არის არა უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი, არამედ უფლებაში ჩარევის სავალდებულო წინაპირობა, გარანტია, რომელმაც უნდა გამოირიცხოს უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა. თუმცა, შესაბამისი ლეგიტიმური მიზნების არარსებობის პირობებში, უფლების შეზღუდვა, თუნდაც ამ წინაპირობებით (სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას) უფლებაში თვითნებური ჩარევა იქნება.

ზოგადად, არ არსებობს უფლების შეზღუდვისთვის ლეგიტიმური საფუძველი, თუ მის შეზღუდვად სარგებლობას არ უპირისპირდება კონსტიტუციითვე დასაცავი სხვა სიკეთე (რომელიმე ფუნდამენტური უფლება ან შესაბამისი საჯარო ინტერესები). როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავდა სატელეფონო საუბრების მიყურადების მარეგულირებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხს, მან შესაბამის გადაწყვეტილებებში აღნიშნა: „ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა. ეს უფლება, ერთ-ერთი თვალსაჩინოა იმ უფლებებს შორის, რომელთა შინაარსის განსაზღვრისას, ხელისუფლება დემოკრატიული და პოლიციური სახელმწიფოების ზღვარზე გადის. ზოგადად, ადამიანებზე ფარული დაკვირვება პოლიციური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. იმავდროულად, ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა“.²⁸⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლებზე მსჯელობისას ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი უფლების ფარგლებზე. „ამ თვალსაზრისით, საჯარო ინტერესის ფარგლები დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითაც, რომლის თანახმად, უფლებაში ჩარევა დასაშვებია, როდესაც ეს აუცილებელია: დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან

²⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.²⁹⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღიკვეთოს სერიოზული საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამიტომ ამ საფრთხეებთან ბრძოლისთვის, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, მათ შორის იმის შესაძლებლობაც, რომ განახორციელოს ფარული კონტროლი, თვალთვალი პირებზე (პირთა ჯგუფზე) რომელთაგანაც ეს საფრთხეები მომდინარეობს. ასეთ დროს, ზუსტად უფლებაში ჩარევის ფარული ხასიათი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტურობას. ... ბუნებრივია, რომ კონსტიტუციით ვერ იქნება უზრუნველყოფილი იმ პირთა კონკრეტული უფლების ხელშეუხებლობა, რომლებიც ხელყოფენ ან საფრთხეს უქმნიან ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას, სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს“²⁹¹.

საკონსტიტუციო სასამართლომ რელიევანტურ საქმეებზე²⁹² უფლების შესაზღუდად კანონით გათვალისწინებული მიზნები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ, კონსტიტუციურ მიზნებად მიიჩნია.

8.9 უფლებაში ჩარევა მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის დაცვით

საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, თავისთავად, საჯარო ინტერესების არსებობა არ არის საკმარისი უფლებაში ჩარევის გამართლებისათვის. სასამართლომ ამ თვალსაზრისით, რამდენიმე პირობის სავალდებულოდ დაკმაყოფილებაზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ: ა) თვალსაჩინო უნდა იყოს საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ამიტომ „კანონმდებლობა ადეკვატური მექანიზმებით უნდა ქმნიდეს ისეთ ვითარებას, რომ საჯარო ინტერესების მისაღწევად უფლებაში ჩარევა

²⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

²⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

²⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ხდებოდა მხოლოდ რეალური აუცილებლობის შემთხვევაში²⁹³. ბ) გარდა ამისა, სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სერიოზულ საფრთხესთან ბრძოლის მოტივით მიიღოს ნებისმიერი ზომები, რომლებსაც ის შესაბამისად და ადეკვატურად მიიჩნევს. „დემოკრატიულ საზოგადოებაში, უფლებაში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, თუ კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმებით. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს აყენებს ფარული კონტროლის რისკის ქვეშ, არ უნდა სარგებლობდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუბალანსებელმა კანონმდებლობამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, შესაძლოა თავად დემოკრატია გახადოს ძალზე მყიფე და სათუო“²⁹⁴.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევისას ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების კანონით მინიმალიზების ეს სავალდებულო მოთხოვნა საკონსტიტუციო სასამართლომ გაიმეორა ყველა მომდევნო რელევანტურ საქმეზე, ისევე როგორც ყურადღება გაამახვილა ამ თვალსაზრისით დამატებით მოთხოვნებზე. „სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა, პირველ რიგში, სწორედ თითოეული ფუნდამენტური უფლებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ჩათვლით, სარგებლობისთვის, ხელშეუხებლობისთვის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ამიტომ ხელისუფლების პასუხისმგებლობის ტვირთია, მონახოს გზა, რომელიც შესაძლებელს გახდის როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების, ისე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და თავისუფალი განვითარების ფუნდამენტური უფლებების დაცვას. კონსტიტუცია არ უშვებს მცირედ ალბათობასაც კი, რომელიმე ლეგიტიმური ინტერესის დაცვა შესაძლებელი იყოს ამა თუ იმ უფლების დარღვევის ხარჯზე. სახელმწიფომ უნდა შეძლოს, დააბალანსოს ინტერესები ისე, რომ თავი გაართვას კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნას - დაცული იყოს როგორც ფუნდამენტური უფლებებით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობა, ისე კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა ლეგიტიმური ინტერესები. ამიტომ მოცემულ შემთხვევაშიც სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, დაიცვას სახელმწიფო უსაფრთხოება, უზრუნველყოს დანაშაულის გამოძიება, ისევე როგორც მისი პრევენცია, მაგრამ, იმავდროულად, საფრთხის ქვეშ არ დააყენოს ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივები, არ დაარღვიოს მათი პირადი ცხოვრება. სახელმწიფო უსაფრთხოების საჯარო ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭების გზით, ხელისუფლებამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, თავად დემოკრატია არ უნდა შეუქმნას საფრთხე, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა ადამიანის პირადი სივრცის არაპროპორციულად

²⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 9.

²⁹⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II, 9.

შეზღუდვით, შეიცავს, დემოკრატიის დაცვის მიზნით, დემოკრატიისვე დარღვევის მაღალ რისკებს. ... ზუსტად კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებას ემსახურება უფლებაში ჩარევის კონსტიტუციით დადგენილი ფარგლები. ... შეზღუდვა უნდა იძლეოდეს დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის რეალურ შანსებს. ამასთან, ჩარევა პირად ცხოვრებაში უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი, როდესაც სხვა ნაკლებმზღუდველი ღონისძიებების გამოყენება უშედეგოა ან უკავშირდება განსაკუთრებულ ძალისხმევას“²⁹⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ მართალია, სახელმწიფო, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევისას, სარგებლობის თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით, თავად განსაზღვრავს, რა არის უფრო ეფექტური კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად, თუმცა, მისი ეს თავისუფლება არ არის უსაზღვრო. ის ვალდებულია, უფლებაში ჩარევისას გამოიყენოს მიზნის მიღწევის ვარგისი, უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი და პროპორციული საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო დაარღვევს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ, ერთი მხრივ, თანაზომიერების პრინციპის დაცვა უალტერნატივო მოთხოვნად წაუყენა ხელისუფლებას, შებოჭა რა ის (ხელისუფლება) უპირობო ვალდებულებით, ნებისმიერ გადაწყვეტილებას ზღვრად დაუდოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, თავად აღიჭურვა კონსტიტუციური ბერკეტით, ყოველ ჯერზე აწონოს, შეამოწმოს, მოქმედებს თუ არა ხელისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ერთგულებით, რაზეც სასამართლომ არაერთგზის და არაორაზროვნად მიუთითა საკუთარ გადაწყვეტილებებში: „თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის ... ძირითადი უფლებების ... ხელყოფას.“²⁹⁶ „კონსტიტუციური უფლებების ... შეზღუდვის შეფასების საზომი თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო

²⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, აიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, აიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და აიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 31-32.

²⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება #2/1/415 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

(ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“.²⁹⁷

8.10 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებრივი კომპონენტები

როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო როგორც ცალკეული ინდივიდებისთვის, ისე მთლიანად საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისთვის ამ უფლების ზოგად მნიშვნელობაზე მსჯელობას: „თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას, მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირებას. ეს საზოგადოების არსებობის თანმდევი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომლის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ყველას გააჩნია. ადამიანი თავისუფალი, ღირსების მქონე არსებაა. სამართლებრივი სივრცე, რომელსაც საკანონმდებლო ხელისუფლება ქმნის, მიმართული უნდა იყოს მისი უფლებების და იმ კონსტიტუციური ფასეულობების დაცვისაკენ, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მშვიდობიანი ყოფაცხოვრებისა და განვითარებისათვის არის საჭირო. აქედან გამომდინარე, ... პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ძირითადი მიზანია, დაიცვას ინდივიდი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული თვითნებური ჩარევისაგან“²⁹⁸.

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არაერთი ფუნდამენტური ასპექტის/უფლებრივი კომპონენტის კონსტიტუციურ ფარგლებსა და გარანტიებზე, რითაც შექმნა მყარი საფუძველი უფლებით ეფექტური სარგებლობისა და დაცვისთვის.

²⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება #3/1/512 საქმეზე *დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონცესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 60 .

²⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება NN2/1/484 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 15.

8.10.1 კომუნიკაციის თავისუფლება

ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად კომუნიკაციის ფორმათა ჩამონათვალი სისტემატურად იზრდება. ადამიანები თავიანთ პირად ინტერესებსა და მოსაზრებებს სულ უფრო მეტად ანდობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, თუმცა ინოვაციების პარალელურად იზრდება სახელმწიფოს თუ კერძო პირების ცდუნებაც, მიიღონ, გააანალიზონ და გამოიყენონ პერსონალური ინფორმაცია განსხვავებული მიზნებით. აღნიშნული ქმედებები შესაძლებელია ყოველთვის არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში ადამიანის ძირითად უფლებებთან, თუმცა აუცილებელია მათი ზედმიწევნითი და სწორი რეგულირება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფუნდამენტური ასპექტია კომუნიკაციის თავისუფლება, რომელიც ძირითადად გულისხმობს სხვადასხვა ტექნიკური შესაძლებლობებით ადამიანების კომუნიკაციის ანონიმურობის უფლებას ნებისმიერი მესამე პირებისგან. ის არაერთი კომპონენტისგან შედგება, რომელთა დაცულობა თანაბრად მნიშვნელოვანია ადამიანის პრივატული სფეროს ხელშეუხებლობისთვის. ამ უფლების კონსტიტუციური გარანტიები შექმნილია ძირითადად საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით და მე-16 მუხლით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა სწორედ ამ სფეროს დაცვას ემსახურება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით საუბარი გულისხმობს ადამიანების (ორი ან მეტი პირის) კომუნიკაციას ტელეფონის ან ვერბალური კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ინტერნეტპროგრამების გამოყენებით. ხოლო ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია კომუნიკაცია ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, შესაბამისი ინტერნეტპროგრამების და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. იმავდროულად, დაცულია როგორც სადენიანი (ოპტიკურბოჭკოვანი), ისე უსადენო (რადიოტალღებზე მომუშავე) ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემებით დამყარებული კომუნიკაცია“²⁹⁹.

დაცული სფეროს არსი არის ნებისმიერი ამ ტექნიკური საშუალებით ვერბალურად თუ სხვა გზით (მიმოწერით) კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, ანუ როგორც გაცვლილი ინფორმაციის შინაარსის, ისე კომუნიკაციის სუბიექტთა ანონიმურობა ნებისმიერი მესამე პირისგან, სახელმწიფოს ჩათვლით. ამ უფლებებრივი კომპონენტებით საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავს კომუნიკაციის თავისუფლებას. „ეს უფლება არის გარანტია ადამიანებისთვის, თავად განსაზღვრონ დამოუკიდებლად, მათი სურვილისა და არჩევანის მიხედვით, კომუნიკაციის

²⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23.

შინაარსი და პირთა წრე (პარტნიორები), ვისთანაც სურთ ურთიერთობა, მოსაზრებების გაცვლა კონკრეტულ საკითხებზე, თემებზე. იმავდროულად, ეს უფლება უზრუნველყოფს ადამიანების თვითგამოხატვას მათთვის სასურველ და მისაღებ სოციუმში, რაც უპირობოდ დაცული უნდა იყოს ამ პროცესში ჩარევის, კონტროლის შიშით განპირობებული თვითშეზღუდვისგან, თავშეკავებისაგან, ვინაიდან თავისუფალი თვითგამოხატვა შესაძლებელია სწორედ მხოლოდ აბსოლუტური თავისუფლებით, ნებელობით, პერსონალური გადაწყვეტილების მიხედვით, სასურველი დოზითა და ფორმით ინდივიდუალიზმის დემონსტრირებით. ამ თვალსაზრისით, ეს უფლება ემსახურება და უზრუნველყოფს ინფორმაციული თვითგამორკვევისა და აზრის, გამოხატვის თავისუფლებებს ან დაკავშირებულია მათთან. აზრის და გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული შინაარსის მოსაზრებების, ინფორმაციის ამა თუ იმ ფორმით გამოხატვას და ამ გზით თვითრეალიზაციას, არამედ, მათ შორის, კონკრეტულ პირებთან, კონკრეტულ სოციუმში ამ მოსაზრებების გაცვლასაც, რასაც სწორედ მე-20 მუხლი უზრუნველყოფს³⁰⁰. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და განვითარება წარმოუდგენელია, შეუძლებელია ინფორმაციის თავისუფლების, აზრთა გაცვლისა და ადამიანების ნებისმიერ სფეროში თავისუფალი კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. „... ადამიანებს აქვთ უფლება, მათთვის სასურველი ან საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ მხოლოდ კონკრეტულ პირს (პირებს), ანუ აქვთ უფლება, აირჩიონ თემები, ინტერესები და პირთა წრე, ვისთანაც ამ თემებზე კომუნიკაცია სურთ ... თუ არ იქნება ინფორმაციის დაცულობის და პირთა ანონიმურობის დაცვის შესაბამისი გარანტია, ეს კითხვის ქვეშ დააყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამასთან, დააბრკოლებს, გაართულებს ამ გზით კომუნიკაციას ნებისმიერ სფეროში. რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას“.³⁰¹ „კერძო, პირად სივრცეს (სფეროს) ადამიანი თავად ქმნის და აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ შერჩეულ, სასურველ ან მისთვის საჭირო საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი, ანონიმური, ხელშეუხებელი დარჩება ყველა იმ პირისათვის, რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა“.³⁰² „ადამიანის უფლება, იარსებოს საზოგადოებისგან

³⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 23-24.

³⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 6.

³⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3.

დამოუკიდებლად, ჰქონდეს ურთიერთობა პირთა იმ წრესთან, რომელსაც ის აირჩევს, წარმოადგენს პიროვნების არსებობისათვის აუცილებელ ფაქტორს“.³⁰³ „პირადი სივრცის პრივატულობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს გარანტირებულად უნდა ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებისა და ნების შესაბამისად, საზოგადოებრივი კონტროლისგან თავისუფალ პირობებში, სივრცეში განავითაროს საკუთარი პიროვნება, ურთიერთობები მხოლოდ მისთვის სასურველ პირებთან, მისთვის მისაღებ თემებსა თუ საკითხებზე, მისთვის სასურველი ფორმითა თუ მანერით, სტილით, იყოს ისეთი, როგორც არის, საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევის მხედველობაში მიღების ვალდებულების გარეშე. ... საჯარო სივრცეში თითოეული ადამიანი შესაძლოა შეზღუდული იყოს, სულ მცირე, სხვათა პატივისცემის, საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევის ვალდებულებით, რამაც შესაძლოა დააკორექტიროს მისი ქმედება. უფლება პირად სივრცეზე კი ქმნის შესაძლებლობას, ადამიანმა საზოგადოების, ნებისმიერი მესამე პირის, სახელმწიფოს ჩართულობის, კონტროლის, შესაბამისად, მათთვის ანგარიშის გაწევის საჭიროების გარეშე, საკუთარი არჩევანის მიხედვით, თავისუფლად შექმნას მისთვის სასურველი გარემო.“³⁰⁴

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ასევე პირების კომუნიკაცია ინტერნეტის მეშვეობით. „ამ თვალსაზრისით, ინტერნეტის მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ძალიან დიდია და ყოველდღიურად მზარდი. ის ადამიანთა კომუნიკაციის, მოსაზრებების გაცვლის, გაზიარების ძალზე ეფექტური და მოსახერხებელი საშუალებაა. ... როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანებს აქვთ უფლება, მათთვის სასურველი ან საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ მხოლოდ კონკრეტულ პირს (პირებს), ანუ აქვთ უფლება, აირჩიონ თემები, ინტერესები და პირთა წრე, ვისთანაც ამ თემებზე კომუნიკაცია სურთ. ინტერნეტი არის ერთ-ერთი შესაძლებლობა ასეთი საჯარო ან კერძო ურთიერთობებისთვის. ამიტომ, თუ არ იქნება ინფორმაციის დაცულობის და პირთა ანონიმურობის დაცვის შესაბამისი გარანტია, ეს კითხვის ქვეშ დააყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამასთან, დააბრკოლებს, გაართულებს ამ გზით კომუნიკაციას ნებისმიერ სფეროში.“³⁰⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „პიროვნების თავისუფალი განვითარება უპირობოდ გულისხმობს ადამიანის არჩევანს, თავად

³⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

³⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილს N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 10-11.

³⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5-6.

გადაწყვიტოს, რომელ ინფორმაციას არ გახდის საჯაროს საკუთარ თავთან მიმართებით. თითოეული ადამიანის არჩევანი საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, რაც გარანტირებულია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით. აღნიშნული გულისხმობს, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებას, განსაზღვროს საკუთარი ქმედებები და არჩევანი გააკეთოს იმის სასარგებლოდ, რასაც ყველაზე გონივრულად და შესაფერისად მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ, - სახელმწიფოს ვალდებულებას, არ დაუშვას აღნიშნულ უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა³⁰⁶. სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ზოგადად ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები.³⁰⁷

ამ ვალდებულებების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ, უფლების მნიშვნელობისა და დაცული სფეროს სენსიტიურობიდან გამომდინარე, შემდეგი მოთხოვნებით შეზღუდა კანონმდებელი: „დასახელებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობისთვის და ამ გზით ადამიანების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საკმარისი და ეფექტური გარანტიების არსებობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ძალიან მყარი შეგრძნება ანონიმურობისა, ადამიანების ნებისა და გადაწყვეტილების გარეშე, მათი კომუნიკაციის აბსოლუტური ხელმიუწვდომლობისა ნებისმიერი მესამე პირისთვის, სახელმწიფოს ჩათვლით. ეს უფლებები ირღვევა მათი სრულად და ეფექტურად გამოუყენებლობის მიზეზით იმ პირობებში, თუ ადამიანებს აქვთ შიში ანონიმურობის სიმყიფისა, თუ ისინი ცხოვრობენ იმ შეგრძნებითა და განცდით, რომ მათი კომუნიკაციის შინაარსი ხელმისაწვდომია მესამე პირებისთვის. რადგან სასურველ პირებთან სასურველ თემებზე კომუნიკაცია იმ შეგრძნებით, რომ ეს სივრცე და კომუნიკაცია სულაც არ არის ანონიმური, მაღალი ალბათობით, თავისთავად ცვლის კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის ფორმასაც და შინაარსსაც, მათ შორის, აზრის გამოხატვაზე/კომუნიკაციაზე უარის თქმის ჩათვლით, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება და გამორიცხავს საკუთარი არჩევანის მიხედვით განვითარებას, ავიწროებს, აღარიბებს პირად სივრცეს“.³⁰⁸ დაცული სფეროს განსაკუთრებულობა

³⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

³⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

³⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა

თავისთავად განაპირობებს უფლებაში ჩარევის ზედმიწევნითი სიფრთხილის ვადლებულებით ხელისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას. „ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივა ძალიან მყიფე ხდება პერსონალური ავტონომიურობის საეჭვობის პირობებში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი ხელშეუხებლობა ადამიანის პირადი სივრცისა, არამედ ასეთი ხელშეუხებლობის მყარი შეგრძნება, განცდა, აღქმადობა ადამიანის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებებიც და სამართალიც იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს ადამიანებისთვის, რომ ისინი მუდმივი ეჭვით არ ცხოვრობდნენ, არის კი მათი პირადული სივრცე რეალურად დაცული, ხელშეუხებელი. ადამიანის პერსონალური ავტონომიურობისა და პირადი სივრცის, მისი ნების, გადაწყვეტილების გარეშე ნებისმიერი ფორმითა და ინტენსივობით განსაჯაროების, ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან ხელმისაწვდომობის საფრთხეზე დაფიქრებაც კი თრგუნავს ადამიანის თვითგამორკვევას, ინიციატივას, თვითრეალიზაციის პერსპექტივებს, რაც ერთნაირად აფერხებს როგორც ადამიანების პერსონალურ, ისე საზოგადოების ჯანსაღ და დემოკრატიულ განვითარებას“³⁰⁹.

სწორედ ამიტომ, სასამართლომ დაადგინა, რომ უფლებაში ჩარევა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მკაცრი მოთხოვნებისა და პირობების კუმულაციურად დაკმაყოფილების შემთხვევებში. კერძოდ: „პირველ რიგში, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზნების (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების, დანაშაულის გამოძიების, მისი პრევენციის, სხვათა უფლებების ხელშეუხებლობის) დაცვის აუცილებლობა. ამასთან, ასეთი ინტერესის არსებობა და დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება სახელმწიფოს არ აძლევს განუზომელ შესაძლებლობებს, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლებამოსილებას მისთვის მისაღები ან, მისი აზრით, ყველაზე ეფექტური ფორმით. კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული ინტერესების უზრუნველსაყოფად უფლებაში ჩარევა შესაძლებელი იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში - როდესაც ამოწურულია ამ ინტერესების დაცვის სხვა ლეგიტიმური შესაძლებლობები, ამასთან, ყველაზე ნაკლებად მზღლდავი და პროპორციული ფორმით. იმავდროულად, ზემოაღნიშნულ პირობებში, უფლებაში ჩარევის შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს განჭვრეტადი კანონით. ... საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი უფლების უსაფუძვლო და გადამეტებული შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე დამატებით მოითხოვს, რომ უფლებაში სახელმწიფოს ჩარევა შესაძლებელი იყოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული

იურისტთა ასოციაცია“; ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 27.

³⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტბე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, რაც ასევე მოგვიანებით მოითხოვს მოსამართლის თანხმობას.³¹⁰

8.10.1.1 უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში

უფლებაში მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების დაცვის აუცილებლობისას და მხოლოდ როგორც ერთადერთი შესაძლებლობის გამოყენების გზით ჩარევის უზრუნველსაყოფად, კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნაა, რომ „პირადი ცხოვრების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“.³¹¹

8.10.1.1.1 უფლების შესაზღუდად სასამართლოს გადაწყვეტილების აუცილებლობა

უფლებაში მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩარევის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიის მთავარი დატვირთვა ის არის, რომ სწორედ სასამართლომ, როგორც დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ინსტანციამ შეამოწმოს, არსებობს თუ არა ჩარევის ლეგიტიმური საფუძველი, ამასთან, უკიდურესი საჭიროება უფლების სწორედ ასეთი ფორმით შეზღუდვისთვის. მიზანი არის, გამოირიცხოს ხელისუფლების თვითნებობა, შეცდომა თუ ცდუნება, ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში მაშინ, როდესაც ამისთვის ობიექტური საფუძველი და უკიდურესი საჭიროება არ არსებობს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებრივ კომპონენტებში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩარევის კონსტიტუციური გარანტიის მნიშვნელობა. „სასამართლო არის არაპოლიტიკური ხელისუფლება, რაც განაპირობებს და, იმავდროულად, ავალდებულებს მას ნეიტრალურობას. პერსონალურად და არსებითად დამოუკიდებელ, კანონმორჩილ მოსამართლეს შეუძლია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება უფლებაში

³¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 40-41.

³¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 32.

ჩარევის აუცილებლობის თაობაზე³¹². “კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაზღუდად სასამართლოს გადაწყვეტილების აუცილებლობის კონსტიტუციური პირობა ემსახურება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებაში ჩარევის საჭიროების არსებობის ნეიტრალური პირის მიერ შეფასებას. ... ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს უფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ახასიათებს ფარული ბუნება, მათ დიდ ნაწილს საზოგადოება საერთოდ ვერ ხედავს და, შესაბამისად, ვერ აკონტროლებს. ამ ფონზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის ცდუნება და რისკი სხვა შემთხვევებთან შედარებით მაღალია. ნეიტრალური პირის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების გაკონტროლება ამცირებს თვითნებობის რისკებს და წარმოადგენს კანონის სწორი გამოყენების მნიშვნელოვან გარანტიას”³¹³. „კომუნიკაციის საშუალებათა მიყურადება წარმოადგენს სერიოზულ ჩარევას პირადი ცხოვრების უფლებაში და საფრთხის ქვეშ აყენებს დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს. ამდენად, ასეთი მიყურადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო დაარწმუნებს მესამე ობიექტურ მხარეს - სასამართლოს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი და მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება პირადი ცხოვრების უფლებაში თვითნებურ ჩარევას“³¹⁴.

საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, *საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*; ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“; ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ შეაჯამა უფლების შეზღუდვის შესაძლებლობისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციური გარანტიის მნიშვნელობა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასახელებული უფლებრივი კომპონენტების შესაზღუდად ... კონსტიტუციური საფუძვლები არსებობს თუ არა, კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, სწორედ სასამართლო ამოწმებს. რაც ნიშნავს, რომ კონსტიტუციის მიხედვით, არ არსებობს სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, თუნდაც

³¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 24.

³¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება NN2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 20.

³¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“; ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“; ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 32.

უმნიშვნელოდ ჩაერიოს ადამიანის პირადი კომუნიკაციის უფლებაში, თუ საამისოდ არ აქვს სასამართლოს დასტური. გამონაკლისს წარმოადენს კონსტიტუციითვე დადგენილი მეორე საფუძველი - კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, რომლის არსებობის საკითხს მოგვიანებით ასევე სასამართლო არკვევს. მაშასადამე, კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების ძირითადი არსი გულისხმობს სასამართლო კონტროლის გარეშე უფლებაში ჩარევის აბსოლუტურად გამორიცხვას. ამის საწინააღმდეგოს დაშვება, კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების არსს აზრს უკარგავს, რადგან სასამართლომ უნდა შეასრულოს მთავარი წინაღობის ფუნქცია და დაიცვას ადამიანები ხელისუფლების შეცდომის, თვითნებობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან³¹⁵.

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის დანიშნულებაა არა მხოლოდ პირადი ცხოვრების შეზღუდვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ლეგიტიმური მიზნებისთვის გამოყენების სასამართლოს მიერ შეფასება, არამედ, სასამართლო კონტროლი მიზნად ისახავს ხელისუფლების კონტროლს ყველა ეტაპზე პირად ცხოვრებაში უსაფუძვლოდ ჩარევის რისკების გამოსარიცხად³¹⁶.

ვინაიდან უფლების შეზღუდვა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა როგორც თავად უფლების დაცვის, ისე კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებითი მოთხოვნები წაუყენა კანონმდებელს ამ პირობის ეფექტური ქმედითობის უზრუნველსაყოფად. საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისთავად სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა აპრიორი უფლებაში თანაზომიერ ჩარევას არ გულისხმობს. „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უფლების პროპორციული შეზღუდვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ... ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ უფლების შეზღუდვის ეს პირობა არ გულისხმობს კანონით შესაბამისი რეგულირების გარეშე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ეს ასე რომ ყოფილიყო, რისკი და

³¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 44.

³¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 42.

ცდუნება ხელისუფლების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებისა განუსაზღვრელად დიდი იქნებოდა. თვითნებობის და უფლებაში გადამეტებული ჩარევის თავიდან ასაცილებლად, პასუხი იმაზე, როდის და როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილება, უნდა იყოს კანონში. ... იმავდროულად, კონსტიტუცია სასამართლო გადაწყვეტილებაში გულისხმობს მხოლოდ დასაბუთებულ და სწორ გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ამის შესაძლებლობას, პირველ რიგში, ისევ კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს – ის იმდენად კონკრეტული, მკაფიო და ნათელი უნდა იყოს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა მისი სწორად გამოყენებისა. გარდა ამისა, კანონმდებლობაში უნდა იყოს ამომწურავი პასუხი, რა საკითხებს უნდა მოიცავდეს თავად გადაწყვეტილების შინაარსი³¹⁷.

დამატებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეზე მიუთითა, რომ უფლების დაცულობის მტკიცებისთვის თავისთავად საკმარისი ვერ იქნება კანონში მხოლოდ საგანგებო დებულებების არსებობა იმის თაობაზე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება შესაძლებელია მოსამართლის გადაწყვეტილებით (ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას). არამედ „აუცილებელია, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებითა და სათანადო გარანტიების არსებობით დამაჯერებლად გამოირიცხოს პირად ცხოვრებაში ჩარევის ალბათობა კონსტიტუციით დადგენილი ამ გარანტიის მიღმა. კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა უფლებაში მოსამართლის გადაწყვეტილებით ჩარევის წესის დემონსტრირების პარალელურად, თავადვე არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, ქმნიდეს ცდუნებას, უფლებაში ჩარევა მოხდეს კონსტიტუციური გარანტიის იგნორირებით. მნიშვნელოვანია, რომ კანონი არ ზრდიდეს საფრთხეს ცდუნებისთვის, ხელისუფლებამ იმოქმედოს კონსტიტუციის მოთხოვნების უგულვებლყოფით³¹⁸.

8.10.1.1.2 უფლების შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას

საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რას ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული «გადაუდებელი აუცილებლობა», ვინ არის უფლებამოსილი, განსაზღვროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რა უნდა

³¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-24.

³¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“; ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“; ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 43.

ჩაითვალოს ასეთ შემთხვევად და რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს მან ამ დროს. „საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის კონკრეტული რეგლამენტაციის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ კანონმდებელს. შესაბამისად, კონსტიტუციის ეს დებულება კატეგორიულად მოითხოვს, რომ არც ერთი პირობა, რომელიც, თუნდაც თავისი შინაარსით შეესაბამება გადაუდებელ აუცილებლობას, თუ ის კანონით არ არის გათვალისწინებული, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად მოსამართლის ბრძანების გარეშე უფლების შეზღუდვას. ამასთან, კანონში მოცემული პირობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოსამართლის ბრძანების გარეშე უფლებაში ჩარევისთვის, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ გადაუდებელი აუცილებლობის შინაარსს. ... «გადაუდებელი აუცილებლობა» გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას“³¹⁹.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ეს პირობა არ მოითხოვს კანონში გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების კატეგორიულად ამავე სახელწოდებით მოხსენიებას, თუმცა მეტი სიცხადისთვის ეს სასურველია. „... «გადაუდებელი აუცილებლობის» არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. ამისათვის კანონმდებლის ნება ამა თუ იმ გარემოების «გადაუდებელ აუცილებლობად» მიჩნევის შესახებ, საკმარისად მკაფიო უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს სამართალშემფარდებლის მიერ მისი არასწორი ინტერპრეტაცია და თვითნებობის ალბათობა, რისი კანონზომიერი შედეგიც იქნება უფლების დარღვევა. ამასთან, კანონმდებელიც არ არის აბსოლუტურად თავისუფალი ამ ცნებისთვის კონკრეტული შინაარსის მიცემისას. ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების საზომს წარმოადგენს კონსტიტუცია, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების შემფასებელს - საკონსტიტუციო სასამართლო“³²⁰.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „გადაუდებელი აუცილებლობის“ ვითარება არ ათავისუფლებს სახელმწიფოს, მოგვიანებით (დროის მცირე მონაკვეთში), პირად ცხოვრებაში ჩარევის საფუძვლიანობისა და კანონიერების

³¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 26.

³²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 26.

სასამართლოში შემოწმების ვალდებულებისგან. „მაშასადამე, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება არ გამოირიცხავს მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების აუცილებლობას“³²¹.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთო ნორმა ცნო არაკონსტიტუციურად სწორედ იმ მოტივით, რომ სადავო რეგულაციები არღვევდა პირადი ცხოვრებაში მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩარევის კონსტიტუციურ მოთხოვნას.

საქმეზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქეთა მარ ჩუგომვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მომჩივნებმა გაასაჩივრეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგის სხვა საშუალებებთან ერთად, მოიცავდა დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვების შესაძლებლობასაც სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.³²²

მომჩივნის მტკიცებით, სადავო ნორმა როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ნორმებთან სისტემური განმარტების პირობებში, უშვებდა შესაძლებლობას, დახურულ ინტერნეტურთიერთობაზე ფარული დაკვირვება განხორციელებულიყო სასამართლოს კონტროლის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის განმარტების გზით დაადგინა შემდეგი გარემოებები: სადავო ნორმის მიხედვით, ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი ხორციელდებოდა: ა)ღია და დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვების გზით; ბ)ღია და დახურულ ინტერნეტურთიერთობებში მონაწილეობით. ამასთან, ტერმინი - „დაკვირვება“ გულისხმობდა დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვებასაც. სადავო ნორმაში არაფერი იძლეოდა ამ ტერმინზე დაყრდნობით დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვების უფლებამოსილების გამორიცხვის შესაძლებლობას, მით უფრო, ვალდებულებას. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის რელევანტურ ნორმებთან ერთობლიობაში სისტემური განმარტების შედეგად დაადგინა, რომ მას ჰქონდა დამოუკიდებლად გამოყენების რესურსი და ის არაორაზროვნად

³²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, აიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, აიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და აიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 34.

³²² სადავო ნორმა („ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედ რედაქცია) განსაზღვრავდა ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნებას, როგორც არის ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი არის „გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას“.

ითვალისწინებდა დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვების შესაძლებლობას.

სადავო ნორმით უფლებაში ჩარევის ფაქტის დადგენის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გაერკვია, უზრუნველყოფილი იყო თუ არა უფლებაში ასეთი სახით ჩარევა მხოლოდ კონსტიტუციური გარანტიებით (სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას).

კანონის რელევანტური ნორმების ერთიანი გააზრებით, ცხადი გახდა, რომ კანონმდებელმა, ერთი მხრივ, მკაცრად დააფიქსირა თავისი ნება უფლების შემზღვევადი ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებაზე სასამართლო გარანტიების გავრცელების შესახებ, თუმცა, მეორე მხრივ, ასევე არაორაზროვანი იყო კანონმდებლის ნება იმის თაობაზე, თუ რომელ ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებებს უკავშირებდა ის უფლების შეზღუდვის რისკებს და, შესაბამისად, რომელთა ჩატარებაზე მოითხოვდა სასამართლო კონტროლის გავრცელებას³²³. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ითვალისწინებდა დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვების შესაძლებლობას, ამასთან მოქმედი კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ სადავო ნორმა როგორც დამოუკიდებლად, ისე სისტემური განმარტების შედეგად, ითვალისწინებდა ამ ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების ჩატარებას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. მიუხედავად კანონმდებლის ზოგადი მისწრაფებისა, რომ უფლებაში ჩარევის ასეთი შემთხვევები სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებოდა, ამ პოზიციის სადავო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებზე გავრცელების ვალდებულება არ გამომდინარეობდა არც სადავო ნორმიდან და არც ზოგადად კანონმდებლობიდან.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლის მხოლოდ მისწრაფება და მიზანი - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა დაუქვემდებაროს სასამართლოს კონტროლს, ვერ მოახდენდა გავლენას სადავო ნორმის შინაარსზე, თუ ამან ადეკვატური ასახვა არ პოვა კანონში.

³²³ საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მუხლზე (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი), რომლის მთლიანობაში გააზრებით, ნათელი იყო, რომ კანონმდებელმა ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებების განსაზღვრისას, ამ ღონისძიებებით უფლებაში ჩარევის სიმძიმის გათვალისწინებით, იქვე მიუთითა, რომელი ღონისძიებები ტარდება მოსამართლის ბრძანებით. იქ, სადაც ეს მითითება არ იყო (ყველა ქვეპუნქტში, “თ” და “ი” ქვეპუნქტების გარდა), ამ პუნქტის სწორად წაკითხვის შემთხვევაში, ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების ჩატარებისთვის მოსამართლის ბრძანება საჭირო არ იყო. ამასთან, ნიშანდობლივი იყო, რომ ასეთ დამოკიდებულებაზე კანონი არაერთგზის მიუთითებდა – ყველა ნორმაში, რომელიც მოსამართლის ბრძანების აუცილებლობას ითვალისწინებდა (მე-14 მუხლის “ვ” და „ზ“ ქვეპუნქტები, მე-20 მუხლი), მითითება იყო ამ თვალსაზრისით ძირითად ნორმებზე (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის “თ” და “ი” ქვეპუნქტებზე), ანუ იმ ნორმებზე, რომლებიც ადგენენ ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების სახეს და მისი ბუნებიდან გამომდინარე მისი ჩატარების ერთადერთ შესაძლებლობას – მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ კანონი მხოლოდ ორი ოპერატიული ღონისძიებებისთვის (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის “თ” და “ი” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის) განსაზღვრავდა სასამართლო გარანტიების გავრცელების წესს. ცხადია, ამ ორი ღონისძიების გარდა, სხვა ღონისძიებებზეც რომ ჩაეთვალა საჭიროდ სასამართლო გარანტიების გავრცელება, კანონმდებელი, დანარჩენი ღონისძიებებისთვისაც დაადგენდა სასამართლო გარანტიების გავრცელების (მოსამართლის ბრძანების გაცემის) წესს, პროცედურას.

ვინაიდან სადავო ნორმა უშვებდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ნორმის კონსტიტუციურობის გადასაწყვეტად, სასამართლომ ასევე შეამოწმა, არსებობდა თუ არა უფლების შესაძლო შეზღუდვის მეორე ფორმალური საფუძველი – კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმა ადგენდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სახეს. „კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“ კი თვისობრივად არის მდგომარეობა, პირობა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ან არ არსებობდეს ამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საჭიროებისას. იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შინაარსი, რომელიც განსაზღვრული იყო სადავო ნორმით, ვერ იქნებოდა ამ მდგომარეობის იდენტური ან ყოველთვის გადაუდებელი აუცილებლობით განპირობებული. შესაბამისად, არ არსებობდა საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ სადავო ნორმა მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

8.10.1.2 ჯეროვანი გარანტიების მოთხოვნა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან თვითნებობის გამოსარიცხად

როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონმდებლობის არაერთი ნორმა, რომელიც უშვებდა შესაძლებლობას, ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, როგორებიცაა სატელეფონო საუბრების მიყურადება, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის და ინტერნეტურიერთობის მონიტორინგი, ასევე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და შენახვა განხორციელდეს კონსტიტუციური გარანტიების უგულვებელყოფით - სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებისა და გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების არარსებობის პირობებში.

იმავდროულად, ყველა ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ უფლების დარღვევის რისკების მინიმალიზების/გამორიცხვისთვის დაადგინა არაერთი მოთხოვნა, რომლებიც გასათვალისწინებლად სავალდებულო კრიტერიუმებად წაუყენა კანონმდებელს.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნები გაცილებით უფრო მკაცრია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მომწესრიგებელი კანონმდებლობის მიმართ, რომელიც პირად ცხოვრებაში ინტენსიური ჩარევის საფუძველს ქმნის, ვინაიდან ამ ნორმების შემოწმებისას გასათვალისწინებელია ასეთი ქმედებების ფარული ხასიათი, ბუნება, რაც ისედაც ობიექტურად ამცირებს მათზე კონტროლის განხორციელების გზებსაც და კონტროლის არსებული შესაძლებლობების ეფექტურობასაც. კერძოდ:

„გასათვალისწინებელია, რომ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების

შემზღვეველი ნორმებისადმი მოთხოვნები, ზოგადად, მათ ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, გაცილებით მკაცრია, ვიდრე ჩვეულებრივ გამოიყენება ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. ეს, ძირითადად, განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

ა) უფლებაში ჩარევის ბუნებით – კონკრეტული ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიება ტარდება ფარულად. ... შესაბამისად, კონკრეტულმა პირებმა არ იციან ზუსტი დამაჯერებლობით, როდის ტარდება ეს ღონისძიება მათ მიმართ.

ბ) პირი არ მონაწილეობს იმ სასამართლო პროცესში, სადაც უნდა გადაწყდეს მის მიმართ ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების ჩატარების აუცილებლობის საკითხი. შესაბამისად, მან არაფერი იცის ასეთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლიანობისა და კანონიერების თაობაზე, მეტიც, მოკლებულია შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს უფლებაში სახელმწიფოს არამართლზომიერი, გადამეტებული ჩარევა.

გ) გართულებულია ე.წ. “მესამე პირების” ინტერესების ადეკვატური დაცვა. ესენი არიან პირები, უშუალოდ რომელთა მიმართაც და რომელთა მიზეზითაც არ ტარდება ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიება. ისინი ფარული კონტროლის ობიექტები შეიძლება გახდნენ იმ პირებთან სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით დაკავშირებისას, რომელთა მიმართაც ხორციელდება ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიება. მესამე პირები სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს საერთოდ არ მოელოან და, შესაბამისად, არც თავის დაცვა შეუძლიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრების ამ სფეროს შეზღუდვისას დაცულობის ხარისხი ბევრად მაღალი უნდა იყოს.³²⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლება პირად სივრცეზე ყველაზე იმანენტურია, ფუნდამენტურია, ადამიანისთვის ბუნებრიობის, თავისთავადობის ყველაზე უფრო მკაფიოდ შეგრძნების კომფორტის შემქნელია, გარანტიაა, იყოს როგორც არის, როგორც სურს ან შეუძლია რომ იყოს. „ამიტომ ის ძალიან ძვირფასია საიმისოდ, რომ მისი ხელშეუხებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების მხოლოდ კეთილ ნებას მივანდოთ, დავტოვოთ სივრცე ან მცირედი შესაძლებლობა მაინც, ხელისუფლებამ საკუთარი მიხედულებით და მიზანშეწონილობით გადაწყვიტოს, დავტოვოს ჩვენს პირად სივრცეში მისი კონტროლის გარეშე, თუ არა. ამიტომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების თავისთავადი შემადგენელია თითოეული ადამიანის უფლება, მოსთხოვოს ხელისუფლებას მისთვის გასაგები, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ეფექტური და საკმარისი გარანტიები საიმისოდ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება ამ თვალსაზრისით საიმედოდ კონტროლდებოდეს“³²⁵.

³²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

³²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიპ „ფონდი ღია საზოგადოება

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონის დარღვევით ქმედება ვერ გახდება კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის მიზეზი. „თუმცა კანონმდებლის პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას ისეთი სისტემა, როდესაც ობიექტურად შესაძლებელი იქნება საკმარისი, ეფექტური და გამჭვირვალე მექანიზმებით კონტროლი ხელისუფლების საქმიანობაზე. კანონი ვერ დააკმაყოფილებს „კანონის ხარისხის“ მოთხოვნებს, თუ ის ქმნის მის მიერვე დადგენილი წესების მიღმა ქმედების ცდუნებას. კანონი თავად არ უნდა ახდენდეს მისივე დარღვევის პროვოცირებას“.³²⁶

კანონის ხარისხისადმი ზემოაღნიშნული მოთხოვნების პარალელურად, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებაში მხოლოდ კონსტიტუციური გარანტიების და თანაზომიერების პრინციპის უპირობო დაცვით ჩარევის უზრუნველსაყოფად ყურადღება გაამახვილა ისეთ გარემოებებზე, როგორცაა: ვის და რა ფორმით უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაერიოს ადამიანის პირად სივრცეში; უფლებაში ჩარევის შეზღუდვის აუცილებლობა დროში, პირთა წრის მიხედვით; უფლებაში ჩარევაზე კონტროლის განჭვრეტადი, ეფექტური და საკმარისი მექანიზმების შექმნის აუცილებლობა, ვინაიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხე იზრდება, თუ პირად ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა არ არის დაბალანსებული კონტროლის სათანადო და საკმარისი მექანიზმებით.

8.10.1.2.1 კომუნიკაციის კონტროლზე სამართალდამცველთა შეზღუდული წვდომის აუცილებლობა

ადამიანის პირად სივრცეზე და კომუნიკაციაზე კონტროლი წარმოადგენს რა ინტენსიურ ჩარევას ადამიანის პირად ცხოვრებაში, ის უკიდურესად აუცილებელი, მინიმალური დროით უნდა იყოს შეზღუდული. საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ადამიანის პირად სივრცეზე კონტროლის ვადით მკაცრად შეზღუდვის აუცილებლობას, ამასთან ასეთი ვადის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრის საჭიროებას, რათა გამოირიცხოს ადამიანზე ფარული დაკვირვება (თვალთვალი, მიყურადება, კომუნიკაციის მონიტორინგი ნებისმიერი სხვა ფორმითა თუ საშუალებით) იმაზე უფრო ხანგრძლივად და ინტენსიურად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად.

საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 80.

³²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 69.

მამასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის და ამ გზით უფლების დარღვევის რისკების გამოსარიცხად, უმნიშვნელოვანესია, რომ სასამართლო იღებდეს გადაწყვეტილებას უფლებაში ჩარევის ლიმიტირებულ ვადასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, აღარ იარსებებს ლეგიტიმური საფუძველი უფლებაში ჩარევისთვის.

საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, გასაჩივრებული იყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა (მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი³²⁷), რომლის თანახმადაც: „თუ ოპერატიული ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვს დამატებითი მონაცემების შეგროვებას, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით, პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე“.

მომჩივნების აზრით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტს, რადგან იძლეოდა შესაძლებლობას, სატელეფონო საუბრის მიყურადება, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება, ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებით განსაზღვრული დროით სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე განხორციელებულიყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავაც აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სემენტის სამართლებრივი ბუნებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუცია ამ უფლების დაცვის განსაკუთრებით მაღალ სტანდარტს აწესებს. კონსტიტუციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს მასში მოცემული უფლების არა მხოლოდ მატერიალურ შინაარსს, არამედ ადგენს უფლების შეზღუდვის ფორმალურ გარანტიებს. აღნიშნული უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, გარდა იმისა რომ საჭიროა ლეგიტიმური კონსტიტუციური მიზნის დაცვის აუცილებლობის დასაბუთება, ასევე დაცული უნდა იყოს უფლების შეზღუდვის ფორმალური კონსტიტუციური გარანტიები – სახეზე უნდა იყოს მოსამართლის ბრძანება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებაში ჩარევის საჭიროება მოსამართლემ უნდა შეაფასოს და როგორც წესი, სწორედ მისი ბრძანება წარმოადგენს, კონკრეტულ სატელეფონო საუბარზე თუ პირის საცხოვრებელ ან საქმიანობის ადგილზე სახელმწიფოს დამცემის საფუძველს. ... კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების რეგულირება, მასსა და სხვა კონსტიტუციურ ლეგიტიმურ მიზნებს შორის ბალანსის დადგენა ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნას მოითხოვს, რომელიც, ერთი მხრივ, სრულად დაიცავს უფლების თანაზომიერი შეზღუდვის მოთხოვნებს, მეორე მხრივ

³²⁷ საქმის განხილვის მომენტისთვის მოქმედი რედაქცია

კი, მოსამართლის მიერ უფლებაში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინა პირობებს განსაზღვრავს“.³²⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა პირდაპირაა დაკავშირებული კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის სიმძიმესთან. ამასთან, ღონისძიების ჩატარების ვადების ზრდასთან ერთად ჩარევის ინტენსივობაც იზრდება. მოსამართლის მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კონკრეტული ვადით ჩატარების ბრძანების გაცემის შემთხვევაში არ არსებობს პრეზუმფცია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საჭიროება სახეზე იქნება ამ ვადის გასვლის შემდეგაც. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ბრძანებას გარკვეული ვადით გასცემს, ამ ვადის გასვლის შემდეგ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გაგრძელება უფლებაში დამატებით ჩარევას წარმოადგენს. სადავო ნორმის თანახმად კი, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადის გაგრძელების საჭიროების გადაწყვეტა პროკურორის დისკრეციას წარმოადგენდა. სწორედ ის ხდებოდა უფლებამოსილი, თანხმობა გასცეს უფლებაში ჩარევის ხანგრძლივობის გაგრძელებაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სადავო ნორმა დამატებით ტვირთს აწესებს ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების რეალიზებაზე. შესაბამისად, ადგენს უფლების შეზღუდვის დამოუკიდებელ შემთხვევას, რომელიც არ ითვალისწინებს სამოსამართლეო კონტროლს“³²⁹.

ვინაიდან სადავო ნორმა უშვებდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ნორმის კონსტიტუციურობის გადასაწყვეტად სასამართლომ შეამოწმა უფლების შესაძლო შეზღუდვის მეორე ფორმალური საფუძვლის – კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის საკითხი. სადავო ნორმის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადების გაგრძელება ხდებოდა 6 თვემდე. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის არსებობაზე საუბარი. კანონი არ უთითებდა პროკურორის მიერ ვადის გაგრძელებისას რაიმე მყისიერი მოქმედების აუცილებლობაზე ან სასამართლოს ნებართვის მიღების შეუძლებლობაზე. ამავე დროს შეუძლებელია მყისიერება ან სასამართლო ნებართვის მიღების შეუძლებლობა 6 თვემდე გრძელდებოდეს.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებდა რა კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვას

³²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება NN2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 17- 18.

³²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება NN2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21.

სასამართლო გადაწყვეტილების ან კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობის არარსებობის პირობებში, ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას.

8.10.1.2.2 ვის უნდა ჰქონდეს პირად ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომა

საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მთავარი გადასაწყვეტი საკითხი იყო, ვინ უნდა ფლობდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების (სატელეფონო საუბრების მიყურადების, ინტერნეტკომუნიკაციის მონიტორინგის) ჩატარებისთვის ტექნიკურ შესაძლებლობებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს უფლებამოსილების ბოროტად, გადამეტებით გამოყენების და შესაბამისად, უფლების დარღვევის რისკები.

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო ამ საკითხის ინსტიტუტიურად მოწესრიგებისას მიხედულების ფართო ზღვრით სარგებლობს და ამა თუ იმ მოდელზე არჩევანი პოლიტიკური გადაწყვეტილების სფეროს განეკუთვნება. თუმცა, იმავდროულად, სასამართლომ არაორაზროვნად მიუთითა იმაზეც, რომ მიხედულების ფარგლებზე აპელირებისას, ხელისუფლების შესაძლო ქმედებები მკაცრადაა პირობადებული კონსტიტუციით განსაზღვრული მოთხოვნებით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ ჯერზე არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიც, საკითხის სადავობისას, შეაფასოს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა. ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა საკითხი, შეძლო თუ არა ხელისუფლებამ ისეთი მოდელის შემუშავება, სადაც კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები სრულად იქნებოდა გათვალისწინებული და გამოირიცხებოდა უფლების დარღვევის რისკები. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობის მარეგულირებელი მოდელი/სისტემები შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა ქვეყანაში. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის, მათ შორის, საუკეთესოს გამოვლენა და კანონმდებლის დავალდებულება, სწორედ ეს გზა აირჩიოს. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, კანონმდებელს შესთავაზოს ამ საკითხის ინსტიტუციონალური მოწესრიგების კონკრეტული კონსტიტუციური მოდელი. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, გააანალიზოს მოსარჩელისა და მოპასუხის არგუმენტები ამ თვალსაზრისით და შეაფასოს, არსებული სისტემა უზრუნველყოფს თუ არა უფლებაში მხოლოდ კონსტიტუციური გარანტიებით ჩარევას - შესაბამისად, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის და მათი უპირობოდ დაცვის აუცილებლობისას, ამასთან, უფლებაში ყველაზე ნაკლები

ინტენსივობით და პროპორციული გზით ჩარევას. ნებისმიერი რეგულაციის, მოდელის კონსტიტუციურობის შეფასებისას საზომი არის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის/დარღვევის საფრთხეების შეფასება. მაშინ როდესაც ძალაუფლების გადამეტებით უფლებებში არათანაზომიერი ჩარევის რეალური რისკები პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან ან ის (კანონი) სათანადო ბერკეტებით ვერ უზრუნველყოფს ასეთი რისკების მინიმალიზებას, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმებს არაკონსტიტუციურად ცნობს“³³⁰.

აღნიშნული საქმეზე გასაჩივრებული იყო: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილისა და ამავე კოდექსის 143³ მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.³³¹

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება მიუთითებდა ორი სახის ფარული საგამომიებო მოქმედების (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზინო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული

³³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 54.

³³¹ სადავო ნორმების საქმის განხილვის მომენტისთვის მოქმედი რედაქცია: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების მიხედვით: „ფარული საგამომიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს, ჰქონდეს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, სასადგურე აპარატურიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა და ამ მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან, საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ განათავსოს მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა, სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება/ჩაწერისა და კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნა/ფიქსაციის ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებს და ამონტაჟებს სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს“. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი განმარტავს ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის არსს. კერძოდ, ეს არის „ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას“.

სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია. თავისი შინაარსით, პირველი გულისხმობს სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის (სატელეფონო მოსმენების) განხორციელების შესაძლებლობას, ხოლო მეორე - სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ინფორმაციის მოხსნას და ფიქსაციას ყველა კავშირგაბმულობის საშუალებებიდან, კომპიუტერული ქსელებიდან, კომპიუტერული სისტემიდან. რაც ფაქტობრივად გულისხმობს როგორც ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგს, ისე კომპიუტერულ სისტემებში არსებულ, შექმნილ/შენახულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას) განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვაზე - შესაძლებლობაზე, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნებისთვის შექმნას სათანადო არქიტექტურა, გამართოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციის დასახელებულ წყაროებთან განათავსოს და ფლობდეს ტექნიკურ მოწყობილობებს და მათი ადმინისტრირების ფუნქციას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმა კი ითვალისწინებდა ამავე ფარული საგამომიებო მოქმედებების განსახორციელებლად ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენების უფლებას და, შესაბამისად, კომუნიკაციის აღნიშნული წყაროებიდან ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ, პირდაპირ მიღების შესაძლებლობას.

სადავო ნორმებით გათვალისწინებულ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, ტექნიკური შესაძლებლობების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფლობა, განთავსება, ადმინისტრირება და მათი უშუალოდ გამოყენების გზით ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობა თავისთავად ხომ არ ქმნიდა უფლებებში თვითნებური ჩარევის მომეტებულ, რეალურ რისკს და, შესაბამისად, ხომ არ იწვევდა უფლების დარღვევას?

რელევანტური ნორმების განმარტებისა და საქმეში არსებული მასალების გაანალიზების საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებდა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემას. სწორედ მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა გამოიყენებოდა სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისთვის ყველაზე ეფექტურ მექანიზმად, ვინაიდან ის იძლეოდა ფაქტობრივად ყველა სატელეფონო კომუნიკაციის პირდაპირ, უშუალოდ გადაჭერის შესაძლებლობას. ეს ოყო მასობრივად, ნებისმიერი ტელეკომუნიკაციის საშუალებებით გაცვლილი ინფორმაციის რეალურ დროში მიღების ტექნიკური შესაძლებლობა. მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უშუალოდ აკავშირებდა კავშირგაბმულობის არხთან. ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახური მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ახდენდა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის აქტივაციას და შესაბამისად, ინფორმაციის მიღებას. იმავედროულად, მონიტორინგის სისტემის აქტივაცია ფარული მიყურადებისას შესაძლებელი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობით, რომელიც ახდენდა ინფორმაციის შედარებას. მაშასადამე, სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისას მოქმედებდა „ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა“. ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა იყო მონიტორინგის სისტემის აქტივაციის წინა პირობა, ხოლო აქტივაციის შემდეგ მონიტორინგის სისტემა კომუნიკაციის შემაერთებლებს უკავშირდებოდა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემით.

იმავედროულად, სადავო ნორმები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღჭურავდა შესაძლებლობით, კომუნიკაციის დასახელებულ საშუალებებთან განათავსოს და დაამონტაჟოს სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობები.

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ ლეგიტიმური მიზნების დაცვის უკიდურესი აუცილებლობისას სახელმწიფოს შესაძლებელია ჰქონდეს ინფორმაციის რეალურ დროში მიღების უფლება. ცალკეულ შემთხვევაში, სწორედ ინფორმაციის რეალურ დროში მიღება შეიძლება გახდეს ერთადერთი ეფექტური შესაძლებლობა და საფუძველი დანაშაულის ოპერატიულად გამოძიებისთვის. თუმცა, იმავედროულად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სადავო რეგულაციებიდან მომდინარე რისკებზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლების დარღვევის ალბათობა თავისთავად იზრდება, როდესაც ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (ან გამოძიების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანო) იმავედროულად ფლობს და ადმინისტრირებას უწევს ტექნიკურ საშუალებებს, განათავსებს შესაბამის აპარატურას უშუალოდ საკომუნიკაციო არხთან/სერვისის მიმწოდებელთან, რაც საბოლოო ჯამში მას პირთა განუსაზღვრელი წრის მოსმენის შესაძლებლობას აძლევს. ამის მთავარ მიზეზად სასამართლომ დაასახელა შემდეგი გარემოებები: 1. „სამართალდამცავი ორგანოები (საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი ორგანოები) და ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პროფესიულად არის დაინტერესებული, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, რაც საგრძნობლად გაამარტივებს ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესს, ისევე, როგორც უფრო ეფექტურს გახდის დანაშაულის პრევენციას. მაშასადამე, რისკის მაღალ ხარისხს სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურის ბუნება, მათი ფუნქცია განაპირობებს. კერძოდ, როდესაც სტრუქტურა პასუხისმგებელია წარმატებულ გამოძიებაზე, ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტად მის ინტერესში შედის მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ამიტომ ასეთი სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი და მუდმივი წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების მიმწოდებლებთან არსებულ მონაცემებზე და ელექტრონული კომუნიკაციის თავად პროცესზე განუზომლად ზრდის ცდუნებას და რისკებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებაში

დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ჩარევისთვის. ... იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები პირადად არიან დაინტერესებულნი საზოგადოებრივი და სახელმწიფო საფრთხეების პრევენციით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ფარული თვალთვალის ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება და იხვეწება, ასეთი შეუზღუდავი ტექნიკური შესაძლებლობების თავმოყრა ფარული მიყურადების მიზნებით უშუალოდ დაინტერესებული ორგანოს ხელში, უკვე წარმოადგენს ადამიანებზე სერიოზული ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღს მათ პირად სივრცეში შეღწევის მომეტებული რისკების გამო³³²;

2. სასამართლომ ყურადღება გამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნით, სათანადო ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ შესაძლებლობებს ქმნიდა თავად უფლებამოსილი ორგანო და პასუხისმგებელი იყო მის ადმინისტრირებაზე;

3. იმავდროულად, ამ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა სახელმწიფო საიდუმლოებას;

4. კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებას, განახორციელოს ამ ტექნიკური ინფრასტრუქტურის სრული და ყოვლისმომცველი აუდიტი.

მაშასადამე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არა მხოლოდ ფლობდა ფარული მოსმენების განსახორციელებლად ტექნიკურ საშუალებებს, არამედ პასუხისმგებელი იყო ამ სისტემის ფუნქციონირებაზე და ამ მიზნით ქმნიდა შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას, განათავსებდა ტექნიკურ საშუალებებს, ამასთან, ეს პროცესი იყო გასაიდუმლოებული. შედეგად, რომელ/როგორ ტექნიკურ შესაძლებლობებს, მოწყობილობებს შექმნიდა, შეიძენდა, დაამონტაჟებდა და გამოიყენებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ამ პროცესზე არ არსებობდა გარე კონტროლის საკმარისი შესაძლებლობები³³³.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთ პირობებში „სახელმწიფოს განსაკუთრებით მოეთხოვება პროცესის დამაჯერებელი გამჭვირვალობისა და კონტროლის რეალურად ეფექტური მექანიზმების დემონსტრირება, რომელთა არარსებობა ან არასაკმარისობა სწორედ სახელმწიფოს

³³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 55.

³³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 55-57.

წარმოაჩენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის მთავარ საფრთხედ, უფლების დარღვევის წყაროდ³³⁴.

იმავედროულად, საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის არსებული ბერკეტები არასაკმარისი იყო, ვერ გამორიცხავდა ინსპექტორის გვერდის ავლით და, შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე სატელეფონო საუბრების მიყურადების საფრთხეს. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონტროლის საკმარის, ეფექტურ საშუალებად ვერ გამოდგებოდა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, რომლის მიზანმიმართულება იყო მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის მხოლოდ ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის შედეგად აქტივაცია. „...სატელეფონო საუბრების მიყურადების ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად სადავო ნორმით გათვალისწინებული ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, ერთი მხრივ, მიმართულია სწორედ იმისკენ, რომ გამოირიცხოს ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე მოსმენების შესაძლებლობა, რაც დამატებით გარანტიად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა, ამავე დროს, ის ვერ ჩაითვლება სატელეფონო საუბრების მიყურადებაზე საკმარისი კონტროლის მექანიზმად, სრულად ვერ უზრუნველყოფს სატელეფონო საუბრების მიყურადების შესაძლებლობაზე კონტროლს, შედეგად, ვერ გამორიცხავს ელექტრონული თანხმობის გარეშე და, შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილების მიღმა სატელეფონო მოსმენების განხორციელების შესაძლებლობას. ინსპექტორი ელექტრონულ თანხმობას აძლევს მხოლოდ მასთან მიწოდებულ ინფორმაციაზე, ისევე, როგორც მხოლოდ ასეთ ინფორმაციაზე ახდენს შემდგ კონტროლს, თუმცა ეს სქემა, სულ მცირე, ტექნიკურად ვერ გამორიცხავს, ინსპექტორის მიღმა უფლებამოსილი ორგანოს მოქმედების შესაძლებლობას. თუ კონკრეტული სისტემის შემოღება ხდება იმიტომ, რომ სწორედ მან გამორიცხოს ინსპექტორის (და, შესაბამისად, მოსამართლის) გვერდის ავლით სატელეფონო მოსმენების რისკები, მაშინ ის (სისტემა) ისე უნდა იყოს აწყობილი, როგორც ტექნიკურად, ისე ყველა აქტივობაზე სრული კონტროლის შესაძლებლობების თვალსაზრისით, რომ დამცავი სისტემა მუშაობდეს სრულყოფილად და არა ნაწილობრივ. ასეთი შედეგის მიღწევის შეუძლებლობის პირობებში სისტემა ვერ ჩაითვლება უფლების დაცვის საიმედო გარანტიად, ის გამოდგება მხოლოდ ვიზუალურ მტკიცებულებად, რომ კანონმდებელმა სატელეფონო მოსმენებზე იქამდე არარსებული კონტროლის მექანიზმი შემოიღო. თუ კანონით გათვალისწინებული სისტემა თავისთავად შეიცავს მომეტებულ რისკებს მის მიერვე შემოღებული

³³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 53.

კონტროლის მექანიზმის იგნორირებით მოქმედებისთვის, ის თავადვე განაპირობებს არა მხოლოდ კონტროლის ამ მექანიზმის და ინსპექტორის ინსტიტუტის არაეფექტურობას, ფიქციურობას, არამედ, რაც მთავარია, პრინციპულად ვერაფერს შეცვლის ადამიანის უფლებების დაცვის სასიკეთოდ³³⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ კანონით გათვალისწინებული არსებული სისტემის პირობებში არაეფექტური იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ კონტროლის სხვა საკანონმდებლო ბერკეტებიც.

საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობა იძლეოდა შესაძლებლობას, სახელმწიფოს ხელში არსებული რეალურ დროში ინფორმაციის მიღების ტექნიკური შესაძლებლობები გამოყენებულიყო ორგვარად: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ჩართულობით და მისი მონაწილეობის გარეშე, ამასთან, ასეთი არჩევანის თავისუფლებას კანონმდებლობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ანიჭებდა. ამასთან კანონმდებლობა არ შეიცავდა მკაფიო მითითებებს, თუ რა შემთხვევებში შეიძლებოდა, უფლებამოსილ ორგანოს გამოყენებინა სხვა ტექნიკური საშუალებები. „ამ ფონზე, აშკარაა, რამდენად დიდია უსაფრთხოების სამსახურის დისკრეცია, შესაბამისად, პირადი ცხოვრების არამართლზომიერი შეზღუდვის საფრთხე“³³⁶ სასამართლომ აღნიშნა, რომ „როდესაც სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა და არჩევანი, შექმნას, ააწყოს ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავდა ან შეძლებისდაგვარად მინიმალურს გახდიდა ადამიანების პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს და სახელმწიფო ამ შესაძლებლობას სრულად არ იყენებს, მისი ქმედება ვერ ჩაითვლება უფლებაში ყველაზე ნაკლებად მზლუდავ და პროპორციულ ჩარევად. სახელმწიფოს მცდელობა, შექმნას არსებულზე მეტი გარანტიები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კანონმდებლობა, ვერ გამოდგება უფლების საიმედოდ დაცვის გარანტიად და სახელმწიფოსთვის თავის მართლების არგუმენტად, თუ არსებითად გაუმჯობესებული კანონმდებლობა მაინც ტოვებს შესაძლებლობას, ქმნის რისკებს, სახელმწიფო ჩაერიოს ადამიანების პირად ცხოვრებაში საამისოდ შესაბამისი საფუძვლის და კონსტიტუციური გარანტიების გარეშე“³³⁷.

³³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიბ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, აიბ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, აიბ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, აიბ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და აიბ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 61.

³³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიბ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, აიბ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, აიბ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, აიბ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და აიბ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 67-68.

³³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი

ამავე საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა რა ინტერნეტკომუნიკაციაზე სახელმწიფოს მონიტორინგის ბერკეტები, დაადგინა, რომ პირადი ცხვრების ხელშეუხებლობის უფლება ამ კონტექსტშიც ირღვეოდა. ამ შემთხვევაშიც, მთავარი მიზეზი ხელისუფლების მხრიდან თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებისა იყო ტექნიკური შესაძლებლობების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელთ არსებობა, რაც მას აღჭურავდა ადამიანების პირად ცხოვრებაში უკონტროლოდ ჩარევის შესაძლებლობით.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ინფორმაციის მოხსნას და ფიქსაციას ყველა კავშირგაბმულობის საშუალებებიდან, კომპიუტერული ქსელებიდან, კომპიუტერული სისტემიდან. რაც ფაქტობრივად გულისხმობდა როგორც ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგს, ისე კომპიუტერულ სისტემებში არსებულ, შექმნილ/შენახულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას) განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას - შესაძლებლობას, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნებისთვის შექმნას სათანადო არქიტექტურა, გამართოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციის დასახელებულ წყაროებთან განათავსოს და ფლობდეს ტექნიკურ მოწყობილობებს და მათი ადმინისტრირების ფუნქციას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმა კი ითვალისწინებდა ამავე ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენების უფლებას და, შესაბამისად, კომუნიკაციის აღნიშნული წყაროებიდან ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ, პირდაპირ მიღების შესაძლებლობას.

სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმებით გათვალისწინებულ კომუნიკაციის საშუალებებსა და არხებში მოიაზრებოდა როგორც კავშირგაბმულობის, ასევე ინტერნეტპროვაიდერებთან არსებული კომუნიკაციის ფიზიკური ხაზები, ქსელები, სასადგურე აპარატურა და ა.შ. ამასთან, ორივე ნორმა ითვალისწინებდა როგორც შესაბამის წყაროებთან პირდაპირი წვდომის ტექნიკურ შესაძლებლობას, ისე ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ მოპოვების შესაძლებლობასაც. ამასთან, სადავო ნორმები სახელმწიფო უფლებამოსილ ორგანოს აღჭურავდა შესაძლებლობით, ჰქონოდა ე.წ. მუდმივი მიერთების სისტემა ინტერნეტპროვაიდერებთანაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შემთხვევაშიც აღნიშნა, რომ ვინაიდან ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო და ამასთან, ამ ტექნიკური საშუალებების აუდიტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მხრიდან მინიმალურ დონეზეც კი გამოირიცხებოდა, აბსოლუტურად არაგანჭვრეტადი ხდებოდა

გოცირიძე, თათია ქინკლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 81.

ინფორმაცია, თუ როდის, რომელ აპარატურასა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებას იყენებს სახელმწიფო. სასამართლომ აღნიშნა, რომ თანამედროვე მზარდი და განვითარებადი ტექნოლოგიების პირობებში, ფიზიკურად შეუძლებელია და წარმოდგენილიც კანონით ან რომელიმე სხვა ნორმატიული აქტით მოხდეს ასეთი ტექნიკური შესაძლებლობების ამომწურავი ჩამოთვლა და მათი აღწერილობის ნორმატიული მოწესრიგება. „თუმცა ეს, თავისთავად, არ შეიძლება ნიშნავდეს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, აღიჭურვოს აბსოლუტურად უკონტროლო სივრცით, სადაც არავის არასდროს ეცოდინება, დროის რა პერიოდში, რომელი შემთხვევებისთვის, რა ტიპის/შინაარსის ტექნიკური საშუალებები გამოიყენება და, რაც მთავარია, გამოიყენება თუ არა მხოლოდ კონსტიტუციური მოთხოვნების უპირობო დაცვით“.³³⁸

საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ, კანონმდებლობის და საქმეში არსებული მასალალების გაანალიზების გზით, დაადგინა, რომ ინტერნეტსივრცეში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების პროცესზე კანონმდებლობით ფაქტობრივად არ იყო გათვალისწინებული კონტროლის არანაირი ბერკეტი, ამასთან, საქმეზე მოწმის სახით მოწვეულმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა პრაქტიკულადაც გამორიცხა დავირუსების გზით ინფორმაციის მოპოვებაზე კონტროლის ყველანაირი შესაძლებლობა, რაც გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს შეეძლო, უკონტროლოდ და შეუზღუდავად მიიღოს აღნიშნული წყაროდან ინფორმაცია. საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ, ეს გულისხმობდა ამ პროცესზე კონტროლის აბსოლუტურ შეუძლებლობას და შედეგად, უფლების დარღვევის თავისთავად რისკებს. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პირებს შორის გაცვლადი ინფორმაციის ოდენობის, შინაარსის, თვისებრიობის, სახეობის თვალსაზრისით, ფაქტობრივად არ არსებობს სხვაობა ტელეფონითა და ინტერნეტით ინფორმაციის გაცვლისას. მეტიც, გამოყენების ინტენსივობის მიხედვით და, შესაბამისად, ინფორმაციულობის ხარისხის, მოცულობის მიხედვით, დღევანდელ დღეს ინტერნეტკომუნიკაცია ბევრად უფრო ინფორმაციული შეიძლება იყოს. შესაბამისად, ამ სივრცეში უკონტროლო შეღწევა, ბევრად უფრო ინტენსიურ ჩარევას შეიძლება იწვევდეს პრივატულ სფეროში და, შედეგად, არღვევდეს ადამიანების ფუნდამენტურ უფლებებს“.³³⁹

³³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 75.

³³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 78.

საბოლოოდ, გამოიკვეთა რა, რომ ორივე შემთხვევაში უფლების დარღვევის რისკები თვისობრივად ერთი და იგივე მიზეზით იყო განპირობებული, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „როდესაც პირად ინფორმაციაზე პირდაპირი და უშუალო წვდომის ტექნიკური შესაძლებლობები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (ან გამოძიების ფუნქციის მქონე სხვა ორგანოს) ხელთაა, რაც, ... თავისთავად განუზომლად ზრდის უფლებაში თვითნებურად, გადამეტებულად ჩარევის რისკებს, ობიექტურად ძალიან რთული ხდება, თუ შეუძლებელი არა, გამოძიებაზე უფლებამოსილი ორგანოების ეფექტური კონტროლი. ეს იმ ფონზე, რომ სწორედ ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის ეფექტური, ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია, გამჭვირვალე ბერკეტების, მექანიზმების, გარანტიების არსებობა, რაც არა მხოლოდ უზრუნველყოფს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების გამორიცხვას/მინიმალიზებას, არამედ დამაჯერებლად აღქმადს გახდის საზოგადოების თითოეული წევრისთვის მათი პირადი სივრცის დაცულობას, ხელისუფლების მხრიდან ხელშეუხებლობას. ... ასეთი მკაფიო შეგრძნებებისთვის მყარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ადამიანების მუდმივი ღელვა და დაფიქრების საჭიროება, არის კი მათი პირადი ცხოვრება ნამდვილად მხოლოდ მათი პირადი სივრცე, თავისთავად იწვევს მათი ქცევის თავისუფლების შეგნებულად ან ქვეცნობიერად კორექტირებას, მათი ნების შესაბამისად მოქმედების, განვითარების შესაძლებლობის შეზღუდვას ან უკეთეს შემთხვევაში საკუთარი ნების და გადაწყვეტილების შესაბამისად მოქცევას იმასთან შეგუებით ან იმ ფაქტის იგნორირებით, რომ პირად სივრცეს იყოფს მისთვის უცნობ, არასასურველ პირებთან. ასეთ პირობებში ზედმეტია საუბარი ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობაზე, რადგან პირველ შემთხვევაში არ არსებობს საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედების, პიროვნების განვითარების თავისუფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში, დარღვეულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ყველაზე ფუნდამენტური შემადგენელი/მოთხოვნა, კერძოდ კი - თავად პირადი სივრცე, რადგან ადამიანი საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედებისთვის უპირატესობის მინიჭების გზით ფაქტობრივად თმობს პირადი სივრცის პრივატულობას, მასში სახელმწიფოს დაშვების გზით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს. ... იმავდროულად, ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ მიღების ტექნიკური შესაძლებლობით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აღჭურვა, როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტურად ართულებს გარე კონტროლის შესაძლებლობებს. ასეთი სისტემის პირობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის მექანიზმები ვერ არის რა საკმარისი გარანტია სატელეფონო მოსმენების და ინფორმაციის მოხსნა/ფიქსაციის მხოლოდ მოსამართლის განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში (მოსამართლის შემდგომი თანხმობით) განხორციელების უზრუნველსაყოფად, არსებობს მომეტებული საფრთხე ინფორმაციის რეალურ დროში მიღება განხორციელდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით

დადგენილი სავალდებულო მოთხოვნების უგულვებელყოფით, რაც იწვევს სადავო ნორმების წინააღმდეგობას კონსტიტუციის დასახელებულ დებულებასთან³⁴⁰.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები, მართალია, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზნებს, მაგრამ არ წარმოადგენდა ამ მიზნების მიღწევის ნაკლებად მზღლუდავ, პროპორციულ საშუალებას. სადავო ნორმები შესაძლებლობას აძლევდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მოიპოვოს პირადი ხასიათის ინფორმაცია განუსაზღვრელ პირთა წრის შესახებ. „მართალია, არსებობს პრეზუმფცია, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანო ბოროტად არ ისარგებლებს ამ ტექნიკური საშუალებებით, თუმცა რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის (მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის) შექმნა, ფლობა, ადმინისტრირება და ამ საშუალებების გამოყენებით პირადი ხასიათის ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა ... ქმნის პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მომეტებულ საფრთხეს“³⁴¹.

8.10.1.3. მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაცვის კონსტიტუციური ფარგლები

არის თუ კომუნიკაციის სუბიექტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით ისევე, როგორც თავად კომუნიკაციის შინაარსი? ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლების დაცვის კიდეც ერთი სტანდარტი შექმნა. სასამართლომ დაადგინა, რომ სატელეფონო ან სხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გულისხმობს: ა) როგორც გაცვლილი ინფორმაციის დაცულობას, ბ) ისე ადამიანების იმ არჩევანის ანონიმურობასაც, კონკრეტულად ვისთან, როდის, რა საშუალებით, სად და რა ხანგრძლივობით ექნებათ კომუნიკაცია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი მონაცემები ინფორმაციულობის ხარისხის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევაში, არანაკლები ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს, ვიდრე კონკრეტული კომუნიკაციის შინაარსი, არამედ, პირველ რიგში, იმიტომაც, რომ ადამიანის პირადი

³⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 82-83.

³⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 117.

სივრცე გულისხმობს საკუთარ სოციუმზე ინდივიდუალური და დამოუკიდებელი არჩევანის ანონიმურობის უფლებასაც³⁴².

საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ *„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“*, ააიპ *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“*, ააიპ *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“* და ააიპ *„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, ერთ-ერთ დავის საგანს წარმოადგენდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა (8³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება³⁴³), რომლის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს) უფლება ჰქონდა, განეხორციელებინა კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი 2 წლის ვადით შენახვა.

მომჩივანთა მტკიცებით, სახელმწიფოს შეუზღუდავად მიუწვდებოდა ხელი კომუნიკაციის ყველა მონაწილეთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე, რაც მას აძლევდა შესაძლებლობას, ინფორმირებული ყოფილიყო ადამიანთა ყოველდღიური ქცევის, მათი ჩვევების, სოციალური კავშირებისა და გარემოცვის შესახებ, რაც შეიცავდა საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური კონტროლის სერიოზულ საფრთხეს. მომჩივანისთვის პრობლემური იყო ასევე ასეთი მონაცემების ხანგრძლივი ვადით - 2 წლით შენახვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა როგორც სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს კონკრეტულ ქმედებათა შინაარსი, ისე ამ გზით სახელმწიფოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ფარგლები. კერძოდ, სადავო ნორმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღჭურავდა როგორც ტექნიკური შესაძლებლობით, ისე უშუალო უფლებამოსილებით, მოახდინოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი შენახვა. ფაქტობრივად ეს გულისხმობდა კავშირგაბმულობის არხში არსებული ყველა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ასლის გაკეთებას და მათ შენახვას სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ბანკებში“. იმავდროულად, სასამართლომ ყურადღება გამახვილა, თუ რა ტიპის/შინაარსის ინფორმაციას ინახავდა ამ გზით სახელმწიფო. სადავო ნორმა, მართალია, არ გულისხმობდა წვდომას უშუალოდ სატელეფონო საუბრების შინაარსზე, მაგრამ ის

³⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ *„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“*, ააიპ *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“*, ააიპ *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“* და ააიპ *„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 24.

³⁴³ სადავო ნორმის დავის განხილვის მომენტისთვის მოქმედი რედაქცია.

აღჭურავდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შესაძლებლობით, გააკეთოს ასლი და შეინახოს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ვინ, ვის, როდის, რა ტექნიკური საშუალებით, რომელი ლოკაციიდან და როგორი ხანგრძლივობით დაუკავშირდა. ამასთან, სადავო ნორმა ითვალისწინებდა, აბსოლუტურად შეუზღუდავად, პირთა წრის და ლოკაციის მიხედვით ასეთი ინფორმაციის კოპირებასა და შენახვას ორი წლის ვადით³⁴⁴.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მეტადატა წარმოადგენს ინფორმაციას მობილური სატელეფონო საშუალებების ადგილმდებარეობის, განხორციელებული თუ შემოსული ზარების, ღიად თუ ანონიმურად განხორციელებული ძიებისა თუ სხვა ონლაინ ქმედებებთან დაკავშირებით. მეტადატას ანალიზის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ადამიანის ქცევა, სოციალური ურთიერთობები, პირადი მახასიათებლები, რაც უშუალოდ კომუნიკაციის შინაარსთან ერთად ამ ადამიანის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ასეთ მონაცემთა ერთობლიობა ქმნის შესაძლებლობას, უფლებამოსილ ორგანოებს ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია აბონენტის პირადი ცხოვრების ისეთი სფეროების შესახებ, როგორებიცაა: მათი ყოველდღიური ჩვევები, დროებითი ან მუდმივი ადგილსამყოფელი, ყოველწუთიერი გადაადგილება, საქმიანობა, სოციალური კავშირები, სოციალური გარემოცვა. მაშასადამე, ეს მონაცემები იძლევა შესაძლებლობას, შეიქმნას პირის პერსონალური და გადაადგილების პროფილი, რაც ცალკეულ ან ხშირ შემთხვევაში საკმარისად ინფორმაციული შეიძლება იყოს პირის პირადი სივრცის შესახებ და ინფორმაციულობის ხარისხით მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდებოდეს უშუალოდ ტელეკომუნიკაციის შედეგად გაცვლილ ინფორმაციას. სასამართლოს განმარტებით, „ეს ინფორმაცია შეიძლება იძლეოდეს საკმაოდ დეტალურ წარმოდგენას ადამიანის პირადი სივრცის არაერთი ასპექტის თაობაზე. ამიტომ, ცხადია, ასეთი ინფორმაციის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფლობა/შენახვა თავისთავად აჩენს განცდას, დაფიქრების მოტივაციას იმაზე, რომ ადამიანის პირადი სივრცე იმყოფება სახელმწიფოს ზედამხედველობის, კონტროლის ქვეშ. ბუნებრივია, რომ ეს შეიძლება ნეგატიურად აისახოს ადამიანის განვითარებაზე, აქტივობებზე საკუთარი ნების, გადაწყვეტილების შესაბამისად, გამოიწვიოს ქცევის რეგულირება. შედეგად, აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება, ფლობა ადამიანის პირად ცხოვრებაში საკმაოდ მკაცრ, ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს“.³⁴⁵

³⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 91.

³⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა

საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება, რომ თანამედროვე პირობებში, როდესაც ადამიანთა ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ ასპექტებთან დაკავშირებული კომუნიკაცია რეგულარულად ხორციელდება ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ასეთი ფორმების დაცვა. ამასთან, ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით მიღება პოტენციურ ჩარევას წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში, ამიტომ პირთა მაინდენტიფიცირებელი მონაცემების შეკრება და შენახვა მითუმეტეს უნდა ჩაითვალოს ჩარევად უფლებაში, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია საბოლოოდ იქნება თუ არა გამოყენებული ან/და დამუშავებული.

ამ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნისთვის, როგორცაა სხვადასხვა სახის დანაშაულის გამოძიება ან მისი პრევენცია, ასევე სამაშველო ღონისძიებების დროული განხორციელება, შეზღუდოს ადამიანის პირადი სივრცე. მაგრამ უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფო ადამიანის პირად სივრცეში ჩაერიოს მხოლოდ და მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების დაცვის აუცილებლობის მოტივით, ამასთან, სხვა, ნაკლებად მზღუდავი საშუალებებით მათი დაცვის შეუძლებლობის პირობებში და მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნათა უპირობო გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე, რომლებიც, როგორც კუმულაციაში, ისე ცალ-ცალკე ქმნიდნენ საფრთხეს ადამიანის პირად სივრცეში გადამეტებული, უსაფუძვლო ჩარევისთვის, შესაბამისად ფუნდამენტური უფლებების დარღვევისთვის. კერძოდ:

ა) მთავარ პრობლემას ამ შემთხვევაშიც წარმოადგენდა ის გარემოება, რომ როგორც ინფორმაციის რეალურ დროში მიღებისას (სატელეფონო მოსმენები, ინტერნეტკომუნიკაციის მონიტორინგი), მოცემულ შემთხვევაშიც ინფორმაციის კოპირებას და შენახვას ახდენდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც პროფესიულად არის დაინტერესებული, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას. სასამართლომ გაიმეორა, რომ „უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებელი და მუდმივი წვდომა მაინდენტიფიცირებელ მონაცემებზე განუზომლად ზრდის ცდუნებას და რისკებს უფლებაში დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ჩარევისთვის“³⁴⁶. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა კანონმდებელს, რომ სახელმწიფომ, სულ მცირე, თავიდან უნდა აიცილოს ასეთი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს ხელში თავმოყრა, რაც მასზე დაუსაბუთებლად წვდომის თავისთავადი ცდუნების

იურისტთა ასოციაცია“; ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 92.

³⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 96.

მატარებელია. „მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოძიების ფუნქციისგან დისტანცირებული, ამ თვალსაზრისით პროფესიულად არდაინტერესებული, ამასთან, დამოუკიდებლობის მყარი და საკმარისი გარანტიებით აღჭურვილი და ეფექტურად კონტროლირებადი ორგანოს მიერ შენახვა, როგორც მინიმუმ, დამაჯერებლად ამცირებს უფლების დარღვევის პოტენციურ რისკებს“³⁴⁷.

ბ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ასეთი მონაცემების შენახვისას უფლების დარღვევის რისკებს კიდევ უფრო ზრდიდა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოყენებაზე რეალურად ეფექტური კონტროლის ბერკეტების შექმნის შეუძლებლობა, რაზეც მიუთითებდა არსებული საკანონმდებლო ნორმებიც. ამ თვალსაზრისით, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: ტექნიკურად შესაძლებელი იყო მაიდენტიფიცირებელი მონაცემის კოპირების და შენახვის პროცესში ე.წ. „ალტერნატიული ბანკის“ შექმნა, რომლის არსებობის შესახებ ვერავინ გაიგებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბუნებრივია, ასეთი ქმედება კანონის დარღვევა იქნებოდა, კანონის დარღვევით მოქმედება და შედეგად ფუნდამენტური უფლებების დარღვევა კი ვერ გახდებოდა კანონის არაკონსტიტუციურობის საფუძველი. თუმცა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: „კანონი კონსტიტუციურობის თვალსაზრისით საეჭვო ხდება, როდესაც ის, მართალია, პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ იმავდროულად კონკრეტული სისტემის შემოღებით თავისთავად ზრდის რისკებს უფლების დარღვევისთვის. მოცემულ შემთხვევაშიც ... არ არსებობს არანაირი კონტროლი ... ინფორმაციის კოპირების და შედეგად, მისი მოპოვების პროცესზე. ... კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ვერ აკონტროლებს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან მონაცემთა ბანკების წამოღების პროცესს. მისი ზედამხედველობა მხოლოდ იმ მონაცემთა ბანკზე ხორციელდება, რომელზეც ინსპექტორის დაშვებას უსაფრთხოების სამსახური ახდენს“³⁴⁸ სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ პირობებში მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კეთილ ნებაზე და კეთილსინდისიერების ხარისხსზე შეიძლება იყოს დამოკიდებული თითოეული ადამიანის პირადი სივრცის დაურღვეველობა, რაც, თავისთავად, გულისხმობს უფლების დარღვევის რისკების აღიარებას სახელმწიფოს მხრიდან.

³⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 97.

³⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 101.

იმავდროულად, იყო რეალური საფრთხე უკვე არსებულ ბანკებზე უკონტროლოდ წვდომისაც. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მონაცემთა ბანკებზე კანონით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები არაეფექტური იყო და ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებათა დაცვის სათანადო გარანტიების შექმნას, რადგან ინსპექტორი ვერც იმ მონაცემთა ბანკების სრულფოსოვან კონტროლს ახდენდა, რომელზეც დაშვება ჰქონდა.

გ) საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის განმაპირობებელ გარემოებად მიიჩნია ასევე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების 2 წლის ვადით შენახვა. „ზოგადად, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვა წარმოადგენს რა უფლებაში ჩარევას, ბუნებრივია, ჩარევის ინტენსივობა და ხარისხი ლოგიკურად მზარდია ჩარევის დროის ხანგრძლივობის პროპორციულად. შესაბამისად, იმ პირობებშიც კი, თუ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება/შენახვას არ მოახდენს გამოძიებაზე პასუხისმგებელი და ამ თვალსაზრისით, პროფესიულად დაინტერესებული ორგანო, 2 წლით ასეთი ინფორმაციის შენახვა, პირად სივრცეში ძალიან მაღალი ინტენსივობით ჩარევას გულისხმობს, ამიტომ შესაბამისად, ითხოვს სახელმწიფოს მეტად დამაჯერებელ დასაბუთებას ასეთი ინტენსივობით ჩარევის აუცილებლობასა და გარდაუვალობაზე“³⁴⁹.

დ) ნორმის პრობლემატურობას განაპირობებდა ასევე მისი ბლანკეტური ხასიათი. კერძოდ, სადავო ნორმა ითვალისწინებდა კავშირგაბმულობის არხში არსებული აბსოლუტურად ყველას/თითოეული ადამიანის ნებისმიერ ადამიანთან კომუნიკაციისას მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და შენახვის შესაძლებლობას. სადავო ნორმა არ ზღუდავდა სახელმწიფოს ვალდებულებით, მოახდინოს მხოლოდ ამ თვალსაზრისით რელევანტური ინფორმაციის კოპირება და შენახვა. მაშასადამე, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ინახებოდა იმისგან დამოუკიდებლად, ჰქონდა თუ არა პირს თუნდაც ჰიპოთეტური კავშირი სავარაუდო (ჩადენილ ან მომავალში დაგეგმილ) დანაშაულთან. „იმ პირობებში, როდესაც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და შენახვა ხდება ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე, აბსტრაქტული საფრთხის არარსებობის პირობებშიც კი, შესაძლებელი ხდება ინფორმაციის ავტომატური დამუშავების გამოყენებით სიღრმისეული დასკვნების გამოტანა ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ. ასეთ პირობებში, განცდა და ცოდნა იმისა, რომ თითოეული ადამიანის ყველა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია ინახება სახელმწიფოს ხელთ, თავისთავად შეიძლება იწვევდეს პიროვნების თვითმეზღვრვას. ბუნებრივია, ასეთი ბლანკეტური,

³⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 108.

ტოტალური შეგროვება ინფორმაციისა ასევე თავისთავად ზრდის უფლებაში ჩარევის ინტენსივობას, იმისგან დამოუკიდებლად, ამ ინფორმაციის შემდგომი გამოყენება უკავშირდება თუ არა მხოლოდ კონკრეტული დანაშაულების გახსნას და ინფორმაციის გამოყენება ხდება თუ არა მხოლოდ მოსამართლის განჩინების არსებობისას, ამასთან, ვრცელდება თუ არა ამ პროცესზე ეფექტური გარე კონტროლი³⁵⁰.

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ბლანკეტურად ითვალისწინებდა რა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების 2 წლის ვადით შენახვას, ის ვერ იქნებოდა მიჩნეული მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებად. „მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნები, რომელთა დაცვის აუცილებლობის მოტივითაც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება/შენახვა შესაძლებელი უნდა იყოს, ამის საპირწონედ თითოეული ადამიანის პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტების თაობაზე ინფორმაციის შენახვა საკმაოდ ინტენსიური ჩარევაა ადამიანის თავისუფლებაში. ამიტომ, ცხადია, დრო ჩარევის ინტენსივობას და, შესაბამისად, უფლების დარღვევის რისკებს პირდაპირპროპორციულად ზრდის, რაც ბუნებრივად ავალდებულებს ხელისუფლებას, მაქსიმალურად შეზღუდოს დროში უფლებაში ასეთი ჩარევა“.³⁵¹

ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ერთდროულად იწვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლების დარღვევას. კერძოდ, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება/შენახვის თავად ფაქტი, არის ერთგვარად მსუსხავი ეფექტის მქონე ადამიანებისთვის, რადგან მათ იციან, რომ სახელმწიფო ფლობს და 2 წლის განმავლობაში ინახავს თითოეულის პერსონალური ხასიათის/შინაარსის ამსახველ მნიშვნელოვან ინფორმაციას. ... ხანგრძლივი ვადით ამ ინფორმაციის შენახვა და მით უფრო, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მასზე ხელმისაწვდომობის საფრთხეების გამოსარიცხად კონტროლის ეფექტური და საკმარისი მექანიზმების არარსებობა, თავისთავად ზრდის ალბათობას და ინტენსივობას ამ თვალსაზრისით დაუცველობის შეგრძნებისა. ამდენად, ასეთ პირობებში, სახელმწიფოს მიერ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ფაქტმა შესაძლოა მნიშვნელოვნად დააკორექტიროს მათი კომუნიკაცია, ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულ პირებთან

³⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 109.

³⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 112.

კონკრეტულ ურთიერთობაზე უარის თქმის ჩათვლით. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია ადამიანის თავისუფალ განვითარებაზე საუბარი. ადამიანების პირადი ცხოვრების, სივრცის გაუმართლებელი, არაპროპორციული კონტროლი თრგუნავს მათ თავისუფალ თვითგამორკვევას და ფუნდამენტური უფლებების სრულყოფილად, მათი ნების შესაბამისად გამოყენების ინიციატივას, შედეგად, აფერმკრთალებს ადამიანების თვითრეალიზაციის, განვითარების შანსს. ... იმავდროულად, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ადამიანის ქცევებში ამ მიზეზით ცვლილება ან/და თუნდაც არც არაფერი შეცვალოს, თავისთავად, ფიქრი/დაფიქრება იმაზე, რომ ასეთი ინფორმაცია შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს სახელმწიფოსთვის, უკვე დამაბრკოლებელია უფლებით სარგებლობის პროცესში. ადამიანები, პირადი არჩევანის, გადაწყვეტილების მიხედვით ქმედებისას არ უნდა იდგნენ კომპრომისის საჭიროების წინაშე - საჯარო ინტერესის დაცვისთვის უპირატესობის მინიჭების გამო უარი თქვან მათი ნების შესაბამისად საკუთარი ცხოვრების, ყოველდღიურობის წარმართვაზე. ისევე, როგორც არ უნდა სჭირდებოდეთ ამ არასასურველი კომპრომისის დაძლევა პირადი სივრცის განსაჯაროების გარისკვით.

მამასადამე, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (გამოძიებაზე პასუხისმგებელი და პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს) მიერ ფლობა, ამასთან, უფლების განგრძობითი, პერმანენტული შეზღუდვა სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანგრძლივი დროის (2 წელი) განმავლობაში, იმავდროულად, ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის და ხელშეუხებლობის მყარი, საკმარისი და ეფექტური გარანტიების არარსებობის პირობებში წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში გაუმართლებლად ინტენსიურ ჩარევას და, შესაბამისად, მის დარღვევას³⁵².

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა სადავო ნორმით საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევაც. როგორც აღინიშნა, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იცავს არა მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსს, არამედ, მათ შორის, როდის როგორ, რა სიხშირით, ვის შორის შედგა კომუნიკაცია. ... თვისობრივად მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ინფორმაციულობის ხარისხის თვალსაზრისით, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდებოდეს კომუნიკაციის კონკრეტულ შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის მიერ განხორციელებული მთლიანი აქტივობის რეკონსტრუქცია შეუძლებელია, მაინც რჩება შესაძლებლობა, დეტალური ანალიზის შედეგად მოხდეს ადამიანის პერსონალური პროფილის შექმნა, მისი ცხოვრების წესის და დამოკიდებულებების შესახებ გარკვეული

³⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 113-115.

დასკვნების გაკეთება. ... საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის დარღვევის მტკიცებისთვის გადაწყვეტია ამ ინფორმაციაზე სახელმწიფოს ხელმისაწვდომობაზე კონტროლის არასაკმარისი და არაეფექტური ბერკეტების არსებობა. ... არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და, იმავდროულად, გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობის არარსებობისას უფლებამოსილი ორგანოს მიერ კოპირებულ და შენახულ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის რეალური რისკები. ეს კი, თავისთავად, ფიქციად აქცევს კანონის ზოგად ჩანაწერს ასეთი ინფორმაციის მოსამართლის განჩინებით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მაშასადამე, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შენახვის ფაქტი, მისი მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ეფექტური, საკმარისი გარანტიების გარეშე და შედეგად, მოსამართლის გვერდის ავლით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაშვებით (ვერგამორიცხვით), ვერ აკმაყოფილებს კანონის ხარისხის მოთხოვნებს და იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ფუნდამენტური უფლების დარღვევას³⁵³.

8.10.2 ოჯახური ცხოვრება

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ოჯახური ცხოვრება, რომელიც დაცულია კონსტიტუციაში საამისოდ საგანგებოდ გაწერილი 36-ე მუხლით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ შემოიფარგლა კონსტიტუციის დასახელებული მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით. საქმეზე *საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნები და შინაარსი გაცილებით ფართოა, ვიდრე ეს მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. ამ მუხლით დაცული სფერო საკმაოდ ვრცელია და მოიცავს როგორც დაქორწინებას, ასევე, საოჯახო თანაცხოვრებასა და განქორწინებას. საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, სასამართლომ განმარტა: „ოჯახური ცხოვრება მოიცავს ქორწინების ან ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად მეუღლეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებას განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან. ...ასეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება და

³⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 116.

განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის თავისუფლებას, მისი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას“.³⁵⁴

8.10.2.1 ქორწინების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ამ დებულებით გათვალისწინებულ რამოდენიმე ასპექტზე. კერძოდ:

ა) ქორწინების თავისუფლება წარმოადგენს რა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ერთ-ერთ გამოხატულებას, „...მოიცავს როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ქცევის თავისუფლებას. ამდენად, დაცულია ქორწინების როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური თავისუფლება“.³⁵⁵

ბ) 36-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ყველასთვის თავისუფლებას, დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე.

გ) უმნიშვნელოვანესია ქორწინების ნებაყოფლობითი კომპონენტი - კონსტიტუცია აღიარებს პირის თავისუფლებას, მხოლოდ საკუთარი ნების შესაბამისად დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე. „ქორწინება წარმოადგენს ნებაყოფლობით და გაცნობიერებულ კავშირს, რომლის მიზანია წარმოშვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი, სოციალური და პიროვნული შედეგები“³⁵⁶. აქედან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით „დაუშვებელია პირის იძულება, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ასევე, დაუშვებელია დაბრკოლებების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან დაქორწინების მსურველთათვის არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ჩარევის გზით“.³⁵⁷

დ) იმავდროულად, სასამართლომ განმარტა ქორწინების სამართლებრივი სტატუსი კონსტიტუციის მიზნებისთვის: „36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე არ არის პირთა ქორწინების მსგავსი ან ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. აქ საუბარია ქორწინების სამართლებრივად დადგენილ და აღიარებულ ფორმაზე“.³⁵⁸ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ქორწინების

³⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 1.

³⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

³⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 63.

³⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

³⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 7.

ინსტიტუტის სამართლებრივ მნიშვნელობასა და შედეგებზე: „ქორწინების უფლება მოიცავს მრავალმხრივი ურთიერთობების ვრცელ სპექტრს. ... ეს არის პირთა შესაძლებლობა, სტატუსი შესძინონ მათ ურთიერთობას, დაამყარონ სამართლებრივად მზოჭავი კავშირი და მოიპოვონ მათი კავშირის სოციალური აღიარება. წყვილის კავშირის საზოგადოებრივი აღიარება და სოციუმში ინტეგრაცია ქორწინების ინსტიტუტის ცენტრალური კომპონენტია. ქორწინების უპირველესი მიზანია ოჯახის შექმნა და ამგვარად, ქორწინების უფლების რეალიზაცია წარმოადგენს საზოგადოებრივად აღიარებული ოჯახის შექმნის საშუალებას. ქორწინება როგორც მნიშვნელოვანი პიროვნული და, ამავე დროს, საჯარო აქტი, ემსახურება ახლად შექმნილი ოჯახის საზოგადოებაში ინტეგრაციას. ქორწინების უმნიშვნელოვანესი პირობაა წყვილის ურთიერთკავშირის აღიარება საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან. დაუშვებელია დაქორწინების მსურველთათვის დაბრკოლებების შექმნა არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი ჩარევის გზით. ნებისმიერი შეზღუდვა, რომლითაც სახელმწიფო ხელს უშლის ქორწინების სამართლებრივ თუ სოციალურ აღიარებას, უნდა ეფუძნებოდეს მნიშვნელოვან კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს“³⁵⁹.

8.10.2.1.1 ყველას უფლება ქორწინების თავისუფლებაზე

საქმეზე *სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო რეგულაცია,³⁶⁰ რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან ქორწინების რეგისტრაციისათვის საჭირო იყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა.

მომჩივანი - საქართველოს მოქალაქე დაქორწინდა აშშ-ს მოქალაქეზე. სადავო ნორმის საფუძველზე მან სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურში წარადგინა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოხდებოდა მათი ქორწინების რეგისტრაცია. მომჩივანი მიუთითებდა, რომ ამგვარი თანხმობის წარდგენა არ ევალუბოდა დაქორწინების მსურველ პირებს, თუ ორივე მათგანი საქართველოს მოქალაქე იყო. მომჩივანი თვლიდა, რომ სადავო ნორმამ დაარღვია მისი უფლება ქორწინების თავისუფლებაზე, რადგან მისი უფლების რეალიზაცია ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვაზე იყო დამოკიდებული.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქორწინების თავისუფლება თანაბრად ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ქორწინების თავისუფლების კანონით შეზღუდვა ექვემდებარება ისეთივე

³⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 66.

³⁶⁰ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტის (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) სიტყვები „...და სააგენტოს თანხმობით“.

შემოწმებას, როგორც, ზოგადად, ქორწინების თავისუფლების შეზღუდვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სააგენტოს სავალდებულო თანხმობის შემოღებით სახელმწიფომ დაბრკოლება შეუქმნა მომჩივნის ქორწინების თავისუფლების რეალიზაციას, შედეგად, სადავო ნორმა იწვევდა უფლების შეზღუდვას და საჭიროებდა კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადად, ქორწინების ინსტიტუტი სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება, რაც, თავისთავად, ნიშნავს კანონმდებლის მიერ გარკვეული პირობების დაწესების ლეგიტიმურ შესაძლებლობას დაქორწინების მსურველთათვის. თუმცა, ქორწინებასთან დაკავშირებით დადგენილი პირობები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს. იქედან გამომდინარე, რომ სადავო ნორმით დადგენილ მოთხოვნას დაქორწინების მსურველთათვის აუცილებელი ხასიათი ჰქონდა და მისი შეუსრულებლობა, ფაქტიურად, იწვევდა დაქორწინებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის შეუძლებლობას, სასამართლოს აზრით, მიზანი, რასაც ეს მოთხოვნა ემსახურებოდა უნდა ყოფილიყო ძალიან მნიშვნელოვანი, მკაფიო და მისაღწევად აუცილებელი.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა უფლების დარღვევა უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის არარსებობის მიზეზით. კერძოდ: სასამართლომ გაანალიზა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობის ინსტიტუტის არსი და თანხმობის გაცემის პროცედურა. გაირკვა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა, რომელსაც სააგენტოს თავმჯდომარე გასცემდა, სხვა საბუთებისაგან დამოუკიდებელ და ქორწინებისათვის სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენდა, ამასთან, მისი მიღებისათვის რაიმე განსხვავებული ინფორმაციისა თუ დოკუმენტების წარდგენა არ ხდებოდა, მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი დანიშნულება და მიზანი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მისი გაცემისას არ ახდენდა რაიმე ახალი გარემოების გამოკვლევას და დადგენას. შესაბამისად, საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ვერ გამოიკვეთა, თუ დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის შემოღების ლეგიტიმურ მიზნად არ მიიჩნია მოპასუხის მიერ დასახელებული გარემოება, რომ უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქესთან საქართველოს მოქალაქის ქორწინებას შესაძლოა მოჰყოლოდა განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგები საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან, შვილების მოქალაქეობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა: „არ ირკვევა, თუ რატომ უნდა დაქვემდებარებოდა, შესაძლო სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მოქალაქის ქორწინება დამატებითი და აშკარად ფორმალური ბარიერების დაწესებას. გარდა ამისა, ქორწინების რეგისტრაცია და საქართველოს მოქალაქეობის მიღება არის ორი სრულიად განსხვავებული პროცედურა. ქორწინების რეგისტრაციისას

ობიექტურად ვერ დადგინდება უცხოეთის მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების, ასევე დაქორწინების მსურველთა არსებული თუ მომავალი შვილებისა და შვილად აყვანილების მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებული მსჯელობისა, მოპასუხემ სასამართლოს ვერ დაანახა დემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებული ის სიკეთე, რომლის მიღწევას ან დაცვას ემსახურებოდა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა“.³⁶¹

8.10.2.1.2. ქორწინების უფლების ნებაყოფლობითი კომპონენტი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლების ფარგლები)

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქორწინების უფლების კონსტიტუციურ ფარგლებზე. მომჩივნები ასაჩივრებდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმას (1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტს), რომლის თანახმად, ქორწინება არ დაიშვებოდა იმ პირებს შორის, რომელთაგან, თუნდაც ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ცნობილი იყო ქმედუუნაროდ.³⁶² მომჩივანთა მტკიცებით, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირისთვის ქორწინების უფლების სრულად ჩამორთმევა არღვევდა კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ მათ უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „ქორწინება არ არის მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომლის დადებასაც უკავშირდება რიგი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლება-მოვალეობების შექმნა. ქორწინება, რთული სოციალური ინსტიტუტია და არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონით გაწერილი სამართლებრივი შედეგებით. ქორწინების უფლება, პირველ რიგში, უკავშირდება „ოჯახის შექმნაზე“ ბუნებითი და ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას/დაცვას. ეს არის პირის უფლება, მოიპოვოს ურთიერთობის სამართლებრივი სტატუსი და საზოგადოებრივი აღიარება. დადგენილი წესით ქორწინება არის სამართლებრივი საშუალება, რომ პირებმა სახელმწიფოსაგან და საზოგადოებისაგან მოიპოვონ მათი ურთიერთობის, როგორც ქორწინების ლეგიტიმაცია“³⁶³.

³⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

³⁶² სადავო ნორმის საქმის განხილვის მომენტისთვის მოქმედი რედაქცია.

³⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 66.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ ზღუდავდა პირთა ფაქტობრივ თანაცხოვრებას. ის მხოლოდ ამგვარი თანაცხოვრების ინსტიტუციონალიზაციას კრძალავდა. მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ არ ხდებოდა პირის კავშირის სამართლებრივი და საზოგადოებრივი აღიარება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს ერთმეოდა შესაძლებლობა, შექმნას ოჯახი და შესძინოს მის პირად ურთიერთობებს სამართლებრივი და სოციალური სტატუსი. ამგვარად, სახელმწიფო აფერხებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ინტეგრაციას. ასეთი რეგულაციით ხდებოდა ისედაც მოწყვლადი სოციალური ჯგუფის სტიგმატიზება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოპასუხის მიერ დასახელებული მიზნები - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა და მისი ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფა, მიიჩნია კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ ინტერესებად. „არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცული ქორწინების თავისუფლების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ქორწინების ნებაყოფლობითობის აღიარება პირის ავტონომიურობის პატივისცემის გამოხატულებაა. კონსტიტუციის 36-ე მუხლის შესაბამისად, ქორწინება ნებაყოფლობითია, თუ ის პირის ნების თავისუფალ და გაცნობიერებულ გამოვლენას ემყარება. ნების გამოვლენის თავისუფლება გულისხმობს პირის მიერ საკუთარი სურვილის ძალდაუტანებელ გამოვლინებას. ხოლო, გაცნობიერებულობა მოიცავს პირის უნარს, სათანადოდ აღიქვას და გააანალიზოს ქორწინების აქტი და მისი თანმდევი პიროვნული, სოციალური და სამართლებრივი შედეგები. ... ამგვარად, თუ პირი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების გამო თავისუფლად და გაცნობიერებულად ვერ გამოხატავს ნებას ქორწინების შესახებ, ქორწინება ვერ იქნება შესაბამისობაში პირის უფლებასთან, დაცული იყოს არანებაყოფლობითი ქორწინებისგან და პიროვნული ავტონომიის ხელყოფისგან. ამდენად, აშკარაა, რომ სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზანს შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირების არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა წარმოადგენს“.³⁶⁴ იმავდროულად, „საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერ გამოირიცხება შემთხვევები, როდესაც ანგარებით მოქმედი პირები ბოროტად იყენებენ პირის შეზღუდულ გონებრივ შესაძლებლობებს ქონებრივი სარგებლის მისაღებად. შესაბამისად, კანონმდებელი ღირებული ინტერესის დაცვას ახდენს“³⁶⁵.

მიუხედავად უფლების შესაზღუდად ლეგიტიმური მიზნების არსებობისა, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო რეგულაცია არაკონსტიტუციურად სცნო, ვინაიდან ის იწვევდა უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას. სასამართლომ აღნიშნა,

³⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 73.

³⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 75.

რომ „ნორმის მზლუდავი ეფექტის ლეგიტიმურ მიზნებთან თანაზომიერება მოითხოვს უფლებაში ჩარევის ინდივიდუალიზაციასა და საჭიროებებზე მაქსიმალურ მორგებას. ნორმა, რომელიც უპირობოდ და სრულად ზღუდავს უფლებას, რთულად თუ დააკმაყოფილებს კონსტიტუციურობის სტანდარტს. ამავდროულად, უფლებამზღუდავი რეგულაციის საჭიროებებზე მორგება მთელ რიგ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ამგვარი გამოწვევები კი უდავოდ არსებობს შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. სამედიცინო, სოციალური და სამართლებრივი თვალსაზრისით, რთულია განისაზღვროს, სად გადის თანაზომიერების ზღვარი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირების დაცულობასა და ქორწინების თავისუფლებას შორის“.³⁶⁶

რელევანტური კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ პირის ქმედუუნაროდ აღიარება ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მას დაკარგული ჰქონდა უნარი, შეიგნოს საკუთარი მოქმედებების მნიშვნელობა. იმავდროულად, დაავადებები, რომლებიც ქმედუუნაროდ აღიარების საფუძველს წარმოადგენდა, უნარშეზღუდულობის ფართო სხვადასხვაობით გამოირჩეოდა, როგორც ხარისხის, ასევე ფრაგმენტულობისა და დინამიურობის თვალსაზრისით. სასამართლომ მიუთითა, რომ „აღქმისა და ანალიზის უნარი არ შეიძლება ერთნაირად ჰქონდეს დაქვეითებული ქმედუუნაროდ აღიარებას დაქვემდებარებულ ყველა პირს, არამედ იგი განსხვავებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა თუ მისაღები გადაწყვეტილების სირთულის მიხედვით“. იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ქორწინება უნიკალური ხასიათის სამოქალაქო გარიგებაა, რომელიც სხვა გარიგებებისაგან განსხვავებით, პირადი არაქონებრივი ურთიერთობების კომპონენტებსაც მოიცავს. „ამდენად, ქორწინების მნიშვნელობის გაცნობიერება განსხვავებულ სოციალურ უნარებს მოითხოვს, ვიდრე ეს წმინდა ქონებრივი შინაარსის გარიგებების გააზრებისთვისაა საჭირო“³⁶⁷.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კანონმდებლობა არ კრძალავდა ქმედუუნარო პირების ფაქტობრივ თანაცხოვრებასა და მათ მიერ შვილების ყოლას. ამავდროულად, შვილის ყოლას თან სდევს შესაბამისი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ვალდებულებები, იქნება ეს საალიმენტო, აღზრდისა და სათანადო პირობების შექმნის ვალდებულება თუ სხვა. კანონმდებელი ამგვარ აუცდენელ შემთხვევებში თავადვე აკისრებდა ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს გარკვეულ საოჯახო-სამართლებრივ ვალდებულებებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა ქმედუუნარო პირის ქონებრივი უფლებების ნაკლებადმზღუდველი

³⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 78.

³⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 81-82.

საშუალებით დაცვის გონივრული შესაძლებლობა. მათ შორის, მეურვის ან კომპეტენტური ორგანოს თანხმობის დაწესება, ქორწინების შემოფარგვლა მხოლოდ სოციალური და პირადი შედეგებით, საქორწინო კონტრაქტის სავალდებულოობა და ა.შ. იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქორწინების ქონებრივი და არაქონებრივი შედეგების გაცნობიერების უნარები შესაძლებელია ინდივიდუალურ შემთხვევაში განსხვავებული იყოს. ქორწინების ქონებრივი შედეგები, რომლებიც უკავშირდება გარკვეული ქონებრივი ვალდებულებების აღებას, განსხვავებულ განჭვრეტას საჭიროებს, განსხვავებით ქორწინების არაქონებრივი სოციალური შედეგებისა. ... გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქორწინება არ არის მხოლოდ ქონებრივი შედეგების წარმომშობი სამოქალაქო გარიგება. ქონებრივი შედეგების გარდა, ქორწინება წარმოშობს მნიშვნელოვან პირად არაქონებრივ უფლებებს. ... ამავე დროს, ქორწინება არის მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შესაბამის სტატუსს სძენს პირების ურთიერთობას. ... სამართლებრივად დადგენილი ფორმით ქორწინებას პირთა ურთიერთობის ლეგიტიმაციის ფუნქცია გააჩნია და მნიშვნელოვანწილად უკავშირდება მათი ქორწინებისა და თანაცხოვრების აღიარებას საზოგადოების მხრიდან. ... ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს არა მხოლოდ ქორწინების ქონებრივი შედეგები ეზღუდებათ, არამედ შეზღუდულია მათი ქორწინების შედეგად პირადი არაქონებრივი უფლებების შექმნის უფლებაც. ასევე არ ხდება ქმედუუნაროდ აღიარებული პირისა და მისი პარტნიორის ურთიერთობის სოციალური აღიარება. სახელმწიფო არ ახდენს ასეთი პირების კავშირის ლეგიტიმაციას. ... სხვა პირთან ერთად, ოჯახის შექმნის გაცნობიერებული სურვილი, შესაძლებელია, არსებობდეს ქონებრივი შედეგების გაცნობიერების გარეშე. სადავო რეგულაცია არ ითვალისწინებს იმის აღბათობას, რომ „სულით ავადმყოფობისა“ და „ჭკუასუსტობის“ გამო ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთა გარკვეულ კატეგორიას, შესაძლოა, არ ჰქონდეს დაკარგული უნარი, შეიგნოს ქორწინების, როგორც სოციალური აქტის მნიშვნელობა, გაიაზროს ის პირადი და სოციალური შედეგები, რაც ქორწინებას ახლავს. სადავო ნორმების შესაბამისად, არ ხდება პირის უნარების შემოწმება სოციალური ცხოვრების იმ სფეროს მიხედვით, რომელსაც შეეხება მისაღები გადაწყვეტილება და, ამდენად, უფლებელყოფილია ქმედუუნაროდ აღიარებული პირების შეუზღუდავი უნარები“.³⁶⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დაწესებული ასეთი ბლანკეტური შეზღუდვა არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის მოთხოვნებს.

³⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 85-91.

8.10.2.2 სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირების ოჯახური ცხოვრების უფლება

საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებელი სხდომის ფარგლებში იმსჯელა ასევე სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირების ოჯახური ცხოვრების უფლებაზე. საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, მომჩივნები ასაჩივრებდნენ ნორმებს³⁶⁹, რომელთა მიხედვით მსჯავრდებულს, რომელსაც მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენისთვის, ჰქონდა ყოველთვიურად არა უმეტეს ერთი პაემნის უფლება; ხოლო იმ პირს, რომელსაც მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნა დანაშაულის რეციდივის დროს, თუ იგი წინათ იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, ჰქონდა ორ თვეში არა უმეტეს ერთი პაემნის უფლება.

მომჩივნები იყვნენ მსჯავრდებულები და იხდიდნენ სასჯელს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელალსრულების დაწესებულებაში. ერთ-ერთ მომჩივანს შესაძლებლობა ჰქონდა, შეხვდეს მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებს ორ თვეში ერთხელ, ერთი საათით, მხოლოდ შუშის გამყოფი ბარიერის მიღმა. ხოლო მეორე მომჩივანს დედასთან და არასრულწლოვან შვილთან შეხვედრის შესაძლებლობა ეძლეოდა თვეში ერთხელ.

პატიმრებისათვის პაემნის შეზღუდვა თვეში ერთი და ორ თვეში ერთი პაემნის უფლებამდე, მომჩივნების აზრით, წარმოადგენდა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას და უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას. მომჩივნები არ აყენებდნენ ეჭვქვეშ პატიმრისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესების აუცილებლობას, თუმცა მიაჩნდათ, რომ შეზღუდვების დაწესებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო თავად დანაშაულის ხასიათი, მისი სიმძიმე და ყველა კონკრეტული გარემოება.

საკონსტიტუციო სასამართლომ, ერთი მხრივ, ყურადღება გაამახვილა პატიმრის პირადი და ოჯახური ცხოვრების კონსტიტუციით დაცულობაზე და უფლების ფარგლებზე, ხოლო, მეორე მხრივ, არაორაზროვნად გაიმეორა სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი მიდგომა, რომ ოჯახური ცხოვრების კონსტიტუციურ მოწესრიგებას ემსახურება კონსტიტუციის 36-ე მუხლი და არა მე-20 მუხლი. კერძოდ, განჩინებაში ვკითხულობთ: „უდავოა რომ პირის, და მათ შორის პატიმრის, პირადი ცხოვრება მოიცავს კავშირსა და ურთიერთობებს ოჯახის

³⁶⁹ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის მე-4 მუხქტსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის „მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ №366 ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტს

წევრებთან და მის „ახლო წრესთან“.³⁷⁰ სასამართლომ მიუთითა საპატიმროში უფლებათა უმრავლესობის, მათ შორის, პირადი ცხოვრების, შეზღუდვის ბუნებრივ მდგომარეობაზე. „პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთით იზღუდება არა მხოლოდ პიროვნების გადაადგილების თავისუფლება, არამედ ასევე მისი თავისუფალი ნება აწარმოოს და განავითაროს ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. ... შეუძლებელია საპატიმროში პირადი ცხოვრების უფლების შეუზღუდავად განხორციელება. ... ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირის კანონიერი პატიმრობა, გარდა ოჯახური ცხოვრების უფლებისა, პირადი ცხოვრების სხვა ასპექტების და კონსტიტუციით დაცული ზოგიერთი სხვა უფლების შეზღუდვასაც იწვევს. ... საპატიმრო წესებს და რეგულაციებს ექვემდებარება პირის ინტიმური ცხოვრება, პირადი ნივთებით, მათ შორის, პირადი ჰიგიენის ნივთებით სარგებლობაც კი“³⁷¹. თუმცა, იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ „თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არ იწვევს პირადი ცხოვრების უფლების აბსოლუტურ შეზღუდვას, პირის კანონიერი დაპატიმრება ვერ გამოდგება პატიმრის პირადი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში შეუზღუდავად ჩარევის საფუძვლად. პატიმრობაში მყოფი ადამიანი ინარჩუნებს უფლებას პირად ცხოვრებაზე, თუმცა მისი ოჯახური ან სოციალური ურთიერთობები, ისევე როგორც პირადი ცხოვრების სხვა ასპექტები, კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებს ექვემდებარება. ... პატიმრობაში მყოფი პირი განაგრძობს ყველა კონსტიტუციური უფლებით სარგებლობას, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა აბსოლუტურ შეზღუდვას თავად კონსტიტუცია ითვალისწინებს, ... თუმცა განსხვავებულია ამ უფლებებით სარგებლობის ხარისხი. ასე მაგალითად, პატიმარი უზრუნველყოფილია უფლებით შექმნას ოჯახი, მაგრამ შეზღუდულია შესაძლებლობაში შეხვდეს ოჯახის წევრებს. ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური, შეზღუდვა გამართლებული იქნება თუ ის პროპორციულობის ტესტს დააკმაყოფილებს“³⁷².

8.10.3 ადამიანის სახელი და გვარი

საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, დავის საგანს წარმოადგენდა „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმის (64-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვის „მეუღლის“³⁷³) კონსტიტუციურობა საქართველოს კონტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით,

³⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 6.

³⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 7-8.

³⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 9-10.

³⁷³ სადავო ნორმის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

რომელიც ადგენდა პირის უფლებას, მიიღოს საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი, დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი ან აღიდგინოს ისტორიული გვარი.

კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული იყო, რომ მომჩივანმა თავისი პირვანდელი სახელით (ნუგზარ ხუნდაძე) განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საკუთარ გვართან თავისი ბების გვარის - ჯაყელის მიერთება, რაზეც სააგენტომ უარი უთხრა იმ საფუძველით, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა საკუთარი გვარის აღმავალი შტოს ნათესავის გვართან გაერთიანებას. ამის შემდეგ მომჩივანმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს და მოითხოვა საკუთარი პირვანდელი გვარის შეცვლა ბების გვართან ჯაყელი. მისი მოთხოვნა ამჯერად დაკმაყოფილდა. მომჩივნის აზრით, სადავო ნორმით დაირღვა მისი უფლება, ვინაიდან იგი იძულებული იქნა, საკუთარი გვარი დაეთმო ბების გვარის სანაცვლოდ. მომჩივნის განცხადებით, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე ნათლად მიუთითებდა მისი ვიწრო შინაარსი, კერძოდ კი იმგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომლის ფარგლებშიც გვარის შეერთება, გარდა ორი გამონაკლისისა, აკრძალული იყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ სახელის უფლება, როგორც პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტი, ამოიკითხა კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან. სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია პირის უფლება, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების თვალში და პიროვნული განვითარებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების თავისუფლება. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ადამიანის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას“.³⁷⁴ ამდენად, ვინაიდან სახელისა და გვარის უფლება კონსტიტუციის რომელიმე სხვა პირადი ცხოვრების უფლების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური დებულებიდან არ არის ამოკითხვადი და ასევე იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის მიერ კონკრეტული გვარის ტარება, შეიძლება განიხილებოდეს, ერთი მხრივ, პირის თვითიდენტიფიცირების შესაძლებლობად საკუთარ ოჯახთან, ხოლო მეორე მხრივ, პირის იდენტობის საზოგადოებაში პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის უფლება, აირჩიოს სახელი/გვარი, დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით. კერძოდ: „კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია პირის ნებისა და

³⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

ქმედების თავისუფლება როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში. ... უფლება სახელის ან/და გვარის შეცვლაზე პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის იდენტობასთან და მის პიროვნულ გრძნობებთან. პირის უფლება, ჰქონდეს/შეიცვალოს ან ზოგადად აკონტროლოს სახელი/გვარი პირის ზოგადი თავისუფლების განუყოფელი ნაწილია. ... ზოგადად, ადამიანისთვის გვარს შესაძლებელია გააჩნდეს არაერთი ფუნქციური დატვირთვა. ეს შეიძლება იყოს პიროვნების თვითიდენტიფიკაციის, საკუთარ ოჯახთან და წარმომავლობასთან ასოცირების სურვილი. კერძოდ, პირის მიერ კონკრეტული გვარის ტარება შეიძლება განიხილებოდეს როგორც პირის სურვილი, პიროვნულად დაკავშირებული იყოს საკუთარ ოჯახთან. ამასთანავე, პირს შეიძლება გააჩნდეს სურვილი, საზოგადოების მიერ აღქმული და მიღებული იყოს როგორც კონკრეტული გვარის წარმომადგენელი. გარდა ამისა, პიროვნების გვარს შესაძლებელია გააჩნდეს სხვა გამოხატვითი ფუნქციაც, რაც გულისხმობს, პირის შესაძლებლობას, საკუთარი გვარის დემონსტრირებით, ხაზი გაუსვას საკუთარი დაბადების ადგილს, წარმომავლობას, ეთნიკურ თუ ეროვნულ წარმოშობას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პირს შესაძლოა საერთოდ არ სურდეს საკუთარი გვარი ასოცირდებოდეს მის ოჯახსა თუ წარმომავლობასთან და გააჩნდეს ნება, უარი თქვას მის ტარებაზე. ასევე შესაძლებელია, რომ პირს სურვილი ჰქონდეს, მიიღოს ახალი გვარი რელიგიური ან სხვა მოტივების საფუძველზე³⁷⁵ იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება უფლების მნიშვნელობაზე. „ადამიანს მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში უწევს ამა თუ იმ გვარის ტარება. გვარის გამჟღავნებით ადამიანი ცნობადი ხდება საზოგადოებაში, ზოგჯერ ადამიანის გვარი რეპუტაციის სინონიმდაც განიხილება ხოლმე. ... გვარს გააჩნია ე.წ. გამოხატვითი ფუნქცია, რომელიც პირველ რიგში, ემსახურება ადამიანის იდენტობის გარეგან რეალიზებას, მის გზავნილს საზოგადოებაში, რომელშიც ხაზგასმულია პირის ინდივიდუალურობა, მისი კავშირი ოჯახთან, ეთნიკურ ისტორიასთან, რელიგიურ გრძნობებთან და ა.შ. ამდენად, პირადი განვითარებისთვის ადამიანის გვარს მნიშვნელოვანი შინაარსი და დატვირთვა გააჩნია, ხოლო მასთან დაკავშირებული შეზღუდვები წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევას და საჭიროებს კონსტიტუციურ შემოწმებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“³⁷⁶.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნების კონსტიტუციურობის შემოწმების აუცილებლობაზე. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: „მოპასუხის მიერ დასახელებული ნებისმიერი ლეგიტიმური მიზანი ვერ დაედება საფუძვლად პირის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელი ისაა, რომ უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ მიზნის გახორციელებისთვის, რომელსაც აქვს უნარი, გაამართლოს თავად ამ უფლების

³⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9-10.

³⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 22.

შეზღუდვა. ხოლო მიზნები, რომლებიც უნარიანია, გამართლოს კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა, მომდინარეობს დემოკრატიული ღირებულებებისგან, რაზეც სახელმწიფო და საზოგადოება არის დაფუძნებული. ამდენად, ლეგიტიმური მიზანი, რომელიც *per se* ნებას რთავს სახელმწიფოს, შეზღუდოს პირის კონსტიტუციურ უფლებები, ამავე დროს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტს, არ მოხდეს ამ უკანასკნელის უფლებების შეზღუდვა არარელევანტური მიზნებისა თუ მიზეზების გამო. თუ არ არსებობს შესაფერისი ღირებული მიზანი, ზედმეტია იმ საშუალებების შეფასება, რითიც ეს მიზანი მიიღწევა ან რამდენად აღმატებულია მიზნიდან გამომდინარე სიკეთე იმ ნეგატიურ ეფექტზე, რომელიც შეზღუდული უფლებიდან გამომდინარეობს³⁷⁷.

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ, უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონმდებელს უფლების შეზღუდვის გამართლებისთვის განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდა: „სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების იმ კომპონენტის შეზღუდვას, რომლითაც დაცულია პირის იდენტობა, ვინაიდან ნებისმიერ ჩარევას პირადი ცხოვრების აღნიშნულ ელემენტში, ადამიანი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს. ზემოაღნიშნული უფლებრივი ელემენტის შემზღუდველი რეგულირება შეიცავს ადამიანის პიროვნული განვითარების სტაგნაციის რისკს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა გამოიჩინოს სახელმწიფომ მაქსიმალური სიფრთხილე ამ სფეროს პირდაპირი თუ არაპირდაპირი რეგულირებისას“³⁷⁸. „ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და, უფრო კონკრეტულად, ადამიანის იდენტობის ხელშეუხებლობა, იმდენად დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა თანამედროვე და პლურალისტული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა არსებობდეს სერიოზული მიზეზები, რომლებიც დაარწმუნებდა სასამართლოს ამა თუ იმ ნორმის და, შესაბამისად, შეზღუდვის გონივრულობაში“³⁷⁹.

საქართველოს პარლამენტის განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული წესი, რომელიც ზღუდავდა პირის უფლებას, საკუთარ გვარს შეუერთოს მისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი, ემსახურებოდა სხვათა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. კერძოდ, საქართველოში ტრადიციად არის ქცეული, რომ ზოგადად, პირს უფლება გააჩნია, საკუთარი გვარი შეუერთოს მხოლოდ მეუღლის ან მშობლის გვარს, ხოლო მისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარის მიერთება გამოიწვევს დაბნეულობას საზოგადოებაში, რომელმაც შესაძლოა ვერანაირი კავშირი ვერ იპოვოს პირის ოჯახურ კავშირსა და მის მიერ არჩეულ გვარს შორის.

³⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგ ზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 17.

³⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგ ზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23.

³⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგ ზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 24.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი, ზოგადად, შეიძლება წარმოადგენდეს ღირებულ საჯარო ინტერესს, თუმცა არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში. სასამართლოს განმარტებით, დაბნეულობას თან უნდა სდევდეს ხელშესახები საფრთხეები, რომლებიც მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული სხვა პირთა უფლებების შელახვასთან. „სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა გამოიწვიოს სხვა პირთა ინტერესების შელახვა იმ ფაქტმა, რომ პირს სურს საკუთარ გვარს მიუერთოს პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის, კერძოდ ბებუისა ან ბაბუის გვარი“.³⁸⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საზოგადოების ინტერესი პირის ოჯახურ ცხოვრებისა და ოჯახის წევრებთან მისი პირადი ურთიერთობების მიმართ ირელევანტური უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, პირის ოჯახური საქმიანობა ან/და ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, თავად ამ ოჯახის წევრებს ან/და მესამე პირებს არ აყენებს ზიანს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, ჩაერიოს და აღკვეთოს ადამიანის უფლებების დარღვევა. სხვა შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს რაიმე რელევანტური ახსნა, თუ რატომ უნდა არსებობდეს სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ინტერესი პირის ოჯახურ ურთიერთობებში ინტერვენციისა, პირდაპირ მიუთითებს ღირებულ ლეგიტიმური მიზნის არარსებობაზე. ... მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ პირის თავისუფალ განვითარებას კანონი არ უნდა უქვემდებარებდეს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ჩამოყალიბებულ ტრადიციას, წეს-ჩვეულებასა თუ ადათს, ვინაიდან აღნიშნული საფრთხის ქვეშ დააყენებდა თავად ადამიანის პიროვნული განვითარების ორ მნიშვნელოვან და სუბსტანციურ პრინციპს - თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს, რაც რეალურად წარმოადგენს ადამიანის განვითარების საწყისს“.³⁸¹

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი არ წარმოადგენდა უფლების შეზღუდვის სერიოზულ, წონად და მხედველობაში მისაღებ გარემოებას. „ზოგადად, ამა თუ იმ ნორმის შემოღების მიზანი შეიძლება იყოს საზოგადოების დაბნეულობის ან/და შეცდომაში შეყვანის პრევენცია, თუმცა გაუგებარი და სრულიად უმიზნოა იმაზე აპელირება, რომ პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარის საკუთარ გვართან შეერთებამ შესაძლოა საზოგადოების დაბნეულობა გამოიწვიოს, რადგან ეს უკანასკნელი ვერ დაინახავს კავშირს პირის ოჯახთან და პირის მიერ არჩეულ გვარს შორის“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

³⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 27.

³⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 29-30.

8.10.4. პირადი ცხოვრება და სექსუალური ორიენტაცია

პიროვნების თავისუფალი განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელია განსხვავებული ორიენტაციის მქონე პირთა პირადი ცხოვრების ფუნდამენტური ასპექტების ჯეროვანი დაცვა. ამ სფეროში არაერთი პრობლემატური საკითხი ითხოვს სახელმწიფოთა სათანადო ყურადღებასა და ძალისხმევას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ერთი ასპექტის კონსტიტუციურ გარანტიებზე იმსჯელა.

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის N241/ნ ბრძანების N1 დანართის “სისხლის, პლაზმის, სისხლის უჯრედების დონორების სამედიცინო შემოწმების შესახებ დებულება” 24-ე მუხლის (2000 წლის 5 დეკემბრის რედაქცია) სიტყვის “ჰომოსექსუალიზმი” და “სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის N282/ნ ბრძანების N1 დანართის “სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივები” მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის (2007 წლის 27 სექტემბრის რედაქცია) სიტყვის „ჰომოსექსუალიზმი“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-14 მუხლებთან მიმართებით.

სადავო ნორმები ჰომოსექსუალიზმს მიაკუთვნებდა შიდსის რისკ ჯგუფებს. თავის მხრივ, შიდსის რისკ ჯგუფებისადმი მიკუთვნება წარმოადგენდა სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის აბსოლუტურ წინააღმდეგ ჩვენებას. ამასთანავე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორის საექიმო გამოკვლევა გულისხმობდა პირისთვის ეპიდანამნეზის ჩატარებას და ამ პროცესში დონორის აივ-ინფექციით და ჰეპატიტით დაინფიცირების ისეთი რისკ-ფაქტორების განსაზღვრას, როგორებიცაა: ჰომოსექსუალიზმი, პროსტიტუცია და ნარკომანია.

მომჩივნები ჰომოსექსუალებად ახდენდნენ თვითიდენტიფიკაციას. სადავო ნორმებზე დაყრდნობით, მათ ეკრძალებოდათ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობა. მომჩივნების აზრით, ჰომოსექსუალიზმი მიუთითებს სექსუალურ ორიენტაციაზე და არა სექსუალურ ქცევაზე. ჰომოსექსუალობა ავტომატურად არ გულისხმობს აქტიურ სქესობრივ ცხოვრებასა და ჯანმრთელობისთვის საშიში ინტიმური ქცევების არსებობას. ამის საპირისპიროდ კი, სადავო ნორმები კრძალავდნენ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობას არა სარისკო სქესობრივი ქცევის, არამედ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

მომჩივანთა მტკიცებით, სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესაძლებლობის აკრძალვით სახელმწიფო აღნიშნულ ჯგუფს არ აძლევდა თავისუფალი განვითარების უფლებას სექსუალური ქცევიდან და ორიენტაციიდან გამომდინარე, რომლითაც ისინი იზადებიან და რომელსაც ატარებენ მთელი ცხოვრების მანძილზე. ამით კი ხდებოდა ამ სოციალური ჯგუფის არა მხოლოდ სექსუალური ცხოვრების თავისუფლების არათანაბარზომიერი შეზღუდვა, არამედ მათ არ ეძლეოდათ ჯანსაღი სოციალური განვითარების შესაძლებლობაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ჰომოსექსუალებს განუსაზღვრელი ვადით, გამონაკლისის გარეშე, ერთმეოდათ შესაძლებლობა, გამხდარიყვნენ დონორები, მაშინ როდესაც სხვა პირებისთვის სექსუალური ორიენტაციის ან/და სქესობრივი ქცევის საფუძველზე აბსოლუტური აკრძალვა დადგენილი არ იყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების არსზე და მომჩივანთა ინტერესების სწორედ ამ მუხლით დაცულობაზე. „საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე. ... საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ადამიანის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისათვის.... ვინაიდან კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას, თავისუფლად მოახდინოს თვითიდენტიფიცირება, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ცხოვრების წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარების და სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები, თავისი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური თუ სხვა მოთხოვნილებების და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები, ის, იმავდროულად, მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროსაც, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებას და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას“.³⁸²

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროში ექცევა პიროვნების თავისუფალი განვითარების ნებისმიერი ფორმით რეალიზაცია.

³⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 54-56.

შესაბამისად, მომჩივნების უფლება, გახდნენ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორები, დაკავშირებულია ადამიანის მოქმედების თავისუფალ ნებასთან, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში და დაცულია პიროვნული თვითგანვითარების უფლებით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ დონორობა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე არის ქველმოქმედების, ადამიანური სოლიდარობის ერთ-ერთი გამოვლინება. პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს, გახდეს სისხლის ანდა სისხლის კომპონენტების დონორი, არ არის დაინტერესებული რაიმე მატერიალური ანაზღაურებით. მის ერთადერთ მოტივატორს წარმოადგენს სხვა პირთა დახმარება და საკუთარი ალტრუისტული ღირებულებების შესაბამისად ამყარებს კავშირს გარესამყაროსთან. სასამართლომ ასევე განსაკუთრებულად გამოყო ნათესავი დონორის ინსტიტუტი. ნათესავი დონორის სტატუსის ქვეშ მოაზრებული პირები საკუთარ სისხლს გაიღებენ განსაზღვრული ადრესატისთვის, ნათესავისთვის ან ახლობლისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, რაც ნათესაური/პირადი ურთიერთობების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. „სისხლის დონაციის მეშვეობით პირი ახდენს შინაგანი ღირებულებების პრაქტიკულ რეალიზებას, ამასთან, უზრუნველყოფს პერსონალური, მათ შორის, ოჯახური კავშირების განვითარებას, რაც, უდავოდ, პიროვნების თვითრეალიზაციისა და განვითარების შემადგენელ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს და, შესაბამისად, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით“.³⁸³

სასამართლომ კვლავაც გაიმეორა, რომ ეს უფლება ექვემდებარება შეზღუდვას, მაგრამ მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის დაცვით. „პირებს ეკისრებათ თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის თმენის ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვა ხდება უპირატესად დაცული, საყოველთაო ინტერესებიდან ან მესამე პირების კონსტიტუციურად დაცული ინტერესებიდან და უფლებებიდან გამომდინარე – თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გამოყენების საფუძველზე. ... სამართალშემოქმედმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს სენსიტიური სფეროების მოწესრიგებისას - სადაც არსებობს უფლებათა დაცვის განსაკუთრებული საჭიროება. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის სექსუალურ უმცირესობებს“.³⁸⁴

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ემსახურება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას – სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. სადავო ნორმების მიზანს

³⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 63.

³⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 67-68.

წარმოადგენს მოსახლეობის დაცვა ისეთი საშიში ინფექციური დაავადებებისაგან, როგორსაც წარმოადგენს აივ-შიდსი“. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ჩარევის ფორმა იძლეოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, კერძოდ, ახდენდა სარისკო დონორების სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის პროცესისგან დისტანცირებას და წარმოადგენდა ქმედით ღონისძიებას სისხლის რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა, სასამართლომ ეს არ მიიჩნია საკმარისად - აუცილებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად წარმოადგენდა შეზღუდვა მიზნის მიღწევის აუცილებელ და თანაბარზომიერ საშუალებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ: „სადავო ნორმების საფუძვლად სოციალურ ჯგუფზე მითითება („ჰომოსექსუალიზმი“), ზედმეტად ზღუდავს ამ სოციალურ ჯგუფში შემავალი პირების უფლებებს ისე, რომ არ იღებს მხედველობაში იმ გარემოებას, კავდებიან თუ არა ეს პირები სარისკო სექსუალური ქცევით და დროის რა მონაკვეთში იყვნენ ისინი დაკავებული ამგვარი ქცევით. იმისათვის, რომ შეზღუდვა პროპორციულად ჩაითვალოს, დონორობის უფლება უნდა განისაზღვრებოდეს არა პირის სექსუალური ორიენტაციის, არამედ კონკრეტული დონორის სექსუალური ქცევების საფუძველზე. შესაბამისად, დონორობის შეზღუდვა უნდა მიემართებოდეს არა პოტენციური დონორის კუთვნილებას რომელიმე სოციალური/დემოგრაფიული ჯგუფისადმი, არამედ - მის სარისკო სექსუალურ ქცევებს. ამასთანავე, შეზღუდვის დაწესებისას სამართალშემოქმედმა უნდა გაითვალისწინოს, დროის რა პერიოდში ინარჩუნებს ქცევა რისკებს სისხლის დონაციის უსაფრთხოების თვალსაზრისით“.³⁸⁵

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო შემდეგი ძირითადი საფუძვლებით: სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ სადავო ნორმების შესაბამისად, მოსარჩელეთათვის დონორად ყოფნის უფლების აკრძალვის საფუძველს წარმოადგენდა სექსუალური ორიენტაცია, რომელიც გარდა ინფექციური დაავადების შეძენის მაღალი რისკის მქონე სექსუალური ქცევისა, მოიცავს სხვა სახის სექსუალურ კავშირებს, უფრო მეტიც, ჰომოსექსუალიზმი აუცილებლად სექსუალური ცხოვრების პრაქტიკას არ გულისხმობს. ამასთან, სადავო ნორმები უგულვებელყოფდა ე.წ. „ფანჯრის პერიოდის“ ამოწურვის შესაძლებლობას და ადგენდა აბსოლუტურ აკრძალვას ჰომოსექსუალ პირებთან მიმართებით. სასამართლოს მიერ ასევე დადგინდა, რომ „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ სისხლში ინფექციის არსებობის აბსოლუტური სიზუსტის განსაზღვრა არსებული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელი იყო და, ამ მხრივ, აღარ არსებობდა რაიმე დამატებითი ღონისძიების გატარების საჭიროება. სასამართლომ აღნიშნა: „სამართალშემოქმედი ვალდებულია, სწორად განსაზღვროს ნორმის შესაძლო სამართლებრივი შედეგები. ... დაუშვებელია უფლების იმაზე მეტად

³⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 72-73.

შეზღუდვა, ვიდრე ეს საჭიროა კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სადავო ნორმებით, სისხლის ან/და სისხლის კომპონენტის დონორი ვერ იქნება პირი, რომელიც თვითიდენტიფიცირებას ახდეს ჰომოსექსუალად, მაგრამ არ კავდება სარისკო სექსუალური ქცევით. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ახდენს ისეთი პირის დისტანცირებას დონაციის პროცესისგან, რომლის მიერ სისხლის ჩაბარება არ შეიცავს რეციპიენტთა ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ რისკებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა არათანაზომიერია“.³⁸⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სადავო ნორმების საფუძველზე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონაცია ასევე ბლანკეტურად, განუსაზღვრელი ვადით ეზღუდებოდათ სარისკო სექსუალური ქცევის მქონე ჰომოსექსუალ მამაკაცებს. სასამართლომ დაადგინა, რომ აივ-ვირუსის იდენტიფიცირება „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევებით შესაძლებელი იყო. შესაბამისად, სარისკო სექსობრივი ქცევის მქონე ჰომოსექსუალი მამაკაცების დისტანცირება დონაციის პროცესისგან განუსაზღვრელი ვადით, ასევე არ პასუხობდა პროპორციულობის მოთხოვნებს.

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებელს დამატებითი მოთხოვნები წაუყენა „კანონის ხარისხთან“ დაკავშირებით. „სამართალშემოქმედი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას ვალდებულია, ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბოს ნორმის იურიდიული შინაარსი. ნორმის რაციონალური განმარტება უნდა გამორიცხავდეს მისი არაკონსტიტუციური შინაარსით წაკითხვის შესაძლებლობას. სამართალშემოქმედის მიზანი, მოახდინოს რაციონალური შეზღუდვის დაწესება, ადეკვატურად უნდა იქნეს ასახული. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება უფლების დაღვევის მაღალი საფრთხე, ხოლო სამართალშემფარდებლის მიერ თუნდაც სწორად ჩამოყალიბებული პრაქტიკა, ვერ იქნება საკმარისი აღნიშნული საფრთხის პრევენციისთვის“³⁸⁷. ამ კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იძლეოდა ტერმინ „ჰომოსექსუალიზმის“ ლეგალურ დეფინიციას, შესაბამისად, სამართალშემფარდებელს აღნიშნული ტერმინის განმარტებისას საკმაოდ ფართო მიხედულება გააჩნდა.

³⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 74.

³⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 47.